

ლადო ჭანტურია

უმსავალი  
საქართველოს  
სამოქალაქო სამართლის  
ზოგად ნაწილში

(დამხმარე სახელმძღვანელო იურიდიული  
ფაკულტეტების სტუდენტებისათვის)

გამომცემლობა „სამართალი“  
თბილისი 2000

წიგნი დაწერილია საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. მასში გამოკვლეულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემები, გაანალიზებულია დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართლის გამოცდილება და სასამართლო პრაქტიკა. წიგნი გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და სამოქალაქო სამართლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

**რედაქტორი პროფესორი სერგო ჯორჯენაძე**

© გამომცემლობა „სამართალი“, 1997

© ლ. ჭანტურია

სამოქალაქო კოდექსის მიღებით საქართველომ თავის ისტორიაში პირველად შეძლო სამართლებრივი საძირკველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოებისათვის. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა თვითმიზანი არ არის. დღემდე არსებულ საზოგადოებრივ წყობილებებთან შედარებით, იგი ყველაზე მეტ შესაძლებლობებს იძლევა ადამიანის ნიჭისა და უნარის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ხელშეკრულების თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუხებლობისათვის, მეწარმეობის თავისუფლებისა და კონკურენციის განვითარებისათვის. თანასწორთა ჭიდილი, რასაც სამართლის ენაზე კონკურენცია ჰქვია, პროგრესის წყარო და მამოძრავებელი ძალა ხდება. ეს პროგრესი კი საზოგადოებრივ კეთილდღეობას იწვევს. კეთილდღეობისაკენ სწრაფვა ნებისმიერი ნორმალური ხალხისა და ქვეყნის მიზანი უნდა იყოს. ამ სწრაფვის იურიდიულ საფუძველს სამოქალაქო კოდექსი ქმნის.

დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მცირე გამოცდილება აქვს. ამიტომ ამ ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციების გამოკვლევა, თავისებურებათა შესწავლა და მათი შედარება საქართველოს ახალშობილი სამოქალაქო სამართლისათვის ამ წიგნის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დავისახე.

საქართველო დასავლეთში ინტეგრაციისა და დასავლურ სამართალთან ჰარმონიზაციის გზას დაადგა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამის თვალსაჩინო დასტურია. ამითაც არის გამართლებული შედარებით-სამართლებრივი კვლევები ბევრი იმ ინსტიტუტისა, რომლებმაც ასახვა პოვეს ახალ ქართულ სამოქალაქო სამართალში.

თანამედროვე მსოფლიომ უარყო კარჩაკეტილობის იდეები და ღია საზოგადოების მსოფლმხედველობა გააბატონა. ღია და თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. სამართალი, უწინარეს ყოვლისა, სამოქალაქო სამართალი ზოგადადამიანური ფასეულობების განმტკიცებით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს იძლევა. ამ თვალსაზრისით საქართველოს ახალი სამოქალაქო სამართალი უაღრესად პროგრესულია. სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ ამაში არაერთგზის დამარწმუნა.

✓ სამოქალაქო კოდექსის მიღება განსაკუთრებული მოვლენაა ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მისი დანერგვა, იმის მიღწევა, რომ თითოეული ადამიანი გრძნობდეს ამ ფუძემდებლური

აქტის სასიკეთო ძალას. ვიდრე ყოველი ადამიანი არ შეიგრძნობს სამოქალაქო სამართლის ძალას, შეუძლებელია მის დადებით როლზე საუბარი, პირველ რიგში აუცილებელია ახალი კოდექსის სწავლება. უწინარესად ეს ითქმის იურისტებზე, ქართველ იურისტებზე, რომელთაც ბევრ საკითხში ძველ ცოდნასთან განშორება მოუწევთ. ცხადია, ეს არ არის იოლი საქმე – ახლის სწავლა ყოველთვის დიდ შრომასა და მონდომებასთან არის დაკავშირებული. წინამდებარე წიგნი დაეხმარება მათ, ვისაც გადაუწყვეტია საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის შესწავლა.

1996 წელს შესაძლებლობა მქონდა მაქს-პლანკის საზოგადოების მიწვევით მემუშაუა საზღვარგარეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში ჰამბურგში. ინსტიტუტის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში მუშაობამ და ცნობილ მეცნიერებთან კონსულტაციებმა შემაძლებინა იმ ძვირფასი მასალის მოპოვება, რომლის გარეშეც ამ წიგნის დაწერა შეუძლებელი იქნებოდა. ამისთვის უღრმესი მადლობა მინდა მივუძღვნა მაქს-პლანკის საზოგადოებასა და მაქს-პლანკის ინსტიტუტს.

დაბოლოს, მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი პატივისცემა და მადლიერება ბატონ სერგო ჯორბენაძის მიმართ, რომელმაც გულდასმით წაიკითხა წიგნის ხელნაწერი და მეტად ძვირფასი რჩევებიც მომცა. ასევე დიდ მადლობას ეუბღვნი პროფესორებს ზურაბ ახვლედიანს, ბესარიონ ზოიძესა და ჩემს მეგობარს პროფესორ როლფ კნიპერს. მათთან გამართულმა დისკუსიებმა თუ საუბრებმა მომცეს საფუძველი სამოქალაქო სამართლის ბევრი პრობლემა ახლებურად გამეაზრებინა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ეთქვა წიგნის სისტემაზე. იგი ძირითადად ემთხვევა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის სისტემას. მაგრამ ზოგადი ნაწილის ყველა ინსტიტუტი მასში არაა განხილული. წიგნში გამოყენებულია უცხოენოვანი გამოთქმები. ქართველი მკითხველისათვის ადვილი რომ ყოფილიყო მათი გაგება, წიგნს დაეურთე ლექსიკონი, რომელშიც თარგმანთან ერთად ქართული ტრანსკრიპციებიცაა მოცემული. რასაკვირველია, წიგნი არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. მკითხველთა შენიშვნებს სიამოვნებით გავიზიარებ შემდგომ გამოცემებში.

ლადო ჭანტურია

ჰამბურგი-თბილისი

## VORWORT

Mit der Verabschiedung des neuen georgischen Bürgerlichen Gesetzbuchs hat Georgien die privatrechtlichen Grundlagen für eine bürgerliche Gesellschaft geschaffen. Das in Zusammenarbeit mit deutschen Kollegen erarbeitete GBGB bildet die notwendige Voraussetzung für die Entfaltung der privaten Initiative, Vertrags- und Eigentumsfreiheit, für die gewerbliche Tätigkeit.

Die Verabschiedung eines Bürgerlichen Gesetzbuchs ist natürlich ein wichtiges Ereignis für jedes Land. Noch wichtiger sind seine Verbreitung und Durchsetzung, deren wesentlicher Bestandteil die Ausbildung der Juristen ist. Im vorliegenden Buch habe ich versucht, die Grundlagen und Grundwerte des neuen georgischen bürgerlichen Rechts im Hinblick auf die moderne Entwicklung im Zivilrecht zu untersuchen. Traditionell gehört Georgien zu dem kontinental-europäischen Rechtskreis und die Erfahrungen der dortigen Kodifikationen des Zivilrechts haben großen Einfluß auf meine Arbeit gehabt. Gleichzeitig habe ich die Besonderheiten des Common Law berücksichtigt. Diese rechtsvergleichende Studien haben mir die Rolle und Bedeutung des neuen georgischen Zivilrechts noch deutlicher gezeigt.

Ich bedanke mich beim Max-Planck-Institut für ausländisches- und internationales Privatrecht in Hamburg. Ich habe im Jahr 1996 als Stipendiat der Max-Planck-Gesellschaft die Möglichkeit gehabt, in der ausgezeichneten Bibliothek des Instituts zu arbeiten. Ohne diese Unterstützung hätte ich diese große Arbeit nicht leisten können.

**LADO CHANTURIA**

**Hamburg-Tbilissi**



# შინაარსი

## შესავალი დებულებანი

### თავი პირველი

#### სამოქალაქო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში

§1.	სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა .....	1
§2.	ius civile Romanorum-იდან თანამედროვე „სამოქალაქო სამართლამდე“ .....	5
§3.	თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები .....	9
§4.	რომის სამართლის რეცეფცია .....	12
	I. Ius Commune-ს წარმოშობა .....	12
	II. Ius Commune-ს დაშლა .....	17
	III. განმანათლებლობის როლი სამართლის წყაროს ცნების ჩამოყალიბებაში .....	18
§5.	უდიდესი კოდიფიკაციების საუკუნე .....	20
	I. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის აუცილებლობა და სამართლის კოდიფიკაციის თეორია .....	20
	II. ეროვნული კერძო სამართლის წარმოშობა .....	23
	III. პირველი ნაციონალური კოდიფიკაციები .....	25
	ა. პრუსიული სამართალი და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი .....	25
	ბ. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი .....	26
	გ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი .....	27
§6.	სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის გავრცელება თანამედროვე მსოფლიოში .....	30
§7.	საქართველო და სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია .....	31
§8.	სამოქალაქო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში .....	35
	I. სამართლის სისტემის ელემენტები: კერძო და საჯარო სამართალი .....	35
	II. კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა .....	40

III. კერძო სამართლის სისტემა .....	47
IV. საჯარო სამართლის სისტემა .....	48

**თავი მეორე**  
**კერძო სამართლის საფუძვლები**

§1. ზოგადი მიმოხილვა .....	50
§2. ადამიანის, როგორც თავისუფალი პიროვნების აღიარება .....	52
§3. კერძო ავტონომია და სახელშეკრულებო თვითბოჭვა .....	57
I. კერძო ავტონომიის ცნება და შინაარსი .....	57
II. კერძო ავტონომიის ფარგლები .....	60
§4. კერძო საკუთრება .....	62
I. საკუთრების გაგების იდეოლოგიური ინტერპრეტაცია .....	63
II. საკუთრება უახლეს ქართულ სამართალში .....	72

**თავი მესამე**  
**სამოქალაქო სამართლის წყაროები**

§1. კანონი, როგორც სამართლის წყარო .....	80
I. კანონის ცნება .....	80
II. სამოქალაქო კოდექსი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სხვა კანონი .....	81
§2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა .....	82
I. ზოგადი ნაწილის აუცილებლობის შესახებ .....	83
II. ზოგადი ნაწილის სახეები .....	84
III. გამოწვევისები ზოგადი ნაწილის ზოგადი ხასიათიდან .....	86
§3. სამართლის წყარო ინგლისურ-ამერიკულ სამართალში .....	87
I. ცნება და თავისებურება .....	87
II. Case Law-ს მეთოდები .....	89
§4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა სახეები .....	92
I. იმპერატიული ( <i>ius cogens</i> ) და დისპოზიციური ნორმები ( <i>ius dispositivum</i> ) .....	92
II. ე.წ. განუსაზღვრელი ნორმების შესახებ .....	96
§5. ჩვეულებანი .....	98
§6. სამოქალაქო ნორმის მოქმედება დროსა და სივრცეში. სამართლის ნორმათა კოლიზია, კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია .....	100



თავი მეოთხე

სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი

§1. შეიძლება თუ არა არსებობდეს ყველასთვის გასაგები კანონი და რატომ ებრძოდნენ დიდი კანონმდებლები კანონის განმარტებას? ..... 104

§2. კანონთა ინტერპრეტაციის თავისებურებანი ..... 110

§3. ობიექტურობის პრობლემა სამოსამართლო სამართალში ..... 112

§4. სამოსამართლო სამართლის მოქმედების ფარგლები ..... 114

§5. სამოსამართლო სამართლის გავლენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე ..... 115

§6. სოციალიზმიდან გარდამავალი ქართული მართლმსაჯულების პრობლემები ..... 122

პირი პირველი

პირები სამოქალაქო სამართალში

თავი პირველი

ფიზიკური პირები

§1. უფლებაუნარიანობის ცნება ..... 126

    I. ზოგადი უფლებაუნარიანობა ..... 126

    II. სამართლის სისტემა, რომელიც არ იცნობს უფლებაუნარიანობას ..... 129

§2. უფლებაუნარიანობის წარმოშობა ..... 130

§3. ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობა ..... 132

    I. ზოგადი მიმოხილვა ..... 132

    II. თანამედროვე მედიცინის მიღწევები და ჩანასახის სამართლებრივი დაცვის პრობლემები ..... 134

    III. ჩანასახის უფლებათა ფარგლები ..... 136

§4. შესაძლო უთანასწორობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას... 137

    I. მოქალაქეობა და უფლებაუნარიანობა ..... 138

    II. პოლიტიკური შეხედულებები და უფლებაუნარიანობა ..... 140

    III. სქესის მნიშვნელობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას .141

§5. უფლებაუნარიანობა და უფლება ..... 145

§6. უფლებაუნარიანობის დასასრული ..... 148

§7. ქმედუნარიანობა ..... 150

I. ცნება .....	150
ა. ქმედუნარიანობა ასაკის მიხედვით .....	151
ბ. ჯანმრთელობა და ქმედუნარიანობა .....	153
გ. ქმედუნარიანობის შეზღუდვა .....	154
II. ქმედუნარიანობის მნიშვნელობა .....	156
III. შეზღუდული ქმედუნარიანობის მნიშვნელობა .....	156
IV. დელიქტუნარიანობა .....	158
§8. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება .....	160
I. პრეზუმფციის როლი სამოქალაქო სამართალში .....	160
II. გარდაცვლილად გამოცხადება .....	161
III. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება .....	163
§9. პირთა სამოქალაქო სამართლებრივი იდენტიფიკაციის კრიტერიუმები .....	164
I. სახელი .....	164
ა. სამოქალაქო სახელი .....	164
ბ. სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება თუ არამატერიალური ქონებრივი უფლება .....	167
გ. სახელის შეტენის საფუძვლები .....	171
II. საცხოვრებელი ადგილი .....	172
ა. ცნება და დაზუსთოება .....	172
ბ. საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა .....	176
გ. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი .....	182
დ. არჩევითი საცხოვრებელი ადგილი .....	184
ე. კანონით საცხოვრებელი ადგილი .....	185
ვ. საცხოვრებელი ადგილის გაუქმება .....	187
ზ. კიდევ ერთხელ საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობის შესახებ .....	188
§10. პირადი არაქონებრივი უფლებები .....	189
I. პირადი არაქონებრივი უფლებები გერმანულ სამართალში ..	191
ა. ზოგადი მიმოხილვა .....	191
ბ. პრესა და პირადი უფლებების დარღვევა .....	195
II. პირადი უფლებები ფრანგულ სამართალში .....	197
III. პირადი უფლებების დაცვა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში .....	200
IV. პირადი უფლებების დაცვა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით .....	202

თავი მერა  
იურიდიული პირები

§1. ისტორიული ექსკურსი .....	204
I. <i>universitas</i> – თანამედროვე იურიდიული პირის წინამორბედი .....	204
II. <i>persona moralis</i> და <i>juristische Person</i> – „იურიდიული პირის“ დაბადება .....	206
§2. თეორიები იურიდიული პირის შესახებ .....	210
I. ფიქციის თეორია .....	210
II. რეალური კავშირის თეორია .....	213
III. მიზნობრივი ქონების თეორია .....	214
IV. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის თეორიები იურიდიული პირის შესახებ .....	214
V. იურიდიული პირის შესახებ თეორიების გავრცელება .....	215
VI. იურიდიული პირი, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია .....	215
ა. იურიდიული პირი – საფრთხობელა ადამიანთა შორის ..	215
ბ. იურიდიული პირი – პოზიტიურ-სამართლებრივი აბსტრაქტული ცნება .....	217
§3. იურიდიული პირის ნიშნები .....	219
§4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა .....	224
I. ზოგადი უფლებაუნარიანობა .....	224
II. სპეციალური უფლებაუნარიანობა .....	226
ა. იურიდიული პირის სტატუსი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში; განსაკუთრებით უფლებაუნარიანობასთან კავშირში .....	226
ბ. <i>specialite legale</i> ფრანგულ სამართალში .....	236
გ. სპეციალური უფლებაუნარიანობა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ .....	237
§5. იურიდიული პირების ქმედუნარიანობა .....	238
§6. იურიდიული პირის წარმოშობა .....	241
§7. იურიდიული პირის სახეები .....	242
§8. კერძო სამართლის იურიდიული პირები .....	245
§9. საჯარო სამართლის იურიდიული პირები .....	246
§10. იდეალური ანუ არაკომერციული იურიდიული პირები .....	251
I. ისტორიული ექსკურსი .....	251

ა. კავშირები .....	251
ბ. ფონდები .....	254
II. კავშირები და ფონდები სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ..	257
ა. კავშირისა და ფონდის ცნებები .....	257
ბ. კავშირისა და ფონდის დაფუძნება .....	260
გ. წესდების სამართლებრივი ბუნება .....	262
დ. კავშირისა და ფონდის რეგისტრაცია .....	263
ე. ზღვამდღვანელობა და წარმომადგენლობა .....	265
ვ. კავშირის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი ...	267
ზ. კავშირის წევრობა .....	271
თ. არარეგისტრირებული კავშირი .....	274
ი. ფონდის ორგანიზაციის თავისებურებანი .....	276
კ. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია .....	279
§11. კომერციული იურიდიული პირები .....	280
I. ისტორიული ექსკურსი .....	280
ა. რამ განაპირობა ახალი ფორმების წარმოშობის აუცილებლობა? .....	281
ბ. იცნობდა თუ არა <i>ius Commune</i> ამ ფორმას? .....	283
გ. საფრანგეთის სეაჭრო კოდექსმა ჩაუყარა საფუძველი ახალ განვითარებას .....	284
დ. სააქციო საზოგადოებების გავრცელება ევროპაში და მათი სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემები .....	285
ე. კონცესიის ვალდებულების გაუქმება .....	287
1. რამ გამოიწვია კონცესიის პრინციპის შემოღება? .....	287
2. რამ განაპირობა კონცესიების პრინციპის გაუქმება? ..	288
ვ. სააქციო საზოგადოების შიდა ორგანიზაციის სრულყოფა .....	290
ზ. კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფა .....	293
1. საწესდებო კაპიტალის შეტანის უზრუნველყოფა .....	293
2. კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფა .....	294
თ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმოშობა .....	295
ი. შეზღუდული პასუხისმგებლობის შემოღება – „ორთქლის მანქანა და ელექტრობა“ სამოქალაქო სამართლისათვის .....	296
II. კომერციული იურიდიული პირები თანამედროვე ქართულ სამართალში .....	298

პარი მქორე  
გარიგებანი

§1. წარმოშობა და განვითარება .....	307
§2. გარიგების ცნება .....	311
§3. გარიგების სახეები .....	315
I. ცალმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები .....	315
ა. ცალმხრივი გარიგებები .....	315
ბ. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები .....	319
II. ვალდებულებითი, სანივთო (ქონებრივი), საავტორო, საოჯახო და შემკვიდრების სამართლებრივი გარიგებები .....	321
III. მავალდებულებელი, განკარგვითი და შექენითი გარიგებები .....	322
IV. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები .....	325
V. სასყიდლიანი (სანაცვალგებო) და უსასყიდლო (უნაცვალგებო) გარიგებანი .....	328
VI. გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია .....	329
§4. ნების გამოვლენა .....	329
§5. გარიგების განმარტება .....	333
I. ცნება და მნიშვნელობა .....	333
II. სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მნიშვნელობა განმარტებისას .....	337
III. ნების გამოვლინებები, რომლებიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი .....	338
IV. ანდერძის განმარტების თავისებურებანი .....	339
V. კანონის ნორმათა როლი ბუნდოვანი ნების გამოვლენის განმარტებისას .....	341
§6. ღუმილი და სხვა კონკლიუდენტური მოქმედებები, როგორც ნების გამოვლენა .....	342
§7. გარიგების ფორმა .....	346
I. გარიგების ფორმის ცნება .....	346
II. ენა, როგორც გარიგების გამოხატვის ფორმა .....	348
§8. გარიგების ფორმის სახეები .....	349
I. კანონით განსაზღვრული წერილობითი ფორმა .....	349
ა. ხელმოწერა, როგორც წერილობითი ფორმა .....	349
ბ. ბლანკეტური ხელმოწერა .....	351
II. გარიგებით განსაზღვრული წერილობითი ფორმა .....	352
III. გარიგების რთული სანოტარო ფორმა .....	352

IV. სხვა ფორმები.....	353
§9. გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგები .....	354
§10. დაუშვებელი გარიგებები .....	355
I. კანონსაწინააღმდეგო გარიგებები .....	356
II. ზნობის საწინააღმდეგო გარიგებები .....	359
III. <i>ordre public</i> -ის ანუ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები.....	362
§11. მოძღვრება ნების ნაკლის შესახებ .....	364
I. მოჩვენებითი და თვალთმაქცური ანუ კანონის გვერდის ახვევით დადებული გარიგებანი.....	369
II. არასერიოზულად განხორციელებული ნების გამოვლენა .....	366
III. შეცდომით დადებული გარიგებები .....	367
IV. მოტყუებით დადებული გარიგებები .....	376
V. იძულებით დადებული გარიგებები.....	379
§12. ბათილი გარიგების სახეები .....	381
I. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი .....	383
II. ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი .....	385
III. მერყევად ბათილი გარიგებანი .....	387
IV. საცილო გარიგებანი.....	388
V. ბათილი გარიგების კონვერსია .....	392
§13. თანხმობა გარიგებებში .....	393
I. ნებართვა.....	398
II. მოწონება.....	399
III. განკარგვები, რომლებიც საჭიროებენ თანხმობას .....	400
§14. პირობითი გარიგებანი .....	401
I. ცნება და ზოგადი დახასიათება .....	401
II. ვადები პირობით გარიგებებში .....	408
§15. წარმომადგენლობა გარიგებებში .....	409
I. ცნება და დახასიათება .....	409
II. წარმომადგენლობის პრაქტიკული მნიშვნელობა .....	413
III. წარმომადგენლობის განსხვავება სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან .....	416
IV. ინტერესთა თანაფარდობა წარმომადგენლობისას .....	417
V. წარმომადგენლობის ნაძვეილობის წინაპირობები .....	418
უცხოენოვან გამოთქმათა ქართული ტრანსკრიპცია და თარგმანი .....	422
წიგნში გამოყენებული უცხოენოვანი შემოკლებანი .....	432

# შესავალი ღებულებაში

## თავი პირველი

### სამოქალაქო სამართლის ცნება და აღბილი სამართლის სისტემაში

#### §1. სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, უადრესად დიდია. მართალია, ქართული სახელმწიფო და სამართალი თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის, მაგრამ, სამწუხაროდ, არც სახელმწიფოს და არც სამართალს განვითარების თანამედროვე დონისათვის არ მიუღწევიათ. 1918-1921 წლების მცდელობა — საქართველო დამოუკიდებელ და თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო — განუხორციელებელი დარჩა. ქართული სამართალი, საუბედუროდ, ფეოდალურ, შუასაუკუნეობრივი განვითარების დონეს ვერ ასცდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო კუთხურობა და პარტიკულარიზმი (მაგალითად, ბექასა და აღბუღას სამართალი განკუთვნილი იყო სამცხე-საათაბაგოს სამთავროსათვის, გიორგი ბრწყინვალის სამართალი კი — მთიულეთისათვის). ეს შუა საუკუნეებისათვის ბუნებრივი მოვლენაა და მან არც არავის გაოცება და არც არავის გულისწყრომა არ უნდა გამოიწვიოს. თანამედროვე სამართალი, მით უფრო სამოქალაქო სამართალი, დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების შედეგად წარმოშობილი სამართლის გაგებით საქართველოს არ ჰქონია. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებამ ჩამოყალიბება სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში დაიწყო და სახელმწიფოებრივი, საკანონმდებლო ნების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა მას არ გააჩნდა. როგორც სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის წინაპირობების კვლევამ დამანახა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციას ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებდნენ და არა მხოლოდ; სწორედ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციაში გამოიხატა ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. ამიტომ სრულიად ბუნებ-

რივად მოგვეჩვენება ნაპოლეონის გულწრფელი ალტაცება და სიზარული, რაც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიღებით იყო გამოწვეული.

კომუნისტური სისტემის მსხვერვა ერთ რამეში ფეოდალიზმის მსხვერვეას ჰგავს – თავისუფლებააღკვეთილი საზოგადოება მოიპოვებს ნანატრ თავისუფლებას. იგი გამოიხატება როგორც ეროვნულ, ასევე ინდივიდუალურ თავისუფლებაში (მაგალითად, საბჭოთა კავშირის პირობებში წარმოუდგენელი იყო კერძო მალაზიები, რესტორნები, რამდენიმე სახლი საკუთრებაში და ა.შ.). თუ პოლიტიკურმა ფაქტორებმა (როგორც გარეგანმა, ასევე შინაგანმა) არ შეუშალა ხელი, ქართველი ხალხი მალე იგრძნობს ამ თავისუფლების დადებით ნაყოფს. თავისუფლებას სამართლებრივი დასტური და ფარგლები სჭირდება, რათა პირადი ინიციატივა და საკუთრების ხელშეუხებლობა ურყევი საძირკველი გახდეს ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის.

საერთოდ სამართლის, პირველ რიგში კი, სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციებმა საფუძველი დაუდეს ერთიანი სამართლის შექმნას, რითაც შესაძლებელი გახდა სამართლებრივი პარტიკულარიზმის დაძლევა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ საქართველოშიც ვხვდებით ზოგიერთ მანკიერ მოვლენებს, ე.წ. უწყებრივი ფეოდალიზმის სახით, როცა სამინისტროები, დეპარტამენტები არცთუ იშვიათად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები კანონის ძალის მქონე აქტებს გამოსცემენ და ქვეყნის სამართლებრივ ერთიანობას საძირკველს აცლიან.

სამოქალაქო სამართალი სიმდიდრის შექმნის სამართალია. იგი შესაძლებლობას აძლევს ყველას თავისი უნარისა და ნიჭის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სიმდიდრის შექმნაში და თვითონაც გამდიდრდეს. მდიდარი საზოგადოების გარეშე არც სახელმწიფო იქნება მდიდარი და, პირიქით, ღარიბ სახელმწიფოს ყოველთვის ღარიბი მოქალაქეები ეყოლება. ფეოდალიზმის რღვევის შედეგად წარმოშობილმა სამოქალაქო საზოგადოებამ არნახული შესაძლებლობები შექმნა სიმდიდრის დასაგროვებლად. სამრეწველო რევოლუცია, მოგვიანებით კი ტექნოლოგიური რევოლუცია, სწორედ კერძო საკუთრებისა და პიროვნების თავისუფლების შედეგად გახდა შესაძლებელი. თუ დავაკვირდებით, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სამოქალაქო საზოგადოებამ მანამდე არნახულ პროგრესს მიაღწია, ისეთ პროგრესს, რომელიც კაცობრიობამ მთელი არსებობის მანძილზე ვერ შექმნა. ამ სიმდიდრის შექმნას ხელს უწყობდა სამოქალაქო სამართალი, რომელიც პიროვნებას, მის საკუთრებას, სხვებთან ეკონომიკურ ურთიერთობებს, მის ოჯახსა და მემკვიდრეობას ედგა გარანტად.



რომის იმპერიაში პირთა მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფებისათვის შექმნილმა საძარბავემ დასავლეთოევროპული რეცესიის შედეგად უწყვეტი ნიადაგი შეუქმნა ყველას, ვისაც კი სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობის მიღება შეეძლო გონებრივად, ფიზიკურად, სულიერად თუ სხვა ფორმით.

შეიძლება უცნაურადაც ელვადეს, მაგრამ საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილ სიმდიდრესაც საფუძვლად ნაწილობრივ ის თავისუფლება უდევს, რომელიც რუსეთმა ბატონყმობის გაუქმების შედეგად დაამკვიდრა თავის უკიდველურ იმპერიაში. საბჭოთა რუსეთი, შემდეგ კი საბჭოთა კავშირიც, ბურჟუაზიულ სამოქალაქო სამართალსაც დაესესხა. კერძოდ, 1922 წელს მიღებულ რუსეთის სამოქალაქო კოდექსს საფუძვლად რევოლუციამდელი რუსეთისათვის მომზადებული სამოქალაქო კოდექსის პროექტი დაედო, რომელიც ბევრ საკითხში ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებს იმეორებს. ე.ი. საბჭოთა კავშირმაც თავისი პოზიტურ-სამართლებრივი ლეგიტიმურობა კოდექსების შექმნით იწყო და ერთ-ერთი პირველთაგანი სამოქალაქო კოდექსი იყო; თუმცა კრძალ საკუთრება აკრძალულ, ხელშეკრულების თავისუფლება გამჭრალ საზოგადოებაში სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ნომინალურად იყო სამოქალაქო სამართლის გამოხატვის ფორმა.

საქართველოს პარლამენტში სამოქალაქო კოდექსის პირველი მოსმენით მიღებისას სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ დასავლეთი ევროპის ქვეყნები ეროვნული სახელმწიფოს შენებას სწორედ სამოქალაქო კოდექსების შექმნით იწყებდნენო.

სამოქალაქო კოდექსს საქართველოსათვის გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი უმთავრესი და უთვალსაზრისო საფუძველია ეროვნული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად. როგორც ამ საუკუნის ერთ-ერთი თვალსაზრისი ფილოსოფოსი პოპერი წერს, მიუხედავად უამრავი ნაკლისა, სამოქალაქო საზოგადოებასა და კაპიტალიზმზე უკეთესი წყობა ვერ კაცობრიობას არ შეუქმნია.<sup>1</sup>

ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით სამოქალაქო სამართალი პიროვნების თავისუფლების სამართლებრივი საფუძველია ეკონომიკურ, კომერციულ, სიმდიდრის შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. ხელშეკრულებების თავისუფლად დადების საშუალებით, საქონლისა

<sup>1</sup> Капри Понсер. Открытое общество и его враги. Т. 1. М 1992. С. 15

და მომსახურების თავისუფლად გადაადგილების უზრუნველყოფის მეშვეობით ადამიანის კერძო ინიციატივას უნარი შესწევს ადასრულოს კომუნისტური საზოგადოების აუხდენელი ოცნება — მოსპოს დეფიციტი. საქართველოს დამოუკიდებლობის განვლილმა წლებმა დაადასტურა ამ აქსიომის უტყუარობა — იმ სფეროებში, სადაც ადრე სახელმწიფოს მონოპოლია ბატონობდა და მუდმივი დეფიციტი სუფევდა, კერძო საკუთრებისა და კერძო ინიციატივის ჩარევამ დეფიციტი მოსპო. ალბათ, სასაცილოდ მოეჩვენება ნორმალურ ადამიანს, რომ ნომენკლატურული თანამდებობის პირად ყოფნა იყო აუცილებელი, რათა ავეჯი, ტანსაცმელი, ბენზინი და სხვა ელემენტარული საყოფაცხოვრებო ნივთები შეეძინათ. მიუხედავად ყველა გაჭირვებისა და უბედურებისა, ეს პრობლემები საქართველოში მოგვარდა — მოისპო დეფიციტი იქ, სადაც კერძო საკუთრებამ და კერძო ინიციატივამ დაიმკვიდრა ადგილი. იქ, სადაც ჯერ კიდევ სახელმწიფოს მონოპოლიაა, უშუქობა და უგაზობა კვლავ ძველ წყობილებას გვაგონებს. მართალია, მოისპო დეფიციტი, მაგრამ გაქრა ფულიც, რომელიც საქონლის ყიდვის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო სამოქალაქო სამართალი საფუძველს ქმნის ფულის მოსაპოვებლად. კვლავ პოპერს რომ მიემართოთ, „სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც აუცილებელი ბოროტებაა, სამოქალაქო სამართალი — უდიდესი სიკეთეა. მისი მიზანია პირადი თავისუფლება და თანაარსებობა ძალადობის გარეშე“<sup>2</sup>.

ცხადია, სამოქალაქო კოდექსი, რაც უნდა იდეალური იყოს იგი, კანონია და მისგან მხოლოდ იმის მოთხოვნა შეიძლება, რაც შეიძლება მოსთხოვო კანონს. იგი ქარხანას ვერ ააშენებს, საქონელს ვერ გამოუშვებს, რესტორანში სუფრას ვერ გაშლის, გზას ვერ გაიყვანს, ბავშვს ვერ გაზრდის. ამის ხაზგასმა აუცილებელია, რადგან ძველი წყობილებიდან მემკვიდრეობით გადმოსული ცნობიერება ახალი კანონებისაგან ხშირად იმას მოითხოვს, რასაც საზოგადოება მიჩვეული იყო: მაგალითად, თუ როდის უნდა დაეწყოს ხენა-თესვა, რა საქონელი გამოეშვათ, როდის რა ეჭამათ (საბჭოთა კავშირში იყო ერთი დღე — ხუთშაბათი, როცა ყველა სასაღილღოსა თუ რესტორანში მხოლოდ თევზით უმასპინძლებოდნენ) და ა.შ. სამოქალაქო საზოგადოება ასეთ ნახევრად ფეოდალურ კანონებს არ იცნობს. იგი პირად ინიციატივასა და უნარზეა აგებული. ამიტომ აქვე მინდა უარყო ის აზრი, თითქოს სამოქალაქო კოდექსის მიღებით ქვეყანა გამდიდრდება, წელში გაიძარტება, ხალხი კარგად იგრძნობს თავს. მახ-

<sup>2</sup> Поннер. т. I. С. 9.

სენდება ჩურნალისტების გულუბრყვილო შეკისხვები მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით – ეშველება თუ არა ამ კანონის მიღებით ქვეყანას?

თანამედროვე მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, რომელთაც სამოქალაქო კოდექსები აქვთ, მაგრამ სიღარიბისა თუ შიმშილისათვის თავი ვერ დაუღწევიათ. თავისთავად სამოქალაქო კოდექსის არსებობა სიმდიდრის უეჭველი წინაპირობა არ არის. თუ ერში შესაბამისი კულტურა, პოტენციალი და უნარი არ დევს, ის სამოქალაქო საზოგადოებას და, შესაბამისად, საყოველთაო კეთილდღეობას ვერ შექმნის. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ქართველ ხალხს არ ჰქონია შესაძლებლობა ეს ნიჭი და უნარი დამოუკიდებლად, თავისი სახელმწიფოს შიგნით გამოემჟღავნებინა. სამოქალაქო სამართალი კონსტიტუციასთან ერთად იძლევა ამ უნარის გამომჟღავნებისა და დაცვის სამართლებრივ გარანტიას – უკანონოდ ვერაფერს შეეხება სხვის საკუთრებას, ვერ ხელყოფს მეწარმეობას, ვერ ჩაერევა დადებულ ხელშეკრულებაში და ა.შ., ე.ი. სამოქალაქო სამართალი გაირდებათ მოედანს, რომელზედაც შევიძლიათ შექმნათ სიმდიდრე, გაისარჯოთ, იღვაწოთ, დაისვენოთ და ა.შ.

ბუნებრივია, ადამიანთა საზოგადოებას მხოლოდ სიამტკბილობაში არ უხდება არსებობა, არა იმიტომ, რომ „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“; მრავალი საფუძველი და მოტივი არსებობს იმისათვის, რომ ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს სამართლიანად გადაწყვიტოს ეს დავა. მაგრამ დავის სამართლიანად გადაწყვეტას სჭირდება სპეციალური განათლების მქონე ადამიანები – იურისტები. ამ განათლების მისაღებად კი აუცილებელია სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარებაც. სამოქალაქო კოდექსის დიდი მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ იგი სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

## §2. *ius civile Romanorum*-იდან თანამედროვე „სამოქალაქო სამართლამდე“

სამოქალაქო სამართალი, როგორც თავის წარმომავლობას, ასევე სახელწოდებას რომის იმპერიის ეპოქას უმაღლის. *Ius civile*, რომელიც რომში გამოიყენებოდა ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი სამართლის აღსანიშნავად, მკვიდრად შემოვიდა თანამედროვე სამართალში და კერძო

სამართლის ერთ-ერთი უძირითადესი დარგის აღსანიშნავად გამოიყენება. იუსტინიანეს ინსტიტუტები სამოქალაქო სამართალს ასე განსაზღვრავდა: „ის, რაც ყოველმა ხალხმა თავისთვის სამართლად დააწესა, არის მისი civitas-ის, მოქალაქეების, საკუთარი სამართალი და იწოდება ცივილურ, სამოქალაქო სამართლად, რადგანაც ეს მხოლოდ ამ მოქალაქეთათვის განკუთვნილი სამართალია. ... ამიტომ ცივილურ სამართალს სახელი ეწოდება შესატყვისი მოქალაქეების მიხედვით, მაგალითად, ათენის მოქალაქეების სამართალს – ათენის სამოქალაქო სამართალი. ... ასევე ვუწოდებთ ჩვენ იმ სამართალს, რომლითაც რომელი ხალხი ცხოვრობს, – რომაელთა სამოქალაქო სამართალს“ (ius civile Romanorum).<sup>3</sup> აქვე მინდა შევეკამათო სამოქალაქო სამართლის ისტორიაში თითქმის უეჭველად აღიარებულ შეხედულებას, რომ თითქოს ius civile რომის მოქალაქეთა სამართლის აღსანიშნავად იყო შემოღებული. როგორც დავინახეთ, ინსტიტუტებიდან ეს აზრი არ გამომდინარეობს. მართალია, ius civile Romanum რომის სამოქალაქო სამართალს აღნიშნავს, მაგრამ ius civile ეწოდებოდა „ყოველი ხალხის მიერ თავისთვის შექმნილ სამართალს“.

სახელწოდება „სამოქალაქო სამართალი“ საუკუნეების მანძილზე იყო სამართლისმცოდნეობის ენის უცვლელი ბინადარი. მაგრამ XVIII საუკუნის შუა ნახევრიდან მან საკანონმდებლო ენაშიც დაიმკვიდრა ადგილი და კულტურული ერების<sup>4</sup> მიერ სამოქალაქო სამართალში განხორციელებული უდიდესი კოდიფიკაციების უცვლელი აღმნიშვნელი გახდა.

კანონის სათაურად სიტყვა „სამოქალაქოს“ პირველად გამოყენება ავსტრიულ კანონშემოქმედთა დამსახურებაა: 1797 წელს დასავლეთ გალიციაში, რომელიც ავსტრიის ნაწილი იყო, ძალაში შევიდა იუსტიციის პრეზიდენტის ფონ მარტინის მიერ მომზადებული სასინჯი პროექტი, რომლის სახელი იყო „დასავლეთ გალიციის სამოქალაქო კანონთა წიგნი“ (Westgalizisches Bürgerliches Gesetzbuch). ეს კანონი წინამორბედი იყო 1811 წლის I იენის ავსტრიისა და ავსტრიის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისათვის მიღებული „ზოგადი სამოქალაქო კანონთა წიგნისა“ (Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch).<sup>5</sup> მაგრამ ფრანგებს არა მხოლოდ სამო-

<sup>3</sup> იუსტინიანეს ინსტიტუტები, წიგნი I, თავი II, მუხლები 1-2 (შემდგომში – „ინსტიტუტები“). ეუთოებ 1990 წლის ლათინურ-გერმანული გამოცემის მიხედვით: Corpus Iuris Civilis. Text und Übersetzung. I. Institutionen. Von Okko Behrends. ... CFM. Heidelberg. 1990.

<sup>4</sup> ასე ეწოდება იმ ერებს, რომელთა ეროვნული იდენტურობა საერთო კულტურას ეყარება და ვრად ჩამოყალიბება სწორედ ამ კულტურის საფუძველზე მოხდა.

<sup>5</sup> Boehmer Gustav, Grundlagen der bürgerlichen Rechtsordnung. 1950. Buch I, S.1 (შემდგომში Boehmer B.I).

ქალაქი სამართლის კოდიფიკაციაში ელოდებოდათ პირველობა, არამედ  
ოუთ ცნების „სამოქალაქო სამართლის“ საკანონმდებლო დამკვიდრებაში.  
გადამწვევტი როლი ამ საქმეში ითამაშა ნაპოლეონ I მუხლჩაუხრელი  
მეტადინოვის შედეგად საფრანგეთში 1804 წელს მიღებულმა სასოქალაქო  
კოდექსმა – Code Civil-მა, რომელმაც წერტილი დაუსვა „სამოქალაქო  
სამართლის“ პოზიტიურ სამართლებრივ დამკვიდრებას და ამ სამარ-  
თლის ძირითადი წყაროს აღსანიშნავად „სამოქალაქო კოდექსის“ შემოღე-  
ბას. რომანული სამართლის წრის ქვეყნებში Code Civil-ის „ტრიუმფა-  
ლური სელის“ შედეგად ცნება „სამოქალაქო კოდექსი“ თითქმის ერთხად  
იქნა ატაცებული: *Borgerlijk Wetboek*, რომელიც თავის სამოქალაქო კო-  
დექსს უწოდეს. პოლანდიელებმა 1838 წელს, არც უახლესი სამოქალაქო  
კოდექსის მიღებისას დაუყენებიათ ეჭვქვეშ.<sup>6</sup> იგივე გააკეთეს იტალიელებ-  
მაც: 1865 წლის სახელწოდება *Codice Civile* უცვლელი დატოვეს. რაც  
1942 წელს იტალიამ ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღო.<sup>7</sup>

თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანა, რომელსაც სამოქალაქო ურ-  
თიერთობათა მოსაწესრიგებლად ერთიანი კოდიფიცირებული აქტი აქვს,  
ამ აქტს „სამოქალაქო კოდექსს“ უწოდებს: რუმინეთი – *Codul Civil*,  
ესპანურენოვანი ქვეყნები – *Codigo Civil*, გერმანია და ავსტრია – *Bürger-  
liches Gesetzbuch*, რუსეთი – *Гражданский кодекс* და ა.შ. იმ ქვეყნებ-  
ში, რომელთა სამართლებრივი ტრადიცია სამოქალაქო კოდექსს არ იც-  
ნობს, სახელწოდება „სამოქალაქო სამართალი“ – *civil law* უცხია. პირ-  
ველ რიგში ეს ეხება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.<sup>8</sup>

მართალია, ისტორიულად სამოქალაქო სამართალი მოცემული ქვეყ-  
ნის მოქალაქეთა ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლად იქნა დამ-  
კვიდრებული, მაგრამ ასეთი მნიშვნელობა მან რომშივე დაკარგა III საუ-  
კუნის დასაწყისში კარაკალას იმპერატორობის დროს. *Ius civile* უკვე  
წველას მიმართ მოქმედ სამართლად იქცა, ოღონდ აწესრიგებდა მხოლოდ  
იმ სუეროს, რომელსაც რომის სამართალი *ius privatum*-ს უწოდებდა, ე.ი.  
„კერძო პირთა ურთიერთობას ერთმანეთს შორის“ მიუხედავად მათი მო-  
ქალაქეობისა.<sup>9</sup> მაშასადამე, სამართლის დაყოფით კერძო და საჯარო სა-  
მართლად *ius civile* გაემიჯნა „მოქალაქეობას“ და მილიანად დაეუფლა  
კერძო სამართალს. ამ გავებით გამოიყენება იგი თანამედროვე სამართალ-

<sup>6</sup> Nieuw Nederlands Burgerlijk Wetboek. 1990.

<sup>7</sup> Kindler Peter. Einführung in das italienisches Recht. 1993. S.74

<sup>8</sup> Blumenzwit Dieter. Einführung in das anglo-amerikanis. law Rech. 1994. S. 14-15.

<sup>9</sup> Boehmer. B. I. S.5

ში და არაა დაკავშირებული მოქალაქეობის ვიწრო გაგებასთან. „სამოქალაქო სამართალი“ არის ხატოვანი გამოთქმა სამართლის იმ დიდი ნაწილის აღსანიშნავად, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს „პირთა თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი).

მუხედევად იმისა, რომ „სამოქალაქო სამართალი“ ცივილიზებული სამყაროს სამართლის შეუცვლელი ნაწილია და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობა, თანამედროვე ისტორია იცნობს ეპოქებს, როცა ამ დარგის, ასევე მისი სახელწოდების არსებობა ეჭვქვეშ იდგა – იგი უკავშირდება საბჭოთა კავშირში ბოლშევიკებისა და გერმანიაში ნაცისტების სახელს. რუსეთში 1917 წლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამოქალაქო სამართალი მოინათლა ბურჟუაზიულ დარგად და მის ნაცულად შემოღებულ იქნა სამეურნეო სამართლის ცნება.<sup>10</sup> ისტორიული ლოგიკის გაუკუღმართების ამ ექსპერიმენტს საბედნიეროდ შედეგი არ მოჰყოლია. შინაარსისაგან გამოყოფის მოუხედავად საბჭოთა სამართალი იცნობდა როგორც „სამოქალაქო სამართალს“, ასევე „სამოქალაქო კოდექსსაც“.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სამოქალაქო სამართალს არავითარი საერთო მოქალაქედ ყოფნასთან არა აქვს. პირიქით, თავისი ბუნებით იგი გულგრილია მოქალაქეობისადმი, ე.ი. პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირისადმი ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. მისი ძირითადი მიზანი პირთა „კერძო ცხოვრების“ მოწესრიგებაა. ამიტომ იგი კერძო სამართლის ფუძემდებლური ნაწილიცაა. ათწლეულების მანძილზე ცნებები „სამოქალაქო სამართალი“ და „კერძო სამართალი“ იდენტური ცნებები იყო.<sup>11</sup> მაგრამ კერძო სამართლის ისეთი დარგების ცალკე გამოყოფამ, როგორიცაა სავაჭრო სამართალი, საკორპორაციო სამართალი, ჩეკისა და თამასუქის სამართალი და ა.შ. შეცვალა ეს შეხედულება. დღეს სამოქალაქო სამართალი, თუმცა კერძო სამართლის ძირითადი ნაწილია, მაგრამ არ ემთხვევა მას. სამოქალაქო სამართლის გარეშე წარმოუდგენელია კერძო სამართლის სისტემა. სამოქალაქო სამართლის პრინციპები იმავედროულად კერძო სამართლის პრინციპებია და საფუძველად უდევს ცალკეული დარგების არსებობას. ამ საკითხებზე დაწვრილებით ქვემოთ შევეჩერდებით.

<sup>10</sup> Иoffee O.C. Развитие шивилистической мысли в СССР. Ленинград. 1975. С. 12

<sup>11</sup> რაზე დაივიწყოს თანამედროვეობის ძირითად სამართლებრივი სისტემები. თარგმანი თედონიძის. 1993 წ. გვ. 82-83.

### §3. თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები

კონტინენტური ევროპის იურისპრუდენციაში დღეს სიამაყით არის აღიარებული, რომ თანამედროვე სამოქალაქო სამართალს ფესვები შორეულ რომის სამართალში აქვს მყარად გადგმული. „რომის სამართალი“ აღინიშნება რომაელი იურისტების მიერ რომის პრავალსაუკუნოვანი იმპერიის არსებობის მანძილზე შექმნილი, მაშინდელ თითქმის მთელ მსოფლიოში მოქმედი და იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაციაში მძივებად აკინძული სამართალი. ისტორიამ უცნაური სიურპრიზები იცის: საუკუნეების მანძილზე მივიწყების ფერფელში დამარხულ მოვლენას ფენიქსივით კვლავ აღადგენს, რომ ახალი ძლევამოსილებითა და მაგიური ძალით დაამტკიცოს მისი სიდიადე. ასეთ სიურპრიზს უმზადებდა ისტორია აღმოსავლეთ რომის იმპერიის – ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს შესაშური ხელოვნებით შექმნილ კოდიფიკაციას.

*Ius civile Romanorum*, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა რომაელი იურისტების მიერ და რომის თითქმის უძლეველი იმპერიის ძლევამოსილების იურიდიული დასტური იყო, თავის კოდიფიცირებულ და სისტემაში მოქცეულ ფორმას სწორედ ამ იმპერიის დაშლის შემდეგ იღებს. განსხვავებით XIX საუკუნის ევროპაში დამკვიდრებული კოდიფიკაციებისაგან, რომელთაც ახალი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა მოჰყვა შედეგად, იმპერატორ იუსტინიანეს მიერ განხორციელებული კოდიფიკაცია რომის იმპერიის დამხობის ეპოქას ემთხვევა. ჩრდილოელი ტომების განუწყვეტლივი შემოსევების შედეგად რომის იმპერია საბოლოოდ დაინგრა. გერმანელების სარდლის ოდოაკერის მიერ 476 წელს ტახტიდან რომულუს ავგუსტუსის ჩამოგდებით დასავლეთ რომის იმპერიამ თავისი არსებობა შეწყვიტა.

აღმოსავლეთ რომში ჯერ კიდევ შეიძლებოდა იმპერიის შენარჩუნება. 438 წელს იმპერატორმა თეოდოსიუს II გამოაცხადა პირველი სახელმწიფო კანონთა კრებული, რომელიც ისტორიაში შევიდა *Codex Theodosianus*-ის სახელწოდებით. დაშხერეული რომის იმპერიის კვლავ აღდგენის მცდელობა დიდი კოდიფიკატორის იმპერატორ იუსტინიანეს სახელთანაა დაკავშირებული. 529 წელს აფრიკიდან ვანდალების განდევნით, 529 წელს იტალიაში აღმოსავლეთ გოთების იმპერიის დამხობით იგი ენერგიულად შეუდგა იმპერიის აღდგენის საქმეს და 529 წელს დასავლეთ რომის იმპერიაშიც აამოქმედა მისი ლოცვა-კურთხევითა და ხელმძღვანელობით

შექმნილი კოდექსი. თუმცა ამან ვერ შეაჩერა ფუნდამენტური იმპერიის ნგრევა. იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ (565 წელი) დასავლეთ რომის იმპერია კვლავ დაიშალა, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერია ანუ ბიზანტია განაგრძობდა თავის ძლევამოსილ არსებობას, ვიდრე 1453 წელს იურქებმა კონსტანტინოპოლი არ დაიპყრეს. ამ ისტორიული ფაქტების მოხმობა იმისთვისაცაა აუცილებელი, რომ თვალი გავადგვროთ ქართული სამართლის ისტორიულ კავშირს ჯერ რომის სამართალთან (დასავლეთ საქართველოს კავშირი რომის იმპერიასთან), ხოლო შემდეგ კი — ბიზანტიის იმპერიასთან.<sup>12</sup> ცხადია, ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ იუსტინიანეს კოდექსის მოქმედებას, რადგან მას არათუ საქართველოში, თვით თავის სამშობლოშიც არ უმოქმედია იმ ფორმით, როგორც მისმა ავტორებმა შექმნეს.

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა იუსტინიანეს და არც რომის იმპერიის აღდგენისათვის დაედო თავი, ნაპოლეონის მსგავსად მასაც შეეძლო ეთქვა. რომ ისტორიას შემორჩებოდა მის მიერ შესრულებული კოდიფიკაცია. როგორც ხშირად ხდება, ეს უბრწყინვალესი კრებული იუსტინიანეს სახელით შევიდა ისტორიაში, ხოლო მისი რეალური შემქმნელის, იუსტიციის მინისტრის (Quaestor sacri palatii) ტრიბონიანუსის სახელი მხოლოდ მკვლევარ მეცნიერთა ვიწრო წრის კუთვნილება გახდა.

Corpus Iuris Civilis — ესაა საყოველთაოდ ცნობილი სახელი, რომელიც იუსტინიანეს მიერ შექმნილ რომის სამართლის კრებულს XVI საუკუნიდან ეწოდა. 1583 წელს პროფესორმა დენის გოტოფრედუსმა გამოსცა რომის სამართლის იუსტინიანესეული კრებული და მას უწოდა Corpus Iuris Civilis.<sup>13</sup> დენის (დიონისიუს) გოტოფრედუსი (1549-1622) იყო ფრანგი პროფესორი, რომელიც მოღვაწეობდა პარიზში, სტრასბურგში, ფენევაში, ჰაიდელბერგში. მის ყველაზე დიდ დამსახურებად ითვლება, რომ მან პირველად განახორციელა რომის სამართლის კრებულის კრიტიკული გამოცემა, რომლის სახელწოდებაც Corpus Iuris Civilis თვითონვე შეარჩია.<sup>14</sup>

<sup>12</sup> მაგალითად, ცნობილი რუსი მკვლევრის მ. კოვალევსკის აზრით, ქართული საოჯახო და შემკობრების სამართალი მთლიანად ნასესხება ბიზანტიური კანონიკური სამართლისაგან (Ковалевский М. Закон и обычай на Кавказе. М., 1890. С. 110-114, 131, 134.). ვფიქრობ, რომ პროფესორი ბესარიონ ზოიძე სამართლიანად მიიჩნევს ამ შეხედულებას „გადაჭარბებულ შეფასებად“ (ბესარიონ ზოიძე, სამხატვრო სამართლის რევორმის ისტორიული ძიებები საქართველოში. უნდალი „სამართალი“, 1996 წ., №5-6, გვ. 55. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს პროფესორ ვიორჯი წაღარეიშვილის ნაშრომი „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“, თბ. 1996 წ.

<sup>13</sup> Brokhaus Enzyklopädie. 19. Aufl. Bd. 4. S. 690.

<sup>14</sup> Meyers Enzyklopädisches Lexikon. 9. Aufl. Bd. 10. S. 615.



იუსტინიანესეული სამართლის კრებული, რომელიც 528-534 წლებში მომზადდა, საუკუნეების მანძილზე რომაელი იურისტების მიერ გამოთქმული აზრების, მიღებული გადაწყვეტილებების, ცალკეული კანონების სისტემატიზებულ კრებულს წარმოადგენდა. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა, შეიქმნა სხვადასხვა დროს და ძალაშიც სხვადასხვა წლებში შევიდა: I. ინსტიტუციები არის პირველი წიგნი და წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც შეიქმნა კლასიკური ეპოქის იურისტის გაუსის იმავე სახელწოდების ნაშრომის საფუძველზე. კანონად გამოცხადდა 533 წელს; II. დიგესტები ანუ კანდექტები მეორე წიგნია და წარმოადგენს ამონაწერების კრებულს სხვადასხვა ეპოქაში, უპირატესად, კლასიკურ ხანაში (I-III საუკუნეები) მოღვაწე დაახლოებით 40 იურისტის ნაშრომებიდან. დიგესტები შედგება 50 წიგნისაგან და კანონად გამოცხადდა ასევე 533 წელს; III. კრებულის მესამე წიგნს ეწოდება საკუთრივ Codex Justinianus და წარმოადგენს იმპერატორ ჰადრიანიდან იუსტინიანემდე გამოცემული კანონების კრებულს. პირველი გამოცემა, რომელიც ძალაში შევიდა 529 წელს, დღემდე არ შემორჩენილა. საბოლოო გამოცემა თარიღდება 534 წლით და შედგება 12 წიგნისაგან; IV. მეოთხე ნაწილს ეწოდება „ნოველები“, რომელიც შედგება ინსტიტუციების, დიგესტებისა და კოდექსის გამოცემის შემდეგ აღმოჩენილი 168 „ახალი“ კანონისაგან, რომელთა უმეტესობა ბერძნულ ენაზე შედგენილი.

აღამიანის ხელით შექმნილი სამართლის ეს ბრწყინვალე ძეგლი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ჩამოყალიბებაზე, ისტორიამ მრავალსაუკუნოვანი მივიწყების სუდარაში გაახვია.

იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მან კრებულის კომენტირება აკრძალა, ცხოვრებისეული ცვლილებები და სასამართლო პრაქტიკა დრო-თამის შესატყვისად ტექსტის ლიტერატურულ გადაშუქებას მოითხოვდა. ამიტომ იმავე VI საუკუნეშივე ჩნდება პირველი კომენტარები და მონოგრაფიები, რომლებსაც მომდევნო საუკუნეებში კომენტარების მთელი წყება მოჰყვა. მათი ავტორები უცნობია და „ანონიმი კომენტატორების“ სახელწოდებით შევიდნენ სამართლის ისტორიაში. სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც არ იყო იუსტინიანეს კანონებზე გაზრდილი, აუცილებლად მიიჩნედა მოკლე გამოცემებს. ამგვარი გამოცემების შედეგად VIII-IX საუკუნეებში დაეროდა ბერძნულ ენაზე გამოცემული 60 ტომი, რომელთაც ძალა ბიზანტიის იმპერიის დამლამდე შეინარჩუნეს. აობათ, მათში უნდა ვეძიოთ ქართული

საქართველოს ძველებში მიმოხეული სამართლის ნორმათა წინამორბედი თუ არა, ანალოგები მაინც.

მაშასადამე, იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ მისი კოდიფიკაცია მრავალსაუკუნოვან დავიწყებას მიეცა და იმ სახით, როგორც ის თავდაპირველად შეიქმნა, არც უმოქმედია. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ლათინური ენა, რომელზეც იუსტინიანეს კოდიფიკაცია იყო შედგენილი, ხოლო ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო ენას კი ბერძნული ენა წარმოადგენდა. ამიტომ ყველა ტექსტი, რომლებიც შემდგომ პერიოდებში წარმოიშვა, ბერძნულ ენაზეა შედგენილი და ორიგინალისაგან განსხვავდება.

მიეწეული რომის სამართლის აღორძინება დაბადებიდან თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ ხდება. ბოლონის უნივერსიტეტის პროფესორებმა უნივერსიტეტის წიგნთსაცავში იპოვეს იუსტინიანეს კრებული, რომლის კლავით, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლებით საფუძველი ჩაუყარეს ფართომასშტაბიან პროცესს, რომელიც რომის სამართლის რეცეფციის სახელითაა ცნობილი.

#### §4. რომის სამართლის რეცეფცია

##### I. *Ius Commune*-ს წარმოშობა

დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ყოველი სამართალი კონკრეტულ სახელმწიფოსთანაა უმჭიდროესად დაკავშირებული. ამიტომ სამართლის მეცნიერებაც ნაციონალურია, ენაიდან იგი სწორედ მის სამშობლოში მოქმედ სამართალს იკვლევს და უკეთებს ინტერპრეტაციას. მაგრამ ევროპაში იყო დრო, როცა ეს ასე არ იყო. დასავლეთ და შუა ევროპის ქვეყნებს საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ საერთო სამართალი – *Ius Commune*, და ერთიანი სამართლის მეცნიერება. იურიდიული ბიბლიოთეკებიცა და ახალგაზრდა იურისტების მომზადების საფუძვლებიც საერთო იყო. ეს საერთო სამართალი იყო რომაულ-კანონიკური სამართალი. იგი შუა საუკუნეების დასასრულიდან საფრანგეთის რევილუციის ეპოქამდე მოქმედებდა ევროპის კონტინენტის ქვეყნებში.<sup>15</sup> ოუს კომუნეს სინონიმი რომანულ-გერმანული სამართალი, როგორც მას რენე დავიდი უწოდებს.<sup>16</sup>

<sup>15</sup> Coing, Helmut, *Europäisches Privatrecht*, Bd. I, S.7 (შეგოში Coing, Bd I.).

<sup>16</sup> რენე დავიდი, გვ. 39-40.

ბუნებრივად იბადება კიოხვა: თუ არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო, ერთიანი საჯარო ხელისუფლება, მაშ რა უზრუნველყოფდა საერთო სამართლის არსებობას სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებში. რომელთაც ენა, ყოფა. ტრადიციები განსხვავებული ჰქონდათ? კონგის აზრით, იმ გარემოებას, რომ რომაულ-კანონიკური სამართალი ამ ქვეყნების საერთო სამართლად იქცა, განაპირობებდა შუა საუკუნეებში ლათინური ეკლესიის ძალაუფლება და ამ ქვეყნების ისტორიულ-კულტურული პროცესი. რომელსაც „რეკეფციას“ უწოდებენ.<sup>17</sup> ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ სამართალი კულტურის მოვლენად მიიჩნევა.<sup>18</sup> სამართალში ჩანს ყოველი ხალხის კულტურის დონე. ევროპის ხალხებში მოქმედ ამ სამართალს *Ius Commune* (გერმანულად *gemeines Recht*) ეწოდებოდა და XIII საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით გამოიყენებოდა, ხოლო გერმანიაში კი – 1896 წლის სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე.<sup>19</sup>

მართალია, გაბატონებული და საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად რეკეფციას და, კერძოდ, რომის სამართლის რეკეფციას სამართლის ისტორიის ერთი მონაკვეთის გამოსახატავად იყენებენ და ადგილს, როგორც წესი, სამართლის წყაროების თავში მიუჩენენ ხოლმე, მაგრამ ისტორიულად რეკეფცია განათლებისა და მეცნიერების განვითარებასთან არის დაკავშირებული. თავის წარმოშობას იგი უმაღლის იტალიელ იურისტებს, რომლებმაც XI-XII საუკუნეებში ბოლონიის უნივერსიტეტებში „მეცნიერულად კვლავ აღმოაჩინეს რომის სამართალი“.<sup>20</sup> რომის სამართლის „გაცოცხლება“ მიიჩნევა იმ დიდი ისტორიული მოვლენის ნაწილად, რომელსაც *Renaissance of the 12th century* (XII საუკუნის რენესანსს) უწოდებენ.<sup>21</sup> ეს ის ეპოქაა, როცა ევროპაში იწყება ანტიკური კულტურის, განსაკუთრებით კი ანტიკური ფილოსოფიის ინტენსიური კვლევები. უაღრესად პოპულარული ხდება არისტოტელეს ფილოსოფია. სამართლის სფეროში კი იუსტინიანეს სამართალს ბადალი არა ჰყავს. ბოლონელმა გლოსატორებმა *Corpus Iuris*-ში აღმოაჩინეს „სრულყოფილი, მეცნიერულად განსაზღვრულ დონემდე შუა სამართლის სისტემა, რომელიც ეპოქის მოთხოვნილების შესაბამისად რაციონალურ საფუძ-

<sup>17</sup> Coing, Bd. I, S. 7.

<sup>18</sup> Grundzüge der Rechtsphilosophie. Von H Coing. 4. Aufl. S. 131-177.

<sup>19</sup> Knieper, Rolf. Gesetz und Geschichte. 1996. S.9.

<sup>20</sup> Coing, Bd. I, S. 9.

<sup>21</sup> Haskins, Charles Homer. The renaissance of the twelfth century. Cleveland 1965. უკუთარ კონგის მიხედვით, ტ.1, გვ. 9.

ვლებს ქმნიდა.<sup>22</sup> სწორედ ბოლონიაში იქცა რომის სამართალი XI-XII საუკუნეების განმავლობაში იურიდიული განაოდეების საფუძვლად და მანდელი სამართლის მეცნიერების მეთოდად.

იმავროულად ვერება საფუძველი კანონიკურ სამართალსაც, რომელსაც, ცხადია, არ ჰქონდა ისეთი სრულყოფილი კრებული, როგორიც იუსტინიანესი იყო. ამიტომ უფრო მეტად იქმნებოდა კერძო კრებულები. ერთ-ერთი ასეთი კრებული 1140 წელს ბოლონიაში შეიქმნა (ეწ. *Decretum Gratiani*) და *Corpus Iuris Civilis*-ის გვერდით უნივერსიტეტებში კანონიკური სამართლის სავალდებულო სახელმძღვანელოდ გამოცხადდა.

რომის სამართლის საყოველთაოდ გაკრეკელებაში უდიდესი როლი უნივერსიტეტებმა ითამაშეს. ყველა უნივერსიტეტმა, რომლებიც XII-XV საუკუნეების ევროპაში დაარსდა, იურიდიულ ფაკულტეტებზე სავალდებულო სასწავლო და სამეცნიერო დისციპლინად დაამკვიდრეს რომის სამართალი და კანონიკური სამართალი. მათ ერთობლიობაში *ius utrumque* ეწოდებოდათ. ბოლონიის უნივერსიტეტის მიერ დამკვიდრებული ეს ტრადიცია სიამაყით აიტაცეს სხვა ევროპულმა უნივერსიტეტებმა იტალიაში (პადუა 1222, ნეაპოლი 1224, ტურინი 1405), საფრანგეთში (მონპელიე 1260, ავიგნონი 1256, ტულუზა 1229), იბერიის ნახევარკუნძულზე (სალამანსა 1218/1219, ლერიდა 1300, კობიბრა 1290, არაგონის კატანია 1444), გერმანულ სივრცეში (პრაღა 1347/1348, ვენა 1365, ჰაიდელბერგი 1385, კელნი 1388, ლაიფციგი 1409, ლოენი 1426), პოლონეთში (კრაკოვი 1364), უნგრეთში (პეკს 1367), ჩრდილოეთის ქვეყნებში (კოპენჰაგენი 1478, უქსალა 1477).<sup>23</sup>

რომის სამართლის რეკევიციის საფუძველზე იურიდიული განათლების განვითარება ახალ პროფესიას – იურისტის პროფესიას უდებს დასაბამს. ევროპის უნივერსიტეტებში იურიდიული განათლებამიღებული ადამიანები ახალ სოციალურ ჯგუფს ქმნიან – იურისტების ჯგუფს. ევროპის უმრავლეს ქვეყნებში ისინი ასპარეზზე გამოდიან უკვე XIII საუკუნეში. სიტყვა „იურისტიც“, რომელიც გერმანული წარმოშობისაა, ამ საუკუნეშივე ჩნდება. იურისტების პირველი სამსახური ლათინური ეკლესიაა. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში ცნობილ რომის პაპებს, როგორცაა ალექსანდრე III, ინოკენტი III და IV იურიდიული განათლება ჰქონდათ მიღებული. ეკლესიაში მომუშავე იურისტები საფუძველს უყრიან საეკლესი-

<sup>22</sup> Coing, Bd. I, S. 9.

<sup>23</sup> Coing, Helmut. Die juristische Fakultät und ihr Lehrprogramm, in: idem, Handbuch I, p.

სიო მართლმსაჯულულებას უკვე XII საუკუნეში. ერთი საუკუნით კიან ეკლესიამ ცენტრალური სასამართლო მუდმივ უწყებად გარდაქმნა. როგორც კოინგი ამბობს, „ამით შეიქმნა პირველი სრულყოფილი სისტემა ნასწავლი მართლმსაჯულებისა ეროპაში“.<sup>24</sup>

ამასთანავე, იურისტები თავის ადგილს იმკვიდრებენ საერო სამსახურშიც. მაგალითად, იტალიაში ფრიდრიხ II სამეფო საბჭოში უკვე იურისტები ჰყავს, XIII საუკუნეში ჩრდილოეთ საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო მთლიანად იურისტებისგანაა დაკომპლექტებული. თანდათანობით იზრდება იურისტების როლი საქალაქო მმართველობაში; ჩნდება პირველი ნოტარიუსების ფუნქციებიც.

მიუხედავად იურიდიული განათლების ასეთი გავრცელებისა, რომის სამართლის რეალური მოქმედების სფერო მაინც შეზღუდული იყო. ის, რასაც იურისტები უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, ცხოვრებაში ვერ ახორციელებდნენ. ცხადია, იურისტებს არ ჰქონდათ კანონმემოქმედებითი უფლებამოსილება, რომ უნივერსიტეტებში ნასწავლი პრაქტიკაში დაენერგათ. რომის სამართალი არსებითად მხოლოდ სუბსიდიურ როლს თამაშობდა: მას მიმართავდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მოქმედი ჩვეულებები და ადათები ვერ წყვეტდნენ ცხოვრებისეულ კაზუსებს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ინტენსიურად ხდებოდა მოქმედი სამართლის ნორმებისა და რომის სამართლის ურთიერთშერწყმა. იურისტებს ხშირად ევალეობოდათ, რომ სამართალში არსებული ხარვეზები რომის სამართლის მეშვეობით შეეკნოთ.<sup>25</sup>

მამასადამე, საერთო სამართალი ანუ *Ius Commune* არის რომაულ-კანონიკური სამართალი, რომელმაც ასევე შეითვისა შუა საუკუნეების სამართლის მრავალი ინსტიტუტი. საერთო სამართლის საფუძველს ქმნიდა სწორედ რომის, ე.ი. იუსტინიანეს სამართალი და იგი ძირითად როლსაც თამაშობდა. ციტატების უმეტესობა იუსტინიანეს სამართლიდან იყო აღებული. ამიტომ, თუმცა რომის სამართლის წარმოშობასა და საერთო სამართლის წარმოშობას შორის მრავალი ისტორიული ქართველით დახუნძლული საუკუნეები დევს, „*Ius Commune* არის რომის სამართლის განვითარებისა და გავლენის ისტორიის ნაწილი; იგი მნიშვნელოვანი მაგალითია იმისა, თუ როგორი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს დიდმა სულიერმა ქმნილებამ ახალ კულტურულ გარემოში; მაგალითი ასევე

<sup>24</sup> Cuing. Bd. I, S. 11.

<sup>25</sup> Cuing. Bd. I, S. 26.

ამისათვის, თუ როგორ ცვლილებებს განიცდის ასეთი ქმნილება მსგავსი გაცოცხლების შედეგად“. ასე ახასიათებს კონგი საერთო სამართლის მნიშვნელობას.<sup>26</sup> საფუძველი და წინაპირობები ამისთვის იუსტინიანეს სამართალმა შექმნა, რომელსაც კანტოროვიჩმა „განძობსაკაი“ (Schatzhaus) უწოდა.<sup>27</sup> *Ius Commune*-ს შემადგენელი ნაწილები იყო ასევე კანონიკური სამართალი (რომელიც, ცხადია, თავისი სპეციფიკის გამო ისეთ როლს ეწეოდა, როგორც იუსტინიანეს სამართალი) და შუა საუკუნეების ფეოდალური სამართალი.

საერთო სამართლის სრულყოფილების მიუხედავად, ის მაინც „მეცნიერების სამართალი“ იყო. მისი არსებობა პრაქტიკულად მეცნიერებას ემყარებოდა, ხოლო ავტორიტეტი – უნივერსიტეტებში ნასწავლ იურისპრუდენციას. ამიტომაც დაინერგა იგი ლათინურენოვან ევროპაში და სამეცნიერო დისკუსიების, იურიდიული ლიტერატურისა და განათლების ობიექტად იქცა. „დასავლეთში მაშინ არც ერთიანი საკანონმდებლო ხელისუფლება არსებობდა, არც ყველა ქვეყნისათვის საერთო უმაღლესი სასამართლო. ორივე არსებობდა მხოლოდ ლათინურ ეკლესიაში; მაგრამ მიუხედავად ეკლესიის მნიშვნელოვანი ძალაუფლებისა, მას არ შეეძლო ერთიანი ევროპული სახელმწიფოს ფუნქციის შესრულება. ასე, რომ მხოლოდ მეცნიერების ამოცანად რჩებოდა სამართლის ერთიანობის უზრუნველყოფა და მისი განვითარებისათვის ზრუნვა“. დღესაც ამით აიხსნება სამართლის მეცნიერების დიდი მნიშვნელობა კონტინენტური ევროპის სამართალში.<sup>28</sup> ეს ერთ-ერთი არსებითი განსხვავებაა კონტინენტური ევროპის სამართლისა ინგლისურ-ამერიკული სამართლისაგან – *Common Law*-გან. როგორც ყველა მეცნიერებას, მასაც იგივე სისუსტე ახასიათებდა – აზრთა სხვადასხვაობა და მისი იძულებით დანერგვის შეუძლებლობა. საერთო სამართლის მოქმედების მთელ ტერიტორიაზე არ არსებობდა ერთიანი სასამართლო, რომელიც ამ სამართლის განხორციელებას უზრუნველყოფდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც საერთო სამართლის დამლა და მის ნაცვლად ნაციონალური კოდიფიკაციების წარმოშობა განაპირობა.

წმინდა ავტორიტარული სისუსტეების მიუხედავად, *Ius Commune* მაინც საერთო ევროპული სამართალი იყო. მის ერთიანობას უზრუნველყოფდა ერთიანი იურიდიული ლიტერატურა, რომელიც იმ ეპოქის საერთო

<sup>26</sup> Coing. Bd. I. S. 35.

<sup>27</sup> Coing. Bd. I. S. 35.

<sup>28</sup> Coing. Bd. I. S. 38.

სამეცნიერო ენაზე – ლათინურ ენაზე იყო დაწერილი. ამ მხრივ თვალსაჩინოა კომენტატორებისა და იტალიელი ავტორების მონოგრაფიები XVI საუკუნეში; დიდაა ესპანელი და პოლანდიელი ავტორების შრომების როლიც. მოგვიანებით დიდ მნიშვნელობას იძენენ ფრანგი იურისტები. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: XVI-XVII საუკუნეების ცნობილი ფრანგი ავტორები, მათ შორის, დომა, ითვლებიან საერთო სამართლის მკვლევარ იურისტებად, ხოლო პოტიე – არა. ეს უკანასკნელი მიიჩნევა არა ვეროპელ, არამედ ნაციონალ ფრანგ იურისტად, რომელმაც სხვებთან ერთად საფუძველი დაუდო ფრანგული სამოქალაქო სამართლის წარმოშობას.<sup>29</sup>

Ius Commune-ს ერთ-ერთი თავისებურება მის უნივერსალურობაშია. ამით იგი Common Law-ს ემსგავსება. იგი არა მხოლოდ კერძო სამართლის ნორმებს, არამედ სისხლისა და საპროცესო სამართლის ნორმებსაც შეიცავდა.

საერთო სამართლის ეთიკური საფუძველი ისეთივეა, როგორც იუსტინიანეს სამართლის. მისი ძირითადი ღირებულებებია: პიროვნების თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება, მისი თავისუფალი განკარგვის უფლებით და ა.შ.

## II. Ius Commune-ს დაშლა

მარადიული არაფერია ისტორიაში და არც საერთო სამართალი იქნებოდა ბედნიერი გამონაკლისი. ახალმა შეხედულებებმა, ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა, პოლიტიკურმა პროცესებმა საგრძნობლად შეარყიეს საერთო სამართალი და ეროვნული სამართლის წარმოშობას გაუკვალეს გზა.

Ius Commune-ს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც საფუძველი მოამზადეს ნაციონალური სამართლის წარმოშობისა და პირველი ნაციონალური კოდიფიკაციების მომზადებისათვის, უკავშირდება Usus modernus pandectarum-ს. ეს არის სახელი, რომელიც XVI-XVIII საუკუნეებში ეწოდა საერთო სამართალს და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ანდექტების თანამედროვე გამოყენებას“. ამ ეპოქაშივე იხადება ჰუმანიტური იურისპრუდენცია და რაციონალიზმი, რომლებიც საფუძველს უყრის რაციონალისტური ბუნებითი სამართლის განვითარებასა და ნაციონალური სამართლის ელემენტების დამკვიდრებას.<sup>30</sup>

<sup>29</sup> Coing, Bd. I, S. 39.

<sup>30</sup> Wieacker, Franz. Privatrechtsgeschichte der Neuzeit, 2. Aufl. 1967, S. 204ff.

ჰუმანიზმი, რომელიც XVI საუკუნეში წარმოიშვა და თავი Corpus Juris Civilis-ის კრიტიკით გამოიჩინა, შეეცადა ხელი შეეწყო იმ ხალხების სამართლის თავისებურებათა კვლევისათვის, რომლებიც რომის სამართლის ძლევამოსილების წყალობით მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად იქცნენ. არადა ასეთი სამართალი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, მაგალითად, საქსონიისა და შვაბეთის სარკეები (XIII ს-ში), კუტიუმების სამართალი საფრანგეთში და ა.შ. ამან გარკვეულწილად შეარყია რომის სამართლის ავტორიტეტი. სასაგიეროდ წინ წამოსწია სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალური სამართლის — ius patrium-ის მნიშვნელობა და როლი. ამის გამო, სწორედ ჰუმანისტურ იურიისპრუდენციას უმაღლის სამართლის ისტორია ეროვნული სამართლის სფეროში სამეცნიერო კვლევების გაძლიერებას.<sup>11</sup>

გაცილებით უფრო დიდი გავლენა იურიდიულ აზროვნებაზე, მათ შორის კერძო სამართლის განვითარებაზე, მოახდინა რაციონალიზმმა, რომელიც XVII საუკუნეში წარმოიშვა და XVIII საუკუნეში უკვე მთელს ევროპაში გაბატონებულ მოძღვრებად იქცა. რენე დეკარტის (Descartes) მეცნიერების თეორიამ, რომელიც მათემატიკური მეთოდების გამოყენების იდეას ემყარებოდა, თავისი გავლენა სამართლის მეცნიერებაზეც იქონია. პირველ რიგში ეს შეეხო სისტემურ აზროვნებას იურისტების მოღვაწეობაში. პრაქტიკულად კი ამან გამოიწვია რომის სამართლის სისტემის კრიტიკა და ახალი სისტემის შექმნა, რომელიც არსებითად უშუალო საფუძველი გახდა XIX საუკუნის კოდიფიკაციებისათვის. რომის სამართლის ეს ახალი სისტემა უპირატესობას ინსტიტუციებს ანიჭებდა და დივესტების ადგილს იკავებდა. კერძო სამართლის შემდეგი განვითარება უკავშირდება იმ ცვლილებებს, რომლებიც განმანათლებლობამ სამართლის წყაროს ცნების გაგებაში მოახდინა.

### **III. განმანათლებლობის როლი სამართლის წყაროს ცნების ჩამოყალიბებაში**

განმანათლებლობამ პრაქტიკულად რეკოლუცია მოახდინა სამართლის წყაროს შესახებ მოძღვრების განვითარებაში. მან სამართლის წყაროთა სრულიად ახალი გაგება და სისტემა დაამკვიდრა, რომელიც იმდენად

<sup>11</sup> Coing. Bd. I, S.68-69.



პროგრესული იყო. რომ დღესაც თანაქედროვე სამართლის ურყევ ფუნდამენტად ითვლება.

Ius Commune სამართლის წყაროდ მიიჩნედა Corpus iuris-ს, სამართლის მეცნიერებას, communis opinio doctorum-ს და სასამართლო პრაქტიკას.

განმანათლებლობა უარყოფს ყოველივე ამას და სამართლის წყაროდ აღიარებს მხოლოდ კანონს, ოღონდ არა Corpus iuris-ის ფორმით ჩამოყალიბებულს, არამედ კოდიფიკაციის ახალი თეორიის შესაბამისად განსაზღვრული პრინციპებით შექმნილ კანონს.

ასე წარმოიშობა მოძღვრება კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ, რომელიც საფუძველი ხდება XVIII საუკუნეში სამართლის ახალი ფორმის – კოდიფიკაციის წარმოშობისათვის.

რა იყო საუკუნეების მანძილზე სამართლის წყაროს გაბატონებული თეორიის ასეთი მსხვერვის მიზეზი? რამ გამოიწვია, რომ სამართლის მეცნიერება, სასამართლო პრაქტიკა და რომელი იურისტების ფანტასტიური ქმნილება ასე უცებ აღმოჩნდა ეჭვქვეშ?

უდიდესი წვლილი ამაში იუსტინიანეს სამართლის XVI-XVII საუკუნეების კრიტიკოსებს მიუძღვით და, პირველ რიგში, ლაიბნიცს. კრიტიკოსები შეეცადნენ რომის სამართლიდან გამოეცალკეებინათ ნორმა, ე.ი. ქცევის წესი და მისი გამოყენების პრაქტიკა. ლაიბნიცი შეეცადა ახლებურად დაეღაგებინა Corpus iuris-ის ტექსტი. *მისი აზრით კანონში უნდა ყოფილიყო მხოლოდ ნორმები და არა კაზუსების კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტები.* ამ კონცეფციის თანახმად, იუსტინიანეს კრებული კარგავს კანონის ბუნებას. იგი აღარ არის კანონის მოდელი.

Corpus iuris-ის მძაფრი კრიტიკის საგანი XVI საუკუნიდან იყო მისი ყოვლისმომცველი სისტემა და ხალხისათვის უცხო ენა – ლათინური.

ენამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი კოდიფიკაციის განვითარებაში – რაციონალისტური ბუნებითი სამართლის წარმომადგენლებისათვის სამართლის უმნიშვნელოვანეს მიზნად მიიჩნევა ინდივიდების, ცალკეულ პირთა თავისუფლების უზრუნველყოფა მაგრამ თავისუფლება, ცხადია, არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. ამიტომ წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ ეს შეზღუდვები, თავისუფლების ფარგლები ხალხისათვის გასაგები ფორმით იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაზე დამყარებული სამართალი. რომელიც, იმავე დროს, ლათინურ ენაზე (ხალხისათვის გაუგებარ ენაზე) არსებობს, ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ეს შეიძლება მხოლოდ მარტივი და ნათლად

ნაოსოყალასებელი კანონების შექმნებით. ადამიანების ბედი არ შეიძლება იყოს დაპოკიდებული მხოლოდ მოსამართლეთა ნება-სურვილზე, პირიქით. მოსამართლე თვითონვე მკაცრად უნდა დაემორჩილოს კანონს.<sup>12</sup>

ყოველივე ამან განაპირობა მანამდე უცნობი და სრულიად ახალი თეორიის — კოდიფიკაციის თეორიის წარმოშობა.

## §5. უდიდესი კოდიფიკაციების საუკუნე

### *I. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის აუცილებლობა და სამართლის კოდიფიკაციის თეორია*

ქართველი იურისტებისათვის, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სამართლის წარმომადგენელი სხვა იურისტებისათვის, სამართლის კოდიფიკაცია ანუ კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა. უფრო მეტიც, მათთვის წარმოდგენელია თანამედროვე სამართალი, სამართლის მეცნიერება, სასამართლო პრაქტიკა ამგვარი კოდიფიცირებული აქტების გარეშე. მიუხედავად ამისა, კოდიფიკაციის ცნება ახალი ეპოქის კუთვნილებაა და მისი ისტორია, განსხვავებით სამართლის ისტორიისაგან, მხოლოდ ორ საუკუნეს ითვლის.

სამართლისმცოდნეობა XVIII საუკუნემდე არ იცნობს კოდიფიკაციას. შუა საუკუნეების სახელგანთქმული და საყოველთაოდ გავრცელებული აქტები (მათ შორის, Corpus Iuris Civilis) არ წარმოადგენენ კოდექსებს (კანონებს) თანამედროვე გაგებით. ცხადია, იგივე ითქმის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე, რომელიც ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. აღნიშნული აქტები შეადგენენ სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა საკითხებზე გამოცემული ცალკეული ნორმების, გადაწყვეტილებების, კანონთა ფრაგმენტების კრებულს. დალაგებულს სრულიად მარტივი და ცვალებადი სქემის მიხედვით. სისტემის თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილი მაინც იუსტინიანეს კრებულია, რომელშიც სისტემატიზებულია რომის იმპერიაში სხვადასხვა დროს მიღებული კანონები, გადაწყვეტილებები და სასამართლო პრაქტიკა. ამ მხრივ იუსტინიანეს დიგესტები იმდენად სრულყოფილი იყო, რომ „თანამედროვე კოდიფიკაციის პირველი მცდელობები. რომლებიც ავსტრიასა და პრუსიაში განხორციელდა, ბაძავე-

<sup>12</sup> Messner. Das Naturrecht, 7. Aufl. 1984

დნენ იუსტინიანეს ნიშუქს: მათ ქქონდათ კანონის ძალის მქონე სახე. . . .  
მძღვენელის ფორმა, როგორც ეს იუსტინიანეს კანონმდებლობის ინ ტი-  
ტუტებშია მოცემული“.<sup>33</sup>

კოდიფიკაცია სამართლის გამოხატვის ახალი ფორმაა, რომლის ძირი-  
თადი პრინციპები კონტინენტურ ევროპაში საერთო სამართლის (Ius  
Commune) კრიტიკისა და განმანათლებლობის საფუძველზე წარმოიშ-  
ვა.<sup>34</sup>

იუსტინიანეს დიგესტების პირველი საფუძველიანი კრიტიკა, როგორც  
ენახეთ, XVI-XVII საუკუნეების ჰუმანისტებსა და სისტემატიკოსებს (ჰორ-  
ტმანი, ლაიბნიცი) ეკუთვნით. მათი აზრით, იუსტინიანეს ტექსტი მრავალ  
წინააღმდეგობასა და ბუნდოვან ფორმულირებებს შეიცავდა, აგრეთვე მრავ-  
ლად იყო მათში კონკრეტული შემთხვევების (კაზუსების) გადაწყვეტები,  
რაც წესით, კანონის ტექსტში კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სასამარ-  
თლო გადაწყვეტილებებში. კანონი უნდა შეიცავდეს მრავალჯერადი გამო-  
ყენებისათვის გამოსადეგ აბსტრაქტულ ნორმებს. მოძღვრება კანონის ნორმათა  
აბსტრაქტული ხასიათის შესახებ საფუძველად დაედო ახალ საკანონმდებ-  
ლო ტექნიკას.

კანონის ნორმათა პოზიტიური და და აბსტრაქტული აღწერის ეს  
თეორია დასავლეთ ევროპის განმანათლებლების მიერ იქნა განვითარებუ-  
ლი. განმანათლებელი სამართლის ფილოსოფოსთა შეხედულებებმა კანო-  
ნების მიმართ უფრო კონკრეტული მოთხოვნების ხასიათი მიიღეს. მათი  
აზრით:

ა. კოდექსი უნდა ყოფილიყო ყოვლისმომცველი და ვრცელი. იგი არ  
უნდა შეიცავდეს კონკრეტული საკითხების გამომწვევტ ნორმებს. ეს უფ-  
რო სპეციალური კანონების საგანს შეადგენს. კოდექსი უპირატესად მხო-  
ლოდ ისეთ ურთიერთობებს უნდა აწესრიგებდეს, რომლებიც საზოგადო-  
ებრივი თანაცხოვრებისათვის უცვლელ, ფუძემდებლურ კლემენტებს შე-  
ადგენენ. განმანათლებლები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი სტაბილური, უცვლე-  
ლი საფუძველები საზოგადოებას აქვს. მაგალითად, ბენტამი თვლიდა, რომ  
კოდექსი შეიძლება მხოლოდ 100 წელიწადში შეიცვალოს და ისიც მხო-

<sup>33</sup> Coing Helmut. Europäisches Privatrecht Bd II 19 Jahrhundert München. 1989. S.7  
(შეტლიში Coing. Bd. II);

<sup>34</sup> Wieacker Franz. Das Sozialmodell der klassischen Privatrechtsgesetzbücher und die Entwicklung  
der modernen Gesellschaft. in Industrie-Gesellschaft und Privatrechtsordnung Kronberg 1975. p 988;  
Coing. Helmut. Zur Vorgeschichte der Kodifikation Die Diskussion um die Kodifikation im 17. und  
18. Jahrhundert in La formazione storica del diritto moderno in Europa. Atti del terzo Congresso  
Internazionale della Società Italiana di storia del Diritto Firenze 1977 II p 707-818

ლოდ იმიტომ. რომ ამ ხნის მანძილზე ცვლილებებს განიცდის ყოველ-  
დღიური ენა.<sup>15</sup>

ბ. კოდექსი განიხილებოდა სოციალური ხელშეკრულების (ჟან ჟაკ რუსო) პრაქტიკული განხორციელების საშუალებად, ე.ი. იგი შეიძლება შემუშავდეს მხოლოდ თავისუფალი და თანასწორი ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოებისათვის. მან უნდა დაიცვას თავისუფლება, თანასწორობა და საკუთრება.

მონტესკიე არ დასჯერდა კოდექსის ამ ძირითადი პრინციპების დახასიათებას და მოითხოვა. რომ კოდექსი შესაბამისობაში ყოფილიყო ყოველი ხალხის კულტურასა და განვითარების დონესთან.<sup>16</sup>

გ. კოდექსში უნდა ყოფილიყო ზოგადი წესები, რომლებიც იმდენად ნათლად და ზუსტად ფორმულირებულნი იქნებოდნენ, რომ თითოეულ ადამიანს შესძლებოდა მათი გაგება. კოდექსის სისტემა უნდა ყოფილიყო ნათელი, მარტივი და თვალსაჩინო, ამასთანავე, ისე შედგენილი, რომ მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებისას მიზანშეწონილობის მიხედვით არ შეძლებოდა გადაწყვეტა, ე.ი. – უნდა ბატონობდეს კანონი და არა მაგისტრი.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ წარმოთქმული ეს სიტყვები როგორ შეესატყვისება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს. განმანათლებელთა აშკარა მოთხოვნების მიუხედავად, კანონთა ადვილად გაგების პრობლემა ვერც XIX და ვერც XX საუკუნეების კოდიფიკაციებმა ვერ გადაწყვიტეს. თუმცა, რასაკვირველია, მცდელობები იყო. ამ ვითარებას კონგეი შემდეგი სიტყვებით აღწერს: „აქ თვალშისაცემია მიზანთა კონფლიქტი, რომელიც უკვე XVIII საუკუნეშიც არსებობდა. მოქალაქეთათვის საჭიროა მარტივი, ადვილად გასაგები წესები, მაგრამ ასეთი წესები მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებისას ზედმეტ თავისუფლებას მიანიჭებდა. პირველი კოდიფიკაციები აქაც სხვადასხვა გზით წაიდა. ფრანგული და ავსტრიული სამოქალაქო კოდექსები უფრო მეტად ფართო პრინციპებს განამტკიცებდა, რომელთა განვითარება შემდეგში მოსამართლეებს შეეძლოთ. პრუსიული სამართალი კი – პირიქით, იმდენ მრავალრიცხოვან დეტალურ წესებს შეიცავს, რომ მოსამართლეს მხოლოდ კანონის აღსრულება უწევს“.<sup>17</sup>

პრუსიული სამართლის ერთ-ერთი შემქმნელი სუარეში ფიქრობდა.

<sup>15</sup> Coing. Bd II. S 8

<sup>16</sup> Coing. Bd II. S 8

<sup>17</sup> Coing. Bd II. S 9

რომ საჭირო იყო ორი კანონის არსებობა – ერთი, რომელშიც პრინციპები იქნებოდა თავმოყრილი და ყოველ მოქალაქეს ექნებოდა ხელში და, მეორე, – კონკრეტული წესებით, რომელიც მოსამართლეს შებოჭავდა.“<sup>33</sup> ბენტამმა გამოსავალი იპოვა კანონების ტექსტებისათვის ოფიციალური კომენტარების დართვაში, რომელიც ასევე სავალდებულო იქნებოდა მოსამართლისათვის.

განმანათლებლებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, თუ როგორ უნდა მომზადებულიყო ასეთი კოდექსი. არსებობდა მოსაზრება, რომ სპეციალისტებისაგან შექმნილიყო კომისიები, რომლებიც მოამზადებდნენ კანონპროექტებს და შემდეგ მათ საჯაროდ განიხილავდნენ. სრულიად განსხვავებული იყო ბენტამის პოზიცია: მისი აზრით, კოდექსი უნდა მოემზადებინა ერთ კაცს და ისიც უცხოელს, რათა მას არ ჰქონოდა ადგილობრივ თუ ნაციონალურ ინტერესთა კონფლიქტებში ჩარევის შესაძლებლობა.

კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებმა XIX საუკუნეში სრულად განახორციელეს სამართლის კოდიფიკაცია. „XIX საუკუნის“ ცნებაში იგულისხმება ეპოქა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციიდან პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე.“<sup>34</sup>

## ***II. ეროვნული კერძო სამართლის წარმოშობა***

რომის იმპერიის დაშლის შედეგად დასავლეთ ევროპაში წარმოშობილ სახელმწიფოებში თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე მოქმედებდა რომის სამართალი. საუკუნეების მანძილზე რომის სამართლის სტაბილურ გამოყენებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ იუსტინიანეს დიგესტები უნივერსიტეტებში სავალდებულო სასწავლო საგნად იყო მიჩნეული და მთელი იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა სწორედ ამ საკანონმდებლო კრებულით საფუძველზე იწერებოდა. ეს, თავის მხრივ, ერთიანი ევროპის სამართლის – *Ius Commune*-ს არსებობას განაპირობებდა, რომელიც ინგლისის გამოკლებით მთელს დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მოქმედებდა. აღნიშნული სამართალი ემყარებოდა არა ცალკეული სახელმწიფოების მიერ მიღებულ კანონებს, არამედ მის ეროვანობას უზ-

<sup>33</sup> Suarez Karl Gottlieb von, *Inwiefern können und müssen Gesetze kurz sein* (1788) in: *Vorträge über Recht und Staat von Carl Gottlieb Suarez* (1746-1798) hrsg. Herman Conrad / Gerd Kleinheyer. Köln-(Opladen 1960) p.627 ss.

<sup>34</sup> Coing. Bd.II. S.1.

რუნველყოფდა იუსტიციის დიგესტების საფუძველზე განვითარებული სამართლის მეცნიერება.

XVII-XVIII საუკუნეების განმანათლებლობამ სამართალი ეროვნული კულტურისა და ეროვნული სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტად აღიარა. ეროვნული სახელმწიფოს ახლადწარმოშობილი იდეა უცილობლად გულისხმობდა ეროვნულ სამართალსაც. განმანათლებლობა სამართლის ერთადერთ წყაროდ კანონს მიიჩნევდა, კანონს, რომელიც მხოლოდ მოქალაქეთა წარმომადგენლების მიერ შეიძლება ყოფილიყო მიღებული. განმანათლებლები სამართალს არ მიიჩნევდნენ სამართლის-მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის ქმნილებად. განმანათლებლობა მიისწრაფოდა სამართლის ყველა წესის თავმოყრისაკენ ერთიან კანონში. „ამით სამართლის კოდიფიკაცია სამართლის პოლიტიკის იდეალად იქცა“.<sup>40</sup>

პრაქტიკულად ეს ნიშნავდა კანონშემოქმედებითი (სამართალშემოქმედებითი) ფუნქციების გადაცემას საკანონმდებლო ორგანოებისადმი. ასეთი ორგანოები შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ კონკრეტულ სახელმწიფოებს. ეს სახელმწიფოები XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში ყალიბდებოდნენ, როგორც ნაციონალური სახელმწიფოები. ნაციონალური სახელმწიფოების მიერ შექმნილი სამართალი არის არა უნივერსალური, საერთო ევროპული, არამედ ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი. ეს იწვევს ერთიანი სამართლის დაშლას და ცალკეული სამართლებრივი ოჯახების წარმოშობას.

სამართლის გაეროვნულების (ნაციონალიზების) პროცესი შეეხო, რა თქმა უნდა, სამართლის მეცნიერებასაც. მისი მიზანი გახდა მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი სამართლის კვლევა და ახალი იურისტების აღზრდა. აქედან გამომდინარე, ნაციონალური სამართლის წარმოშობასთან ერთად კვდება რომის სამართლის საფუძველზე განვითარებული ერთიანი სამართლის მეცნიერება. ეს ყველაფერი XIX საუკუნეში ხდება.

ნაციონალური სახელმწიფოებისა და სამართლის წარმოშობის მიუხედავად, დასაწყის ევროპის სახელმწიფოები განვითარების ერთნაირი ან მსგავსი გზით მიდიოდნენ: თავისუფლებისა და თანასწორობის პოლიტიკური იდეალები თავის გამოხატულებას ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადო პროგრესში პოულობდნენ იმპედროულად, პრობლემებიც ანალოგიური იყო. ამიტომ, ნაციონალურ სახელმწიფოებში სამართლის რეფორმა ერთმანეთის მსგავსი სცენარით მიმდინარეობდა.

<sup>40</sup> Coing. Bd II. S 2

### III. პირველი ნაციონალური კოდიფიკაციები

პირველი ნაციონალური კოდიფიკაციები წარმოიშვა დანიაში (1683 წელს) და ნორვეგიაში (1687 წელს), შემდეგ კი შვედეთში და ფინეთში (1734 წელს)<sup>41</sup>. მაგრამ კონტინენტური ევროპის სამართლის განვითარებისათვის განსაკუთრებული როლი პრუსიულმა, ავსტრიულმა, ფრანგულმა და გერმანულმა კოდიფიკაციებმა ითამაშეს. ამიტომ აქ მათზე შევჩერდები.

#### ა. პრუსიული სამართალი და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი

თანამედროვე კოდექსების შემუშავება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა პერიოდში დაიწყო ავსტრიასა და პრუსიაში – განათლებული აბსოლუტიზმის სახელმწიფოებში. ამ კოდექსების შემუშავების ინიციატივა ბიუროკრატიას ეკუთვნოდა, რომელიც განმანათლებლების იდეებს ეზიარა (მაგალითად, მარია ტერეზა, იოსებ II და ფრიდრიხ ლიდი). ორივე კანონი ლიდი ხნის მუშაობის შედეგად შეიქმნა, მაგრამ არ გამოდგა ისეთი, როგორსაც მისი სულისჩამდგმელები მოელოდნენ, კერძოდ, კანონები უფრო სახელმძღვანელოებს ჰგავდნენ, ვიდრე კანონებს. გერმანიისათვის პრობლემა იყო იურიდიული ენის არარსებობაც. ვინაიდან იურისტების ენას ლათინური წარმოადგენდა, საჭირო იყო სპეციალური ტერმინების შემუშავება გერმანულ ენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტები განმანათლებლობის გავლენით შეიქმნა და ორივე გერმანულენოვანი იყო, ისინი სრულიად განსხვავებული ხასიათის აქტებს წარმოადგენდნენ:

– პრუსიული კანონი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კერძო სამართლით. იგი აწესრიგებდა არა მხოლოდ ადამიანების მონაწილეობით წარმოშობილ ურთიერთობებს, არამედ ადგენდა განსხვავებულ წესებს სხვადასხვა წოდებრივი გაერთიანებებისათვის, გლეხობისათვის, თავადაზნაურებისათვის და ა.შ. კანონი აშკარად ასახავდა საზოგადოების წოდებრივ განსხვავებებს და, აქედან გამომდინარე, აწესრიგებდა ამ ურთიერთობებსაც.

ფორმის მიხედვით, ეს აქტი იმ შეხედულებას ემყარება, რომ კანონმა არ უნდა დაუტოვოს მოსამართლეს შესაძლებლობა თავისუფალი გადაწყ-

<sup>41</sup> Einführung in die Rechtsvergleichung. von Max Rheinstein. 1987 S. 85.

ყვეტილებების მისაღებად. ამიტომ იგი შეიცავს ძრავალ კონკრეტულ წესს, რომელიც კონკრეტულ საკითხებს ეხება. ეს საკანონმდებლო ტექნიკა შემდგომი პერიოდის აქტებში არავის არ გაუზიარებია.

– ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი წმინდა სამოქალაქო კოდექსია. იგი კერძო სამართლის კანონია, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს თანასწორუფლებიანი მოქალაქეებისაგან შემდგარ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემუშავებისას ჯერ კიდევ არსებობდა სოციალური განსხვავებები, კანონმდებელმა ისინი არ შეიტანა კანონში. ამით კანონმა დროს გაუსწრო და, ამის წყალობით, მასში ცვლილებების შეტანა აღარ გახდა საჭირო, კერძოდ, იმ ცვლილებებისა, რომლებიც პოლიტიკურ გარდაქმნებს მოჰყვა შედეგად.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც განსხვავდება ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი პრუსიული კანონისაგან: მასში პრაქტიკულად არაა ცალკეული შემთხვევების მომწესრიგებელი ნორმები. სისტემის მიხედვით იგი ემთხვევა იუსტინიანეს ინსტიტუციებს.<sup>42</sup>

### *ბ. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი*

ფრანგული სამოქალაქო კოდექსიც კერძო სამართლის კანონია. გერმანული კოდიფიკაციისაგან განსხვავებით იგი ძალიან მოკლე დროში შეიქმნა. პროექტი რამდენიმე თვეში მომზადდა, თუმცა საბოლოო ტექსტის მიღებამდე კოდექსის რამდენიმე პროექტი წინასწარ იყო მომზადებული.

კოდექსზე მუშაობას ფრანგ იურისტებს ის უადვილებდათ, რომ მათ ხელთ ეპყრათ დიდძალი იურიდიული ლიტერატურა, პირველ რიგში, დომა და პოტიე. საფრანგეთმა XVIII საუკუნეში დამოუკიდებელი იურიდიული ენა ჩამოაყალიბა, რომელიც მნიშვნელოვნად აიოლებდა კოდექსზე მუშაობას. კოდექსის სტრუქტურას ასევე იუსტინიანეს ინსტიტუციები უდევს საფუძვლად. ფრანგული კოდექსი პირველი კოდექსია, რომელიც ფრანგული რევოლუციის შედეგად შეიქმნა თავისუფალი საზოგადოებისათვის, კოდექსი ეყრდნობა ყველა მოქალაქის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეებს, პირველ რიგში, ეს ეხება სახელშეკრულებო სამართალსა და საკუთრების უფლებას.

ფორმის მიხედვითაც ფრანგული კოდექსი კონკრეტულ საკითხებს კი არ წყვეტს. არამედ შეიცავს წესებს. რომელთა განვითარება კონკრეტულ

•• Cuing. Bd II. S 11 12



ლი საკითხების გადაწყვეტისას ინტერპრეტაციის გზით მოსამართლეს შეუძლია. ამის ყველაზე კარგი მაგალითია დელიქტური სამართალი, რომელიც პრაქტიკულად მხოლოდ ერთი მუხლის – 1382-ე მუხლის სასამართლოსეული განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა. თავისი დონის მიხედვით ფრანგული კოდექსი შეესაბამებოდა განმანათლებლობის იდეებსა და პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზმის სულისკვეთებას. ამიტომაც გახდა იგი XIX საუკუნეში სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის იდეალური სხვა ქვეყნებისათვის.<sup>43</sup>

### *გ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი*

„გერმანიის იმპერიის სამოქალაქო კოდექსს კოდიფიკაციების XIX საუკუნე უნდა დაეხურა, რომ შეეცარიელები უფრო სწრაფი არ ყოფილიყვნენ“ – ამ სიტყვებით იწყებს თავის წიგნს პროფესორი როლფ კნიპერი, რომელიც მან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ასი წლის იუბილეს მიუძღვნა.<sup>44</sup> თუმცა ეს საკითხი შეიძლება პირიქითაც დავაყენოთ: გერმანელები შეიძლებოდა XIX საუკუნის დასაწყისშიც ზიარებოდნენ სამოქალაქო კოდექსს, რომ არა საეინის უდიდესი წინააღმდეგობა კოდიფიკაციის თეორიის მიმართ.

მაშინ, როცა ფრანგებმა წარმოუდგენლად სწრაფად მოახდინეს სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია, მისი ასევე უსწრაფესი დანერგვა ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ სახელმწიფოებში, გერმანიაში ფრანგული წარმოშობის ორი დიდი გერმანელი იურისტი – ტიბო და საეინი 1814 წელს მართავენ დიდ დისკუსიას – საჭიროა თუ არა გერმანული სახელმწიფოებისათვის ერთიანი სამოქალაქო კოდექსი. საუკუნენახვერის შემდეგ ამ დისკუსიას მონათლავენ, როგორც „განუყოფელი გიგანტების ბრძოლას გიგანტური თემის გამო გერმანული სამართლის ისტორიაში“.<sup>45</sup>

საფრანგეთის ძლევამოსილი სამხედრო გამარჯვებების კვალობაზე, რომელსაც შედეგად ფრანგული სამოქალაქო კოდექსის დანერგვაც მოსდევდა, მეტად პოპულარული გახდა სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციისა და ერთიან წიგნში მისი მოქცევის იდეა. იმ ეპოქის იურისტების ალტაცებას იწყევდა ის. თუ როგორ მოხერხდა „სულ რაღაც 2281

<sup>43</sup> Coing, Bd II, S 13

<sup>44</sup> Knappe, Roll, Gesetz und Geschichte 1996 S 9

<sup>45</sup> Thibaut und Savigny, Ihre programatischen Schriften, Hrsg. von Prof. Dr. Hans Hatlenhauer,

ქუხლში“. იმ დროისათვის გასაოცრად თხელ წიგნში მთელი ბურჟუაზიული (სამოქალაქო) თავისუფლების იდეების თავმოყრა კანონის ფორმით.<sup>46</sup> რომის სამართლის სქელტანიან ტომებს შეჩვეული იურისტებისათვის ეს მართლაც უცნაური რამ იყო. ამიტომ არ ყოფილა შემთხვევითი, რომ სამართლის კოდიფიკაციის იდეას მომხრეები გერმანული სამართლის მეცნიერებაშიც გამოუჩნდა. ამგვარი კოდიფიკაციის აუცილებლობა ისტორიული პირობებითაც იყო გამოწვეული: ომში საფრანგეთის დამარცხებამ დღის წესრიგში დააყენა ოკუპირებულ გერმანულ სახელმწიფოებში ფრანგული სამოქალაქო კოდექსის გაუქმების საკითხი. მაგრამ ვინაიდან გერმანელებს ასეთი ერთიანი კოდიფიცირებული აქტი არ გააჩნდათ, ხოლო კოდიფიკაციის იდეას მომხრეები ჰყავდა, გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციას. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო ტიბოს პატარა წიგნი „გერმანიისათვის ზოგადი სამოქალაქო სამართლის აუცილებლობის შესახებ“. რომელიც 1814 წელს გამოიცა. ერთიანი გერმანული სამართლის შექმნის მეხოტბე ტიბო მოითხოვდა, რომ „ყველა გერმანელს საერთო, გერმანული კანონთა წიგნი ჰქონოდათ“.<sup>47</sup> ამით სამართლის კოდიფიკაცია საკანონმდებლო ტექნიკის საკითხიდან პოლიტიკურ საკითხადაც წარმოჩნდებოდა – იგი სამართლებრივი საფუძველი უნდა ყოფილიყო ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნისათვის.

ტიბოს იდეა საკინის გაუგონარ წინააღმდეგობას წააწყდა. იმავე წელს სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებელმა გამოაქვეყნა საპასუხო წიგნი „ჩვენი ეპოქის პროფესიის შესახებ კანონმდებლობისა და სამართალმცოდნეობისათვის“. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტიბო: შეხედულება სამართლის კოდიფიკაციის შესახებ; სამარცხვინო უწოდეს მის აზრს, რომ სამართალი ერთ პატარა კოდიფიცირებულ წიგნში მოექციათ. საკინი ამკარად იბრძვის კოდიფიკაციის წინააღმდეგ და მანამდე განხორციელებულ ყველა კოდიფიკაციას წარუმატებლად და მარცხად მიიჩნევს. იგი ხოტბას ასხამს რომის სამართალს, რომელიც „ნათელი ცნებებითა და სისტემატიკით, როგორც სამართლის მათემატიკა“ მისთვის სამოქალაქო სამართლის სრულყოფის იდეალი იყო.<sup>48</sup> საკინიმ სიცრუედ და თვითნებობად მონათლა განმანათლებლობის იდეები სამართლის კოდიფიკაციის სფეროში.

<sup>46</sup> Hallenhauer, in: Thibaut und Savigny, S. 37

<sup>47</sup> Hallenhauer, in: Thibaut und Savigny, S. 43.

<sup>48</sup> Hallenhauer, in: Thibaut und Savigny, S. 47

1814 წელს გამოთქმული იდეები სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის მიუღებლობის შესახებ საეინიმ 1840 წელს კიდევ უფრო განამტკიცა.<sup>49</sup> ამ დისკუსიაში გაიმარჯვა საეინიმ და ფაქტობრივად საფუძველიც ჩაუყარა მისსავე სამართლის ისტორიულ სკოლას, მაგრამ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის და ამით ერთიანი სამართლის შექმნის იდეამ გერმანიაში მრავალი ათწლეულით დაიგვიანა.

ერთიანი სამოქალაქო კოდექსის შექმნა გერმანიაში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბისმარკმა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში საფუძველი ჩაუყარა გერმანელი ერის პოლიტიკურ ერთიანობას. თუმცა სავაჭრო სამართალი უფრო ადრე – 1861 წელს იქნა კოდიფიცირებული.<sup>50</sup> მატერიალური კერძო სამართლის კოდიფიკაცია მხოლოდ 1896 წელს დასრულდა და ძალაში შევიდა 1900 წლის 1 იანვრიდან, ე.ი. თითქმის ასი წლით გვიან, ვიდრე ფრანგული და ავსტრიული კოდექსები. ეს ის შემთხვევაა, როცა დაგვიანებამ მხოლოდ დადებითი როლი ითამაშა. გერმანელი კოდიფიკატორები საკმაოდ კარგად იცნობდნენ ფრანგული და ავსტრიული სამოქალაქო კოდექსების მთელ გამოცდილებას, პანდექტიკის მეცნიერების უდიდეს მიღწევებს. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაოცარი, რომ გერმანული ნიჭის ეს ქმნილება როგორც სისტემით, ცნებათა აპარატით, ნორმების ფორმულირებათა ლაკონიურობითა და მრავალი სხვა თვისებით უფრო დახვეწილია, ვიდრე მისი წინამორბედები. მართალია, მას ხშირად საყვედურობდნენ, რომ თითქოს „ხალხისათვის დაწერილი“ ფრანგული კოდექსისაგან განსხვავებით იგი იურისტებისათვის დაწერილი კანონია, მაგრამ ეს საყვედური მთლად მართებულად არ უნდა მივიჩნიოთ. არც ფრანგული კოდექსია ხალხისთვის ერთმნიშვნელოვნად გასაგები.

მთელს ევროპაში და ევროპული სახელმწიფოების კოლონიებში ამ კოდიფიკაციების გავრცელებამ დამალა ევროპის ერთიანი სამართალი – *Ius Commune*.

<sup>49</sup> Savigny Friedrich Karl von. System des heutigen römischen Rechts. I. Bd. Berlin 1840. Vorrede.

<sup>50</sup> Einführung in die Rechtsvergleichung. von Max Rheinstein. S 87

## §6. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის გავრცელება თანამედროვე მსოფლიოში

საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში და შვეიცარიაში განხორციელებულმა სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციებმა არა მხოლოდ საერთო სამართალი დაშალეს, არამედ განსაზღვრეს სამოქალაქო სამართლის ბედი თითქმის მთელს მსოფლიოში. არა მხოლოდ ევროპის, არამედ აზიისა და ამერიკის ქვეყნებმა, რომლებსაც კოდიფიცირებული სამართალი აქვთ, ან პირდაპირ გადაიღეს ეს კოდექსები ან საფუძვლად დაუდეს თავიანთ კანონშემოქმედებას.

თავდაპირველად ნაპოლეონის საომარ გამარჯვებებთან ერთად მისი სამოქალაქო კოდექსიც იმკვიდრებდა ადგილს სამხრეთ გერმანიაში, პოლონეთსა და იტალიაში, პოლანდიაში, ბელგიასა და ლუქსემბურგში, შემდეგ კი ნებაყოფლობით იღებდნენ ამ კოდექსს სხვა ქვეყნები. მაგალითად, ბელგიამ ფრანგების ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ძალაში დატოვა. მართალია, პოლანდიელებმა, ასევე განთავისუფლების შემდეგ, 1838 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღეს, მაგრამ ის ბევრად არ განსხვავდებოდა Code Civil-საგან. ფრანგული კოდექსის საფუძველზე მოხდა სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია რუმინეთში (1864 წელს), ესპანეთსა (1888 წელს) და პორტუგალიაში (1867 წელს). პორტუგალიამ ახალი კოდექსი 1967 წელს მიიღო.

ფრანგული კოდექსის ტრიუმფი არ დასჯერდა მხოლოდ ევროპას და ნოყიერი ნიადაგი ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც პოვა – ჰაიტი (1825 წელს), ბოლივია (1830 წელს), დომინიკის რესპუბლიკა (1845/1884 წლებში), ეკვადორი (1857). თუმცა ჩილემ (1855), არგენტინამ (1869), კოლუმბიამ (1873), ბრაზილიამ (1916) და მექსიკამ (1928) კოდიფიკაციის საკუთარი გზა აირჩიეს, მაგრამ ფრანგული კოდექსი მაინც ხელთ ეყრათ სამამულო კოდიფიკაციის სულისჩამდგმელებს.<sup>11</sup> 1803 წელს საფრანგეთის მიერ მიღებულ ამერიკის შტატ ლუიზიანაში დანერგილი ფრანგული სამოქალაქო კოდექსი დღემდე ძალაშია. ასევე 1867 წლიდან ბოლო დრომდე ძალაში იყო ფრანგული კოდექსი კანადის პროვინცია კვებეკში.

იმის გამო, რომ გერმანიისა და შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსები უფრო გვიან იქნა მიღებული, ვიდრე ფრანგული, მათ აღარ დარჩათ გავრცელების ისეთი არეალი, როგორც ფრანგულ კოდექსს ჰქონდა. მიუ-

<sup>11</sup> Heinsheimer. Die Zivilgesetze der Gegenwart. Bd. III Brasilien 1928

ხედავად ამისა. შვეიცარიელების კოდექსმა დიდი გავლენა მოახდინა ბრაზილიის (1916), თურქეთისა (1926) და ჩინეთის (1929-31) სამოქალაქო კოდექსებზე. რაც შეეხება გერმანულ სამოქალაქო კოდექსს, იაპონელებმა იგი უმაღლვე გადაიღეს და უფრო ადრე ამოქმედეს (1898 წელს), ვიდრე ამას გერმანელები საკუთარ სამშობლოში გააკეთებდნენ. იაპონიის მეშვეობით იგი კორეაშიც დაგვიკვირდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოციალისტურ ქვეყნებს, XX საუკუნეში სამოქალაქო სამართლის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი კოდიფიკაცია განხორციელდა გვატემალაში (1963 წელს), ბოლივიაში (1976 წელს), პერუში (1984 წელს), პარაგვაისა (1987 წელს) და კვებეკში (1991 წელს).<sup>52</sup>

კონტინენტური ევროპის სამართალში სამოქალაქო სამართლის უახლეს კოდიფიკაციად მაინც პოლანდიის ახალი სამოქალაქო კოდექსი ითვლება, რომლის შემუშავება ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან დაიწყო და მისი დიდი ნაწილი უკვე მიღებულია კანონად, თუმცა მუშაობა საბოლოოდ ჯერ არ დამთავრებულა.

## §7. საქართველო და სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია

ისტორიული ბელუჯუმართობის გამო დიდი კოდიფიკაციების პროცესში საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია.<sup>53</sup> მაგრამ უთუოდ იმსახურებს უდიდეს ყურადღებას ვახტანგ VI-ის დროინდელი სამართალშემოქმედებითი საქმიანობა. დროით ის იმ ეპოქას ემთხვევა, რომელმაც დასავლეთ ევროპაში თანამედროვე სამართალსა და სახელმწიფოს მოუძაღდეს საფუძველი. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შექმნის ისტორია, სამწუხაროდ, სრულყოფილად არ არის გამოკვლეული და სამართლის ისტორიკოსთა კვლევებს ელოდება. ერთი რამ აშკარაა: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იმ კულტურულ სამყაროსთან დაახლოების მცდელო-

<sup>52</sup> Druhnig, Ulrich. Das neue niederländische bürgerliche Gesetzbuch aus vergleichende und deutscher Sicht in: European Review of Private Law 1: 1993, S. 171

<sup>53</sup> საქართველოში სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიის საკითხებს მიუხედავად თავისი ბრწყინვალე გამოკვლევა „პროფესორმა პესარიონ ზოიძემ: სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძიებები საქართველოში „სამართალი“, 1996 წ., №5-6, გვ. 54-61 ამიტომ მთზე დაწერილებით არ შეგუწრდები; და მხოლოდ რასდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის განხილვით შემოვიყარგვლები

ბაა, რომელსაც ასე ამოვად ესწრაფვოდა საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის არსებობას უფრო მეტი დრო დაანათლა ისტორიამ, ვიდრე ქართულ სახელმწიფოს. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომაც არ შეუწყვეტია მას არსებობა და მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქნა გაუქმებული. კერძოდ, ვახტანგ VI-ის კანონები მოქმედებდა ქართლში, იმერეთსა და გურიაში 1859 წლამდე, ხოლო სამეგრელოში – 1870 წლამდე. ამის შემდეგ საქართველოში მკვიდრდება რუსეთის იმპერიის საერთო კანონები, თუმცა ქართული სამართლის ზოგი ნორმა მაინც ინარჩუნებდა ძალას.<sup>54</sup>

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდიფიკაციის საკითხში არც რუსეთს სწყალობდა ბედი. ი.ა. პოკროვსკი სინანულით ამბობდა, რომ რუსეთი განზე იდგა ამ საერთო ევროპული განვითარებისაგან.<sup>55</sup> სპერანსკის მიერ მომზადებული სამოქალაქო კოდექსის პროექტი კარამზინის კრიტიკის შედეგად უარყოფილ იქნა. სპერანსკის პროექტი ემყარებოდა ფრანგულ სამოქალაქო კოდექსს და იმის გამო, რომ რუსეთმა დიდი ომი გადაიტანა საფრანგეთის წინააღმდეგ, კანონის პროექტი „ფრანგულობისა“ და „ნაპოლეონისეულობის“ გამო დაწუნებულ იქნა.<sup>56</sup>

არათუ XIX საუკუნეში, ამ საუკუნის დასაწყისშიც ვერ გადაეწყვიტა რუსეთს, მიუღო თუ არა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ უკვე პრაქტიკულად მზად იყო.<sup>57</sup> ის, რისი გაკეთებაც ვერ მოხერხდა რევოლუციამდელ რუსეთში, ბოლშევიკებმა თავიანთი გამარჯვების შემდეგ 1922 წელს სოციალისტური სამოქალაქო კოდექსით დააგვირგვინეს.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ბოლო კოდიფიკაცია სამოციანი წლების დასაწყისში განხორციელდა. მის შედეგად მიღებულ იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები. მათ საფუძველზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და, მათ შორის, საქართველომაც მიიღო სამოქალაქო სამართლის კოდექსები.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში ასევე მომზადდა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, რომელთაც ცხოვრებაში დანერგვა არ დასცალდათ.

<sup>54</sup> ჯორბენაძე ს. ქართული სამართალი რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“. თბ., 1995, გვ. 211. Мейер Д. И. Русское гражданское право. 1902. С. 22-23.

<sup>55</sup> Покровский И. А. Основные проблемы гражданского права. 1917. С. 26.

<sup>56</sup> Покровский И. А. Основные проблемы. С. 28.

<sup>57</sup> Синайский. Необходимо ли нам спешить с изданием гражданского уложения? 1911.

1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების საკითხი. იმავე წელს შეიქმნა სამოქალაქო კოდექსის შემუშავებელი სამთავრობო კომისია პროფესორ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. კომისია შედგებოდა როგორც მეცნიერი, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისაგან. ამან კიდევ უფრო საინტერესო გახადა კოდექსის შექმნის პროცესი. მრავალრიცხოვან დისკუსიებში, რომლებიც რეალური ცხოვრების სამოქალაქო სამართალთან დაკავშირების სურვილს ასახავდნენ, იხადებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი. კომისიის წევრთა უპირველესი საზრუნავი, რომ სამოქალაქო კოდექსი ყოფილიყო რეალურად მოქმედი, ცოცხალი კანონი, მთლიანად განსაზღვრავდა იმ სულისკვეთებას, რომელიც ლაიტმოტივად სდევს სამოქალაქო კოდექსს.

1991 წლის ბოლოს თბილისში მომხდარმა გადატრიალებამ, რომელსაც შედეგად ქვეყნის პრეზიდენტის შეიარაღებული დამხობა მოჰყვა, და 1992-1994 წლების სამოქალაქო ომმა დიდად შეუშალა ხელი სამოქალაქო კოდექსზე მუშაობას. თუმცა, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, კომისიას არც ერთი დღით არ შეუწყვეტია საქმიანობა.<sup>58</sup>

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ქართული სამართლის მეცნიერება მოწყვეტილი იყო დასავლეთის, განსაკუთრებით კონტინენტური ევროპის სამართლის მიღწევების გაცნობის შესაძლებლობას, არადა სამოქალაქო კოდექსი სწორედ დასავლეთის ქვეყნების მიერ აღიარებული და აშენებული საზოგადოების იურიდიული საფუძველია, აუცილებელი გახდა კონტაქტების დამყარება უცხოელ კოლეგებთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნის მეოცნებე და თავდადებულ ადამიანთა ჯგუფს ბედმაც გაუღიმა. 1993 წლიდან დაიწყო ინტენსიური კონსულტაციები და თანამშრომლობა გერმანულ კოლეგებთან ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის როლფ კნიპერის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა და განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიიღო, მომრავლდა ე.წ. ტურისტული კონსულტანტების რაოდენობა. მათი კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების დონის განსაზღვრა ხშირად საკმაოდ რთული იყო. ამან კი ბევრი უარყოფითი შედეგი მოუტანა ქვეყანას. განსაკუთრებით ითქმის ეს ზოგიერთ ამერიკელ

<sup>58</sup> აი. რას წერდა პროფესორი სერგო ჯორბენაძე ამასთან დაკავშირებით: „უაღრესად ძნელი ვითარების მოუხდაკად. ჩვენი თაობის ქართველ ციცილისტებს გვხვდა ბუნებრივმა უკვე შესაძლებელი წესით. მთელი ძალისხმევით ჩავეყვსოვა ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავების საქმეში. ბევრ ქართველ ციცილისტს ენატრებოდა ეს დრო“. ს. ჯორბენაძე, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. სამართლის რეფორმა საქართველოში. 1994. გვ. 139

იურისტზე, რომლებიც ნებისთ თუ უნებლიეთ ცდილობდნენ საერთო სამართლის პრინციპების დანერგვას საქართველოში, რაც სრულიად უცხო იყო ჩვენი სამართლის სისტემისათვის. ამიტომ გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობა მართლაც დიდი სიკეთე იყო კოდექსის შემუშავებელი კომისიისათვის.

1993 წლის შემოდგომაზე კომისიამ გერმანელ ექსპერტებს წარუდგინა სამოქალაქო კოდექსის პროექტის პირველი ვარიანტი, რომელიც ითარგმნა გერმანულად. ამ პროექტის ექსპერტიზის საფუძველზე 1994 წლის დასაწყისში შემოთავაზებულ იქნა კოდექსის ცალკეულ ნორმათა ვარიანტები. თითოეულ მუხლზე, თითოეულ წინადადებაზე მიმდინარეობდა ძალიან ინტენსიური მუშაობა. მეტად მნიშვნელოვანი იყო კოდექსის ენის საკითხი.<sup>59</sup> ქართულ სამართალს ადრე არ უხდებოდა იმ ურთიერთობაშია მოწესრიგება, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების პირობებში წარმოიშობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ საკანონმდებლო ენის პრობლემა ერთი ურთულესი იყო მუშაობის პროცესში.

1995 წლის დეკემბერში სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული სამოქალაქო კოდექსის პროექტი გადაეცა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ხოლო 1996 წლის გაზაფხულზე მინისტრმა პროექტი წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში შეტანილი კოდექსი პირველი მოსმენით მიღებულ იქნა 1996 წლის ივნისში.

სამოქალაქო კოდექსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ კოდექსის ტექსტზე არც პარლამენტში შეწყვეტილა მუშაობა. თითქმის წელიწადი მოანდომა პარლამენტმა პროექტის განხილვას. არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელიც დეტალური განხილვის საგანი არ ყოფილიყო.

1997 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – პირველი სამოქალაქო კოდექსი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.<sup>60</sup>

კოდექსზე მუშაობას არა მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის ან წმინდა სამართლებრივი საკითხები ართულებდა სამოქალაქო კოდექსი პოლიტიკური ზრახვების განხორციელების საშუალებადაც იქცა. ღსთ-ს სა-

<sup>59</sup> სამოქალაქო კოდექსის საბოლოო ტექსტის შემუშავებაში სარედაქციო ჯგუფის წევრებიან კოდად სამური მოხლოძე და გულისხმოვანა გამოიჩინა ცნობილი უნათმეცნიერმა ქალბატონმა შუკია აფრილონიძემ ასევე უნდა აღვნიშნო ქალბატონ ლიანა კაკელიას ღვაწლი

<sup>60</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ისტორია. აღბათი, ცალკე დაწერება და ამ დღე საშეიღობილო საქმესთან დაკავშირებული ბევრი ფაქტი იქ მოკვებს ასახვას



მეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც შეიმუშავებდა დსთ-ს მოდელურ სამოქალაქო კოდექსს, ცდილობდა კომისიისათვის თავს მოეხვია თავისი პროექტი. სამწუხაროდ, ზოგი ჩვენი თანამემამულე შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ დსთ-ს დამქაშებისათვის მიეწოდებინა უარყოფითი ინფორმაცია კომისიის თანამშრომლობის შესახებ ევროპელ კოლეგებთან.<sup>61</sup> ამან გააძლიერა პოლიტიკური ზეწოლა. დამოუკიდებელი სამოქალაქო კოდექსის შემუშავება მიიჩნეოდა დსთ-ს პრინციპებისაგან გადახვევად და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან ხშირად დსთ-ს მოდელური კოდექსის მიღებას მოითხოვდნენ. ამან წააქეზა კომისიის ზოგი წევრი და მათ პრაქტიკულად შეწყვიტეს კომისიასთან თანამშრომლობა იმ იმედით, რომ მაინც დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსი იქნებოდა მიღებული.

ზეწოლის სხვადასხვა ფორმების მიუხედავად, კოდექსის შემუშავებულ სარედაქციო ვერსიას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმედი, რომ საქართველოს თავისი კოდექსი ექნებოდა. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის პრინციპულობამ და პატრიოტიზმმა გაუძლო გარეშე ძალთა ზემოქმედებებს. დღეს საქართველოს თავისი სამოქალაქო კოდექსი აქვს.

## §8. სამოქალაქო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

### *I. სამართლის სისტემის ელემენტები: კერძო და საჯარო სამართალი*

რომის სამართლის ეპოქიდან კონტინენტური ევროპის იურიდიული მეცნიერება სამართალს კერძო და საჯარო სამართლად ჰყოფს. ამგვარი სისტემატიზაცია ასახავს სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობათა ხასიათსა და შინაარსს. საზოგადოება ურთიერთპასუხისმგებლობის შეგნების მქონე ადამიანთა ერთობლიობაა. მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობები განსხვავებული ხარისხითა და ინტენსივობით მოითხოვენ მოწეს-

<sup>61</sup> მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ წარმომადგენლობით სხდომაზე პროფესორმა გივი ინწორველმა ენერგიულად დაიცვა ქართული სამოქალაქო კოდექსის პროექტი და დასაბუთებელი ძისუხი გასცა რუსი კოლეგების ბრალდებებს.

რიგებას. ერთი მათგანისათვის საკმარისია მონაწილეთა ურთიერთშეთანხმება. მათი ინტერესების შეთანხმწორება (მაგალითად, ნასყიდობის დროს), სხვა ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია საჯარო ხელისუფლების ორგანოსადმი დამორჩილება (მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა). *სამართლის იმ ნაწილს, რომელიც ინდივიდებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს, კერძო სამართალი ეწოდება. ხოლო, სახელმწიფო ორგანოთა მიერ საჯარო ხელისუფლების აღსრულების პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობათა მარეგულირებელ სამართალს – საჯარო სამართალი.*

სამართლის კერძოდ და საჯაროდ დაყოფა წარმოაჩენს იმ ფუნქციას, რომელსაც სამართალი ასრულებს საზოგადოებაში. ესაა კერძო და საზოგადო ინტერესებს შორის კარმონიულობის მიღწევა. როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, კერძო ინტერესები, კერძო გამოცდილება და ინსტიტუტები გაცილებით უფრო მყარი და სტაბილურია, ვიდრე – საჯარო. ეს უკანასკნელი ისტორიული პროცესის კვალობაზე ხშირად და მნიშვნელოვნად იცვლება. მაგალითად, რომის სამართალში ჩამოყალიბებული ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლისა და ა.შ. ინსტიტუტები თითქმის თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილან და არსებითად არც მომავალში შეიცვლებიან, მაშინ როცა საჯარო სამართლებრივმა ინსტიტუტებმა მრავალი ცვლილება განიცადა: ესაა სახელმწიფოს ფორმები, ადამიანისა და მოქალაქის უფლებები, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები და ა.შ. ალბათ, ამან ათქმევინა გუსტავ რადბრუხს, რომ „კერძო სამართალი ქმნის ძნელადშესარყევ (schwerbewegliche) ფუნდამენტს, სახელმწიფო სამართალი კი – ცვალებად „ზუნდნაშენს“.<sup>62</sup> საინტერესოა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ევროპის კონტინენტზე სამართლად მხოლოდ კერძო სამართალი ითვლებოდა.<sup>63</sup> თავის მხრივ, საჯარო სამართალი გაცილებით ახლოს დგას „პოლიტიკურ“ ცხოვრებასთან, ვიდრე კერძო სამართალი.<sup>64</sup> მისი მოქმედების სფერო მეტად ფართოა და ცვალებადი. ამიტომ, საჯარო სამართალში რეალურად შეუძლებელია იმგვარი „დახურული კოდიფიკაციის“ განხორციელება, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსების ფორმით გვაქვს კერძო სამართალში. მაგალითად, XIX-XX საუკუნეების განმავლობაში საფრანგეთში სახელმწიფოს ფორმა არაერთგზის შეიცვალა, კერძოდ, მონარქიას რესპუბლიკა ცვლიდა, რეს-

<sup>62</sup> Radbruch, Gustav. Einführung in die Rechtswissenschaft. 11. Aufl. 1964. S.87.

<sup>63</sup> რენე დაიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. 1993წ. გვ.82.

<sup>64</sup> Unruh, Georg-Christoph von. Grundkurs Öffentliches Rechi. 4. Aufl. 1991. S.4.

პუბლიკის – მონარქია. მაგრამ ISO-4 წელს მიღებული სასოქალაქო კოდექსი დღემდე ძალაშია. მეოცე საუკუნის მანძილზე გერმანიის საჯარო სამართალი, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც შეიცვალა ძირულად მაშინ, როცა კერძო სამართალს ამგვარი რევოლუციური გარდაქმნები არ განუცდია უფრო მეტიც: იქ გასული საუკუნის ბოლოს მიღებული ბევრი კანონი დღემდე მოქმედებს. სამოქალაქო კოდექსის გარდა, ამის მაგალითად გამოდგება კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ. საჯაროსამართლებრივი ნორმები ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია. ეს ნიშნავს, რომ საჯარო სამართლის ნორმას ბევრად განსაზღვრავს პოლიტიკური ვითარება, პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ამა თუ იმ საზოგადოებაში.

კერძო სამართალი აწესრიგებს ცალკეულ პირთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, რომლებიც დამოუკიდებლობისა („კერძო ავტონომია“) და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზეა დამყარებული. კერძოსამართლებრივისაგან განსხვავებით საჯაროსამართლებრივი არ ეფუძნება მონაწილეთა თანასწორუფლებიანობას. ეს არის ხელისუფლებისა და ურთიერთდაქვემდებარების წესრიგი. რადრუხი ასე ახასიათებს ამ განსხვავებას: „... როცა ვალდებულება სხვისი ბრძანების შემთხვევით აღმოცენდება, იგი არის სწორედ საჯარო სამართალი, მაშინ როცა კერძოსამართლებრივი ვალდებულებები ვალდებული პირის თვითდამორჩილების შემთხვევით წარმოიშობა“.<sup>65</sup> იუსტინიანეს დიგესტებში კი საჯარო სამართლის არსი ასეა ჩამოყალიბებული: „საჯარო სამართალი არ შეიძლება შეიცვალოს კერძო პირთა ხელშეკრულებებით“.<sup>66</sup>

სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად არაა საკანონმდებლო, ე.ი. პოზიტიურსამართლებრივი კლასიფიკაცია. იგი მეცნიერულ კატეგორიას წარმოადგენს; თუმცა კანონმდებლობაში აისახება ის თანაფარდობა, რაც არსებობს სამართლის ამ ორ ნაწილს შორის. ამავე დროს, კანონმდებლობა წარმოაჩენს საზოგადოებაში გაბატონებულ წარმოდგენებს კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართების შესახებ, საზოგადოების მოთხოვნილებას ამ ურთიერთობათა შეკვეცა-გაფართოების სფეროში, დაბოლოს, ღირებულებათა იმ სისტემას, რომელსაც ემყარება მოცემული საზოგადოება. მაგალითად, XVIII საუკუნის დასასრულიდან დასავლეთ ევროპაში წარმოშობილი სამართლებრივი სისტემები უაღრესად ინდივიდუალისტური იყო. ისინი ემყარებოდნენ პიროვნების თავისუფ-

<sup>65</sup> Radbruch, Gustav. Einführung in die Rechtswissenschaft S. 88 ბ

<sup>66</sup> Директы Юстиниана. М. Наука 1984 С 65

ლებისა და მისი დამოუკიდებლობის იდეებს. შესაბამისად, დიდი იყო კერძო სამართლის როლი. რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ სრულიად სხვა ღირებულებები დაამკვიდრა: უკანონოდ აღიარა ინდივიდუალიზმი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტად კოლექტივიზმი გამოაცხადა. ამან, ცხადია, გამოიწვია კერძო სამართლის როლის არათუ შემცირება, არამედ — საბოლოო მოსპობა. მისი ადგილი დაიკავა ტოტალურმა საჯარო სამართალმა. ამის შედეგად კლასიკური კერძო სამართლებრივი ინსტიტუტები (საკუთრება, ნასყიდობა, მემკვიდრეობა და ა.შ.) პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გახდა დამოკიდებული.

კერძო და საჯარო სამართლის თანაფარდობაზე მსჯელობისას აღსანიშნავია ორი უკიდურესი მსოფლმხედველობა. ისინი სოციალური რეგულირების ამ ფორმების მიმართ არაორდინალური მიდგომით გამოირჩევიან: მარქსისტულ-ლენინური (ანუ კომუნისტური), რომელიც საერთოდ არ აღიარებს კერძო სამართალს, სპობს რა მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ინსტიტუტს — კერძო საკუთრებას. მეორე უკიდურესი მსოფლმხედველობა ანარქიზმი. იგი უარყოფს ყოველივე სახელმწიფოებრივის არსებობას, უფრო სწორად, სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას, აღიარებს მხოლოდ „თავისუფალი ხელშეკრულებების“ გაბატონებას და ამით ყველაფრის გარდაქმნას კერძო სამართლად.

სოციალისტური სამართლის სისტემა ერთადერთია კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციების საფუძველზე წარმოშობილ სამართალთა შორის, რომელმაც უარყო კერძო სამართალი. სამართლის სისტემის შესახებ დისკუსია ერთ-ერთი უმთავრესი იყო 20-იანი წლების საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში. სტუჩკას,<sup>67</sup> მაგეროვსკის,<sup>68</sup> კურსკის<sup>69</sup> შრომები მიზნად ისახავდნენ სამართლის ახალი ტიპის — პროლეტარული სამართლის წარმოშობის დასაბუთებას და, ამ ასპექტით, სამართლის სისტემის გაანალიზებას. ხსენებული დისკუსიის დროს გამოიკვეთა სამი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული შეხედულება.

პირველი მათგანი აღიარებდა სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად და მას ყველა სამართლისათვის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევდა. ეს შეხედულება პირველად ჩამოაყალიბა ბერმანმა. მისი აზრით, საჯარო სამართალი იმოქმედებდა ნაციონალიზებული საწარმოების

<sup>67</sup> Стучка П. Революционная роль права и государства. Изд. 2-е. 1923ю С.148-150.

<sup>68</sup> Магеровский Д. Советское право и методы его изучения. Советское право. 1922.

1. С. 32-34.

<sup>69</sup> Курский И. Ближайшие задачи изучения советского права. Советское право. 1922.

1. С. 32-34.

მიმართ, ხოლო კერძო — დამოუკიდებელი და არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიმართ.<sup>70</sup>

მეორე თვალსაზრისის წარმომადგენელთა აზრით, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად მიუღებელია, როგორც იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული სამართლისათვის, ასევე საბჭოთა სამართლისთვისაც. ამ შეხედულებას ავითარებდა გოიხბარგი. მისი თვალსაზრისით, ამგვარი დაყოფა მიუღებელი იყო საბჭოთა სამართლისათვის, ვინაიდან სამეურნეო საქმიანობის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ხელში იყო თავმოყრილი.<sup>71</sup>

მესამე კონცეფციას საფუძვლად დაედო ლენინის ცნობილი სიტყვები: „ჩვენ არაფერს „კერძოს“ არ ვცნობთ, ჩვენთვის მეურნეობის სფეროში ყველაფერი არის საჯაროსამართლებრივი და არა კერძო“. ამ თეორიას მხარი დაუჭირეს სტუქჩამ, რეისნერმა, ბრანდერბურგსკიმ და სხვებმა. ამის შედეგად საბჭოთა იურისპრუდენციამ, ფაქტობრივად, უარყო კერძო სამართალი და საჯარო სამართალი ერთადერთ გაბატონებულ ფორმად გამოაცხადა.<sup>72</sup> მოგვიანებით საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში კერძო სამართალი ექვევარეშედ იქნა მიჩნეული ბურჟუაზიული სამართლის ინსტიტუტად და საბჭოთა სამართლისათვის მიუღებლად.<sup>73</sup>

საჯარო სამართლის მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ იგი არის სახელმწიფოს საჯარო ნების ქმნილება და, ამავე დროს, ამ ნებისათვის ზღვარდამდები. მართალია, სახელმწიფო თავის საჯარო ნებას სამართლის ფორმით გამოხატავს, მაგრამ ამ ნების გამოხატვის პროცესში იგი არ არის შეუზღუდავი. მისი საქმიანობის ჩარჩოებს სწორედ საჯარო სამართალი განსაზღვრავს. მხოლოდ ამ ფარგლებში შეუძლია სახელმწიფოს „ბატონობის“ განხორციელება. ეს აუცილებელი პირობაა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ამასთან, „ზღვარი“ ხშირად პირობითია, ვინაიდან ძნელია მისი ზუსტად შემოფარგვლა. ამიტომ ამგვარი შეფასების კრიტერიუმად შეიძლება საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების გარანტირებულობა და მათი ხელშეუხებლობა იქნეს გამოყენებული, როგორცაა ადამიანის ღირსება, სიცოცხლე, საკუთრება და ა.შ. საჯარო ხელი-

<sup>70</sup> Берман Я. Мирклизм и Гражданский кодекс. Советское право. 1922. 3. С. 92. 1922. 3. С. 92. ნაწილობრივ ამ მასაზრებას მხარს უჭერდნენ პაშუკანისი, კონილოვი, ნაუშოვი. იხ. დასახ. ნაშრომები.

<sup>71</sup> Гойхбарг А. Хозяйственное право РСФСР. Т. 1. 1923. С. 6.

<sup>72</sup> Плотинские А.А. Становление и развитие марксистско-ленинской общей теории права в СССР. Рига. 1978. С. 200-201.

<sup>73</sup> Голунский С.А., Строгович М.С. Теория государства и права. М. 1940. С. 284-285. იგივე შეხედულება იყო განმტკიცებული საბჭოთა კავშირში გამოცემულ სახელმწიფოსა და სამართლის ყველა სახელმძღვანელოში.

სუფლესა, რომელიც ხელყოფს ამ ღირებულებებს მათი გაუქმების გზით ანდა არსებითი შეზღუდვის მეშვეობით, ამით სპობს კერძო სამართალსაც.

განსხვავება კერძო და საჯარო სამართალს შორის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამართლის ცნების განსაზღვრისას, არამედ მისი იდეის ანალიზისას. რადბრუხისათვის სამართლის იდეას სამართლიანობა შეადგენს. ეს იდეა კერძო და საჯარო სამართლის განსხვავების განხილვისას ამგვარ ხასიათს იღებს: ან სამართლიანობა თანასწორუფლებიანთა შორის თუ სამართლიანობა ხელისუფლებისა და ურთიერთდაქვემდებარების ურთიერთობებში?<sup>74</sup> ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის ძებნის პროცესი განსხვავებულ მსოფლმხედველობებს ბადებს. ისინი კომუნიზმისა და ანარქიზმისაგან არარადიკალურობით გამოირჩევიან. მაგალითად, *ლიბერალიზმი* აშკარა უპირატესობას ანიჭებს კერძო სამართალს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, კერძო საკუთრებას ემყარება და ამით სამართლის იდეის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას შეადგენს. *ზეინდივიდუალისტურ-კონსერვატიორული* მსოფლმხედველობის მიხედვით, სამართლის იდეის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი საჯარო სამართალია: ამის საფუძველს ქმნის სახელმწიფოს უპირატესობა ინდივიდების წინაშე და ამით ეკონომიკურად სუსტების დაცვის შესაძლებლობა.

სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად მიჩნეულია კონტინენტურ ევროპაში პროგრესული სამართლებრივი კულტურის არსებობის დასტურად და მართლწესრიგის მადალი დონის მაჩვენებლად.<sup>75</sup> ეს აზრი უფრო ადრეც იყო ხაზგასმით გამოთქმული: „ორგანიზებული საზოგადოებები არსებობენ მხოლოდ კერძო და საჯარო სამართალში“.<sup>76</sup>

## II. კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული მეცნიერება ერთხმად აღიარებს სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად, ერთმანეთისგან მათი გამიჯვნა არცთუ ისე იოლია. ისინი არ უნდა წარმოვიდგინოთ ერთმანეთისგან იზოლირებულ, მკაცრად გამიჯნულ მოვლენებად. ამგვარი გახ-

<sup>74</sup> Radbruch Gustav Rechtsphilosophie, 6 Aufl 1963 S 225

<sup>75</sup> Stern Klaus Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland Bd I 2 Aufl München 1984 S 6

<sup>76</sup> Burkhardt Walter Die Organisation der Rechtsgemeinschaft 2 Aufl 1944, Nachdruck 1971 S. 17

ლესა პრაქტიკულად შეუძლებელია. განსაკუთრებით საგრძნობია ეს თანამედროვე სამართლის კვლევისას, ვინაიდან კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები და ურთიერთობები მეტად მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის საკითხმა დიდი მნიშვნელობა პირველად გასულ საუკუნეში შეიძინა, როცა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შედეგად დამკვიდრებული მიწის თავისუფალი საკუთრება, საჯარო ინტერესების შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ამის შესახებ სამოქალაქო სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პედემანი შემდეგს წერდა: „ამ საყოველთაო იდეების პრაქტიკაში განხორციელებისას დადგა კერძო და საჯარო სამართალს შორის მეცნიერული გამოიჯვნის საკითხი. რეფორმები კრიტიკულად შეეხო როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართალსაც. ამის გამო საკუთრების საკითხის განხილვა არ ამოიწურება მხოლოდ კერძო სამართლით. იგი თანაბრად ეხება საჯარო სამართალსაც“.<sup>77</sup>

მრავალი ინსტიტუტი, რომელიც ადრე უეჭველად მიეკუთვნებოდა კერძო სამართალს, შეცვლილი საზოგადოებრივი და ისტორიული პირობების კვალობაზე საჯარო შინაარსით შეივსო. ამის შედეგად მათ, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, გადაინაცვლეს საჯარო სამართლის სფეროში. წარმოიშვა ინსტიტუტების მთელი ჯგუფი, ხშირად – სამართლის მთელი დარგებიც, რომლებიც ცალსახად არ მიეკუთვნება არც საჯარო, ასევე, არც კერძო სამართალს. კერძო და საჯარო სამართლის გამოიჯვნის საკითხმა წმინდა თეორიულ მსჯელობათა სფეროდან პრაქტიკის არეალში გადაინაცვლა. ამ განსხვავების აუცილებლობა განსაკუთრებით იგრძნობა მართლმსაჯულების სისტემათა განვითარების ფონზე, რაც გამოიხატება კერძო და საჯარო სამართლებრივ უფლებათა დამკველი სხვადასხვა სასამართლოების არსებობით. გამოიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ორ საკითხში ვლინდება: ა) რომელი სამართლის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში; ბ) რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული დეა.<sup>78</sup> უკიდურესად დახლართული საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში მეორე საკითხის გადაწყვეტა ხშირად რთულდება. კერძო და საჯარო სამართლის გამოიჯვნა არის „დოგმატური საკითხის დასმა“, რომელსაც მხო-

<sup>77</sup> Hedemann, Justus Wilhelm, Die Fortschritte des Zivilrechts im XIX Jahrhundert II Teil, I Hb. 1968, S 15

<sup>78</sup> Brox, Hans, Allgemeiner Teil des BGB 15. Aufl 1991, S. 8-9.

ლოდ კონკრეტული მართლწესრიგისთვის აქვს მნიშვნელობა.” ამ მართლწესრიგის შიგნით კი იგი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაციის საფუძველია.<sup>10</sup>

იუსტიციანეს დიგესტებში ჩამოყალიბებული კლასიკური დებულება კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯენის შესახებ (რომ კერძო სამართალი აწესრიგებს კერძო ინტერესებს, საჯარო — საჯარო ინტერესებს) უკვე კარგა ხანია ვეღარ ხსნის ამ ურთულეს საკითხს. თანამედროვე სამართლის მეცნიერებისათვის კერძო და საჯარო სამართლის გამიჯენისადმი ასეთი მარტივი მიდგომა წარსულის კუთვნილებაა.

კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯენის პრობლემა გახსხვაებული თეორიების წარმოშობის საფუძველი გახდა. მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულია: *ინტერესების, სუბორდინაციისა და სუბიექტების თეორიები*.

ისტორიულად *ინტერესების თეორიას* საფუძველად დაედო ულპიანეს ცნობილი ციტატა დიგესტებიდან „Publicum ius est quod ad statum rei Romanae spectat, privatum quod ad singulorum utilitatem“. ამ თეორიის მიხედვით, გამიჯენისათვის გადამწყვეტია, სამართლებრივი რეგულირებისას თუ ვისი ინტერესები დგას წინა პლანზე: ერთეულთა, კერძო ინტერესები თუ ე.წ. საჯარო ინტერესები. კარლ ლარენცის აზრით, ეს კრიტერიუმი მიუღებელია, ვინაიდან არცთუ იშვიათად კერძო სამართალი იცავს არა მხოლოდ ცალკეულ პირთა ინტერესებს, არამედ, იმავდროულად, საჯარო ინტერესებსაც, მაგალითად, მართლმსაჯულების, სამართლებრივი ურთიერთობების ადვილად გამოცნობისა და განსაზღვრის ინტერესები (საჯარო რეესტრი, გარიგებათა ფორმის დაცვის ნორმები), სოციალური დაცვის ინტერესები შრომის სამართალში და ა.შ. თავის მხრივ, არც საჯარო სამართალი შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით. ხშირად იგი ცალკეულ პირთა ინტერესების დაცვას ემსახურება. ამ ინტერესების უზრუნველყოფისათვის ინდივიდებს აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოყენების უფლება. ბოლოს და ბოლოს, ლარენცის აზრით, როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართალში ლაპარაკია არა განსაზღვრული ინტერესების დაცვაზე, არამედ ინტერესების შესაბამის გაწონასწორებაზე, სამართალსა და სამართლიანობაზე.<sup>11</sup>

<sup>10</sup> Schmidt, Dtef. Die Unterscheidung von privatem und öffentlichem Recht. Baden-Baden. 1985. S. 24.

<sup>11</sup> იქვე. გვ. 56.

<sup>12</sup> Larenz. Karl. Allgemeiner Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. §1.



ინტერესების თეორიას, ლარენცის გარდა, სხვა ბევრი კრიტიკოსი ჰყავს.<sup>12</sup> ასე, მაგალითად, გამოყოფენ სამ გარემოებას, რომელთა გამო ეს მოძღვრება ხშირად გამოუსადეგარი ხდება.

ჯერ ერთი, მართალია, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მოქმედებენ საჯარო ინტერესებისათვის, მაგრამ საჯარო სამართლის ფორმებს ისინი მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ. მაშინაც კი, როცა მმართველობის ორგანოები კერძოსამართლებრივ ფორმებს იყენებენ (რისი უფლება მათ აქვთ), ისინი ამით უზრუნველყოფენ საჯარო ინტერესებსაც.

მეორე, აგრეთვე კერძო პირებსაც შეუძლიათ კერძო სამართლის ფორმების გამოყენებით საჯარო ინტერესები დაიცვან. მაგალითად, ბევრი საქველმოქმედო ორგანიზაცია გაფორმებულია კერძოსამართლებრივი წესით (ფონდების ფორმით), მაგრამ ემსახურება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებს და აქვს პრივილეგიებიც (უწინარეს ყოვლისა, საგადასახადო შეღავათები), რადგანაც საჯარო ამოცანებს უზრუნველყოფენ.

მესამე, საჯაროსამართლებრივი ნორმები შეიძლება ასევე კერძო ინტერესებს ემსახურებოდეს.<sup>13</sup>

ინტერესების თეორიისაგან განსხვავებით, *სუბორდინაციის თეორია* გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაში მას ბევრი მომხრე ჰყავს. დიდი ხნის მანძილზე ეს მოძღვრება აღიარებულ, „გაბატონებულ“ მოძღვრებად იყო მიჩნეული. სუბორდინაციის თეორიის თანახმად, საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთდაქვემდებარების ურთიერთობები მაშინ, როცა კერძო სამართალი აწესრიგებს თანასწორუფლებიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. ამ თეორიის ცნობილმა წარმომადგენელმა ფორსტოფმა ეს დებულება ამგვარად ჩამოაყალიბა: „საჯარო სამართალი არის პრინციპულად სუბორდინაციის სამართალი, კერძო სამართალი პრინციპულად – კოორდინაციის სამართალი“.<sup>14</sup> არსებითად ეს ასეა, მაგრამ სუბორდინაციის თეორიაც ვერ ასახავს სრულყოფილად კერძო და საჯარო სამართალს შორის განსხვავების არსს. მხარეთა თანასწორობის სფუქველზე წარმოშობილი ურთიერთობის გაფორმების სამართლებრივი საშუალება ხელშეკრულებაა. იგი მოითხოვს ყველა მონაწილის თანხმობას. ამ ურთიერთობებში შეუძლებელია, რომ ერთმა მხარემ მეორეს, (ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე)

<sup>12</sup> Finkelnburg/Jank, Vorläufiger Rechtsschutz im Verwaltungsstreitverfahren, 3. Aufl. 1986, S. 99. Schoch, Friedrich, Vorläufiger Rechtsschutz und Risikoverteilung im Verwaltungsrecht, 1988, S. 1023. von Unruh/Greve, Grundkurs Öffentliches Recht, 4. Aufl. S. 145 usw.

<sup>13</sup> JuS, 1992, S. 810.

<sup>14</sup> Forsthoff, Ernst, Lehrbuch des Verwaltungsrechts, 10. Aufl. 1973, S. 113.

რამდე ვალდებულია დააკისროს ან უფლებები შეუზღუდოს. ურთიერთდაქვემდებარების ურთიერთობებში ეს შესაძლებელია. სახელმწიფო აკისრებს ცალკეულ პირებს საგადასახადო ვალდებულებებს, მიუხედავად მათი თანხმობისა. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ზღუდავს, მაგალითად, მიწის მესაკუთრის უფლებებს. მაგრამ ამგვარი ურთიერთდაქვემდებარება შესაძლებელია კერძო სამართალშიც (მაგალითად, როცა კერძო საზოგადოების პარტნიორი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოების წესდებას საწესდებო კაპიტალში შესატანის ვალდებების თაობაზე). ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ურთიერთობებში არასრულწლოვანს შეიძლება შეეზღუდოს განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა. ურთიერთდაქვემდებარების ხასიათს ატარებს, გარკვეულწილად, ურთიერთობა მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის იმ აზრით, რომ მას (ე.ი. მესაკუთრეს) ცალმხრივი აქტით შეუძლია აღკვეთოს სარგებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი). თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საჯარო სამართალშიც შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობები, კერძოდ, ხელშეკრულების გზით. ასე, მაგალითად, კლასიკური საერთაშორისო სამართალი (რომელიც საჯარო სამართლის ნაწილია) თავდაპირველად წარმოიშვა როგორც თანასწორუფლებიან სუბიექტთა სამართალი.

აქედან გამომდინარე, თანასწორუფლებიანობა და ურთიერთდაქვემდებარება, მართალია, კერძო და საჯარო სამართლის მნიშვნელოვან თავისებურებებს გამოხატავს, მაგრამ ვერ გამოდგება იმის კრიტერიუმად, თუ რომელ სფეროს მიეკუთვნება ესა თუ ის ურთიერთობა: კერძო თუ საჯარო სამართალს.

სუბორდინაციის თეორიის მნიშვნელოვან ნაკლად მიიჩნევენ იმასაც, რომ იგი საერთოდ გამორიცხავს *საჯარო სახელშეკრულებო სამართალს*.<sup>55</sup> თანამედროვე მმართველობის ორგანოების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ხელშეკრულებები მოქალაქეებთან. ამ დროს შეუძლებელია ცალსახად იმის მტკიცება, ეს ურთიერთობები საჯარო სამართალს მიეკუთვნება თუ – კერძოს. სუბორდინაციის თეორიას მთელი ურთიერთობები, არსებითად, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობებამდე დაჰყავს. ამის შედეგად, იგი ყურადღების გარეშე ტოვებს მთელ *საორგანიზაციო სამართალს*.<sup>56</sup> ესაა ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს მმართველობის ახალი ორგანოების ჩამოყალიბების პროცესს. უეჭველია, რომ ისინი საჯარო სამართალს განეკუთვნებიან. მაგრამ სუბიექ-

<sup>55</sup> იუს.1992.ს 811

<sup>56</sup> იქვე. გვ 812

ტებს შორის ურთიერთობის ხასიათი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული.

ინტერესებისა და სუბორდინაციის თეორიებს მიიჩნევენ ე.წ. *ცირკულარულ თეორიებად*. რადგანაც ისინი ცდილობენ საჯარო სამართლის (და, შესაბამისად, სამართლის სისტემის) თავისებურებების ახსნას მატერიალური კრიტერიუმებით (ინტერესი, ურთიერთდაკავშირება).<sup>87</sup> სწრაფად ცვალებად თანამედროვე საზოგადოებაში ამგვარი მატერიალური კრიტერიუმები ხშირად გამოუსადეგარი ხდება.

თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში აღიარებული მოძღვრება ე.წ. *სუბიექტების თეორია*.<sup>88</sup> ამ თეორიის თანახმად, სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად საფუძვლად უდევს ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სტატუსი, უფრო ზუსტად ის, თუ რა უფლებამოსილება აქვს ურთიერთობის მონაწილეს. თუკი ურთიერთობაში ერთი მხარე გამოდის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლად, ეს არის საჯარო სამართალი, და პირიქით, თუ საჯარო ორგანო (მიუხედავად იმისა, რომ იგი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია) ურთიერთობებში გამოდის როგორც კერძო პირი, მაშინ საქმე გვაქვს კერძო სამართალთან. მაგალითად, ადგილობრივი მმართველობის ორგანო ყიდულობს მიწის ნაკვეთს ან იღებს სესხს. ეს ურთიერთობა მიეკუთვნება კერძო სამართალს, ვინაიდან სახელმწიფო ორგანო ამ შემთხვევაში არ არის საჯარო ხელისუფლების სუბიექტი. თუ ორი სხვადასხვა მმართველობის ორგანო ერთმანეთთან დებს ხელშეკრულებას, რომელიც მიმართულია მათი საჯარო ამოცანების შესრულებისკენ, ეს ხელშეკრულება მიეკუთვნება საჯარო სამართალს.

ამგვარად, სუბიექტების თეორიის თანახმად, გამიჯვნისათვის გადამწყვეტია ის, თუ რა ფუნქცია აქვს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს და რა ამოცანას აღასრულებს იგი ამ ურთიერთობებში.

ვეფქრობ, სუბიექტების თეორია სწორად ხსნის კერძო და საჯარო სამართალს შორის განსხვავების ხასიათსა და შინაარსს. მთავარია არა ინტერესი (რომლის გამიჯვნა ხშირად რთულია), არა სუბორდინაცია (რომლის გარკვევა ასევე ძნელია), არამედ ის ფუნქცია, რომლის მატარებლად გამოდის სუბიექტი სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, სახელმწიფო ორგანო, რომელიც ავტომანქანას იძენს, არაფრით

<sup>87</sup> Faber, Verwaltungsrecht, 2. Aufl. 1989, § 16 II, S. 122.

<sup>88</sup> პირველად ეს თეორია გერმანულ სამართალში ჩამოაყალიბა ოტო მაიერმა თავის ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელოში, რომელიც 1914 წელს მუდრე გამოცემა გამოვიდა.

განსხვავდება ავტომანქანის შემძენი მოქალაქისგან. მაგრამ სახელმწიფო, რომელიც ექსპროპრიაციის გზით ართმევს მოქალაქეს საკუთრებას, უკვე ვერ განიხილება კერძო სამართლის სუბიექტად.

თავდაპირველად ამ თეორიის დამკვიდრებას ხელს უშლიდა გერმანული სამართლის ტრადიცია, რომლის თანახმად „თვითონ სახელმწიფო კერძო პირთა თანასწორია და მათთან კერძო ურთიერთობებში მონაწილეობა“ შეუძლია.<sup>89</sup> სუბიექტების თეორია დაუმეებლად თვლიდა, რომ სახელმწიფო მეწარმედ გამოსულიყო და, ადმინისტრაციული კერძო სამართლის მიხედვით, საჯარო ამოცანების შესასრულებლად კერძო სამართლებრივი გარიგებები დაელო.

ამის გამო, სუბიექტების თეორიიდან განვითარდა ე.წ. „სპეციალური სამართლის“ თეორია, რომლის თანახმად საჯარო სამართალი არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი ყველასათვის. სახელმწიფო იყენებს კერძო სამართალს, როგორც ზოგად სამართალს, თუ აუცილებელი არ არის საჯარო სამართლის, როგორც სპეციალური სამართლის, გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ საჯარო სამართალი არ კრძალავს, სახელმწიფოს შეუძლია იყოს მეწარმე და თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ზოგადი კერძო სამართალი<sup>90</sup>, ე.ი. იმ შემთხვევებშიც, როცა სახელმწიფო საჯარო ამოცანებს ასრულებს, შეუძლია მას კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისა და ფორმების გამოყენება, თუ საჯარო სამართალი პირდაპირ არ კრძალავს ამგვარ მოქმედებას. ამ კონცეფციას განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით“. საჯარო სამართალი კი არის სახელმწიფოს სპეციალური სამართალი, კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი.<sup>91</sup>

ფაქტობრივად სპეციალური სამართლის თეორიით მოხდა სუბიექტ-

<sup>89</sup> ამ დებულების მამამთავრად მიიჩნევენ ბირლინგს: Bierling. Zur Kritik der juristischen Grundbegriffe. 2. Theil. S. 162.

<sup>90</sup> Wolff/Bachof. Verwaltungsrecht. Bd. I. 9. Aufl., 1974. § 22. II c S. 99.

<sup>91</sup> BGHZ (18.03.1964) 41.264 (267) და სხვა.

ბის თქორიის მოდიფიცირება და იგი გაბატონებულ მოსაზრებად იქცა. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო არაფრით განსხვავდება სხვა სუბიექტებისაგან. იგი ჩვეულებრივი მეწარმეა. ამიტომ ეს ურთიერთობები კერძო სამართლით რეგულირდება. საჯარო ურთიერთობებში სახელმწიფო საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელია და აქ მოქმედებს საჯარო სამართლის ნორმები, ე.ი. გადამწყვეტია ის, თუ რა ფუნქციით არიან სუბიექტები ამ ურთიერთობებში აღჭურვილნი (სუბიექტების თეორია) და მოითხოვს თუ არა ეს საჯაროსამართლებრივ რეგულირებას (სპეციალური სამართლის თეორია).

### III. კერძო სამართლის სისტემა

კერძო სამართლის შიგნით უნდა განვასხვავოთ სამოქალაქო სამართალი, როგორც *ზოგადი კერძო სამართალი*, და სხვა *სპეციალური დარგები*<sup>22</sup>. ადრე სამოქალაქო სამართალი, როგორც უკვე აღვნიშნე, მთლიანად კერძო სამართლის იდენტური იყო. ცნებები „სამოქალაქო სამართალი“ და „კერძო სამართალი“ სინონიმებად იხმარებოდა. დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი პროცესების განვითარების შედეგად, ჩამოყალიბდა სამართლის სპეციალური დარგები. ამის გამო დღეს სამოქალაქო სამართალს მიიჩნევენ ზოგად კერძო სამართლად განსაკუთრებული კერძო სამართლის მიმართ.<sup>23</sup>

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ნორმები და ინსტიტუტები არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთრივ სამოქალაქო სამართლით და ვრცელდება კერძო სამართლის სხვა დარგებზეც. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა გარიგებანი, იურიდიული პირები გამოიყენება ასევე მეწარმეთა სამართალში.

განსაკუთრებულ კერძო სამართალს განეკუთვნება: მეწარმეთა, ინტელექტუალური საკუთრების, შრომისა და საკორპორაციო სამართალი.<sup>24</sup>

<sup>22</sup> დარგის ცნებას ამ ნაშრომში ვიყენებ უფრო ფართო გაგებით. ვიდრე ეს საბჭოთა სამართალში იყო აღიარებული. მასში ეგვლისხმობ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც სამართლის ინსტიტუტზე უფრო მეტია და აქვს პრეტენზია ცალკე განიხილებოდეს. სამართლის სისტემის დარგებად დაყოფის საკითხი ცალკე პრობლემაა და აქ მას არ შევეხები.

<sup>23</sup> Baumann, Jürgen. Einführung in die Rechtswissenschaft. 8. Aufl. 1989. S.188.

<sup>24</sup> ჭანტურია ლ., კარნი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენიაძე. 70. საუბიბლო კრებული. 1996. გვ. 32-55.

კერძო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია საკორპორაციო სამართალი. იგი არის კერძოსამართლებრივი გაერთიანებების მომწესრიგებელი სამართლის ნორმათა ერთობლიობა.

სააეტორო, საპატენტო და მათი მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ასევე შეადგენენ განსაკუთრებული კერძო სამართლის ნაწილებს. სააეტორო სამართალი მთლიანად შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე წიგნად. ხოლო რაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების მეორე მნიშვნელოვან ნაწილს – სამრეწველო საკუთრებას, იგი ცალკე კანონებით მოწესრიგდება.

შრომის სამართალი, რომელიც ადრე სამოქალაქო სამართლის ნაწილი იყო, სოციალური განვითარების შედეგად ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. თავდაპირველად შრომითი ურთიერთობები მომსახურების ხელშეკრულებით რეგულირდებოდა. დღეს ეს სფერო ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქის დროინდელი შრომის კანონთა კოდექსითაა მოწესრიგებული, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა შეიცვალოს.

კერძო სამართლის ნაწილია ასევე გაკოტრების სამართალი. გაკოტრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები საქართველოში მოწესრიგებულია კანონით გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ.

საერთაშორისო კერძო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობები ასევე კერძოსამართლებრივია.

სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ბირთვია. იგი განსაზღვრავს ისეთ ფუძემდებლურ დებულებებს, რომლებიც ყველა სხვა კერძოსამართლებრივ დარგში გამოიყენება. მათ რიგს განეკუთვნება პირები, გარიგებები, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების უფლება, საკუთრების შეძენა, უფლებები მიწის ნაკვეთზე და ა.შ.

#### *IV. საჯარო სამართლის სისტემა*

საჯარო სამართალს განეკუთვნება: სახელმწიფო, კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საგადასახადო, სისხლისა და საპროცესო სამართალი. ამ დარგებში მკვლავნდება საჯარო სამართლის უმთავრესი პრინციპი: სუბორდინაცია.

საჯარო სამართლის დარგებიდან მოცულობითა და საზოგადოებაში შესრულებული როლით, სახელმწიფო სამართლის შემდეგ, განსაკუთრებული ადგილი უკავია ადმინისტრაციულ სამართალს, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილებს შეადგენს: საპოლიციო, საპასპორტო, სამშენებლო.

სასოფლო-სამეურნეო. გარემოს დაცვის, საგზაო, კომუნალური, საპოხელეო სამართალი და ა.შ.

საგადასახადო სამართალი საჯარო სამართლის სპეციალური დარგია. ფართო გაგებით, იგი შეიძლება ადმინისტრაციული სამართლის ნაწილად ჩაითვალოს. ის განსაზღვრავს მოქალაქეთა საგადასახადო ვალდებულებებს და სახელმწიფოს საგადასახადო უფლებების განხორციელების საკითხებს. საგადასახადო სამართლისაგან განსხვავებით, საფინანსო სამართალი აწესრიგებს გადასახადთა განაწილებას, საბიუჯეტო სამართალი კი – გადასახადების გამოყენებას. საგადასახადო სამართლის ძირითადი პრინციპია ურთიერთდაქვემდებარება.

საჯარო სამართალს მიეკუთვნება აგრეთვე სისხლის სამართალიც. იგი არეგულირებს სახელმწიფოს რეპრესიული უფლების წარმოშობას (მატერიალური სისხლის სამართალი) და მის განხორციელებას (ფორმალური სისხლის სამართალი: სისხლის სამართლის პროცესი). სისხლის სამართლის კუთვნილებას საჯარო სამართლისადმი ის განსაზღვრავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს სისხლისსამართლებრივი დასჯის უფლებამოსილება, ბრალდების მონოპოლია კი მხოლოდ პროკურატურას.<sup>55</sup>

სასამართლო წყობილებისა და საპროცესო სამართალიც საჯარო სამართალია. მართლმსაჯულება სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლოების მეშვეობით ხორციელდება. მათი სისტემა და ორგანიზაცია ნაწილობრივ კონსტიტუციითაა განსაზღვრული, ნაწილობრივ კი სპეციალური კანონებით. მაგალითად, კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.

საჯარო სამართლის სისტემაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალი. საბჭოთა სამართლის მეცნიერება საერთაშორისო სამართალს არ მიიჩნევდა სამართლის სისტემის ნაწილად და მას სამართლის სპეციალურ დარგად აღიარებდა.<sup>56</sup>

დაბოლოს, საჯარო სამართლის ნაწილია საეკლესიო სამართალი. იგი არის სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საჯარო-სამართლებრივ დაწესებულებას – ეკლესიასა და მის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

<sup>55</sup> Becker. Franz. Grundzüge des öffentlichen Rechts. 4. Aufl. München. 1989. S. 7.

<sup>56</sup> ალექსიძე ლეკიან. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., თსუ. 1986. გვ. 11-21.

კერძო სამართლის საფუძვლები

§1. ზოგადი მიმოხილვა

ვინც თვალს გადაავლებს სამოქალაქო სამართლისა და მისი კოდიფიკაციის გავრცელების მასშტაბებს თანამედროვე მსოფლიოში, ბუნებრივად დაებადება კითხვა: რა არის ამის მიზეზი? რით არის ის გარემოება განპირობებული, რომ ჩილედან იაპონიამდე, კვებეკიდან ლუიზიანამდე, პორტუგალიიდან თურქეთამდე სამოქალაქო სამართალი დიდი წინააღმდეგობების გარეშე გავრცელდა და საბოლოოდ დაიმკვიდრა იქ ადგილი? რატომ არის, რომ კომუნისტურ წყობილებას თავდაღწეულმა სახელმწიფოებმა უპირველესად და უსწრაფესად მოჰკიდეს ხელი სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციას? ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად ყოველგვარი მცდელობა საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსზე საუბრისა არასრული იქნება. კერძო სამართლის საფუძვლების განხილვა შესაძლებლობას მოგვცემს დაეინახოთ სამოქალაქო სამართლის ძალა და მთლიანობაში აღვიკვათ ის მარგალიტები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მუხლებშია გაბნეული. თანამედროვე სამართლის მეცნიერება უდიდეს გამოცდილებას ფლობს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დააგროვა და სამოქალაქო სამართალში აისახა.

რომის სამართლის დამსახურებას სამოქალაქო სამართლის წინაშე არაერთგზის მიუბრუნდები, მაგრამ თანამედროვე კერძო სამართლის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი XVII-XVIII საუკუნეების განმანათლებლობამ და ამის შედეგად დასავლეთ ევროპის სამოქალაქო (ბურჟუაზიულმა) რეკოლუციებმა ითამაშეს. ამიტომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, როგორც თავისუფალი საზოგადოების სამართალი, სწორედ ბურჟუაზიამ (მოქალაქეებმა) შექმნა.<sup>1</sup>

ფეოდალიზმიდან სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის ძირითადი

<sup>1</sup> Ramm, Thilo, Einführung in das Privatrecht/ Allgemeiner Teil des BGB. Band I, G 9 (შემდგომში - Ramm, Bd. I).



პრინციპები თვალნათლივ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის 1789 წლის დეკლარაციამ განამტკიცა, რომელიც დასავლეთ ევროპაში მიღებული ყველა სამოქალაქო კოდექსისათვის სულიერი საფუძველი გახდა. შესაშური სიზუსტით მოერგო პოლიტიკური დეკლარაციებით აღიარებულ თანასწორობის, თავისუფლებისა და კერძო საკუთრების პრინციპებს რომელი იურისტების მიერ შემუშავებული და ევროპელი იურისტების მიერ საუკუნეების მანძილზე ნაკვლევნი სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები. დიდი რევოლუციიდან 15 წლის თავზე, ფრანგებმა 1804 წელს, კერძო სამართლის უფლებებად აქციეს ის, რაც რევოლუციამ მათ მიანიჭა და იმავდროულად გზა დაულოცეს სამოქალაქო სამართლის თანამედროვე კოდიფიკაციის საუკუნეს. არ ცდებოდა ნაპოლეონ ბონაპარტე, როცა თავის უდიდეს დამსახურებად სწორედ ამ სამოქალაქო კოდექსის შექმნას თვლიდა, რომელსაც ისტორია დავიწყების ფერფლს არ მიაყრიდა.

ფრანგულმა რევოლუციამ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსზეც იქონია გავლენა, თუმცა კანტის ფილოსოფიის ზემოქმედება უფრო მნიშვნელოვანი იყო. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი განათლებული აბსოლუტიზმის ეპოქას განეკუთვნება. თანაც ავსტრიელებმა უფრო ადრე დაიწყეს სამოქალაქო კოდექსზე მუშაობა, ვიდრე ფრანგმა კოლეგებმა.<sup>2</sup> წინამორბედებისაგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გვიანი ლიბერალიზმის ქმნილებაა. მასში თავმოყრილია მთელი XIX საუკუნის გამოცდილება. იგი არ შექმნილა რევოლუციური ქარტეხილების ფონზე. ამიტომაც არაა ის ისეთი პოლიტიკური პათოსით გამსჭვალული, როგორც მისი ფრანგული თუ ავსტრიული წინამორბედები. „ეს არის ტექნიკურად უზადოდ შესრულებული კოდექსი, რომელიც იურისტებისთვისაა გამიზნული“.<sup>3</sup> შვეიცარიის ცივილურ კოდექსსა და ვალდებულებით სამართალს დემოკრატიული აზროვნების პროდუქტად მიიჩნევენ. ამის დასტურად კანონის პლასტიკურობასა და ნორმების გამოხატვის ფორმებს იშველიებენ.<sup>4</sup>

მიუხედავად ამ ისტორიული თუ საკანონმდებლო-ტექნიკური განსხვავებებისა, ყველა ეს კოდექსი და მათ საფუძველზე შექმნილი მრავალი სხვა ემყარება პრინციპებს, რომელთა სტაბილურობა საფუძველია თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

<sup>2</sup> Wieacker, Franz. *Privatrechtsgeschichte der Neuzeit*. 2. Aufl. Göttingen. 1967. S. 335-339.

<sup>3</sup> Ramm, Bd. I, G 11.

<sup>4</sup> Tuor/Schnyder/Schmid. *Das schweizerische Zivilgesetzbuch*. 11. Aufl. Zürich. 1995. S. 10-17.

## §2: ადამიანის. როგორც თავისუფალი პიროვნების ადიარება

ყოველი ეპოქის სამართლის ყურადღების ცენტრში ადამიანის შესაბამისი ტიპი იკავებს ადგილს. საბჭოთა სამართლის იდეალი იყო „კომუნისმის მშენებელი ადამიანი“. კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგ სამართალში გაბატონებული ადამიანი თავისუფალი ადამიანია. ამიტომაც თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. სამოქალაქო საზოგადოება სწორედ თავისუფალი პიროვნებებისაგან შედგარი საზოგადოებაა. თავისუფლების ცნება უფრო საჯარო სამართლის, კონსტიტუციური სამართლის კუთვნილებაა და სამოქალაქო სამართალში თავისუფლების ლეგალური დეფინიციები არ გვხვდება, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოვლინება სამოქალაქო სამართლის მრავალ ინსტიტუტს უდევს საფუძველად: საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება, ანდერძის თავისუფლება და ა.შ. ეს ის სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტებია, რომლებიც მხოლოდ თავისუფლების პოლიტიკურად აღიარების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამ თავისუფლებას 1789 წლის დეკლარაცია ასე განმარტავდა: „თავისუფლება მდგომარეობს იმაში, აკეთო ყველაფერი, რაც სხვებს ზიანს არ აყენებს“.

მართალია, თავისუფლების დეფინიცია სამოქალაქო სამართლისათვის უცხოა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ფრანგული რევოლუციით შობილი თავისუფლების იდეების ძალა, რომ მან გავლენა სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციაზეც მოახდინა.<sup>3</sup>

თავისუფლების ფორმულა სრულიად უსაგნო და შიშველი დაგვრჩება, თუ მას სამოქალაქო სამართლებრივ შედეგებს ან ინსტიტუტებს არ დავუკავშირებთ. ამ თავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია *მეწარმეობის თავისუფლება*: ყველას აქვს უფლება მისდევდეს მეწარმეობას. საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი, რომ ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით, ყველაზე უნივერსალური ფორმით სწორედ აქ გამოიყენება. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის მონოპოლია მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო. კერძო პირებს არ ჰქონდათ უფლება ხელი მოეკიდათ

<sup>3</sup> არაა შემთხვევითი, რომ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §317 ლაპარაკობს „ქმედების განზოციულებების თავისუფლებაზე, რომლითაც არ უნდა შეიღებოს სხვათა უფლებები“.

მეწარმეობისათვის — კქონოლათ კერძო ქარხნები, რესტორნები, მაღაზიები და ა.შ. სახელმწიფოს ამგვარმა მონოპოლიამ და კერძო პირთა უფლებების დაუსაბუთებელმა შეზღუდვებმა ქვეყანა ეკონომიკურ კატასტროფამდე მიიყვანა, რასაც შედეგად მთლიანად საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.<sup>6</sup> სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება სწორედ ის ერთ-ერთი საძირკველია, რომელზედაც აღიმართება ნორმალური სახელმწიფოს ჯანსაღი სხეული. სამოქალაქო სამართალი სამართლებრივ ფუნდამენტს ქმნის კერძო ინტერესებზე დამყარებული, კერძო ინიციატივის საფუძველზე განხორციელებული საქმიანობისათვის. მას ემსახურება ცივილური სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა გარიგება, კომერციული იურიდიული პირები, საკუთრება, გირავნობა, საავტორო უფლებები და ა.შ.

თავისუფლების აღიარება სამართლებრივ პრინციპად ნიშნავს, რომ „ინდივიდს თავის სფეროში აქვს საკუთარი სურვილისამებრ მოქმედების უფლება ისე, რომ ამის გამო მან რაიმე სამართლებრივი დანაკლისი არ მიიღოს. ... ინდივიდის უფლებრივი თავისუფლების გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენს ნების თავისუფლება“.<sup>7</sup> ნების თავისუფლება თავის მხრივ საფუძველად უდევს გარიგების თავისუფლებას, ხელშეკრულების მონაწილეთა კერძოსამართლებრივ ავტონომიას და ა.შ.

მართალია, სამართლებრივი გაგებით თავისუფლება დაბოუყიდებელია მორალისა და რელიგიისაგან, მაგრამ თავისუფლების მორალური ფარგლების დაწესება სამართლისათვის მაინც არაა უცხო. 1789 წლის დეკლარაცია განამტკიცებდა: „რაც შენ არ გსურს, რომ გაგიკეთონ, იმას ნუ გაუკეთებ ასევე სხვას“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნების გამოვლენის მასშტაბად ზნეობასაც მიიჩნევს. მაგალითად, 54-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს მიჩნეული იმ საფუძველით, რომ იგი ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ანალოგიურ ნორმებს სამოქალაქო კოდექსი სხვაგანაც ითვალისწინებს, მაგალითად, ჩუქებისა და მემკვიდრეობის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა სამართალია, თავისუფლების ფარგლები არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. თავისუფლების შეზღუდვას მოითხოვს, როგორც კერძო პირთა, ე.ი. სამოქალაქო

<sup>6</sup> სამართლიანად მიიჩნია შეზღუდვება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზად მინიჭდა წინააღმდეგობებს თვლის, მათ შორის ეკონომიკურს. და არა გარეშე ძალთა პირდაპირ ზემოქმედებას: რაღაც კნობერი. მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის თაობაზე. პროფესორ სერგო ჯორბენაძის პატრესაცხად. სერგო ჯორბენაძე. 70. სათბილეთო კრებული. თბ., 1996. გვ. 21.

<sup>7</sup> Ramm, Bd. I, G 14.

ლაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა, ასევე საჯარო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები. ერთ შემთხვევაში ამ შეზღუდვებს თვითონ კანონი აწესებს ე.წ. იმპერატიული ნორმების მეშვეობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – ხელშეკრულების მონაწილეები ნებაყოფლობით თვითვე შეიბოჭავენ თავს. ამ დროს თავისუფლების შეზღუდვა ხდება სახელშეკრულებო შებოჭვის საფუძველზე. სამოქალაქო სამართლისათვის ეს ყველაზე ტიპური შემთხვევაა.

თავდაპირველად შევეხოთ კანონის მიერ თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს კერძო სამართალში.

კანონის თანამედროვე გაგებით, რომელიც ასევე ფრანგულ რევოლუციას უკავშირდება, „კანონი ერთდროულად არის თავისუფლების დაცვა და მისი შეზღუდვა“. ამჟამად დროს, კანონმა უნდა დაიცვას ინდივიდი მთავრობის მოქმედებისაგან. საფრანგეთის 1793 წლის მეორე დეკლარაციამ ეს ამკარად განამტკიცა: „კანონმა უნდა უზრუნველყოს საჯარო და ინდივიდუალური თავისუფლება მმართველთა ზეწოლისაგან“ (მუხლი მე-9).

თავისუფალ საზოგადოებაში გაბატონებული კანონის კონცეფციიდან გამომდინარეობს რამდენიმე პრინციპი, რომელიც სავალდებულო ფარგლებს უწესებს კანონმდებელს და რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაიზიარა:

ა. კანონის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა ხელყოფდეს ზოგადად თავისუფლებას. შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი, ხოლო თავისუფლება – გაბატონებული წესი.<sup>8</sup> ამის გარანტიას სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა. მის თანახმად „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“. ამ ზოგადი პრინციპის შეზღუდვა დაიშვება მაშინ, როცა თავისუფლების განხორციელება ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (მე-9 მუხლი).

თავისუფალი საზოგადოების პირობებში, როცა კონკრეტული ინდივიდების თავისუფლების მასშტაბები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ტოტალიტარული რეჟიმის დროს, ხშირია ამ თავისუფლებათა ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც. საქართველოს უახლესი წარსულიც მრავლად იძლევა ასეთ მაგალითებს: გაკოტრებული ბანკები თუ სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც მოსახლეობის გულუბრყვილობით ისარგებლეს და

<sup>8</sup> Ramm, Bd. I, G. 17.

მათ უკანასკნელი საარსებოც კი წართვეს, ნებისმიერ გონიერულად მოაზროვნე ადამიანს, მით უმეტეს კანონმდებელს, აიძულებს, რომ მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები მოტყუებულთა ინტერესების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებები მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, ამ მოთხოვნის დარღვევები არცთუ იშვიათია. აქედან გამომდინარე, „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები“ (მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი). ამიტომაცაა აკრძალული უფლებათა გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას (115-ე მუხლის მე-2 წინადადება).

მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვები განსაზღვრული აუცილებლობითაა განპირობებული და მიზნად ისახავს პიროვნული უსაფრთხოებისა და საქმიანობის სტაბილური საფუძვლების უზრუნველყოფას.

ბ. როგორც წესი, კანონი ეხება მხოლოდ ქმედობის გარეგნულ გამოხატულებას და არა მის შინაგან ასპექტებს (მოტივაციას და ა.შ.). თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როცა საკითხი დელიქტურ სამართალში ბრალის ფორმებს ეხება ანდა გარიგების ბათილობას მოტყუების, არასერიოზულობის, ანტიზნობრიობის გამო და სხვა. ე.ი. კანონი, როგორც წესი, გულგრილია იმ მოტივების მიმართ, რომლებიც ამოძრავებენ მოქმედ პირს. მაგრამ სამოქალაქო კოდექსს არ შეუძლია სრულიად განზე გადგეს და თვალი დახუჭოს, თუ როგორ ატყუებს ერთი პირი მეორეს, რომ ამით სარგებელი ნახოს თვითონ, ცხადია, გარიგება არ დაიდგობდა, რომ ერთს არ მოეტყუებინა მეორე (მუხლი 81-ე) ანდა თუ როგორ აიძულა მუქარის შიშმა მოხუცი ქალი დაეწერა ანდერძი (მუხლი 85-ე). ამიტომ, თუმცა სამართლისათვის მთავარია ნების გარეგნული გამოვლენა, სამოქალაქო კოდექსი უყურადღებოდ არ ტოვებს მის შინაგან ფაქტორებს (მოტივაციას, მიზანს და ა.შ.), რომელთაც სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.

სამოქალაქო სამართალი კეთილსინდისიერების, ე.ი. კეთილი ნების პრეზუმფციას განამტკიცებს. ეს ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ურთიერთობათა მონაწილეები თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ, მაგრამ კეთილსინდისიერება მხარეთა მოვალეობაცაა. სამოქალაქო კოდექსი ამ გარემოებას მრავალ შედეგს უკავშირებს. მაგალითად, პირობითი გარიგებების დროს, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა არ არის

ხელსაყრელი, პირობა დამდგარად ჩაითვლება (98-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების პრეზუმფციის პრინციპს სხვა ქვეყნებიც იცნობენ და ხშირად პირდაპირ განამტკიცებენ კანონში. მაგალითად, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლი ამბობს: „იქ, სადაც კანონი სამართლებრივ შედეგს პირის კეთილ ნებას უკავშირებს, ივარაუდება მისი არსებობა“.

კანონის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვის საკითხებს და, კერძოდ, მის ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველებს სამოქალაქო სამართლის წყაროების განხილვისას კიდევ მიუბრუნდები. ახლა შევეხები თავისუფლების შეზღუდვის კლასიკურ ფორმებს, რომლებიც ტიპურია სამოქალაქო სამართლისათვის და, მართალია, საბოლოო ჯამში, კანონიდან გამომდინარეობს, მაგრამ მხარეთა კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან წარმოიშობა. ამგვარი შეზღუდვის გამოვლენის მაგალითი კერძო სამართალში დელიქტური ვალდებულებებია. „ინდივიდის თავისუფლება უნდა შეიზღუდოს, რომ ამით სხვა ინდივიდს შეეძლოს იყოს თავისუფალი“.<sup>9</sup> ეს პრინციპი გამოიყენება კერძო სამართალშიც. თავისუფლების შეზღუდვა აკრძალვების მეშვეობით ხორციელდება დელიქტურ სამართალში. ყველაზე უზოგადესი ფორმულის თანახმად, პირმა, ვინც კანონსაწინააღმდეგოდ სხვა პირს მიაყენა ზიანი, უნდა აუნაზღაუროს მას იგი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამგვარად განამტკიცებს ამ პრინციპს: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“ (მუხლი 992-ე).

კერძო სამართალში თავისუფლების შეზღუდვის მეორე და ყველაზე გავრცელებული საშუალება ხელშეკრულებაა. მისთვის აუცილებელია მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენა, ე.ი. თავისუფლების შეზღუდვა სახელშეკრულებო სამართალში ემყარება მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპს.

თავისუფლების ამგვარ შეზღუდვას საფუძვლად უდევს *ხელშეკრულების თავისუფლება*. რომელიც მოიცავს როგორც *ხელშეკრულების დადების თავისუფლებას*. ასევე *ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას*. აი, როგორ განამტკიცებს ამ პრინციპს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი: „კერძო

<sup>9</sup> Ramm. Bd. I, G. 19.

სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი“.

ხელშეკრულების თავისუფლებას განეკუთვნება ასევე ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის სამართლის ფუძემდებლური პრინციპი, რომ დადებული ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს – *pacta sunt servanda*. მართალია, ხელშეკრულებას მხარეები ნებაყოფლობითა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე დებენ, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ჩაერევა თავისი იძულებითი აპარატით, ე.ი. კერძო პირთა მიერ ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სახელმწიფო იცავს. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულებას კანონის ძალას ანიჭებს და პირდაპირ უთითებს მის დიდ მნიშვნელობაზე: „კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებები კანონის ძალის მქონეა მათთვის, ვინც ეს ხელშეკრულებები დადო“.<sup>10</sup>

თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, გარიგებითი კერძო ავტონომია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

### §3. კერძო ავტონომია და სახელშეკრულებო თვითბოჭვა

#### *I. კერძო ავტონომიის ცნება და შინაარსი*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – *მხარეთა კერძო ავტონომიას*. რომლის თანახმად სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ისეთიც, რომლებიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული. *კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგებების. განსაკუთრებით ხელშეკრულებების მეშვეობით.*<sup>11</sup>

<sup>10</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის პირველი წინადადება.

<sup>11</sup> Larenz, Karl, Allgemeiner Teil des deutschen bürgerlichen Rechts. 7. Aufl. S. 40-41 (შემდგომში Larenz, AT).

ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომ ცხოვრებისეული საკითხების უდიდესი უმრავლესობა სხვა ადამიანებთან კერძო შეთანხმებების საფუძველზე მოაწესრიგოს. ბევრი ურთიერთობა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვამყარებთ, სწორედ ასეთი კერძო შეთანხმების საფუძველზე წარმოიშობა ისე, რომ ხშირად ამას არც ვაცნობიერებთ. ეს იმდენად ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომ ყველაზე რეაქციულ პოლიტიკურ რეჟიმსაც კი არ შეუძლია მათი სრულიად აკრძალვა. თვით საბჭოთა სისტემამაც ვერ მოახერხა ამ წმინდა კერძო ურთიერთობათა აკრძალვა, თუმცა მათი მასშტაბები მნიშვნელოვნად შეკვეცა. ჩუქება, გაცვლა, ნასყიდობა, მომსახურება ის ურთიერთობებია, რომლებიც საბჭოთა სამოქალაქო სამართალშიც პირთა კერძო ნებას ემყარებოდა, მაგრამ გაბატონებული აკრძალვებისა და შეზღუდვების გამო მათ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მასშტაბები არასოდეს შეუძენიათ ლეგალური გზით და ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის საფუძველი ხდებოდნენ.

სამოქალაქო საზოგადოებებსა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა წარმოების საშუალებებზე, მათ შორის მიწაზე, კერძო საკუთრება არსებობს, კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება. სამოქალაქო სამართალი კერძო ინტერესებსა და ინიციატივას ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლებაში, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს.

ხელშეკრულების დადებით ხელშეკრულების მონაწილეები ნებაყოფლობითა და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. ამით ისინი საკუთარი თავისუფლების ფარგლებს იბოჭავენ, რასაც *სახელშეკრულებო თვითბოჭვა* ეწოდება. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დროს მყიდველი მზად არის თავისი ფულის ნაწილი გადასცეს გამყიდველს, ხოლო გამყიდველი მზად არის თავისი ქონების ნაწილი სანაცვლოდ გადასცეს მყიდველს. მხარეთა შეთანხმებას, რომელიც ისტორიულად „კაცური სიტყვის“ ძალით სრულდება, თანამედროვე სამართალი სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს და იცავს. რა ამოძრავებს სამართალს, როცა კერძო პირთა შეთანხმებას ასეთ საკვალდებულო ძალას ანიჭებს? მრავალი მეცნიერული ნაშრომის, სამართლის ფილოსოფიისა თუ სამოქალაქო სამართლის მეცნიერების კვლევათა ათასობით და ათი ათასობით გვერდი მიეძღვნა ამ პრობლემას. ცხადია, მათ აქ ვერ განვიხილავთ. ამ საკითხს სახელშეკრულებო სამართლის ანალიზისას უნდა კვლევა. მაგრამ აქ მოკლედ უნდა გაიცეს პასუხი დასმულ კითხვებზე. სახელმწი-



ფოს უპირველესი ამოცანაა უზრუნველყოს სტაბილურობა საზოგადოებაში. ამის მიღწევა მას მრავალი საშუალებით შეუძლია – ტოტალური აკრძალვების გზით, როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში იყო, ან დემოკრატიის პირობებში ზომიერი აკრძალვების მეშვეობით. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ არის სფეროები, რომელთა მოწესრიგება ადამიანებს სახელმწიფოს ჩაურევლადაც შეუძლიათ იმიტომ, რომ მათ ეს სურთ და თვითვე არიან დანტერესებულნი სტაბილურობის შენარჩუნებაში. ბენზინის გამყიდველი იმიტომ ყიდის ბენზინს, რომ მიიღოს ფული, ბენზინის მყიდველი იმიტომ ყიდულობს ბენზინს, რომ მას იგი სჭირდება; ბინის გამქირავებელი იმიტომ აქირავებს ბინას, რომ მას სჭირდება ფული, ხოლო დამქირავებელს – ბინა. ასეთი ურთიერთობა ნებისმიერ საზოგადოებაში უთვალავია და სახელმწიფოს დიდი ჩარევების გარეშეც შეუძლია მათი მოგვარება. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბენზინის მყიდველებმა არ გადაიხადონ ფული, ბინის გამქირავებლებმა თვითნებურად გამოაგონონ ბინიდან დამქირავებელი. თუ ამგვარ „სიტყვის გატეხას“ წესად ვაქცევდით, რა ქაოსი შეიქმნებოდა საზოგადოებაში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმის დაცვა, რაზეც ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ. არადა მხარეებს ყოველთვის სჭირდებათ ასეთი დაცვის საშუალება. ჩვენი მწარე გამოცდილება ადასტურებს, რომ თუ სახელმწიფო უძლურია დაიცვას კერძო პირთა შეთანხმება და ამ შეთანხმების შესრულებლობისას პასუხი აგებინოს დამრღვევს ან იგნორირებას უწევს ასეთ შეთანხმებას, წარმოიშობიან სხვა ძალები, რომლებიც თავის თავზე იღებენ სახელმწიფოს ამ ფუნქციას. ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ტრადიცია ამის თვალსაჩინო მაგალითია. თუ ვინმემ იკისრა რაიმე ვალდებულების შესრულება, ისინი ყოველგვარი ძალით აიძულებენ მას ამ ნაკისრის შესრულებას. ეს აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რომლის გარეშე თავისუფალი საზოგადოება წარმოუდგენელია.

კერძო ავტონომიის ცნება გულისხმობს ასევე *თვითპასუხისმგებლობას*. ეს ნიშნავს, რომ პირი თვითვე აგებს პასუხს თავისი მოქმედებისთვის. ის, რაც მან ჩაიდინა, ან იკისრა, თვითონვე უნდა გამოასწოროს ან უნდა შეასრულოს. როცა მხოლოდ „კაცური სიტყვა“ ან „დატოვებული უღვაში“ არ არის საკმარისი, მაშინ იძულების საჯარო საშუალებები იკავენ მის ადგილს. *თვითპასუხისმგებლობა კერძო ავტონომიის ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეკონომიკური წინსვლის კატალიზატორია*. პირველ რიგში ეს ეხება ქონებრივ პასუხისმგებლობას. სწორედ ქონებრივი პასუხისმგებლობის შიში ან მოსალოდნელი სიძვიდრის იმედი

აიძულებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელშეკრულების მონაწილეებს კარგად, ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

პასუხისმგებლობის გრძნობა და ვალდებულების განცდა უდევს საფუძვლად ადამიანის არჩევანს — დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს იგი. თუ პირი დარწმუნებულია, რომ ვერ შეასრულებს ვალდებულებას, და იცის, რომ ამისთვის მას პასუხს მოსთხოვენ, ის არ დადებს ასეთ ხელშეკრულებას. ესეც კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო თვითბოჭვის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა და მას *ხელშეკრულების დადების თავისუფლება* ეწოდება. ეს ნიშნავს, რომ პირს შეუძლია დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. თუ ის თვლის, რომ პური ერთ მაღაზიაში ძვირია, მას შეუძლია იგი იყიდოს სხვა მაღაზიაში. თუ ტაქსით მგზავრობა ძვირია, მას შეუძლია იმგზავროს ავტობუსით და ა.შ. თუ სტუდენტს არა აქვს ფული, რომ იყიდოს წიგნი, მას შეუძლია იგი ბიბლიოთეკიდან გამოიტანოს, ე.ი. ნასყიდობის ნაცვლად დადოს თხოვების ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს ასევე *ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას*. ე.ი. მხარეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დაადგინონ ფასი ან სხვა პირობები, რომელთაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მაშასადამე, *ხელშეკრულების დადების თავისუფლება*. როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება. *არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება. შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.*

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, კერძო ავტონომია არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულებების დადებით. იგი სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მოქმედებას ეხება, პირველ რიგში კი, იმ გარიგებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშეკრულებებს. კერძო ავტონომიის ერთ-ერთი კლასიკური გამოვლინებაა *ანდერძის თავისუფლება*, ე.ი. პირს უფლება აქვს თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს ნებისმიერს.

## II. კერძო ავტონომიის ფარგლები

მართალია, კერძო ავტონომია თანამედროვე კერძო სამართლის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ იგი შეუზღუდავი არასდროს ყოფილა.

კერძო ავტონომიის ფარგლები, რომლებიც, როგორც წესი, კანონით განისაზღვრება, ან გარიგების ფორმას ეხება ან გარიგების შინაარსს ანდა სხვა გარემოებები უდევს საფუძვლად. მაგალითად, ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ იყიდონ ან გაყიდონ საცხოვრებელი სახლი, მაგრამ ნასყიდობის ხელშეკრულება აუცილებლად სანოტარო წესით უნდა დადასტურონ და რეგისტრაციაში გაატარონ საჯარო რეესტრში. ამ ხელშეკრულების ფორმაზე მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი არ ვრცელდება. სამაგიეროდ, მოძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება მათ შეუძლიათ დადონ როგორც წერილობით, ასევე ზეპირად.

კერძო ავტონომიის შეზღუდვა შეიძლება გამოწვეული იყოს სახელმწიფოს უსაფრთხოებითაც. მან შეიძლება სპეციალური კანონმდებლობით დააწესოს ნებართვების აუცილებლობა კერძო პირთა საგარეო ვაჭრობის დროს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დაიცვებოდა საქართველო ისტორიული და კულტურული ფასეულობებისაგან, თუ უცხოეთში მათ გატანას სპეციალური კანონმდებლობით არ შეეზღუდავდით. ამის შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებები ითვალისწინებს. როგორი საფრთხე შეექმნებოდა თანამედროვე მსოფლიოს, თუ სახელმწიფოები ატომური იარაღით ან მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებებით ვაჭრობას მკაცრად არ გააკონტროლებდნენ.

განსახილველი პრინციპის შეზღუდვის მეორე შემთხვევა *კონტრაბანდების იძულების* სახელითაა ცნობილი და განპირობებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის აუცილებლობით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა ბაზარზე კონკურენტი, ალტერნატიული სამეწარმეო სუბიექტების არსებობას გულისხმობს და ეს ეჭვს არ იწვევს, არსებობს დარგები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ ინტერესებს, კისახურებიან და მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებულნი არიან. ამ დარგების წარმომადგენელ საწარმოებს კი ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ. პირველ რიგში ეს ეხება წყლით, ელექტროენერგიით, გაზით მომარაგებას და იმ საწარმოებს, რომლებიც ამ სფეროს ემსახურებიან (ბუნებრივი მონოპოლიები). მართალია, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა არც გაზითა და არც ელექტროენერგიით არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ უეჭველად მოვა დრო, როცა ეს საკითხები მოგვარდება. წარმოვიდგინოთ, რომ თელასმა უარი თქვა მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადებაზე, რომლითაც მან ელექტროენერგია უნდა მიაწოდოს, ან თბილწყალმა უარი

თქვას ანალოგიური ხელშეკრულების დადებაზე. ასეთი მოსალოდნელი კატაკლიზმების თავიდან აცილების მიზნით დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა განამტკიცებს კონტრაპირების იძულების პრინციპს, ე.ი. იმ საწარმოებს, რომლებსაც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, არა აქვთ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლება. ისინი ვალდებული არიან დადონ ეს ხელშეკრულებები. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა გაბატონებულ პირს იმ უპირატესობასაც ანიჭებს, რომ მას შეუძლია კონტრაქენტს თავს მოახვიოს ხელშეკრულების ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებენ ამ უკანასკნელს. მაგალითად, ელექტროენერჯის მომხმარებელს მოსთხოვო ისეთი გადასახდელი, რომლის გადახდა მას არ შეუძლია. ამიტომ კანონი აქაც ზღუდავს კერძო ავტონომიის პრინციპს და აიძულებს მხარეს, რომ მან არ შესთავაზოს კონტრაქენტს ხელშეკრულების არათანაზომიერი პირობები.

#### §4. კერძო საკუთრება

„როცა ჩვენ საკუთრებაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ინდივიდის კერძო საკუთრებას. ეს არ შეიძლება მარტივად გავავრცელოთ აფრიკაზე მისი გვაროვნული და კლანური სტრუქტურებით. იქ თემური ან გვაროვნული საკუთრება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგრამ ძირითადი იდეა, რომ საკუთრება კონკრეტული ადამიანების არსებობის უზრუნველყოფას და ამით აგრეთვე მათ თავისუფლებას ემსახურება, ისევე მოქმედებს იქ, როგორც აქ“. ეს სიტყვები გერმანიის პრეზიდენტს რომან ჰერცოგს ეკუთვნის.<sup>12</sup> სამართლისმცოდნეობის პროფესორს ამ სიტყვებით იმის ხაზგასმა სურდა, რომ დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს წარმოადგენს საკუთრება, რომელიც კერძო საკუთრების იდენტურია. უფრო მეტიც, დასავლეთის მართლშეგნების თანახმად, საკუთრება სხვა არაფერია, თუ არა კერძო საკუთრება. რომან ჰერცოგის მიერ საკუთრების დასავლური გაგების ანტიპოდად აფრიკული საკუთრების

<sup>12</sup> Die Welt, 16. September 1996, S. 9.

მონობის ნაცვლად სრულიად ადვილად შეიძლება საბჭოთა საკუთრების მონობაც.

სამოქალაქო საზოგადოების საფუძველს კერძო საკუთრება შეადგენს.

## I. საკუთრების გაგების იდეოლოგიური ინტერპრეტაცია

საკუთრების განსხვავებული მსოფლმხედველობრივი გაგება XX საუკუნეში ორი განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის წარმოშობისა და მათ შორის ღრმა კრიზისის არსებობის საფუძველი გახდა. საკუთრების პრობლემა კაპიტალიზმისა და კომუნიზმის (სოციალიზმის) იდეოლოგიური და ფუნდამენტური განხეთქილებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო. ორ სისტემას შორის ეს ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის კრახით დამთავრდა, მაგრამ საკუთრების პრობლემის გაგების მსოფლმხედველობრივი განსხვავება კვლავ არსებობს დასავლეთის მეცნიერებასა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებას შორის. არც საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი. ეს გარემოება ხშირად არასწორი დასკვნების საფუძველი: ხდება და არცთუ ისე იშვიათად აისახება ახალ კანონმდებლობაში, რომელმაც დრომოჭმული და მოძველებული საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნის ამოცანა უნდა შეასრულოს. ვფიქრობ, ამ განსხვავებათა განხილვა და მათი ანალიზი თანამედროვე სამართლის მეცნიერების აქტუალური ამოცანაა. კერძო საკუთრების საკანონმდებლო აღიარება საქართველის ძველი გაგებისა და ურთიერთობების შენარჩუნების პირობებში არსებითად ვერ შეცვლის საკუთრების სოციალისტურ რეალობას.

საკუთრება საზოგადოების ნორმალური განვითარების ისეთივე სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა, როგორც სისხლი ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობისათვის. ამიტომ საკუთრების მოსპობა, რომელსაც მიზნად ისახავს კომუნისტური იდეოლოგია, ფაქტობრივად, საზოგადოების კრახს, მის სიკვდილს ნიშნავს. მაგრამ აქ ჩნდება შეტად მნიშვნელოვანი კითხვა: რამდენად რეალურია საკუთრების მოსპობის, მისი გაქრობის ამოცანა? თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ საკუთრების უფლება წინარესახელმწიფოებრივ უფლებას შეადგენს<sup>13</sup> და ადამიანის ბუნებით უფლებათა რანგს განეკუთვნება, მაშინ მისი მოსპობა პრაქტიკუ-

<sup>13</sup> Weber, Werner. in: Neumann / Nippeldy / Scheuner. Die Grundrechte. 2.Bd., 1954, S.356.

ლად შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა ადამიანის სიცოცხლის გარეშე. ბუნებით უფლებებს ის განასხვავებს სხვა დანარჩენი სამართლებრივი უფლებებისაგან, რომ მათი არსებობა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი წინაპირობაა. ასე, მაგალითად, სიცოცხლის უფლება მოქალაქეთა ბუნებითი უფლებაა. ამ უფლების არ აღიარება კანონმდებლის მიერ, სრულიადაც არ ნიშნავს მის გაქრობას, მოსპობას. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ უფლების მოსპობა საერთოდ. სახელმწიფოს შეუძლია კონკრეტულ ადამიანს წაართვას სიცოცხლე, მაგრამ ამით იგი ვერ სპობს სიცოცხლის უფლებას. და პირიქით, სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების აღიარება და მისი დაცვა ნიშნავს საზოგადოების ამ პოლიტიკური ორგანიზაციის პროგრესულობას.

ამგვარ უფლებათა ჯგუფს მიეკუთვნება საკუთრების უფლება. სახელმწიფოს შეუძლია კანონით აკრძალოს საკუთრების უფლება, ან კონფისკაცია გაუკეთოს ამა თუ იმ მოქალაქის ან ორგანიზაციის საკუთრებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამით სპობს საერთოდ საკუთრების უფლებას. ამის კლასიკური მაგალითია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობაში კერძო საკუთრება აკრძალული იყო, იგი ფაქტობრივად არსებობდა. მაგალითად, აკრძალული იყო მიწის კერძო საკუთრება და შესაბამისად, მისი ყიდვა-გაყიდვაც. სინამდვილეში კი მიწა მაინც რჩებოდა ნასყიდობის თუ სხვაგვარი გასხვისების საგნად.

კერძო საკუთრების ამგვარი ბუნებით აიხსნება ის ვარემობა, რომ გასული საუკუნეების არც ერთი სერიოზული მეცნიერული მოძღვრების საფუძველს არ შეადგენდა საკუთრების მოსპობის ფილოსოფია. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, იგი მხოლოდ უტოპიური მოძღვრებებისა და ნაწარმოებების საგანი იყო.<sup>14</sup> ასე წერს, მაგალითად, ტომას მორი საზოგადო საკუთრებაზე თავის „უტოპიაში“,<sup>15</sup> ტომაზო კამპანელა – „მზის ქალაქში“. XVIII საუკუნის საფრანგეთში წარმოშობილმა უტოპიურმა

<sup>14</sup> Wieling, H.J. Sachenrecht. Bd. I. S.251.

<sup>15</sup> აი, როგორ უპირისპირებს ტომას მორი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პრინციპებს ერთმანეთს: „სხვა ქვეყნებში ყოველმა ადამიანმა იცის, თუთონ თუ არ იზრუნებს საკუთარ თავზე, რაც არ უნდა აქვადეს სახელმწიფო, იგი მაინც მოშლით მოკვდება. აუცილებლობა აიძულებს მას კარგად როგმე თავის თავზე იზრუნოს და არა – ხალხზე. ე.ი. სხვა ადამიანებზე. აქ კი (იგულისხმება ქრთული უტოპია – ლ.ქ.), სადაც ქონება საერთოა, ვაჭირებაში ჩაუარდისა არაუის ემონია. თუკი სახელმწიფო ბელის გავსებაზე იზრუნებს. რადგან ღოვლათს ისინი თანაბრად ანაწილებენ და არ ძუნობენ, აქ არ არსებობს ღარიბი და უპოვარი.“ ტომას მორი. უტოპია. თბ. 1983, გვ.136.

სოციალიზმამაც სცადა კერძო საკუთრების ადგილზე საზოგადო საკუთრების უპირატესობის დამტკიცება. ცნობილია, რომ ამ იდეით „შეიარაღებულმა“ რობერტ ოუენმა შექმნა კიდევ საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული გაერთიანებები, რომლებიც სულ მოკლე დროში დაიმანდნენ.<sup>16</sup> მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების უპირატესობის იდეებს ემყარებოდნენ. ამ უტოპიურ მოძღვრებას, რომელიც ადამიანებს საშობთეს პპირდება, სადაც არც მართლწესრიგი და არც საკუთრება იქნება საჭირო, უფრო ხანგრძლივი პრაქტიკა არგუნა ისტორიამ, ვიდრე რობერტ ოუენის ექსპერიმენტს. ამასთან ერთად, სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა მარქსიზმის ამ დებულების სიმცდარე და მისი სიცოცხლისუნარობა.

საზოგადოების ისტორიაში არსებულ თითქმის არც ერთ (მათ შორის უკიდურესად რეაქციულ) თეორიას არ გაულამჭრია ისე საკუთრების უფლების წინააღმდეგ, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმმა.

რამი მდგომარეობს ის განსხვავება, რომელიც საფუძვლად უდევს საკუთრების განსხვავებულ გაგებას? ნიშნავს თუ არა კერძო საკუთრების უარყოფა საერთოდ საკუთრების უარყოფას? ამ საკითხის გარკვევა იმიწთვისაა აუცილებელი, რომ მარქსიზმი და სხვა მსგავსი უტოპიური მოძღვრებები ლაპარაკობენ არა საერთოდ საკუთრების, არამედ კერძო საკუთრების მიუღებლობაზე, მისი მოსპობის აუცილებლობაზე.

დასავლეთის სამართლის მეცნიერებაში აღიარებული კონცეფციის თანახმად, საკუთრება შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო. საკუთრება არის ნივთზე ბატონობის უფლება. სწორედ ესაა არსებითი მისი შინაარსის განსაზღვრისას. პირს აქვს ან არა აქვს ეს უფლება. არსებითი აქ სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებაა. სიტყვა „კერძო“ სწორედ ნივთისადმი სრული ბატონობის უფლების, ამ უფლების ბუნებითი ხასიათის აღსანიშნავად გამოიყენება და არა საკუთრების უფლების მატარებელთა რაოდენობიდან გამომდინარე. „კერძო“ ხაზს უსვამს საკუთრების ბუნებით უფლებას, მის ინდივიდუალურ, აბსოლუტურ, ერთიან, განუყოფელ ხასიათს. ამ აზრით, კერძო საკუთრების უარყოფა, ამავე დროს, ნიშნავს საკუთრების უარყოფას. სახელმწიფო საკუთრებაცა და სააქციო საკუთრებაც კერძო საკუთრებაა. საჯარო საკუთრება მხოლოდ იმ ნივთთა მიმართ გამოიყენება, რომელთა განკარგვის უფლებამოსილება არავის გა-

<sup>16</sup> Чаянов А. Краткий курс кооперации. 4-е изд. 1925. С. 14.

აწნია. ეს რობის სამართალში ცნობილია *dominium publicum*-ის ცნებით და მასში შედის მდინარეები, ზღვები და ა.შ. ლენინიზმის მიერ განხილული საკუთრება ფაქტობრივად არავისი საკუთრება არ არის. ამ კონცეფციის მატარებელი იყო 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტი „მიწის შესახებ“, რომლითაც „ყოველგვარი საკუთრება მიწაზე უქმდებოდა სრულად და საბოლოოდ“. მიწა და წარმოების სხვა საშუალებები ცხადდებოდა მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებად. იურიდიულად, საკუთრების კლასიკური გაგებით, ეს საკუთრების უარყოფას ნიშნავს.

მარქსიზმის მიხედვით, კერძო საკუთრება არის საზოგადოებრივი ბოროტების, კლასობრივი ბრძოლის, ექსპლოატაციისა და სიღარიბის ძირითადი მიზეზი და პირობა. კერძო საკუთრების გაუქმებას უნდა გამოეწვია საყოველთაო საზოგადოებრივი კეთილდღეობა, თანასწორობა, სიმდიდრე და სიუხვე. ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. საკუთრების დეკრეტულმა გაუქმებამ არათუ გამოიწვია საზოგადოებრივი კეთილდღეობა, არამედ რუსეთში ჯერ სამოქალაქო ომის მიზეზი გახდა, ხოლო შემდგომ კი მთელი განვლილი პერიოდის მანძილზე მასობრივი რეპრესიებისა და ტერორის, ეკონომიკური არასტაბილურობის, შიმშილისა და ტოტალური სოციალური უსამართლობის საფუძველი და პირობა შეიქნა.

სრულიად საპირისპირო პრინციპებს ემყარება საკუთრების დასავლური გაგება. საკუთრება საზოგადოებრივი ბოროტების საფუძველი კი არაა, პირიქით, პიროვნული თავისუფლების, მისი ნიჭის, უნარისა და შესაძლებლობების განვითარების უეჭველი წინაპირობაა. საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ საკუთრება პიროვნული თავისუფლების რანგში აიყვანა და მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთ გარანტიად აღიარა. საკუთრება ადამიანის თავისუფლების გარანტია იმ აზრითაც, რომ მესაკუთრე ეკონომიკურად მთლიანად არ არის დამოკიდებული სახელმწიფოზე. საკუთრება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ყოველი მესაკუთრე ცდილობს თავისი სიმდიდრის დაცვას, გამრავლებას, გაძლიერებას, რაც, ამავე დროს, საზოგადოების სტაბილური წინსვლის საფუძველია. კერძო საკუთრება უთანასწორობის მიზეზი კი არაა, პირიქით, იგი პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელი თანასწორი საწყისი პირობების გარანტიაა, რომლის შემდეგაც უკვე ადამიანის უნარი და შესაძლებლობები თამაშობენ მთავარ როლს.

ეს პირველი ფუნდამენტური განსხვავებაა საკუთრების სოციალის-



ტურ (კომუნისტურ) გაგებასა და საკუთრების დასავლურ გაგებას შორის. ამ უთანხმოების ხაზგასმა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ საკუთრების განსხვავებული გაგება შესაბამისი სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი, საკანონმდებლო და სხვა ურთიერთობების დეტერმინანტია. საკუთრების ამგვარი განსხვავებული გაგება იწვევს სრულიად განსხვავებული ღირებულებების წარმოშობასა და მათ რეალიზაციას. პირველ რიგში, ეს აისახება სახელმწიფოსა და სამართლის გაგებაში საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგების დროს.

მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მიხედვით, კერძო საკუთრება საზოგადოებრივი ბოროტების წყაროა და ამ „ბოროტებას“ ემყარება კაპიტალიზმი. ამ უკანასკნელის დამხობა მარქსიზმის ძირითადი ამოცანაა. კერძო საკუთრების მოსპობა კაპიტალიზმის უარყოფას ნიშნავს. ამიტომ კერძო საკუთრების წარმოდგენა კაპიტალიზმის „შემოქმედად“ და შესაბამისად, არსებული სოციალური სიღუბნის მიზეზად ამ ამოცანის განხორციელების გზაზე აუცილებელი თეორიული წინაპირობაა.

კერძო საკუთრება არ არის კაპიტალიზმის აღმოჩენა. როგორც ვთქვი, კერძო საკუთრება ადამიანთა ბუნებით უფლებას შეადგენს და იგი წინარესახელმწიფოებრივ ფენომენად მოიაზრება. მაგრამ ამ უფლების სამართლებრივი, საკანონმდებლო განმტკიცება რომის სამართალმა მოახდინა ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში – საკუთრების აბსოლუტურ უფლებად აღიარებით. ცხადია, რომ კაპიტალიზმმა უდიდესი როლი შეასრულა კერძო საკუთრების თვისებრივ განვითარებასა და გაღრმავებაში. წარმოების საშუალებებზე, ქარხნებზე, ფაბრიკებზე, ნედლეულზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ სულ სხვა მასშტაბები შესძინა საკუთრებას. საკუთრებასთან მიმართებაში კაპიტალიზმის ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ იგი (ე.ი. საკუთრება), წოდებისა და წარმომავლობის მიუხედავად, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კერძო საკუთრება წარმოიშვა კაპიტალიზმის წარმოშობასთან ერთად. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კაპიტალიზმი არ არსებობს კერძო საკუთრების გარეშე.

საკუთრების გაგებიდან გამომდინარეობს ასევე საკუთრების საკითხში სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის განსხვავებული გაგება. დასავლური მოძღვრების თანახმად, სახელმწიფოს მიზანს შეადგენს მოქალაქეთა თავისუფალი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამ საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი გამოხატულებაა საკუთრების უფლების აღიარება და მისი დაცვის უზრუნველყოფა. კერძო საკუთრების უარყო-

ფით სოციალისტური სახელმწიფო აკობს იმ საფუძველს, რომელზედაც პიროვნების თავისუფალი განვითარება უნდა დამყარდეს. არამესაკუთრე მოქალაქე მთლიანად სახელმწიფოზე ხდება დამოკიდებული. ამიტომ სახელმწიფო საშუალებას კი არ არის პიროვნების განვითარებისათვის, არამედ — თვითმიზანი. სოციალისტური სახელმწიფოს რეალურ მიზანს პიროვნების თავისუფლება კი არ შეადგენს, არამედ უკლასო საზოგადოების აშენება. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ტოტალური სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ვერ იგუებს მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ინიციატივას, დამოუკიდებელ საქმიანობასა და მოღვაწეობას. ეკონომიკის განვითარების საქმეში სახელმწიფო საკუთრების მიუღებლობის შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელე გამოთქვამდა შიშს: რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, ეკუთვნის არა ყველას, არამედ არავის. მოქალაქეს სახელმწიფო საკუთრებისადმი არა აქვს ისეთი დამოკიდებულება, როგორც საკუთარი ნივთისადმი. ყველა მოქალაქე სახელმწიფო საკუთრებას ეპყრობა ისე, როგორც არა მისას. ყველას სურს ამ ნივთის გამოყენება თავის სასარგებლოდ, მაგრამ არაინ თვლის მის მიმართ თავს პასუხისმგებლად. არაინ უფრთხილდება მას, როგორც საკუთარ ნივთს. და პირიქით, ყველას ახარებს საკუთარი ნივთი და შეძლებისდაგვარად უფრთხილდება მას, რაც, ამავე დროს, საზოგადოების ინტერესებსაც შეადგენს.<sup>17</sup>

კერძო საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების, უარყოფა და მისი მხოლოდ სახელმწიფოს ან კოლექტივის მონოპოლიად გამოცხადება აუცილებლად მოითხოვს განსაზღვრულ ჩარჩოებს, რომელთა შიგნით სახელმწიფოს შეეძლება თითოეული მოქალაქის კონტროლი და, საჭიროების შემთხვევაში, დათრგუნვაც კი, ე.ი. უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრების ინსტრუმენტალიზება. ამის გამოხატულებაა სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებათა ცნებები, რომლებიც სტალინის ინიციატივით პირველად დამკვიდრდა 1936 წლის სსრკ კონსტიტუციაში. მოგვიანებით, 1977 წელს, საბჭოთა კონსტიტუციაში ჩნდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრების ცნებაც. ესაა სოციალისტური საკუთრებითი ურთიერთობების ჩარჩოები, რომლებიც გამორიცხავენ საკუთრების სხვაგვარი ფორმებისა და ურთიერთობების გამოყენების შესაძლებლობებს.

დასავლეთის ქვეყნები არ მიმართავენ საკუთრების ფორმებისა და სახეების კონსტიტუციური განმტკიცების მეთოდს. ეს მეტად მნიშვნელო-

<sup>17</sup> Aristoteles. Politik II, S.3 ff.

ვანი მსოფლმხედველობრივი პრინციპია, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს დასავლეთისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციებს. პირველი კონსტიტუციები განიხილავენ საკუთრებას ძირითად უფლებად, ე.ი. სახელმწიფოსაგან თავდაცვის უფლებად.

სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები საკუთრებას განიხილავენ მხოლოდ როგორც ეკონომიკური სისტემის საფუძველს. საკუთრების ამგვარი გაგება შენარჩუნებულ იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაში. ამ თვალსაზრისით, საქართველო საკუთრების როლისა და ადგილის საბჭოური გაგების მემკვიდრე გახდა. ამ კონცეფციის მატარებელი იყო, როგორც 1991 წლის 14 ივნისის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“<sup>18</sup>, ასევე კანონი საკუთრების უფლების შესახებ<sup>19</sup>. ამაში მდგომარეობს საკუთრების სოციალისტური კონცეფციის ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც უახლესმა ქართულმა სამართალმა, როგორც კონსტიტუციურმა, ასევე სამოქალაქომ, უარყო. საკუთრების შემოფარგვლა სახეებისა და ფორმების მეშვეობით ეწინააღმდეგება თვითონ საკუთრების გაგებას, ვინაიდან საკუთრების ცნება არის ერთიანი და ნიშნავს ნივთზე ბატონობის უფლებას, მიუხედავად სუბიექტთა რაოდენობისა და ტიპისა.

გარდა ამისა, საკუთრების ინსტრუმენტალიზება სახეებისა და ფორმების მიხედვით დიდ წინააღმდეგობებსა და გაუგებრობებს იწვევს სამართალგამოყენებით პრაქტიკაში. ეს ხდება მაშინ, როცა საკუთრების ის ფორმა, რომელსაც ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე წარმოშობს, არ თავსდება მოცემულ ჩარჩოებში. რუსული სამართლის მეცნიერება უკვე წააწყდა ამგვარ სიძნელეებს. მაგალითად, რუსეთის მიწის კოდექსი მე-3 მუხლში განსაზღვრავს მიწის მესაკუთრეებს: სახელმწიფო, მოქალაქეები, კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და სააქციო საზოგადოებების შრომითი კოლექტივები. ამ ჩამონათვალში არ არის საგლეხო მეურნეობები. ამის გამო სრულიად სამართლიანად სვამენ კითხვას რუსი მეცნიერები, არის თუ არა საგლეხო მეურნეობა მიწის მესაკუთრე? მათი აზრით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით — არა. ამიტომ ისინი აყენებენ წინადადებას,

<sup>18</sup> ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი 1., 1992. გვ.3-11.

<sup>19</sup> პარლამენტის უწყებები, 1993. წ., № 9, მუხ. 170.

რომ ამ ჩამონათვალს დაემატოს საგლეხო მეურნეობებიც.<sup>20</sup> ცხადია, რომ ავტორთა ნააზრევი საკუთრების სოციალისტური გაგების ტიპური ანარეკლია. ზვალ რომ მეურნეობათა სხვა ფორმა წარმოიშვას, სხვანი, ალბათ, კანონმდებლობაში საკუთრების სუბიექტებად მათ შეტანასაც მოითხოვენ. ე.ი. ამ დოგმატიკის თანახმად, მთავარია საკუთრება არა როგორც უფლება, არამედ როგორც კანონში განსაზღვრული სუბიექტი, რომელიც გამიზნულია ამ უფლების მატარებლად.

ეს ფუძემდებლური განსხვავება კავშირშია ეკონომიკური თავისუფლების პრობლემასთან. დასავლეთის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საკუთრების ფორმებსა და სახეებს. ამით მესაკუთრეს ეძლევა საკუთრებითი ურთიერთობების, ვარიანტების თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა. სოციალისტური საკუთრება განსაზღვრავს საკუთრების ფორმებსა და სახეებს, რითაც ზღუდავს საკუთრების გამრავალფეროვნების შესაძლებლობას, შესაბამისად, პიროვნების თავისუფლებასაც.

ამ განსხვავებიდან გამომდინარეობს საკუთრების პრობლემების კვლევისადმი მიდგომის სპეციფიკა. სოციალისტური სამართლის (ასევე ეკონომიკური) მეცნიერება იკვლევს საკუთრებას მისი ფორმების მიხედვით მათი სამომავლო შერწყმის პერსპექტივიდან გამომდინარე. ამგვარი კვლევების ერთ-ერთ მიზანს შეადგენს სოციალისტური საკუთრების უპირატესობის დამტკიცებასთან ერთად სახელმწიფო საკუთრების სიცოცხლისუნარიანობის დასაბუთება. მაგრამ რეალურ ცხოვრებას კორექტივები შეაქვს საკუთრებით ურთიერთობებში. ამიტომ აუცილებელი ხდება ამ ურთიერთობათა სამართლებრივი ახსნა, ოღონდ არსებული დოგმების ზელშეუხებლად. ასე გაჩნდა ე.წ. სახელმწიფო საკუთრების ოპერატიული მართვის თეორია<sup>21</sup>. ეს თეორია ცდილობდა რეალური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, რომლებიც მესაკუთრის შეცვლასთან არის დაკავშირებული, საკუთრების ერთი ფორმის ფარგლებში მოქცევა.

ვინაიდან არსებობს საკუთრების ერთადერთი გაბატონებული ფორმა — კოლექტიური საკუთრება, ფაქტობრივად, კვლევის გარეშე რჩება ისეთი პრობლემები, როგორცაა საკუთრება და საზოგადოებრივი ინტერესი, საკუთრების სოციალური ბოჭვა და ა.შ. მიწის საკუთრების არარსებობა იწვევს ასევე მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების განხილვას მხოლოდ სარგებლობისა და მმართველობის ასპექტით. ამრიგად, საკუთრების

<sup>20</sup> Государство и право. 1992. 4. С. 37.

<sup>21</sup> Виседиктов А.В. Государственная социалистическая собственность. М.-Л., 1948.

სფეროში არსებული ძრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, საკუთრების პრობლემა, მისი ფუნქციონალური გაგება კვლევის გარეშე რჩება.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობა, ახალი მოთხოვნილებებისა და ღირებულებების დამკვიდრება სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში მოითხოვს კერძო საკუთრების სრულიად ახლებურ გააზრებას. მხოლოდ კერძო საკუთრების დეკლარაციული აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს მის რეალურ გამარჯვებასა და გარანტირებულობას. კერძო საკუთრება, ამავე დროს, საზოგადოებრივი სტაბილურობის გარანტიაა, მისი წინაპირობა.

საკუთრების ახლებური გაგება და მისი სრულყოფილი დამკვიდრება რეალურ ცხოვრებაში გულისხმობს საკუთრების სტრუქტურულ და სისტემურ კვლევას, მისი ფუნქციონალური ასპექტების შესწავლას. დასავლეთის მეცნიერებამ ამ სფეროში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ეს შედეგები საფუძველი უნდა გახდეს საკუთრების ახლებური ანალიზისათვის.

სოციალისტური სისტემის კრაზმა და, ამასთან ერთად, საკუთრების კომუნისტური დოგმატიკის პრაქტიკულმა უარყოფამ დღის წესრიგში საკუთრების პრობლემა დააყენა. კერძო საკუთრების პრიმატის აღიარებამ ძრავალი ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და რაც მთავარია, სამართლებრივი საკითხი წამოჭრა.

ათწლეულების მანძილზე კერძო საკუთრებისადმი სიბუღვილის გრძობით აღზრდილი თაობებისათვის შინაგანად მიუღებელი იყო (და არის დღემდე) „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის“ ამ „მტკიცე იარაღის“ საზოგადოებრივი რეაბილიტაცია. მაგალითად, ერთმა ქართველმა ავტორმა ასეთი სიტყვებით დაახასიათა კერძო საკუთრება: „კერძო საკუთრება, თავისუფალი ვაჭრობა, პრივატიზაცია ქართველ ერს დაღუპავს, მომავალში კი – მთელ კაცობრიობას“.<sup>22</sup> უფრო ადრე, ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში იგივე აზრი გამოთქვეს მშრომელებმა მიხეილ გორბაჩოვთან შეხვედრის დროს. სახელმწიფოს მეთაურის მტფელობას ესაუბრა კერძო საკუთრების მიზანშეწონილობაზე, მშრომელები უარყოფითად შეხვდნენ. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების წარუმატებელ განვითარებაში. დასავლეთის საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის

<sup>22</sup> გაზეთი „მანსი“, 13-20 ოქტომბერი, 1993 წელი, გვ. 15.

გაუგებარია, ხშირად წარმოუდგენელიც კი, ადამიანთა უარყოფითი დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი. ამის ძირითადი მიზეზი, როგორც უკვე ვისაუბრე, კერძო საკუთრებისადმი სრულიად განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ მიდგომაში მდგომარეობს.

## II. საკუთრება უახლეს ქართულ სამართალში

საქართველო პირველი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც უკუაგდო საკუთრების სოციალისტური კონცეფცია. მან უარი თქვა საკუთრების დაყოფაზე ე.წ. საკუთრების ფორმებად და ასპარეზი დაუთმო საკუთრების თანამედროვე, სამოქალაქო საზოგადოებისეულ გაგებას. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლმა საკუთრება განამტკიცა როგორც ძირითადი უფლება და არა როგორც ინსტრუმენტალიზებული წარმონაქმნი. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების საკონსტიტუციო განმტკიცება შიშველ ნიადაგზე არ მომხდარა. ქართველი იურისტი მეცნიერები თავიდანვე სწორ გზაზე დადგნენ. მრავალრიცხოვან პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებში დადასტურებულ იქნა იმის აუცილებლობა, რომ საკუთრება წარმოადგენს კონსტიტუციისათვის ძირითად უფლებას და მისი დაყოფა ფორმების მიხედვით საკუთრების საბჭოური გაგების რეანიმაციას უდრის.<sup>23</sup>

როცა საკუთრებაზე, როგორც ძირითად უფლებაზე ვსაუბრობთ, ხშირად გაუგებარია, თუ რა იგულისხმება მასში. ამიტომ სასურველია იმაზე შეჩერება, თუ რას ნიშნავს ძირითადი უფლება და რა იგულისხმება მასში. მართალია, ამ ასპექტით საკუთრების განხილვა სცილდება სამოქალაქო სამართალს, მაგრამ იგი აუცილებელია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად თანამედროვეა საქართველოს კონსტიტუციის გადაწყვეტა.

თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივ და ნაციონალურ-სამართლებრივ მეცნიერებაში საკუთრების უფლება განიხილება ადამიანის ძირითად უფლებად. ამით იგი განსხვავდება სამართლის ცალკეულ დარგებში განმტკიცებული სხვა უფლებებისაგან. რა არსებითი ნიშნები ახასიათებთ ძირითად უფლებებს, რითაც ისინი განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ თანამედროვე საზოგადოებაში?

<sup>23</sup> მაგალითად, პროფესორ ვივი ინჟორველის მოხსენებაში, რომელიც მან 1994 წლის ივნისში გააკეთა ბრუნში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, დასაბუთებულია იმის აუცილებლობა, რომ კონსტიტუციამ საკუთრება უნდა განამტკიცოს როგორც ძირითადი უფლება (Tagung „Zivil- und Wirtschaftsrechtsreform in postkommunistischen Gesellschaften“. WiRO. Heft 9/1994. S. 364).

ა. ძირითადი უფლებები წარმოადგენენ არა სახელმწიფოსაგან ნაბოძებ, არამედ *წინარესახელმწიფოებრივ სახელმწიფოსაგან მხოლოდ გარანტირებულ უფლებებს*. ეს, ფაქტობრივად, ბუნებითი სამართლის, ბუნებრივი უფლებების აღიარებას ნიშნავს; ბუნებითი სამართლის აღიარება, ერთი შეხედვით, სამართლის პოზიტივიზმის უარყოფაა. განსხვავებით განმანათლებლობის ეპოქის ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან (გროციუსი, პუფენდორფი), სამართლის პოზიტივისტები მხოლოდ იმ უფლებებს აღიარებენ, რომლებიც კანონშია განმტკიცებული (სავინი, პალერი); ამიტომ მას ხშირად პოზიტივისტური ბუნებითი სამართლის თეორიას უწოდებენ;

ბ. ძირითადი უფლებები სავალდებულოა კანონმდებლისათვის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულებისათვის და პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით, ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით;

გ. ძირითადი უფლებები, უწინარეს ყოვლისა, ესაა *სახელმწიფოს წინაშე მოქალაქის დაცვის უფლებები*. ამავე დროს, ეს უფლებები, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს კანონის საფუძველზე;

დ. ძირითადი უფლებები ინდივიდთა უფლებებია. ესაა არა ზოგადი, აბსტრაქტული უფლებები, არამედ კონკრეტულ პირთა უფლებები;

ე. ძირითადი უფლებები აქვთ არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ ასევე იურიდიულ პირებს, თუ ეს უფლებები მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, საკუთრების უფლება სწორედ ასეთი უფლებაა. ამასთან ერთად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ შეიძლება იყვნენ ძირითადი უფლების მატარებელნი.<sup>24</sup>

თანამედროვე ეპოქის ძირითად უფლებათა წინამორბედებს გვიანი შუა საუკუნეების წოდებრივი ფენების თავისუფლებათა უფლებები შეადგენდა. ამ ეპოქის თავადაზნაურთა, ქალაქების, სათავადოების, სამეფოების მოთხოვნათა მთავარ მიზანს მათი ქონებრივი უფლებების უზრუნველყოფა შეადგენდა. მაგალითად, ბრიტანეთის 1215 წლის ცნობილი თავისუფლების დიდი ქარტია უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნულ პირთა დაცვას სამე-

<sup>24</sup> Allgemeines Staatsrecht und Staatsrecht des Bundes und der Länder. Von Prof. E. Schunk, Dr. H. De Clerck. II. Aufl. 1983, S. 163-164.

ფო მართლმსაჯულების მიერ ჩვეულებითი სამართლის ბოროტად გამოყენებისაგან: არც ერთი თავისუფალი მამაკაცი არ შეიძლებოდა დაეკავებინათ, დაეპატიმრებინათ, შეეპყროთ ან სხვა მის მსგავსად აღეკვეთათ თავისუფლება, თუ არ არსებობდა კანონიერი განაჩენი.<sup>25</sup>

სრულყოფილი შეხედულებები ძირითად უფლებებზე, პირველად, მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში წარმოიშვა. განსაკუთრებით, იგრძნობოდა ეს დიდ ბრიტანეთში XVII საუკუნის რევოლუციის დროს.

XVI-XVII საუკუნეების რეფორმატორების, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების გავლენით, კუმანიზმისა და პურიტანიზმის სულისკვეთებით მოითხოვდა კრომველის მდივანი ჯონ მილტონი შემდეგ თავისუფლებებსა და რელიგიურ შემწყნარებლობებს: სიცოცხლის, საკუთრებისა და თავისუფლების უფლებებს; რელიგიისა და სინდისის თავისუფლებებს, აზრის გამოთქმის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას (და ამით ცენზურის მოსპობას. მისი მემკვიდრე ჯონ ლოკი (1632-1704) შრომაში „Two Treatises on Civil Government“ აღიარებდა, რომ სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება ბუნებრივი, წარმოშობით თანასწორი და დამოუკიდებელი ინდივიდების დაბადებითი უფლებებია, რომლებიც საზოგადოებრივი ხელშეკრულებებით კი არ უქმდება, არამედ პირიქით, უზრუნველყოფილი ხდება. შუა საუკუნეებისა და XVII საუკუნის კონცეფციის მიხედვით, საკუთრების უფლება მოიცავდა პიროვნების თავისუფლების უფლებათა ერთობლიობას, განსაკუთრებით, სამუშაო ძალისა და თვითრჩენის უნარს.<sup>26</sup>

1647-1649 წლებში რევოლუციონერთა გენერალურმა საბჭომ ოლივერ კრომველის სხვა მოთხოვნათა შორის დაასახელა: პიროვნებასა და საკუთრებაში ჩარევა მხოლოდ წინასწარ მიღებული კანონის საფუძველზე. უფლება, თავისუფლება, უსაფრთხოება და საკუთრება არ შეიძლებოდა ხელყოფილიყო. კრომველმა ეს მოთხოვნები უარყო. 1679 წელს კი ჩარლზ II იძულებული გახდა ხელი მოეწერა Habeas Corpus Act-ისათვის, რომელიც დღესაც საკვალდებულოა და რომლის თანახმადაც, არავინ არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული წერილობითი ბრძანების გარეშე. ასევე დაპატიმრებული 30 დღის განმავლობაში წარდგენილ უნდა იქნეს მოსამართლის წინაშე.<sup>27</sup>

<sup>25</sup> Die Verfassungen der EG-Mitgliedstaaten. 2.Aufl.1990. S.413 ff.

<sup>26</sup> Rittstieg. Helmut. Eigentum als Verfassungsproblem. Darmstadt.1975. S.34-35.

<sup>27</sup> იქვე. გვ. 53-54.



ეს კონცეფციები შემდგომში განვითარდა ფილოსოფოსების ბენედიქტო სპინოზას, ჰუგო გროციუსის, სამუელ ჰუფენდორფის, კრისტიან ტომაზიუსის, კრისტიან ვოლფისა და ადრეული განმანათლებლობის წარმომადგენელთა მიერ. XVIII საუკუნეში ამ თეორიებს შედეგად მოჰყვა ყოვლისმომცველი, ფართო ძირითად უფლებათა დეკლარაციების მიღება შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში.

ღროის მიხედვით ამ აქტებს წინ უძღოდა ამერიკის ცალკეულ შტატებში „Bills of Rights“ მიღება, კერძოდ, ვირჯინიის ბილი 1776 წელს. ამ კონცეფციამ კლასიკური გამოხატულება პოვა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში 1776 წლის 4 ივლისს. ფედერალურ დონეზე თავისუფლებების უფლებები განმტკიცდა „Federal Bill of Rights“ მეშვეობით 1791 წელს, რომელთაგანაც ათი 1787 წლის კონსტიტუციაში იყო განმტკიცებული.<sup>28</sup>

საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისისათვის 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებულ იქნა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. აშშ-ის კონსტიტუცია და საფრანგეთის დეკლარაცია, თავისუფლების სხვა უფლებათა გვერდით, განამტკიცებს ასევე საკუთრების უფლებასა და მის ხელშეუხებლობას.

XIX-XX საუკუნეებში ამ ორმა დეკლარაციამ, მათმა იდეებმა საყოველთაო აღიარება პოვეს ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

საერთაშორისო ძირითადი უფლებების დაცვა განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო გერმანიასა და მთლიანად ევროპაში ნაცისტური რეჟიმის მძიმე შედეგების თავიდან აცილების აუცილებლობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია მიზნად ისახავდა ადამიანთა უფლებების განვითარებას და შეიცავდა თანასწორობის პრინციპს, რომელიც განსაკუთრებით კრძალავდა რასობრივ დისკრიმინაციას. ამ ქარტიის პრინციპების საფუძველზე 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“, რომელიც, სხვა უფლებათა შორის, აღიარებს საკუთრების თავისუფლების გარანტირებულობას. აღსანიშნავია, რომ საკუთრება ამ აქტში განხილულია სინდისის, რელიგიის თავისუფლების, აზრის გამოთქმისა და ინფორმაციის თავისუფლების, შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების გვერდით.

მაგრამ დეკლარაცია არ იყო სავალდებულო ძალის მქონე. ადამიანის

<sup>28</sup> Picroth, Bodo. Grundrechte. 5.Aufl. 1989. S.8.

უფლებების ეფექტური დაცვის ნაბიჯები თავდაპირველად ევროპაში გადაიღა. ამას საფუძვლად დაედო თავისუფლებათა უფლებებისა და სოციალური უფლებების ახლებური გაგება. კერძოდ, ის, რომ ეს უფლებები თავისი განსხვავებული სტრუქტურის გამო განსხვავებულ სამართლებრივ ფორმებში უნდა უზრუნველყოფილიყო.

კლასიკური თავისუფლების უფლებები მთლიანად შეიძლება სასამართლო ორგანოების კონტროლს დაექვემდებაროს. სოციალური უფლებები კი თავისი განუსაზღვრელობის გამო არაიუსტიციალურია. მათი დაცვა, ამის გამო, მხოლოდ უაღრესად სრულყოფილი სასამართლო პროცესის პირობებში შეიძლება. მაგალითად, ადამიანის სოციალურ უფლებას შეადგენს შრომისთვის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლება. მაგრამ ძნელია იმის შემოწმება, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში ეს უფლება.

ამის გამო, ძირითადი უფლებები ევროპის მასშტაბით ორ აქტშია თავმოყრილი, კერძოდ, ევროპის ტერიტორიაზე თავისუფლების უფლებები განმტკიცებულ იქნა 1952 წლის 20 მარტს მიღებულ „ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციაში“, ხოლო სოციალური უფლებები — ევროპის სოციალურ ქარტიამი, რომელიც 1961 წლის 18 ოქტომბერს იქნა კოდიფიცირებული.

დაბოლოს, 1966 წლის 19 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონეზე მიღებულ იქნა კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

თანამედროვე მსოფლიო წესრიგი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისადმი უდიდესი ყურადღება აიძულებს სახელმწიფოებს ქალაქზე მანც აღიარონ ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებების აღიარება, სამართლებრივ აქტებში მათი განმტკიცება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შექმნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ დაცვასა და უზრუნველყოფას. აღიარებული მოსაზრების თანახმად, ძირითადი უფლებების უზრუნველყოფა მხოლოდ მოსამართლეთა ხელში, კერძოდ, სასამართლოს მიერაა შესაძლებელი. 1803 წელს ამერიკაში Supreme Court im Marbury vs. Madison-ის ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ განმტკიცდა აზრი, რომ სასამართლოებს შეეძლოთ ასევე კონსტიტუციისადმი კანონების შესაბამისობის შემოწმება. მაგრამ ეს კონტროლი ამერიკაშიც დიდი ხნის მანძილზე შეზღუდული იყო.

რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძირითადი უფლებების შესახებ მოძღვრებათა წარმოშობას? პირველი, მან დაადასტურა, რომ ადამიანი არა მხოლოდ ღმერთის წინაშე, არამედ სხვა ადამიანების წინაშეც თვითმყოფად ღირებულებას წარმოადგენს; რომ სახელმწიფო უნდა ემსახუროს პიროვნებას და არა პირიქით, პიროვნება – სახელმწიფოს. ინდივიდუალიზმის ეს იდეა, რომელიც კოლექტივიზმის ანტიპოლია, დიდად განვითარდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის წარმომადგენელთა ნაშრომებში და, შეიძლება ითქვას, ევროპაში უკიდურესი ფორმა მიიღო ევროპული ლიბერალიზმის სახით.

„სოციოლოგიური“ ინდივიდუალიზმი შეესაბამება ინდივიდუალურ ეთიკას, რომელიც ადამიანს განიხილავს არა როგორც საშუალებას, არამედ როგორც მიზანს.

სწორედ პიროვნული ინდივიდუალიზმი დაედო საფუძვლად ძირითადი უფლებების მოძღვრებებს, მარქსიზმმა, პირიქით, კოლექტივიზმი აღიარა საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლად. ამიტომ, ცხადია, ძირითადი უფლებისთვის, როგორც პიროვნების არსებობის აუცილებელი წინაპირობისთვის, ადგილი აღარ დარჩა.

კლასიკური ძირითადი უფლებების განვითარების მეორე წინაპირობა იყო თანასწორობის პრინციპის აღიარება. დასავლეთის მეცნიერები ამბობენ, რომ თანასწორობის აღიარება ტიპური ევროპული მოვლენაა, რომლის მსგავსსაც სხვა ცივილიზაციები არ იცნობენ.<sup>29</sup> ტიპურია ასევე ევროპული ძირითადი უფლებების დამყარება გონიერებასა და რაციონალიზმზე.

საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების, განმტკიცებით საქართველოს კონსტიტუციურმა სამართალმა აღიარა ზემოაღნიშნული ღირებულებები და სამართლებრივი სისტემის საფუძვლად განამტკიცა.

საბჭოთა მოძღვრება საკუთრების ფორმების შესახებ მყარად იყო დამკვიდრებული სამოქალაქო სამართალში. მისი ზეგავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერც დსთ-ს მოდელურმა სამოქალაქო კოდექსმა, ვერც რუსეთის სამოქალაქო კოდექსმა და დსთ-ს სხვა ქვეყნების კანონმდებლობამ ვერ თქვა უარი საკუთრების ფორმებზე. თუმცა რუსულ ცივილისტიკაში უკვე გაისმა კრიტიკა საკუთრების ფორმების მისამართით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს საკუთრების

<sup>29</sup> Gunnar Folke Schuppert. Rechtsstaat - Sozialstaat - Demokratie - Einige Bemerkungen zur Bewahrung und Gefahrung grundgesetzlicher Strukturprinzipien, in: FS Helmut Simon. I. Aufl. 1987. S. 168-169.

ფორმებს, ამ კოდექსის კომენტარების ავტორები სრულიად საპირისპიროს ამტკიცებენ: „Никакой коллективной“ или иной „формы собственности“ Кодекс не предусматривает. Более того, он исходить из того, что понятие „форма собственности“ – экономическая, а не юридическая категория.“<sup>30</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას უფრო ადრე ქართველი სამართლისმცოდნეებიც ავითარებდნენ.<sup>31</sup> რაც შეეხება ქართულ საკონსტიტუციო სამართალს, იქაც დამკვიდრდა შეხედულება, რომ საკუთრების დაყოფა ფორმებად არის არა სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური კატეგორია.<sup>32</sup>

გარდა საკუთრების ფორმებისა, წარსული წყობილების მნიშვნელოვანი რუდიმენტი იყო ასევე ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტები. აქაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა მათ დატოვებაზე.

მაშასადამე, საკუთრების საკითხში საქართველოს კონსტიტუციაცა და სამოქალაქო კოდექსიც სრულიად შეესაბამება საბაზრო ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებს.

---

<sup>30</sup> Комментарий части первой Гражданского Кодекса Российской Федерации для предпринимателей. М. 1995. С. 232-233

<sup>31</sup> Ладო Чантурия. Собственность на недвижимые вещи. На примере немецкого права. Диссертационный вестник. Тбилиси, 1994. С. 7.

<sup>32</sup> პაატა ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. 1996. გვ. 103-104.

სამოქალაქო სამართლის წყაროები

თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართლის მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, „სამართლის წყაროდ“ მიიჩნევა როგორც ცალკეული სამართლის ნორმების შექმნის პროცესი და საფუძვლები, ასევე ამ საფუძვლებისა და პროცესის შედეგად შექმნილი სამართლის ნორმათა გამოხატვის ფორმები.<sup>1</sup> კონტინენტური ევროპის სამართალი სამოქალაქო სამართლის წყაროთა ორ სახეს განამტკიცებს – სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონსა და ჩვეულებებს.<sup>2</sup> ამასთან, ლიტერატურასა და ზოგჯერ საკანონმდებლო აქტებშიც კანონის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ კანონი (ე.ი. პარლამენტის მიერ ან რეფერენდუმის გზით მიღებული აქტი), არამედ ნებისმიერი სახელმწიფო აქტი, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს.<sup>3</sup> მაშასადამე, კანონის თანამედროვე სამართლისეული ცნება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მიღებულ აქტს, რომელიც შეიცავს ნორმებს, ე.ი. ნორმატიულ აქტს. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სახელმწიფო აქტების სისტემაში განსაზღვრული წესრიგია აუცილებელი, თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართალი განამტკიცებს იერარქიას, რომლის დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს სტაბილური სამართლებრივი საფუძვლები. სამართლის წყაროთა იერარქია დამოკიდებულია სახელმწიფოს ორგანოთა ლეგიტიმაციის დონეზე, ე.ი. მათი კომპეტენციის მოცულობაზე, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ აქტის იურიდიულ ძალას.

<sup>1</sup> Larenz, AT. S. 7; Ferid/Sonnenberger. Das französische Zivilrecht. 2..Auff. 1994, S. 136; Koziol/Welser, Bd. I, S. 32-33.

<sup>2</sup> Larenz, AT. S. 7.

<sup>3</sup> Hübner. Heinz. Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches. 1985, S. 14; მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის გაგებით კანონი არის ნებისმიერი სამართლის ნორმა.

# §1. კანონი, როგორც სამართლის წყარო

## I. კანონის ცნება

კონტინენტური ევროპის სამართალში, რომელსაც ასევე ქართული სამართალიც განეკუთვნება, კანონი სამართლის უმთავრესი წყაროა. მისი ასეთი დიდი მნიშვნელობა განმანათლებლობის სახელს უკავშირდება. მან უკუაგლო რომის სამართლის რეცეფციის შედეგად დამკვიდრებული ტრადიცია, რომელიც უპირველესი სამართლის წყაროს მნიშვნელობას სასამართლო პრაქტიკას ანიჭებდა. განმანათლებლობამ არა მხოლოდ სამართლის წყაროს ახალ ცნებას ჩაუყარა საძირკველი, არამედ დასაბამიც დაუდო კონტინენტური ევროპის სამართლის იმ თვითმყოფადობას, რომლითაც იგი განსხვავდება ინგლისურ-ამერიკული პრეცედენტული სამართლისაგან.

თანამედროვე სამართლის მეცნიერება კანონს ნორმატიული აქტების კლასს განაკუთვნებს. ასეთად კი მიიჩნევა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული აქტები, რომლებიც შეიცავენ სამართლის ნორმებს.<sup>4</sup> სახელმწიფოს მიერ გამოცემული ყველა აქტი არ შეიცავს სამართლის ნორმებს, ე.ი. ისეთი ქცევის წესებს, რომლებსაც ზოგადი ხასიათი აქვთ და სავალდებულოა მოცემულ ქვეყანაში მყოფი ყველა პირისათვის ან პირთა განსაზღვრული წრისათვის.

*ერთმანეთისაგან განსხვავდება კანონი ფორმალური გაგებით და კანონი მატერიალური გაგებით. ფორმალური გაგებით* კანონად მიიჩნევა მხოლოდ პარლამენტის (ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს) ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმატიული აქტები. ვინაიდან კანონს იურიდიული ძალის მიხედვით ნორმატიული აქტების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია, სამართალი მისი მიღების განსაკუთრებულ წესსა და პროცედურას განამტკიცებს.<sup>5</sup> ეს კი უზრუნველყოფს მისი მიღებისას საჯაროობას, კონსენსუსს პოლიტიკურ ძალთა შორის, რომლებიც წარმოდგენილნი არიან პარტიების მეშვეობით საკანონმდებლო ორგანოში, და სტაბილურობას – მიღების რთული პროცედურის გამო არაა იოლი კანონების სწრაფად შეცვლა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი არა მხოლოდ სამართლებრივი

<sup>4</sup> გ. ინჟირელი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1997 წ. გვ. 141.

<sup>5</sup> საკანონმდებლო წესით ეს პროცედურა საქართველოში განმტკიცდა კანონით ნორმატიული აქტების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 29 ოქტომბერს.

აქტია, არამედ პოლიტიკური პარტიების მიერ პოლიტიკური და სამართლებრივი ნების გამოვლენის ფორმა და საშუალება. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ საზოგადოების სამართლებრივი დონის შეფასებისას ღიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ პირობებში მიიღება ესა თუ ის კანონი, რა შინაარსია მასში ჩადებული და როგორ პატივს სცემენ სახელმწიფო და საზოგადოება მათ მიერ მიღებულ კანონებს.

*მატერიალური გაგებით* კანონად ჩაითვლება ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის საკუთრივ კანონიც, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერაა მიღებული. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განსხვავდება კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

საბჭოთა სამართლის თეორიაში არსებული მოძღვრება სამართლის წყაროთა შესახებ სრულიად შეესაბამება კონტინენტური ევროპის სამართალში აღიარებულ ანალოგიურ მოძღვრებას. ამიტომ მათზე დაწვრილებით აქ არ შეეჩერდები. შევეცდები შევეხო მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. პირველ რიგში ეს ეხება კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და ამ მიზნით პოსტსაბჭოთა სამართალში შემოღებულ ე.წ. კანონთა იერარქიას.

## ***II. სამოქალაქო კოდექსი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სხვა კანონი***

კონტინენტური სამართლის იურისტებისათვის ამ თითქმის ბანალურ საკითხზე მხოლოდ იმიტომ არის აუცილებელი მოკლედ შეჩერება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გაჩაღებულ კანონშემოქმედებით საქმიანობაში სამოქალაქო კოდექსს განსაკუთრებული იურიდიული ძალის მქონე აქტად ნათლავენ. სრულიადაც არ არის გადაჭარბებული სამოქალაქო კოდექსის მონათვლა მეორე კონსტიტუციად, მაგრამ ეს მხოლოდ მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და არა მის იურიდიულ ძალას. არც მეტი არც ნაკლები, სამოქალაქო კოდექსი იურიდიული ძალის მიხედვით ისეთივე კანონია, როგორც ნებისმიერი სხვა კანონი.

დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 აბზაცის თანახმად, სამოქალაქო კოდექსს კანონთა კანონის სტატუსი მიენიჭა. ამ ნორმის მიხედვით, ყველა კანონი სამოქალაქო სამართლის სფეროში უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსს. პრაქ-

ტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსმა კონსტიტუციის მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს. სწორედ ეს განასხვავებს კონსტიტუციას ჩვეულებრივი კანონებისაგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა არ გაიზიარა სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის მიუღებელი ეს დებულება. ნაცვლად ამისა, განამტკიცა მოთხოვნა, რომ სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. კანონთა კოლიზიისას კი გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი.

## §2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტური სამართლის სისტემას შეესატყვისება.<sup>6</sup> მას აქვს ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი კერძო სამართლისათვის. განსხვავებით დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელსაც ყოვლისმომცველი კანონის პრეტენზია ჰქონდა და ამის გამო ყველაფერი იყო მასში მოთავსებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სხვა გზით წავიდა. ის ურთიერთობები, რომლებიც სხვა კანონებში იყო მოწესრიგებული, სამოქალაქო კოდექსში არ შესულა ან შევიდა იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო ლოგიკურ-სამართლებრივი კავშირის დასამყარებლად. მაგალითად, სამეწარმეო იურიდიული პირების მოწესრიგებული ნორმები მთლიანად შევიდა კანონში მეწარმეთა შესახებ ისე, რომ პარალელური ნორმები სამოქალაქო კოდექსში არ არის. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ეს შეძლო.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ საოჯახო სამართალი მთლიანად კოდექსში შევიდა. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციების ეს ბუნებრივი ნაწილი საბჭოთა სამართალში ამოღებულ იქნა

---

<sup>6</sup> ის, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი პანდექტური სამართლის სისტემის მიხედვით უნდა აგებულიყო, კომისიამ მუშაობის დასაწყისშივე გადაწყვიტა. პროფესორ სერგო ჯორბენაძის სიტყვებით ამას ადასტურებენ: „საკუთრივ მომავალი სამოქალაქო კოდექსი, ჩვენი აზრით, აგებულ უნდა იქნეს პანდექტური სისტემის მიხედვით, რაც მისი ლოგიკური დასრულებულობით აიხსნება“. ს. ჯორბენაძე, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. გვ. 142.



სამოქალაქო კოდექსებიდან და ცალკე კანონით მოწესრიგდა.<sup>7</sup> იმკარ გადაწყვეტას მხოლოდ იდეოლოგიური მოტივები დაედო საფუძვლად. მოსტსაბჭოთა სიერცემი საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც კვლავ აღადგინა კლასიკური სამოქალაქო კოდექსების ტრადიცია და საოჯახო სამართალს სამოქალაქო კოდექსში მიუზინა ადგილი.

სამოქალაქო კოდექსი ექვსი წიგნისაგან შედგება: ზოგადი დებულებანი, სანიციო (ქსნებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, ინტელიქტუალური საკუთრების სამართალი, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი.

ინტელიქტუალური საკუთრების სფეროდან სამოქალაქო კოდექსმა სრულად მოაწესრიგა მხოლოდ საავტორო სამართალი. რაც შეეხება სამრეწველო საკუთრების საკითხებს, ისინი ცალკე კანონებში მოწესრიგდება.

## I. ზოგადი ნაწილის აუცილებლობის შესახებ

თანამედროვე სამართალი იცნობს ქვეყნებს, რომელთაც საერთოდ არა აქვთ სამოქალაქო კოდექსები და, ბუნებრივია, მათ კოდიფიცირებული ფორმით არც კერძო სამართლის ზოგადი ნაწილი გააჩნიათ. თუმცა არც კოდიფიცირებული სამართლის ქვეყნებშია ერთგვაროვანი ვითარება. რომანული სამართლის ქვეყნების უმრავლესობა სამოქალაქო კოდექსებში ზოგად ნაწილს არ იცნობს. ცხადია, ეს არის საკანონმდებლო ტექნიკის საკითხი, უნდა ჰქონდეს სამოქალაქო კოდექსს ზოგადი ნაწილი თუ არა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ცალკე გამოყოფა უდავოდ ხელსაყრელია და გამართლებული. ამას ადასტურებს სამოქალაქო სამართლის უახლესი კოდიფიკაციის ისტორიაც. მაგალითად, პოლანდიელებმა ახალ სამოქალაქო კოდექსში ცალკე გამოყვეს ზოგადი ნაწილი, რაც ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მიიჩნევა.<sup>8</sup> პოლანდიის 1838 წლის კოდექსისათვის. რომელიც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის გავლენით შეიქმნა. უცხო იყო ზოგადი ნაწილი.

<sup>7</sup> შეუძლებელია არ დაეთანხმოს პროფესორ სერჯო ჯორბენაკს, რომ „ცალკე არსებული საქორწინო-საოჯახო კოდექსი დამახასიათებელი იყო მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების სამართლისათვის“: ს. ჯორბენაკი საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები გვ. 143.

<sup>8</sup> Ewoud Hondius. Das neue Niederländische Zivilgesetzbuch. Allgemeiner Teil in: Renaissance der Idee der Kodifikation. Bd. 5. 1991. S. 45.

ზოგადი ნაწილის ყველაზე დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა იმ ფუნდამენტს, რომელზეც აიგება მოცემული კანონის ან სამართლის დარგის მთელი სამართლებრივი სხეული. ამავე დროს, არ არის აუცილებელი კანონის მთელ ტექსტში იმის განმეორება, რაც ზოგად ნაწილში ერთხელ უკვე განმტკიცებულია. მაგალითად, გარიგებათა თავეში მოცემული დებულება, რომ მოტყუებით დადებული გარიგება, ბათილია, ეხება ყველა ხელშეკრულებას. ამიტომ თითოეული ხელშეკრულების საკანონმდებლო მოწესრიგებისას ამის განმეორება აუცილებელი არ არის. თუ ნასყიდობის, ქირავნობის, მომსახურების ან სხვა ხელშეკრულებები დაიდო მოტყუებით, ეს ხელშეკრულებები ბათილი იქნება, თუმცა ამ კონკრეტულ ხელშეკრულებებში ასეთ ნორმას ცალკე ვერ ვიპოვით. ამ საკითხზე ზოგადი ნაწილის ნორმა ლაპარაკობს.

ზოგად ნაწილში განმტკიცებული მოძღვრება პირების შესახებ საერთო მთელი კერძო სამართლისათვის. ამიტომ კონკრეტული სახის ვალდებულებითი ურთიერთობის განხილვისას ჩვენ არ გვჭირდება ამ სუბიექტების ცალ-ცალკე დახასიათება. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მონაწილეობენ მყიდველი და გამყიდველი, მაგრამ არ ვამბობთ, მყიდველი ან გამყიდველი იურიდიული პირები არიან თუ — ფიზიკური. რადგანაც ზოგადი ნაწილის მიხედვით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები არიან პირები — ფიზიკური თუ იურიდიული, ცხადია, მყიდველიც და გამყიდველიც ხელშეკრულებაში შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე — მეორე.

ეს ორი მაგალითი თვალსაჩინოდ ადასტურებს, თუ რა უპირატესობა აქვს ზოგადი ნაწილის ნორმებს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

## II. ზოგადი ნაწილის სახეები

თუ ყურადღებით გადავხედავთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემას, რამდენიმე ადგილას შეგვხვდება ცნება „ზოგადი დებულებანი“. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენი ზოგადი ნაწილი შეიძლება ჰქონდეს კოდექსს და როგორია მათი იურიდიული ძალა? როგორც თვით სახელწოდება მიუთითებს, ზოგადი ნაწილი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სამართლებრივი მატერიის ზოგად დებულებებს, ე.ი. იმას, რასაც ეყრდნობა მოცემული სისტემა.

ამიტომ იმის მიხედვით, თუ რას ეხება საქმე — მთლიანად სამართლის დარგს, კონკრეტულ ნორმატიულ აქტს, მის ცალკეულ ნაწილებს, თუ ამა თუ იმ ინსტიტუტს, შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ზოგადი ნაწილი.

მოცულობითა და მნიშვნელობით ყველაზე დიდ როლს თამაშობს ის ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი დარგისათვის. ასეთი ზოგადი ნაწილი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის პირველ წიგნში. ზოგი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, ნორმები კავშირებისა და ფონდების შესახებ), იგი *საერთოა მთლიანად კერძო სამართლისათვის*. მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ ეხება კერძო სამართლის ისეთ კანონსაც, როგორცაა კანონი მეწარმეთა შესახებ. ამის მაგალითად გამოდგება ისევე ნორმები გარიგებათა შესახებ. ეს ნორმები განმსაზღვრელია როგორც სამოქალაქო, ისე საკორპორაციო სამართლისათვის, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლისათვის, თამასუქის ან ჩეკის სამართლისათვის და ა.შ. იგივე ეხება ნორმებს უფლებათა განხორციელებისა და ზანდაზმულობის შესახებ. ამდენად, ზოგადი ნაწილის პირველი სახე შეიძლება დავახასიათოთ როგორც უზოგადესი მთელი კერძო სამართლისათვის.

სამოქალაქო კოდექსი იცნობს ზოგადი ნაწილის მეორე სახეს, რომელიც განმტკიცებულია კოდექსის ცალკეულ წიგნებში და, პირველ ყოვლისა, საფუძველს ქმნის ამ წიგნით გათვალისწინებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ამის მაგალითია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რომელიც მოცემულია მესამე წიგნში. ამ ზოგადი ნაწილის მნიშვნელობა ასევე დიდია, ოღონდ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლით. მაგრამ ვინაიდან ვალდებულებითი სამართალი ფაქტობრივად კერძო სამართლის ბირთვია, მისი ზოგადი ნაწილის მნიშვნელობაც ძალზე დიდია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება სახელშეკრულებო სამართალს. მისი ნორმები გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, არამედ ყველა იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლებიც კერძო ავტონომიისა და პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება. თუკი ასეთი ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ ნორმებს, შეიძლება იგი მიჩნეულ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ. მაშასადამე, ზოგადი ნაწილის მოქმედება ამ შემთხვევაში სცილდება კოდექსის ფარგლებს, მაგრამ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტიპის ურთიერთობებით — ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობებით. ამ კატეგორიის ზოგად ნაწილს მიეკუთვნება ასევე ინტელექტუალური საკუთრების სამართ-

ლის ზოგადი ნაწილი ანდა მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებები.

ზოგადი ნაწილის მესამე სახე დამახასიათებელია კონკრეტული ინსტიტუტებისთვის და, ბუნებრივია, მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამ ინსტიტუტით შემოიფარგლება. ამის მაგალითად გამოდგება ბინის საკუთრების ზოგადი დებულებანი ანდა ზოგადი დებულებანი ვალდებულების შესრულების ნაწილში. ამ სახის ზოგადი ნაწილი შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ ხელშეკრულებებსაც, მაგალითად, როგორც ეს შუამავლობის ან დაზღვევის ხელშეკრულების დროსაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგად ნაწილს არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. როგორი მოუხერხებელი იქნებოდა ყოველი კონკრეტული ურთიერთობის დროს იმის ჩაწერა, რაც საერთოა ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობისათვის.

### *III. გამონაკლისები ზოგადი ნაწილის ზოგადი ხასიათიდან*

მართალია, ზოგადი ნაწილის ნორმები საერთოა ყველა ურთიერთობისათვის, მაგრამ შეიძლება კონკრეტულ ურთიერთობას ისეთი სპეციფიკა ახასიათებდეს, რომელსაც ზოგადი ნორმა ვერ მოიცავს ან მოიცავს, მაგრამ განსხვავებულად აწესრიგებს, ე.ი. შეიძლება წარმოიშვას ნორმათა კოლიზია — ზოგადი ნაწილის ნორმა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს (განსხვავებულად აწესრიგებდეს) სპეციალურ ნორმას. იგულისხმება, რომ ლაპარაკია ერთი და იმავე იურიდიული ძალის მქონე ნორმებზე, მაგალითად, კანონის ნორმებზე. ამის ნიმუშად გამოდგება ზოგადი ნაწილის ნორმები ზანდაზმულობის შესახებ, რომელთა თანახმადაც, ზანდაზმულობის ჩვეულებრივი ვადა შეადგენს ათ წელს. ეს არის ყველა მოთხოვნისათვის ზოგადი ვადა. მაგრამ კანონი მეწარმეთა შესახებ განსაზღვრავს, რომ მოთხოვნათა საერთო ვადა 5 წელია. როგორ უნდა გადაწყდეს ამ შემთხვევაში კოლიზია? გადაწყვეტის გასაღებს იძლევა სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი: გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა, ე.ი. *თუ კანონის სპეციალური ნორმა ეწინააღმდეგება ზოგადი ნაწილის ნორმას. მაგრამ იგი დამახასიათებელია ამ კონკრეტული ინსტიტუტისათვის. მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა.* ეს გასაღები შესაძლებლობას იძლევა, რომ, ერთი მხრივ,

ნორმათა კოლიზია გადაწყდეს პოზიტიურ სამართლებრივად და, მეორე მხრივ, უპირატესობა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც კანონმდებელმა ამ სპეციფიკური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შეიმუშავა. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება მოძღვრება პირების შესახებ. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის მიხედვით პირები (ფიზიკური თუ იურიდიული) თანაბრად მონაწილეობენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგრამ კოდექსის ცალკეულ ადგილებში არის ნორმები, რომლებიც მხოლოდ ან იურიდიულ პირებს ეხება ან ფიზიკურ პირებს (მაგალითად, საოჯახო სამართალში).

### §3. სამართლის წყარო ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

#### I. ცნება და თავისებურება

განსხვავება კონტინენტური ევროპის სამართალსა და ინგლისურ-ამერიკულ სამართალს შორის ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს სამართლის წყაროებში. ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამართლის წყარო არა მხოლოდ სამართლის ნორმის გარეგნულად გამოხატვის ფორმაა, არამედ ამა თუ იმ სამართლის სისტემის არსებობის მეთოდოლოგიური საფუძველიც. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ხშირად გაუგებარს ხდის ინგლისურ-ამერიკულ სამართალს კონტინენტური სამართლის იურისტებისათვის, სწორედ სამართლის წყაროს ორიგინალური გაგებაა. ამიტომაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია მისი ცალკე განხილვაც.

ინგლისურ-ამერიკული სამართლის წყაროებს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი („Case Law“) და კანონის სამართალი („Statute Law“). კონტინენტური ევროპის სამართლისაგან განსხვავებით აქ სამართლის ძირითად წყაროს სწორედ სამოსამართლო ანუ, როგორც მას უწოდებენ, პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს.

ინგლისურ-ამერიკული სამართლისთვის უცხობა ისეთი კოდიფიცირებული აქტები, როგორიც სამოქალაქო კოდექსების სახით კონტინენტური ევროპის ქვეყნებს აქვთ. გასულ საუკუნეებში ინგლისში განხორციელებული მცდელობები – მოქმედი სამართალი კოდიფიცირებულ აქტებში მოქცევათ, პრაქტიკოსი იურისტების გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა: ამით მათ ერთმეოდათ მოქმედებისა და ყოველი კონკრეტული შემ-

თხვევის გადაწყვეტისას ინტერპრეტაციის თავისუფლება. სამართალი კი. მათი აზრით, პროკრუსტეს სარეცელში მოექცეოდა.<sup>9</sup> ინგლისი მედგრად დაუდგა წინ სამართლის კოდიფიკაციის ყოველგვარ მცდელობას. ამის შედეგად ჩამოყალიბდა კონტინენტური იურისტებისთვის სრულიად უცხო, მაგრამ თავისთავად მეტად ორიგინალური, თვითმყოფადი და დინამიკური სამართალი. ამ სამართალს საფუძვლად უდევს არა კანონი, არამედ სასამართლო პრაქტიკა – პრეცედენტი.

კონტინენტური სამართლის ტრადიციებზე გაზრდილი იურისტებისთვის უჩვეულოა ის გარემოება, რომ ინგლისის სამოქალაქო სამართლის სისტემა არ იცნობს ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც სრულიად ბუნებრივია ევროპელი და, მათ შორის ქართველი იურისტისთვის:

ა. ვინაიდან ინგლისელი იურისტის ცნობიერება და მართლშეგნება კონკრეტულ კაზუსზეა მიმართული, მისთვის უცნობია სამართლის ზოგადი ნაწილი თავისი ზოგადი დებულებებით;

ბ. ინგლისური სამართლისთვის ასევე უცხოა ვალდებულებითი სამართლის ცნება. სამართლის ამ სფეროში მოცემული მასალა თავმოყრილია სახელშეკრულებო სამართალსა და დელიქტურ სამართალში;

გ. ევროპული სამართლისათვის დამახასიათებელ სანივთო სამართლის ადგილს იკავებს საკუთრების სამართალი და ა.შ.<sup>10</sup>

ინგლისურ-ამერიკული სამართლისთვის უცხოა სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად, თუმცა უკანასკნელ წლებში გამოუსული ახალი სახელმძღვანელოები ამგვარ დაყოფას მიმართავენ.<sup>11</sup>

კოდიფიცირებული სამართალი ევროპაში პირველი ნაციონალური სახელმწიფოების უფლებრივი თანამდევნი იყო. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თავიანთ ახალ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ბეჭედი სწორედ სამართლისა და, პირველ რიგში, სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციით დაუსვეს. პრეცედენტულ სამართალს ასეთი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა არასდროს არ შეუძენია და მისი გავრცელება

<sup>9</sup> Guni, Arthur, *Englands Privat- und Handelsrecht*. Bd. I. S.1.

<sup>10</sup> Blumenwitz, Dieter. *Einführung in das anglo-amerikanische Recht*. 5. Aufl. 1994 S.14-15.

<sup>11</sup> მაგალითად, 1989 წელს გამოსულ სახელმძღვანელოში James, *Introduction to English Law* (1989) ნახსენებია საჯარო სამართალი (Public Law) და კერძო სამართალი (Private Law). პირველს განეკუთვნება: კონსტიტუციური სამართალი (Law of the Constitution), სისხლის სამართალი (Criminal Law) და სოციალური სახელმწიფოს სამართალი (Law of the Welfare State). მეორეს განეკუთვნება: სახელშეკრულებო სამართალი (Law of Contract), პასუხისმგებლობის სამართალი (Law of Torts), საკუთრების სამართალი (Law of Property), ტრასტების სამართალი (Trusts), ქონებრივი მემკვიდრეობის სამართალი (Law of Succession), საბანკროტო სამართალი (Bankruptcy) და საოჯახო სამართალი (Family Law).

თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც დაკავშირებული იყო ინგლისის კოლონიურ სისტემასთან და ინგლისური ენის საყოველთაოდ გავრცელებასთან. თორემ იყო აშშ-ის ისტორიაში პერიოდი, როცა ინგლისის ბატონობას თავდაღწეული თავისუფალი ამერიკა არჩევანის წინაშე იდგა – კოდიფიცირებული სამართალი თუ პრეცედენტული სამართალი.

თავისუფლების მოპოვებამდე თითქმის საუკუნით ადრე მასაჩუსეტსში (1634 წელს), მერილანდში (1642 წელს) და პენსილვანიაში (1682 წელს) საკუთარი კანონები იქნა მიღებული, რომელთაც უპირველესი სამართლის წყაროს მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ეს აიხსნებოდა იმით, რომ, თუმცა ამ ქვეყნებში ინგლისური სამართალი მოქმედებდა, არ ჰყავდათ კვალიფიციური იურისტები, რომლებიც წარმოშობილ დაკვებს გადაწყვეტდნენ.<sup>12</sup> პრეცედენტულ სამართალს ერთიანი ამერიკული სამართალი არ შეუქმნია. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი ფაქტობრივად 50 დამოუკიდებელი შტატის სამართალია, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება მათ შორის იმდენად დიდია, რომ ერთი შტატის იურისტს არა აქვს სხვა შტატში იურისტად მუშაობის უფლება.

ერთი სახელმწიფოს შიგნით ფაქტობრივად 50 სამართლის არსებობის მიუხედავად, ისინი მაინც ერთ სამართლებრივ ოჯახს მიეკუთვნება (ლუიზიანას შტატის გამოკლებით). მართალია, რომ პრეცედენტული სამართალი კონკრეტულ შემთხვევებზე ორიენტირებული სამოსამართლო სამართალია, მაგრამ მას აქვს საერთო პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემის ერთიანობას; ესაა პრეცედენტული სამართლის მეთოდების ერთიანობა. უმთავრესი აქ ისაა, თუ როგორ იძენს სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტის ძალას; რომელი სასამართლოს გადაწყვეტილებები იძენენ ასეთ ძალას.

## *II. Case Law- ს მეთოდები*

თუ ინგლისურ-ამერიკული სამართალი კანონს არ მიიჩნევს სამართლის ძირითად წყაროდ, ქართველ იურისტს ბუნებრივად დაებადება კითხვა: მას რითი მიიღწევა ამ სამართლის ერთიანობა? რა უდევს საფუძ-

<sup>12</sup> Blumenwitz. Einführung.. S. 19

ვლად იმას, რომ პრეიუდიციული სამართლის სამართლებრივი ტექნიკა საერთო სამართლის ქვეყნებში საუკუნეების მანძილზე უცვლელი დარჩა და საერთო ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახს განკუთვნილი ყველა სახელმწიფოსთვის.

ყველა პრეიუდიციული სამართლის სისტემა ემყარება ძირითად ნორმას, რომელიც აღიარებს უწინდელი სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულობას. სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება პრეცედენტად, როცა კონკრეტული შემთხვევის გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უდევს ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტას მომავალში. ყოველივე ეს კი გულისხმობს, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს აბსტრაქტულ წესებს, რომელსაც ინგლისურ-ამერიკულ სამართალში rule (სამართალს) ან principle (პრინციპებს) უწოდებენ.<sup>13</sup> მაგრამ ასეთი ძირითადი ნორმის თეორიული დასაბუთება, რომელიც უზრუნველყოფს პრეცედენტის სავალდებულობას, საკმაოდ რთულია, რადგანაც იგი განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლისაგან, არ ემყარება კანონის ნორმას ან თუნდაც კონსტიტუციას. არც ფიცის მიღება არ ავალდებულებს მოსამართლეებს, რომ დაიცვან პრეცედენტი კონკრეტული საქმეების განხილვის დროს.<sup>14</sup> მიუხედავად ამისა, ინგლისსა და ამერიკაში სამართლის მეცნიერება უეჭველად აღიარებს იმას, რომ პრეცედენტული სამართლის სისტემა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა განსაზღვრულ დონეზე უზრუნველყოფილია წინა სასამართლო გადაწყვეტილებების მბოჭავი ხასიათი შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის.<sup>15</sup> სწორედ ამას უზრუნველყოფს ინგლისურ-ამერიკული თეორია, რომელიც ცნობილია stare decisis-ის სახელით და სიტყვასიტყვით ნიშნავს „გადაწყვეტილებებთან დარჩენას“. ეს მოძღვრება ემყარება პრინციპს, რომ სუვერენული იურისდიქციის ფარგლებში ყველა სასამართლო უნდა შეიბოჭოს ზემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებით; აღნიშნული გადაწყვეტილებები „მბოჭავია“, ე.ი. ისინი უნდა იქნენ დაცულნი – მიუხედავად იმისა, გადაწყვეტილებები ქვემდგომ სასამართლოს სწორად მიაჩნია თუ არა. იგივე გადაწყვეტილებები, უფრო ზუსტად, ამ გადაწყვეტილებებში მოცემული წესები მანამდეა მბოჭავი, ვიდრე ისინი

<sup>13</sup> Salmond, Jurisprudence, 1966: Esser, Grundsatz und Norm in der richterlichen Fortbildung des Privatrechts, 3. Aufl. 1974 usw.

<sup>14</sup> Blumenwitz, Einführung, S. 24.

<sup>15</sup> Esser, Grundsatz und Norm, S. 267. Kriele, Theorie der Rechtsvergleichung, 2. Aufl. 1976 usw.



არ გაუქმდება; გაუქმება კი შეიძლება ზემდგომი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით ან კანონით.<sup>16</sup> მაგრამ იმისთვის, რომ გავერკვიოთ, თუ რას ნიშნავს „ზემდგომი სასამართლო“, უნდა ვიცოდეთ სასამართლოთა და სასამართლო გადაწყვეტილებათა იერარქია ინგლისურ-ამერიკული სამართლის ქვეყნებში, უფრო ზუსტად, ინგლისსა და ამერიკაში.

ლორდთა პალატის (House of Lords), როგორც ინგლისის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა ინგლისური სასამართლოსთვის. გასული საუკუნის შუა პერიოდამდე ლორდთა პალატა თვითონაც იყო შებოჭილი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, მაგრამ ეს ვითარება ლორდთა პალატის კანცლერის 1966 წლის 26 ივლისის დეკლარაციის შემდეგ შეიცვალა: ლორდთა პალატას შეუძლია გადაუხვიოს თავის უწინდელ გადაწყვეტილებებს.

სააპელაციო სასამართლოს (Court of Appeal) გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა ქვემდგომი სასამართლოსთვის. სამოქალაქო საქმეებზე სააპელაციო სასამართლო შებოჭილია თავისი წინანდელი გადაწყვეტილებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება ლორდთა პალატის ახალ გადაწყვეტილებებს. თუ სააპელაციო სასამართლოს ორი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მაშინ სასამართლოს უფლება აქვს თვითონვე აირჩიოს, თუ რომელი გადაწყვეტილებით სურს მას ხელმძღვანელობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოების (Crown Court) გადაწყვეტილებებს მბოჭავი ხასიათი არა აქვთ. ამიტომაც ისინი სამართლის წყაროს არ წარმოადგენენ და არც ქვეყნდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოთა და სასამართლოს გადაწყვეტილების იერარქიის განხილვისას მნიშვნელოვანია ამერიკის ფედერალური წყობილების როლი. განსხვავებით ინგლისისაგან, სადაც უზუნაესი სასამართლო ხელისუფლება ლორდთა პალატის ხელშია და ცენტრალიზებულია, ამერიკაში სასამართლოთა სისტემა დეცენტრალიზებულია. ფედერალური სასამართლოებისთვის მბოჭავია მხოლოდ ფედერალური ზემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები, სახელმწიფო სასამართლოებისთვის მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოთა ზედა ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებები, მაგრამ არა ფედერალური სასამართლოების ან შტატების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებები.

---

<sup>16</sup> Blumenwitz. Einführung, S. 25.

## §4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა სახეები

### I. იმპერატიული (*ius cogens*) და დისპოზიციური ნორმები (*ius dispositivum*)

ცნობილი ვერმანელი იურისტის ფონ ტურის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „სამართალი პრინციპში დამოუკიდებელია ინდივიდების ნებისაგან: კანონის ნორმები მოქმედებენ მხოლოდ სახელმწიფოს ნების წყალობით“.<sup>17</sup> სამოქალაქო სამართალი ამ მხრივ გამონაკლისია. ისტორიულად იგი ჩამოყალიბდა როგორც კერძო პირთა ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. ამ ტრადიციის გათვალისწინებით სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის მონაწილეებს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში. მაგალითად, მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის შინაარსი თვითონ განსაზღვროს და ა.შ. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალში ნორმათა დაყოფა დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად უაღრესად მნიშვნელოვანია და დამახასიათებელი სამართლის ამ დარგისათვის.

სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპი — კერძო ავტონომია სწორედ დისპოზიციური ნორმების წყალობით მიიღწევა. „კერძო ავტონომიის მიმართ სამოქალაქო სამართალი, როგორც წესი, დისპოზიციურია: მხარეთა მიერ განხორციელებული ქმედობებისას იგი უკან იხვეს; მას სურს მხოლოდ გარიგებით გაუთვალისწინებელი წესის ადგილი დაიკავოს და არასრულყოფილი დებულებები შეაქოს“.<sup>18</sup>

დისპოზიციური სამართლის ნორმები მხარეებს შესაძლებლობას აძლევს დეტალურად არ განსაზღვრონ ყველა საკითხი მომავალ ურთიერთობებში. მაგალითად, მამკვიდრებელმა, რომელიც სამკვიდროს ტოვებს, იცის, რომ მისი ქონება მემკვიდრეებზე გადავა კანონით დადგენილი წესით. თუ იგი ამ წესს ეთანხმება, მას არ სჭირდება საგანგებოდ ანდერძის შედგენა. ვინც რაიმე ნივთს ყიდულობს, მას სჭირდება მხოლოდ ფასსა და საგანზე შეთანხმება. ყველა სხვა საკითხს აწესრიგებს კანონი (ხარისხი, ნაკლი, უკან დაბრუნების პირობები და ა.შ.).

ისტორიულად დისპოზიციური ნორმები მხარეთა შეთანხმებების საფუძველზე წარმოიშვა, კერძოდ, ისეთი შეთანხმებების საფუძველზე, რომ-

<sup>17</sup> Tuhr, Andreas von. Allgemeiner Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. Bd. I. S. 25 (შემდგომი — v. Tuhr, Bd. I).

<sup>18</sup> v. Tuhr, Bd. I, S. 25.

ლებიც ჩვეულებრივ, ტიპურ და სრულიად ბუნებრივ შეთანხმებებს წარმოადგენდნენ.<sup>19</sup> ამიტომ, დისპოზიციური ნორმები კანონში ხშირად ისეა ჩამოყალიბებული, თითქოს ეს მხარეთა ბუნებრივი მოთხოვნა იყოს. მაგალითად, ნასყიდობის დროს მყიდველს უფლება აქვს გამოცვალოს ნივთი, თუ მას ნაკლი აღმოაჩნდა.

დისპოზიციური ნორმების თავისებურება ისაა, რომ ისინი მოქმედებენ მაშინ, როცა მხარეებმა გამოტოვეს ხელშეკრულებაში რაიმე საკითხი ან არასრულად მოაწესრიგეს იგი. მაგალითად, თუ მეუღლეებს შორის არ დადებულია საქორწინო კონტრაქტი, მაშინ მათი ქონებრივი ურთიერთობა ერთმანეთში მოწესრიგდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მეუღლეთა თანასაკუთრების წესით.

დისპოზიციური ნორმების გარდა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე ნორმებს, რომელთა შეცვლა მხარეებს არ შეუძლია. ესაა იმპერატიული ნორმები, რომელთა რაოდენობა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში საკმაოდ დიდია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, თუ რა მიზნით არის კოდექსში იმპერატიული ნორმები მოცემული. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ უთითებს, თუ რომელია იმპერატიული და რომელი დისპოზიციური ნორმები. ეს უნდა დაზუსტდეს კონკრეტული ნორმის განმარტების დროს.

აღიარებული შეხედულების თანახმად, „თავისუფალი საზოგადოების სამოქალაქო სამართალი ფართო მოცულობით ანიჭებს ინდივიდებსა და სამოქალაქო სამართლებრივად ორგანიზებულ ჯგუფებს უფლებას ერთმანეთს შორის ურთიერთობები ურთიერთშეთანხმებით, ე.ი. კონსენსუსით მოაწესრიგონ. კანონით გარანტირებულ ფარგლებში განხორციელებულ შეთანხმებებს სამართალი ანიჭებს სამართლებრივ ნამდვილობას, დაცვასა და სახელმწიფოებრივ იძულებას. სახელშეკრულებო თავისუფლება არსებობს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და 'განსაზღვრულ ღონემდე'; ეს, ფარგლები და ღონე განისაზღვრება იმპერატიული ნორმებით.“<sup>20</sup>

ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ შეიძლება, რომ კანონმა განსაზღვროს მხოლოდ იმპერატიული ნორმები, ე.ი. ის ფარგლები და საზღვრები, რომლის შიგნითაც მხარეებს შეეძლებათ თავისუფლად მოქმედება? ამით შემცირდებოდა დისპოზიციური ნორმების აუცილებლობაც, ე.ი. მიწვეული მოწესრიგების გარდა, ყველა ურთიერთობა მოწესრიგებულიყო

<sup>19</sup> Goldschmidt, Universalgeschichte des Handelsrechts, Bd. I, S. 403.

<sup>20</sup> Schwab, Dieter. Einführung in das Zivilrecht. 11. Aufl. S. 22 (შეზღოში – Schwab, Einführung).

მხარეთა შეთანხმებით. ამის გაკეთება დაუშვებელია შემდეგი გარემოების გამო: „მხარეთა შეთანხმება ძალიან ხშირად არასრულყოფილია, ე.ი. ისინი ვერ ეხება ყველა იმ კონფლიქტს, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს შეიძლება წარმოიშვას. შეთანხმებისას მხარეები ფიქრობენ შეთანხმების სათანადოდ შესრულებაზე და არა იმაზე, თუ რა პრობლემები შეიძლება მათ წარმოეშვათ“.<sup>21</sup> მაგალითად, პირი, რომელიც წიგნს ყიდულობს მაღაზიაში, იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ამ წიგნს შეიძლება 30 გვერდი აკლდეს. ამიტომ ის არ უთანხმდება გამყიდველს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში. მაგრამ თუ ეს ასეა (ე.ი. წიგნი გამოდგა ნაკლის მქონე), მაშინ მოქმედებს კანონის ნორმა, რომელიც ავალდებულებს გამყიდველს გამოცვალოს ნაკლის მქონე ნივთი. ნივთის გამოცვლა ამ შემთხვევაში სავალდებულოა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. ეს არის დისპოზიციური ნორმების ფორმულა.

თუ კანონის ნორმა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას ითვალისწინებს, მხარეებმა კი მისგან განსხვავებულ შეთანხმებას მიაღწიეს, იქნება თუ არა ასეთი შეთანხმება ნამდვილი? ეს დამოკიდებულია იმაზე, არის ეს ნორმა დისპოზიციური თუ იმპერატიული. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ხშირად მეტად რთულია. მით უმეტეს, რომ ყველა ნორმაზე არ შეიძლება აშკარად იმის თქმა, ეს ნორმა იმპერატიულია თუ დისპოზიციური. იმპერატიული ხასიათი უნდა დადგინდეს ნორმის მიზნიდან და ეს უნდა მოხდეს კონკრეტული ნორმების განმარტებისას. ამავე დროს, არსებობს ნორმები, რომელთა იმპერატიულობა ეჭვს არ იწვევს და ამიტომ არც განმარტებაზეა მათი ასეთი ბუნება დამოკიდებული. მათ განეკუთვნება ნორმები, რომლებიც გარიგებათა ნამდვილობას განსაზღვრავენ ანდა ნორმები იურიდიული პირის სახეების შესახებ.

იმპერატიული ნორმების ანალიზისას იბადება კითხვა: ამ ნორმათა იმპერატიული ხასიათი, კერძოდ, ის, რომ მათი შეცვლა მხარეებს არ შეუძლიათ, ხომ არ აქვევს მათ საჯარო სამართლის ნორმად? სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული შეხედულების თანახმად, „ნორმის იმპერატიული ხასიათი არ უცვლის მას კერძო სამართლებრივ ბუნებას. იმპერატიული სამართლის ცნება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ „საჯარო სამართლის“ ცნებასთან“.<sup>22</sup> ეს აიხსნება იმით, რომ იმპერატიული ნორმების მიზანი მდგომარეობს იმ კერძო უფლებათა დაცვის

<sup>21</sup> Schwab, Einführung, S. 22-23.

<sup>22</sup> Koziol/Welser, Grundriß des bürgerlichen Rechts, 8. Aufl. S.37.

უზრუნველყოფაში. რომელიც კერძო სამართლის მონაწილეებსა აქვთ მინიჭებული. ამგვარი უზრუნველყოფის გარეშე საფრთხე შეექმნებოდა ინდივიდუალიზმისა და კერძო ავტონომიის პრინციპებს.

იმპერატიული ნორმების დახასიათებისას ცალკე გამოყოფენ ე.წ. „ფარდობითად იმპერატიულ ნორმებს“. მათი ფარდობითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ისინი მხოლოდ ერთი მხარისთვისაა იმპერატიული. მაგალითად, შრომის ხელშეკრულების დროს სამუშაოს მიძღვება არ შეიძლება სამუშაოს მიძღვება მუშაობის მიმე პირობები შესთავაზოს.<sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამის მაგალითია ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოვალეობა არ შესთავაზოს კონტრაქტს არათანაბარი პირობები.

როგორც წესი, დისპოზიციური ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მხარეებმა ხელშეკრულებაში ან სხვა გარიგებაში რაღაც ვერ გაითვალისწინეს. მაშინ, როცა მხარეებმა ერთმანეთს შორის ურთიერთობა სრულყოფილად მოაწესრიგეს, დისპოზიციური ნორმების გამოყენების აუცილებლობა არ წარმოიშობა.<sup>24</sup> მაგალითად, მემკვიდრეობის სამართალში მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.<sup>25</sup>

თუ კონტინენტური ევროპის კერძო სამართლისთვის დისპოზიციური ნორმები სრულიად ბუნებრივია, მას არ იცნობს პრეტენდენტული სამართალი. *ius dispositium* მისთვის უცხოა. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საერთო სამართალს არა აქვს ისეთი სახელშეკრულებო ტიპები, რომლებშიც მხარეებს მხოლოდ რამდენიმე საკითხზე სჭირდებათ შეთანხმება, ხოლო დანარჩენს მოაწესრიგებს კანონი.<sup>26</sup>

ცხადია, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ შეუძლიათ ყველაფრის გათვალისწინება. ამიტომ ინგლისელი მოსამართლეები ცდილობენ ამოავსონ ეს ხარვეზები. ამ მიზნით ისინი იყენებენ ე.წ. *doctrine of implied terms*. ეს მოძღვრება, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სამართლის ანალოგიური მოძღვრება, ხელშეკრულებათა შემსვები განმარტების შესახებ ემყარება მხარეთა სავარაუდო ნების პრინციპებს.<sup>27</sup>

<sup>23</sup> Koziol/Welser. Grundriß. S.38.

<sup>24</sup> Koziol/Welser. Grundriß. S.38.

<sup>25</sup> ზურაბ ახელედიანი. სამემკვიდრეო სამართლის საკითხები. სამართლის რეფორმა საქართველოში. 1994 წ. გვ. 262.

<sup>26</sup> Triebel/Hodgson/Kellenter/Müller. Engliches Handels- und Wirtschaftsrecht. 2. Aufl. 1995. Heidelberg. S. 65.

<sup>27</sup> იქვე. გვ. 65.

რადგანაც მხარეთა ხარვეზიან შეთანხმებებს საკანონმდებლო დაზღვევა არა აქვთ; ძალიან ღიღია იმ იურისტების როლი, რომლებიც ხელშეკრულებებს ადგენენ. ისინი ცდილობენ ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ ყველა დეტალი. ამიტომაც არის, რომ ინგლისელი და ამერიკელი იურისტების მიერ შედგენილი ხელშეკრულებები ყველა იმ დეტალს ითვალისწინებს, რასაც კონტინენტური ევროპის სამართალში სამოქალაქო კოდექსები ან სხვა კანონები. სახელშეკრულებო ხარვეზები შეიძლება ასევე სავაჭრო ჩვეულებებით შეივსოს.<sup>28</sup>

## II. ე.წ. განუსაზღვრელი ნორმების შესახებ

სამოქალაქო კოდექსის სტილია აბსტრაქტული ნორმების მეშვეობით ურთიერთობათა მოწესრიგება. ეს შესაძლებლობას იძლევა ნორმა მიესადაგოს სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, რომლებიც ხშირად გარემოებათა შესაბამისად იცვლება. იმავდროულად, ცხოვრებასთან მიახლოების შესაძლებლობას იძლევა კანონი, ე.წ. განუსაზღვრელი ნორმების ჩამოყალიბებით, რომელთაც უფრო დირექტივის ხასიათი აქვთ.<sup>29</sup>

ამგვარ ზოგად და განუსაზღვრელ დებულებებს სამოქალაქო კოდექსი ბევრ ადგილას იყენებს. „კეთილსინდისიერად“, „ნამდვილი კომერსანტის გულისხმობა“, „სამართლიანობის შესაბამისად“, „სათანადო ვადა“, „მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას“ და ა.შ.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას თუ გადაევალებთ თვალს, ამ გენერალურმა და განუსაზღვრელმა დებულებებმა მართლმსაჯულებას შესაძლებლობა მისცა განეითარებინა საკანონმდებლო მოწესრიგება და შეცვლილი ცხოვრებისეული გარემოებებისათვის მიესადაგებინა.<sup>30</sup> ამით შეიძლება აიხსნას, რომ XIX საუკუნეში მიღებული კანონები, ძირეულად შეცვლილი ეკონომიკური თუ სოციალური ურთიერთობების მიუხედავად, დღესაც ძალაშია.

განუსაზღვრელი ნორმები, რომლებიც დასავლეთის ყველა სამოქალაქო კოდექსს ამშვენებს, იოლად არ დამკვიდრებულა სამართალში. თვით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კრიტიკოსები, რომლებიც უდავოდ აღიარებდნენ ამ აქტის მაღალ ღონეს, დაუფარავად აკრიტიკებდნენ და ებრძოდნენ კიდევ მის განუსაზღვრელ დებულებებს. ამის საილუსტრაციოდ

<sup>28</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>29</sup> Larenz. AT. S.25.

<sup>30</sup> Larenz. AT. S.26.

საკმარისია რამდენიმე ციტატის მოხმობაც. რათა ნათელი გახდეს, თუ როგორი წინააღმდეგობა ხვდებოდათ მათ: „უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სამართლიანობასა და თანაზომიერებაზე დამყარებული ნორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ არასტაბილურობას გამოიწვევს, რაც შეიძლება მოსამართლეებში ამ ნორმათა ბოროტად გამოყენების საწინდარი გახდეს“.<sup>31</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის პირველ წლებში მოსამართლეები არც იყენებდნენ ამ ნორმებს. მხოლოდ ოციანი წლებიდან იწყებენ განუსაზღვრელი ნორმები ძლევამოსილ დამკვიდრებას სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებაში. დღეს მათ გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე კოდიფიკაციები.

არაა გამორიცხული, რომ ამ განუსაზღვრელ ნორმებს უარყოფითი შედეგები მოჰყვეს საზოგადოებისათვის. ეს ხდება მაშინ, როცა თვით სამართალი მოიკოჭლებს საზოგადოებაში. ამიტომ ისეთი დებულებები, როგორიცაა „კეთილი ნება“, „კეთილსინდისიერება“, „ზნობა“, „საზოგადოებრივი წესრიგი“ და ა.შ. შეიძლება სახიფათო ინტერპრეტაციის წყარო გახდეს. ქედმანი ამ მოვლენას „მთელი სამართლებრივი ცხოვრების არასტაბილურობას უწოდებს“.<sup>32</sup> ეს სიტყვები მაშინაა დაწერილი, როცა გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმი მყარად იკიდებს ფეხს და ავტორის შემოთვალაქ ბუნებრივია. ასეთი განუსაზღვრელი ნორმები მრავლად იყო საბჭოთა სამართალშიც: „რევოლუციური მართლშეგნება“, „სოციალისტური კანონიერება“ და ა.შ.

თავისთავად განუსაზღვრელი ნორმების არსებობა არ შეიძლება ჩავთვალოთ არც ბოროტების, არც სიკეთის წყაროდ. უფრო მეტად, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ისაა, თუ რა ღირებულებებს ემყარება მთლიანად საზოგადოება. ბოროტების განხორციელება შეიძლება ზოგადი განუსაზღვრელი დებულებების გარეშეც. მაგრამ რეალურ ცხოვრებასთან ახლოს მდგომი სამართლისა და მართლმსაჯულების განხორციელება მათ გარეშე შეუძლებელია.

განუსაზღვრელ ნორმებს არა მხოლოდ კრიტიკოსები ჰყავდა, არამედ მეხობტე მომხრეებიც. მაგალითად, ამ საუკუნის დასაწყისის ევროპაში წარმოშობილი ე.წ. თავისუფალი სამართლის მოძრაობა ჰერმან კანტოროვიჩის ხელმძღვანელობით სწორედ ამ განუსაზღვრელ დებულებებს მიიჩნევდა სამართლის იდეალად. აი, რას წერდა ამ მოძრაობის ერთ-ერთი

<sup>31</sup> უკუითებ ქედმანის წიგნის მიხედვით: Hedemann, J.W. Die Flucht in die Generalklauseln. Eine Gefahr für Recht und Staat. 1933. S. 10.

<sup>32</sup> Hedemann, Die Flucht, S. 67.

ცნობილი წარმომადგენელი ადვოკატი ერნსტ ფუქსი 1926 წელს: „კარგია გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ერთადერთ ადგილას, კერძოდ იქ, სადაც იგი თავის აბსტრაქტულ კაზუსისტიკას ემყარება და გზის მაჩვენებელს სვამს. იგი აჩვენებს გზას, მისასვლელს თავისუფალი სამართლის ზღვართან“.<sup>33</sup>

საერთო სამართლის ქვეყნებისათვის უცხოა განუსაზღვრელი ნორმები და ამ ნორმათა კლასიკური გამოხატულება ე.წ. კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც სრულიად ბუნებრივად ჩანს კონტინენტური ევროპის სამართალში და მხარეებს მოუწოდებს, რომ ურთიერთვალდებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად — ურთიერთნდობისა და რწმენის საფუძველზე. „ინგლისურ სამართალში ხელშეკრულების მხარეებს მათი ხელშეკრულებების შესრულებისას არ სჭირდებათ ყურადღების გამახვილება ურთიერთნდობასა და რწმენაზე. პრინციპულად ყველაფერს წყვეტს ხელშეკრულების მშრალი ასოები და არაფერს აენებს, თუ ერთ-ერთი მხარე თავის სახელშეკრულებო უფლებებს უსამართლოდ ან ბოროტად გამოიყენებს“.<sup>34</sup> მხარეებს ასევე არ შეუძლიათ სავალდებულოდ შეთანხმდნენ, რომ ისინი ხელშეკრულებას ნდობისა და რწმენის საფუძველზე შეასრულებენ. მაგალითად, ბანკი, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფ ქონებას (გირაოს) ყიდის, სულაც არ არის ვალდებული, ეს ქონება მაქსიმალურ ფასში გაყიდოს ისე, რომ თავდებსაც დარჩეს რამე.<sup>35</sup>

## §5. ჩვეულებანი

თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართალში უმთავრეს წყაროს კანონი წარმოადგენს. სამართლის კოდიფიკაციამ ჩვეულებათა მნიშვნელობა ძალიან შეამცირა. თუმცა სამოქალაქო სამართალი გულგრილი ვერ დარჩება სამართლის ამ უბველესი წყაროს მიმართ. ამიტომაც არის, რომ კანონის შემდეგ სამართლის წყაროდ ჩვეულებებიც არის აღიარებული.<sup>35'</sup>

მიუხედავად ამისა, ზოგი ქვეყნის სამართლის მეცნიერებაში, მაგალი-

<sup>33</sup> Hedemann, Die Flucht, S. 11.

<sup>34</sup> Triebel/Hodgson/Kellentier/Müller. *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*. S.66-67.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>35'</sup> ბ. საენანელი. სამართლის თეორია. თბ., 1993. გვ. 33. პროფ. ბ. საენანელის ამ ნაშრომში საინტერესო შედარებითი ანალიზია გაკეთებული ჩვეულებითა სამართლის მოქმედების შესახებ სხვადასხვა ქვეყნის სამართალში.



თად, ავსტრიაში, სადავოა, საერთოდ არსებობს თუ არა ჩვეულებითი სამართალი. აქვე იმასაც ამბობენ, რომ დაწერილი სამართალი ისე სრულყოფილად აწესრიგებს ურთიერთობებს, რომ ჩვეულებითი სამართლისათვის აღილი არ რჩებაო.<sup>36</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ჩვეულებანი სამართლის წყაროდ აღიარა. იმავდროულად, მათი შინაარსი დაწერილი სამართლის ფარგლებში მოაქცია. კერძოდ, მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

იმის გამო, რომ ჩვეულებანი ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ყალიბდება და წერილობითი ფორმით არ არის დაფიქსირებული, ხშირად რთულდება მათი შინაარსის დადგენა. ამიტომ მეტად პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ ვინ უნდა დაადგინოს ჩვეულების არსებობა. ყოველგვარი წესი ჩვეულებას არ ნიშნავს. ეს წესი კონკრეტული სრულიყოფის მიერ უნდა იყოს აღიარებული სავალდებულოდ შესასრულებლად. სინამდვილეში არის ეს ასე თუ არა, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

ჩვეულების არსებობის დადასტურება ან აღიარება სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად იქნება გამოყენებული. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ჩვეულება კანონის ნორმებს. მაგალითად, ზოგ ხალხში დღემდე შემორჩა დაქორწინება საცოლის მოტაცების გზით. მართალია, ეს წესი თავისთავად კი განეკუთვნება ჩვეულებას, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება როგორც სამოქალაქო კოდექსის ნორმებს ქორწინების თავისუფლების შესახებ, ასევე სისხლის სამართლის კოდექსს. ამიტომ ასეთი ჩვეულება სამართლის წყაროდ არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ჩვეულებითი სამართლის ბევრი ნორმა საფუძველი გახდა საკანონმდებლო ნორმის ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, კომერსანტებს შორის დუმილით გარიგების დადების წესი ჩვეულებითი სამართლიდან გადმოვიდა მოქმედ სამოქალაქო კოდექსებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ასევე შეხედულება, თითქოს სამოსამართლო სამართალიც ჩვეულებითი სამართალი იყოს.<sup>37</sup> თუმცა ეს შეხე-

<sup>36</sup> Walter. Österreichisches Bundesverfassungsrecht. 1972, 70 ff.

<sup>37</sup> v. Tuhr. Bd. I. S. 10.

დუღება არ არის გაზიარებული სხვათა მიერ. სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებას სხვა კანონზომიერებები და წესები აქვს, ვიდრე ჩვეულებით სამართალს (მასზე დაწერილებით მე-4 თავში).

მამასადამე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კანონთან ერთად სამართლის წყაროდ ჩვეულებასაც აღიარებს.

## **§6. სამოქალაქო ნორმის მოქმედება დროსა და სივრცეში: სამართლის ნორმათა კოლიზია, კანონისა და სამართლის ანალოგია**

ნებისმიერი კანონი, მათ შორის სამოქალაქო კოდექსიც, განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ სივრცეში მოქმედებს. ღიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდის შედის კანონი ძალაში, როდის ზღვები იგი სავალდებულო გამოსაყენებლად და როდის კარგავს ძალას, თუ ვის მიმართ გამოიყენება ეს კანონი. საქართველოში ამ ურთიერთობებს სპეციალური კანონი აწესრიგებს. ესაა კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 29 ოქტომბერს. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის ნორმათა დროსა და სივრცეში მოქმედების საკითხები დამატებით მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსშიც. მათ შორის რაიმე წინააღმდეგობა არ არის.

სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კანონი და კანონქვემდებარე აქტები ძალაში შედის მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ. დადგენილ წესში იგულისხმება როგორც საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლით გათვალისწინებული კანონთა ძალაში შესვლის წესი, ასევე ნორმატიული აქტების შესახებ კანონით განსაზღვრული წესი.

კანონის მოქმედება დროში განისაზღვრება კანონის ამოქმედებისა და მისი ძალადაკარგულად აღიარების დროს შორის არსებული დროის მონაკვეთით. უზოგადესი წესის თანახმად, კანონი ძალაში შედის მასში მითითებულ დღეს. ეს დღე შეიძლება აღინიშნოს სხვადასხვა ტერმინებით: „გამოქვეყნებისთანავე“, „25 ნოემბერს“ და ა.შ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალში შესვლის დრო არის 1997 წლის 25 ნოემბერი. თუ კანონში ასეთი კონკრეტული ვადა არ არის მითითებული,

მაშინ გამოიყენება კონსტიტუციის 68-ე და ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 42-ე მუხლები. მათ თანახმად კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.

ოფიციალურ ორგანოდ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოცემამდე ითვლება გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. ამიტომ ამ გაზეთში გამოქვეყნება ჩაითვლება ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებად.

კანონის ძალაში შესვლის ერთ-ერთი არანორმატიული წინაპირობაა ისეთი გამოქვეყნება, რომელიც შესაძლებელს გახდის მოსახლეობა გაეცნოს ამ კანონს. ამიტომ იმის მოთხოვნა, რომ კანონი საყოველთაო გაცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს, არ არის შემთხვევითი. დასავლეთის ქვეყნებში კანონთა ხელმისაწვდომობა პრაქტიკულად იმით არის უზრუნველყოფილი, რომ ოფიციალური გამოცემის შემდეგ კერძო გამომცემლობები აერცელებენ ამ კანონებს მრავალტირაჟიანი გამოცემების მეშვეობით. თვით გამომცემლობებს კანონთა გამოცემის უფლება კანონმდებლობითა აქვთ უზრუნველყოფილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1028-ე მუხლის პირველი ნაწილის ა ქვეპუნქტი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს. კანონი ისეთ ნაწარმოებთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებზეც საავტორო უფლება არ ვრცელდება. ეს ნიშნავს, რომ კანონთა გამოცემა დასაშვებია კერძო გამომცემლობებისათვის.

ნორმატიული აქტი მოქმედებს უეადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობებს, ანდა თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

სამოქალაქო ნორმების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი არის ახალი კანონის გამოცემა, რომელიც ძველ კანონს აუქმებს. ყოველი ახალი კანონი ავტომატურად არ აუქმებს ძველ კანონს: გაუქმების შესახებ პირდაპირ უნდა იყოს მითითებული გახალ კანონში ან ახალი კანონი უნდა აწესრიგებდეს იმ ურთიერთობას, რასაც ძველი კანონი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსმა 1505-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტით გააუქმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა კანონი პირდაპირ არ მიუთითებს ძველი კანონის გაუქმებაზე. ამ დროს გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის წესი: ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ განზრახვას.

დროში სამართლის ნორმის მოქმედებას უკავშირდება კანონის უკუქცევითი ძალის საკითხიც. სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა. ამ უზოგადესო წესიდან გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ კანონით იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსმა 1507-ე მუხლით სამოქალაქო კოდექსის მოქმედება გაავერცელა ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზეც. კერძოდ, ზანდაზმულობით საკუთრების შეძენის ვადა აითვლება 1993 წლის 23 ივლისიდან. სამოქალაქო კოდექსი კრძალავს კანონისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭებას, თუკი ეს კანონი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. თუ რას ნიშნავს „ზიანის მომტანი“ ან „აუარესებს პირის მდგომარეობას“, ეს კონკრეტული ფაქტის საკითხია და ცალკეული შემთხვევის შეფასების დროს უნდა გადაწყდეს.

როცა სამართლის ნორმის სივრცეში მოქმედებაზეა საუბარი, იგულისხმება ის ტერიტორია, რომელზედაც მოქმედებს ეს კანონი. ასეთ ტერიტორიად მიიჩნევა მთლიანად საქართველოს ტერიტორია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს სამართლის სისტემა ან სამართლის ცალკეული დარგი, არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სამართლის ცალკეული ნორმები განსხვავებულად აწესრიგებენ ერთსა და იმავე ურთიერთობებს. ასეთ ვითარებას სამართლის ნორმათა კოლიზია ეწოდება. კოლიზია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა ურთიერთწინააღმდეგობისას. რაც შეეხება წინააღმდეგობას კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს შორის, ასეთ დროს კოლიზიის ცნება არ გამოიყენება. ასეთი შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულ ნორმას განამტკიცებს: თუ კანონქვემდებარე აქტი ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი (მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება).

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს? რომელი ნორმა უნდა იქნეს ამ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად გამოყენებული? ამ მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის კითხვაზე პასუხს სცემს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი: გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური და უფრო ახალი კანონი. არათუ ცალკეულ კანონებს შორის, არამედ სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ნორმებს შორისაც არ არის გამორიცხული კოლიზია. ეს, როგორც წესი,

ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის წინააღმდეგობაში გამოიხატება. ამ დროს გამოიყენება სპეციალური ნორმები. მათ უპირატესობა აქვთ ზოგად ნორმებთან შედარებით. ეს აიხსნება იმით, რომ სპეციალური ნორმები უფრო ახლოს დგანან მოსაწესრიგებელ ურთიერთობებთან და უფრო ზუსტად ასახავენ ამ ურთიერთობათა სპეციფიკას.

ყოველი კანონის შემუშავების დროს კანონშემოქმედნი იმ ცოდნასა და გამოცდილებას ემყარებიან, რომელიც მათ მოცემული კანონის შემუშავების დროს აქვთ. ამიტომ ყველა ურთიერთობისა და ყველა საკითხის წინასწარ გათვალისწინება მათ არ შეუძლიათ. ცხოვრება ბაღებს ისეთ პრობლემებს, რომელთა გადასაწყვეტად კანონმდებელს რაიმე კონკრეტული ნორმა არ შეუთავაზებია, ე.ი. კანონს აქვს ხარვეზი. სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს. რა გზას უნდა დაადგეს სასამართლო, თუ არ არსებობს სათანადო ნორმა? მან უნდა გამოიყენოს ანალოგიური, ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა და ისე გადაწყვიტოს სადავო საკითხი. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი და მას კანონის ანალოგიას უწოდებს. არაა გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როცა არც ანალოგიური ნორმა არ არსებობს. ამჯერად ვითარება უფრო რთულია, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი აქაც ითვალისწინებს გასაღებს: ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად. ხარვეზის ამოვსების ამ ხერხს სამართლის ანალოგია ეწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონისა და სამართლის ანალოგიაც დაშვებულია, კანონი შეზღუდვებსაც ითვალისწინებს. სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ ანალოგიით (სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი).

სამოსამართლო სამართალი და  
სამოქალაქო სამართალი

§1. შეიძლება თუ არა არსებობდეს ყველასთვის გასაგები  
კანონი და რატომ ებრძოდნენ დიდი კანონმდებლები  
კანონის განმარტებას?

როგორც დაინახეთ, დასავლეთ ევროპის განმანათლებლობამ ფაქტობრივად რევოლუცია მოახდინა სამართლის წყაროს ცნების საკითხში. მან საფუძველი დაუდო სამართლის წყაროთა სრულიად ახალ იერარქიას, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართალში დღესაც გაბატონებულია. ამ იერარქიის სათავეში დგას პარლამენტის მიერ ან სახალხო რეფერენდუმის შედეგად მიღებული ნორმატიული აქტი — კანონი. განმანათლებლობა და მისი იდეების საფუძველზე წარმოშობილი სამართლის სკოლები კანონს ძალიან მაღალ მთხოვნებს უყენებდნენ. იგი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი, გასაგები, ნათელი, რომ ამით მოსამართლეთა თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლებისათვის, რომელიც მათ საერთო სამართლის პირობებში ჰქონდათ, ზღვარი დაეღოთ.

XIX საუკუნეში მიმდინარე გააფთრებულ ბრძოლას „ხალხის სამართალს“ თუ „იურისტების სამართალს“ შორის დიდი შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალი კოდიფიკაციის შედეგად კანონები უკვე იწერებოდა ნაციონალურ ენებზე და არა ლათინურ ენაზე. მრავალსაუკუნოვანი მცდელობები, რომ კანონები ყველასთვის გასაგები ენით დაწერილიყო, უშედეგო აღმოჩნდა. „თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები იმდენად რთულია, რომ მათი მოწესრიგება შეუძლებელია რამდენიმე ისეთი მარტივი წინადადებით, რომლის გაგება საზოგადოების უკანასკნელ წევრსაც კი შეეძლება. ლოგიკა და ენის კარგად ფლობა ამისთვის სრულიადაც არ არის საკმარისი“.<sup>1</sup> როგორც ექიმს სჭირდება სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია, რომელიც მისი პაციენტებისთვის ხშირად უცხოა, ისე სჭირდება იურისპრუდენციას სპე-

<sup>1</sup> Schnitzer, Adolf F. Vergleichende Rechtslehre. Bd. II. 2. Aufl. 1961. S.443 (შეზღომაში — Schnitzer, Bd.II)

ციალური განათლება და ტერმინოლოგია. როგორც ექიმებმა უნდა დაიც-  
ვან მოსახლეობის ჯანმრთელობა და ამ მიზნით გამოიყენონ მათთვის  
ხელმისაწვდომი ყველა საშუალება, ასევე უნდა დაიცვან იურისტებმა  
მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა გაუმართლებელი ხელყოფისა-  
გან, გაარკვიონ ისინი თანამედროვე რთულ სოციალურ თუ საკანონმდებ-  
ლო ლაბირინთებში.

სწორედ იურისტები არიან მოწოდებულნი იმისთვის, რომ გამოიყენონ  
კანონები. „ინგლისურმა მაგალითმა, თავისი ისტორიული ტრადიციიდან  
გამომდინარე, თვალნათლივ დაგვანახა, თუ როგორ ოსტატურად შეუძლი-  
ათ მაღალკვალიფიციურ იურისტებს გამოიყენონ სამართალი მაშინაც,  
როცა ის კანონებში, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად მიღებულ აქ-  
ტებში არაა მოცემული“.<sup>2</sup>

ყოველი დიდი საკანონმდებლო აქტის ცხოვრებაში დანერგვა უაღრუ-  
სად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ამ აქტების ავტორე-  
ბი ან სულისჩამდგმელები ხშირად იმდენად თავდაჯერებულნი იყვნენ,  
რომ სამართლის მოცემული სფეროს მოწესრიგებას დასრულებულად მი-  
იჩნევდნენ. მაგალითად, იუსტინიანემ აკრძალა თავის კანონთა კრებულის  
კომენტირება, ნაპოლეონი კი ამბობდა, რომ როცა გაჩნდება ნაპოლეონის  
კოდექსის კომენტარები, მაშინ შეიძლება ეს ქნილება დაკარგულად ჩაით-  
ვალოსო. ფრიდრიხ დიდმა თავის პოლიტიკურ ანდერშში ჩაწერა: ხელ-  
მწიფე არ უნდა ჩაერიოს სამართლის საკითხის გადაწყვეტაში, მხოლოდ  
კანონები უნდა ბატონობდნენ. ისიც წინააღმდეგი იყო კანონთა კომენტი-  
რების. კანონის მნიშვნელობის ასეთი გადაჭარბებული შეფასება და კო-  
მენტირების წინააღმდეგ გამოსვლა არ იყო შემთხვევითი: უმნიშვნელოვა-  
ნეს კანონთა იდეურ მამებს ეამაყებოდათ ამ კანონთა შექმნა და მათ  
უდიდეს სოციალურ გარდაქმნებს უკავშირებდნენ.<sup>3</sup> აი, როგორი სიტყვე-  
ბით ამკობს Corpus Iuris Civilis-ის ინსტიტუციების ავტორი იმპერატორ  
იუსტინიანეს და მის კანონშემოქმედებით საქმიანობას: „მისი იმპერატო-  
რული უდიდებულებობა არა მხოლოდ იარაღით უნდა იყოს აღჭურვილი,  
არამედ კანონებითაც შემკული. მაშინ ხელეწიფება მას ყოველ ღროს,  
ომსა თუ მშვიდობიანობისას, კარგად მართოს, და რომის იმპერატორი  
დარჩება გამარჯვებული არა მხოლოდ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში,  
არამედ იმითაც, რომ კანონის გზით მოიგერიებს ბოროტმზრახველთა

<sup>2</sup> Schnitzer, Bd. II, S. 443.

<sup>3</sup> Schnitzer, Bd. II, S. 448.

უსამართლობებს“.<sup>4</sup> გავა თითქმის ცამეტი ასწლეული და სამოქალაქო კოდექსის შექმნით აღტაცებული ნაპოლეონი იტყვის: ყველა ჩემს გამარჯვებას ერთი ვატერლოს დამარცხება წაშლის, მაგრამ რაც დაუვიწყარი დარჩება, ესაა სამოქალაქო კოდექსი. „მაგრამ არასდროს არ იქნება ადამიანის ხელით შექმნილი ისე ნათელი და ყველა შემთხვევის უზადოდ მოწესრიგებელი, რომ მას განმარტებები არ სჭირდებოდეს“.<sup>5</sup> თვით ფრანგული სამოქალაქო კოდექსიც კი ვერ ასცდა კომენტარების აუცილებლობას, კოდექსი, რომლის ენა იმდენად დახვეწილად და სრულყოფილად ითვლება, რომ მხატვრული სიტყვის დიდოსტატი სტენდალიც კი კითხულობდა ამ კოდექსის აბზაცებს დღეში რამდენჯერმე, რათა „გაემაზვილებინა თავისი ენის განცდა“.<sup>6</sup>

კანონთა ტექსტში მოცემული წინადადებების ერთგვაროვანი გაგება არა მხოლოდ არაიურისტებისთვის, თვით იურისტებისთვისაც კი არ არის ადვილი. ისტორიულად ამას მრავალი მიზეზი განაპირობებდა; როგორ უნდა გაგებულყო რამდენიმე ათეული წლის წინ კანონმდებლის მიერ წარმოთქმული ფრაზა თანამედროვე პირობებში ანდა როგორ უნდა გაეგოთ ახალი ცხოვრების დაბნერგავი ნორმები ძველი მართლშეგნების მატარებელ იურისტებს?

სწორედ ამიტომ წარმოიშვა ისტორიულად კანონების ინტერპრეტაციის აუცილებლობა. რომის სამართალთან დაკავშირებით ამგვარი კომენტარების თვალსაჩინო მცდელობა იყო გლოსატორების საქმიანობა.<sup>7</sup> კანონთა კომენტარების აკრძალვას ზოგ ქვეყანაში სხვა ალტერნატივა მოეძებნა. მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა, რომ ყოველ ათ წელიწადში კომისიას წარმოშობილი დოქტორინისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა შეემუშავებინა ცვლილებების პროექტი.<sup>8</sup>

დღეს გაბატონებულია შეხედულება, რომ ყოველი კანონი მხოლოდ მცდელობას წარმოადგენს ისე მოაწესრიგოს ურთიერთობები, როგორც ის კანონმდებელს მოცემულ შემთხვევაში წარმოუდგენია. მხოლოდ პრაქ-

<sup>4</sup> Corpus Iuris Civilis. Institutionen. Band 1. Heidelberg. 1990. XIII.

<sup>5</sup> Schnitzer, Bd. II, S. 443.

<sup>6</sup> Zweigert/Kötz. Einführung in die Rechtsvergleichung. 3. Aufl. 1996. S. 90.

<sup>7</sup> გლოსატორები არიან ბოლონის უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც XII საუკუნეში ხელახლა აღმოაჩინეს რომის სამართალი და ამ სამართლის ტექსტზე დაიწყეს აღნიშვნების (გლოსების) გაკეთება. რაც კომენტარებას ისახავდა მიზნად (Deutsches Rechtslexikon, Band 2. 2. Aufl. S. 267-268).

<sup>8</sup> Schnitzer, Bd. II, S. 444.



ტიკას შეუძლია შემდეგში დაამტკიცოს, თუ რამდენად გაამართლა ამან. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ მოსაწესრიგებელი ურთიერთობები მუდმივად იცვლება. პრაქტიკულად წარმოიშობა მოთხოვნილება, რომ კანონი მიესადაგოს ამ შეცვლილ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, კანონის გამოცემით კი არ მთავრდება მოცემულ სფეროში იურიდიული მოღვაწეობა, არამედ იწყება მხოლოდ – ამოქმედდება სასამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი დოქტრინა.<sup>9</sup>

როგორც საკოდიფიკაციო მოღვაწეობის გააქტიურების ორსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, შეუძლებელია ისეთი კანონის მიღება, რომელსაც ხარვეზი არ ჰქონდეს. უზადო და უხარვეზო კანონის შემუშავება უტოპიაა. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა უარესად პრაქტიკული საკითხი: როგორ შეიძლება კანონის ამ ხარვეზის შევსება:

– ყველაზე პრიმიტიული გადაწყვეტა იქნებოდა გადასაწყვეტი შემთხვევის ღიად დატოვება, ე.ი. მისი გადაუწყვეტელობა ნორმის არარსებობის მოტივით. ამას, სრულიად სამართლიანად, მართლწესრიგის გაკოტრებას უწოდებენ.<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც ფრანგული სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეს ამის უფლებას არ აძლევს;

– ამგვარი რამ თავიდან რომ ავიცილოთ, მოსამართლეს უნდა მიენიჭოთ უფლება კანონი გამოიყენოს ყველა შემთხვევისათვის, როგორც ფრანგული კოდექსი პირდაპირ ავალდებულებს მოსამართლეს (მუხლი მე-4). მისი გავლენით შეიქმნა შესაბამისი ქართული ნორმაც.

თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ პრაქტიკულად ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება. *კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქვეყნის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალ შემოქმედება ეწოდება. ბოლო ამ გზით მიღებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას – სამოსამართლო სამართალი. თუ მოცემული სამართალი ამგვარ სამართალშემოქმედებას უშვებს, მაშინ გადასაწყვეტია საკითხი, თუ ვის უნდა მიენიჭოს ამის უფლება. აქაც რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს:*

<sup>9</sup> Schnitzer, Bd. II., S.445.

<sup>10</sup> Schnitzer, Bd. II, S.448.

ა. პირველი შესაძლებლობა ლეგალური ინტერპრეტაციის ნაირსახეობაა, როცა განმარტების უფლება ენიჭება სპეციალურ ორგანოს (კომისიას, სპეციალურ საბჭოს ან თვით საკანონმდებლო ორგანოს);

ბ. მეორეა, როცა ქვეყნის უმაღლეს სასამართლოს ეძლევა უფლება მიიღოს ქვემდგომი სასამართლოებისათვის სავალდებულო განმარტებები. ეს არის საბჭოთა კავშირში გაბატონებული და მისი დაშლის შედეგად ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში შემორჩენილი მოდელი. სასიხარულოა, რომ საქართველომ უარი თქვა ამ მოდელზე;

გ. მესამე და ყველაზე გავრცელებული შესაძლებლობაა, როცა მოსამართლეს აქვს უფლება მინიჭებული ინტერპრეტაციის გზით განავითაროს სამართალი, ე.ი. შეავსოს კანონი.<sup>11</sup> „განმარტება ხორციელდება მოსამართლის მიერ და მას ნიადაგს უმზადებს მეცნიერება. მხარეებმაც უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი ურთიერთობების მოწესრიგებისას კანონის შინაარსის შესახებ განმარტების საფუძველზე საკუთარი აზრი“.<sup>12</sup>

დაწერილი სამართლის ანუ კანონის სამართლის კლასიკურ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია, XIX-XX საუკუნეების მანძილზე სასამართლომ უდიდესი როლი შეასრულა სამართლის განვითარებაში და ეს მოხდა მოუხედავად იმისა, რომ მონტესკიეს ხელისუფლებათა დანაწილების თეორია და ფრანგული რევოლუციური იდეოლოგია კატეგორიულად ებრძოდა იმას, რომ მოსამართლეს სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილება ჰქონოდა. კანონში ხარვეზის აღმოჩენისას საკასაციო სასამართლოს უნდა მიემართა კანონმდებლისთვის.<sup>13</sup> თუმცა მოსამართლეთა უფლებების ამგვარ რადიკალურ შეზღუდვებს საფრანგეთში დიდხანს არ უარსებია. სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის დროისთვის ეს მოძღვრება უკვე აღარ წარმოადგენდა გაბატონებულს. ამაში მნიშვნელოვანი როლი პორტალისმაც ითამაშა, რომელიც ხაზგასმით ამბობდა, რომ დაუსუბებელია სამოქალაქო კოდექსის მიჩნევა უხარვეზო კანონად და რომ კანონში ხარვეზის აღმოჩენისას ან ნორმის ბუნდოვნობისას მოსამართლეებს უფლება არა აქვთ უკან დაიხიონ.<sup>14</sup> ამის ნორმატიული დადასტურება სწორედ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი იყო. ცხადია, სამართლის განვითარების პროცესში სასამართლო ფართოდ იყენებდა იურიდიული მეცნიერების მიღწევებს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეუძ-

<sup>11</sup> მაგალითად, შუიკ რიის კოდექსის პირველი მუხლი.

<sup>12</sup> Tuhr, Andreas von. Der Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. Bd. I, S.37.(Tuhr v. Bd.I).

<sup>13</sup> Ferid/Sonnenberger. Das französische Zivilrecht. I/1, S. 155.

<sup>14</sup> Ferid/Sonnenberger. I/1, S. 155.

ლებელი იქნებოდა დაახლოებით ორასი წლის წინ მიღებული კანონის გამოყენება დღევანდელ პირობებშიც. უამრავი ინსტიტუტი თანამედროვე სამართალში სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად შევიდა.

კანონთა ინტერპრეტაციისას ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, განმარტების დროს კანონმდებლის ნება უნდა დადგინდეს თუ კანონს აქვს „თავისი საკუთარი ცხოვრება“<sup>15</sup> და ის უნდა იქნეს საზომად მიჩნეული. კონტინენტურ ევროპაში დიდი ხნის მანძილზე უპირატესობას სწორედ კანონის წარმოშობის ისტორიას ანიჭებდნენ: კანონის შემუშავებული კომისიების მასალებში, პარლამენტების სხდომათა ოქმებსა და სტენოგრაფიულ ჩანაწერებში ეძებდნენ იმ არსებითს, რომელიც კანონის სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მისცემდა მათ. ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე, ინგლისში ეს მეთოდი ინტერპრეტაციისთვის არასდროს არ გამოუყენებიათ: კანონშემოქმედებით საქმიანობაში ინგლისის პარლამენტი არასდროს არ ასრულებდა იმ როლს, რასაც კონტინენტური ევროპის ქვეყნების პარლამენტები.

ბოლო დროს გაბატონებული შეხედულების თანახმად, კანონის ისტორია ნაკლებად გამოდგება მისი ინტერპრეტაციისთვის: კანონის ნორმას სრულიად განსხვავებულ პირობებში უხდება მოქმედება, ხოლო მოსამართლეს საკითხის გადაწყვეტა: ასე, რომ კანონის წარმოშობის პირობების კვლევა ასი წლის შემდეგ წარმოშობილი პრობლემის გადასაწყვეტად გაუმართლებელია.<sup>16</sup>

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციები მოსამართლეს უფლებამოსილებას ანიჭებს საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონის გრამატიკული განმარტების, არამედ ლოგიკური განმარტების საფუძველზე გონივრული არგუმენტების მიხედვით, ანალოგიის ნიადაგზე და ნორმის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით.

<sup>15</sup> Schnitzer, Bd. II, S. 451.

<sup>16</sup> სხვადასხვა ქვეყნის კანონი სხვადასხვაგვარად წვეტს მოსამართლის უფლებამოსილების საკითხს კანონის ხარვეზის ამოცნებისას: შვეიცარიის ცივილური კოდექსის პირველი მუხლი; ესპანეთის კოდექსი უთითებს ადგილობრივ ჩვეულებით: სამართალზე, ხოლო თუ ისინი არ არსებობს, მაშინ სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე (§ 6); თურქეთის კოდექსის მე-4 მუხლი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას თავისი მიზანშეწონილობის შესაბამისად გადაწყვიტოს ეს საკითხი; იტალიის კოდექსი ჯერ კანონის ანალოგიას ითვალისწინებს, ხოლო შემდეგ კი – იტალიის მართლწესრიგის ზოგადი პრინციპების საფუძველზე გადაწყვეტას; იაპონიის სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით კანონი უნდა განიმარტოს ადამიანის ღირსებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საფუძველზე; ეგვიპტის სამოქალაქო კოდექსი უთითებს ისლამურ სამართალსა და არაბურადამირ კი – ბუნებით სამართალზე.

## §2. კანონთა ინტერპრეტაციის თავისებურებანი

ეკრძო სამართალი, როგორც წესი, შედგება კანონის სამართლისაგან და კანონის ნორმების განმარტებისა და განვითარების შედეგად შექმნილი სამოსამართლო სამართლისაგან.<sup>17</sup> საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სამოსამართლო სამართალი კანონის სამართლის განვითარების, მისი მომსახურების შედეგად შეიქმნა. ამიტომ იგი პრინციპულად განსხვავდება საერთო სამართლის ქვეყნებში მოქმედი სამოსამართლო სამართლისაგან: იგი ეხმარება, ავსებს და განავითარებს კანონის სამართალს.<sup>18</sup>

რას ნიშნავს კანონის განმარტება? კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას, ტექსტის მნიშვნელობის დადგენას.

იურიდიული ტექსტები — განსაკუთრებით კანონისა და სამოსამართლო სამართლის ცალკეული წინადადებები — ქმნიან ტექსტების სპეციალურ ტიპს: სოციალური წესრიგის ცალკეულ წინადადებებს ანუ „წესრიგის წინადადებებს“; ისინი ამგვარად უნდა იქნენ გაგებული და წაკითხული. ეს განასხვავებს მათ სხვა სახის მხატვრული, ფილოსოფიური და ა.შ. ტექსტებისაგან. მათი გაგება ნიშნავს იმის გაცნობიერებას, თუ რომელი წესრიგის დამყარება სურდა კანონმდებელს ან მოსამართლეს, მოკლედ რომ ვთქვათ, სამართალშემოქმედს.<sup>19</sup>

ვინაიდან კანონის წინადადებები წესრიგის წინადადებებს წარმოადგენს, აქედან გამომდინარეობს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა. „მოსამართლე ვალდებულია, მასთან მოსული ყველა სადავო საკითხი კანონიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. მას არა აქვს უფლება უარი თქვას დავის გადაწყვეტაზე“<sup>20</sup> ამდენად, მოსამართლე სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი ან კომენტატორი. მან უნდა გადაწყვიტოს მასთან მოსული ნებისმიერი ხასიათის დავა; მაგრამ ეს უნდა გააკეთოს არა სათუოდ, არამედ სამართლიანად და, ამავე დროს, კანონის მიხედვით. მან უნდა გადაწყვიტოს ეს დავა მიუხედავად იმისა, კანონი ზუსტად იძლევა პასუხს მასზე თუ არა. არც ერთ კანონმდებელს არ შეუძლია ყველა მომავალი შემთხვევის წინასწარ გათვალის-

<sup>17</sup> J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen. 13. Aufl. Erstes Buch, Rn.114 (Staudinger, Buch, Rn).

<sup>18</sup> Staudinger, Buch I, Rn.114.

<sup>19</sup> Staudinger, Buch, I, Rn. 121.

<sup>20</sup> Staudinger, Buch I, Rn. 121.

წინება. ყველა კანონს, მათ შორის ყველა კოდიფიკაციას ექნება ხარვეზი. „კანონში ხარვეზის“ ცნება იურიდიულ მეცნიერებაში შემოიღო ციტელმანმა ამ საუკუნის დასაწყისში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით მომზადებულ ნაშრომში.<sup>21</sup>

კანონში არსებული ხარვეზის ამოვსება შეადგენს მოსამართლის ამოცანას. კანონის ანალოგიური ნორმის ინტერპრეტაციის საფუძველზე ის პრაქტიკულად ახალ ნორმას ქმნის, რომელიც სამართლის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. ამიტომ კანონის განმარტების თანამედროვე თეორიები პრაქტიკულად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლის განვითარების თეორიებია.<sup>22</sup>

ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს. მას მიეკუთვნება:

- ნორმების ჩამოყალიბება ანალოგიის საფუძველზე;
- ნორმების განვითარება ზოგადი დებულებებიდან, როგორცაა „რწმენა და ნდობა“, „ზნობა“, ანდა განუსაზღვრელი ცნებიდან „მნიშვნელოვანი საფუძველებიდან გამომდინარე“ და ა.შ.<sup>23</sup>

კანონთა განმარტება ჰაერიდან არ ხდება. იგი ემყარება განსაზღვრულ პრინციპებს<sup>24</sup>, რომელთა გამოყენების გარეშე ყოველგვარი განმარტება თვითნებობის ხასიათს მიიღებს. მათგან უმნიშვნელოვანესია:

ა. *ობიექტურობის პრინციპი*. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინტერპრეტაცია კანონის ტექსტს უნდა ემყარებოდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს კანონის ტექსტის საფუძველზე დაადგინოს კანონის აზრი, განავითაროს იგი;

ბ. *ერთიანობის პრინციპი*. იგი ამბობს, რომ კანონის თითოეული ნორმა კანონისაგან მოწყვეტილად კი არ უნდა იქნეს წაკითხული, არამედ ტექსტთან ერთად მთლიანობაში. კერძო უნდა გამოდიოდეს ზოგადიდან და ზოგადი კერძოდან;

გ. *გენეტიკური განმარტების პრინციპი*. მის თანახმად, ტექსტის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი წარმოშობა, კანონის წარმოშობის ობიექტური, ენობრივი, კულტურული და საზოგადოებრივი პირობები, ასევე კანონის ტექსტის ავტორები;

<sup>21</sup> Zitelmann, Lücken im Recht. 1903.

<sup>22</sup> Staudinger, Buch I, Rn. 124

<sup>23</sup> Staudinger, Buch I, Rn. 126

<sup>24</sup> გერმანულ ლიტერატურაში მათ „Kantone“-ს უწოდებენ. ენაიდან კანონს ქართულ ენაში უფრო სხვა დანიშნულება აქვს, რომელსაც მე აქ პრინციპებს უწოდებ.

დ. განმარტება შედარებების მეშვეობით ბოლო პრინციპია. იგი მიზნად ისახავს ანალოგიურ სფეროში და ანალოგიურ დროს წარმოშობილ კანონთა ტექსტების ურთიერთშედარებას და ამის საშუალებით განმარტების განხორციელებას.<sup>25</sup>

### §3. ობიექტურობის პრობლემა სამოსამართლო სამართალში

გადაწყვეტილებების მიღების დროს მოსამართლე ყოველთვის აკეთებს შეფასებებს: ფაქტების, მოვლენების, ურთიერთობების შეფასებებს. უეჭველია, რომ ყოველგვარი შეფასება ობიექტურთან ერთად უმეტესად სუბიექტურ ფაქტორებს ემყარება. ამიტომ უმთავრესი პრობლემა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლის განვითარებისას მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიძლება იქნეს მოსამართლეთა ობიექტურობა უზრუნველყოფილი. საიდან იღებს მოსამართლე ობიექტურობის შეფასების კრიტერიუმებს? რას ემყარება მის მიერ სამართლიანობის განცდა და ა.შ. ესაა ის კითხვები, რომელიც ყველა ნორმალურ სახელმწიფოში აღელვებს საზოგადოებას, სამართლის მეცნიერებს, დაბოლოს, — სასამართლო პრაქტიკას.

ლიტერატურაში განსაზღვრულია ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ან უნდა უზრუნველყონ სასამართლო გადაწყვეტილებათა და შეფასებათა ობიექტურობა. ეს პირობები შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

ა. საუბნო სასამართლოს შემდეგ ყველა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიურად, ე.ი. რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობით. კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებული დისკუსიები მოსამართლეთა შორის უზრუნველყოფენ ენობრივი და ლოგიკური მსჯელობის ერთიანობას;

ბ. კოლეგიური სასამართლოებიც არ არიან იზოლირებულნი. მათ გარდა სხვა სასამართლოებსაც უხდებთ ანალოგიური საკითხების გადაწყვეტა. ასე, რომ სხვა მოსამართლეებიც დგანან შეფასების ანალოგიური პრობლემების წინაშე. საკითხის გადამწყვეტი სასამართლო ყოველთვის ცდილობს გაეცნოს გამოქვეყნებულ სასამართლო პრაქტიკას — სხვა

<sup>25</sup> Staudinger, Buch I, Rn. 131.

სასამართლოების მიერ ანალოგიურ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რათა მათი გამოცდილება და შეფასების კრიტერიუმები გაითვალისწინოს. სასამართლო, უწინარეს ყოვლისა, ანგარიშს გაუწევს მოცემულ საკითხზე ზედა ინსტანციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შეფასების კრიტერიუმებს. ყველა დონის სასამართლოთა გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შედეგად იქმნება დიდძალი მასალა (პრეიუდიციები). მართალია, ეს გადაწყვეტილებები სხვა სასამართლოებისთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ყოველი სასამართლო ცდილობს ანგარიშში გაუწიოს მათ, ვინაიდან ისინი სასამართლო პრაქტიკის განვითარების თანამედროვე დონეს ასახავენ;

გ. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოებს შორის არსებობს მუდმივი კავშირები, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევენ გაეცნონ ერთმანეთის გამოცდილებას;

დ. გადაწყვეტილებების მიღების დროს შეფასებათა კრიტერიუმების შემუშავებისას სასამართლოები მარტო როდი არიან. სამართლის მეცნიერება, დიდძალი იურიდიული ლიტერატურა კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე მოსამართლეებს საკითხთა გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებს სთავაზობენ. *იურიდიულ მეცნიერებას მართლმსაჯულების წინა შე სხვა ვალდებულებაც აკისრია – სასამართლოთა გადაწყვეტილებები მათი ლოგიკის კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეამოწმოს;*

ე. სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებას შორის სისტემატურად ხორციელდება ორმხრივი შესწორებები და კონტროლი;

ვ. სასამართლო პრაქტიკის ობიექტურობაზე კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საზოგადოებრივი აზრი. იგი ყალიბდება მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების პრესაში გამოქვეყნებისა და მათი საჯარო კომენტირების გზით. მოსამართლე უნდა იყოს არა მხოლოდ სამართლიანი, არამედ დამაჯერებელიც.<sup>26</sup>

სასამართლო შეფასებათა ობიექტურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევენ იმას, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებათა მიღებისას არა მხოლოდ კანონს უნდა ეყრდნობოდეს, არამედ არსებული სამართლებრივი პოლიტიკის რეალობებსაც.<sup>27</sup> იმავდროულად, საკითხის გადაჭრისას ეს არ უნდა იყოს გადაწყვეტი. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამან შეიძლება სახიფათო შედეგებიც გამოიწვიოს.

<sup>26</sup> Schwab, Dieter, Einführung in das Zivilrecht, 11. Aufl. Rn.117-121.

<sup>27</sup> Esser, J., Vorverständnis und Methodenwahl in der Rechtsfindung, 3. Aufl. 1972, S. 171.)

#### §4. სამოსამართლო სამართლის მოქმედების ფარგლები

კანონის ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო ძალა აქვთ და ინარჩუნებენ მას, ვიდრე კანონი ოფიციალურად არ გაუქმებულა, სამოსამართლო სამართლის ნორმების მოქმედება სრულიად განსხვავებულია. ასეთი ნორმები წარმოიშობა სასამართლოს მიერ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას, როცა მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა. მისი მოქმედება კი „მდგომარეობს იმაში, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტისას ითვალისწინებენ და შეძლებისდაგვარად იცავენ მათ. გადაწყვეტილებათა გათვალისწინების ხარისხი შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს. ამავე დროს, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს სამოსამართლო სამართლის ნორმებისაგან.“<sup>28</sup>

პრეიუდიციული ფაქტები რომ სასამართლოებისათვის სავალდებულო იყოს, ასეთ რამეს კონტინენტური ევროპის სამართალი არ იცნობს, ე.ი. ერთი სასამართლოს მიერ ძილებული გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის სხვა სასამართლოსთვის. ამიტომ ფორმალური თვალსაზრისით სამოსამართლო სამართალს მხოლოდ ხასიათი სასამართლოების მიმართ არა აქვთ. იმავდროულად, „სასამართლოები ვალდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ ამ გადაწყვეტილებებს, შეამოწმონ ისინი და დასაბუთებული წინაპირობების გარეშე არ გადაუხვიონ მათ“.<sup>29</sup> ამ საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვთ დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებულ ზემდგომი სასამართლოების სასამართლო პრაქტიკას. მათგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საფუძვლების არსებობისას.<sup>30</sup>

თანამედროვე მოძღვრება მოსამართლეს უფლებას აძლევს კანონის კონკრეტული ნორმების ინტერპრეტაციისას განავითაროს სამართალი. ამ შემთხვევაში სადავო სწორედ ისაა, თუ რამდენად იურიდიული ძალის მქონეა სასამართლოს მიერ ამ გზით შემუშავებული ნორმა სხვა სასამართლოებისთვის. ფრანგული სამართალი, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების სამართალი, არ იცნობს პრეცედენტს, ე.ი. ინსტიტუტს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალას

<sup>28</sup> Staudinger, Buch I, Rn.224.

<sup>29</sup> Staudinger, Buch I, Rn. 228.

<sup>30</sup> Staudinger, Buch. I, Rn. 229.



ანიჭებს სხვა სასამართლოებისთვის. ყოველი მოსამართლე კონტინენტური ევროპის სამართალში თავისუფალია და შეუძლია გადაუხვიოს ადრინდელ გადაწყვეტილებებსა და სასამართლო პრაქტიკას. მართალია, საკასაციო სასამართლოს ზრუნვის საგანია კანონთა ერთიანი განმარტებისა და განვითარების უზრუნველყოფა, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები პირდაპირ არ ბოჭავენ ქვემდგომ სასამართლოებს.

სამოსამართლო სამართლის ნორმაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული წესი სცილდება მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმის ფარგლებს და ზოგადი ქცევის წესის ხასიათს იძენს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: თანამედროვე საფრანგეთში, როცა ლაპარაკია სამოსამართლო სამართალზე, იგულისხმება წესები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოსამართლეების მიერ კანონთა განმარტების, დაკონკრეტებისა და შევსების გზით, რომლებიც სცილდება კონკრეტული შემთხვევის ფარგლებს და სასამართლოთა ფუნქციიდან გამომდინარე ურთიერთობის მონაწილეთათვის კანონის ძალა აქვთ.<sup>31</sup>

## §5. სამოსამართლო სამართლის გაგღენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე

როგორც უკვე დავინახეთ, უხარვეზო და ყველასთვის გასაგები კანონების შექმნის მრავალ მცდელობას დღემდე რეალური შედეგი არ მოპყვლია. თვით შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც ლიტერატურაში ყველაზე „ხალხურ კოდექსად“ არის მიჩნეული, სრულიადაც არ არის ხალხისთვის გასაგები ენით დაწერილი. ამის თვალმისაცემი გამოხატულება ისიცაა, რომ შვეიცარიის ცივილური კოდექსისა და ვალდებულებითი სამართლის კომენტარები ოცჯერ უფრო დიდია, ვიდრე თვით კანონთა ტექსტები.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ იუსტიციანეს, ნაპოლეონის, ფრიდრიხ დიდისა თუ სხვათა მცდელობები – აეკრძალათ კანონის კომენტარები და სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, მართლაც დანერგილიყო ცხოვრებაში. ნებისმიერი სამოქალაქო კოდექსი მისი მიღებიდან სრულიად

<sup>31</sup> Ferid/Sonnenberg, S. 159.

მოკლე დროში სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცეოდა, ვინაიდან არც ერთ კანონს არ ძალუძს სრულყოფილად გასცეს პასუხი ყველა იმ კითხვას, რომელსაც რეალური ცხოვრება წარმოშობს. ამიტომ თანამედროვე იურისპრუდენციაში არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კანონს აუცილებლად ექნება ხარვეზი. არც ერთ იურისტს არ წარმოეშობა იმის ილუზია, რომ კანონი შეიძლება უხარვეზო იყოს.

რა იქნებოდა თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, რომ სასამართლოებს არ ჰქონოდათ სამოსამართლო სამართალშემოქმედების უფლება. მრავალი ინსტიტუტი, რომლის გარეშე წარმოდგენელია თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად დამკვიდრდა. მაგალითად, დელიქტურ სამართალში ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ოთხიოდე მუხლს შეიცავს, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. თუ მხოლოდ ამ მუხლებით გვინდა გავიგოთ ფრანგული დელიქტური სამართალი, მაშინ როგორი იმედგაცრუებული დავრჩებით: ნუთუ ფრანგებმა უკეთესი რამ ვერ შექმნეს? მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტური ევროპის სამართალი დაწერილი სამართალია და კანონს უპირატესი სამართლის წყაროს ფუნქცია კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, მხოლოდ ამ კანონების საფუძველზე თანამედროვე სამართლის გაგება პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება დიდერიქსენის ზიტყვები გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიმართ, რომ მხოლოდ ამ კოდექსით პრაქტიკულად შეუძლებელია სწორი წარმოდგენა შეგვექმნას გერმანიის სამოქალაქო სამართალზე, თუ მთელს სასამართლო პრაქტიკას არ მივიღებთ მხედველობაში.<sup>32</sup>

ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა დიდი გამოცდილება, რომელიც დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში დაგროვდა სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად და საკანონმდებლო წესით განამტკიცა ის, რაც ბევრ ქვეყანაში მხოლოდ სამოსამართლო სამართლის შედეგად შექმნილ ინსტიტუტებად მიიჩნევა. თვალსაჩინოებისთვის მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებ.

ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა, როგორცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და ა.შ. ფრანგულ და გერმანულ სამართალში მხოლოდ

<sup>32</sup> Diederichsen, Uwe, Zur Begriffstechnik richterlicher Rechtsfortbildung im Zivilrecht, in: FS f. Wieacker zum 70 Geburtstag, 1978. S. 325.

სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა და სამოქალაქო სამართლის სრულიად ბუნებრივ ინსტიტუტებად იქცნენ. ამიტომ, იმედგაცრუებული შეიძლება დარჩეს ის იურიტი, რომელიც პატივისა და ღირსების დაცვის ნორმებს ამ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში დაუწყებს ძებნას. ის მათ იქ ვერ იპოვის და შეიძლება დაასკვნას კიდევ, რომ ფრანგული და გერმანული სამოქალაქო სამართალი პატივსა და ღირსებას არ იცავენო. ეს რომ ასე არ არის, ამაში ჩვენ დაერწმუნდებით, როცა პირად უფლებებს შევეხებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა ეს გამოცდილება და პირადი უფლებები ზოგად ნაწილში განამტკიცა.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა მომავალი ხელშეკრულების პარტნიორები მოცემულ ხელშეკრულებას ამა თუ იმ გარემოებასთან დაკავშირებით დებენ, მაგალითად, თუ მოცემულ ქვეყანაში საბაჟო გადასახდელები დაბალი იქნება. ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს პირობები შეიცვალა, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს არათანაბარ და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმა, რომელიც ხელშეკრულების მხარეს უფლებას აძლევს ასეთ შემთხვევაში მოითხოვოს ან ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ანდა ხელშეკრულების მოშლა. ანალოგიურ ნორმას, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ვერ ნახავთ. ქართულმა კოდექსმა გაიზიარა საშისამართლო სამართლის მიერ შექმნილი ეს ინსტიტუტი და 398-ე მუხლში განამტკიცა ხელშეკრულების მოშლის უფლება შეცვლილი გარემოებების გამო.

ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებისთვის უცხო, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტთა კატეგორიას მიეკუთვნება ე.წ. culpa in contrahendo, ე.ი. ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების დადების პროცედურასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების დადების შემდეგ. როგორც მეცნიერებაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მხარეები თვითონ კისრულობენ. მაგრამ თუკი აღმოჩნდება, რომ თითქმის გამზადებული ხელშეკრულება არ დაიდო მეორე მხარის ბრალით, სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმათა მთელი ჯგუფი, რომელიც ბრალეულ მხარეს აკისრებს პასუხისმგებლობას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების არც ეს გამოცდილება დაუტოვებია ქართულ კოდექსს უყურადღებოდ და 317-ე

მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში განამტკიცა მნიშვნელოვანი ნორმები: „მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილისაგან მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადავად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის დაუდევარი მოქმედების შედეგად არ დადებულა“.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ე.წ. პოზიტიური სახელშეკრულებო დარღვევები, ე.ი. ისეთი დარღვევები, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულების შინაარსიდან არ გამომდინარეობენ, არ განეკუთვნებიან მხარეთა ძირითად მოვალეობებს, მაგრამ მათი შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების მეორე მხარეს ზიანი წარმოეშობა (მაგალითად, ინფორმაციის მიცემა მისაწოდებელი საქონლის თაობაზე, ნდობისა და ურთიერთრწმენის მოვალეობის შეუსრულებლობა და ა.შ.). რთული ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ამ მოვალეობათა დარღვევა ხშირად დიდ მატერიალურ ზიანსაც იწვევდა. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა იძულებული გახდა ყოველივე ეს გაეთვალისწინებინა და პრაქტიკულად ახალი ნორმები შეექმნა. ქართულმა კოდექსმა მრავალ ადგილას განამტკიცა ეს უაღრესად საჭირო და აქტუალური ნორმა. მაგალითად, 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი ან 318-ე მუხლი.

ეს მაგალითები მართო იმას როდი ცხადყოფენ, თუ რამდენად თანამედროვეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, არამედ იმასაც, რომ სრულიად უახლესი კოდექსებიც კი მალე შეიძლება მოძველდნენ, ჩამორჩნენ დროს და უეარგისი აღმოჩნდნენ, თუკი მათ გვერდს არ უშეშენებს ცოცხალი სამოსამართლო მოღვაწეობა; მკვდარ ნორმებს სული უნდა შთაბეროს მოსამართლემ, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ამ უსულო ნორმების მისადაგება ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენებისადმი, აბსტრაქტული ნორმების ქვეშ კონკრეტული ფაქტების მოქცევა.

მოსამართლეს არა აქვს უფლება უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე მაშინაც კი, როცა იცის, რომ კონკრეტული საკითხის მოწესრიგებელი ნორმა კანონში არ მოიპოვება. მან უნდა ეძებოს ანალოგიური ნორმა. აღმოჩნდება, რომ არც ანალოგიური ნორმა არსებობს. მაშინ მან სამართლის ანალოგიას უნდა მიმართოს. ამ პროცესში მოსამართლე ფაქტობრივად ახალ ნორმას ქმნის, როგორც მაგალითად, გერმანელმა მოსამართლემ თქვა: „პირადი უფლება არის აბსოლუტური უფლება და იგი დაცულ უნდა იქნეს დელიქტური სამართლით“, თუმცა სამოქალაქო კოდექსი ამგვარ რამეს პირდაპირ არ ითვალისწინებდა.

სწორედ სასამართლო პრაქტიკამ გახადა შესაძლებელი, რომ ორასი წლის წინ მიღებული ფრანგული სამოქალაქო კოდექსი დღესაც ცოცხალია, რომ ასი წლის წინ მიღებული გერმანული სამოქალაქო კოდექსი მომავალი იუბილეებისთვის ემზადება, ასევე შვეიცარიის ცივილური კოდექსი მოკლე ხანში თავისი დაბადების ასი წლის იუბილეს აღნიშნავს და ა.შ. ამის თქმა შეიძლება ყველა იმ ქვეყნის სამოქალაქო კოდექსზე, რომლებმაც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციებში პოვეს თავისი თვითდაპყვიდრებისა და განვითარების გზა. რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკულ სამართალს, იგი მხოლოდ და უმთავრესად სამოსამართლო სამართლის საფუძველზე ვითარდება. „კანონები მხოლოდ კორექტირებას უკეთებენ ამ განვითარებას“.<sup>33</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი ინგლისურ-ამერიკული კერძო სამართალი მოსამართლეთა ბრწყინვალე ხელოვნებამ შექმნა და ამას ინგლისელი იურისტები სიამაყით თვლიდნენ გამარჯვებად.<sup>34</sup>

ის, რომ კანონები ბევრ კითხვაზე საერთოდ არ იძლევიან ან იძლევიან სრულიად ბუნდოვან პასუხს, ანდა მხოლოდ ზოგადი დებულებებით კმაყოფილდებიან, თანამედროვე სამართალში ბუნებრივ მოვლენად ითვლება.<sup>35</sup> უფრო მეტიც, კანონთა არასრულყოფილებას აუცილებლობადაც კი მიიჩნევენ.<sup>36</sup>

კანონის ხარვეზს, მის არასრულყოფილებას ყველაზე უფრო მოსამართლე გრძნობს, ვინაიდან დავის გადაწყვეტის ბოლო ინსტანცია სწორედ მოსამართლეა, რა თქმა უნდა, არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება პირველი ინსტანციის თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. სამართლებრივ სახელმწიფოში დავებს არ წყვეტენ არც პარტიის რაიკომები, არც აღმასკომების კომისიები, არც სამინისტროები და მთავრობისა თუ პარლამენტის კომისიები, როგორც ეს საქართველოში ბოლღე დრომდე შემორჩა. მხოლოდ მოსამართლესა აქვს უფლება დავას დაუსვას სამართლებრივი წერტილი. კანონის წინადადებათა მრავალგზის წაკითხვის შედეგად მოსამართლე ყველაზე უფრო კარგად ხედავს კანონის ხარვეზს. ამიტომ შემთხვევით არ უწოდებია ამერიკის პირველი მოსამართლისთვის – აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის – „იუსტიციის შეფი“ (Chief

<sup>33</sup> Heinrich, Dieter, Einführung in das englische Privatrecht 2. Aufl. 1993, S. 1.

<sup>34</sup> Schnitzer, Bd. II, S. 443.

<sup>35</sup> MünchKommB-Zucker, Einleitung, Rn. 61.

<sup>36</sup> Knieper, Rolf, Gesetz und Geschichte, 1996, S. 139-141.

justic) ამერიკელ Charles Evan Hughes. მისი ცნობილი გამოთქმა მთელ მსოფლიოს მოედო: „We are under a constitution, but the constitution is what the judges say it is“.<sup>37</sup>

სამართლის განვითარებაში მოსამართლეთა განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს გერმანიის ფედერაციული სასამართლოს 1966 წლის წლიური ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია: „ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია იურისტებს შორის არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ყველა დროის მონაკვეთში განხორციელებული სამართალი ნარევს წარმოადგენდა კანონის სამართალსა და სამოსამართლო სამართალს შორის, და რომ ის სამართალი, რომელიც სასამართლოთა ცნობიერებაში განხორციელდა, არასდროს არ ამოწურულა იმ სამართლით, რომელიც კანონმდებელმა დააკანონა“.<sup>38</sup>

სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან როლს სამართლის განვითარებაში არც საბჭოთა სამართლის მეცნიერება უარყოფდა.<sup>39</sup> პირიქით, მსგავსად კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა, მრავალი ნორმა საბჭოთა სამოქალაქო სამართალშიც სწორედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებებისა და გადაწყვეტილებების შედეგად დამკვიდრდა. მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელია ის, რომ სამოსამართლო სამართალი შეიქმნას პლენუმის განმარტებების საფუძველზე. ეს უნდა მოხდეს კონკრეტულ საკითხებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით. პლენუმის განმარტებები მნიშვნელოვნად ზღუდავენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. სწორედ ეს არის მიუღებელი სამოსამართლო სამართლის საბჭოური გაგებიდან.

პორტალისის ცნობილი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „მოსამართლე უფრო ადრე არსებობდა; ვიდრე კანონები“. „სამართლის შექმნა თავდაპირველად მისი კომპეტენცია იყო, რომელიც მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივით შეიზღუდა, რაც მას სამართალშემოქმედების სფეროში მიენიჭა. ... სინამდვილეში ე.წ. „ხარვეზი“ მოსამართლისთვის წესია“ – უმატებს კრილე თავის ცნობილ წიგნში „სამართალგამოყენების თეორია“.<sup>40</sup>

მამასადაძე, კანონის ხარვეზმა მოსამართლე კი არ უნდა შეაშინოს, როგორც ეს ხშირად ქართველ მოსამართლეებს ემართებათ (ამის მიზე-

<sup>37</sup> Hughes, Adresses New York 1908, S. 139; Llewellyn, The Constitutions as an Institution, 34 Columbia Law Review I, S. 7.

<sup>38</sup> NJW 1967, 816 ff.

<sup>39</sup> Советское гражданское право. Ч. 1, под ред. В.А.Ряшенцева. 1986. С. 39-44.

<sup>40</sup> Kriele, Theorie der Rechtsgewinnung, 1967, S. 63.

ზებზე ქვემოთ შექერდები), არამედ უნდა უბიძგოს მას ახალი ნორმის შექმნისკენ. ოღონდ ეს ნორმა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საფუძვლებს და მოცემული კანონის სულისკვეთებას. ამას ავალდებულებს მოსამართლეებს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

როგორც ვნახეთ, თანამედროვე სამართალში, უფრო ზუსტად მის განვითარებაში, სასამართლო უდიდეს როლს ასრულებს და ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს თვით კონტინენტური ევროპის სამართალში, მით უმეტეს, პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში და არც ყოფილ საბჭოთა სამართლის დოქტრინაში. მოსამართლე კანონების არა მხოლოდ ბრმა გამოძევენებელია, როგორც ამას ხალფინა საბჭოთა მოსამართლეებს საყვედურობდა,<sup>41</sup> არამედ გამოძევენებელი და მის პრინციპებზე დაყრდნობით სამართლის განვითარების აუცილებელი თანამონაწილე. სამართლის განვითარებაში მონაწილეობა მოითხოვს დიდ ცოდნას, მეთოდოლოგიურ განათლებას და ოსტატობას. ამიტომაც უწოდებენ სამართლიანად მოსამართლეთა მოღვაწეობას „სამოსამართლო ხელოვნებას“.<sup>42</sup>

თუ სამოსამართლო სამართალი თანამედროვე სამართლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, თუ სამართლის განვითარება მის გარეშე წარმოუდგენელია, თუ კანონის ხარვეზი მისი ბუნებრივი თვისებაა და ეს საბჭოთა სამართლისთვისაც არ ყოფილა უცხო, მაშინ რა აღელებს ქართველ მოსამართლეს, თუ ის კანონში ხარვეზს დაინახავს, რატომ ემსგავსება იგი ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელიც კანონს მხოლოდ თვალს გადაავლებს და მზად არის ხელალებით გააკეთოს დასკვნები? რატომ კარგავს მოსვენებას მოსამართლე, თუკი კანონი მას დავის გადაწყვეტის გზას პირდაპირ არ უთითებს? ამ საკითხთა შესახებ მსჯელობა იქნება შემდეგ პარაგრაფში.

<sup>41</sup> Халфина Р.О. Материалы научной конференции. Новые гражданские и гражданско-процессуальные кодексы союзных республик. М. 1965. С. 165.

<sup>42</sup> Wicacker, Franz. Gesetz und Richterkunst. 1957.

## §6. სოციალიზმიდან გარდამავალი ქართული მართლმსაჯულების პრობლემები

როგორც დავინახეთ, საბჭოთა სამართალი არ უარყოფდა სასამართლო პრაქტიკის როლს სამართლის განვითარებაში. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში იგი უპირატესად (და უმთავრესად) უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებებსა და სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს მიიჩნევდა.<sup>43</sup> დასავლეთის სამოქალაქო საზოგადოებების მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, რომელიც მოსამართლეს სამართლის განვითარების დიდ შესაძლებლობას აძლევს, სოციალისტურ საზოგადოებაში მოსამართლე კანონის მექანიკური გამოყენებელია. ამ რეალობას არც საბჭოთა მეცნიერები უარყოფდნენ. აი, რას წერდა ხალფინა 1965 წელს: „სამეურნეო სამართლის იურისტები სრულიად მიუხედავად არიან, რომ სამართალი შემოქმედებით პროცესში გამოიყენონ. ნაცვლად ამისა, ჩვეულებიდან გამომდინარე დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას კონკრეტულ დადგენილებებზე, ინსტრუქციაზე, დირექტივაზე და ა.შ. უნდა მიუთითონ“.<sup>44</sup>

ის, რომ ჩვენი მოსამართლე კანონის მექანიკური გამოყენებელია, სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში აშკარად ჩანს. ეს შეუძრეველი არ დარჩენიათ უცხოელ იურისტებსაც, რომლებიც ამ გადაწყვეტილებათა ნაკლს ასე აღწერენ: მოსამართლეები მოქმედი სამართლის ნორმების გვერდით იშვიათად უთითებენ წინა სასამართლოს გადაწყვეტილებებს ან იურიდიულ ლიტერატურას.<sup>45</sup> ცვაიგერტი ამას არა მხოლოდ იმით ხსნის, რომ პროკურატურას უფლება აქვს გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ იმით, რომ კანონმდებლობა წარმოუდგენლად სწრაფად იცვლება და მოსამართლეებს ახალ აქტებში გარკვევა უჭირთ.<sup>46</sup>

საბჭოთა მართლმსაჯულების ეს უაღრესად მახინჯი მოვლენა აშკარად თვალშისაცემი გახდა საქართველოში ახალი კანონების მიღების შემდეგ, რომლებიც მოსამართლეს აიძულებენ კანონთა ბრმად გამოყენებელი ფიგურიდან იქცნენ მის შემოქმედებითად გამოყენებულ პირებად.

<sup>43</sup> Советское гражданское право. Ч. I, под ред. В.А.Рябенцева. 1986. С. 39-44.

<sup>44</sup> Халфина Р.О. Материалы научной конференции. Новые гражданские и гражданско-процессуальные кодексы союзных республик. М. 1965. С. 165.

<sup>45</sup> Zweigert, Konrad, Stilelemente des sozialistischen Rechtskreises. Beograd. 1966, S. 548.

<sup>46</sup> Zweigert, Stilelemente ... S. 548.



განსაკუთრებით ითქმის ეს კანონთა ისეთ დებულებებზე, რომლებიც მოსამართლეს შეფასების შესაძლებლობას ანიჭებენ. პირველ რიგში, ეს ეხება ზოგად, განუსაზღვრელ ცნებებს, რომლებიც კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე უნდა შეფასდნენ.

არა მხოლოდ მოსამართლეებში, არამედ ახალი თაობის იურისტებშიც, რომლებიც, წესით ახალი სულისკვეთების მატარებელი უნდა იყვნენ, აშკარად გამოითქვა შეხედულება, რომ ასეთი შეფასების შესაძლებლობები მოსამართლეებს შეუზღუდავ ძალაუფლებას მიანიჭებენო.

რა არის მოსამართლეთა დაბნევისა და უმოქმედობის მიზეზი, როცა ისინი კანონში ხარვეზს აღმოაჩენენ? რატომ არ შესწევს უნარი ქართველ მოსამართლეს შემოქმედებითად გამოიყენოს კერძო სამართლის ნორმა? რატომ აღიქმება ასე ანტაგონისტურად მოსამართლეთათვის კანონთა ინტერპრეტაციისას შედარებით მეტი თავისუფლების მიცემა?

აღნიშნული პრობლემების ზნეობრივ და ეკონომიკურ ასპექტებს არ განვიხილავ. ხელფასი რომ ნორმალური არსებობის საფუძველს უნდა ქმნიდეს, გამონაკლისს არც მოსამართლეებისთვის უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ მართლმსაჯულების მეთოდოლოგიურ საფუძველებს შეეხები და მოკლედ დავახასიათებ იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება ხელშემშლელი ფაქტორები გახდნენ ახალი სამოქალაქო კოდექსის დანერგვისას, ისევე როგორც ხელშემშლელი ფაქტორები გახდნენ მეწარმეთა შესახებ კანონის ამა თუ იმ ნორმის სწორად გამოყენებისათვის.

ის, რომ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერი უნდა იყოს, საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად ითვლებოდა.<sup>461</sup> თუ თვალს გადავაკვლებთ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს, აშკარა გახდება ამ პრინციპის იგნორირების შემზარავი ზასიათი — გადაწყვეტილებები არათუ დასაბუთებულია, კონკრეტული სამართლის ნორმებზეც კი არ არის მითითება. წლების მანძილზე უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებული ეს პრაქტიკა არ აიძულებდა მოსამართლეს ეფიქრა გადაწყვეტილებათა დასაბუთების გზებსა და მოტივებზე.

ვითარება შეიცვალა მის შემდეგ, რაც საბაზრო ეკონომიკის პირველმა ნაბიჯებმა მართლმსაჯულების სასწორზე ქონება დადო. მოდავე მზარეთა

<sup>461</sup> ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ., 1992, გვ. 185-191.

ქონებრივმა ინტერესებმა მოსამართლე აიძულა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. მაგრამ მას არა აქვს მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემს. ამის მიზეზები, ალბათ, იურიდიული განათლების სისტემის ხარვეზებში უნდა ვეძიოთ.

კანონის განმარტება და კანონის ხარვეზის ამოვსება საბჭოთა სამართლის თეორიისთვის ისეთივე ბუნებრივი პრობლემები იყო, როგორც მოძღვრება ნორმის, უფლებისა და ა.შ. შესახებ. მოსამართლეთა მიერ კანონთა განმარტების მეთოდების სრულად გამოყენებას ხელს უშლიდა მართლმსაჯულების ის სისტემა, რომელიც უზენაესი სასამართლოს პლენუმს უფლებას აძლევდა ნორმატიული ხასიათის მითითებები მიეცა ქვემდგომი სასამართლოებისათვის, რითაც მოსამართლის დამოუკიდებლობას ეცლებოდა საფუძველი. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულმა კანონმა სრულიად მართებულად თქვა უარი ამგვარ ტრადიციაზე.

სამოსამართლო სამართალი უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოცემულ მითითებებს კი არ ნიშნავს, არამედ კონკრეტული საქმეების განხილვისას ნორმის ინტერპრეტაციისა და კანონის ხარვეზის ამოვსების შედეგად მოსამართლის მიერ ჩამოყალიბებულ წესებს. სულ ერთია, თუ რომელი მოსამართლის მიერაა ეს წესი შემუშავებული. ცხადია, ზემდგომ სასამართლოს ყოველთვის აქვს უფლება გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გამო და ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ასევე დასაბუთებული უნდა იყოს. სწორედ ასე ყალიბდება სასამართლო პრაქტიკა და არა განზოგადებების შედეგად შექმნილი ინსტრუქციებით. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება სამართლის მეცნიერების საქმეა. რა თქმა უნდა, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება უზენაესი სასამართლოს მოვალეობაცაა, მაგრამ ამ გზით არ უნდა იქმნებოდეს სამოსამართლო სამართალი. ფიქრობ, რომ ახალი ქართული კანონმდებლობა ნოყიერ ნიადაგს შექმნის სამოსამართლო სამართლის განვითარებისათვის.

პირები სამოქალაქო სამართალში

სამოქალაქო სამართლის ურთიერთობათა მონაწილეებს ეწოდებათ „პირები“. კონტინენტური ევროპის სამართალში განმტკიცებული შეხედულების შესაბამისად, ქართული სამართლის მეცნიერებაც და სამოქალაქო კოდექსიც, ფონ ტურის ხატოვანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „პირის ცნებაში გულისხმობს უფლებაუნარიან არსებას, ე.ი. არსებას, რომელსაც სამართალი ანიჭებს უნარს, იყოს უფლებათა სუბიექტი“.<sup>1</sup> პირები იყოფა ფიზიკურ და იურიდიულ პირებად.

სამოქალაქო ურთიერთობების ძირითადი მონაწილე ადამიანია. მაშინაც, როცა უაღრესად რთულ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ორგანიზებული წარმონაქმნები დომინირებენ, მათ უკან მაინც ადამიანი დგას. სამოქალაქო სამართალში ადამიანის, როგორც ურთიერთობათა მონაწილის, აღსანიშნავად ცივილური სამართლის მეცნიერებამ შეიმუშავა ფიზიკური ანუ ბუნებრივი პირის ცნება. გირკეს მიერ გაჩაღებულ დისკუსიას, რომ ამ მონაწილისათვის თავისი ნორმალური სახელი – ადამიანი – ეწოდებინათ, შედეგი არ მოჰყოლია. ასე დაიმკვიდრა ადამიანმა სამოქალაქო სამართალში ადგილი ნათლობის სახელით – ფიზიკური პირი (ფრანგულ და მისი გავლენით ასევე ჩვენს სამართალში), ბუნებრივი პირი (გერმანული სამართლის წრეში), მოქალაქე (რუსულ სამართალში). მიუხედავად კრიტიკისა (პირველ რიგში მის ზელოვნურ წარმომავლობას აკრიტიკებენ), მათი შემცველი სამოქალაქო სამართალს ჯერ არაფერი შეუქმნია.

ადამიანები ხშირად ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთა მიღწევა მათ ცალ-ცალკე არც ფიზიკურად შეუძლიათ და არც კერძო ქონებაა ამისთვის საკმარისი. სამოქალაქო სამართალი ამ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ სამართლის ახალი სუბიექტი, რომელსაც იურიდიული პირი ეწოდება. თუ ადამიანი ბუნების ქმნილებაა (ამიტომაც ეწოდებენ მას გერმანულ სამართალში „ბუნებრივ პირს“), იურიდიული პირი ყოველი კონკრეტული სამართლის მიერაა შექმნილი და სამართლებრივ ურთიერთობათა გაიოლების მიზნით გათანაბრებულია ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობასთან, უწინარეს ყოვლისა, კი ქონებრივი ურთიერთობების სფეროში.

<sup>1</sup> v. Tuhr, Bd. I, S. 369.

ფიზიკური პირები

§1. უფლებაუნარიანობის ცნება

I. ზოგადი უფლებაუნარიანობა

ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნება პირველად XVIII საუკუნეში წარმოიშვა. თავის წარმომავლობას იგი ინდივიდუალიზმის განვითარებას უმაღლის.<sup>2</sup> ინდივიდუალიზმის უმაღლესი პრინციპის თანახმად, ყოველი ადამიანი წარმოადგენს თვითმიზანს. ამიტომ იგი თავისუფალია და არ უნდა დაექვემდებაროს ისეთ ძალაუფლებას, რომელიც მას მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენებს.<sup>3</sup>

ინდივიდუალიზმი სამართალში, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ სამართლით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა ადამიანმა, როგორც ინდივიდმა და არა როგორც ამა თუ იმ წოდების, რელიგიური ჯგუფის ან სახელმწიფოს წევრმა.<sup>4</sup>

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის წინაშე რომის სამართლის უდიდესი დამსახურების მიუხედავად, ერთიანი უფლებაუნარიანობის ცნებას იგი არ იცნობს. ძველი რომის სამართალი განამტკიცებდა მოძღვრებას ადამიანის „სამი სტატუსის“ შესახებ: ადამიანი იყო ან თავისუფალი ან არა, იყო მოქალაქე ან არამოქალაქე, ოჯახის წევრი ან არაწევრი. თითოეული ეს სტატუსი განსაზღვრავდა მის სამართლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე, უფლებაუნარიანობის არსებობა დამოკიდებული იყო ერთ-ერთი ამ სტატუსის ქონაზე. ეს, ცხადია, ეწინააღმდეგება უფლებაუნარიანობის პრინციპს, რომლის ძირითადი პირობა სწორედ თავისუფლებაა.<sup>6</sup>

(ზოგადი უფლებაუნარიანობის დამკვიდრება თანამედროვე სამართალში

<sup>2</sup> Ehrlich, E. Die Rechtsfähigkeit, 1909, Neudruck 1963. S.58.

<sup>3</sup> Lübtow von, Ulrich, Theorie des Rechtssubjektes und ihre geschichtliche Entwicklung. in: FS Ernst Wolf, 1985, S. 432.

<sup>4</sup> Conrad, Hermann. Individuum und Gemeinschaft in der Privatrechtsordnung des 18. und beginnenden 19. Jahrhunderts, Karlsruhe, 1956. (38 S.).

<sup>5</sup> Staudinger/Weick/Habermann. (1995). S.137.

<sup>6</sup> v. Lübtow, Individuum und Gemeinschaft, S. 433.

მჭიდროდ უკავშირდება სამართლის სუბიექტად ადამიანის, როგორც ინდივიდის აღიარებას და მის მიჩნევას პირად (პიროვნებად).<sup>7</sup> /

პირების ცნება, სამართლებრივი გაგებით, პირველად რენესანსის ეპოქის სისტემატიკოსებმა შემოიღეს და იგი დაუკავშირეს რომის სამართალში განმტკიცებულ მოძღვრებას ე.წ. სტატუსის შესახებ. დონელუსი ამბობს: ვისაც რომის სამართლით განმტკიცებული „სამი სტატუსიდან“ არც ერთი არა აქვს, რომის სამართლის მიხედვით არის არა პირი, არამედ – ნივთი. თანამედროვე უფლებაუნარიანობის ცნება პირველად გვხვდება XVIII საუკუნეში კრისტიან ვოლფთან, როგორც *Persona moralis*-ის ნიშანი: „*Homo persona moralis est quatenus spectatur tamquam subiectum certarum obligatonum etque iurium certorium*“.<sup>8</sup>

განმანათლებლობის ბუნებითი სამართლის მიერ გაცხადებულმა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეამ დაბადა შეხედულება, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით უფლებაუნარიანობა ყველა ადამიანს აქვს. განსაკუთრებით კანტმა გაუსვა ხაზი ამ გარემობას „ზნეობის მეტაფიზიკის“ წინასიტყვაობაში (IV). ამდენად, „სამოქალაქო თავისუფლების იდეალი და პირის ცნება შეერწყა ერთმანეთს“.<sup>9</sup>

დასავლეთ ევროპის სამართალში ადამიანი „სამართლის სუბიექტად“ ისე მყარად დამკვიდრდა, რომ XIX საუკუნის განმავლობაში ცნება „პირები“ პრაქტიკულად არც გამოიყენებოდა: იგი იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. იმავდროულად, წინა პლანზე წამოიწია საკითხმა ამ პირის როლის შესახებ, კერძოდ, იმან, თუ რა ფუნქციებს ასრულებდა ეს პირი სამართალში. სწორედ ამას უკავშირდება „უფლებაუნარიანობის“ შესახებ მოძღვრების გამარჯვება, ე.ი. მოძღვრებისა, რომელიც აღიარებდა ადამიანის უნარს „ყოფილიყო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი“. ამიტომ ცნებებმა „პირები“, „სამართლის სუბიექტი“ და „უფლებაუნარიანობა“ სინონიმური ცნებების მნიშვნელობა შეიძინეს.<sup>10</sup>

პირებისა და ზოგადი უფლებაუნარიანობის ეს ევოლუცია აშკარად თვალშისაცემია, თუ XIX საუკუნის ცივილური სამართლის ლიტერატურას ოდნავ გადავაგვლებთ თვალს. მაგალითად, როცა ტიბოს სახელგანთქმული სახელმძღვანელო „პანდექტური სამართლის სისტემის“ პირველი გამოცემა გამოვიდა 1805 წელს, იგი იწყებოდა არა პირებით, არა

<sup>7</sup> Hattenhauer, Hans, „Person“ - Zur Geschichte eines Begriffs. JuS 1982, Heft. 6. S. 407.

<sup>8</sup> Staudinger/Weick/Habermann, S. 138.

<sup>9</sup> Hattenhauer, „Person“, S. 407.

<sup>10</sup> Hattenhauer, „Person“, S. 407.

მათი უფლებაუნარიანობით, არამედ კანონის ცნებით, მისი ბუნებით, წარმოშობით, სავალდებულო ძალით, გამოქვეყნებით, გაუქმებით; განმარტებითა და ა.შ. ასევე განხილული იყო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, მათი არსი და სწორედ ამ კონტექსტში იხილავდა ავტორი პირის ცნებას. ე.ი. პირებს რაიმე განსაკუთრებული ყურადღება არ ჰქონდათ დათმობილი. სავინი თავის ასევე სახელგანთქმულ სახელმძღვანელოში „თანამედროვე რომის სამართლის სისტემა“ მთავარ აქცენტს სწორედ პირებსა და მათ უფლებაუნარიანობაზე აკეთებს. იგი უფლებაუნარიანობას პირის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს.

ბუნებითი სამართლის ეპოქის დიდი კოდიფიკაციებიდან ავსტრიის სამოქალაქო კოდექსმა პირველმა განამტკიცა ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნება.<sup>11</sup>

უფლებაუნარიანობის მიერ განვლილი გზის მოკლე მიმოხილვა იერინგის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „აზრი, რომ ადამიანი, როგორც ასეთი, და არა როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქე, თავისუფალი და ამით სამართლის სუბიექტია, რომ ომში ტყვეობა მონობას არ იწვევს, დღეს ყველა კულტურული ხალხის საერთო მონაპოვარს განეკუთვნება“.<sup>12</sup> თანამედროვე სამოქალაქო კოდექსებში უფლებაუნარიანობა სამოქალაქო ურთიერთობათა ფუძემდებლური ინსტიტუტია და სამოქალაქო სამართლის განუყოფელი ნაწილი.

ის, რომ ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია, თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ბანალურ ჭეშმარიტებებს განეკუთვნება. ეს იმდენად ცხადი და უეჭველი მოვლენაა, რომ ზოგი სამოქალაქო კოდექსი არც უსვამს ამ გარემოებას ზაზს და შემოიფარგლება იმის განსაზღვრით, რომ „უფლებაუნარიანობა იწყება დაბადებისთანავე“.<sup>13</sup> ზოგი ქვეყანა მაინც ამახვილებს ყურადღებას ამ გარემოებაზე.<sup>14</sup> როლფ კნიპერი აკრიტიკებს შეხედულებას, რომლის თანახმად უფლებაუნარიანობის ცნება იმდენად ნათელი და თავისთავადი მოვლენაა, რომ თითქოს მასზე ზაზგასმა ცალკე სავალდებულო არც არის. პირიქით, იგი თვლის, რომ უფლებაუნარიანობის ცნება საკმაოდ ბუნდოვანია.<sup>15</sup>

<sup>11</sup> ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის § 18.

<sup>12</sup> Jhering, Rudolf von Geist des römischen Rechts auf der verschiedenen Stufen seiner Entwicklung, Bd. I, S. 102.

<sup>13</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1; იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი; დალნიის სამოქალაქო კოდექსის 1-ლი ბ მუხლი და ა.შ.

<sup>14</sup> მაგალითად, შვეიცარიის ცივილური კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, „უფლებაუნარიანია ყველა“.

<sup>15</sup> Knieper, Rolf, Gesetz und Geschichte. S. 57.

## II. სამართლის სისტემა. რომელიც არ იცნობს უფლებაუნარიანობას

ინგლისურ-ამერიკული სამართალი არ იცნობს უფლებაუნარიანობის ცნებას, რომელიც, როგორც უკვე დავინახეთ, მხოლოდ პირის უნარს განამტკიცებს, ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები. ინგლისური სამართალი იცნობს მხოლოდ უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირებს.<sup>16</sup> უფლებაუნარიანობის კონტინენტურ-ევროპისეულ კონსტრუქციას პრეცედენტული სამართლისათვის არცა აქვს აზრი, ვინაიდან მისთვის განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლისაგან, უცხოა ზოგადი ცნებები, მათ შორის, ზოგადი კანონისმიერი წარმომადგენლობის ცნება. ქართველ იურისტს ბუნებრივად დაებადება კითხვა, როგორ შეიძლება სამართალს არ ჰქონდეს წარმომადგენლობის ინსტიტუტი? რა თქმა უნდა, აქვს ინგლისურ-ამერიკულ სამართალს წარმომადგენლობის ინსტიტუტი, მაგრამ არა ზოგადი, არამედ მხოლოდ კონკრეტული მიზნებისათვის გათვალისწინებული და გამიზნული.<sup>17</sup>

რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკულ სამართალში ცნობილ legal capacity-ს ცნებას, იგი ემთხვევა ჩვენს სამართალში არსებულ ქმედუნარიანობის ცნებას. თუმცა განსხვავება აქაც არის: კონტინენტური ევროპის სამართლისათვის ქმედუნარიანობის ცნება მოიცავს პირის უნარს, როგორც წარმომადგენელმა შეიძინოს უფლებები როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვისთვის. ინგლისური capacity გამორიცხავს პირის უნარს, როგორც წარმომადგენელმა, განახორციელოს მოქმედებები სხვა პირის სახელით.<sup>18</sup> ფართო ცნება, რომელიც მოიცავს პირის უნარს იმოქმედოს როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვისთვის, ინგლისურ სამართალში არის power, ხოლო მხოლოდ სხვისთვის მოქმედების განხორციელებას ეწოდება authority.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ-ამერიკული სამართალი არ იცნობს უფლებაუნარიანობის სტატიკურ ცნებას, იგი მაინც ცდილობს დაამკვიდროს მისი მსგავსი ინსტიტუტები. მაგალითად, არის მცდელობა, რომ legal capacity ორგვარი გაგებით იქნეს გამოყენებული: აქტიური (active capacity) და პასიური (passive capacity).<sup>19</sup> კონტინენტური ევროპის სა-

<sup>16</sup> Mantell, Jürgen, Wirkungsgrenzen juristischer Personen im deutschen und anglo-amerikanischen Recht. 1972, S. 3.

<sup>17</sup> Müller-Freierfels, Wolfram, Die Vertretung beim Rechtsgeschäft, Tübingen, 1955, S. 168.

<sup>18</sup> Mantell, Wirkungsgrenzen, S. 4.

<sup>19</sup> Jenks, Edward, A Digest of English Civil Law, 3rd ed., London 1938, Vol. I, §1, S. 1.

მართლის ენაზე რომ ეთქვას, პირველი გამორიცხავს ქმედუნარიანობას, ხოლო მეორე – უფლებაუნარიანობას. ამერიკული სამართალი მიმართავს ამგვარ მცდელობას: კერძოდ, ერთმანეთისაგან განასხვავებენ capacity for right, რაც უფლებაუნარიანობას შეესაბამება და capacity for acts (ქმედუნარიანობას).<sup>20</sup>

მაშასადამე, ინგლისურ-ამერიკულ სამართალში არსებული ცნება legal capacity მოიცავს კონკრეტული პირის უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას ერთდროულად მაშინ, როცა კონტინენტური ევროპის სამართალი და, ცხადია, ქართული სამოქალაქო სამართალიც, ამ ინსტიტუტებს ცალ-ცალკე იხილავს. პრინციპში, უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცალ-ცალკე განმტკიცება მნიშვნელოვანია მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ. იურიდიულ პირებთან დაკავშირებით უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთმანეთს ემთხვევა და გამოიჯენას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

## §2. უფლებაუნარიანობის წარმოშობა

„ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლში განმტკიცებული ეს ნორმა თანამედროვე სამოქალაქო კოდექსების განუყოფელი ბინადარია და იგი სათავეს განმანათლებლობის ეპოქაში იღებს. ყველა ადამიანის თანასწორობა, რომელიც XIX საუკუნემ თავის ურყვე პრინციპად აღიარა, ადამიანის დაბადებისთანავე უნდა წარმოშობილიყო და დამოუკიდებელი ყოფილიყო ყოველგვარი წოდებრივი ან სხვაგვარი პრივილეგიებისაგან. ყველა ადამიანი რომ დაბადებით თანასწორია, სამოქალაქო სამართლებრივ გამოხატულებას პოულობს სწორედ იმაში, რომ ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია და ეს უფლებაუნარიანობა იწყება დაბადებისთანავე.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალი განსხვავებულად განსაზღვრავს დაბადების მომენტს, ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ უფლებაუნარიანობა იწყება ახალი სიცოცხლის დაბადებით. გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით „ადამიანის უფლებაუნარიანობა იწყება დაბადების სრულად დამთავრებით“ (§1), შვეიცარიის

<sup>20</sup> Pound, Roscoe, Jurisprudence, St. Paul Minn. 1959, Vol. IV, S. 276 Fn. 57.



ცივილური კოდექსით უფლებაუნარიანობა იწყება „მშობიარობის დამთავრებით წარმოშობილ სიცოცხლესთან ერთად“ (მუხლი 31-ე).

ის, თუ რა ჩაითვლება დაბადებად სამოქალაქო სამართლისათვის მნიშვნელოვანი გაგებით, სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მიერ ასევე განსხვავებულად არის შეფასებული. გერმანული სამართლის მიხედვით „დაბადება დამთავრებულია, როცა ნაყოფი ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით გამოეყოფა დედის საშოს“, მიუხედავად იმისა, ჭიპლარი მოჭრილი იქნება თუ არა.<sup>21</sup> ავსტრიული სამართალი, ისევე როგორც გერმანული, ამ დროს არ ანიჭებს მნიშვნელობას, ბავშვი სიცოცხლისუნარიანია თუ არა. „მას სიცოცხლის ნიშანი უნდა ეტყობოდეს. თუ არსებობს ეჭვი, ცოცხალია ბავშვი თუ მკვდარი, ივარაუდება პირველი“.<sup>22</sup> არც იტალიის სამოქალაქო სამართალი უკავშირებს უფლებაუნარიანობის წარმოშობას ახალდაბადებულის სიცოცხლისუნარიანობას ან იმას, რომ მან დაბადებიდან განსაზღვრული პერიოდი იცოცხლოს.<sup>23</sup> ამდენად, ბავშვის სიცოცხლისუნარიანობა არ არის წინაპირობა უფლებაუნარიანობის წარმოშობისათვის. ადამიანის უფლებაუნარიანობა წარმოშობილად ჩაითვლება, თუკი ცოცხლად დაბადებული ბავშვი სულ ცოტა ხანს მაინც ცოცხლობდა.<sup>24</sup>

ფრანგული სამართალი განსხვავებულად წყვეტს ამ საკითხს: უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია ბავშვის სიცოცხლისუნარიანობაზე.<sup>25</sup> ცოცხლად დაბადებულად ჩაითვლება ნაყოფი, თუკი მშობიარობის შემდეგ ბავშვი სუნთქავს.<sup>26</sup> ავსტრიული სამართლის მსგავს პრეზუმფციას ბავშვის ცოცხლად დაბადების შესახებ ფრანგული სამართალი არ იცნობს. „სიცოცხლისუნარიანობის“ ცნება საკმაოდ სპეციფიკურია და მისი ზუსტად განსაზღვრა იოლი არ არის. ამიტომ ფრანგულ ლიტერატურაში ხშირად სადავოა, თუ როდის ჩაითვლება ბავშვი სიცოცხლისუნარიანად.

მეტად საინტერესო წესს ითვალისწინებს ფრანგული სამართალი დაბადების რეგისტრაციის მიმართ. ბავშვის დაბადება რეგისტრირებულ უნდა იქნეს დაბადებიდან სამი დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში არ იქნება დაბადება რეგისტრირებული, მაშინ რეგისტრაცია შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.<sup>27</sup>

<sup>21</sup> Staudinger/Weick/Habermann (1995). S.161.

<sup>22</sup> Koziol/Welser. Bd. I, S. 45: ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის § 23.

<sup>23</sup> Kindler, Peter, Einführung in das italienische Recht. 1993. S. 82: იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი.

<sup>24</sup> Larenz, AT. §5. II.

<sup>25</sup> ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 311-4-ე მუხლი: 725-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

<sup>26</sup> Ferid/Sonnenberger. Bd. I/1. S. 309.

<sup>27</sup> ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მე-5 და 55-ე მუხლები.

სიცოცხლისუნარიანობის აბსტრაქტული და სადავო ცნების მაგივრად ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანობის (capacidad jurídica) წარმოშობას უკავშირებს ახლად დაბადებულის სიცოცხლის ხანგრძლივობას. კერძოდ, ესპანური სამართლის მიხედვით ახლად დაბადებულს უნდა ჰქონდეს „ადამიანის გამოსახულება და შობიარობიდან 24 საათის განმავლობაში უნდა ცოცხლობდეს“.<sup>28</sup>

ქართული სამოქალაქო კოდექსი დაბადების ფაქტს არ უკავშირებს ახლდაბადებულის არც სიცოცხლისუნარიანობას, არც იმას, თუ რამდენი ხანი იცოცხლა მან დაბადების შემდეგ. მაშასადამე, უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებას უწოდებს. ამ მომენტიდან მას აქვს უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი.

### §3. ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობა

#### I. ზოგადი მიმოხილვა

მართალია, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა ადამიანის დაბადებისთანავე იწყება, მაგრამ სამოქალაქო სამართალი იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებსაც. უფრო ზუსტად, ჩასახული ნაყოფის ინტერესებს, რომელიც შეიძლება სიცოცხლედ მოველინოს ქვეყანას.

ჩასახულის სამართლებრივი დაცვის ფორმები სრულიად სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელი დარგი ეხება ამ პრობლემატიკას. მაგალითად, სისხლის სამართალი აბორტის აკრძალვის გზით იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებს; კონსტიტუციური სამართალი ჩასახულ ბავშვს ძირითადი უფლებების სუბიექტად აღიარებს და ა.შ. სამოქალაქო სამართალი იცავს ჩასახულის იმ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც მას დაბადების შემთხვევაში წარმოეშობა.

ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობა თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო სამართალშია განმტკიცებული, ოღონდ სხვადასხვა ფორმით.<sup>29</sup>

<sup>28</sup> ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლი.

<sup>29</sup> მაგალითად, შვეიცარიის ცივილური კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად „დაბადებამდე ბავშვი ჩათვლება უფლებაუნარიანად იმ პირობით, თუ იგი ცოცხალი დაიბადება“.

სამართლებრივად ყურადსაღებია, თუ როდიდან იმსახურებს ჩანას ბი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დაცვას. /ქართული კოდექსი „მემკვიდრედ ყოფნის უფლებას“ უკავშირებს ჩასახვის მომენტს. ეს თანამედროვე სამართალში უფრო გავრცელებული შეხედულებაა და მასში იგულისხმება კერძო სუბიექტების შერწყმა. / თუ კონკრეტულად როდის მოხდა ეს შერწყმა, ფაქტის საკითხია და მოსამართლემ საკითხის განხილვისას უნდა დაადგინოს იგი.<sup>30</sup>/ ჩასახვის მომენტიდან ერთმანეთისაგან განასხვავებენ განვითარების ორ საფეხურს: სამ თვემდე ჩანასახი ითელეება ემბრიონად, ხოლო სამი თვიდან – ნაყოფად.<sup>31</sup> მათ შორის რაიმე სამართლებრივი განსხვავება არ არსებობს. წესი, რომ „უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე“ ეხება ორივეს. /

მიუხედავად იმისა, რომ უზოგადესი პრინციპი უფლებაუნარიანობის წარმოშობას დაბადების ფაქტს უკავშირებს, უფლებაუნარიანობის ელემენტები ჩანასახის შემთხვევაში სიცოცხლის დაბადებას დროით წინ უსწრებს. იურიდიული ფიქციის გზით აღიარებენ, რომ ამ შემთხვევაში ნაყოფიც უფლებაუნარიანია.<sup>32</sup> მაგრამ ეს უფლებაუნარიანობა შეზღუდულია, ვინაიდან ეხება მხოლოდ უფლებებს (მემკვიდრედ ყოფნის უფლება) ისე, რომ ჩასახულს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე მოვალეობა.<sup>33</sup>

ფრანგულ იურისპრუდენციაში არსებობს სხვა შეხედულებაც, რომელიც არ სჯერდება ჩანასახისთვის უფლებაუნარიანობის სტატუსის მინიჭებას და მას უკვე სამართლის სუბიექტად მიიჩნევს. კერძოდ, ამ მოსაზრების თანახმად, ჩასახვის მომენტიდან უკვე სახეზუა *personne humaine*, რომელიც სამართლის სუბიექტია. ყველაფერი შემდგომ ეს არის სამართლის სუბიექტის ექზისტენციური დამოუკიდებლობისაკენ განვითარება, რომელიც საბოლოოდ განმტკიცდება დაბადებით.<sup>34</sup>

ჩანასახის უფლებაუნარიანობის ბუნების შეფასებისას ასევე აღსანიშნავია ორი თეორია: ერთი ჩანასახის უფლებაუნარიანობას მიიჩნევს უპირობოდ,<sup>35</sup> ხოლო მეორე – პირობითად.<sup>36</sup>

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება“ წარმოიშობა

<sup>30</sup> Staudinger/Weick/Habermann (1995), S. 166.

<sup>31</sup> Ferid/Sonnenberger. Bd. I/1. S. 310.

<sup>32</sup> Ferid/Sonnenberger. Bd. I/1. S. 310.

<sup>33</sup> Koziol/Welsen. Bd. I, S. 45.

<sup>34</sup> Ferid/Sonnenberger. Bd. I/1. S. 310.

<sup>35</sup> Ferid/Sonnenberger. Bd. I/1, S. 311.

<sup>36</sup> Koziol/Welsen. Bd. I, S. 45.

დაბადებისთანავე. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ არ შეიძლება უფლება სუბიექტის გარეშე არსებობდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია შეზღუდულ და პირობით უფლებაუნარიანობაზე: შეზღუდულია იმიტომ, რომ იგი მხოლოდ შემკვიდრედ ყოფნის უნარს განამტკიცებს, ხოლო პირობითია იმიტომ, რომ მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. თუ ნაყოფი ცოცხალი არ დაიბადა, მაშინ არც ეს უფლება პოვნებს პრაქტიკულ განხორციელებას. /

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს *უფლებაუნარიანობის ფიქციის თეორიასთან*. რამეთუ უფლებაუნარიანობის აღიარება ამ შემთხვევაში ემყარება მხოლოდ იურიდიულ ფიქციას. ამგვარი იურიდიული ფიქციის კარგ მაგალითს იძლევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 19 23-ის მე-2 აბზაცი: „ეინც სამკვიდროს გახსნის დროს ჯერ არ ცხოვრობდა, მაგრამ ჩასახული იყო, მიიჩნევა სამკვიდროს გახსნამდე დაბადებულად“. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი აფართოებს ჩანასახის დაცვას და მას დაბადებულად მიიჩნევს მისთვის სასარგებლო ყველა სამართლებრივი შედეგის მიმართ.

## ***II. თანამედროვე მედიცინის მიღწევები და ჩანასახის სამართლებრივი დაცვის პრობლემები***

თანამედროვე მედიცინის მიღწევებმა ხელოვნური განაყოფიერების სფეროში ბევრი ისეთი პრობლემა წარმოშვა, რომლებიც სამართლისათვის სრულიად უცხო და მოულოდნელი იყო. დღევანდელი მედიცინისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა განაყოფიერება ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირის გარეშე, ხელოვნური ემბრიონების ჩასახვა და მათი სერიული გამოყენება. მართალია, ყოველივე ამან ბევრ უშვილო ოჯახს დიდი ხნის ნატვრა აუხდინა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ბევრი თავსატეხიც გააჩინა.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხელოვნურ ინსემინაციასა და ხელოვნურ განაყოფიერებას<sup>37</sup>.

ხელოვნურ ინსემინაციაში იგულისხმება მეთოდი, რომლის თანახმად მამაკაცის სპერმა სქესობრივი კავშირის გარეშე შეჰყავთ ქალის საშვილოსნოში. ქმრის სპერმის შეყვანას ქალის საშვილოსნოში ჰომოლოგიური ინსემინაცია ეწოდება, ხოლო უცხო მამაკაცის სპერმის გამოყენებას —

<sup>37</sup> Giesen, Dieter, Probleme künstlicher Befruchtungsmethoden beim Menschen. JZ. 1985, S. 653

პეტეროლოგიური ინსემინაცია. ხელოვნური ინსემინაციის გზით წარმოშობილი ემბრიონი ჩანასახის სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. იგი ბუნებრივად ჩანასახულს უთანაბრდება. პრობლემები წარმოიშობა პეტეროლოგიური ინსემინაციის დროს საოჯახო სამართლის სფეროში, კერძოდ, ეს არის ურთიერთობა მამასა და შვილს შორის, უფრო ზუსტად, მამობის დადგენის პრობლემა.

ხელოვნური განაყოფიერების დროს კვერცხუჯრედისა და სპერმის შერწყმა ხდება ქალის სხეულის გარეთ, რომელიც შემდგომში ჩაინერგება ქალის საშვილოსნოში. ამასთან, ქალი შეიძლება იყოს იგივე, ვისგანაც წარმოსდგება კვერცხუჯრედი ანდა შეიძლება იყოს სრულიად სხვა. არის შემთხვევები, როცა შეუძლებელია ერთი ქალის საშვილოსნოში განაყოფიერება. ამ დროს განაყოფიერება ხდება სხვა ქალის საშვილოსნოში იმ მიზნით, რომ მშობიარობის შემდეგ ბავშვი გადაეცეს სხვას. ასეთ ქალს თანამედროვე მედიცინასა და სამართალში უწოდებენ „სათადარიგო დედას“.<sup>38</sup> „სათადარიგო დედობის“ თაობაზე დადებული ხელშეკრულებები ზშირად იურიდიული ძალის მქონედ არ მიიჩნევა. მაგალითად, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა ასეთ ხელშეკრულებებს დაუშვებლად მიიჩნევს. უფრო ზუსტად, დაუშვებლად თვლის „სათადარიგო დედის“ კალდებულებას, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ იგი გადასცეს შეშვკვეთს, ე.ი. განახორციელოს ქმედობა, რომელიც არღვევს მისი, როგორც დედის, კანონით გათვალისწინებულ მოვალეობას და იმავდროულად საჯარო წესრიგს.<sup>39</sup> საფრანგეთის მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანას, ბათილად მიიჩნევს ასეთ ხელშეკრულებებს.<sup>40</sup>

არც ხელოვნური განაყოფიერებისას წარმოიშობა ჩანასახის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები. საკითხი კვლავ საოჯახო სამართალს ეხება. თუმცა არც ხელოვნური განაყოფიერების შედეგად წარმოშობილი ემბრიონის სამართლებრივი მდგომარეობაა უდავო. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს. კერძოდ, იმას, შეიძლება თუ არა ასეთ ემბრიონს (ე.ი. ლაპარაკია ქალის სხეულის გარეთ მიღებულ ემბრიონზე) უკვე პიროვნების სტატუსი მიენიჭოთ და ტრადიციული გაგებით ჩანასახს გაუუთანაბროთ.<sup>41</sup> ამავე დროს, აზრთა ერთიანობა არსებობს იმაზე, რომ

<sup>38</sup> Giesen, JZ, 1985. S. 658.

<sup>39</sup> Cass. Civ. v 13.12.1989, DS 1990 J S. 273. კუთხოვ: Ferid/Sonnenberger, Bd I/1. S. 313.

<sup>40</sup> Ferid/Sonnenberger, Bd. I/1. S. 313.

<sup>41</sup> Staudinger/Weick/Habermann (1995). S.167.

განაყოფიერებული, განვითარებაუნარიანი ემბრიონი არ შეიძლება ჩაეთვალოთ ნივთად.<sup>42</sup>

ხელოვნური განაყოფიერების დროს წარმოიშობა პრობლემა, შეუძლია თუ არა ამ გზით დაბადებულ ბავშვს იყოს მამის მემკვიდრე, თუკი ემბრიონის წარმოშობამდე და დედის საშვილოსნოში მის ჩანერგვამდე მამა გარდაიცვლება. არც ამ შემთხვევაშია აზრთა ერთიანობა: ერთნი თვლიან, რომ კვერცხუჯრედებისა და სპერმის შერწყმის მომენტიდან ემბრიონი უნდა გაუთანაბრდეს ჩანასახს და აღიარებულ იქნეს მისი შეზღუდული უფლებაუნარიანობა.<sup>43</sup> სხვათა აზრით, ემბრიონის გათანაბრება ჩანასახთან და პირობით სუბიექტად მისი მიჩნევა შეიძლება მხოლოდ ემბრიონის ჩანერგვის შემდეგ.<sup>44</sup>

სხეულის გარეთა განაყოფიერება დღეს გამოჩვეულების არ წარმოადგენს. იგი განვითარებული ქვეყნების ცხოვრებაში სრულიად ნორმალური მოვლენაა და სასამართლო პრაქტიკაც აღიარებს მას.<sup>45</sup>

### III. ჩანასახის უფლებათა ფარგლები

ჩანასახის აღიარება შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონედ ან სულაც სამართლის სუბიექტად საყურადღებოა იმ უფლებებთან კავშირში, რომლებიც ჩანასახს აქვს.

ის, რომ მემკვიდრედ ყოფნის უფლება ჩასახვისთანავე წარმოიშობა, დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალშია განმტკიცებული. ზოგი სამართალი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ჩანასახის უფლებათა ფარგლებს აფართოებს. მაგალითად, ავსტრიული სამართლის მიხედვით დედის საშვილოსნოში მყოფ ჩანასახს უფლება აქვს დაბადების შემდეგ მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას საშვილოსნოში ყოფნის დროს მიადგა სხვისი მართლსაწინააღმდეგო ქმედობის გამო.<sup>46</sup> ზიანი შეიძლება წარმოიშვას ავტოავარიის ან დედისათვის არასწორად დანიშნული მედიკამენტების გამო.

<sup>42</sup> Lanz-Zumstein, Monika, Zur Rechtsstellung des unbefruchteten und befruchteten menschlichen Keimguts. Diss. Hamburg, 1990.

<sup>43</sup> Frank Schw JZ 1984, S.365-366; Lanz-Zumstein, S. 304.

<sup>44</sup> Hegnauer, in: FS Noll, 1984, S.49, 56.

<sup>45</sup> BGH JZ, 1987, S. 622.

<sup>46</sup> Koziol, Helmut, Schädigung des Menschen vor Geburt - ein Problem der Rechtsfähigkeit? AcP 166, 76.

ჩანასახის უფლებების დელიქტურსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, გერმანიის სასამართლო პრაქტიკა უფრო წინ წავიდა. კერძოდ, კომპენსაციის უფლება მან მიანიჭა ბავშვს იმ ზიანისათვის, რომლის მიზეზები ვერ კიდევ ბავშვის ჩასახვამდე წარმოიშვა. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სენატის 1952 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „თუ ქალი საავადმყოფოში საავადმყოფოს კანონიერი წარმომადგენლის ბრალით დაინფიცირდება სიფილისით და ეს ქალი შემდეგ გააჩენს ბავშვს, რომელიც დედის ინფექციის შედეგად თვითონაც სიფილისით ინფიცირებული დაიბადება, მაშინ ბავშვს აქვს უფლება საავადმყოფოს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება“.<sup>47</sup> ვერ კიდევ ჩაუსახავი ბავშვის სასარგებლოდ შეიძლება ჩუქების ხელშეკრულებაც კი გაფორმდეს.<sup>48</sup>

( გერმანული და ავსტრიული სამართლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა მარჩენლის მკვლელობის გამო იმ დროს, როცა ბავშვი ჩანასახის მდგომარეობაში ვერ კიდევ დედის საშვილოსნოში იმყოფებოდა.<sup>49</sup> /

ჩანასახის უფლებათა დაცვის ფარგლების თვალსაზრისით საინტერესოა იტალიის სასამართლო პრაქტიკა. დაბადებამდე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელსაც ავსტრიული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა პოზიტიურად წყვეტს, იტალიის ქვედა სასამართლოების მიერ ზოგ შემთხვევაში დაკმაყოფილდა, ხოლო რაც შეეხება იტალიის უზენაეს სასამართლოს, მან ბოლოს 1973 წელს უარი თქვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ჩანასახს არ გააჩნია უფლებაუნარიანობა.<sup>50</sup>

#### §4. შესაძლო უთანასწორობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას

სამოქალაქო სამართლის უზოგადესი პრინციპის თანახმად, ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია, ე.ი. მას აქვს უნარი, აქონდეს სამოქალაქო

<sup>47</sup> BGHZ 8. 243.

<sup>48</sup> MünchKommB/Gitter Rn 49; Palandt/Heinrichs Rn. 5.

<sup>49</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §844-ის მეორე აბზაცის მე-2 წინადადება; ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §22 და § 1327.

<sup>50</sup> Kindler. Einführung in das italienische Recht. S. 82.

უფლებები და მოვალეობები (საქ. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი).

თანასწორუფლებიანობის ხსენება ყოველთვის იწვევს ბუნებრივად იმ გარემოებების ასოციაციას, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე და მეტნაკლებად დღესაც უთანასწორობის საფუძვლად მოიაზრება. შეიძლება კი უცხოელი და მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე თანაბრად უფლებაუნარიანი იყვნენ? პოლიტიკურად ცვალებად სამყაროში რამდენად რეალურია საპირისპირო პოლიტიკური შეხედულებების წარმომადგენელთა თანასწორ უფლებაუნარიანობაზე ლაპარაკი? რამდენად დასაბუთებულია განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის მქონე პირთა თანასწორ უფლებაუნარიანობაზე ხაზგასმა, ანდა შესაძლებელია თუ არა ბუნებით ანტაგონისტურ სქესთა თანასწორობის განხორციელება?

(უთანასწორობის ასოციაციის გამომწვევი ამ გარემოებებიდან მხოლოდ რამდენიმეს შევხები. ვფიქრობ, რომ მოქალაქეობა, პოლიტიკური რწმენა და სქესი ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს/

### *I. მოქალაქეობა და უფლებაუნარიანობა*

თუმცა სამოქალაქო სამართლის სახელწოდებაში „მოქალაქე“ მთავარი მსაზღვრელის ადგილს იკავებს, მაგრამ მოქალაქეობას სამართლის ამ მნიშვნელოვანი დარგისათვის პრაქტიკულად ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს. ისტორიულად მოქალაქეობის ცნება სწორედ სამოქალაქო სამართალთან კავშირში წარმოიშვა: 212 წელს ქრისტეს დაბადებიდან კარაკალას იმპერატორობის დროს რომის იმპერიაში შემოდებულ იქნა მოქალაქეობის ცნება. რომის მოქალაქეობა ადამიანის თავისუფლების სინონიმად გამოიყენებოდა და სამოქალაქო უფლებები მხოლოდ რომის მოქალაქეებს მიენიჭებოდათ.<sup>51</sup> როგორც ჩანს, სახელწოდება „სამოქალაქო სამართალი“ სწორედ აქედან უნდა იყოს წარმოშობილი. თანამედროვე სამოქალაქო სამართალში საჯარო სამართლის ეს ერთ-ერთი ფუძემდებლური ინსტიტუტი უფრო მორიდებულად გამოიყურება, ვიდრე საჯარო სამართალში.

საუკუნეების მანძილზე მივიწყებულმა მოქალაქეობის ცნებამ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში პოვა საკანონმდებლო განმტკიცება ჯერ 1791 წლის ფრანგულ კონსტიტუციასა და მერე — 1804 წლის ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში.

<sup>51</sup> Evangelisches Staatslexikon. Bd.II. 3. Aufl. 1987. S.3392.



სამოქალაქო სამართალში გაბატონებული აზრის თანახმად, უფლება-უნარიანობის განსაზღვრისას მოქალაქეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, პოლანდიის ახალი სამოქალაქო კოდექსის 1:1 მუხლის თანახმად, „ყველას, ვინც პოლანდიაში იმყოფება, უზრუნველყოფილი აქვს სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა“.<sup>52</sup> მოქმედი სამოქალაქო კოდექსები, როგორც დავინახეთ, უფლება-უნარიანობას ადამიანის დაბადების ფაქტს უკავშირებს და არა მოქალაქეობის მიღებას ან მის დაკარგვას. მოქალაქეობა თავის კერძოსამართლებრივ მნიშვნელობას საერთაშორისო კერძო სამართალში მოიპოვებს.<sup>53</sup>

მართალია, უფლება-უნარიანობის განსაზღვრისას მოქალაქეობა პრაქტიკულად არავითარ როლს არ თამაშობს, მაგრამ ზოგი სახის სამოქალაქო უფლებათა მიმართ უცხოელთა დამოკიდებულება დიფერენცირებულია. ისტორიული ტრადიციის წყალობით ამ მხრივ საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთის სხვა ქვეყნების სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული წესებისაგან.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებები აქვთ ფრანგებს. ამ უკანასკნელში იგულისხმება საფრანგეთის მოქალაქე. რაც შეეხება უცხოელებს, ისინი ისეთივე სამოქალაქო უფლებებით სარგებლობენ, როგორც ფრანგები იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეობაც ამ უცხოელს აქვს.<sup>54</sup> აშკარაა, რომ „ამის შესაბამისად, მოქალაქეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ინდივიდუალიზების ფაქტორი“.<sup>55</sup> ასეთი დაყოფა ფრანგებსა და არაფრანგებს შორის ისტორიული ტრადიციიდან მომდინარეობს, კერძოდ, თავისუფლების იდეებთან ერთად საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი ნაციონალური სახელმწიფოს მებაირახტრედ დამკვიდრდა. ამიტომ საფრანგეთის მოქალაქეობა ხაზს უსვამდა იმ უპირატესობებს, რომელიც ამ ახალი სახელმწიფოს წარმომადგენელს ჰქონდა. ამის დასტური თვით ფრანგული კოდექსის თავდაპირველი სახელწოდებაა: „ფრანგების სამოქალაქო კოდექსი“. ამ სახელწოდებით იქნა იგი 1804 წელს მიღებული და გამოქვეყნებული.<sup>56</sup>

<sup>52</sup> De Nederlandse Wetboeken. Mr. J.A. Fruin. 1994. S.71.

<sup>53</sup> Lehmann/Hübner. Allgemeiner Teil des bürgerlichen Gesetzbuches. 15. Aufl. S. 418 usw. (მებღოში Lehmann/Hübner).

<sup>54</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი.

<sup>55</sup> Ferid/Sonnenberger, I/1. S.328.

<sup>56</sup> Frankreich. Code civil. 1932. S.1.

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის ვიწრო ინტერპრეტაციის შედეგად იგი პრაქტიკულად არავითარ როლს არ თამაშობს. ამ მუხლთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს უკანასკნელი გადაწყვეტილება 1948 წლის 27 ივლისს იქნა მიღებული, რომლის თანახმად, მე-11 მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ უფლებებზე, რომელთათვისაც აუცილებელია საფრანგეთის მოქალაქეობა.<sup>57</sup> მაგალითად, 1927 წლის 19 აგვისტოს კანონის მიღებამდე კოდექსით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება უცხოელებზე არ ვრცელდებოდა. ახლა სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით ეს შეზღუდვა უკვე მოხსნილია, თუმცა საფრანგეთში უცხოელთა შესვლისა და იქ ცხოვრების უფლება სხვა საჯარო სამართლებრივ ნებართვებზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ეს არ შეეხება ევროპის მოქალაქეებს, ე.ი. ევროპის კავშირის წევრი-სახელმწიფოების მოქალაქეებს. 1942 წლის 10 თებერვალს – გერმანელთა ოკუპაციის დროს – მიღებული კანონის თანახმად უცხოელებს არ ჰქონდათ ფსევდონიმის გამოყენების უფლება. ამ ნორმის მიზანი იყო საფრანგეთში გაქცეული ლტოლვილების კონტროლქვეშ მოქცევა, რათა ისინი ფსევდონიმის გამოყენებით არ დამალვოდნენ ხელისუფლებას. 1993 წლის 8 იანვარს მიღებული კანონით ეს წესი გაუქმდა. უჩვეულოა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი, რომლის თანახმად, ოფიციალური ანდერძის შედგენის დროს მოწმე შეიძლება იყოს მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქე.

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მიუხედავად მისი მოქალაქეობისა. ამით ქართული სამოქალაქო სამართალი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს მოქალაქეობას უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას.)

## *II. პოლიტიკური შეხედულებები და უფლებაუნარიანობა*

თუ მოქალაქეობა მცირე როლს მანც თამაშობს უფლებაუნარიანობის განსაზღვრაში, დასავლეთის ქვეყნების კერძო სამართალი პოლიტიკურ შეხედულებებს და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლებას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ამგვარი

<sup>57</sup> Fend/Sonnenberger, 1/1, S.328.

გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური შეხედულებების მიმართ კერძო სამართლის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომლისთვის მთავარია ადამიანი, როგორც ბუნებით თავისუფალი, საკუთარი პასუხისმგებლობის ცნობიერების მქონე არსება და არა პოლიტიკური შეხედულებების მატარებელი სუბიექტი.

ყველა ადამიანის აღიარება უფლებაუნარიან სუბიექტად გამორიცხავს მისი ამ უნარის შეზღუდვას პოლიტიკური მრწამსის მოტივებიდან გამომდინარე. ფრანგულმა სამოქალაქო კოდექსმა ერთ-ერთმა პირველმა განამტკიცა ეს პრინციპი. მე-7 მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა განხორციელება დამოუკიდებელია პოლიტიკური უფლებებისაგან“. ფრანგული კოდექსის გავლენით დამკვიდრდა ანალოგიური ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ის, რაც სამოქალაქო საზოგადოებებში და მათ სამართლებრივ სისტემებში სრულიად ბუნებრივია, საწინააღმდეგო ინტერპრეტაციას იღებს ტოტალიტარულ სახელმწიფოებში. მაგალითად, გერმანიის ფაშისტური სახელმწიფო უფლებაუნარიანობას ართმევდა ებრაელებს; საბჭოთა სამოქალაქო სამართალი უფლებაუნარიანობის არსებობას უკავშირებდა რევოლუციურ მართლშეგნებასა და კომუნისტურ იდეალებს.

პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე არც რასა და რელიგია თამაშობენ უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას რაიმე როლს. ადამიანი, მიუხედავად რწმენისა ან რომელიმე რელიგიური გაერთიანებისადმი კუთვნილებისა, სამოქალაქო სამართლისათვის შეუზღუდავად უფლებაუნარიანია.

### *III. სქესის მნიშვნელობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას*

ყველა ადამიანის თანასწორი უფლებაუნარიანობის პრინციპიდან გამომდინარე სქესთა შორის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა კონსტიტუციური პრინციპია და იგი საფუძველია სამართლის ყველა დარგისათვის. მიუხედავად ამისა, პირის კუთვნილებას მამრობითი თუ მდედრობითი სქესის მიმართ მაინც აქვს კერძო სამართალში სამართლებრივი მნიშვნელობა. განსაკუთრებით ეს ეხება საოჯახო სამართალს, უფრო ზუსტად კი, მის იმ ნაწილს, რომელიც საქორწინო ურთიერთობებს აწესრიგებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ „ქალისა და მამაკაცის ნებაყოფ-

ლობით „კავშირს“ მიიჩნევს ქორწინებად, რომელიც ოჯახის შექმნას ისახავს მიზნად. ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას ქართული სამართალი, ისევე როგორც თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი, არ იცნობს მართალია, დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა იმპერატიულად არ კრძალავს ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა მიერ ოჯახის შექმნას, მაგრამ მას არავითარ სამართლებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ასეთი ერთადცხოვრება არ მიიჩნევა სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული ოჯახის ცნებად, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.<sup>58</sup> თუმცა ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ერთად ცხოვრება ოჯახის შექმნის მიზნით დასავლეთში გახშირდა. განსაკუთრებით ეხება ეს ჰომოსექსუალების ქორწინებას. როგორც ჩანს, ამან აიძულა ამერიკელი კანონმდებელი, რომ 1996 წელს მიეღოთ „კანონი ქორწინების დაცვის შესახებ“, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს ქორწინებას როგორც „ქალისა და მამაკაცის კავშირს“. ამით იგი გამორიცხავს ჰომოსექსუალებს შორის ქორწინების შესაძლებლობას. ქორწინების საკითხების მოწესრიგება არ შეადგენს ფედერალური კანონმდებლობის კომპეტენციას და ეს ცალკეული შტატების უფლებამოსილებაა. მაგრამ ახალი კანონი უკრძალავს შტატებს ცნონ სხვა შტატებში ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა შორის მომხდარი ქორწინება.<sup>59</sup>

ის, თუ რომელ სქესს განეკუთვნება ადამიანი, განისაზღვრება ადამიანის გარეგნული სასქესო ორგანოების მეშვეობით, რომელიც თვალსაჩინოა ბავშვის დაბადებისთანავე. ახალდაბადებულის სქესს განსაზღვრავს ექიმი ან ბებიატალი, რაც სამართლებრივ ძალას იძენს დაბადების მოწმობაში ჩაწერის შემდეგ. სამშობიარო სახლის ცნობა დაბადებისა და დაბადებულის სქესის შესახებ საფუძველია დაბადების მოწმობაში სქესის აღნიშვნისათვის.

თანამედროვე სამოქალაქო კოდექსების შემქმნელები და, ცხადია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც მედიცინის იმ მყარ შეხედულებას ემყარება, რომ ადამიანი ან ერთ სქესს განეკუთვნება ან მეორეს, „რომ არ არსებობს არც უსქესო და არც ორსქესიანი ადამიანი“.<sup>60</sup>

ქართული სამოქალაქო კოდექსი სქესის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას არ ანიჭებს. არც სხვა ქვეყნის კოდექსები უთმობენ მას დიდ

<sup>58</sup> მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი.

<sup>59</sup> Frankfurter Rundschau, 12.09.1996

<sup>60</sup> Staudinger/Weick/Habermann (1995), S. 143.

ყურადღებას. მაგრამ რეალური ცხოვრება ანომალიების სახით ბაღებს ადამიანებს, რომელთა სქესის ზუსტად განსაზღვრა ხშირად შეუძლებელია. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხების გადაწყვეტის დროს იძულებულია დაემყაროს თანამედროვე მედიცინის მიღწევებს, რომელიც ინტერსექსუალური (ბუნდოვანი, გაურკვეველი სქესის მქონე პირების) ადამიანების სქესის განსაზღვრისას არა მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს ეყრდნობა (ე.ი. უპირატესად თუ რომელი სქესისკენ აქვს მიდრეკილება), არამედ ახალი მეთოდების თანახმად იკვლევს სქესის გენეტიკურ წარმომავლობას, ასევე ცალკეულ პირთა სულიერ მდგომარეობას. მასზე დაყრდნობით იღებს სასამართლო პრაქტიკა გადაწყვეტილებებს.<sup>61</sup>

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ინტერსექსუალური ადამიანებისათვის თავიდან დადგენილი სქესისადმი კუთვნილება შემდგომი ცხოვრების მანძილზე სრულიად საპირისპიროდ იცვლება. იცვლება არა მხოლოდ გარეგნული ნიშნები, არამედ სულიერი მდგომარეობა: ადამიანი, რომელიც ქალთა სქესს განეკუთვნებოდა, უფრო და უფრო მამაკაცის იერს იღებს; ხმა, მიხვრა, მანერები და ა.შ. სამედიცინო ჩარევის შედეგად უფრო აშკარა ხდება მისი კუთვნილება საპირისპირო სქესისადმი. სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევას მიიჩნევს იმის საფუძვლად, რომ დაბადების მოწმობაში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.<sup>62</sup>

ინტერსექსუალებისაგან განსხვავდება ე.წ. ტრანსსექსუალების მდგომარეობა. ესაა პირები, რომლებსაც დაბადებისას აშკარად აქვთ ერთი სქესისათვის დამახასიათებელი სხეულის ნიშნები (ამით განსხვავებიან ისინი ინტერსექსუალებისაგან. ამ უკანასკნელთ გაურკვეველი სქესობრივი კუთვნილება აქვთ), მაგრამ შემდეგ ირკვევა ცხოვრების მანძილზე, რომ ისინი სრულიად საპირისპირო სქესს უნდა მიეკუთვნონ, რაც ხშირად ქირურგიული ოპერაციის შედეგად ხდება.

ტრანსსექსუალური კუთვნილების ფაქტები თანამედროვე მედიცინასა და რეალურ ცხოვრებაში იმდენად ხშირია, რომ ზოგი ქვეყანა ამ პრობლემას სპეციალური კანონით აწესრიგებს. მაგალითად, გერმანიაში 1980 წლის 10 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი ტრანსსექსუალობის შესახებ.<sup>63</sup>

სქესის საკითხს სამართლებრივი მნიშვნელობა არა მხოლოდ საოჯა-

<sup>61</sup> Neviny-Stickel Josef/Hammerstein. Jürgen. Medizinisch-juristische Aspekte der menschlichen Transsexualität. NJW 1967. 663.

<sup>62</sup> OLG Frankfurt NJW 1966. 407; FamRZ 1976. 214.

<sup>63</sup> BGBl I. 1654.

ხო სამართალში აქვს, არამედ მას უკავშირდება პირის სახელის უფლებაც. ტრანსსექსუალობის შემთხვევაში სქესის შეცვლა სახელის შეცვლის საფუძველია. სახელი ადამიანის სქესის გარეგნული სოციალური გამოხატულებაა. ამიტომ ამა თუ იმ სქესთან ყოველთვის ესა თუ ის სახელია დაკავშირებული. სახელი არ უნდა იწვევდეს სქესის აღრევას. თუმცა არის სახელები, რომლებსაც საქართველოში ერთდროულად ქალებიც ატარებენ და მამაკაცებიც: გული, ვარდო, ბაია და ა.შ. მაგრამ ეს გამონაკლისია და მისი განზოგადება, რა თქმა უნდა, არაა მიზანშეწონილი. )

სქესის შეცვლის საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას სხვადასხვა ქვეყანაში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. გერმანიისაგან განსხვავებით, რომელმაც ამ საკითხში უფრო ლიბერალური პოზიცია აირჩია, ფრანგული სასამართლო პრაქტიკა სხვა გზით წავიდა. საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ არ დაუშვა სქესის შეცვლა იმ მოტივით, რომ იგი არ განეკუთვნებაო სამოქალაქო მდგომარეობის შინაარსს.<sup>64</sup> პროტესტი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე უარყოფილ იქნა. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ეს შეხედულება 1992 წლის 25 მარტს უარყო. ამის შესაბამისად საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს საერთო სესიამ 1992 წლის 11 დეკემბერს შეცვალა თავისი უწინდელი პრაქტიკა, ე.ი. საფრანგეთშიც სქესის შეცვლა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერების შეცვლის საფუძველია.<sup>65</sup>

სამართლებრივი მნიშვნელობა სქესს არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აქვს. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამობის დადგენის საკითხს საოჯახო სამართალი მხოლოდ მამრობით სქესს უკავშირებს, ვინაიდან ბავშვის დედის საკითხი მშობიარობის ფაქტიდან გამომდინარე ისედაც ნათელია.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი, რომელიც კერძო სამართალში დღეს ბუნებრივად ჩანს, არც ისე ხანდაზმულია, როგორც მოძღვრება უფლებაუნარიანობის, საკუთრების ხელშეუხებლობის ან სახელშეკრულებო კერძო ავტონომიის შესახებ. მაგალითად, საფრანგეთმა მხოლოდ 1985 წლის 23 დეკემბრის კანონით განამტკიცა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა საოჯახო ურთიერთობებში. მანამდე ოჯახის უფროსად – chef de famille – ითვლებოდა ქმარი. ეს ურთიერ-

<sup>64</sup> Cass. Civ v 16.12.1975. DS 1975 J 397 – ეს პირველი შემთხვევა, მორე კი იყო: Cass. Civ v 31.3.1987. DS 1987 J 445. უკითხო: Ferid/Sonnenberger, I/1, S.325.

<sup>65</sup> Ferid/Sonnenberger, I/1, S.325.

ილაქვემდებარება გამოიხატებოდა არა მხოლოდ ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობაში, არამედ მამასა და შვილებს შორის ურთიერთობაშიც. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, ცოლს ეკისრებოდა ქმრისადმი მორჩილების მოვალეობა და 214-ე მუხლის შესაბამისად მისი ქმედუნარიანობა შეზღუდული იყო. მეუღლეთა საერთო ქონების ერთპიროვნული მართვის უფლებაც ქმარს ჰქონდა ისევე, როგორც შვილებზე მშობლის უფლებების განხორციელება მამის კომპეტენციას შეადგენდა.<sup>66</sup>

ანალოგიურად იყო ეს საკითხი ავსტრიის სამოქალაქო სამართალშიც მოწესრიგებული: ქმარს მინიჭებული ჰქონდა ხელმძღვანელობის უფლება. საოჯახო სამართალში განმტკიცებული იყო პრეზუმუცია, რომ ცოლი თავის ქონებას სამართავად ანდობდა ქმარს; მას ჰქონდა უფლება ცოლის ქონების ნაყოფი თავისუფლად გამოეყენებინა; ეკვის შემთხვევაში ივარაუდებოდა, რომ საოჯახო შენაძენი განხორციელებული იყო ქმრის მიერ.<sup>67</sup> საოჯახო სამართლის ახალმა რეფორმამ სქესთა თანასწორობა ამ სფეროშიც განამტკიცა.<sup>68</sup>

ბოლო დრომდე სქესთა უთანასწორობა საცხოვრებელი ადგილის არჩევაშიც თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. მაგალითად, ცოლის საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა ქმრის საცხოვრებელი ადგილი. ეს წესი ზოგი ქვეყნის სამოქალაქო სამართალში დღემდე მოქმედებს.

## §5. უფლებაუნარიანობა და უფლება

უფლებაუნარიანობა აქვს ყველას — ძუძუმწოვარა ბავშვს, ახალგაზრდას, ღრმად მოხუცებულს, რომელსაც დამოუკიდებლად წამოდგომა არ შეუძლია, ჯანმრთელს ან ხეიბარს, ყველას, ვისაც ცოცხალი ადამიანი შეიძლება ეწოდოს. ე.ი. ყველას აქვს უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო მოვალეობები. მაგრამ რაც შეეხება ამ უნარის პრაქტიკულ განხორციელებას, უფლებაუნარიანობის ცნების შინაარსი ამას არ მოიცავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლებაუნარიანობა სრულიადაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბოძებული უფლე-

<sup>66</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S.326.

<sup>67</sup> Koziol/Welser. Bd. I. S. 59.

<sup>68</sup> ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §89 აწესებს მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

ბები ცხოვრებაში განახორციელოს. ამისთვის აუცილებელია სხვა სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელსაც ქმედუნარიანობა ეწოდება.

თუ უფლებაუნარიანობა მინიჭებული უფლების განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა, რა აზრი აქვს მას? რა აზრი აქვს იმის თქმას, რომ ბუბუწოვარა ბავშვი, რომელსაც ჯერ თვალის არ გაუხელია წესიერად, უფლებაუნარიანია და, აქედან გამომდინარე, აქვს რაღაცა უფლებები, რომლის განხორციელება მხოლოდ მშობლებსდა შეუძლიათ.

არც უფლებაუნარიანობის წარმოშობის განხილვას, არც მის ცნებას ამ კითხვებზე პასუხი არ გაუცია. რატომ არის, რომ ერთი შეხედვით ამ უაზრო ინსტიტუტს თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ერთხმად აღიარებს ისე, რომ არც ერთ კანონმდებელს ჯერ ეჭვიც კი არ შეჰპარვია მის აღიარებაში.

| ადამიანს, როგორც ცოცხალ და სოციალურ არსებას, მიუხედავად თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობებისა, ასაკისა, ეკონომიკური მდგომარეობისა, სჭირდება გარანტია, დაცვა, იმის უზრუნველყოფა, რომ მისი სოციალური თუ ფიზიკური უმწეობის გამო იგი არ გაითვლება, მისი ინტერესები არ დაითრგუნება. ამ ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს უფლება „როგორც სამართლით მინიჭებული ნების ძალაუფლება ადამიანური ინტერესების დასაკმაყოფილებლად“.<sup>69</sup>

უფლების ამ დეფინიციას საფუძვლად უდევს იერინგის მიერ შემუშავებული ცნება. მის თანახმად „უფლება“ ეს არის „სამართლებრივი სიკეთე“, ე.ი. უფლებაშოსილი პირის „სამართლებრივად დაცული ინტერესების“ ობიექტი. იერინგი სვამს კითხვას, რა საჭიროა უფლებათა მინიჭება? იმისთვის, რომ ამით უფლების მფლობელს შეეძლოს თავისი ინტერესების დაკმაყოფილება (კვება, ცხოვრება, ჩაცმა და ა.შ.).<sup>70</sup> ასე გაგებული უფლება შესაძლებლობას იძლევა ბუბუწოვარა ბავშვის ინტერესებსაც დაუკავშიროთ იგი. მასაც აქვს „ინტერესები“ – სჭირდება ტანსაცმელი, კვება და ა.შ. – ასკენის პავლოვსკი.<sup>71</sup> ცხადია, რომ აქ ლაპარაკია არა ყოველგვარ ინტერესზე, არამედ „სამართლის სუბიექტის აღიარებულ „ობიექტურ“ ინტერესებზე“.<sup>72</sup>

<sup>69</sup> Enneccerus-Nipperdey. Lehrbuch des bürgerlichen Rechts. Bd. I. §72. Lehmann-Hübner. §10 IV; H. Brox. Rz. 568.

<sup>70</sup> Jhering R.v. Der Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung. Teil 3, I. 9. Aufl. 1968, §60.

<sup>71</sup> Pawlowski H.-M. Allgemeiner Teil des BGB. 2. Aufl. Rn. 105.

<sup>72</sup> Schwarz, Arch BR 32, S. 37.



ამდენად, უფლება უზრუნველყოფს კანონით მინიჭებულ ადამიანის იმ ინტერესებს, რომლებიც დამოუკიდებელია პირის ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებისაგან. მაგრამ ეს უფლება ფიზიკურად უმწეო პირს რომ ჰქონდეს, მას სჭირდება კანონით განმტკიცებული უნარი, ჰქონდეს ეს უფლებები. სწორედ ამის შესაძლებლობას იძლევა უფლებაუნარიანობის ცნება.

უფლებების, როგორც მისი მფლობელის ინტერესების, დაკმაყოფილების საშუალებამ შეიძლება დაბადოს ეჭვი სამართლის იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც, მართალია, ფლობენ უფლებას, მაგრამ მისი გამოყენება ემსახურება არა ამ სუბიექტის ინტერესებს, არამედ მის უკან მდგომ სხვა პირებს. მაგალითად, ფონდის ქონება და საკუთრების უფლება ამ ქონებაზე ემსახურება არა ფონდის ინტერესებს, არამედ ფონდის დესტინატურების ინტერესებს (საქ. სამოქალაქო კოდექსის 46-ე მუხლი). ანალოგიურია ვითარება სააქციო საზოგადოებების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მიმართ. ისინი იურიდიული პირები არიან და ფლობენ ამა თუ იმ უფლებას, მაგრამ არა თავისი ინტერესებისათვის, არამედ აქციონერების ან პარტნიორების ინტერესებისათვის.

უფლების დეფინიციისას წარმოშობილი ეს სირთულე ახალი არაა. იგი XIX საუკუნის იურიდიული მეცნიერებისთვისაც იყო ცნობილი. მაგალითად, იერინგი შეეცადა, რომ უფლებები დაეყო საკუთარი თავისთვის სასარგებლო და სხვისთვის სასარგებლო უფლებებად.<sup>73</sup> მაგრამ არც ეს დაყოფა იძლევა სრულყოფილ პასუხს. ამიტომ სამართლის მეცნიერება მიმართავს უფლებათა კონკრეტიზების პრინციპს, ე.ი. უფლება ყოველთვის უნდა გამოიხატოს კონკრეტულ შესაძლებლობაში, იქნება ეს საკუთრება, ვალი თუ სხვა რამ.<sup>74</sup> აქედან გამომდინარე, უფლებაუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც უნარი, ჰქონდეს პირს კონკრეტული უფლებები. აქედან გამომდინარე, უფლებაუნარიანობა ყოველთვის ზოგადია, ხოლო უფლება კი ყოველთვის კონკრეტული, <sup>ის</sup> ყოველთვის ცალკეულ მოვლენასთან კავშირში წარმოიშობა: მესაკუთრე შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგრამ საკუთრება აქვს ყოველთვის კონკრეტულ პირსა და კონკრეტულ საგანზე.

<sup>73</sup> Jhering. Der Geist, Bd. III, I. §61, S. 363.

<sup>74</sup> Pawlowski. AT, Rn. 107.

## §6. უფლებაუნარიანობის დასასრული

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით, დასავლეთის ქვეყნების სამართალშიც განმტკიცებული ეს დებულება მრავალ სამართლებრივ შედეგთან არის დაკავშირებული. ამიტომ გარდაცვალებას არანაკლები სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დაბადებას, კერძოდ, გარდაცვალებით იხსნება სამკვიდრო (მუხ. 1319-ე), წყდება ვალდებულება (453-ე მუხლი) და ა.შ. ამიტომ გარდაცვალების მომენტის ზუსტად დადგენას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სამოქალაქო კოდექსები თავს არიდებენ სიკვდილის დროის ნორმატიულ სამართლებრივ განსაზღვრას. ამის მიზეზი უფრო ის ევოლუციაა, რაც მედიცინაში სიკვდილის დადგომის მომენტის განსაზღვრამ განიცადა. (აღრე მედიცინაში არსებული შეხედულების თანახმად, სიკვდილის მომენტად ითვლებოდა სისხლის მიმოქცევის შეჩერება და სუნთქვის შეწყვეტა.<sup>75</sup>)

60-იან წლებში სამხრეთ აფრიკის ქალაქ კაპშტადში პროფესორმა კრისტინ ბერნარდმა ჩაატარა პირველი ოპერაცია, რომლის შედეგად ერთი ადამიანის გული გადაუნერგეს მეორე ადამიანს. ოპერაციის დროს გული, რომელიც უნდა მიერთებულიყო ახალ სხეულზე, ამოღებულ იქნა გარდაცვლილი ადამიანის სხეულიდან (რომელიც ტვინის ძლიერი დაზიანების შედეგად გარდაიცვალა) და ჩართული იყო სისხლის მიმოქცევის ხელოვნურ აპარატში. პარალელურად იქნა ამოღებული მეორე ადამიანის გული და მისი სისხლის მიმოქცევა გადაყვანილ იქნა ხელოვნური მანქანის მეშვეობით. ამ ფაქტმა გამოიწვია დისკუსია სიკვდილის დადგომის მომენტის შეცვლასთან დაკავშირებით. დღევანდელ პირობებში მსგავსი ტრანსპლანტაციები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.<sup>76</sup> თანამედროვე მედიცინას შესწევს უნარი, აცოცხლოს მკვდარი ორგანიზმის ესა თუ ის ნაწილები. მაგალითად, 1993 წელს გერმანიაში იყო შემთხვევა, როცა ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა 18 წლის გოგო, რომელიც ორსულად იყო. ხელოვნური ჩარევების შედეგად ეჭიმებმა სამი თვის განმავლობაში აცოცხლეს ხელოვნური კვების წყალობით დედის საშვილოსნოში მყოფი ნაყოფი. ანალოგიური შემთხვევა ამერიკაში წარმატებული შედეგით დას-

<sup>75</sup> Wolf-Nanjoks. Anfang und Ende der Rechtsfähigkeit des Menschen. 1955, S. 239.

<sup>76</sup> Schönig, Roger. Zur Feststellung des Todeszeitpunktes. NJW 1968, S. 189.

რეულა — ექიმებმა მკვლარი დედის სხეულიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ამოიყვანეს ცოცხალი ბავშვი. |

თანამედროვე მედიცინის მიღწევების თანახმად, ადამიანის გარდაცვალება არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი,<sup>77</sup> თუმცა სიკვდილის ბოლო მომენტად მინც ტვინის უჯრედების ფუნქციონირების შეწყვეტას მიიჩნევენ.<sup>78</sup> მაგალითად, საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ცირკულარში, რომელიც ორგანულ ტრანსპლანტაციებს შეეხებოდა, მითითებული იყო, რომ გარდაცვალების მომენტად ჩათვალიათ ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.<sup>79</sup> ტვინის სიკვდილის კრიტერიუმებს შეიცავს ასევე გერმანიის ექიმთა ფედერალური პალატის პუბლიკაცია.<sup>80</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა მხედველობაში მიიღო თანამედროვე მედიცინის დონე სიკვდილის მომენტის დადგენის საკითხში და ნორმატიულად განამტკიცა, რომ „გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა“ (მუხლი მე-11, მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება).

გარდაცვალების მომენტის ზუსტად განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მემკვიდრეობის სამართალში ან ვალდებულების შეწყვეტის საკითხის განხილვისას, არამედ მას არანაკლები ყურადღება ეთმობა ორგანული ტრანსპლანტაციების განხორციელებისას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ სფეროში შეიძინა მან განსაკუთრებული მნიშვნელობა. უფრო ზუსტად, სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შეუძლიათ გარდაცვლილის ახლობლებს სხეულის ნაწილების გასხვისება ან როდისაა სამედიცინო დაწესებულება უფლებამოსილი ტრანსპლანტაციის მიზნით გამოიყენოს გარდაცვლილის სხეულის ნაწილები.

სწორედ ამან განაპირობა სამართლის მეცნიერებაში გარდაცვალების ცნების დიფერენცირების შესახებ შეხედულებების წარმოშობა. ამ აზრის წარმომადგენელთა თანახმად, იმ ფაქტების მიმართ, რომელთათვისაც გარდაცვალების მომენტი გადამწყვეტია (მაგალითად, მემკვიდრეობა), გამოყენებულ უნდა იქნეს სიკვდილის დადგომის მომენტის ცნება, რომელიც შეიძლება გულის გაჩერებას დაუკავშირდეს. ხოლო თუ სიკვდილის ფაქ-

<sup>77</sup> Stritz, Zivilrechtliche Aspekte der Rechtsstellung des Toten unter besonderen Berücksichtigung der Transplantationen. 1971, S. 9.

<sup>78</sup> MünchKomm. §. 1. Rn. 16.

<sup>79</sup> Ferid/Sonnenberger. 1/1. S. 314.

<sup>80</sup> Deutsches Ärzteblatt, 1986, S. 2940.

ტი რაიმე მოქმედების განხორციელების უფლებას იძლევა (მაგალითად, სხეულის ტრანსპლანტაცია), მაშინ უნდა გამოიყენოთ სიკვდილის სხვა ცნება, რომელიც ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას მიიჩნევს სიკვდილის დადგომის მომენტად.<sup>41</sup> ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად იქნა ეს შეხედულება გაკრიტიკებული და უარყოფილი.<sup>42</sup> /

უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს ადამიანის გარდაცვალება, მიუხედავად იმისა, ეს ბუნებრივი სიკვდილით ხდება, კატასტროფით, მკვლელობით თუ სიკვდილით დასჯით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი. გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს თუ არა უფლებაუნარიანობის დასასრულს. როგორც ცნობილია, გარდაცვლილად გამოცხადება ერთ-ერთ იურიდიულ ფიქციას წარმოადგენს. ამ დროს არ არსებობს სიკვდილის დამადასტურებელი ფაქტი, მაგრამ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას კანონი უშვებს სიკვდილის ვარაუდს. ეს საფუძველი ხდება სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობისათვის (მაგალითად, სამკვიდროს გახსნა). ამიტომ ლოგიკურია, რომ ამან გამოიწვიოს უფლებაუნარიანობის შეწყვეტა. თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ კომენტარში სხვა შეხედულებაა გატარებული: მის თანახმად, გარდაცვალებულად გამოცხადება არ იწვევს უფლებაუნარიანობის შეწყვეტას.<sup>43</sup> ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება არ არის მართებული. გარდაცვლილად გამოცხადება სწორედ სიკვდილის ფაქტის ვარაუდს ნიშნავს და იგი ყველა იმ შედეგს იწვევს, რაც გარდაცვალებას მოჰყვება. ბუნებრივია, ასევე უნდა იწვევედეს უფლებაუნარიანობის გაუქმებასაც.

## §7. ქმედუნარიანობა

### I. ცნება

როგორც უკვე აღვნიშნე, უფლებაუნარიანობა აქვს ყველას: ძუძუმწოვარა ბავშვსა და ღრმად მოხუცებულსაც, სულით ავადმყოფს და გონებრივად ჯანსაღ ადამიანსაც. მათ შეიძლება ჰქონდეთ უფლებებიცა და მოვალეობებიც. მაგრამ ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელების უნარი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამიტომ სამოქალაქო სამართალი იძულებუ-

<sup>41</sup> Ermann-Westermann. Handkommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. 8. Auf. 1989. Rn. 5.

<sup>42</sup> MünchKommentar. §.1, Rn.17-18.

<sup>43</sup> Soergel-Fahse. §.1, Rn.12.

ლია უფლებაუნარიანობის გვერდით შეზღოილოს ზასართლებრივად მნიშვნელოვანი მეორე „უნარი“, რომელიც რეალურ ცხოვრებასთან, სინაბღვილესთან უფრო ახლოსაა და კონკრეტული შედეგებიც ექნება. ეს არის ქმედუნარიანობა. ♪

ქმედუნარიანობის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველ ნაწილში: ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე არ იძენს. უფრო ზუსტად კი, კონკრეტული ქვეყნის სამართალი აღჭურავს ამ უნარით იმ პირებს, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს ან აქვთ ნორმალური განსჯის უნარი და შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ მათ მიერ განხორციელებულ მოქმედებებს. ამიტომ ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ქმედუნარიანობა, წარმოადგენს *ასაკი და ჯანმრთელობა*. ♪

თუ უფლებაუნარიანობის ინსტიტუტს ისტორიული წინამორბედი რომის სამართალში არ ჰყავდა, ქმედუნარიანობა სწორედ რომის სამართლიდან მომდინარეობს. რომის სამართალი განასხვავებდა ერთმანეთისაგან ქმედუნარიანობას როგორც ასაკის, ასევე ჯანმრთელობის მიხედვით.

### *ა. ქმედუნარიანობა ასაკის მიხედვით*

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განსაზღვრისას რომის სამართალი ოთხ ასაკობრივ ჯგუფს განასხვავებდა ერთმანეთისაგან: შეიღ წლამდე ბავშვებს ეწოდებოდათ *infantes* და ითვლებოდნენ ქმედუნაროდ.<sup>84</sup> თუმცა მათ საჩუქრის მიღება შეეძლოთ. შემდეგ ჯგუფს შეადგენდნენ შეიღიდან თოთხმეტი წლის ასაკის ბავშვები, რომელთაც ეწოდებოდათ *impuberes*, რაც ნიშნავდა სქესობრივად მოუმწიფებელს.<sup>85</sup> შემდეგ ასაკობრივ ჯგუფს რომის სამართალი სქესობრივ მომწიფებას უკავშირებდა. ასეთად მიიჩნეოდა თოთხმეტიდან ოცდახუთი წლის ასაკამდე პირებს (*minores*). მეორე და მესამე ჯგუფებს განკუთვნილ პირებს ენიშნებოდათ მზრუნველი (*cura-*

<sup>84</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი და სამართლის მეცნიერება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე იყენებდა ტერმინს „არაკმედუნარიანობა“. სამოქალაქო კოდექსზე მუშაობის დროს გადაწყდა, რომ ეს ტერმინი შეცვლილიყო ახლით – „ქმედუნარობით“.

<sup>85</sup> „Латинско-русский словарь. М. 1986. С.383.“

საც). გარიგებების დადების დროს აუცილებელი იყო მზრუნველთა თანხმობა. ინსტიტუციების 1.23-ის მიხედვით, მართალია, ისინი მომწიფებულნი იყვნენ, მაგრამ ისეთ ასაკში იმყოფებოდნენ, რომ თავიანთი საქმეების გადაწყვეტა მართო არ შეეძლოთ. ოცდახუთი წლიდან უკვე იწყებოდა სრული ქმედუნარიანობა.<sup>86</sup>

ასაკობრივი საფეხურების მიხედვით ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის განსაზღვრას თანამედროვეობის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი მიმართავს.

ავსტრიის სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შეიდ წლამდე ასაკის პირებს ეწოდებათ „ბავშვები“ და ისინი სრულიად ქმედუნარონი არიან, ხოლო შეიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის პირები – შეზღუდული ქმედუნარიანი. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §865-ის მიხედვით ისინი უფლებამოსილნი არიან მიიღონ მხოლოდ მათ სასარგებლოდ განხორციელებული შეპირებები. თოთხმეტიდან ცხრამეტი წლის ასაკის პირები ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეთ განეკუთვნებიან, თუმცა მათი უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფის. მათ შეუძლიათ ხელშეკრულებები დადონ მომსახურების სფეროში, მართონ და განკარგონ განსაზღვრული ნივთები და ა.შ. სრული ქმედუნარიანობა ავსტრიული სამართლის მიხედვით დგება ცხრამეტი წლის ასაკიდან.<sup>87</sup>

შვეიცარული სამართლის მიხედვით სრულწლოვანება და, შესაბამისად, სრული ქმედუნარიანობა დგება ოცი წლის ასაკიდან. თუმცა ცივილური კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით სრულწლოვანება შეიძლება თვრამეტი წლის ასაკიდანაც დადგეს. ქმედუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელსაც თავისი ბავშვური ასაკის გამო<sup>88</sup> არ შეუძლია სწორად გაიგოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა.<sup>89</sup>

ფრანგული სამართალიც არ ითვალისწინებს ასაკობრივ ჯგუფებს თვრამეტი წლის ასაკამდე და სჯერდება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ბავშვებს, რომელთაც არა აქვთ განსჯის უნარი, არ შეუძლიათ დადონ გარიგებები. ასაკის მიხედვით სრული ქმედუნარიანობა იწყება თვრამეტი წლის ასაკიდან.<sup>90</sup> ფრანგულის მსგავსად აწესრიგებს ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის საკითხს იტალიური სამართალიც.<sup>91</sup>

<sup>86</sup> Staudinger/Dilcher. 1. Buch. 3. Abschnitt. Rn. 16.

<sup>87</sup> Koziol/Welser. Grundriß des bürgerlichen Rechts. Band 1. S.48-51.

<sup>88</sup> შვეიცარიის ცივილური კოდექსი არ განსაზღვრავს ამ ასაკს.

<sup>89</sup> Tuor/Schnyder. Das schweizerische Zivilgesetzbuch. § 9 II.

<sup>90</sup> Ferid/Sonnenberger. Bd. I. § 15 C II.

<sup>91</sup> Staudinger/Dilcher. 1. Buch. 3. Abschnitt. Rn. 14.

გერმანული სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოკყოფს: შეიდ წლამდე ასაკის პირები ქმედუნარიანი არიან, შეიდიდან თვრამეტ წლამდე – შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონენი, ხოლო თვრამეტი წლიდან სრული ქმედუნარიანები.<sup>52</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე*. სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიიღწია თვრამეტი წლის ასაკს (იმავე მუხლის მე-2 ნაწილი).

შეიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) *ქმედუნარიანობა* (მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი).

შეიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი *შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა* (მე-14 მუხლის პირველი ნაწილი).

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია *ემანსიპაციის ინსტიტუტი*. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს, მართალია, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს. პირველი, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქორწინებს (მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი). სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში დაქორწინება დაიშვება თექვსმეტი წლის ასაკიდან. მაშასადამე, პირი, თუკი იგი იქორწინებს, შეიძლება ქმედუნარიანი გახდეს თექვსმეტი წლის ასაკიდან; ემანსიპაციის მეორე შემთხვევას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მის მიხედვით, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუზღუდავად ქმედუნარიანად, თუკი კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.

### *ბ. ჯანმრთელობა და ქმედუნარიანობა*

კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევითანავე პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე სპეციალური აქტი ამისთვის აუცილებელი არ არის. ამიტომ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია.

<sup>52</sup> Larenz. Allgemeiner Teil. I § 6.

პირის უნარს, საკუთარი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო სამართალი უკავშირებს არა მხოლოდ ასაკს, არამედ ჯანმრთელობას/აღამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდეს მას ნორმალური განსჯის უნარს. ამასთან, სამოქალაქო სამართალი „ჯანმრთელობის“ ცნებაში არ გულისხმობს ფიზიკურ ნაკლს. პირიქით, ფიზიკური ნაკლი არ წარმოადგენს ქმედუწაროდ პირის ცნობის საფუძველს. ასეთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართალი, მიიჩნევს ჭკუასუსტობას ან სულით ავადმყოფობას (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილი).

ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ქმედუწაროდ პირის მიჩნევის ერთ-ერთ საფუძველს, რომის სამართალიც იცნობდა. ინსტიტუციების 3,19,8-ის მიხედვით, სულით ავადმყოფობა ადამიანს სრულიად ქმედუწაროდ აქცევდა.<sup>93</sup>

იმ შემთხვევებში, როცა სულით ავადმყოფობის გამო ხდება პირის მიჩნევა ქმედუწაროდ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი სრულწლოვანია თუ არასრულწლოვანი. ე.ი. ქმედუწაროდ პირის აღიარებას ამ დროს საფუძველად უდევს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუწაროდ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. სხვა არც ერთი სახელმწიფო ორგანო არაა უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუწაროდ. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის მიჩნევისათვის ქმედუწაროდ.

ავადმყოფობის გამო ქმედუწაროდ აღიარებული პირის განკურნების შემთხვევაშიც მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი აღიაროს პირი კვლავ ქმედუწარიანად.

### *გ. ქმედუწარიანობის შეზღუდვა*

სამოქალაქო სამართალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქმედუწარიანობის ან ქმედუწარობის ცნებებით. ეს აიხსნება იმით, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობა იმ პირებსაც

<sup>93</sup> Staudinger/Dilcher. I. Buch. 3. Abschnitt, Rn. 16.



უნდა აქონდეთ. როსტკებიც, ისართალია. ვერ კიდევ არ არიან სრულწლოვანი, მაგრამ მათი გონება და განსჯის უნარი არ გამოირიცხავს სამოქალაქო უფლებების შექმნის შესაძლებლობას. თუ სამოქალაქო სამართალი ამგვარ მონაწილეობას არ დაუშვებდა, მაშინ რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობები კანონგარეშედ აღმოჩნდებოდა, რაც უფლებრივ პარალიზებას გამოიწვევდა. ეს რომ არ მოხდეს, ცივილურ სამართალში არსებობს შეზღუდული ქმედუნარიანობის ინსტიტუტი.

/ ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მე-13 მუხლის პირველი წინადადება). ასეთ შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს: ა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა არასრულწლოვანი შეიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე; ბ. შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს და სასამართლო მას შეუზღუდავს ქმედუნარიანობას. /

არავითარი სხვა საფუძველი ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლინება კერძო სამართლის ფუნდამენტია, არც გარიგებით არ დაიშვება ქმედუნარიანობის შეზღუდვა. ისეთი გარიგება, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იზღუდება ქმედუნარიანობა, ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი 14-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანებს ნაწილობრივ ქმედუნარიანებად მიიჩნევდა. ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტს ახალი სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ამ ინსტიტუტის შინაარსი განსხვავდება შეზღუდული ქმედუნარიანობისაგან და გულისხმობს „ქმედუნარობას საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში“.<sup>94</sup> მართალია, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არასრულწლოვანის ემანსიპაცია საწარმოს საქმიანობის სფეროში ითვალისწინებს სრულ ქმედუნარიანად მიჩნევას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სფეროებში პირი ქმედუნაროა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქმედუნარიანი პირი სამართლებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად მონაწილეობს რაიმე სპეციალური დათქმის გარეშე, ჩვენ სამართლებრივი მნიშვნელობის ორი ინსტიტუტი დაგ-

<sup>94</sup> Larenz, AT, § 6 I. S. 100.

კრჩება განსახილველად. ესაა *ქმედუნარობა* და *შეზღუდული ქმედუნარიანობა*. სამოქალაქო სამართალი მათ უკავშირებს განსაზღვრულ შედეგებს. ამიტომაც არის საყურადღებო მათი სამართლებრივი მნიშვნელობის ცალკე განხილვა.

## II. ქმედუნარობის მნიშვნელობა

ქმედუნარო პირები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ. მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება, ასევე მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილი ნება უცილოდ ბათილია (58-ე მუხლის პირველი ნაწილი).

განსხვავებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებისაგან, რომელთაც უფლება აქვთ წარმომადგენლის თანხმობით დადონ გარიგებები, ქმედუნარო პირები ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. ქმედუნარო პირთათვის სამართლებრივ შედეგებს იწვევს წარმომადგენლის მიერ მათი სახელით დადებული გარიგებები. ამ გარიგებების მეშვეობით ქმედუნარო პირს წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები ისე, რომ იგი თვითონ არ მონაწილეობს ამ ურთიერთობებში.

ქმედუნარო პირის მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ამ გარიგების შედეგად მას უშუალოდ არ წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო სამართალი არ იცავს იმ პირებს, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება ქმედუნარო პირთან. აქედან გამომდინარე, ქმედუნარო პირთან დადებული გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებებს განეკუთვნება და იგი დადების მომენტიდან ბათილია.

მაშასადამე, ქმედუნარო პირთან დადებული გარიგებები სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი განხილული იქნება ბათილი გარიგების სახეების ანალიზისას.

## III. შეზღუდული ქმედუნარიანობის მნიშვნელობა

/ მართალია, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგებების დადებისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (მე-15 მუხლი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემ-

თხვეუბებში იგი უფლებამოსილია დაძოვნილებლადაც დადოს გარიგებები. ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს მას ქმედუნარო პირისაგან. ქვეყნის გამომდინარე, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მონაწილეობისას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში განსაზღვრულ დიფერენციაციას უნდა მიეპართოთ. ერთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს გარიგებები, რომლებიც ნამდვილია, ხოლო მეორე შემთხვევაში გვაქვს გარიგებები, რომლებიც ბათილ გარიგებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ზოგ სახეს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს. [ზოგადი წესის თანახმად, რომელიც განმტკიცებულია მე-15 მუხლში, ამ პირთა მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლის (მზრუნველის) თანხმობა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ასეთი თანხმობის გარეშეც გარიგება ჩაითვლება ნამდვილად, კერძოდ, მე-15 მუხლისა და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მოითხოვს წარმომადგენლის თანხმობას. გარიგებით მიღებული სარგებლის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს.] ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარიგების შეფასების დროს უნდა გადაწყდეს. ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, (როცა გარიგებას დებს არასრულწლოვანი, საკითხი იმის შესახებ ამ გარიგებამ სარგებელი მოუტანა თუ არა მას, უნდა გადაწყვიტოს არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა (მზრუნველმა). შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ ეკონომიური მხარე, არამედ პედაგოგიური ასპექტიც.] ის, რაც ეკონომიური თვალსაზრისით მომგებიანი და, მაშასადამე, სარგებლიანი შეიძლება იყოს, სრულიადაც არ ნიშნავს, აღმზრდელობითი თვალსაზრისით სარგებლიანს.<sup>5</sup> სარგებლის მომტანად არ არის მიჩნეული ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები, ვინაიდან ასეთ ხელშეკრულებებში უფლებებს (უფლებრივ სარგებელს) ყოველთვის უპირისპირდება მოვალეობები.) ამიტომ გარიგებებს, რომლებითაც არასრულწლოვანი სარგებელს იღებს და მზრუნველის თანხმობა არ სჭირდება, მიაკუთვნებენ ჩუქებას, უპატრონო ნივთის მითვისებას. პირიქით, ისეთი ჩუქება, რომლის დროსაც ნაჩუქარი ნივთი სანივთო უფლებებით არის დატვირთული (გირავნობა, იპოთეკა და ა.შ.), არ ჩაითვლება სარგებლის მომტან გარიგებად.<sup>6</sup>

<sup>5</sup> Larenz. AT. § 6 III. S. 107-108.

<sup>6</sup> Larenz. AT. § 6 III. S. 108.

1 'შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული გარიგებების მეორე ჯგუფის ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლების წინასწარი თანხმობა. მაგალითად, თუ სკოლის მოსწავლე ყიდულობს კომპიუტერს, ამ გარიგების დადებისათვის მას სჭირდება მშობლების წინასწარი თანხმობა. )

არასრულწლოვანის მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომელთა დასადავად არასრულწლოვანმა განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან — ამ წარმომადგენლების თანხმობით — მესამე პირებმა (65-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზემოთ ჩამოთვლილი გარიგებების გარდა, ყველა სხვა გარიგება, რომელთაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე, ჩაითვლება ბათილად. თუმცა ეს ბათილობა სწორდება კანონიერი წარმომადგენლის მოწონებით, ე.ი. თუ კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებულ გარიგებას, ეს გარიგება გახდება ნამდვილი. ამიტომ ასეთი გარიგებები განეკუთვნება ან საცილო გარიგებებს ან პერყევად ბათილ გარიგებებს.

#### *IV. დელიქტუნარიანობა*

ქმედუნარიანობა არსებითად ასახავს პირთა მონაწილეობის შესაძლებლობას ნორმალურ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელთა უმეტესობა გარიგების ფორმით არსებობს. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ურთიერთობებს, რომლებიც ზიანის მიყენებიდან წარმოიშობა და ე.წ. ექსცესურ ურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება. ზოგადი ქმედუნარიანობის ინსტიტუტი დელიქტურ სამართალშიც მოქმედებს. თუმცა ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინება ამ სფეროში აუცილებელია. (სწორედ ამას ემსახურება დელიქტუნარიანობის ინსტიტუტი. იგი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პირის უნარი, საკუთარი ნებითა და ქონებით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის.)

'სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მის ნაცვლად მშობლები ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები არიან პასუხისმგებელი ანაზღაურონ ამ პირის მიერ მიყენებული ზიანი. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ

მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის იაკიდან აცილება.)

ათი წლის ასაკს მიღწეული, მაგრამ არასრულწლოვანი პირი, პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. თუ მისი ქონება საკმარისი არ არის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, სუბსიდიური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის კანონიერ წარმომადგენლებსაც (994-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სამოქალაქო კოდექსით ათ წლამდე პირის გამოცხადება დელიქტუენტ-აროდ ეხმინება ძველი ქართული სამართლით გათვალისწინებულ დანაწესს. ვახტანგ VI-ის სამართლის 187-ე მუხლი იუწყება: „ათ წლამდის ყმაწვილის ნაქნარის რასაც ფერის საქმისა, — ავის კაცის ნაქნარს ავს საქმესთან არ ჩაიგდების, — თავის ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, საფათურაკოსავით არის. მისმან მშობელმან, მისის ყმაწვილობისაგან მკედარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა“.<sup>97</sup>

დელიქტუნარიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ასაკით. სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუნაროდ აღიარებულ პირი არც მიყენებული ზიანისათვის აგებს პასუხს. თუმცა მის მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს ამ შემთხვევაშიც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. |

ქმედუნაროდ აღიარებული პირების გარდა, მიყენებული ზიანისათვის პასუხს არ აგებენ ასევე ღროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირები. მაგრამ თუ პირმა ასეთ მდგომარეობაში თავი ჩაიყენა ალკოჰოლური სასმელების ან მსგავსი საშუალებების გამოყენების შედეგად, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ამ სქემატური განხილვიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა დიდ პრაქტიკულ როლს თამაშობს იგი სამოქალაქო სამართალში. ამიტომ მისი შემდგომი კვლევა მეტად აქტუალურია.

<sup>97</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა. გამოკლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. 1981 წ., გვ. 235.

## §8. უგზო-უკელოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

### I. პრეზუმფციის როლი სამოქალაქო სამართალში

პრეზუმფცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდს. სამართალში მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ამგვარი პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაცაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილეები გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული. მაგალითად, (სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. თუ სამოქალაქო სამართალში ჩვენ ასეთი ვარაუდი არ გვექნებოდა, მაშინ ეჭვი უნდა შეგვეტანა ყველა ადამიანის კეთილსინდისიერებაში, რომ ის, რაც მათ აქვთ, მათი არ არის) (მაგალითად, პიჯაკი, პერანგი, ხელჩანთა და ა.შ.). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საპირისპირო ვარაუდი: თითქოს ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არა არის მისი მესაკუთრე. ეს პრინციპი პრაქტიკულად თავდაყირა დააყენებდა რეალურ ცხოვრებას – ყველა გამყიდველი ბაზარში უნდა მოგვენათლა მოპარული ნივთის გამყიდველად, მანქანის ყველა მფლობელი უნდა მიგვეჩნია არაუმესაკუთრედ და ა.შ. ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა სამართალში პრეზუმფციებს და მათ სწორად შერჩევას.

სამართლებრივი პრეზუმფცია შეიძლება იყოს ფორმულირებული *პოზიტიურად* ან *ნეგატიურად*. მაგალითად, 361-ე მუხლის პირველ ნაწილში განმტკიცებული პრეზუმფცია პოზიტიურად არის ფორმულირებული: „ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას“. 1141-ე მუხლში კი პრეზუმფცია ჩამოყალიბებულია უარყოფითი პირობის სახით; თუ შეუღლებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, მართალია, ქორწინება წყდება, მაგრამ შეწყვეტამდე იგი წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება. ამ განსხვავების მიუხედავად, სამართლებრივი შედეგი ყველა შემთხვევაში მსგავსია: სამოქალაქო სამართალი არსებულად მიიჩნევს რალაცას მანამ, სანამ მისი საპირისპირო არ დამტკიცებულა. ასეთი ერთ-ერთი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის პრეზუმფციას წარმოადგენს გარდაცვლილად გამოცხადების ინსტიტუტი.

## II. გარდაცვლილად გამოცხადება

ადამიანის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა შეუძლია ერთადერთ იურიდიულ ფაქტს – გარდაცვალებას. გარდაცვალების დამადასტურებელ საბუთს, როგორც წესი, წარმოადგენს გარდაცვალების მოწმობა და სათანადო ჩანაწერი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში.

გარდაცვალება არა მხოლოდ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს, არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველიცაა, კერძოდ, იხსნება მემკვიდრეობა, ამიტომ ბუნებრივია იმ პირთა დაინტერესება, რომლებიც პოტენციურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ და მათი მემკვიდრეობის სიცოცხლის ან გარდაცვალების შესახებ დიდი ხნის მანძილზე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ, ასეთი შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციას – ვარაუდს, რომ პირი გარდაცვლილია.

სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან, გარდაცვლილად გამოცხადება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ: ა. ამ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ; ბ. იგი უკზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა ანდა გ. სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ.

მამასადამე, კანონი განსაზღვრულ დროს აწესებს, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება მხოლოდ პირის გამოცხადება გარდაცვლილად. ჩვეულებრივ შემთხვევებში ეს არის ხუთი წელი. ევროპის ქვეყნების უმეტესობა ითვალისწინებს ათ წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტში, რომელიც პარლამენტს წარედგინა, ასევე გათვალისწინებული იყო ათი წელი. მაგრამ საპარლამენტო დისკუსიების შედეგად გადაწყდა ეს ვადა ხუთ წლამდე შემცირებულიყო.

გარდაცვლილად გამოცხადების ზოგადი ხუთწლიანი ვადიდან არსებობს გამონაკლისები. ერთია, როცა სავარაუდოა პირის დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო. ასეთი უბედური შემთხვევები შეიძლება იყოს წყალდიდობა, მეწყერი, გემის დაღუპვა, საჰაერო ხომალდის დაღუპვა და ა.შ. ამ დროს სავალდებულო არ არის ხუთწლიანი ვადის გასვლა. კანონი

შესაძლებლად მიიჩნევს პირის გამოცხადებას გარდაცვლილად ექვსი თვის გასვლის შემდეგ ამ შემთხვევის დადგომიდან. მეორე გამოწვევის დაკავშირებულია საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის ან სხვა პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან. ასეთ ვითარებაში დაკარგული პირები შეიძლება გამოცხადდნენ გარდაცვლილად საომარი მოქმედებების დაბრუნებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ. /

| პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი გარდაცვალების დღის დადგენის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. უბედური შემთხვევის ან საომარი მოქმედებების გამო გარდაცვლილად გამოცხადებისას გარდაცვალების დღედ სასამართლომ შეიძლება აღიაროს სავარაუდო დაღუპვის დღე. /

ცხოვრებაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ყველა პროცედურა კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვით ხორციელდება, პირი გამოცხადდება გარდაცვლილად, ნათესავებიც გამოიგლოვებენ „გარდაცვლილს“, მაგრამ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ეს პირი დაბრუნდება ან მისი ადგილსამყოფელი დადგინდება.

როგორც პირის გარდაცვლილად გამოცხადება სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ასევე მნიშვნელოვანია გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების სამართლებრივი შედეგები. ამიტომ ამ საკითხებს კანონი უყურადღებოდ არ ტოვებს, კერძოდ, გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას. „ადგილსამყოფელის აღმოჩენა“ დადასტურებული უნდა იყოს სხვადასხვა მტკიცებულებებით. ხშირია შემთხვევები, როცა „გარდაცვლილად გამოცხადებულები“ სახელს იცვლიან და სხვა სახელით ცხოვრობენ. ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემოწმებისას ეს გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

დაბრუნებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ასევე მემკვიდრეებიც. ქონებაზე გაწეული ხარჯები, გაუმჯობესებები და სხვა ანალოგიური მოქმედებები მან უნდა აანაზღაუროს.)

განსხვავებულია ვითარება, როცა გარდაცვლილად გამოცხადებულ პირის ქონება სასყიდლით შეიძინა მესამე პირმა. ქონების უკან დაბრუნების ვალდებულება მას ეკისრება მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ მან იცო-



და, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

იმ შემთხვევებში, როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება ზაზინას გადაეცა და ამ უკანასკნელმა მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა. |

სამოქალაქო კოდექსი არ შემოიფარგლება გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონებრივი უფლებების დაცვით. საყურადღებოა ის შედეგებიც, რომლებიც პირადი ურთიერთობების სფეროში წარმოიშობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქორწინება. სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის გამოცხადება გარდაცვლილად ქორწინების შეწყვეტის საფუძველია. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შემთხვევაში შესაძლებელია ქორწინების აღდგენა (1135-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინება ყველა შემთხვევაში უნდა აღდგეს. მთავარი აქ მეუღლეთა სურვილია. მაგრამ თუ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება (უკვე დაქორწინებულის სხვა პირზე), მაშინ კანონი კრძალავს ქორწინების აღდგენას. |

### *III. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება*

პირის გამოცხადებას გარდაცვლილად, როგორც წესი, წინ უსწრებს მისი აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. მართალია, კანონი სავალდებულოდ არ მიიჩნევს პირის გამოცხადებას ჯერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ხოლო შემდეგ გარდაცვლილად, მაგრამ პრაქტიკულად ეს ასეც მოხდება, როცა გარდაცვლილად გამოცხადება იმის გამო ხდება, რომ ხუთი წლის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელის შესახებ არავითარი მონაცემები არ არსებობს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება უნდა მოხდეს ორი გარემოების არსებობისას: პირის ადგილსამყოფელი უნდა იყოს უცნობი და ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს იგი თავის საცხოვრებელ ადგილას გამოჩენილი. უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების ეს პირობები კუმულატიურია, ე.ი. აუცილებლად უნდა არსებობდეს ორივე პირობა. არაა საკმარისი მხოლოდ ის, რომ პირი ორი წლის მანძილზე არ გამოჩნდეს თავის საცხოვრებელ ადგილას. თუ ამ გარემოებას მივიჩნევდით საკმარისად, მაშინ ყველა, ვინც ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში

იმყოფება სხვაგან და არ გამოჩნდნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილას, უნდა მიგვეჩნია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. ეს შეუძლებელია. ამიტომაც, კანონი აუცილებლად მიიჩნევს, რომ უცნობი იყოს პირის ადგილსამყოფელიც. ცხადია, დაიბადება კითხვა, თუ ვისთვის უნდა იყოს ეს ადგილსამყოფელი უცნობი? დაინტერესებული პირისათვის, ე.ი. იმისთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პირის არსებობის დადასტურება. თუ ვინ არის ეს დაინტერესებული პირი, კანონი არ აზუსტებს. ამ პირთა წრე შეიძლება ძალიან ფართოც იყოს: მეუღლე, შვილები, კრედიტორები და ა.შ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

განსხვავებულია სამართლებრივი შედეგები გარდაცვლილად გამოცხადებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დროს. თუ გარდაცვლილად გამოცხადების დროს იხსნება მემკვიდრეობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ამ შედეგს არ იწვევს. კანონით მემკვიდრეები მხოლოდ უფლებამოსილებას მოიპოვებენ, რომ მართონ უკვლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით (სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, მათ უფლება აქვთ ეს ქონება გამოიყენონ ჩვეულებრივად, მიიღონ მისგან სარგებელი. კანონი მათ მოვალეობასაც აკისრებს, კერძოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს ქონებიდან უნდა მიეცეთ სარჩო, ასევე უნდა დაიფაროს ვალები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს ჰქონდა.

## §9. პირთა სამოქალაქო სამართლებრივი იდენტიფიკაციის კრიტერიუმები

### *I. სახელი*

#### *ა. სამოქალაქო სახელი*

ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, ყოველთვის კონკრეტულ სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით კი — კონკრეტულ პირთან. ამიტომ სახელი ადამიანთა იდენტიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმია და სამოქალაქო სამართალი მას ცალკე დაცვის ღირსად მიიჩნევს. მართალია, სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი

წინადადების თანახმად, სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის უფლებაა, მაგრამ სამართლისთვის წარმოდგენელია (არა მხოლოდ სამართლისათვის, არამედ რეალური ცხოვრებისათვის) უსახელო ადამიანი. აქედან გამომდინარე, სახელის ტარება იმავდროულად მოვალეობაცაა.

უძველესი ქართული ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე, ქართული სახელი ორწევრიანია და შედგება სახელისა და გვარისაგან. ამით იგი დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთა ტრადიციებსაც შეესაბამება. საინტერესოა ის გარემოება, რომ ფრანგულ სამართალში გვარს ეწოდება *nom patronymique* (ე.ი. მამის გვარი), რადგანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ყოველი ბავშვი იღებს მამის გვარს, უფრო ზუსტად, დედის ქმრის გვარს.<sup>98</sup> საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციას ვერც თანამედროვე სამართალმა აუქცია გვერდი საფრანგეთში.

იმით, რომ სახელი პირთა ინდივიდუალიზების საშუალებაა, მას მნიშვნელოვანი სოციალური წესრიგის ფუნქცია აკისრია. ამიტომ სახელთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია არა მხოლოდ კერძო სამართალში, არამედ საკმაოდ დიდი მოცულობით საჯარო სამართალშიც. ამჯერად მხოლოდ კერძო სამართლებრივ პრობლემებს განვიხილავ.

სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული სახელის უფლებას სამოქალაქო სახელი ეწოდება. ესაა სახელი, რომელსაც ყოველი უფლებაუნარიანი ადამიანი ატარებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი ინდივიდუალობის (იდენტურობის) აღსანიშნავად.<sup>99</sup> იგი განსხვავდება ე.წ. კნინობით-აღერსობითი სახელებისაგან, რომლებიც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც მეტად გავრცელებულია. საქართველოში პოპულარულია ასევე ე.წ. მეორე სახელი, რომელიც ან ნათლობას უკავშირდება (საეკლესიო სახელი) ან სახელის მატარებლის ახლობლები იყენებენ მას. ასეთი, ე.წ. დამატებითი სახელების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო საფრანგეთში. მათ *sumom* ეწოდებოდათ და საზოგადოების წინაშე პიროვნების განსაკუთრებულობის, მისი გამორჩეულობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მათი მნიშვნელობა დიდი იყო პროვინციებსა და განსაკუთრებით დიდ საგვარეულო ტრადიციებში. თანამედროვე საფრანგეთში იგი პრაქტიკულად არავითარ როლს არ თამაშობს.<sup>100</sup>

<sup>98</sup> Hubrecht, Georges E. *Das französische Zivilrecht*, Walter de Gruyter. 1974, S.32.

<sup>99</sup> Staudinger/Weick/Habermann, §.12, Rn.3.

<sup>100</sup> Ferid/Sonnenberger, I/1, S.340.

სამოქალაქო სახელისაგან უნდა განევასხვაოთ იურიდიული პირის სახელი. ამ უკანასკნელს მოქმედი კანონმდებლობა სახელწოდებას (საფირმო სახელწოდებას) უწოდებს და მოწესრიგებულია როგორც სამოქალაქო კოდექსში, ასევე კანონში მეწარმეთა შესახებ. საფირმო სახელწოდება იურიდიული პირების იდენტიფიკაციის, მათი თავისთავადობის დადგენის საშუალებაა<sup>101</sup> და მისი ტარებაც სავალდებულოა — შეუძლებელია არსებობდეს იურიდიული პირი საფირმო სახელწოდების გარეშე.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება ე.წ. სავაჭრო ანუ კომერციული სახელი, რომელსაც მეწარმეები თავიანთი საწარმოს აღსანიშნავად იყენებენ. სამოქალაქო სახელი შეიძლება ემთხვეოდეს სავაჭრო სახელს. მაგალითად, როცა პირი ინდივიდუალურ საწარმოს ატარებს რეგისტრაციის, მეწარმეთა შესახებ კანონის 6.2-ე მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს (მაგალითად, „მიტროფანე ლალიძე“). თუკი ამ ინდივიდუალურ საწარმოს შეიძენს სხვა პირი, მაგალითად, ივანე ღვინაძე, მას მეწარმეთა შესახებ კანონის 8.1-ე მუხლის მიხედვით უფლება აქვს ძველი საფირმო სახელწოდება დატოვოს. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური საწარმოს მფლობელის სამოქალაქო სახელი იქნება ივანე ღვინაძე, ხოლო სავაჭრო ანუ კომერციული სახელი — „მიტროფანე ლალიძე“. იგივე წესი გამოიყენება მაშინაც, როცა კომერციული იურიდიული პირების საფირმო სახელწოდება კონკრეტული ფიზიკური პირის სახელისა და გვარისაგან შედგება.

სამოქალაქო სახელის გარდა, პირის ინდივიდუალიზების მნიშვნელოვანი და მეტად გავრცელებული საშუალებაა ფსევდონიმი. მრავალი ხელოვნის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, პოლიტიკოსის პიროვნება სწორედ ფსევდონიმთანაა დაკავშირებული ისე, რომ უმეტესობამ არც იცის მათი ნამდვილი სამოქალაქო სახელები. ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ლეო ქიაჩელი, მარიამ გარიყული და სხვები — ეს ის სახელებია, რომელთაც ქართველი ერის ცნობიერებაში მყარად გაიდგეს ფესვები ისე, რომ მათი ნამდვილი სამოქალაქო სახელი ბევრს არც ახსოვს და არც აინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები, ფსევდონიმთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში

<sup>101</sup> ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. პირველი გამოცემა. 1996. გვ.62.

1032-ე მუხლს, რომელიც ფსევდონიმით ნაწარმოების გამოქვეყნების საკითხებს არეგულირებს. ამ მხრივ გამონაკლისია იტალიის სამოქალაქო კოდექსი, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, ფსევდონიმი, რომელიც პირის მიერ ისე იხმარება, რომ სახელის მნიშვნელობას იძენს, დაცულია ისევე, როგორც პირის სახელი. ფსევდონიმის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა პირველად სასამართლო პრაქტიკამ აღიარა. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლიდან მხოლოდ 21 წლის შემდეგ გაუთანაბრა სასამართლო პრაქტიკამ ფსევდონიმი სამოქალაქო სახელს და მასზე გაავრცელა სახელის დაცვის ნორმები.<sup>102</sup>

აღიარებული შეხედულების თანახმად, ფსევდონიმიც ისეთივე სამოქალაქო სამართლებრივ დაცვას იმსახურებს, როგორც სამოქალაქო სახელი, თუკი კონკრეტული პიროვნების აღსანიშნავად იგი საზოგადოებაში აღიარებულია.<sup>103</sup>

ფეოდალიზმის და, მასთან ერთად, წოდებრივი განსხვავებების გაუქმების შემდეგ, რაც დასავლეთის კონსტიტუციების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, სამართლებრივი მნიშვნელობა დაკარგეს ამ წოდებრივი კუთვნილების აღმნიშვნელმა ტერმინებმა, მაგალითად, გერმანიაში von, ფრანგულში de და ა.შ. ამიტომ ისინი არც სამოქალაქო სახელის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევიან. სხვა ვითარებაა კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებში. მაგალითად, ინგლისის სამეფო კარზე მეფის ან დედოფლის ტიტული მათი სახელის შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ლონდონის სასამართლომ, რომელმაც 1996 წლის ივლისში პრინც ჩარლზისა და პრინცესა დაიანას განქორწინების საქმე განიხილა, პრინცესა დაიანას აუკრძალა, რომ სახელის ნაწილად ეტარებინა „მისი სადედოფლო აღმატებულება“.<sup>104</sup>

### *ბ. სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება თუ არამატერიალური ქონებრივი უფლება*

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი უფლებაა.<sup>105</sup> ამ თვალსაზრისს ისიც ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები სახე-

<sup>102</sup> RGZ 101, 226, 230.

<sup>103</sup> Staudinger/Weick/Habermann, §. 12, Rn. 22.

<sup>104</sup> Die Welt, 28.08.96; Time, 28.08.96.

<sup>105</sup> Larenz, AT, §. 8 I S. 124; Sagel-Grande NJW 1992, S. 537 usw.

ლის უფლებას პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების ნაწილში აწესრიგებენ.<sup>106</sup>

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისთვის არც სხვა შეხედულებაა უცხო. კერძოდ, ბოლო პერიოდის კვლევებში გაჩნდა აზრი, რომ სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კი კომერციული ურთიერთობების სფეროში.<sup>107</sup>

არსებობს ასევე სახელის უფლების დიფერენცირების მცდელობა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სახელის უფლება არის წმინდა პირადი არაქონებრივი უფლება, ხოლო სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საქმიან (კომერციულ) ურთიერთობებში გამოიყენება, არამატერიალური ქონებრივი უფლება, ე.ი. ხაზს უსვამენ სახელის უფლების შესაძლო ორგვარ ბუნებას.<sup>108</sup>

ისტორიულად სახელის უფლება წარმოიშვა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება. იგი მიზნად ისახავდა პიროვნების იდენტურობის დაცვას. ყოველ სახელს სოციალურად ყოველთვის უკავშირდება დადებითი ან უარყოფითი ასოციაცია. სახელი ყოველთვის დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევს ანდა არავითარ ემოციას არ იწვევს. სახელის დაცვის უმთავრესი დანიშნულება სახელის არასწორი გამოყენებით გამოწვეული ქაოსის თავიდან აცილებაა. ისტორიას მრავლად ახსოვს ცრუმეფეები ან ცრუ საზოგადო მოღვაწეები. უნდა ვივარაუდოთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლით განმტკიცებული უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა. ამას ლოგიკურად ისიც ადასტურებს, რომ სახელის უფლება მე-18 მუხლში სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად არის დაცვის ქვეშ მოქცეული.

სახელის უფლების განხილვამ პირად არაქონებრივ უფლებად არ უნდა შეუშალოს ხელი მის აღიარებას არამატერიალურ ქონებრივ უფლებადაც. განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელი კომერციულ ურთიერთობებში გამოიყენება. თუ საკითხი იურიდიული პირის სახელის დაცვას შეეხება, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლი. მაგრამ რა ვქნათ, როცა ინდივიდუალური მეწარმის სახელი ილახება? მაგალითად, „ლალიძის წყლები“ ყოველთვის დადებით ასოციაციას იწვევს

<sup>106</sup> მაგალითად, შვეიცარიის ცივილური კოდექსის 29-ე მუხლი მოთავსებულია პირადი არაქონებრივი უფლებების თავში; პოლანდიის კოდექსი, მართალია, სახელის უფლებას ცალკე თავად განმტკიცებს, მაგრამ სწორედ პირთა სამართლის ნაწილში - 1:4 - 1:9 და ა.შ.

<sup>107</sup> Baumbach/Hefermehl, §.16, UWG Rn 27. ?

<sup>108</sup> MünchKommmentar - Schwerdtner Rn. 19 f, 74.

თავისი ხარისხის გამო. თუკი ამ სახელწოდებით ბაზარზე გამოტანილი იქნება ფალსიფიცირებული საქონელი, ცხადია, ამით შეიღაცება სახელის უფლებაც, რომელიც ამ შემთხვევაში სამეწარმეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილიცაა. ამიტომ ასეთ შემთხვევებში სახელის უფლება უნდა მივიჩნიოთ არამატერიალურ ქონებრივ უფლებად.

პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ისაა, რომ შეუძლებელია მისი გადაცემა სხვა პირისათვის, ე.ი. იგი განეკუთვნება გადაცემაუნარო უფლებათა კატეგორიას. დაუშვებელია ორ ადამიანს შორის ისეთი შეთანხმება, რომლითაც ერთი კისრულობს ვალდებულებას თავისი სახელი გადასცეს მეორე პირს და ამ უკანასკნელმა ატაროს ეს სახელი და გვარი. ადამიანის სახელი ყოველთვის ინდივიდუალურია და კონკრეტულ პიროვნებას გამოხატავს მაშინაც კი, როცა პირთა სახელები ემთხვევა ერთმანეთს. ცნობილი სცენა კინოფილმიდან „მიმინო“ ორი ზაჩიკიანის მაგალითზე კარგი ნიმუშია იმისა, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს სახელთა აღრევამ. ასეთ შემთხვევებში სახელის უფლება უეჭველად პირადი არაქონებრივი უფლებაა.

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემაუნარიანია, ე.ი. იგი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ამის შესაძლებლობას მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება იგი განვიხილოთ როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება.

მაშასადამე, სამოქალაქო სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომლის გასხვისება და სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია, ზოლო სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემა სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია.

მართალია, სახელის, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, მესამე პირებზე გადაცემის შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანი შეზღუდვებია გასათვალისწინებელი, რომლებიც დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ იქნა შემუშავებული და ცხოვრებაში დამკვიდრებული.

მარტოოდენ სახელის გადაცემა მესამე პირებზე დაუშვებლად არის მიჩნეული მაშინაც კი, როცა ეს სავაჭრო, კომერციული, საფირმო სახელია. ერთი პატარა მაგალითის მოხმობაც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ასეთი აკრძალვა სწორია. მაგალითად, ლალიძის წყლების

საწარმომ გაყიდა თავისი სახელწოდება „ლალიძის წყლები“ და მიჰყიდა მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას. ამის შედეგად „ლალიძის წყლების“ სახელწოდებით გამოდის მინერალური წყალი, რომელსაც არავითარი საერთო ლალიძის წყლებთან არა აქვს. ამ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ განავითარა წესი, რომლის თანახმად, „სახელის უფლება და სახელის მსგავსი უფლებები არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს სხვა პირებს სანივთო სამართლებრივი შედეგებით. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა სახელი საფირმო სახელწოდების ნაწილია ან საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება“.<sup>109</sup> საფირმო სახელწოდება შეიძლება მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად გასხვისდეს. რომლის სახელწოდების აღმნიშვნელიც ის არის. ცალკე სახელის გასხვისება დაუშვებელია. ამ დროს სახელი საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება და არა ფიზიკური პირის, რომლის სახელსაც იგი იმავდროულად წარმოადგენს. სახელის ამგვარი გადაცემით სახელის მატარებელი ფიზიკური პირი არ კარგავს ამ სამოქალაქო სახელზე უფლებას. სწორედ ამას ნიშნავს, რომ სახელის გასხვისებას არა აქვს სანივთო სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, თუ მიტროფანე ლალიძე ყიდის თავის ინდივიდუალურ საწარმოს „მიტროფანე ლალიძე“ საფირმო სახელთან ერთად, ეს არ ნიშნავს, რომ მან თავისი სახელიც უნდა შეიცვალოს, ე.ი. ამ გასხვისებას სანივთო სამართლებრივი შედეგები არა აქვს – საკუთრებას არ კარგავს გამსხვისებელი და აბსოლუტური გაგებით არ გადადის იგი შემძენზე.

სულ სხვანაირადაა საქმე, როცა იყიდება საწარმო საფირმო სახელწოდებასთან ერთად და ეს სახელწოდება არ არის ფიზიკური პირის სახელი. ასეთ გასხვისებას, ცხადია, ექნება სანივთო სამართლებრივი შედეგები – საწარმოს ძველ მფლობელს არ შეუძლია ამ სახელის გამოყენება, თუკი, რა თქმა უნდა, მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

მემკვიდრეობით სახელის გადასვლის საკითხიც იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, სახელის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა თუ არამატერიალური ქონებრივი უფლება. როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, სახელი არ გადადის მემკვიდრეობით, ხოლო როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება – კი. ამ უკანასკნელის მაგალითია მეწარმეთა შესახებ კანონის 8.1-ე მუხლი, რომლის თანახმად ინდივიდუალური საწარმო შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეებზე ძველი სახელწოდებით სამემკვიდრეო ურთიერთობების აღმნიშვნელი დამატებების დართვით ან უამისოდ.

<sup>109</sup> BGHZ 32, 103.



სახელის, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლების მაგალითია, როდესაც შპს-ის ერთ-ერთი პარტნიორი თავის სახელს აძლევს საწარმოს საფირმო სახელწოდებად. თუ სახელის მიმნიჭებელი პარტნიორი საზოგადოებიდან გავა, საზოგადოება მაინც ინარჩუნებს მის სახელს, თუ, რა თქმა უნდა, მხარეები სხვა რამეზე არ იყვნენ შეთანხმებული.

მიუხედავად იმისა, რომ სახელის უფლება უმეტეს შემთხვევებში პირადი არაქონებრივი უფლებაა, მისი ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა შეიძლება ქონებრივი ხასიათის იყოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“.

### *გ. სახელის შეძენის საფუძვლები*

სახელის შეძენის საფუძვლებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს. მათ განეკუთვნება: დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა ნებაყოფლობით.

სახელის შეძენის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს დაბადება. როგორც წესი, ბავშვის სახელს მშობლები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ (სამოქალაქო კოდექსის 1194-ე მუხლი). შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით (1195-ე მუხლი).

სახელის შეძენის მეორე მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს დაქორწინება. დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი თავიანთ საერთო გვარად, ანდა თითოეულმა დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი ანდა თავისი გვარი შეუერთოს მეუღლის გვარს (1154-ე მუხლის პირველი წინადადება). დაქორწინების შედეგად შეძენილი გვარი არ უქმდება მეუღლეთა განქორწინებით.

სახელის ნებაყოფლობითი შეცვლა სახელის შეძენის ერთ-ერთი საფუძველია. სახელის შეცვლას შეიძლება მარავალი გარემოება განაპირობებდეს: გვარის არაკეთილხმოვანება, ეროვნების შეცვლა და სხვა. სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ „დადგენილ წესზე“ მითითებით, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სახელის შეცვლის საკითხები (მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი).

## II. საცხოვრებელი ადგილი

### ა. ცნება და დახასიათება

საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი კრიტერიუმია სამოქალაქო სამართალში. ბოლო ხანს იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს საერთაშორისო კერძო სამართალშიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია შეესაბამება ამ ინსტიტუტის განვითარების თანამედროვე დონეს სამოქალაქო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში. ქართული კანონი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს ადგილს, „რომელსაც იგი (ე.ი. ფიზიკური პირი) ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს“ (მე-20 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

„ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ცნება მრავალ საერთაშორისო კონვენციასა თუ შეთანხმებაში გამოიყენება. განსაკუთრებით საერთაშორისო კერძო სამართალში პოვა მან დიდი გავრცელება. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემთხვევით არ განამტკიცებს „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ინსტიტუტს.

საერთაშორისო კერძო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, „ჩვეულებრივ საცხოვრებლად“ გაიგება პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელი. ამ პოზიციას იზიარებს საერთაშორისო საპროცესო სამართალიც.<sup>110</sup> ამასთან, გარემოებებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ პირი მოცემულ ადგილას დროებით არ იმყოფება. გარდა ამისა, ერთ ადგილზე ექვსთვიანი ყოფნის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ეს არის პირის „ჩვეულებრივი საცხოვრებელი“. ექვსთვიანი ვადა საერთაშორისო კერძო სამართალში მიიჩნევა იმის მიმნიშნებელ ფაქტორად, რომ დაფუძნებულია ჩვეულებრივი საცხოვრებელი.<sup>111</sup>

„ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის ფაქტობრივ ყოფნას მოცემულ ადგილზე. ამიტომაც უწოდებენ მას „ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს“<sup>112</sup> მაშინ, როცა „საცხოვრებელ ადგილად“ მიჩნევისათვის მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი. მას თან უნდა ახლდეს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ

<sup>110</sup> Kegel, Gerhardt, Internationales Privatrecht, 6. Aufl. §. 13 III, 3a.

<sup>111</sup> Staudinger/Habermann/Weick, Vorbem. zu §§ 7-11, Rn. 3.

<sup>112</sup> Kegel, Internationales Privatrecht, §. 13, III, 3a.

ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. სწორედ ამ ნებას გამოხატავს მე-20 მუხლის პირველ წინადადებაში განმტკიცებული დებულება ჩვეულებრივ საცხოვრებლად „არჩევის“ შესახებ, ე.ი. არა მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა, არამედ მისი არჩევა საცხოვრებელ ადგილად, გადამწყვეტია მე-20 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობების წარმოშობისთვის.

ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე ავტომატურად რომ წარმოშობდეს საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ყოველი პატიმრის ან ავაღმყოფის საცხოვრებელ ადგილად უნდა მიგვეჩნია ციხე ან საავადმყოფო, თუკი ისინი იქ ექვს თვეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებიან.

მაშასადამე, *საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განვმარტოთ როგორც ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს.*

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს, ე.ი. ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) ცნებას.

შესაძლებელია, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ემთხვეოდეს ერთმანეთს. ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკური პირი ერთდროულად ინდივიდუალური მეწარმეცაა და თავისი ინდივიდუალური საწარმოს იურიდიულ მისამართად საცხოვრებელ ადგილს იყენებს.

საცხოვრებელი ადგილის ცნება შეიძლება განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელ დარგთან გვაქვს საქმე. უფრო ზუსტად, მე-20 მუხლით განმტკიცებული საცხოვრებელი ადგილი გამოიყენება მთლიანად კერძო სამართლისთვის მაშინ, როცა საჯარო სამართალი შეიძლება საცხოვრებელი ადგილის სულ სხვაგვარ დეფინიციას იძლეოდეს (მაგალითად, საპოლიციო, საგადასახადო სამართალი და ა.შ.).

საცხოვრებელი ადგილის ცნება მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონეა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი ტრადიციების შესაბამისად სხვადასხვა სამართლის სისტემები სხვადასხვა ცნებებს იყენებენ და არცთუ იშვიათად განსხვავებული შინაარსით.

ა. საერთო სამართლის ქვეყნები, რომელსაც განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ინგლისი და აშშ, იყენებენ ცნებებს domicile და residence. პირველის ცნებაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ domicile of origin და domicile of choice.

domicile of origin აქვს რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს იქ, სადაც მისი დაბადების მომენტში მამამისს აქვს domicile. ეს წესი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაკრიტიკებულ იქნა: ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პირობებში იგი უპირატესობას ანიჭებს მამას და მეუღლეების ცალ-ცალკე ცხოვრებისას პასუხს არ იძლევა კითხვაზე, თუ სადა აქვს ბავშვს დომისაილი.<sup>113</sup> ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტია დედის დომისაილი. თუ მამას (ან შესაბამისად დედა) ახალ საცხოვრებელ ადგილს აფუძნებენ, მაშინ ბავშვი ავტომატურად იღებს ამ ახალ საცხოვრებელ ადგილს კანონისმიერ დომისაილად (domicile by operation of law). შვილი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც ინარჩუნებს მშობლების საცხოვრებელ ადგილს domicile of origin-ის სახით, ვიდრე იგი თვითონ არ დააფუძნებს საკუთარ domicile of choice.

განსაზღვრული ასაკის მიღწევიდან (მაგალითად, ინგლისში ესაა 19 წელი) გონივრულად ნორმალურ ადამიანს შეუძლია მშობლებისაგან დამოუკიდებლად დააფუძნოს თავის domicile of choice. არავის არ შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს რამდენიმე დომისაილი ისევე, როგორც არ შეიძლება იყოს ადამიანი დომისაილის გარეშე. საეჭვოობისას ადამიანის დომისაილად ითვლება მშობლების საცხოვრებელი ადგილი — domicile of origin. ცხადია, რომ ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის პრინციპი ეწინააღმდეგება ქართული სამართლით განმტკიცებულ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესაძლებლობის აღიარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისისა და აშშ-ის სამართალი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას მსგავსი ცნებებით მუშაობენ, ცალკეულ საკითხებში მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება, განსაკუთრებით ეს ეხება domicile of choice-ს.

ინგლისის სასამართლო პრაქტიკა domicile of choice-ს უყენებს შედარებით მაღალ მოთხოვნებს. მისი არსებობისათვის აუცილებელია residence (ე.ი. როგორც ქვეყნის მაცხოვრებლის ფიზიკური ყოფნა — მყარი ადგილსამყოფელი) და განზრახვა ამ ტერიტორიაზე ხანგრძლივად ან განუსაზღვრელად დარჩენისა.<sup>114</sup> სასამართლოები მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ residence-ს არსებობის დამამტკიცებელ საბუთებსაც. თუ პირი უარს აცხადებს domicile of choice-ზე და არ აფუძნებს ახალს, მაშინ ავტომა-

<sup>113</sup> Restatement 2d Conflict of Laws §. 22.

<sup>114</sup> Law Commission No 168, The Law of Domicile (London 1987) p. 5.

ტურად აღორძინდება მშობლების საცხოვრებელი ადგილი – domicile of origin. საბოლოო ჯამში, ინგლისური სამართალი, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს domicile of origin.

აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაც ანალოგიურ მოთხოვნებს უყენებს domicile of choice-ს – residence და intention to make the place his/her home.<sup>115</sup> თუმცა ამ უკანასკნელს, ე.ი. განზრახვას და მის მტკიცებულებებს ამერიკის სასამართლოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ინგლისური სასამართლოები. განსხვავებით ინგლისისაგან, domicile of choice-ზე უარის თქმა ავტომატურად არ წარმოშობს domicile of origin, ე.ი. მშობლების საცხოვრებელ ადგილს. მაშასადამე, ამერიკის სამართლის საცხოვრებელი ადგილის ინსტიტუტი უფრო ახლოს დგას ქართულ სამართალთან, ვიდრე ინგლისურთან, საიდანაც ის თავდაპირველად წარმოიშვა.

რეფორმის მიზნით ინგლისისა და შოტლანდიის კომისიებმა წამოაყენეს წინადადებები, რომლებმაც უნდა გააადვილონ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მაგრამ ჯერჯერობით ამას შედეგი არ მოჰყოლია.<sup>116</sup>

Residence-ს ცნება ინგლისურ-ამერიკულ სამართალში ნათლად არ არის განსაზღვრული და მისი მნიშვნელობა ხშირად განსხვავებულად გაიგება. უფრო მეტად მასში იგულისხმება მყარი ადგილსამყოფელი, ე.ი. ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე, განზრახვა საცხოვრებელი ადგილის არჩევისა ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. იგი უფრო საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ შესახებ უახლოვდება.

ინგლისური სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს რეზიდენციის ორ სახეს: ordinary residence და habitual residence.<sup>117</sup> პირველში იგულისხმება პირის ფიზიკური ყოფნა განსაზღვრული დროის მანძილზე, რომლის დროსაც ყოფნის დროებითი შეწყვეტა მხედველობაში არ მიიღება. მეორე განსაზღვრება როგორც რეგულარული ფიზიკური ყოფნა, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს.

ბ. ინგლისურ-ამერიკული ცნებების მსგავს ცნებებს იყენებს ფრანგული სამართალიც, ოღონდ მათი შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო სამართლის ანალოგიური ცნებების შინაარსისაგან. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის დომი-

<sup>115</sup> Restatement 2d Conflict of Laws §§.15, 16, 18.

<sup>116</sup> Law Commission No 168, Scot Law Commission No 107, The Law of Domicile. London, 1987.

<sup>117</sup> Cheshire/North. Private International Law. 12th ed London. 1992. pp 168ss.

ცილი არის მისი მთავარი ადგილსამყოფელი (principal établissement), რომელშიც იგულისხმება პირის ფაქტობრივი ყოფნის ადგილი. რაც შეეხება მის განზრახვას, იგი მოწესრიგებულ უნდა იქნეს 103-ე მუხლით, რომლის თანახმად, „საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხორციელდება სხვა ადგილზე ნამდვილი ცხოვრების ფაქტით, რომელიც დაკავშირებულია განზრახვასთან, რომ იგი გახდეს მთავარი ადგილსამყოფელი“.

ფრანგული სამართალი აზუსტებს, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული განზრახვა გარეგნულად გამოიხატოს: „ამ განზრახვის მტკიცებულება გამომდინარეობს განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა გაკეთდეს როგორც იმ უწყების მიმართ, სადაც პირს საცხოვრებელი ჰქონდა, ასევე იმ ადგილობრივი უწყების მიმართ, სადაც ის ახალ საცხოვრებელ ადგილს აფუძნებს“.<sup>118</sup>

აღრე მოქმედი წესის თანახმად, ცოლის საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა ქმრის საცხოვრებელი ადგილი. ეს წესი უკვე გაუქმებულია. ფრანგული სამართლის მიხედვით ყოველ პირს აქვს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილი – domicile. საეჭვოობისას დომიცილად ითვლება ის საცხოვრებელი ადგილი, რომელიც მან დაბადებით შეიძინა – domicile d'origine. არავის არა აქვს უფლება ჰქონდეს რამდენიმე დომიცილი, თუმცა ე.წ. სპეციალური დომიცილების უფლებას ფრანგული სამართალი ითვალისწინებს – კომერციული დომიცილი და ა.შ.

დომიცილისაგან განსხვავდება პირის ფაქტობრივი სამყოფელის აღმნიშვნელი ცნებები résidence და habitation. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ბინა ან სახლი, სადაც ის პერიოდულად ცხოვრობს. ეს იქნება მისი რეზიდენცია, მაგრამ არა დომიცილი. ეს განსხვავება იმდენად პირობითი და სადავოა, რომ მას პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

### **ბ. საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა**

საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კერძო სამართლისთვის. საჯარო სამართალში მასზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული, მაგალითად, საარჩევნო უფლება ან სასამართლო ქვემდებარეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში და ა.შ. მართალია, ამ დროს საცხოვრებელი ადგილის სამოქალაქო სამართლებრივი ცნება დიდ

<sup>118</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლი.

როლს თამაშობს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საჯარო სამართლის ამა თუ იმ დარგში საცხოვრებელი ადგილის სპეციფიკური ცნების არსებობას.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განამტკიცებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს. ეს სრულიად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას და, შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევას.

როდის და როგორ წარმოიშობა საცხოვრებელი ადგილი? რა კავშირშია იგი საპოლიციო ჩაწერასთან? რა არის აუცილებელი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებისთვის? ამ კითხვებზე პასუხს სამოქალაქო კოდექსი დეტალურად არ იძლევა. ამიტომ ვფიქრობ ამ პრობლემებთან დაკავშირებით შედარებითი სამართლებრივი ანალიზი უაღრესად სასარგებლო და საინტერესოა.

ა. გერმანული სამართლის მიხედვით, საცხოვრებელი ადგილის ასარჩევად აუცილებელია პირის ნება მოცემულ ადგილზე მუდმივად ცხოვრებისა და ამ ადგილზე ფაქტობრივად ცხოვრება. მხოლოდ მუდმივად ცხოვრების ნების გამოხატვა არ არის საკმარისი. „სავალდებულოა, რომ საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების ნება ფაქტობრივად ყოფნაში გამოიხატოს“ – ასე აღნიშნა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში.<sup>119</sup> თავის მხრივ, მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი, თუკი მას თან არ ახლავს მუდმივად აქ ყოფნის ნება.<sup>120</sup>

გერმანული სამართლის თანახმად საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, მისი არჩევა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგების მსგავს მოქმედებას. ამიტომ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმები გარიგებათა შესახებ.<sup>121</sup> ანალოგიური დასკვნა გამოიტანა ფედერალურმა სასამართლომ ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაშიც,<sup>122</sup> ე.ი. ნების გამოხატვის ნაწილში ის ემსგავსება გარიგებას. მაგალითად, თუ საცხოვრებელი ადგილის არჩევის ნების გამოხატვა გაკეთებულია იძულებით, მაშინ ასეთი ნების გამოხატვა ბათილი იქნება,<sup>123</sup> თუმცა საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება მთლიანობაში არ წარმოადგენს გარიგებას.

<sup>119</sup> BGHZ 7, 104, 109.

<sup>120</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn. 3.

<sup>121</sup> Flume, Werner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd.II, §.9, 2a.; Larenz AT, §.7 II.

<sup>122</sup> BGHZ 7, 104, 109.

<sup>123</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn 4.

„მოცემულ ადგილას დაფუძნება“ ქართულ ენაშიც ნიშნავს განზრახვას ცხოვრების ძირითად ადგილსამყოფელად არჩეულ იქნეს ესა თუ ის ადგილი. სწორედ ამ დაფუძნებაზე უნდა იყოს ნება მიმართული და ფაქტობრივად განხორციელებულიც. შეიძლება პირს ჰქონდეს სურვილი მუდმივ საცხოვრებლად აირჩიოს ესა თუ ის ქალაქი, მაგრამ თუ მას რეალური შესაძლებლობა იქ ცხოვრებისა არა აქვს, ეს სურვილი თავისთავად არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს.

„მუდმივ საცხოვრებლად ამა თუ იმ ადგილის არჩევა“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ერთ ადგილზე მიჯაჭვას. პირს შეუძლია პროფესიული თუ სხვაგვარი საქმიანობის შესასრულებლად განსაზღვრული დროის მანძილზე სხვა ადგილას იცხოვროს. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს პროფესიული საქმიანობის ადგილსამყოფელი, მაგრამ არა საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებლის არსებობა მოცემულ ადგილზე გულისხმობს პირის შესაძლებლობას ჰქონდეს ამა თუ იმ ადგილზე ბინა ან სახლი, ე.ი. ადგილი, სადაც მას შეეძლება ცხოვრება. ასეთ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ეს სახლი მისი საკუთრებაა, თუ ქირითა აქვს იგი აღებული.<sup>124</sup>

განსხვავებით ინგლისურ-ამერიკული სამართლისაგან, გერმანული სამართალი ითვალისწინებს შესაძლებლობებს, რომ პირს არ ჰქონდეს საერთოდ საცხოვრებელი ადგილი, რასაც გამორიცხავს საერთო სამართალი. აქედან გამომდინარე, გერმანულ სამართალში არ მოითხოვება საცხოვრებელი ადგილის არსებობის დამამტკიცებელი საბუთის წარდგენა,<sup>125</sup> როგორც ეს ფრანგულ ან ინგლისურ სამართალშია.

მეტად ორიგინალურია გერმანული სამართლის მიხედვით „საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების“ კავშირი საპოლიციო აღრიცხვასთან, კერძოდ, „საცხოვრებლის მიხედვით პოლიციაში აღრიცხვა საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებისთვის არც სავალდებულოა და არც საკმარისი“.<sup>126</sup> პოლიციაში აღრიცხვით ან აღრიცხვიდან მოხსნით არ წარმოიშობა არც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების, არც მისი გაუქმების ვარაუდი, არამედ მხოლოდ ერთი მინიშნება საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების სურვილის სასარგებლოდ.<sup>127</sup>

მაშასადამე, გერმანული სამართლის მიხედვით, „საცხოვრებელი ადგი-

<sup>124</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn.8.

<sup>125</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn. 15.

<sup>126</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn. 15.

<sup>127</sup> Ennecerus-Nipperdey, §.96 II 1 a B; BGH NJW RR 1990, 506.



ლი“ წარმოადგენს მეტად სპეციფიკურ, თავისუფალი საზოგადოებისთვის სრულიად დამახასიათებელ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და მის რეალიზაციას.

ბ. იტალიის სამოქალაქო სამართლის თანახმად, საცხოვრებელი ადგილი (*domicilio*) არის ადგილი, რომელზეც პირს აქვს თავისი საქმიანობისა და ინტერესების უმთავრესი ნაწილი,<sup>128</sup> ე.ი. ადგილი, რომელსაც ადამიანი მუდამ უბრუნდება.<sup>129</sup>

ზოგი სახის საქმიანობისთვის იტალიის სამართალი ითვალისწინებს ე.წ. სპეციალური საცხოვრებელი ადგილის ცნებას, მაგალითად, საპროცესო სამართალში – *domicilio speciale*.<sup>130</sup>

მოცემულ ადგილზე ფაქტობრივი ყოფნის გარდა (საქმიანობა და ინტერესები), საცხოვრებელი ადგილის დასაფუძნებლად იტალიის სასამართლოები ითხოვენ ასევე პირის ნებას, რომ მას სურს ამ ადგილას ქონდეს საცხოვრებელი.<sup>131</sup> 1942 წელს იტალიის სამოქალაქო კოდექსზე მუშაობისას წარმოიშვა აზრი, რომ გაეუქმებინათ განსხვავება „საცხოვრებელი ადგილისა“ და „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ცნებებს შორის. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღინიშნა, მაშინ, ეს გამოიწვევდა ყველა იმ ინსტიტუტის რეფორმას, რომლებიც დაკავშირებული იყო „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ცნებასთან. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ დაეტოვებინათ ისე, როგორც იყო.<sup>132</sup>

გ. კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, შვეიცარიის სამართალიც განასხვავებს ერთმანეთისაგან კერძო სამართლებრივ და საჯარო სამართლებრივ საცხოვრებელ ადგილს,<sup>133</sup> ადგილსამყოფელსა (*residence*) და საცხოვრებელ ადგილს (*domicile*). ადგილსამყოფლად მიიჩნევა ადგილი, სადაც პირი მოცემულ მომენტში იმყოფება, დროებით თუ ხანგრძლივად.

ადგილსამყოფელი გარდაიქმნება საცხოვრებელ ადგილად, თუკი მოცემულ ადგილას მყოფ პირსა და ამ ადგილს შორის წარმოიშობა უფრო მყარი და მჭიდრო კავშირი. ეს კავშირი ემყარება ამ ადგილზე ხანგრძლი-

<sup>128</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 43 II მუხლი.

<sup>129</sup> Kindler, Peter, Einführung in das italienische Recht. 1993, Rn 21.

<sup>130</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 47-ე, 141-ე მუხლები.

<sup>131</sup> Cass., 21 marzo 1968, n. 884, Foro it. 1968, I, 2861. ეუთოთბ Kindler-ის მიხედვით.

<sup>132</sup> Kindler, Peter, Einführung in das italienische Recht. 1993, Rn 22.

<sup>133</sup> Tuor/Schnyder/Schmid. Das schweizerische Zivilgesetzbuch. 11. Aufl. 1995. S.83.

ვად დარჩენის განზრახვას.<sup>134</sup> სასამართლო პრაქტიკამ და სამართლის მეცნიერებამ ეს „განზრახვა“ შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს: მოცემულ ადგილზე ფაქტობრივი ყოფნის ხანგრძლივობა არ არის გადაწყვეტი; საკმარისია შესაბამისი განზრახვა, შესაძლოა, რომ ყოფნა სხვადასხვა მიზნით (კომერციული, სამხედრო სამსახური) ხანგრძლივად იყოს შეწყვეტილი.<sup>135</sup>

როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების ეს განზრახვა გარეგნულად რაიმე სპეციალურად დადგენილი ფორმით (მაგალითად, განცხადებით, როგორც ეს ფრანგულ სამართალშია) არ კეთდება. თავისთავად განცხადება საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესახებ არაფერს არ ნიშნავს. განზრახვა გამოიხატება იმაში, რომ პირმა თავისი ცხოვრებისეული ურთიერთობების ძირითად ადგილად სწორედ მოცემული ადგილი აირჩია, რაც გარემოებიდან გამომდინარე თვალშისაცემია და გარეგნულად ადვილად შესამჩნევი.<sup>136</sup>

როგორ შეიძლება გარეგნულად გამოიხატებოდეს საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების განზრახვა შეეცარული სამართლის მიხედვით? ასეთ გარეგნულ მინიშნებებად ითვლება: ცხოვრების ნებართვის მიღება, გადასახადების გადახდა, არჩევნებში მონაწილეობა და ა.შ.<sup>137</sup> ცალ-ცალკე აღებული ეს ნიშნები თავისთავად არ აფუძნებენ საცხოვრებელ ადგილს.

დ. როგორც უკვე აღვნიშნე, ფრანგული სამართალიც ორი ძირითადი ცნებით მუშაობს – დომიცილი და რეზიდენცია. დომიცილის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსში (104-ე 111-ე მუხლები). რაც შეეხება რეზიდენციას, მისი ლეგალური დეფინიცია ფრანგულ კანონმდებლობაში არ არის, მაგრამ გაბატონებული შეხედულების თანახმად, იგი უფრო ფაქტობრივ საცხოვრებელს ნიშნავს. სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული დომიცილი არც ფრანგულ სამართალშია ადმინისტრაციული და საგადასახადო სამართლით განმტკიცებული დომიცილის იდენტური. ამ უკანასკნელში უფრო რეზიდენციას გულისხმობენ.<sup>138</sup>

საცხოვრებელი ადგილის არჩევისას ფრანგულ სამართალშიც გადაწყვეტ როლს პირის განზრახვა, მისი ნება ასრულებს: სურს თუ არა მას მოცემულ ადგილზე საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება. მაგრამ სხვა

<sup>134</sup> შეეცარის ცივილური კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი აბზაცი.

<sup>135</sup> Tuor/Schnyder/Schmid. Das schweizerische Zivilgesetzbuch. S.84

<sup>136</sup> Tuor/Schnyder/Schmid. Das schweizerische Zivilgesetzbuch. S.84

<sup>137</sup> Tuor/Schnyder/Schmid. Das schweizerische Zivilgesetzbuch. S.85.

<sup>138</sup> Ferid/Sonnenberger, I/I, S.332.

ქვეყნებისაგან განსხვავებით, ფრანგული სამართალი ამ ნების გამოხატვის გარეგნულ ფორმასაც აქცევს ყურადღებას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, პირი განცხადებას საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების შესახებ აკეთებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებულ მმართველობის ორგანოში.

საცხოვრებელი ადგილის შესახებ თანამედროვე სამართლის მოკლე მიმოხილვა საკმარისია იმისთვის, რომ ჩამოვყალიბოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი წინადადების გაგების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მოსაზრებები:

საცხოვრებელი ადგილის არჩევა დამოკიდებულია პირის ნებაზე და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე. სრულწლოვანი პირებისათვის იძულებითი წესით საცხოვრებელი ადგილის არჩევას ქართული სამართალი არ იცნობს.

პირის ნება დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა, ეს სადგომი მისი საკუთრებაა თუ ქირით აქვს აღებული.

საპოლიციო რეგისტრაცია თუ აღრიცხვა პირის საცხოვრებელ ადგილს არ წარმოშობს და არც აუქმებს. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება არსებობდეს რეგისტრაციის გარეშეც. და პირიქით, რეგისტრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის არსებობას. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 27 ივნისს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი რეგოლუციური მნიშვნელობის კანონია მთელ პოსტსაბჭოთა სიერცემში: მან გააუქმა საპოლიციო ჩაწერის ის სისტემა, რომელიც საბჭოთა წყობილებიდან მემკვიდრეობით ბოლო დრომდე არსებობდა. კანონი სრულიად იზიარებს სამოქალაქო კოდექსის კონცეფციას რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მე-3 მუხლი).<sup>139</sup>

საცხოვრებელი ადგილის ცნება არ არის საჯარო სამართალში გამოყენებული საცხოვრებელი ადგილის ცნების იდენტური. მაგალითად, საარჩევნო კანონში განმტკიცებული საცხოვრებელი ადგილის ცნება მოიცავს

<sup>139</sup> მართალია, კანონის პრაქტიკული დანერგვა მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს წაწვედა ჩაწერის დასავსებული სისტემის წარმომადგენელთა მხრიდან, მაგრამ ეს პირველი სიძნელეები უკვე აღძვრულია.

საერთო საცხოვრებელში მყოფი სტუდენტის უფლებასაც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. სწავლა ან სხვაგვარი დროებითი ყოფნა მოცემულ ადგილზე არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს.<sup>140</sup>

ისევე როგორც ადმინისტრაციული აქტით არ შეიძლება საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, არც მისი გაუქმება შეიძლება ამავე აქტით. ამას პირდაპირ განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი.

### გ. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი

„პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ეს უაღრესად პროგრესული და მნიშვნელოვანი ნორმა ბევრი ქვეყნის სამოქალაქო სამართლისთვის უცნობია. მათ შორის, ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც კლასიკური სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საზოგადოებათა ქვეყნებს განეკუთვნებიან. მაგალითად, ფრანგული სამართლის მიხედვით, დაიშვება მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილი: ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებამ ყოველთვის უნდა გამოიწვიოს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმება.<sup>141</sup> თუ პირს რამდენიმე ადგილას აქვს საცხოვრებელი, მაშინ ფაქტობრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე და პირის განზრახვის გათვალისწინებითაც სასამართლო წყვეტს, თუ რომელი უნდა იქნეს მიჩნეული დომიცილად.<sup>142</sup>

არც იტალიური სამართალი უშვებს ერთდროულად რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობას. ყოველ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი *domicilio generale*.<sup>143</sup> შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლიც მხოლოდ ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის პრინციპს განამტკიცებს. რამდენიმე საცხოვრებლის ფაქტობრივად არსებობისას, ფრანგული სამართლის მსგავსად, აქაც მოსამართლეს უხდება იმის გადაწყვეტა, თუ რომელი საცხოვრებელი ჩაითვალოს საცხოვრებელ ადგილად. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, მოსამართლეთათვის ეს მთლად იოლი ამოცანა არაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანები ხშირად თანაბარი ინტენსივობით იყენებენ ამ საცხოვრებლებს (ადგილსამყოფლებს).<sup>144</sup>

<sup>140</sup> Soergel/Fahse Rn. 15; Staudinger/Habermann/Weick, §.7, Rn.11; Tuor/Schnyder/Schmid. Das schweizerische Zivilgesetzbuch. S.84-85 usw.

<sup>141</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი.

<sup>142</sup> Ferid/Sonnenberger, 1/1, S.333.

<sup>143</sup> Kindler, Einführung, S.88.

<sup>144</sup> Tuor/Schnyder/Schmid. Das schweizerische Zivilgesetzbuch. S.85.

არაკონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებიდან „ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის“ პრინციპის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ინგლისი. რაც შეეხება ამერიკას, როგორც ვნახეთ, ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობა მხარს უჭერს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის პრინციპს.

ზემოაღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის დაშვების პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. თითოეული მათგანი უნდა შეესაბამებოდეს საცხოვრებელი ადგილისთვის გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ე.ი. აუცილებელია არსებობდეს პირის განზრახვა და, ამავე დროს, მოცემული ადგილი უნდა წარმოადგენდეს მისი ცხოვრების ძირითად და უმთავრეს ადგილს.<sup>145</sup>

რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეუძლია რამდენჯერმე ჰქონდეს საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები (მაგალითად, მემკვიდრეობის გახსნის დროს). იგი შეიძლება მოსარჩელედ გამოდიოდეს რამდენიმე ადგილას და ა.შ.

ვინაიდან ჩაწერა არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ჩაწერილი კი იყოს მხოლოდ ერთ ადგილას. მაშასადამე, ჩაწერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტი არავითარ წინააღმდეგობაში არაა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის პრინციპთან. რაც შეეხება საგადასახადო სამსახურს, მათ შეუძლიათ გადასახადების გადახდის ადგილად მიიჩნიონ ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელ ადგილად არ ჩაითვლება სააგარაკო და საბაღე სახლები.<sup>146</sup>

ავსტრიული სამართლის მიხედვითაც შეიძლება პირს ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ან – არც ერთი. საპოლიციო რეგისტრაცია არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს. მან შეიძლება მხოლოდ მინიშნების როლი ითამაშოს.<sup>147</sup>

რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის უფლება ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

<sup>145</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn.18.

<sup>146</sup> Staudinger/Habermann/Weick. §.7, Rn.18.

<sup>147</sup> Koziol/Welser. Grundriß des bürgerlichen Rechts. Bd.I, S.59.

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით აქამდე განხილული საკითხები შეეხებოდა იმ საცხოვრებელ ადგილებს, რომელთა არჩევის უფლება პირებს მოქმედი კანონმდებლობით აქვთ უზრუნველყოფილი, ამიტომ მათ არჩევითი საცხოვრებელი ადგილი ეწოდებათ. იგი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას უკავშირდება მაშინაც, როცა მოცემული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის ინსტიტუტს განამტკიცებს.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი უპირველესია და იგი ამ სფეროში წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას. ეს ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტით, მაგალითად, ჩაწერის ინსტიტუტით, არ შეიძლება ეს უფლება შეიზღუდოს. პირიქით, ჩაწერის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისაგან, ე.ი. პირი ჯერ ირჩევს საცხოვრებელ ადგილს, ხოლო შემდეგ დგება. საპოლიციო ან სამისამართო აღრიცხვაზე და არა პირიქით, როგორც ეს საბჭოთა წყობილებიდან მომდინარე საქართველოში ბოლო დრომდე იყო.

თუ ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება პირველადია, ხოლო საჯარო-სამართლებრივი აქტი — მეორადი, უცხოელი მოქალაქეების მიმართ ეს პირიქითაა. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა უცხოელთათვის დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კანონიერად იმყოფება იგი მოცემულ ქვეყანაში და ყოფნის ეს უფლება აძლევს თუ არა მას შესაძლებლობას აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი (მაგალითად, მოკლევადიანი ვიზა არ არის საფუძველი ამისთვის), ე.ი. უცხოელმა ჯერ უნდა მიიღოს ნებართვა სახელმწიფოსაგან ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლების თაობაზე, ხოლო შემდეგ კი — აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის არჩევას საცხოვრებლად. ეს აღემატება სამოქალაქო სამართლის შესაძლებლობებს. უფრო ზუსტად, იგი გულისხმობს მოცემული ქვეყნის შიგნით ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის არჩევას საცხოვრებელ ადგილად (ქალაქი, სოფელი, დაბა, რაიონი და ა.შ.).

თუმცა სამოქალაქო სამართალი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს განამტკიცებს, იგი, ამავე დროს, იცავს იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც ასეთი არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ. ესაა პირები, რომლებსაც ასაკის (არასრულწლოვანები) ან ჯანმრთელობის მდგომარეობის (ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის) გამო არ შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხი. მათ ნაცვლად ამას კანონი აკეთებს. ამიტომაც ეწოდება არასრულწლოვანებისა და სხვა არაქმედუნარიანი პირების საცხოვრებელ ადგილს კანონით საცხოვრებელი ადგილი.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი. კანონი აქაც ზოგადი ნორმით შემოიფარგლება და ის არ იძლევა კონკრეტულ პასუხებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში შეიძლება წარმოიშვას. კერძოდ, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ ან როცა მშობლები განქორწინებულნი არიან, მშობლის უფლება კი ორივესა აქვს და ა.შ. ეს ის საკითხებია, რომლებიც ნორმათა ინტერპრეტაციის შედეგად და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა განვითარდეს. თუმცა არც ამ სფეროშია უინტერესო დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება.

გავრცელებული შეხედულების თანახმად, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია განმტკიცებული, მაგრამ არა საკანონმდებლო აქტებში, ფრანგულ სამართალში ბავშვის პირველ საცხოვრებელ ადგილს ეწოდება domicile d'origine. ეს ნიშნავს, რომ ბავშვი დაბადებით მოიპოვებს იმ მშობლის (ან მშობლების) საცხოვრებელ ადგილს, რომელთანაც (რომლებთანაც) ის ცხოვრობს.<sup>148</sup> ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ყოველთვის დამოკიდებულია მშობლების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე, კერძოდ, თუ მშობლები შეიცვლიან საცხოვრებელ ადგილს, ავტომატურად იცვლება ბავშვის საცხოვრებელი ადგილიც. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლების საცხოვრებელი ადგილი მაშინაც, როცა ბავშვი ინტერნატშია მიბარებული. ასე თვლის საფრანგეთის საკასაციო სასამართლო.<sup>149</sup> როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრო-

<sup>148</sup> Ferid/Sonnenberger, I/1, S.334.

<sup>149</sup> Cass Civ v 6.12.1968, Bull. Civ 1968 II, Nr 299 S.212.

ბენ, ფრანგული სამართლის მიხედვით, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის გასარკვევად მნიშვნელოვანია, თუ რომელ მშობელთან ცხოვრობს ბავშვი.

საოჯახო სამართლის ბოლო რეფორმის განხორციელებამდე როგორც ფრანგულ, გერმანულ, ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების სამართალში ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნეოდა მამის საცხოვრებელი ადგილი. ეს განპირობებული იყო მამის განსაკუთრებული მდგომარეობით ოჯახში, რასაც მოქმედი სამართალიც განამტკიცებდა.

გერმანული სამართლის მიხედვითაც არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მშობლების საცხოვრებელი ადგილი მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, ფაქტობრივად თუ სად ცხოვრობს ბავშვი. თუ მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაშინ სასამართლო წყვეტს, თუ ვის დააკისროს შვილებზე ზრუნვის ვალდებულება.<sup>150</sup> და ბავშვის საცხოვრებელი ადგილიც ამის მიხედვით განისაზღვრება. თუ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება არა აქვს მიღებული, მაშინ არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ორივე მშობლის საცხოვრებელი ადგილი, ე.ი. შესაძლებელია ორმაგი საცხოვრებელი ადგილი, რასაც ფრანგული, ინგლისური, შვეიცარიული სამართალი გამორიცხავს,<sup>151</sup> რაც ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის პრინციპის მეტად უარყოფითი მხარეა.

ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა დედის საცხოვრებელი ადგილი.<sup>152</sup> თუ მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ამის შედეგად ბავშვს ორმაგი საცხოვრებელი აქვს, ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალება არ იწვევს ორმაგი საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას.<sup>153</sup> ვფიქრობ, რომ გერმანული სამართლის ეს წესი მეტად საყურადღებოა.

შვეიცარიული სამართლის მიხედვით მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა იმ მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რომლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ბავშვი.<sup>154</sup> სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შვეიცარიული სამართალი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს მის ადგილსამყოფელსაც, თუკი მშობლების საცხოვრებელი ადგილი უცნობია, ან ბავშვი მშობლებთან არ ცხოვრობს.<sup>155</sup>

<sup>150</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §.1672.

<sup>151</sup> Staudinger/Hamermann/Weick. §.11, Rn.7.

<sup>152</sup> Staudinger/Hamermann/Weick. §.11, Rn.9.

<sup>153</sup> Staudinger/Hamermann/Weick. §.11, Rn.12.

<sup>154</sup> შვეიცარიის ცივილური კოდექსის 25-ე მუხლი.

<sup>155</sup> შვეიცარიის ცივილური კოდექსის 25-ე მუხლის პირველი აბზაცი.



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სამეურვეო პირის საცხოვრებლად მიიჩნევა მეურვის საცხოვრებელი ადგილი. სამეურვეო პირებად ჩაითვლებიან არასრულწლოვანები, რომელთაც კანონით დადგენილი წესით დანიშნული აქვთ მეურვეობა ანდა არასრულწლოვანები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად არიან აღიარებულნი და მათზეც დანიშნულია მეურვეობა.

### *ვ. საცხოვრებელი ადგილის გაუქმება*

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება, ისევე როგორც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, ორ გარემოებაზეა დამოკიდებული: ერთია პირის ნება მიანებოს თავი ამ საცხოვრებელ ადგილს და ამის პრაქტიკული განხორციელება. არც ამ შემთხვევაშია სავალდებულო, რომ ნება რაიმე სპეციალური ფორმით იყოს გამოხატული.

საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, როცა დაუძლეველი ძალის, ომის, სამოქალაქო ომის ან სხვა ამის მსგავსი გარემოებების გამო პირი იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი. აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველების საცხოვრებელი ადგილი მაინც აფხაზეთშია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფიზიკურად იქ დაბრუნება ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებით. ოღონდ ეს უკანასკნელი ავტომატურად არ იწვევს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას. აუცილებელი აქაც პირის ნებაა, რომ იგი აუქმებს ძველ საცხოვრებელ ადგილს. სამართლებრივი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა ძველი საცხოვრებელი ადგილი გაუქმებულია, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არ არის დაფუძნებული. ფრანგული, ინგლისურ-ამერიკული, შვეიცარიული სამართალი ამ დროს უშვებს იურიდიულ ფიქციას – ვიდრე ახალი საცხოვრებელი ადგილი არ დაფუძნებულა, ძალაში მყოფად მიიჩნევა ძველი საცხოვრებელი ადგილი. ცახდია, ეს არ არის საუკეთესო გადაწყვეტა, ვინაიდან ფიქციას ამ შემთხვევაში არავითარი ძალა არა აქვს, თუკი პირს ფაქტობრივად გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა ძველ საცხოვრებელ ადგილთან.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება გამოიწვიოს უცხოელთათვის მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების ჩამორთმევამ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქის მიმართ დაუშვებელია.

**ზ. კიდევ ერთხელ საცხოვრებელი ადგილის  
მნიშვნელობის შესახებ**

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილი არ არის საპოლიციო, საგადასახადო თუ საჯარო სამართლის სხვა დარგებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის იდენტური, თუ საპოლიციო ჩაწერა ან ამოწერა არავითარ გავლენას საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებასა და გაუქმებაზე არ ახდენს, მაშინ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას საერთოდ? ეს კითხვა სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება, ისევე როგორც ბუნებრივია ამ კითხვაზე პასუხი: საცხოვრებელ ადგილს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სწორედ მის მიხედვით განისაზღვრება:

– პირის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების საკითხი, თუკი მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას (21-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– გარდაცვლილად გამოცხადების საკითხი; თუკი პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ (22-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– ხელშეკრულებების ცალკეული დებულებების განმარტებისას თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა; გადაამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი (მუხლი 337-ე);

– ვალდებულების შესრულების ადგილი გვარეობით განსაზღვრული საგნების შემთხვევაში, თუ შესრულების ადგილი არაა განსაზღვრული – მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (362-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტი და მე-2 ნაწილი);

– კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი (363-ე მუხლი, 432-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

– საეჭვობისას ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი – კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი (386-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– სამკვიდროს გახსნის ადგილი – მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი (1324-ე მუხლი).

მონძობილი მაგალითები, ვფიქრობ, ნათლად ადასტურებენ საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალში. თუკი ამას დავუმატებთ სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ ნორ-

მებს საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, აშკარა გახდება, რომ საცხოვრებელი ადგილი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

## §10. პირადი არაქონებრივი უფლებები

თანამედროვე სამართალი არ სჯერდება მხოლოდ ადამიანის ფიზიკურად ხელშესახები სიკეთების დაცვას. მართალია, სამოქალაქო სამართალში ისტორიულად გადამწყვეტ როლს ქონება და ქონებრივი სიკეთეები ასრულებენ, მაგრამ იმ უდიდესმა სოციალურმა გარდაქმნებმა, რომლებიც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საზოგადოებაში მოხდა, წარუშლელი კვალი სამოქალაქო სამართალშიც დატოვა. ადამიანის, როგორც არა მხოლოდ სიმდიდრის შემქმნელი არსების, არამედ ღირსების მქონე პიროვნებად გაცნობიერების აუცილებლობა უდევს საფუძვლად სამოქალაქო სამართალში პირადი არაქონებრივი უფლებების ჯერ აღიარებას, ხოლო შემდეგ კი მის დაცვას.

ისტორიულად მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ წარმოიშვა როგორც *მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების* შესახებ. მის წარმოშობას დონელუსის სახელს უკავშირებენ, რომელმაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში რომის სამართლის კომენტარიებისას სამართლებრივი დაცვის ღირს სიკეთედ აღიარა სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება და პრესტიჟი.<sup>156</sup> დონელუსის ამ შეხედულებას XIX საუკუნის სამართლისმცოდნეობამ დიდი ყურადღება დაუთმო და იმ ეპოქის ცნობილი იურისტების დისკუსიის საგანი გახადა. მაგალითად, სავინი წინააღმდეგი იყო, რომ სამოქალაქო სამართალს ასეთი უფლება ცალკე განემტკიცებინა, რადგან იგი შეუძლებლად მიიჩნედა ადამიანის მიერ საკუთარი სხეულისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების აღიარებას.<sup>157</sup> სამაგიეროდ სავინის ეპოქის მეორე დიდი მოღვაწე პუნტა საკუთარ პიროვნებაზე უფლებას შესაძლებლად მიიჩნედა. ამ იდეას განამტკიცებდა დერნბურგიც პანდექტების ცნობილ სახელმძღვანელოში.<sup>158</sup> პირადი არაქონებრივი უფლებების პირველი დეფინიცია მაინც გირკეს ეკუთვნის,

<sup>156</sup> Commentarii Iuris Civilis IV. 1590. Kap. 8 §.2 u 3. უუთოთხ: Staudinger/Habermann/Weick. Vorb. zu §.1, Rn. 19.

<sup>157</sup> Savigny, System des heutigen Römischen Rechts. I, 1840. S.335 ff.

<sup>158</sup> Dernburg, Heinrich, Pandekten I, 1912. 8. Aufl. §.18.

რომლის თანახმადაც პირადია „უფლებები, რომლებიც მის სუბიექტს უზრუნველყოფენ საკუთარი პირადი სფეროების ამა თუ იმ ნაწილზე ბატონობას“.<sup>159</sup> პირადი არაქონებრივი უფლების, როგორც საკუთარ პიროვნებაზე უფლების, გაგება ერთადერთი არ ყოფილა XIX საუკუნეში. არსებობდა შეხედულებაც, რომელიც პირად უფლებებში ხედავდა საზოგადოებისაგან საკუთარი ინდივიდუალობის ყურადღებისა და პატივისცემის უფლებას. ამ შეხედულების გაძლიერება არსებითად გამოიწვია საავტორო სამართლის გაძლიერებამ. მისი არსებობა უკავშირდება გარეისის სახელს, რომელმაც პირადი უფლებების დეფინიციაც კი ჩამოაყალიბა: „სამართლის სუბიექტს აქვს თავისი ინდივიდუალობის, როგორც ასეთის აღიარების უფლება“.<sup>160</sup>

როგორც ჩანს, მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მეტად ახალგაზრდაა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ XIX საუკუნის სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციებში მან ასახვა ვერ პოვა. ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, გირკეს დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა მაინც არ აისახა და იგი მხოლოდ სახელის დაცვით შემოიფარგლა.<sup>161</sup> ამ მხრივ გამონაკლისია შვეიცარიის სამართალი, რომელიც პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურებას 1881 წლის ვალდებულებით სამართალშიც ითვალისწინებდა (მუხლი 55-ე) და ამ ტრადიციას არც ახალ კანონებში უღალატა.<sup>162</sup>

პირადი უფლებების დაცვის თაობაზე არსებული დიდძალი სამართლებრივი მასალა სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა, უფრო ზუსტად კი, — დელიქტური სამართლის საფუძველზე. პირადი არაქონებრივი უფლებები აღიარებულ იქნა სამოქალაქო სამართლით დაცულ სიკეთედ და მისი ხელყოფა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად ჩაითვალა, რომელიც დელიქტურ ვალდებულებას წარმოშობს.

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული და სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ზოგადი პირადი არაქონებრივი უფლებებიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა შეარჩია ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგად დებულებებში მოათავსა იქ, სადაც

<sup>159</sup> Gierke, Otto von, Deutsches Privatrecht. 1895. Bd. I, S.207.

<sup>160</sup> Garais, Das juristische Wesen der Autorrechte sowie des Firmen- und Markenschutzes. BuschArch 35, 185 ff.

<sup>161</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 12.

<sup>162</sup> შვეიცარიის ცივილური კოდექსის მუხლი 28-ე და შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის მუხლი 49-ე.

ფიზიკური პირების სტატუსია განმტკიცებული. თუმცა აქ მოცემული ბევრი ნორმა თანაბრად შეეხება იურიდიულ პირებსაც. სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საფუძველს წარმოადგენს.

ვფიქრობ უაღრესად საინტერესო იქნება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის სფეროში.

## *I. პირადი არაქონებრივი უფლებები გერმანულ სამართალში*

### *ა. ზოგადი მიმოხილვა*

როგორც უკვე აღვნიშნე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირადი არაქონებრივი უფლებებიდან მხოლოდ სახელის უფლებას განამტკიცებს. თუმცა ამ უფლების ხელყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლო პრაქტიკის მიერ დელიქტური სამართლის საფუძველზე კმაყოფილდება – სახელიც განეკუთვნება დელიქტური სამართლით დაცულ სიკეთეს.<sup>163</sup>

უაღრესად საინტერესოა გერმანული სასამართლო პრაქტიკის ევოლუცია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში. მაგალითად, საკუთარ გამოსახულებაზე უფლების დაცვა გერმანიის სასამართლობმა ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე უზრუნველყვეს. ასე დააკმაყოფილა გერმანიის საიმპერიო სასამართლომ ბისმარკის მემკვიდრეების სარჩელი ფოტოგრაფების წინააღმდეგ, რომლებმაც მალულად გადაიღეს ბისმარკის ცხედრის სურათი. კერძოდ, ფოტოგრაფები მალულად შეიპარნენ იმ ოთახში, სადაც ბისმარკის ცხედარი ესვენა და გადაუღეს მას ფოტოსურათები. მემკვიდრეები მოითხოვნენ ამ სურათების განადგურებას. საიმპერიო სასამართლომ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა შემდეგი მოტივებით: მოპასუხეებმა სურათები მოიპოვეს სხვის მფლობელობაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევით, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. *Condictio ob iniustam causam*-ის პოზიციიდან გამომდინარე ისინი მოითხოვნენ ფოტოგადაღებების განადგურებას.<sup>164</sup>

<sup>163</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 823.

<sup>164</sup> RGZ 45, 170 უთითებ: Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S.694.

ამ და მისი ანალოგიური შემთხვევების გამო გამოწვეულ ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას შედეგად მოჰყვა 1907 წელს სააეტორო კანონის მიღება, რომლის ტექსტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ „გამოსახულებების“ გამოქვეყნება ან გავრცელება ანდა გამოფენა შეიძლება მხოლოდ იმ პირის თანხმობით, ვისი გამოსახულებაც უნდა გამოქვეყნდეს ან თუ ის გარდაცვლილია, მისი მემკვიდრეების თანხმობით. გამონაკლისს ამ წესიდან შეადგენს იმ პირთა გამოსახულებების გამოქვეყნება, რომლებიც ე.წ. ისტორიულ პიროვნებებს განეკუთვნებიან. მათი გამოსახულების გამოქვეყნება შეიძლება ამ პირთა თანხმობის გარეშეც მცირე გამონაკლისების გათვალისწინებით.<sup>165</sup>

მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის კანონი „გამოსახულებას“ ვიწრო გაგებით იყენებდა, 1920 წელს გერმანიის სასამართლომ მას უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭა და მის შინაარსში ჩააქსოვა პირის სასცენო, თეატრალური წარმოსახვა. კერძოდ, სასამართლომ კაიზერ ვილჰელმ II-ის სახის სასცენო წარმოსახვა გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებად ჩათვალა და იმპერატორის მოთხოვნა დააკმაყოფილა.<sup>166</sup>

„გამოსახულებისაგან“ განსხვავებით ადრეული სასამართლო პრაქტიკა კერძო წერილების გამოქვეყნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავდა, თუკი ეს წერილები ლიტერატურულ ღირებულებას წარმოადგენდა და შესაბამისად შეიძლებოდა მათზე სააეტორო სამართლის მოქმედების გავრცელებაც. მაგალითად, საიმპერიო სასამართლომ ამგვარად დაიცვა ნიცშეს წერილები გამოქვეყნებისაგან იმ მოტივით, რომ ისინი ხელოვნების ქმნილებებად მიიჩნია,<sup>167</sup> ხოლო რაც შეეხება რიხარდ ვაგნერის წერილებს, მათზე ასეთი დაცვა არ გავრცელა იმ მოტივით, რომ ეს წერილები საქმიანი ხასიათის იყო.<sup>168</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხში გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ არსებითი გარდატეხა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოახდინა, როცა გერმანიის ძირითადმა კანონმა ადამიანის ღირსება ადამიანის უბირითადეს უფლებად აღიარა. სამოქალაქო სამართლისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება 1954 წელს, რომლითაც „ზოგადი პირადი უფლებები“ აღიარებულ იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823-ის პირველი აბზა-

<sup>165</sup> Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S.694.

<sup>166</sup> KG JW 1928, 363. უუთოთებ: Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S.694.

<sup>167</sup> RGZ 69, 401.

<sup>168</sup> RGZ 41, 43. უუთოთებ: Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S.695.

ცით დაცულ სიკეთედ.<sup>166</sup> პრაქტიკულად ეს ნიშნავდა პირადი არაქონებრივი უფლებებისთვის დელიქტური დაცვის უზრუნველყოფას. გადაწყვეტილება შეეხებოდა ჰიტლერის ეპოქის ეკონომიკის მინისტრს დოქტორ შახტს. იმდროინდელმა ერთ-ერთმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც კრიტიკულად მოიხსენია ეკონომიკის მინისტრის დოქტორ შახტის მიერ ბანკის დაფუძნება. შახტის ადვოკატმა წერილი მისწერა ჟურნალს და მოუწოდა, რომ სტატიაში შესწორებები და დაზუსტებები შეეტანა. ჟურნალმა ადვოკატის წერილიც გამოაქვეყნა როგორც „მკითხველთა წერილი“ და ისეთი ფორმით, თითქოს მოსარჩელე (ადვოკატი) კერძო პირი ყოფილიყო და მხარი დაეჭირა შახტისათვის. მოსარჩელემ (ადვოკატმა) მოითხოვა, რომ მოპასუხეს (ჟურნალს) სათანადო პუბლიკაციით გამოესწორებინა მკითხველთა შეცდომაში შეყვანა. პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა ზემოხსენებული მოთხოვნა და მიუთითა, რომ მოპასუხემ წერილის გამოქვეყნებით მოსარჩელე საზოგადოების თვალში დაამცირა და ამით სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. საკასაციო სასამართლომ კი წერილის გამოქვეყნებაში ვერაფერი ვერ დაინახა მოსარჩელის პიროვნების შეურაცხყოფელი და სარჩელი უარყო. ფედერალურმა სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ქმედების სისხლის სამართლებრივ მხარეს და გერმანიის ძირითადი კანონის პირველ და მეორე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართლის მიერაც უნდა იქნეს დაცული. „შეცვლილი სახით წერილის გამოქვეყნება ხელყოფს მისი შემქმნელის პირად არაქონებრივ სფეროს, რადგან მისი მეშვეობით „პიროვნების მცდარი სურათი წარედგინება საზოგადოებას“.<sup>170</sup>

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას სასამართლო გადაწყვეტილებების მთელი ტალღა მოჰყვა, რომლებმაც პირადი არაქონებრივი უფლებები გერმანულ სამართალში სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის, კერძოდ, დელიქტურსამართლებრივი დაცვის ობიექტად აქციეს. ამჟამად გერმანიის სამოქალაქო სამართალში პირად არაქონებრივ უფლებათა დარღვევების შემდეგ ჯგუფებს განასხვავებენ:

ა. ხელყოფად ითვლება გამოქვეყნება პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით, ასევე სცენისა და წიგნების გამოყენებით, ე.ი. ყველა იმ საშუალებით, რომლებიც გამოსადეგია იმისთვის, რომ პიროვნების არას-

<sup>166</sup> BGHZ 13, 334.

<sup>170</sup> Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S.696-697.

წორი სურათი შესთავაზოს საზოგადოებრიობას.<sup>171</sup> ამას განეკუთვნება ასევე არასწორი ციტატების ან მათი ნაწყვეტების გამოქვეყნება.<sup>172</sup>

ბ. პირადი უფლებების დარღვევად ჩათვლება ასევე ისეთი სურათების ან ფაქტების გამოქვეყნება, რომლებიც დაუშვებელი მეთოდებით ან ნებართვის გარეშე იქნა მოპოვებული.<sup>173</sup>

გ. ხელყოფად მიიჩნევა ფაქტების გამოქვეყნება იმ პირთა პირადი ცხოვრებიდან, რომლებიც არ განეკუთვნებიან ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა კატეგორიას.<sup>174</sup>

დ. სასამართლომ პირადი უფლების დარღვევად ჩათვალა ცნობილი პიროვნების სახელის ან სხვა ნიშნების გამოყენება პროდუქტების რეკლამისათვის მისი თანხმობის გარეშე.<sup>175</sup>

ე. პირადი უფლებების დარღვევათა მორიგი ჯგუფისათვის დამახასიათებელია შემდეგი: ესა თუ ის პირი სხვათა პირადი ან ინტიმური ცხოვრების შესახებ მონაცემებს უნებართვოდ გადასცემს ვიღაც სხვა პირებს, რომლებიც შემდგომ ამას მოცემულ პირთა წინააღმდეგ იყენებენ, მაგალითად, როგორცაა კერძო მაგნიტოჩანაწერი,<sup>176</sup> ვიდეოკამერით დაკვირვება, კერძო საუბრების მოსმენა და ჩაწერა,<sup>177</sup> ასევე სამსახურებრივი საუბრების მოსმენა და ჩაწერა, კერძო წერილების გახსნა უცხო პირების მიერ<sup>178</sup> და ა.შ.

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და ადრესატის ღირსების შელახვას იწვევს.<sup>179</sup>

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ბოლო დროს პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის კიდევ ერთი ჯგუფი გამოიკვეთა, რომელიც კომპიუტერულ ტექნიკასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ლაპარაკია ისეთ შემთხვევებზე, როცა ამა თუ იმ პიროვნების შესახებ კომპიუტერში შენახული ინფორმაცია უნებართვოდ გადაეცემა სხვა პირებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ჯგუფის სამართალდარღვევას უწოდებენ computer privacy-ს.

<sup>171</sup> BGHZ 13, 334; BGH NJW 1966, 647; BGH NJW 1982, 635.

<sup>172</sup> BVerfGE 54, 208 (217).

<sup>173</sup> BGHZ, 20, 345; BGHZ 73, 120; BGH NJW 1985, 1617.

<sup>174</sup> BGHZ, 39, 124; BGH NJW 1988, 1984

<sup>175</sup> BGHZ, 26, 349; BGHZ, 30, 7, BGHZ 35, 363.

<sup>176</sup> BGHZ 27, 284.

<sup>177</sup> BGHZ, 73, 120.

<sup>178</sup> BVerfG NJW 1992, 815.

<sup>179</sup> BGHZ 45, 296, 310.



## ბ. პრესა და პირადი უფლებების დარღვევა

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ყველაზე გაერცელებული შემთხვევები მინც პრესაში გამოქვეყნების მეშვეობით ხდება. ამ დროს ხშირად კონფლიქტი წარმოიშობა პრესის საზოგადოებრივ ფუნქციასა და კერძო პირთა ინტერესებს შორის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საჭიროა დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების განხილვა უფრო კონკრეტულად.

თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის მნიშვნელოვანი საზოგადო ფუნქციებია: ინფორმაციის მიწოდება, კრიტიკა და დიალოგი. ამ ფუნქციებიდან ყველაზე მეტი კონფლიქტი ინფორმაციის მიწოდებასა და კრიტიკას მოსდით კერძო პირებთან. ასეთი კონფლიქტების განხილვის დროს სასამართლო პრაქტიკა ყურადღებას აქცევს და მნიშვნელობას ანიჭებს კერძო პირთა სტატუსს, უფრო ზუსტად იმას, თუ ვინ არიან ეს კერძო პირები და რამდენად აუცილებელია საზოგადოებისთვის მათი კრიტიკა. ამის მიხედვით გამოყოფენ ამ პირთა სამ კატეგორიას:

პირველ კატეგორიას განეკუთვნება ე.წ. *ისტორიული პიროვნებები*. კერძოდ, წამყვანი პოლიტიკოსები და მათთან გათანაბრებული საზოგადო მოღვაწეები. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ამ კატეგორიას მიაკუთვნა ბუნდესლიგის ფეხბურთელიც.<sup>100</sup> მათ შესახებ პრესას შეუძლია ყოველგვარი ინფორმაციისა და მონაცემების გამოქვეყნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისთვის. ასევე დაიშვება მათი თავისუფალი კრიტიკა, სურათების გამოქვეყნება ნებართვის გარეშე. თავისუფლების ზღვარი ამ დროს დევს შეურაცხყოფასა და ჟურნალისტის მიერ სინამდვილის, ჭეშმარიტების დადგენის მოვალეობას შორის.<sup>101</sup>

მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან პირები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით პრესის ობიექტი ხდებიან. მათ უნდა ითმინონ პროფესიული საქმიანობის გამო პრესაში გამოქვეყნება და კრიტიკა. მაგალითად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ერთ-ერთი ბანკირის სარჩელი პრესის წინააღმდეგ, რომელმაც ბანკის თაღლითურ საქმიანობასთან დაკავშირებით ახსენა ამ ბანკირის სახელიც.<sup>102</sup> ამასთან, პრესას მოეთხოვება თავშეკავება ისეთი ფაქტებისა და მონაცემების გამოქვეყ-

<sup>100</sup> BGH NJW 1979. 2203.

<sup>101</sup> BGH NJW 1987. 2241.

<sup>102</sup> OLG Stuttgart NJW 1967. 1422.

ნებისაგან, რომლებსაც არავითარი კავშირი პროფესიულ საქმიანობასთან არა აქვთ.<sup>183</sup>

მესამე კატეგორიას განეკუთვნებიან პირები, რომლებიც არც ისტორიულ პიროვნებებს წარმოადგენენ და არც პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით იკავებენ გამორჩეულ ადგილს. ამ კატეგორიის პირთა კერძო ცხოვრების საიდუმლოს დაცვაზე უფრო უპირატესობა ენიჭება მათი ცხოვრებიდან ფაქტების გამოქვეყნებასა და პუბლიკაციას. ეს უპირატესობა შეიძლება გამართლებული იყოს *მეცნიერების პოზიციებიდან*. კერძოდ, ობიექტური ისტორიის წერა და ა.შ.<sup>184</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებების ამ გერმანული კატალოგის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკაში მინც ძნელია იმის დადგენა, მართლა მოხდა პირადი უფლებების ხელყოფა თუ არა. განსაკუთრებით რთულდება ეს, როცა საკითხი ეხება პრესაში გამოქვეყნებას. ამ დროს კონფლიქტი მძაფრდება პრესის თავისუფლების პრინციპსა და ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციურ უფლებას შორის. სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის, კონსტიტუციური სასამართლო, პრესაში გამოქვეყნებას და სხვაგვარ პუბლიკაციას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგოდ, თუკი ამ პუბლიკაციაში კამათია არა საგნის გამო, არამედ მიზნად ისახავს მოსარჩელის პიროვნების დამცირებას.<sup>185</sup>

თუმცა ბევრი ვისაუბრე გერმანულ სამართალში პირადი უფლებების სამოქალაქოსამართლებრივ დაცვაზე, მაგრამ ჯერ არ შევხებივარ, თუ რაში გამოინახტება ეს დაცვა, რა არის ამ უფლებათა დარღვევის შედეგი?

თუ პირის პირადი არაქონებრივი უფლებებია ხელყოფილი, მას შეუძლია ხელმყოფს მოსთხოვოს ამ *მოქმედების აღკვეთა* და აუკრძალოს მას განმეორებით ამგვარი პუბლიკაციები. გარდა ამისა, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის აღმოფხვრა, რომელიც მას მიაღდა არასწორი მონაცემების გამოყენების შედეგად. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს დაეკისრება გამამართლებელი ინფორმაციის გამოქვეყნება იმ პირთა მიმართ, რომელთათვისაც იყო პირველი ინფორმაცია განეკუთვნილი. სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოპასუხეს თავისი ხარჯით დაეკისროს ინფორმაციის გამოქვეყნება განსაზღვრულ გაზეთში.<sup>186</sup>

აღნიშნულის გარდა, ზოგ შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია ზიანის

<sup>183</sup> BGH:Z 39, 124

<sup>184</sup> Staudinger/Hübnermann/Weick. Vorb. zu §. 1, Rn. 27.

<sup>185</sup> BVerfGE 85, 1.

<sup>186</sup> BGHZ 99, 133.

ანაზღაურება მოითხოვოს. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა არამატერიალურ ზიანზეა ლაპარაკი. თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §253 ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ სხეულის დაზიანებისათვის ითვალისწინებს, ფედერალური სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აკმაყოფილებს მოსარჩელეთა მოთხოვნებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, თუკი ხელყოფა „მძიმე“ და გამოწვეულია ხელმყოფის უხეში ბრალით.<sup>187</sup> როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ გადაწყვეტილებებით გერმანული სამართალი პრაქტიკულად დაუახლოვდა შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 49-ე მუხლს, რომელიც ანალოგიურ შემთხვევებში ითვალისწინებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას.<sup>188</sup>

## II. პირადი უფლებები ფრანგულ სამართალში

პირადი უფლებების დაცვის თაობაზე არც ფრანგული სამოქალაქო კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნორმებს. მიუხედავად ამისა, ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის ახორციელებდა სამოქალაქო სამართლებრივი პირადი უფლებების დაცვას. ამას იგი დელიქტურ სამართალში არსებული ორი ზოგადი ნორმის (1382-ე და 1383-ე მუხლები) საფუძველზე უზრუნველყოფდა. კერძოდ, ამ ნორმათა თანახმად, ყველა ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მან მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებით (ფრანგულად *faute*) მიაყენა სხვას. ამიტომ 1970 წელს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლში შეტანილ ცვლილებას რაიმე ახალი ამ სფეროსთვის არ შეუმატებია (ამ მუხლის თანახმად ყველას აქვს თავის კერძო სფეროს პატივისცემის უფლება). კანონში არ არის მოცემული განსხვავება ქონებრივ ზიანსა და არამატერიალურ ზიანს შორის. ამ უკანასკნელს ფრანგულად ეწოდება *dommage moral*. ადრეული წლების ფრანგულ სამართლის მეცნიერებაში იყო მცდელობა, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება დაუსწავლად მიეჩნიათ ან შეეზღუდათ იგი მხოლოდ განსაზღვრული სახის ქმედებებით, მაგალითად, როცა არამატერიალური ზიანი გამოწვეული იყო სისხლის სამართლის დანაშაულით. ეს შეზღუდვები უკვე დაძლეულია. სასამართლო პრაქტიკაც თანაბრად განიხილავს ზიანის ამ ორივე სახეს და სასამართლო

<sup>187</sup> BGHZ 35, 363.

<sup>188</sup> Zweigert/Kötz, Einführung. 3. Aufl. S. 699.

კადანქცოლებში არ უთხოვს. თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი და რა ოდენობით – არამატერიალური ზიანი.<sup>189</sup>

არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა გარემოებებზეა დამოკიდებული, მაგრამ ძალიან ხშირად იგი მეტად სიმბოლიურია: მაგალითად, ერთ საქმეში ქმარმა მოსთხოვა ცოლსა და მის საყვარელს იმ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. რომელიც მას მიადგა ცოლქმრული ღალატის შედეგად. ვინაიდან საქმის გარემოებებში სასამართლომ მძიმე ხელყოფა ვერ დაინახა, ცოლს დააკისრა ზიანის ანაზღაურება 1 ფრანკის ოდენობით, ხოლო საყვარელს 100 ფრანკის ოდენობით.<sup>190</sup>

პირადი უფლებების კლასიკური ფორმების დაცვისას ფრანგულმა სასამართლო პრაქტიკამაც დაახლოებით იგივე მასშტაბები შეიმუშავა, როგორც გერმანულმა ან სხვა ანალოგიური ქვეყნების სამართალმა. განსაკუთრებით ეს შეეხება პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვას და პრესის თავისუფლებასთან მისი ურთიერთობის სირთულეებს. ისევე, როგორც გერმანულ სამართალში, არც ფრანგულ სამართალშია იოლი იმის გამოიჯენა, თუ როდის უნდა შეიზღუდოს პრესის თავისუფლება პირადი სფეროების, პირადი საიდუმლოს დაცვის სასარგებლოდ.

სირთულეების მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკის შედეგად დავროვდა დიდძალი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელს ხდის იმ გარეგნული ფორმების განსაზღვრას, რაშიც შეიძლება გამოიხატოს კერძო სფეროს ხელყოფა. ამგვარ დარღვევებზე მიიჩნევა: ბინაში შეღწევა მიუხედავად იმისა, ფიზიკურად ხდება ეს თუ სხვა საშუალებებით, კერძოდ, მოსმენა, ფარული კამერით გადაღება; პირადი და საოჯახო სფეროებიდან ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, მაგალითად, სექსუალური ცხოვრების, ჯანმრთელობის, ქონებრივი მდგომარეობის და ა.შ.<sup>191</sup>

საკუთარ გამოსახულებაზე უფლებაარც ფრანგული სამართლისთვისაა უცხო. იგი საკუთრების შესახებ მოძღვრების საფუძველზე განვითარდა და უფრო ადრე იყო დაცული, ვიდრე პირადი უფლებების თეორია წარმოიშობოდა.<sup>192</sup> გამოსახულების უფლებასთან არის გათანაბრებული საკუთარი ხმის უფლება. პირს უფლება აქვს არ დაუშვას კერძო თუ საზოგა-

<sup>189</sup> Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S. 700.

<sup>190</sup> Agen. 18.7.1902; D.P. 1903. 2.344; Paris 10.7.1957. D. 1957. 622 კუთხოვ: Zweigert/Kötz. Einführung. 3. Aufl. S. 700.

<sup>191</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S.357.

<sup>192</sup> Hauser. Werbung und das Recht am eigenen Bild in Frankreich. GRUR int. 1988. S.218ff.

ლო კითარებაში გადაღებული მისი სურათის გამოქვეყნება ნებართვის გარეშე. თუმცა ეს წესი დაზუსტებას საჭიროებს. პირის სურათად არ ჩაითვლება, თუ გადაღება მოხდა პოლიტიკურ სცენაზე, კულტურული ღონისძიებების ფარგლებში, რომლებშიც ეს პიროვნება მონაწილეობდა. თუმცა ამის დადგენა პრაქტიკაში არც ისე იოლია.<sup>143</sup> რაც შეეხება კომერციული მიზნებით სურათის გამოქვეყნებას, მას ყოველთვის სჭირდება პირის თანხმობა ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ასეთ შემთხვევაში თანხმობის ფორმა შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, თუ სურათის გადაღებისათვის გადამღები გასამრჯელოს აძლევს პირს, ეს უეჭველად ჩაითვლება თანხმობად.

გერმანული სამართლის მსგავსად, ფრანგული დოქტრინაც აღიარებს, რომ ე.წ. ისტორიულ პიროვნებებზე შეიძლება ყველაფერი გამოქვეყნდეს და უნდა გამოქვეყნდეს კიდევ. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ხშირად უხვევს ამ პრინციპიდან. მაგალითად, ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის რეპორტიორები უნებართვოდ შეიჭრნენ საავადმყოფოში და სურათი გადაუღეს ცნობილი ფრანგი მსახიობის ჟერარ ფილიპის ცხრა წლის ვაჟიშვილს, რომელიც ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში იწვა. ეს სურათი ფილიპის ოჯახის თაობაზე შეურაცხყოფელ სტატიასთან ერთად გამოქვეყნდა და მასში დაწვრილებით იყო აღწერილი ბავშვის ავადმყოფობაც. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპების ოჯახი საფრანგეთში საყოველთაო ინტერესის ობიექტს წარმოადგენს და მათი შვილიც ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გამოშვებული ჟურნალის კონფისკაციის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კერძო სფეროს ხელყოფასო.<sup>144</sup>

განსაკუთრებით მდიდარია ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ისეთი გადაწყვეტილებებით, რომლებიც რომანის გმირებსა და კონკრეტულ პიროვნებას შორის მსგავსებას ეხება, რომლებშიც ეს უკანასკნელი შეურაცხყოფელ მსგავსებას ხედავენ.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ფრანგული სასამართლო კერძო წერილების გამოქვეყნებასაც იცავს. ამ დაცვის პრინციპის თანახმად, ამგვარი წერილების მიმღებს არა აქვს უფლება წერილების ავტორის გარეშე გამოაქვეყნოს ისინი. ამას დღესაც პირადი უფლებების დაცვად მიიჩნევენ.

<sup>143</sup> Ferid/Sonnenberger, I/1. S.357-358.

<sup>144</sup> Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 702.

### III. პირადი უფლებების დაცვა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

ცხადია, ამ პატარა მონაკვეთში შეუძლებელია პირადი უფლებების დაცვის საკითხების ამომწურავი განხილვა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში. ამიტომ მხოლოდ სქემატურად შევეხები ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპებს.

პირადი უფლებების დაცვის სფეროში საერთო სამართლის ქვეყნები ერთმანეთისაგან განასხვავებენ პატივის დაცვასა და სხვა პირადი უფლებების დაცვას. პატივის დაცვას უზრუნველყოფს როგორც ინგლისური, ასევე ამერიკული სამართალი. ამ მიზანს ემსახურება დელიქტური სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა libel და slander, რომლებიც ერთიანდება ერთიან კრებით ცნებაში: მას ღიფამაცია (defamation) ეწოდება. სხვა პირადი უფლებების დაცვას ამერიკული სამართალი უზრუნველყოფს right of privacy-ის ხელყოფის გამო სარჩელის შეტანის გზით.<sup>195</sup> ინგლისურ სასამართლო პრაქტიკას პირადი სფეროს დაცვის საკითხში ასეთი ზოგადი უფლება ჯერ არ შეუმუშავებია. ამიტომ პატივის გარდა სხვა პირადი უფლებების დაცვისას ინგლისური სასამართლო მიმართავს libel და slander-ის დელიქტების უფრო ფართო ინტერპრეტაციას.<sup>196</sup>

ზოგადად დელიქტი ღიფამაცია გულისხმობს ადამიანის პრესტიჟის, მისი პატივისა და საზოგადო აღიარების ხელყოფას იმ გზით, რომ შესაძლებელია გამონათქვამები ამცირებს ადამიანის იმიჯს თანამოქალაქეების წინაშე, სასაცილოს ხდის მის ავტორიტეტს, უარყოფით განწყობას უქმნის გარშემომყოფთ ამ ადამიანის მიმართ. საერთო სამართალი ასეთი ხელყოფისათვის დაცვას უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საზოგადოებაში პირის იმიჯის შელახვა მოჰყვა. თუ პატივის ხელმყოფი გამონათქვამები გაკეთებულია წერილობით ან პუბლიკაციით, ნახატით ანდა კარიკატურით, მაშინ არსებობს დელიქტი libel. ინგლისის 1952 წლის Defamation Act-ის თანახმად ამ დელიქტს განეკუთვნება ასევე რადიოთი ან ტელევიზიით გაკეთებული განცხადებები. დელიქტი slander გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა ზეპირი გამონათქვამებით ან შეურაცხმყოფელი ექსტიკულაციით ილახება პირის პატივი.

რაში მდგომარეობს ამ ორ დელიქტს შორის განსხვავება? პრაქტიკუ-

<sup>195</sup> Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 704.

<sup>196</sup> Zweigert/Kötz, Einführung, 3. Aufl. S. 704-705.

ლი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ დელიქტ libel-ის გამო სარჩელის შესატანად არ არის აუცილებელი ქონებრივი ზიანის არსებობის დასაბუთება. ზიანის ანაზღაურების მოცულობა სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს პატივის ხელყოფის სიმძიმის შესაბამისად ისე, რომ არ არის სავალდებულო განსაზღვრული ზიანის არსებობის დამტკიცება. სხვაგვარად არის საქმე slander-ის შემთხვევაში: ამ დროს მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ პატივის ხელყოფი გამონათქვამების გამო მას ქონებრივი ზიანი მიადგა, რაც გამოიხატება მნიშვნელოვანი კლიენტურის დაკარგვაში, შემოსავლის შემცირებაში და ა.შ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე დელიქტის დროს პასუხისმგებლობა დგება მოპასუხის ბრალის მიუხედავად. თუ, მაგალითად, გაზეთის გამომცემელმა გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც ხელყოფილია მოსარჩელის პატივი, გამომცემელი პასუხს აგებს მოსარჩელის წინაშე მაშინაც, როცა იგი საერთოდ არ იცნობდა ამ უკანასკნელს და არც მისი პატივის ხელყოფა არ სურდა.

ამ წესის სიმკაცრე მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციით არ შემოიფარგლება. მაგალითად, თუ მოსარჩელე და მოპასუხე ტელეფონზე საუბრობდნენ და ისე მიაყენა შეურაცხყოფა, ეს იქნება პირადი უფლების ხელყოფი დელიქტი, თუკი ამ საუბარს უსმენდა მესამე პირი და მან შეიტყო ამ შეურაცხყოფის შესახებ. იგივე წესი გამოიყენება მაშინაც, როცა წერილის გახსნით ცნობილი გახდა სხვა პირისათვის შეურაცხყოფილი ცნობები.<sup>197</sup>

როგორია მოპასუხის მხრიდან თავდაცვის შესაძლებლობები? მას შეუძლია გამოქვეყნებული ან განმარტებული ფაქტების სინამდვილე დაამტკიცოს. თუ იგი ამის გაკეთებას შეძლებს, მაშინ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.<sup>198</sup>

კონტინენტური ევროპის სამართლისაგან განსხვავებით ინგლისურ-ამერიკულ სამართალში გამოიყენება პატივის დაცვის ერთადერთი საშუალება. ესაა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი. ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა პუბლიკაციის აკრძალვა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მსგავსი, საერთო სამართალი არ იცნობს.

ვფიქრობ, ეს რამდენიმე მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რა განსხვავებებია პირადი უფლებების დაცვის მხრივ კონტინენტური ევროპის სამართალსა და საერთო სამართალს შორის.

<sup>197</sup> Zweigert/Kötz, Einführung. 3. Aufl. S. 707.

<sup>198</sup> Zweigert/Kötz, Einführung. 3. Aufl. S. 707

#### IV. პირადი უფლებების დაცვა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

სამოქალაქო კოდექსით დაცულ სიკეთეთაგან მნიშვნელოვანია პირადი უფლებები. ქონებრივი უფლებებისაგან მათ, უწინარეს ყოვლისა, განასხვავებს ის, რომ ისინი კონკრეტულ პირებს, მათ პიროვნებას იმგვარად უკავშირდებიან, რომ სხვა პირთათვის მათი გადაცემა დაუშვებელი და შეუძლებელიცაა. ამიტომაც ეწოდება მათ პირადი უფლებები. რასაკვირველია, ყველა პირადი უფლების განზილვას ამჯერად ვერ შევძლებ, ვერც მათთან დაკავშირებულ საკითხებს შევეხები დეტალურად. როგორც უკვე აღვნიშნე, სამოქალაქო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციას განეკუთვნება ის გარემოება, რომ ზოგადი პირადი უფლებები სამოქალაქო კოდექსების ზოგად ნაწილშია მოთავსებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც გაიზიარა ეს გამოცდილება. თუმცა ყველა პირადი უფლების კატელოგის მოცემა მან ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა. ამიტომ დელიქტურ სამართალში განმტკიცებულია ფუძემდებლური ნორმები, რომლებიც პირადი უფლებების დაცვის განვითარების ფართო შესაძლებლობებს ქმნიან. ესაა 992-ე და 993-ე მუხლები.

ახლა განვიხილოთ პირადი უფლებების ის მცირე კატელოგი, რომელიც ზოგად ნაწილშია მოცემული.

სახელის უფლების გარდა, სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს პატივისა და ღირსების დაცვას. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუკი ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაადასტურებს, რომ ეს ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინფორმაციას კონკრეტული პირის შესახებ სრულად კი არ აქვეყნებენ, არამედ ცალკეულ ნაწყვეტებს ციტატების სახით, რაც არცთუ იშვიათად ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას. სამოქალაქო კოდექსი აძლევს პირს უფლებას მოითხოვოს ამ არასრული ცნობების უარყოფა.

თუ პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით. მაგალითად, თუ პირის შეურაცხყოფელი ცნობები გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაშინ პირს, ვისი უფლებებიც შეილახა, შეუძლია ამ ცნობების უარყოფა მოითხოვოს იმავე



გაზიქიში. სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ამგვარი ცნობების სხვა გაზეთში გამოქვეყნების დაეაღიღებულების შესახებ.

პირის პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს შეიძლება შეიცავდეს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთიც, მაგალითად, დახასიათება. სამოქალაქო კოდექსი ასეთ შემთხვევაში ავალდებულებს ამ ცნობების გამცემ ორგანიზაციას გამოცვალოს ეს ცნობა და ამის შესახებ შეატყობინოს დაინტერესებულ პირებს.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი უფლებას აძლევს პირს მოითხოვოს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, მაგრამ ეს არ ართმევს მას უფლებას თვითვე გასცეს პასუხი ამ ინფორმაციას და საპასუხო პუბლიკაცია გამოაქვეყნოს მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

*საკუთარ გამოსახლებაზე უფლება.* სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით პატივისა და ღირსების შელახვას უთანაბრდება პირის გამოსახულების (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი) გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე. თანხმობა არ არის საჭირო, როცა პირის გამოსახულება ქვეყნდება მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან დაკავშირებით. მაგალითად, როცა პირს ირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტად ან ნიშნავენ მინისტრად, მისი ფოტოსურათი ქვეყნდება საჯაროდ, მაგრამ ამისათვის თანხმობა აუცილებელი არ არის. ავსტრია წესი მოქმედებს მაშინ, როცა იძებნება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და მისი სურათი ასევე სახალხოდ ქვეყნდება.

ზემოთ განხილულ სიკეთათა დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად. მაგრამ თუ ხელმყოფი ბრალეულად მოქმედებდა, მაშინ პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის მატერიალური ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურების პრინციპის შემოღება. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით ბრალეული ხელმყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.

სახელის, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების სამართლებრივი დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ პირის სიცოცხლით. აღნიშნული პირადი სიკეთეების დაცვა შეიძლება გარდაცვალების შემდეგაც იმ განსხვავებით, რომ არაქონებრივი ზიანის მატერიალური ანაზღაურება გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია.

იურიდიული პირები

§1. ისტორიული ექსკურსი

*I. universitas* – თანამედროვე იურიდიული პირის წინამორბედი

იურიდიული პირის ცნებას რომის სამართალი არ იცნობს. კერძო სამართალში არსებული სამართლებრივად დამოუკიდებელი ორგანიზაციების შესახებ რომაელ იურისტებს რაიმე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი მოძღვრება არ შეუქმნიათ. იუსტინიანეს სამართალში მოცემული წესები დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციების (*pieae causae*), პოსპიტლებისა და საავადმყოფოების შესახებ იურიდიულად ნაკლებად და მუშაკებული და არც მყარ ტერმინოლოგიასა და ცნებებს ემყარება.<sup>1</sup> ე.ი. კერძო პირთა გაერთიანებების სამართალი რომის სამართლისათვის უცნობია.

პირთა გაერთიანებების შესახებ, ე.ი. *universitas* შესახებ დასრულებული მოძღვრების შექმნა შუა საუკუნეებში – *Ius Commune*-ს ეპოქაში ხდება და კანონიკური სამართლისა და რომის სამართლის კვლევებს უკავშირდება. რომის სამართალში მიმოხილული ცალკეული ნორმების განზოგადების საფუძველზე ჩამოყალიბდა გარკვეული სისტემა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა თეორია *Ius Commune*-ს *universitas* შესახებ.<sup>2</sup> ამ შუასაუკუნოებრივ კანონისტიკას უკავშირდება ასევე მოძღვრება *persona ficta*-სა და *repraesentata*-ს შესახებ, რომელთაც მოდიფიცირებული ფორმით XIX საუკუნის იურისტებში შევხვდებით.

*universitas* მოძღვრების საფუძველს შეადგენს პირთა გაერთიანება, რომელიც უპირისპირდება ნივთთა ერთობლიობას, მაგალითად, სამკვიდრო მასას. *universitas* გამოცალკეებულია მისი წევრებისაგან და შეიძლება მისი განხილვა ცალკე პირად (პიროვნებად), მაგრამ არა პიროვნებადამიანად, არამედ *persona ficta*-დ, ე.ი. ფიქციურ პირად. ამიტომაც იგი დამოუკიდებელია წევრთა შეცვლისაგან, აქვს საკუთარი ქონება, მოქმედებს თავისი ორგანოების მეშვეობით და შეუძლია პქონდეს საკუთარი

<sup>1</sup> Kaser. Max. Das römische Privatrecht, Bd.I, §.72: Bd. II, §.214.

<sup>2</sup> Coing, Bd. I. S.261-262.

წესდება. universitas ოთხ სახეს განასხვავებს Ius Commune: provincia, civitas, castellum vel vicus, collegia. პროვინციაში იგულისხმება მაშინდელ ევროპაში არსებული სახელმწიფოები. ამ ორგანიზაციების დაფუძნება ემყარებოდა კონცესიების პრინციპს. თუმცა ზოგი სახის universitas de jure communi არსებობდა და საგანგებო ნებართვა არ სჭირდებოდა: პროვინციები, ქალაქები, სოფლები და ზოგი კოლეგია, მაგალითად, საამქროები, ამქართა გილდიები, უნივერსიტეტები. სხვა შემთხვევებში collegium-ს სჭირდებოდა მთავრობის ნებართვა და მინიმუმ სამი წევრი.<sup>3</sup>

მოდერნული universitas-ს შესახებ გავრცელდა მთელს ევროპაში Ius Commune-ს მოქმედების ტერიტორიაზე. ვინაიდან ისინი თანამედროვე იურიდიული პირების ისტორიულ წინამორბედებს წარმოადგენენ, საინტერესოა, თუ როგორი იყო მათი ორგანიზაცია და უფლებები?

universitas-ს ჰქონდა საკუთარი წესდება (statuta). იგი ურთიერთობებში გამოდიოდა მისი წევრების, ფიზიკური პირების მეშვეობით, რომლებიც მას წარმოადგენდნენ საგარეო ურთიერთობებში: syndici, administratores, curatores, procuratores, rectores. გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხოლო როცა საკითხი მიწის ნაკვეთის გასხვისებას შეეხებოდა – ერთხმად, ასევე აუცილებელი იყო ამ დროს მოსამართლის თანხმობა. ყველაზე მნიშვნელოვანი universitas დახასიათებისას ისაა, რომ მას ჰქონდა საკუთარი ქონება, რომელიც დამოუკიდებელი იყო წევრთა ქონებისაგან და ეს ქონება მათ საერთო საკუთრებაში არ იმყოფებოდა. მას შეეძლო ამ ქონების გასხვისება ან მის გამო სხვა ხელშეკრულებების დადება.<sup>4</sup>

ეს ნიშნები სრულიად შეესაბამებოდა თანამედროვე სამართალში მოქმედი იურიდიული პირის ნიშნებს. მაშ რაშია საქმე? რატომ ითვლება universitas იურიდიული პირის მხოლოდ წინამორბედ ფორმად და არა საკუთრივ პირველ იურიდიულ პირად? რა აკლია მას ისეთი, რაც ნამდვილ იურიდიულ პირად ჩათვლიდა თანამედროვე სამართლის გაგებით?

Universitas წესები ვრცელდება ქალაქებსა და პატარა თემებზე, პროფესიულ გაერთიანებებზე (როგორცაა საამქროები და გილდიები), კოლეგიებზე, უნივერსიტეტებზე, რელიგიურ გაერთიანებებზე, დაწესებულებებზე, ჰოსპიტლებზე. ე.ი. ლაპარაკია ნახევრად საჯარო ორგანიზაციებზე, როგორც ამას იუსტინიანეს სამართალიც აკეთებდა. კერძო გაერთიანებები

<sup>3</sup> Coing. Bd. I. S.262-263.

<sup>4</sup> Coing. Bd. I. S.263-264.

არავისთან რილს არ თანამშობდნენ, ვინაიდან ვაერთიანების თავისუფლებას მოქმედი სამართალი არააუ არ იცნობდა, არამედ ვაერთიანების ყოველ მცდელობას სისხლის სამართლით სჯიდა.<sup>5</sup>

მაშასადამე, რეცეფციის ეპოქის სამართლისმცოდნეობა, მიუხედავად დიდი მცდელობებისა, მაინც ვერ გასცდა რომის სამართლით პირთა ვაერთიანებისთვის დაწესებულ ფარგლებს. ამისთვის მას სწორედ პოლიტიკური ნება აკლდა, ნება, რომელსაც ინდივიდი, ადამიანი, თავისუფალი პიროვნება უნდა გამოეყვანა საზოგადო და პოლიტიკურ ასპარეზზე და სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტად ექცია. ეს მხოლოდ განმანათლებლობის ეპოქით ხელდასმულმა ახალი დროის კერძო სამართალმა შეძლო.

## *II. persona moralis და juristische Person – „იურიდიული პირის“ დაბადება*

გამოთქმა „იურიდიული პირი“ გერმანული წარმოშობისაა და პირველად გამოიყენა გუსტავ ჰუგომ 1798 წელს გამოცემულ წიგნში „ბუნებითი სამართლის, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიის, სახელმძღვანელოში“.<sup>6</sup> როგორც ჩანს, ეს ტერმინი თვით ჰუგოს აღმოჩენაა. ამას ადასტურებს ერთი წლით გვიან გამოცემული რომის სამართლის მისივე სახელმძღვანელო, რომელშიც იგი წერს: „პირთა სახეები, პირი ეწოდება ყველაფერს, რაც თვითონ თავისთავად სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს. პირი შეიძლება იყოს ან ფიზიკური – ერთი კონკრეტული ადამიანი, ანდა იურიდიული (მორალური) – რამდენიმე ადამიანი, რომლებიც სამართლებრივი გაგებით მიიჩნევა ერთ კონკრეტულ ინდივიდად“.<sup>7</sup> ამდენად, ისტორიული სკოლის ფუძემდებელს გუსტავ ჰუგოს პრიორიტეტი იურიდიული პირის ცნების აღმოჩენაშიც ეკუთვნის.

თუმცა ჰუგო „იურიდიული პირის“ პირველადმოჩენია, თანამედროვე გაგებით ამ ცნების პირველად დამკვიდრებას მიაწერენ პანდექტიკის მეცნიერების ფუძემდებელს გეორგ არნოლდ ჰაიზეს, რომელმაც 1807 წელს გამოცემულ „საერთო სამოქალაქო სამართლის სისტემის საფუძვლებში“

<sup>5</sup> Coing. Bd. I. S. 265.

<sup>6</sup> Hugo. Gustav. Lehrbuch des Naturrechts als einer Philosophie des positiven Rechts. Berlin 1798. S.45. უკუთხუბ: Schnizer, Helmut. Die juristische Person in der Kodifikationsgeschichte des ABGB in: FS I. Walter Wilburg. 1965. S.144.

<sup>7</sup> Hugo. Lehrbuch eines civil Cursus. 4.Bd. Berlin. 1799. S.10.

უფრო ღებალურად განიხილა და საისტემაში მოაქცია იურიდიული პირების ცნება სამოქალაქო სამართლის სუბიექტებთან კავშირში.<sup>8</sup> უფრო მოგვიანებით, 1819 წელს, მან იურიდიული პირის ცნებაში კორპორაციებთან ერთად ფონდებიც შეიყვანა და ამით პრაქტიკულად ჩამოაყალიბა იურიდიული პირის ის ცნება, რომელიც მთელი XIX საუკუნე სამოქალაქო სამართლის მეცნიერებას არ მოშორებია.<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ჰაიზეს სახელს უკავშირდება ასევე „გარეგების“ ცნების შემოტანა ცივილისტიკაში და ისიც 1807 წელს.<sup>10</sup>

ჰაიზე იურიდიულ პირს განიხილავს როგორც აბსტრაქტულ ცნებას: „იურიდიული პირი არის ყველაფერი, გარდა კონკრეტული ადამიანებისა, რაც სახელმწიფოში უფლებათა დამოუკიდებელ სუბიექტად არის აღიარებული“. ჰაიზეს მიხედვით, იურიდიულ პირს განეკუთვნება „სუბსტრატის“<sup>11</sup> მის თანახმად, სუბსტრატის „ან ქმნის იურიდიულ პირს ან მას წარმოადგენს“. ჰაიზეს შეხედულებას იურიდიულ პირზე სამართლის მეცნიერებაში პერსონიფიკაციის თეორიას უწოდებენ.<sup>12</sup> ეს დასკვნა ჰაიზეს შემდეგი სიტყვებიდან გამომდინარეობს: „მხოლოდ ადამიანი, როგორც ინდივიდი, არის, ზოგადი და ბუნებრივი გაგებით, პირი და, ამით, სამართლის სუბიექტი. ამასთანავე, არსებობს საფუძვლები, რომლებიც შეიძლება კანონებმა განსაზღვრონ, რომ სხვა საგნების პერსონიფიკირებაც მოვახდინოთ, ე.ი. შევხედოთ მათ, თითქოს ისინი პირები იყვნენ და, ამით, უფლებათა სუბიექტები. აქედან გამომდინარეობს იურიდიული პირის ცნებაც, რომელშიც იგულისხმება სამართლის მიერ სუბიექტად აღიარებული საგანი“.<sup>13</sup>

მართალია, ჰაიზეს მიერ იურიდიული პირის ცნების შემოღებამ დიდი გავლენა მოახდინა საეინიზე და, კერძოდ, მის ფიქციის თეორიაზე, მაგრამ, როგორც აღიარებულია, ჰაიზე ვერ გასცდა შუა საუკუნეების მოძღვრებას და იურიდიული პირის ცნება კორპორაციის ცნებასთან გააიგივა.<sup>14</sup> მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, იურიდიული პირის ცნება მეტად

<sup>8</sup> Heise. Arnold. Grundriß eines Systems des gemeinen Zivilrechts. Heidelberg. 1807. S. 8ff. უკუთიუბ შნიტერის მიხედვით.

<sup>9</sup> Schnitzer. Helmut. Die juristische Person in der Kodifikationsgeschichte des ABGB. S.144.

<sup>10</sup> Flume. Werner. Savigny und die Lehre von der juristischen Person. in. FS f. Wieacker. S.340.

<sup>11</sup> ფილოსოფიაში ნიშნის განსხვავებული საგნების ან ურთიერი საგნის განსხვავებულ თვისებათა კრიტიკონების მატერიალურ საფუძველს; ასევე მასალას, რომლისგანაც ესა თუ ის საგანი შედგება (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. გვ. 591.).

<sup>12</sup> Flume. Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 340.

<sup>13</sup> Flume. Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 340-341

<sup>14</sup> Flume. Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 341.

პოპულარული გამხდარა. 1808 წელს წამოყენებულ იქნა მოსაზრება, რომელმაც იურიდიულ პირად მიიჩნია მეუღლეთა საერთო ქონება.<sup>15</sup>

სამოქალაქო სამართლის სუბიექტად ადამიანთა გაერთიანებების გამო-სახატავად იურიდიული პირის ცნების წარმოშობას წინ უსწრებდა „მორალური პირის“ – *persona morale*-ს არსებობა. ეს გამოთქმა ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის პროდუქტს წარმოადგენს და მის პირველად გამოყენებას პუფენდორფის სახელს უკავშირებენ.<sup>16</sup> ამ ცნებით XIX საუკუნის ბოლოს აღინიშნებოდა პირთა გაერთიანებები და კავშირები.<sup>17</sup> პუფენდორფის მიერ შემუშავებული ცნება *persona moralis* წარმოადგენს სამართლის სუბიექტის ცნებას და ერთდროულად მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებსაც.<sup>18</sup> როგორც ჩანს, მორალური პირის ცნება არც „იურიდიული პირის“ აღმომჩენისთვის ყოფილა უცხო, კერძოდ 1792 წელს გამოცემულ „იურიდიულ ენციკლოპედიაში“. ჰუგო წერს: „პირთა სამართლის სრულყოფის მიზნით აქ ასევე განხილული უნდა იყოს მოძღვრება მორალური პირების შესახებ“.<sup>19</sup>

თანამედროვე სამართალში გამოიყენება როგორც მორალური პირის (მაგალითად, ავსტრიული და ფრანგული სამოქალაქო კოდექსები), ასევე იურიდიული პირის (გერმანია, შვეიცარია, პოლანდია და ა.შ.) ცნებები. რუსულ სამართალში, როგორც ეტყობა, ეს ცნება გერმანულის გავლენით შემოვიდა. აი, რას წერდა 1868 წელს პეტერბურგში გამოცემულ სამოქალაქო სამართლის კურსში დ.ი. მეიერი: „Юридическое лицо называется также нравственным или моральным (*personae moralis*); но приличнее называть его именно юридическим, потому что самая личность эта создается только во имя права“.<sup>20</sup> ქართულ ენაში, ეტყობა, ეს ცნება რუსულის გავლენით შემოვიდა.

მამასადამე, სამოქალაქო სამართალი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ახალი ცნებებით გამდიდრდა, რომლის გარეშე დღეს ჩვენი ცივილური სამართალი წარმოუდგენელია. თუმცა მისი გავლენა XIX საუკუნის კოდიფიკაციებზე ერთნაირი არ ყოფილა. მაგა-

<sup>15</sup> Lipp. Martin. „Persona moralis“, „juristische Person“ und „Personenrecht“ - Eine Studie zur Dogmengeschichte der „juristischen Person“ im Naturrecht und früheren 19. Jahrhundert. in: Quaderni Fiorentini, 11/12 (1982/83), S. 217-218.

<sup>16</sup> Schnizer. Helmut. Die juristische Person in der Kodifikationsgeschichte des ABGB, S.146.

<sup>17</sup> Coing, Bd.II, S.336.

<sup>18</sup> Schnizer. Helmut. Die juristische Person in der Kodifikationsgeschichte des ABGB, S.147.

<sup>19</sup> Hugo, Lehrbuch eines civil. Coursus, Bd.I, Berlin, 1792, S. 128. უფოთბე შნიცერის მიხედვით

გვ. 144.

<sup>20</sup> Русское гражданское право. Чтения Д.И.Мейера. 4-е изд. С. Петербург. 1968. С. 85.

ლითად, ფრანგული სამოქალაქო კოდექსი არავითარ ნორმებს არ შეიცავს იურიდიული პირების შესახებ; ეს პრობლემა საფრანგეთში საჯარო სამართლის საგნად მიიჩნეოდა. არც ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს იურიდიული პირის შესახებ დახურულ სამართლებრივ სისტემას. ესპანური სამართალიც (1833, 1836, 1852 წლების) განამტკიცებდა ნორმებს იურიდიული პირების შესახებ, ოღონდ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ სუბიექტებით, რომელთაც *Ius Commune*-ც იცნობდა (სახელმწიფო, თემები, საჯარო დაწესებულებები, პოსპიტლები).

იურიდიული პირების შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბება და განვითარება თითქმის მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია პანდექტური სამართლის მეცნიერებასთან. იურიდიული პირის თანამედროვე ცნება პრაქტიკულად შექმნა და განავითარა XIX საუკუნის პანდექტურმა სამართალმა.

რა იყო ახალი? რამ შეაძლებინა პანდექტისტიკის მეცნიერებას შეექმნა იურიდიული პირის ისეთი ცნება, რომელიც არსებითად მთელს მსოფლიოში გაბატონდა? განსხვავებები ცალკეულ ქვეყნებში მოცემულ წესებს შორის მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა. მოკლედ შევეხები ამ პრობლემას.

ა. პანდექტური სამართლის მეცნიერების მიერ შემუშავებული ადამიანის ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნება გავრცელდა ასევე ორგანიზაციებზეც და ისინი მიჩნეულ იქნენ უფლებაუნარიანად. მათ შეუძლიათ შეიძინონ უფლებები და იკისრონ ვალდებულებები, ჰქონდეთ საკუთარი ქონება. როცა ლაპარაკია კავშირებზე (გაერთიანებებზე), მაშინ მათი ქონება გამოცალკევებულია წევრთა ქონებისაგან. ეს ქონება ქმნის პასუხისმგებლობის მასას, რაც იმას ნიშნავს, რომ კავშირის პასუხისმგებლობა შეიძლება (მაგრამ არაა სავალდებულო) ამ ქონებით შემოიფარგლოს. ადამიანების უფლებაუნარიანობასთან შედარებით მათი უფლებაუნარიანობა შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ ქონებრივი უფლებაუნარიანობით. იურიდიული პირის პირად არაქონებრივ უფლებებს XIX საუკუნის მოძღვრება მაშინ არ იცნობდა;

ბ. იურიდიული პირის ცნება არ გამოიყენება მხოლოდ კორპორაციების აღსანიშნავად. *universitas* ცნება კი, როგორც დავინახეთ, კორპორაციის ცნების იდენტური იყო. „იურიდიული პირის“ ცნება მოიცავს კორპორაციებთან ერთად, ასევე დაწესებულებებსა და დამოუკიდებელ ფონდებს, ე.ი. იურიდიული პირის ცნება არის ზოგადი ცნება და გამოხატავს უფლებაუნარიან ორგანიზაციებს. ამასთან, არსებობს ორი სახის იურიდიული პირი: კორპორაცია (გაერთიანება) და ფონდი.

იურიდიული პირების დაყოფა გაერთიანებებად და ფონდებად ასევე ჰაიზუს სახელს უკავშირდება. იგი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მალე დაინერგა კიდევ. მაგალითად, საეინიმ ეს მოძღვრება საფუძვლად დაუდო თავისი „სისტემის“ მეორე ტომს, ხოლო პანდექტურმა სამართალმა კი მთლიანად აიტაცა იგი. მათ არც ავსტრიის ცივილისტიკა ჩამორჩა.<sup>21</sup>

ცხადია, ყოველივე ეს უაღრესად წინგადაგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ სამართლის მეცნიერება ჯერ კიდევ არ მიიჩნეოდა იურიდიულ პირებად ისეთ დიდ ორგანიზაციებს, როგორცაა სააქციო საზოგადოებები ან სხვა სავაჭრო საზოგადოებები. საეინი, მაგალითად, სს-ებს მხოლოდ ვალდებულებით სამართალში განიხილავდა და ისიც ფასიან ქალაქდებთან კავშირში.<sup>22</sup> იურიდიულ პირებად მათი აღიარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. მანამდე კი შეეხებოთ თეორიებს იურიდიული პირის შესახებ.

## §2. თეორიები იურიდიული პირის შესახებ

იურიდიული პირის შესახებ არსებულ თეორიებს ფუნდამენტი პრაქტიკულად გერმანელმა მეცნიერებმა დაუდეს. ფაქტობრივად გერმანელი მკვლევარების მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები გავრცელდა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც კანონმდებლობით არ განამტკიცებდნენ იურიდიული პირის სტატუსს (მაგალითად, საფრანგეთი, ავსტრია). ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ იურიდიული პირის თაობაზე გამართული დისკუსიების სულისჩამდგმელ, პანდექტურ თეორიებს დავეთმობთ მეტ ყურადღებას.

### *I. ფიქციის თეორია*

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში მეტად გავრცელებულია ე.წ. ფიქციის თეორია, რომლის ფუძემდებლადაც საეინი ითვლება. მან ეს მოძღვრება ცნობილ ნაშრომში „რომის სამართლის სისტემა“ (ტ. II) ჩამოაყალიბა. იურიდიული პიროვნულობა (juristische Persönlichkeit) ნიშნავს უფლებაუნარიანობას კერძო სამართლის ფარგლებში. მაგრამ ასეთი უნარი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს – ფიზიკურ პირს. მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს პიროვნება, პირი. მაგრამ სამართალს აქვს შე-

<sup>21</sup> Coing. Bd. II. S. 337-338.

<sup>22</sup> Coing. Bd. II. S. 339.



საძლებლობა ეს უნარი განსაზღვრულ სოციალურ წარმონაქმნებზე, როგორცაა: სახელმწიფო, თემები, საამქროები (Zünfte) გააერთიანოს და ეს ხდება იმისთვის, რომ მათ გაუადვილოს „თავისუფალი საქმიანობა“, დაეხმაროს დასახული მიზნების მიღწევაში.<sup>23</sup>

სავინის თანახმად, ლაპარაკია უფლებაუნარიანობის ტექნიკურ გადატანაზე ფიქციის მეშვეობით. იმავდროულად, ეს ფიქცია არ უზრუნველყოფს ავტომატურ თანასწორუფლებიანობას ფიზიკურ პირებთან: ამგვარი წარმონაქმნების უფლებაუნარიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ქონებრივი სფეროთი. ამით იურიდიული პირი არის „ქონებაუნარიანი, ხელოვნური სუბიექტი“.<sup>24</sup> უფლებაუნარიანობის ამგვარი „გავრცელება“ სოციალურ წარმონაქმნებზე შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ნორმის ან სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე. აქ სავინიზე იგრძობა Ius Commune-ს გავლენა, რომელიც იურიდიული პირის არსებობას სახელმწიფოს მხრიდან პრივილეგიის მინიჭებას უკავშირებს.

.. ეს ხელოვნური სუბიექტი – იურიდიული პირი აღამიანი საგან იმითაც განსხვავდება, რომ იგი არ არის ქმედუნარიანი. მას სჭირდება წარმომადგენელი ისევე, როგორც არასრულწლოვან ბავშვს. სავინი აქაც Ius Commune-ს მიმართავს: რადგანაც ბუნებრივი გაგებით იურიდიული პირი არაა ქმედუნარიანი, ის არც დელიქტუნარიანია.<sup>25</sup>

სავინის „ფიქციის თეორია“ სამართლის მეცნიერებაში არასწორად იქნა გაგებული. კამათი გამოიწვია იმან, თუ რას მიიჩნევდა სავინი ფიქციად – არსებულ სოციალურ წარმონაქმნებს, თუ მათ აღიარებას პირად, სამართლის სუბიექტად? ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფულუმეს სტატია, რომელმაც ბევრ ბუნდოვან კითხვაზე გასცა პასუხი და, ჩემი აზრით, სავინის მოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე სწორ ინტერპრეტატორად შეიძლება ჩაითვალოს. მოვიხმობ რამდენიმე ადგილს ამ მეტად საყურადღებო ნაშრომიდან, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ზუსტად გავერკვეთ ფიქციის თეორიაში და, უფრო კონკრეტულად კი – მის სავინისეულ გაგებასა და იმ გაგებას შორის, რომელიც მოგვიანებით ვინდშიაიდის სახელს უკავშირდება.

მაშასადამე, გერმანულ მეცნიერებაში არსებობდა მოსაზრება, რომე-

<sup>23</sup> Savigny, Friedrich Carl von: System des heutigen römischen Rechts. Bd.II. p.239. უთითებ კონკრეტულ მიხედვით, გვ.339.

<sup>24</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts. Bd.II. p.239.

<sup>25</sup> Coing. Bd. II, S.340; Savigny. System, Bd.II, p.318.

ლიც სავინის მიაწერდა აზრს, თითქოს მას ექვექვემ დაეყენებინოს ამ სოციალური წარმონაქმნების არსებობა და ამიტომაც შემოეღოს ფიქციის ცნება. ფლუმე ილაშქრებს ამ შეხედულების წინააღმდეგ და ამბობს: „არასწორია, რომ სავინის ფიქციად მიეჩნოს ის წარმონაქმნები, რომლებიც სამართლის მიხედვით იურიდიულ პირებს წარმოადგენენ“;<sup>26</sup> „სავინის საერთოდ არ დაუსვამს კითხვა მათი რეალურობის შესახებ, რომლებიც იურიდიული პირის თვისებას იღებენ“.<sup>27</sup> „თუ რამდენად რეალურია იურიდიული პირები სავინისთვის, უწინარეს ყოვლისა, იქიდან გამომდინარეობს, რომ მისთვის სახელმწიფოც იურიდიული პირია. სავინის მიხედვით, „იურიდიულ პირებს შორის ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის: ხაზინა, ე.ი. სახელმწიფო თვითონ, როგორც კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი“. აბსურდია იმის ვარაუდი, რომ სავინი სახელმწიფოს რეალობად არ თვლიდეს, არამედ ფიქციად“.<sup>28</sup> ამრიგად, სავინის მიხედვით, ფიქცია არის ის, რომ მხოლოდ ადამიანის უნარი, იყოს პიროვნება, გადაგვაქვს სხვა სოციალურ წარმონაქმნებზე, რომლებიც თავისი ბუნებით არ არიან პიროვნებები და უფლებაუნარიანი არსებები, ე.ი. ხელოვნურად ვქმნით მათ. მაშასადამე, *სავინის თანახმად. სოციალური წარმონაქმნები რეალურად არსებობენ (იხინი არ არის ფიქცია); მხოლოდ მათთვის პირად (პიროვნებად) ყოფნის სტატუსის მინიჭებაა ფიქცია.*

ამის ხაზგასმა იმისთვის დამჭირდა, რომ სავინის ფიქციის თეორია განვასხვაოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული ფიქციის თეორიისაგან, რომელიც ექვექვემ აყენებდა ორგანიზაციების, სოციალური წარმონაქმნების რეალურ არსებობას და ამიტომ მათ არსებობას მიიჩნევდა ფიქციად, ე.ი. ამ ავტორების თანახმად, საერთოდ იურიდიულ პირს აკლია რეალობა. მაგალითად, პუნტას აზრით, იურიდიული პირის დროს „თვით სუბიექტს აკლია ბუნებრივი ყოფიერება“.<sup>29</sup> ყველაზე ნათლად ეს შეხედულება მაინც ვინდშიაიდმა ჩამოაყალიბა. მისი აზრით, იურიდიული პირი არის მოჩვენებითი სუბიექტი; რამეთუ შეუძლებელია უფლებების არსებობა სუბიექტის გარეშე, საკანონმდებლო ტექნიკას სჭირდება ასეთი სუბიექტის შექმნა. ამდენად, ვინდშიაიდის თანახმად, თვით იურიდიული პირის არსებობაა ფიქცია.<sup>30</sup> იურიდიული პირის რეალურად არსებობას

<sup>26</sup> Flume. Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 342.

<sup>27</sup> იქვე. გვ. 342.

<sup>28</sup> იქვე. გვ. 343-344.

<sup>29</sup> Coing. Bd. II. S. 340.

<sup>30</sup> Flume. Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 354.

უარყოფს კელზენიც. მისთვის იურიდიული პირი სხვა არაფერია, თუ არა მართლწესრიგის ნაწილის პერსონიფიკირება.<sup>31</sup>

სავინისაგან განსხვავებით ვინდშაიდი და დერნბურგი იურიდიულ პირს მიაწერენ დელიქტუნარიანობას.<sup>32</sup>

ციტელმანმა შეპიილო ე.წ. სამართლებრივი ნებაუნარიანობის ცნება. მისი აზრით, მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ნება და მისი გამოხატვის უნარი, ამიტომ იურიდიულ პირებთან კავშირში საქმე გვაქვს არა ბუნებრივ ნებაუნარიანობასთან, არამედ „სამართლებრივ ნებაუნარიანობასთან“.<sup>33</sup>

ამ ცვლილებებისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, ფიქციის თეორია მთელი XIX საუკუნის განმავლობაში პანდექტურ მეცნიერებაში გაბატონებული იყო. უფრო მეტიც, ეს თეორია თანამედროვე სამართალშიც იურიდიული პირის არსის განსაზღვრის ერთ-ერთ ძირითად თეორიად ითვლება.<sup>34</sup>

## II. რეალური კავშირის თეორია

რეალური კავშირის თეორია წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფიქციის თეორიის საპირისპიროდ და გირკეს სახელთანა დაკავშირებული. რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს თეორია ცნობილი იყო „სოციალური ორგანიზმების“ თეორიის სახელით.<sup>35</sup> გერმანულად მას ეწოდება *reale Verbandspersönlichkeit*.

ფიქციის თეორიისაგან განსხვავებით, გირკეს თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანური გაერთიანებები (კავშირები) რეალურად არსებობენ. გირკე უთითებს ამ გაერთიანებათა დიდ სოციალურ მნიშვნელობაზე. მისი აზრით, ყოველი ადამიანი თვლის თავს ამა თუ იმ კავშირის — რელიგიური გაერთიანების ან მთლიანად ერის — წევრად. ამ კავშირებს თეორიის ავტორები მიიჩნევენ „ორგანიზმებად“. ძირითადი თეზის თანახმად, „თუ გვიკავშირები წარმოადგენენ ნებისა და მოქმედების სუბიექტს. გირკესთვის ეს ნიშნავს, რომ კავშირები თვითონ ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას და არა წარმომადგენლების მეშვეობით, როგორც ეს იურიდიული პირის

<sup>31</sup> Kelsen, Hans, *Allgemeine Staatslehre*, S. 66ff

<sup>32</sup> Windscheid, Bernhard, *Lehrbuch des Pandektenrechts* Bd. I. p. 168; Dernburg, Heinrich, *Pandekten*, Bd. I, p. 151 s. უკითხო: Coing, Bd. II, S. 341.

<sup>33</sup> Zitelmann, Ernst, *Begriff und Wesen der sogenannten juristischen Person*. Leipzig 1873, § 23.

<sup>34</sup> Larenz, AT, § 9 I, S. 133-134.

<sup>35</sup> Энциклопедия права. Проф. Университета св. Владимира Е.Н.Трубецкого. 1901. репринтное издание. Нью Йорк. 1982. С. 207.

შესახებ რომანულ მოძღვრებას ესმოდა, რომელიც იურიდიულ პირს უთანაბრებდა არასრულწლოვან ბავშვს იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა ნებაუნარიანობა.<sup>36</sup>

კავშირს სჭირდება საეციალური, მისი არსებისთვის შესაბამისი და ინდივიდების სამართლისაგან განსხვავებული წესრიგი. ამ წესრიგის აღსანიშნავად გირკე იყენებს სოციალური სამართლის ცნებას. სამართლებრივი აქტები, რომლებიც კავშირის ცხოვრებას განსაზღვრავენ, უნდა განვასხვაოთ კერძო სამართლის აქტებისაგან. კავშირის დაფუძნება არ არის ხელშეკრულება, არამედ „ერთობლივი აქტი“ (Gesamtakt), მისი ორგანოების საქმიანობა კი არ არის წარმომადგენლობა; აშკარაა, რომ ეს „უხილავი კავშირი-პიროვნება განმხორციელებელი და შერაცხადი, სურვილების მქონე და მოქმედი ერთეულია“.<sup>37</sup>

### III. მიზნობრივი ქონების თეორია

პანდექტური სამართლის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს, შეიმუშავა იურიდიული პირის მესამე თეორია, რომელიც იურიდიული პირის საკითხის განხილვისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა პირთა გაერთიანებას, არამედ ქონებას. ამ თეორიის თანახმად, იურიდიულ პირზე ლაპარაკისას გადამწყვეტია ქონება, რომელიც განსაზღვრული მიზნისთვის არის გათვალისწინებული. ამისთვის სრულიადაც არ არის აუცილებელი პირის არსებობა. შეიძლება არსებობდეს უფლებები სუბიექტის გარეშეც. ამ მოძღვრების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება ბრინცი.<sup>38</sup>

### IV. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის თეორიები იურიდიული პირის შესახებ

საბჭოთა თეორიები საბჭოთა იურიდიული პირის შესახებ დეტალურად არის განხილული საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში და ამიტომ აქ აღარ შეეხები.<sup>39</sup> რაც ამ თეორიებს საერთო აქვთ, ისაა, რომ ისინი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ე.ი. სახელმწიფო

<sup>36</sup> Coing, Bd.II, S.341; Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 355.

<sup>37</sup> Gierke, Otto von, Das Wesen der menschlichen Verbände. Rektoratsrede von der Universität Berlin am 15. Oktober 1902, p. 30.

<sup>38</sup> Brinz, Alois, Pandekten, I, § 59. უკითხო: Coing, Bd.II, S.343.

<sup>39</sup> Субъекты гражданского права. М. 1984. С. 57-72.

იურიდიული პირების შესახებ თეორიები. ეს იმით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არც ცნობდა პირთა კერძო ინიციატივის საფუძველზე გაერთიანებების შექმნას. ფორმალურად დამოუკიდებელი სუბიექტები, როგორც იყო კოლმეურნეობები, კავშირები და სხვა ამგვარი გაერთიანებები უმკაცრესი სახელმწიფო მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ამიტომ შეუძლებელია მათ კერძო სამართლის იურიდიული პირები ეწოდოთ.

## *V. იურიდიული პირის შესახებ თეორიების გავრცელება*

პანდექტური სამართლის მეცნიერებაში წარმოშობილი თეორიები იურიდიული პირის გამო სხვა ქვეყნებშიც იქნა გადატანილი და ზოგან უცვლელად გადმოღებული, ზოგან კი ზოგიერთი მოდიფიკაციით. აესტრიასა და შვეიცარიას გერმანულ თეორიებში პრაქტიკულად არაფერი შეუცვლიათ.

აღნიშნული თეორიების გვერდით საფრანგეთშიც განვითარდა ცალკე თეორია, ე.წ. *კოლექტიური საკუთრების თეორია*, რომელიც ცდილობს იურიდიული პირის არსი ახსნას საერთო საკუთრების პირობებიდან. მის საფუძველს შეადგენს ქონება, რომელიც განსაზღვრული მიზნისთვის არის გათვალისწინებული და ორგანიზაციის, როგორც კოლექტივის, საკუთრებაში იმყოფება.

XIX საუკუნის იტალიაშიც იყო დიდი დისკუსია იურიდიული პირის გამო. მნიშვნელოვანია ფერერას როლი, რომელმაც იურიდიული პირი ორგანიზაციების მოწესრიგების, სამართლით განმტკიცებულ, ერთ-ერთ ფორმად აღიარა.

ამ მცირედი განსხვავებების მიუხედავად, მოძღვრებამ იურიდიული პირის შესახებ თითქმის უსიტყვოდ დაიკავა თავისი მყარი ადგილი თანამედროვე სამოქალაქო სამართალში.

## *VI. იურიდიული პირი. როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია*

### *ა. იურიდიული პირი – საფრთხობელა ადამიანთა შორის*

იურიდიული პირის ასეთი შეფასება ბრინცის სახელთანაა დაკავშირებული<sup>40</sup> და ლაკონურად გამოხატავს ყველა იმ თეორიის საერთო ნაკლს

<sup>40</sup> Brinz. Pandekten-Lehrbuch. Bd.I. S.XI.

(მათ შორის ბრინცის თეორიისას მიზნობრივი ქონების შესახებ), რომელიც იურიდიული პირის გამო არსებობენ.

საინიდან დაწყებული გირკეთი დამთავრებული, ყველა თეორია ცდილობდა იურიდიული პირისთვის ადამიანის სახე მიეცა, იგი ადამიანისთვის დაემსგავსებინა, რომ ამით შესაძლებლობა ჰქონოდა სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილედ ექცია იგი. იურიდიული პირის სუბიექტობის ასეთი ახსნა სრულიად ადვილი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქას, რომელშიც ეს თეორიები იზადებოდა, სახელდობრ, განმანათლებლობისა და ბუნებითი სამართლის გაუგონარი ზეგავლენის შედეგად ადამიანმა ახლანან მოიპოვა სრული უფლებაუნარიანობა; იგი დიდი ხანი არაა, რაც სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი გახდა და სამართლის სუბიექტად ყოფნის მისი ეს უნარი დაბადებისთანავე წარმოიშობა. იმავედროულად, წარმოიშობა მეორე გარემოებაც: ეკონომიკური წინსვლის აუცილებლობა მოითხოვს სოციალურ ურთიერთობებში არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების, არამედ მათი გაერთიანებების მონაწილეობას. ამ ადამიანების მონაწილეობით წარმოშობილი სოციალური წარმონაქმნები სამართალში ჯერჯერობით ვერ იმკვიდრებენ ადგილს. არადა ამის აუცილებლობა და გარდაუვლობა სულ უფრო აშკარა ხდება. ადამიანის აღიარებით სამართლის სუბიექტად პანდექტისტიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ამასვე ცდილობს იგი ორგანიზაციული წარმონაქმნების მიმართაც. ყველა თეორია ცდილობს იურიდიულ პირში დაინახოს ადამიანი, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს, მოქმედებს (გირაკე), რომელსაც აქვს მიზნობრივი ქონება (ვინდშიაიდი) და იძენს უფლებებსა და მოვალეობებს (სავინი). ხატონად შეაფასა ეს გარემოება ბრინცმა – „საფრთხობელა ადამიანებს შორის“.

ამ ნაკლის მიუხედავად, XIX საუკუნის თეორიებმა უდიდესი როლი ითამაშეს. სწორედ მათ გახადეს შესაძლებელი იურიდიული პირის ცნების საბოლოო დამკვიდრება თანამედროვე სამართალში. ეს ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც სამოქალაქო კოდექსებში კონკრეტულად იურიდიულ პირზე არაფერს ამბობენ და არც ამ ცნებას ხმარობენ საერთოდ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იურიდიული პირის ცნება ინგლისურ-ამერიკულ სამართალშიც იმკვიდრებს თავის ადგილს.

იურიდიული პირების შესახებ კლასიკური თეორიების ეს ნაკლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში.<sup>41</sup> მე-

<sup>41</sup> Knieper. Gesetz und Geschichte, S. 62; Flume. Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 355-356.

ტად კატეგორიულია ფლუმე ამ თეორიების შეფასებაში: „მოდერება იურიდიული პირის, როგორც რეალური კავშირის შესახებ (გირკე), რომელიც ნებაუნარიანი და ქმედუნარიანია, არც შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულ მოძღვრებად. ასევე უარსაყოფია ის მოძღვრებები, რომლებიც იურიდიულ პირად მიჩნეული წარმონაქმნების ნამდვილობას უარყოფენ და მხოლოდ მის ცალკეულ მომენტებზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორცაა ქონება, დესტინატურები, ორგანოები. იურიდიული პირის საკითხი არ არის საკითხი ამ წარმონაქმნების ნამდვილობის შესახებ. მცდელობას, სხვადასხვა წარმონაქმნების ნამდვილობა ერთიანი ცნების ქვეშ მოაქციოს, აზრი არა აქვს და არც შედეგი მოჰყვება“.<sup>42</sup>

მაშ რა არის იურიდიული პირი და რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას მოცემული სამართლისთვის?

უნდა დავეთანხმოთ შეხედულებას, რომ იურიდიული პირის ცნება არის აბსტრაქტული ცნება სხვადასხვა მოქმედი ერთეულების გამოსახატავად, რომელთაც მართლწესრიგი იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებს.<sup>43</sup> უფრო კონკრეტულად და ლაკონიურად ამ აზრს აყალიბებს კნიპერი: „ადამიანების, როგორც ფიზიკური პირების, სამართალსუბიექტობა და იურიდიული პირების სამართალსუბიექტობა არის ნორმატიული, პოზიტიურ-სამართლებრივი კონსტრუქცია“.<sup>44</sup>

### **ბ. იურიდიული პირი – პოზიტიურ-სამართლებრივი აბსტრაქტული ცნება**

თანამედროვე სამართლის მეცნიერების კვლევების გაცნობა და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი თვალნათლივ განამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ იურიდიული პირის ცნება პოზიტიურ-სამართლებრივ კონსტრუქციას წარმოადგენს: მართალია, იურიდიული პირის შესახებ არსებული თეორიების წყალობით ეს ცნება სამართალში მყარად დამკვიდრდა, მაგრამ მათ დღეს პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე აღარა აქვთ. იურიდიულ მეცნიერებაშიც მათ უმთავრესად ცნების ევოლუციასთან კავშირში იხილავენ.

„იურიდიული პირი“ არის პოზიტიურ-სამართლებრივი აბსტრაქტული ცნება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღონ ადამიანთა გაერთიანების ან მათ მიერ განსაზ-

<sup>42</sup> Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 356.

<sup>43</sup> Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person. S. 357.

<sup>44</sup> Kniener, Gesetz und Geschichte, S. 66.

ღვრული მიზნისთვის ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილმა ორგანიზაციულმა წარმონაქმნებმა. ისტორიულად, როგორც უკვე ვნახეთ, არც ადამიანები ყოფილან აპრიორი სამართლის სუბიექტები. ყველა ადამიანის აღიარება სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტად თანამედროვე სამართალს უკავშირდება და განპირობებული იყო ისტორიულ-იდეოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებით. ამ გარემოებებით ხელდასმული აუცილებლობა სამართალმა დაადასტურა — ყველა ადამიანი აღიარა უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად. ამისთვის შემოიღო მან სამართლის სუბიექტის ცნება, ფიზიკური პირის ცნება, უფლებაუნარიანობა და ა.შ.

ისტორიულმა პირობებმა იმის აუცილებლობაც განაპირობეს, რომ კონკრეტული ადამიანების გარდა, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ყოფილიყო ამ ადამიანების მიერ შექმნილი წარმონაქმნებიც. მეცნიერებამაც იგრძნო ამის აუცილებლობა და შეეცადა შესაბამისი კონსტრუქცია შეექმნა მათთვის. მეცნიერების მიერ შემუშავებული ცნებები „მორალური პირისა“ და „იურიდიული პირის“ შესახებ პოზიტიურმა სამართალმა პირდაპირ ან არაპირდაპირ განამტკიცა. ამგვარ ქმნილებებს სამართალმა მიანიჭა უნარი ყოფილიყვნენ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები.

ადამიანთა გაერთიანებების ფორმები შეიძლება სრულიად მრავალფეროვანი იყოს. შესაძლოა ასევე მრავალფეროვანი იყოს ქონების გაერთიანების ფორმები. გაერთიანებისა და ქონების ყველა ამ ფორმას რომ მიეცეს სამართლის სუბიექტის სტატუსი, ეს დიდ ქაოსს გამოიწვევს. ამიტომ პოზიტიური სამართალი იძულებულია გააკეთოს არჩევანი და იურიდიულ პირად, ე.ი. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ აღიაროს ესა თუ ის ფორმა. ასეთი არჩევანის გაკეთება მრავალი გარემოებითაა განსაზღვრული: ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.

თანამედროვე სახელმწიფოებს მეტ-ნაკლებად ღია საზოგადოებებში უხდებათ არსებობა. დასავლეთის ქვეყნების მიმართ დიდ როლს თამაშობდა საერთო სამართლებრივი კულტურა. ამიტომ ისინი ძალაუვნებურად ექცევიან ერთმანეთის გავლენის ქვეშ და იურიდიული პირის სტატუსს ანალოგიური ფორმის გაერთიანებებს ანიჭებენ.

ცხადია, რომ სამართალი იურიდიულ პირად ყოფნას განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ამიტომაც არის პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი, თუ სამართალი რას მიიჩნევს იურიდიულ პირად და რა კრიტერიუმებს უწესებს მათ. მაშასადამე, იურიდიული პირი არ არის



უნივერსალური, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ცნება. იმავდროულად, კანონმდებლის მიერ იურიდიულ პირად აღიარება გარკვეულ წინაპირობებს ემყარება. ის, რომ იურიდიული პირი კანონმდებლის ხელოვნური ქმნილებაა და მიზანშეწონილობას ემყარება უპირატესად, იქიდანაც ჩანს აშკარად, რომ იურიდიულ პირად აღიარებული ორგანიზებული წარმონაქმნები თავისი ხასიათით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ლოგიკურ სისტემას არ შეადგენენ. ერთ შემთხვევაში პირთა გაერთიანებები (კორპორაციები) მიიჩნევა იურიდიულ პირებად, მეორე შემთხვევაში კი — ქონება (ფონდი).

მაშასადამე, იურიდიული პირი არის აბსტრაქტული ცნება, რომელსაც ყოველი კონკრეტული მართლწესრიგი ნორმატიულად განამტკიცებს. ნორმატიული განმტკიცება არ ნიშნავს აუცილებლად იურიდიული პირის დეფინიციის მოცემას კანონში. ბევრი ქვეყანა ასეთ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა იურიდიული პირის არსებობას ეს ქვეყნები არათუ უარყოფენ, პირიქით, მის სამშობლოდაც კი ითვლებიან. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არ არის იურიდიული პირის დეფინიცია.

იურიდიული პირის ის დეფინიცია, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილშია განმტკიცებული, ემყარება, როგორც სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევებს, ასევე დასავლეთის ქვეყნებში არსებულ და თითქმის უუჭველად მიჩნეულ იურიდიული პირის ნიშნებს.

### §3. იურიდიული პირის ნიშნები

დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების სამართალს ანტიერესებს არა დეფინიცია, არამედ ამ სუბიექტების რეალური შინაარსი, უფრო ზუსტად, სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ფორმები და ხასიათი. ამიტომ, როგორც სწორად იყო ქართული სამართლის მეცნიერებაში აღნიშნული,<sup>45</sup> იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნორმებიდან გამოჰყავთ, რომლებიც ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებშია მიმობნეული და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ.

<sup>45</sup> ხეცურიანი ჯ.. იურიდიული პირის ძირითადი საკითხები. კრებულში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1984 წ., გვ. 195-196.

ამა თუ იმ ცნების, განსაკუთრებით კი იურიდიული პირების ცნების ლეგალურ დეფინიციას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. როგორც წესი, ის მხოლოდ არსებით ნიშნებს განამტკიცებს. სხვა დანარჩენი კი ცალკეული ნორმების შინაარსიდან უნდა იქნეს გამოყვანილი. იგივე ითქმის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილზეც, რომელიც თუმცა კი იძლევა იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას, მაგრამ ეს არ არის ამომწურავი სამართლის ამ სუბიექტის სრულად დახასიათებისათვის. იმავდროულად, 24-ე მუხლის ეს დეფინიცია სრულიად შეესაბამება დასავლეთის ქვეყნებში არსებულ შეხედულებას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ და მოქმედ კანონმდებლობას.

ა. ყოველი იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პირთა ანდა ქონების გაერთიანების შედეგადაა აღმოცენებული. მაშინაც კი, როცა იურიდიული პირი ერთი პირის მიერ იქმნება, მაგალითად, შპს, იგი მაინც ორგანიზებული წარმონაქმნია. იგივე ეხება ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილ იურიდიულ პირებს – ფონდებს.

ორგანიზებული წარმონაქმნობის ნიშანი რამდენიმე გარემოებას გულისხმობს. იურიდიული პირი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. განსაკუთრებით ეხება ეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართ გამოიყენება *numerus clausus* პრინციპი. გარდა ამისა, ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ასევე კანონით განსაზღვრული საორგანიზაციო სტრუქტურები – მართვის ორგანოები. სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით ახორციელებს თავის საქმიანობას იურიდიული პირი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებში იურიდიული პირის ეს ნიშანი გაკრიტიკებული იყო. ვფიქრობ, რომ კრიტიკის მიზეზი მხოლოდ გაუგებრობაა: თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მართვის ორგანოებით, ამ ორგანოების შექმნის წესით და ა.შ. იურიდიული პირი ყოველთვის ორგანიზებული წარმონაქმნია.

ბ. განსაზღვრული მიზნის მიღწევა იურიდიული პირის ერთ-ერთ კონსტიტუციურ ნიშნად არის მიჩნეული. იურიდიული პირის დაფუძნებისას დამფუძნებლები ყოველთვის რაღაცის მიღწევას ისახავენ მიზნად და ამისთვის საჭიროებენ იმ ნორმატიულ-სამართლებრივ კონსტრუქციას, რომელსაც იურიდიული პირი ეწოდება. ამ მიზნის განსაზღვრისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სამართლებრივად მნიშვნელოვანი მიზანი და

იურიდიული პირის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი მიზანი. სამართლებრივად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს იურიდიული პირის შექმნა კომერციული (მოგების მიღება) თუ არაკომერციული (იდეალური მიზანი) მიზნებისთვის. ამგვარი დაყოფა სამართლებრივად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კანონმდებლობა განსაზღვრულ შეზღუდვებს აწესებს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევისას. მაგალითად, არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება შეიქმნან მხოლოდ კავშირების ან ფონდების ფორმით.

მაგრამ 24-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული მიზანი უფრო ვიწროა და გულისხმობს იურიდიული პირის შემქმნელთათვის მნიშვნელოვან მიზანს. კონკრეტულად იმას, თუ რისთვის იქმნება ეს სუბიექტი, რისთვის სურთ დამფუძნებლებს თავიანთი ქონება თუ პირადი ღვაწლი გამოიყენონ. მიზნის ეს დეფინიცია არ არის სპეციალური უფლებაუნარიანობის საფუძველი და არც იურიდიული პირის, როგორც მიზნობრივი ქონების, თეორიის გამოხატულება.

გ. ორგანიზებული წარმონაქმნის მიზნის ხასიათიდან უნდა ირკვეოდეს, რომ ის არ არის ერთჯერადი, ერთი მოქმედების მეშვეობით მისაღწევი მოვლენა. იგი უნდა მოითხოვდეს ორგანიზებული წარმონაქმნის არსებობას ხანგრძლივი ვადით, ე.ი. მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული ორგანიზებული წარმონაქმნის ხანგრძლივობა შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან. კანონი სრულიად ბუნებრივად და მართებულად არ განსაზღვრავს ამ ვადის ხანგრძლივობას. „ვადის ხანგრძლივობა“ გამოიყენება არა კონკრეტული კალენდარული ვადის აღსანიშნავად, არამედ იმ განზრახვის გამოსახატავად, რომელიც საფუძველად უდევს იურიდიული პირის შექმნას და მის საქმიანობას. ამა თუ იმ დაწესებულების თანამშრომლების მიერ ფულის შეგროვება დაბადების დღის აღსანიშნავად საჩუქრის საყიდლად ფორმალურად თუმცა შეიცავს 24-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ მას სწორედ ხანგრძლივობის განზრახვა აკლია.

დ. იურიდიული პირის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ მას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ქონება და ეს ქონება განცალკევებული უნდა იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. როგორც უკვე დავინახეთ, ამ ნიშანს დიდი ხნის ისტორია აქვს და უფრო ხანდაზმულია, ვიდრე თვით იურიდიული პირის ცნების ისტორია. დამოუკიდებელი ქონების არსებობაა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და წინაპირობა იურიდიული პირის წარმოშობისთვის. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგი თეო-

რია მას გადაწყვეტადაც კი მიიჩნევდა (მიზნობრივი ქონების თეორია). იურიდიული პირი ამ ქონების მესაკუთრეა. თვითონ იურიდიული პირი კი არავის საკუთრება არ არის, როგორც ამას ხშირად შეეხვედებით საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. იურიდიული პირის ქონება არც დამფუძნებლების ან მასში მონაწილეთა საერთო საკუთრებაა. მათი საკუთრება მხოლოდ ამ იურიდიული პირის წილები ან აქციებია. მაშინაც კი, როცა საქმე საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან გვაქვს, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი სახელმწიფოა, ქონების მესაკუთრედ მაინც იურიდიული პირი გამოდის. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი მესაკუთრეა იმ ქონების, რომელიც მას სახელმწიფოსგან აქვს გადაცემული. თუმცა ამ უნივერსიტეტის ძირითადი განმკარგულებელი სახელმწიფოა, იგი მისი „მესაკუთრე“ მაინც არ არის. სახელმწიფოს შეუძლია კანონით დადგენილი წესით გარდაქმნას ან ლიკვიდაცია გაუკეთოს უნივერსიტეტს, მაგრამ „მესაკუთრის“ ცნების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ სამართლებრივად არაკორექტულია.

დამოუკიდებელი ქონების არსებობა უკავშირდება იურიდიული პირის დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. უზოგადესი პრინციპის თანახმად, იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი იურიდიული პირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად მისი დამოუკიდებელი ქონების არსებობას აღიარებს, არც იურიდიული პირის მონაწილეების (პარტნიორების) პასუხისმგებლობას გამოიციხავს. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო სამართლით ღია სავაჭრო საზოგადოება, რომელსაც ქართულ სამართალში შეესაბამება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული პირია, მაგრამ მისი პარტნიორები კრედიტორების წინაშე პირდაპირ და შეუზღუდავად აგებენ პასუხს. ანალოგიურ წესს ითვალისწინებს საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

იმ ქვეყნებშიც, სადაც კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ მისი ქონებით შემოიფარგლება, სასამართლო პრაქტიკამ გამოჩვენა, რომ მაინც დაამკვიდრა. მაგალითად, გერმანიისა და პოლანდიის კანონმდებლობა შპს-ს პასუხისმგებლობას შემოიფარგლავს მხოლოდ მისი ქონებით, მაგრამ სასამართლო პრაქტიკამ ხშირ შემთხვევებში პასუხი დააკისრა მის დამფუძნებლებს, განსაკუთრებით ერთი პირის მიერ დაფუძნებული შპს-ს შემთხვევაში. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ ზიანი სწორედ პარტნიორის დაუდევარი მოქმედების

შედეგად წარმოიშვა. ქართულმა სამართალმა გაითვალისწინა ეს ტენდენცია და მეწარმეთა კანონში განამტკიცა ანალოგიური ნორმა.

სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც ასევე იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, მათი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ქონებით — სუბსიდოურად (ე.ი. დამატებით) სახელმწიფოც აგებს პასუხს საწარმოს კრედიტორების წინაშე.

იურიდიული პირის ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპიდან ეს გამონაკლისები კიდევ უფრო ადასტურებენ იმ შეხედულებას, რომ იურიდიული პირი არის ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია და მასში კანონმდებელი იმ შინაარსს დებს, რომელიც გარემოებათაგან გამომდინარე რაციონალური და მიზანშეწონილია. მაგრამ რაც აუცილებელია ამ ნიშნის დახასიათებისას, ესაა წვერთა პირადი ქონებისაგან განცალკევებული ქონების არსებობა. მის გარეშე არ შეიძლება იურიდიული პირი რეალურად არსებობდეს.

ე. სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გაიოლების მიზნით და სხვა მონაწილეთაგან განსხვავების უზრუნველსაყოფად იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი. ეს ნიშანი ანიჭებს მას შესაძლებლობას შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე და ა.შ. მოკლედ, იყოს ყველა იმ ურთიერთობის მონაწილე, რომელსაც სამოქალაქო სამართალი მას განუსაზღვრავს.

საკუთარი სახელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იურიდიული პირის განსაზღვრისათვის. მისი მეშვეობით ხდება სამართლის ამ სუბიექტის ინდივიდუალიზება და იდენტიფიკაცია. პირადი არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში სამოქალაქო სამართალი მას მნიშვნელოვან შედეგებსაც უკავშირებს.

ვ. საქართველოს სამოქალაქო სამართალი, ისევე როგორც დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო სამართალი, კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმოშობას რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. ამიტომ იურიდიული პირების რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

ყველა ზემოთ განხილული ნიშანი შეიძლება ახასიათებდეს ამა თუ იმ ორგანიზებულ წარმონაქმნს. მაგალითად, როცა ექსკურსიაზე მიდის სტუდენტთა ჯგუფი, გარეგნულად ეს არის ორგანიზებული წარმონაქმნი. ისინი აგროვებენ ფულს, რათა დაიქირაონ ავტობუსი და გადაიხადონ სასტუმროს ქირა; ე.ი. ამ ჯგუფის სახელით იდება ხელშეკრულებებიც (მგზავრობისა და ქირავნობის). არაა გამორიცხული, რომ ამ ჯგუფმა სახელიც კი დაირქვას. როგორც ჩანს, გარეგნულად ყველა ნიშანი იური-

დიული პირისაა. მაგრამ ასეთი გაერთიანება არ იქნება იურიდიული პირი, რამეთუ არ შეესაბამება იურიდიულ პირთა იმ კატალოგს, რომელსაც კანონმდებლობა განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის არსებობის ფუძემდებლური წინაპირობა მაინც საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა. თუ მოქმედი კანონმდებლობა არ მიიჩნევს ამა თუ იმ წარმონაქმნს იურიდიულ პირად, იგი არ იქნება იურიდიული პირი. ესეც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ იურიდიული პირი არის ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია.

#### §4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, რომლის ერთიანი ცნების არსებობას თითქმის ყველა ქვეყანა აღიარებს, იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის სამართალი განსხვავებულად წყვეტს. ეს ეხება არა მხოლოდ განსხვავებული სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებს, არამედ თვით კონტინენტური ევროპის სამართლის წარმომადგენელ სახელმწიფოებსაც. გერმანული სამართლის წრის ქვეყნები (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია) აღიარებენ იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპს და ამით მას პრაქტიკულად ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობასთან აიგივებენ. ინგლისურ-ამერიკული სამართლის ქვეყნები, ასევე კონტინენტური სამართლის ზოგი ქვეყანა, მაგალითად, საფრანგეთი, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ფარგლებს ზღუდავენ მხოლოდ წესდებით ან სხვა დაბუფუნებული დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნებით. ამით ამ ქვეყნების სამოქალაქო სამართალი, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მსგავსად, განამტკიცებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუტს.

#### *I. ზოგადი უფლებაუნარიანობა*

გერმანული, შვეიცარიული, ავსტრიული სამართლის მიხედვით კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ისეთივე უფლებაუნარიანობა აქვთ, როგორც ფიზიკურ პირებს. ფიქციის თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც იურიდიულ პირებს უფლებაუნარიანობას მხოლოდ ქონებრივ სფეროში ანიჭებდა, ამ ქვეყნების სამართალი იურიდიულ პირებს უფლებაუნარიანად მიიჩნევს პირადი ურთიერთობების სფეროშიც. ამით იურიდიული პირების

უფლებას უნარიანობა ფორმალურად იგივეა, რაც ფიზიკური პირების. ფორმალურად იმიტომ, რომ ფაქტობრივად ეს უფლებას უნარიანობა თავისი მოცულობით მანაც განსხვავდება ფიზიკური პირების უფლებას უნარიანობისაგან. ეს განსხვავება გამოწვეულია არა საკანონმდებლო (თუმცა არც ესაა გამორიცხული) მოსაზრებებით, არამედ გამომდინარეობს თვით იურიდიული პირის ბუნებიდან. მაგალითად, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში, უფრო ზუსტად, საქორწინო ურთიერთობებში, იურიდიული პირის მონაწილეობა გამორიცხულია: იგი არ შეიძლება იყოს არც ცოლი და არც ქმარი. ფიზიკური პირებისთვის დაუშვებელია უფლებას უნარიანობის ჩამორთმევა მაშინ, როცა იურიდიულ პირს შეიძლება ჩამოერთვას უფლებას უნარიანობა, თუკი ის ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზოგადი უფლებას უნარიანობის ცნების თანახმად, იურიდიული პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და არაა აუცილებელი, რომ ეს ურთიერთობები წესდებაში იყოს ჩამოყალიბებული. მაგალითად, თვითმფრინავების ქარხანას შეუძლია ასევე გამოუშვას ავტომანქანები და ამის შესახებ წესდებაში ცვლილებების შეტანა სავალდებულო არაა. იმ მიზანს, რასაც სპეციალური უფლებას უნარიანობის ქვეყნები აღწევენ (იურიდიული პირის პარტნიორთა ქონების დაცვა არამიზნობრივი გამოყენებისაგან), ზოგადი უფლებას უნარიანობის ქვეყნები იურიდიული პირის შიგნით ურთიერთობების მოწესრიგებით აღწევენ, კერძოდ, იმით, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დამფუძნებლების წინაშე, თუკი ისინი წესდების მიზნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ იურიდიული პირის ქონებას. სამოქალაქო სამართლისთვის ეს ნიშნავს, რომ წესდების მიზნების საპირისპიროდ დადებული გარიგება არ მიიჩნევა ბათილად მხოლოდ იმის გამო, რომ იგი წესდებას ეწინააღმდეგება. ბათილობის საფუძველი აქ უფრო შეიძლება იყოს ის, რომ ხელმძღვანელმა, ვთქვათ, გადააჭარბა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამიტომ ამას უწოდებენ „ხელმძღვანელობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას“<sup>44</sup> და არა სპეციალურ უფლებას უნარიანობას.

ზოგადი უფლებას უნარიანობა უფრო კონკრეტულად ნიშნავს, რომ იურიდიული პირი შეიძლება იყოს მესაკუთრე როგორც ნივთების, ასევე უფლებებისა და მოთხოვნების, მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემ-

<sup>44</sup> Soergel-Hadding, Vor. §.21, Rn. 24.

კვიდრე. კომერციული იურიდიული პირების პარტნიორი და ა.შ. ე.ი. მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელსაც კანონი იურიდიულ პირებს არ უკრძალავს. თუ რამდენად არასტაბილურია ეკონომიკური ურთიერთობებისთვის სპეციალური უფლებაუნარიანობის დამკვიდრება, ამას ჩვენ ქვემოთ ვნახავთ. სწორად აღნიშნავენ ავსტრიელი იურისტები, რომ ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების პარტნიორს დამატებით მოუწევდა თავისი კონტრაქტის წესდების შემოწმება და იმის დაზუსტება, შეუძლია თუ არა მის კონტრაქტს ამ ხელშეკრულების დადება.<sup>47</sup>

იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის განხილვისას აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, ერთდროულად წარმოიშობა. მას ცალკე შეეხები.

ჩემი აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, უფრო ადრე, მეწარმეთა კანონმა სწორი გზა აირჩია, როცა განამტკიცა იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპი. ტოტალიტარული წყობილებიდან გამოსულ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება ისეთი საფუძვლები, რომლებიც ძველი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელ სულისკვეთებას შეზღუდავენ. სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპს, რომელიც საბჭოთა წყობილებიდან ქართულ სამართალსაც მემკვიდრეობით გადმოჰყვა, სამოქალაქო სამართლისთვის პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა არც ჰქონია. სამაგიეროდ მას მაკონტროლებელი ორგანოები იყენებდნენ. ხშირად პარადოქსული მდგომარეობაც კი იქმნებოდა. მაგალითად, თუ იურიდიულ პირს წესდებაში არ ეწერა, რომ მას უფლება აქვს ბანკში გახსნას ანგარიში, ბანკი ანგარიშს არ უხსნიდა.

## **II. სპეციალური უფლებაუნარიანობა**

### **ა. იურიდიული პირის სტატუსი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში განსაკუთრებით უფლებაუნარიანობასთან კავშირში**

როგორც უკვე დავინახეთ, ინგლისურ-ამერიკულ სამართალში არ გამოიყენება იურიდიული პირის ერთიანი ცნება და ამ ორგანიზაციული წარმონაქმნების აღსანიშნავად იხმარება corporation. თუმცა ინგლისური

<sup>47</sup> Koziol/Welser. Grundriß des bürgerlichen Rechts, Bd.I, S. 64-65.



სამართლის მეცნიერება ცდილობს კონტინენტური ევროპის სამართალთან ურთიერთობის გაიოლების მიზნით იურიდიული პირის ცნებაც გამოიყენოს – juristic person, მაგრამ პრაქტიკაში მაინც ვერ დაკვიდრდა. juristic person არ არის ერთადერთი ცნება, რომელსაც ინგლისური სამართალი მიმართავს სამართლის ამ სუბიექტის აღსანიშნავად – legal, artificial, fictitious ან moral person. მართალია, იურიდიული პირის ერთიანი ცნება არ არსებობს, მაგრამ თითოეული აქ მოხსენიებული ცნება აშკარად მია-ნიშნებს, რომ ყველა შემთხვევაში ლაპარაკია ორგანიზებულ წარმონაქ-მნზე, რომელიც სამართლის, სახელმწიფოს მიერაა სამართლის სუბიექ-ტად, ე.ი. პირად აღიარებული.

კონტინენტური ევროპის სამართლის მსგავსად, ინგლისურ სამარ-თალშიც კორპორაციების უფლებაუნარიანობის საკითხის დაყენება გა-სულ საუკუნეს უკავშირდება. ოღონდ კონტინენტურისაგან განსხვავებით ინგლისურ სამართალში ეს საკითხი მეცნიერებასა და სამართლებრივ დოგმას კი არ წამოუყენებია, არამედ სასამართლო პრაქტიკას.

გასული საუკუნის შუა პერიოდში ინგლისელი მოსამართლეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კორპორაციებსაც შეიძლება ჰქონოდა power ან capacity, ე.ი. უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, რომელსაც მათ სახელმწიფო ანიჭებდა.<sup>48</sup> მაგრამ რადგანაც კორპორაციები ყოველთვის მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისათვის იქმნებიან, ისინი შეიძლებოდა არსებულებიყვნენ მხოლოდ ამ მიზნებისათვის. სახელმწიფოს მიერ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ისინი სამართლებრი-ვად არ არსებობდნენ. ასეთი იყო ინგლისელი მოსამართლეების აზრი, რომელიც ასახავდა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში გაბატონებულ იუ-რიდიული პირების უფლებაუნარიანობის თეორიას – ultra vires მოძღვრე-ბას, იგი შეიძლება შევადაროთ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში არსე-ბულ იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობის ცნებას.

რადგანაც კორპორაციები სამართლებრივად მხოლოდ წინასწარ გან-საზღვრული მიზნის ფარგლებში არსებობენ, წესდებით განსაზღვრული მიზნების გარეთ დადებული ხელშეკრულებები უნდა ჩაითვალოს ბათი-ლად, რამეთუ ეს ხელშეკრულებები კორპორაციის სამართლებრივი შე-საძლებლობის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან.<sup>49</sup> ამ მოძღვრების მიზანი შეიძლებოდა ორგვარი ყოფილიყო: ჯერ ერთი, კორპორაციების წილთა

<sup>48</sup> Mantell, S. 6.

<sup>49</sup> Mantell, S.6-7.

მელოპელებს უნდა სცოდნოდათ. თუ რა მიზნებისთვის გამოიყენება მათი ფული და, მეორე, კრედიტორები უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი და დარწმუნებულნი, რომ მათი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კორპორაციის არსებული ქონება წესდების შეუსაბამო მიზნებისათვის გამოყენებით არ შემცირებულიყო. ასე იქნა დასაბუთებული ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც 1875 წელს იქნა მიღებული და ინგლისურ სამართალში (ნაწილობრივ ასევე ამერიკულში) ultra-vires მოძღვრების (ე.ი. სპეციალური უფლებაუნარიანობის მოძღვრების) დამკვიდრების საფუძველი გახდა.<sup>40</sup> ამ გადაწყვეტილებას უფრო დაწვრილებით შემდეგ განვიხილავ.

Ultra-vires მოძღვრება მხოლოდ 1875 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით არ წარმოშობილა. ისევე, როგორც თითქმის ყველა ინსტიტუტს ინგლისურ სამართალში, საფუძველი ისტორიულ ტრადიციებში აქვს, რომელთა გარეშეც მათი გაგება თანამედროვე პირობებში პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

შუა საუკუნეებში ინგლისური კორპორაციების უმეტესობა უფლებაუნარიანობას მოიპოვებდა მხოლოდ მეფის მიერ სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებით, რომელიც ან წესდებაში (charter) გამოიხატებოდა ანდა სპეციალურ ნებართვაში (Letters patent). ამ გზით შექმნილი კორპორაციებიდან დღემდე მოქმედებს Bank of England (1694) და British Broadcasting Corporation.<sup>41</sup> თუმცა დღემდე შემორჩენილი მუნიციპალური წესდება განეკუთვნება 1439 წელს (Kingstone-on-Hull). ამ ტიპის ორგანიზაციებს chartered incorporation ეწოდება და გაბატონებული შეხედულების თანახმად, მათი უფლებაუნარიანობა გათანაბრებულია ფიზიკური პირების! უფლებაუნარიანობასთან. ამიტომ მათზე არ ვრცელდება ultra-vires მოძღვრებით გათვალისწინებული შეზღუდვები.<sup>42</sup>

1844 წელს სააქციო საზოგადოებებს (joint stock companies) კანონით მიენიჭათ უფლება თავიანთი უფლებაუნარიანობა მოეპოვებინათ მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად. მართალია, ეს საზოგადოებები კონკრეტული მიზნებისთვის იყო შექმნილი, მაგრამ ინგლისური სასამართლოები მათი უფლებაუნარიანობის შეზღუდვის საკითხს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ამ კომპანიებზე ვრცელდებოდა ამხანაგობებისთვის (partnership) მოქმედი სამართალი, რომლის თანახ-

<sup>40</sup> Ashbury Railway Carriage Co. v. Riche (1875) LR 7 HL 653, 667 per Lord Cairns.

<sup>41</sup> Mantell, S.9.

<sup>42</sup> Mantell, S.11.

მად კრედიტორების წინაშე პასუხს ამ საზოგადოებათა პარტნიორები აგებდნენ. ამიტომ მიზნის საწინააღმდეგო გარიგებების სამართლებრივი შეფასების საკითხი შეიძლებოდა განხილულიყო ღირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების ფარგლებში, მაგრამ არა კორპორაციის უფლებაუნარიანობის საკითხთან დაკავშირებით, ე.ი. ამ პერიოდში ინგლისური სამართალი ჯერ კიდევ არ იცნობს ultra-vires მოძღვრებას.

Ultra-vires მოძღვრების დამკვიდრება ინგლისურ სამართალში დაკავშირებულია გასული საუკუნის შუა პერიოდში სარკინიგზო კომპანიების მნიშვნელობისა და როლის ფართომასშტაბიან ზრდასთან. აღნიშნულმა კომპანიებმა უფლებაუნარიანობა მოიპოვეს არა უბრალოდ რეგისტრაციით, არამედ დაფუძნდნენ სპეციალური საპარლამენტო კანონების საფუძველზე, რომლებიც დეტალურად აღწერდნენ ამ საზოგადოებების მიზნებს და, ცხადია, არავის არ ჰქონდა უფლება სადავო გაეხადა პარლამენტის კომპეტენცია, რომ მისი ქმნილების უფლებაუნარიანობა ისე შეეზღუდა, როგორც ეს მას სურდა.<sup>33</sup> ამას მოჰყვა 1867 წელს ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, რომელშიც Lord Montague Smith-მა ჩამოაყალიბა აკრძალვის თეორიის ცნობილი დებულება; ყველა გარიგება, რომელიც მიმართულია სხვა მიზნებისკენ, ვიდრე ეს განმტკიცებულია memorandum of association-ში, გამოცხადდა აკრძალულად.<sup>34</sup>

მაგრამ ნამდვილი ultra-vires მოძღვრება ინგლისურ სამართალში დღეს მოქმედი ფორმით ჩამოყალიბდა უფრო გვიან — 1875 წელს ლორდთა პალატის მიერ ერთ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით, რომელიც ინგლისურ სამართალში ცნობილია Ashbury case-ის სახელით და შეეხებოდა ერთ-ერთი სარკინიგზო კომპანიის დაეას. ეს პრეცედენტი დღემდე ითვლება ინგლისურ სამართალში ultra-vires მოძღვრების წამყვან პრეცედენტად და აღსანიშნავია იმით, რომ იგი შეეხო 1862 წლის კომპანიების კანონით რეგისტრირებული საზოგადოების უფლებაუნარიანობის საკითხს. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ კაზუსს შეეხებოდე, მოკლედ მიმოვიხილავ საკანონმდებლო ევოლუციას კომპანიების უფლებაუნარიანობის საკითხში.

სააქციო საზოგადოებების შესახებ 1844 წლის კანონის (Joint Stock Companies Act) მიღების დროიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო რეგისტრირებულ კომპანიებს. 1855 წლის შეზღუდული პასუხისმგებლო-

<sup>33</sup> Gower, L.C.B., *The Principles of Modern Company Law*, 2nd ed. London, 1957. S. 80.

<sup>34</sup> Mantell, S. 13.

ბის კანონით (Limited Liability Act) შემოღებულ იქნა პარტნიორთა შეზღუდული პასუხისმგებლობა. 1856 წლის Joint Stock Companies Act-ით სააქციო საზოგადოებათა დასაფუძნებლად აუცილებელი იყო ორი დოკუმენტი – articles და memorandum of association. ამ უკანასკნელში იყო მოცემული დებულებები კომპანიის მიზნების შესახებ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კანონი არ ითვალისწინებდა საზოგადოების მიზნების შეცვლის შესაძლებლობას.<sup>55</sup> უფრო შორს წავიდა 1862 წლის კანონი კომპანიების შესახებ (Companies Act), რომელიც დამფუძნებელი ხელშეკრულებით (memorandum) გათვალისწინებული დებულებების შეცვლას პირდაპირ კრძალავდა. სწორედ ეს ნორმა მნიშვნელოვანი ზემოაღნიშნული კაზუსის განხილვისას.

Ashbury Railway Co – წარმოადგენდა კომპანიას, რომლის memorandum-ში საზოგადოების საქმიანობის მიზანს შეადგენდა ყოველგვარი სახის სარკინიგზო მოწყობილობათა წარმოება და რეალიზაცია, ასევე ზოგადად „to carry on the business of mechanical engineers and general contractors“, ხოლო ასოციაციის წესდების (articles) მე-4 მუხლი ითვალისწინებდა შესაძლებლობას, რომ სპეციალური გადაწყვეტილებით გაფართოებულიყო საზოგადოების საქმიანობის სფერო იმაზე მეტად, ვიდრე ეს შეთანხმებაში (memorandum) გათვალისწინებულ საქმიანობის მიზნებში იყო მოცემული.

1865 წელს კომპანიის დირექტორებმა კომპანიის სახელით იყიდეს ბელგიის მთავრობის კონცესია ბელგიაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე. ისინი შეუთანხმდნენ ვინმე Riche-ს (რომელიც შემდეგ მოსარჩელე გახდა). ამ უკანასკნელს უნდა აეშენებინა სარკინიგზო ხაზი კომპანიის მიერ ბელგიაში დასაფუძნებელი სააქციო საზოგადოების შეკვეთით. მოსარჩელისთვის უნდა გადაეხადა ბელგიაში დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ამ მიზნით ფულადი სახსრებით უზრუნველყოფდა კომპანია. თავდაპირველად ხელშეკრულება საზოგადოების მიერ სრულდებოდა შეთანხმებისამებრ. შემდეგ მან უარი თქვა გადახდაზე იმ მიზეზით, რომ ხელშეკრულებები ultra-vires არიანო, ე.ი. სცილდებოდა საზოგადოების საქმიანობის მიზნებს.

პირველ ორ ინსტანციაში მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა. აქ საინტერესოა ინგლისელი მოსამართლეების მსჯელობის ლოგიკა: მართალია, ხელშეკრულებები სცილდებოდა წესდებით გათვალისწინებულ

<sup>55</sup> Mantell, S. 16.

მიზნებს და ამას ვერც memorandum-ში განმტკიცებული დებულება general contractors-ის შესახებ შეცვლისო, მაგრამ მოსამართლეები გამოდი-  
ოდნენ იქიდან, რომ კომპანიის პარტნიორებმა მხარი დაუჭირეს დადებულ  
ხელშეკრულებებს. მე-2 ინსტანციის სასამართლომაც უცვლელი დატოვა  
ეს გადაწყვეტილება. აქაც საინტერესოა მოსამართლე Blackburn-ის მსჯე-  
ლობა. მან მიუთითა იმაზე, რომ Common Law კორპორაციას ისეთივე  
ხელშეკრულებაუნარიანობას (power to contract) ანიჭებსო, როგორც ფი-  
ზიკურ პირებს და ასევე მსგავს შეზღუდვებს უწესებსო ორივეს. 1862  
წლის კომპანიების კანონიდან არ გამომდინარეობსო, თითქოს კანონმდე-  
ბელს სურდეს კორპორაციული კავშირისთვის ზოგადი ხელშეკრულებაუ-  
ნარიანობის (power to contract) შეზღუდვა და განსაზღვრული გარიგებე-  
ბის დადების აკრძალვა. ამის მიხედვით, memorandum-ში განმტკიცებუ-  
ლი დებულებები მიზნის შესახებ კორპორაციის უფლებაუნარიანობას კი  
არ ზღუდავენო, არამედ ხელმძღვანელების წარმომადგენლობით უფლება-  
მოსილებას. ერთხმადი გადაწყვეტილებით პარტნიორებს ყოველთვის შე-  
უძლიათო მოიწონონ მიზნის საწინააღმდეგოდ დადებული ხელშეკრულე-  
ბები. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვსო საქმე მოცემულ კაზუსში.<sup>56</sup>

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა ამ გადაწყვეტილებე-  
ბის თანახმად, კომპანიის მიერ დადებული ხელშეკრულება არ იყო ultra-  
vires. ეს იმას ნიშნავდა, რომ კომპანიას დაეკისრა გადახდა მოსარჩელის  
სასარგებლოდ.

ლორდთა პალატამ, რომელიც მესამე ინსტანციის სასამართლოდ ით-  
ვლება, ერთხმად უარყო წინა სასამართლოების გადაწყვეტილება და დავა  
მოპასუხის, ე.ი. კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ლორდთა პალატა  
ცალსახად განამტკიცებდა იმ მოსაზრებას, რომ ultra-vires გარიგებები  
კორპორაციის სამართლებრივი შესაძლებლობების ფარგლებს გარეთ იმ-  
ყოფებიანო და არა ღირექტორების უფლებამოსილების სფეროში. ამიტომ  
ნებართვა არ შეიძლებაო იმაზე გაიცეს, რაზეც არც მინდობილობის გაცე-  
მაა შესაძლებელი. ლორდმა Cairns-მა 1862 წლის Companies Act-ს  
სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცა, ვიდრე მოსამართლე Blackburn-მა.  
ლორდ Cairns-ის თანახმად, საზოგადოების მემორანდუმში მიზნების აღ-  
წერა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, პოზიტიურს, რომელიც კორპორა-  
ციას უფლებამოსილებების მოცულობას ანიჭებს, რაც კანონითაა უზრუნ-  
ველყოფილი და, მეორე, უარყოფითს, რომლის თანახმად კორპორაციას

<sup>56</sup> Mantell, S. 16-17.

უფლება არა აქვს დადოს გარიგებები ამ უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ. თუ კორპორაცია უფლებამოსილებების ფარგლებს გადაჭარბებით დებს გარიგებას, მაშინ ეს არის *ultra vires* და ბათილია. ასეთი გარიგებისთვის ნებართვის მიცემა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, წესდების მე-4 მუხლიც ბათილად იქნა ცნობილი, ვინაიდან ის არ შეესაბამებარ *memorandum*-ის დებულებებს. ამრიგად, ლორდთა პალატამ ბათილად მიიჩნია კორპორაციის მიერ დადებული გარიგება იმ მოტივით, რომ იგი არ შეესაბამებოდა კომპანიის დამფუძნებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ მიზნებს.

1875 წელს ინგლისის ლორდთა პალატის მიერ მიღებული ეს პრეცედენტი ძალაშია დღესაც და მასში მხოლოდ მცირედი ცვლილებები შევიდა. კერძოდ, სასამართლოს 1880 წლის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, რომელიც ასევე რკინიგზას შეეხებოდა, გაფართოვდა საზოგადოების მიზნების ინტერპრეტაციის ფარგლები იმით, რომ შემოღებულ იქნა ე.წ. მიზნის გონივრული განმარტების პრინციპი.

1890 წლის *Companies Act*-მა (*Memorandum of Association*) განამტკიცა კომპანიის მიზნების შეცვლის შესაძლებლობა, ოღონდ იგი უნდა დაედასტურებინა სასამართლოს. 1948 წლის კანონმა დაუშვა მიზნების შეცვლა სასამართლო დამტკიცების გარეშე, ოღონდ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ინგლისური სამართლის *ultra vires* მოძღვრების მოკლე მიმოხილვამ აშკარად აჩვენა, თუ როგორ განსხვავდება იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის შინაარსი კონტინენტური ევროპის სამართლით განმტკიცებულისაგან და როგორ ემთხვევა იგი საბჭოთა სამართალში განმტკიცებულ იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპს. ის, რაც ინგლისურმა სამართალმა ტრადიციიდან გამომდინარე განამტკიცა, საბჭოთა სამართალმა მიუსადაგა სოციალისტური წყობილების ინტერესებს და კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად გამოიყენა.

სრულიად სხვანაირად წარიმართა *ultra vires* მოძღვრების ბედი ამერიკულ სამართალში. მართალია, ფორმალურად ამერიკული სამართალიც განამტკიცებს ამ მოძღვრებას, მაგრამ ამერიკული სპეციფიკიდან გამომდინარე ის სრულიად სხვაგვარად განვითარდა, ვიდრე ინგლისში. ამის უპირველესი საფუძველი ის იყო, რომ ამერიკაში არ არსებობს ერთიანი კერძო სამართალი. იგი დანაწევრებულია შტატების მიხედვით და ამიტომ იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხიც სრულიად განსხვავებულად არის იქ გადაწყვეტილი.

იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ფედერალური სასამართლო, თუმცა შტატების სამართალი ამ საკითხში არ მისდევს ფედერალური სამართლის პრინციპებს. ამერიკული ფედერალური სასამართლო განამტკიცებს ინგლისურ *ultra vires* მოძღვრებას. კერძოდ, ამ სფეროში წამყვან პრეცედენტად მიჩნეულ საქმეში *Central Transportation Co. v. Pullman's Palace Car Co.* 1890 წელს ფედერალურმა მოსამართლემ Gray-მ თქვა: „კორპორაციის ხელშეკრულება, რომელიც *ultra vires* წარმოადგენს, ე.ი. დადებულია კორპორაციის დაფუძნების მიზნების ფარგლებს გარეთ, როგორც ეს წესდებაშია განმტკიცებული, არის ბათილი და სამართლებრივი შედეგების არმქონე. კორპორაციას არა აქვს უფლება დადოს ასეთი გარიგებები.“<sup>57</sup>

ფედერალური სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ეს წესი პრაქტიკულად მხოლოდ ფედერალური წესდებებით (*statute*) დაფუძნებული სუბიექტების მიმართ გამოიყენება, როგორცაა, მაგალითად, ეროვნული ბანკი.

ფედერალური შტატების უმეტესობა არ იცავს ამ მოძღვრებას. ესეც ამერიკული სამართლის თავისებურებით შეიძლება ავხსნათ. სასამართლო პრაქტიკა უპირველეს შტატებში გამოდის იურიდიული პირების შეზღუდული უფლებაუნარიანობის (*limited capacity*) მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც წესდებით განსაზღვრული მიზნებისაგან განსხვავებულ გარიგებებს ბათილად მიიჩნევს, ე.ი. *ultra vires* მოძღვრება. აქედან გამომდინარე, სასამართლოები არც იმ შეხედულებას იზიარებენ, რომ იურიდიული პირი სახელმწიფოს ქმნილება იყოს განსაზღვრული მიზნებისთვის და აღიარებენ პოსტულატს, რომ ინკორპორირება მხოლოდ აღიარებაა სახელმწიფოს მხრიდან კერძო პირთა შორის შეთანხმებისა, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შედგა. ცხადია, რომ ეს სასამართლოები კორპორაციების შეუზღუდავი უფლებაუნარიანობის მომხრეებად გამოდიან და უფლებაუნარიანობის შეზღუდვას მხოლოდ ღირეპქტორების წარმომადგენლობის უფლებამოსილებაზე აერცელებენ.“<sup>58</sup>

ეს მოკლე მიმოხილვაც აშკარად ადასტურებს, რომ იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთიანი შეხედულება არ არსებობს, მაგრამ აშკარად თვალშისაცემია, რომ სასამართლოები კომერციული კორპორაციების მიმართ *ultra-vires* მოძღვრებას პრაქტიკულად არც იყენებენ.

<sup>57</sup> Mantell, S.23.

<sup>58</sup> Mantell, S.24-25.

პრეცედენტული სამართლის სპეციფიკა, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ის ყოველ ნორმას კონკრეტული კაზუსის, შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე უყურებს და არა ღოგმების შესაბამისად. იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხი პრაქტიკული მნიშვნელობისა და საინტერესოა, თუ როგორ წყვეტენ პრაქტიკულ საკითხებს ამერიკული სასამართლოები. აქ შევეხები რამდენიმე შემთხვევას რომლებიც *ultra-vires*, ე.ი. მიზნების შეუსაბამო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას, უკრო ზუსტად, როგორია მხარეთს სამართლებრივი მდგომარეობა, თუ ერთ-ერთი არ ასრულებს ასეთ ხელშეკრულებას ან ორივემ უკვე შეასრულა იგი და ა.შ. ეს ის პრაქტიკული საკითხებია, რომელთა გადაწყვეტა სასამართლოებს უხდებათ.

თუ წესდების მიზნის საწინააღმდეგო ხელშეკრულება მხარეებს ჯერ არ შეუსრულებიათ, თითქმის ყველა შტატის ერთსულოვანი შეხედულების თანახმად, ყოველ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია *ultra-vires* მოძღვრების თანახმად, მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა.<sup>59</sup> ასეთ შემთხვევაში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარისაგან ხელშეკრულების შესრულება ან შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აქ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ვიდრე ხელშეკრულებები არ შესრულებულა, კორპორაციის ნებისმიერ პარტნიორს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების გადაცემის შერჩევა ხელშეკრულების კონტრაქტისთვის.<sup>60</sup>

სხვა ვითარებაა, როცა *ultra-vires* ხელშეკრულება ერთი მხარის მიერ უკვე შესრულებულია. სადავოა, თუ რის საფუძველზე შეუძლია შესრულებულის ანაზღაურება მოითხოვოს იმ მხარემ, რომელმაც ხელშეკრულება უკვე შეასრულა. ამერიკის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს (*Supreme Court*) შეხედულების თანახმად და იმ შტატების უმაღლესი სასამართლოების თანახმად, რომლებიც იზიარებენ ფედერალური სასამართლოს პრაქტიკას, *ultra-vires* საფუძველით შეცილების უფლება არ შეიძლება მხარეს წაერთვას მაშინაც, როცა ხელშეკრულება ერთი მხარის მიერ უკვე შესრულებულია. მაგრამ, იმავდროულად, კორპორაციას არა აქვს უფლება შეიტანოს *ultra-vires* შეცილება კონტრაქტის საწინააღმდეგოდ, თუკი მეორე მხარე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურებისათვის, რამეთუ კორპორაციამ ამ

<sup>59</sup> Fletcher. *Cyclopedia Corporations*. perm. ed., Vol. 7, revised Vol. Illinois, 1964 §§. 3459-3466.

<sup>60</sup> Fletcher. §. 4855.



გარიგებიდან სარგებელი მიიღო, „the law will imply or create a contractual or quasi contractual obligation to pay“. ანალოგიურია სამართლებრივი მდგომარეობა, როცა კორპორაციამ თავის მხრივ შეასრულა ხელშეკრულება. თუ ეს ხელშეკრულება გამოიხატება არა საქონლის მიწოდებაში ან მომსახურების გაწევაში, არამედ ფულად შესრულებაში, მაშინ იგი შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი.<sup>61</sup>

შტატების უმრავლესობა ამ შეხედულებას უარყოფს. სასამართლოები მყარად იზიარებენ იმ შეხედულებას, რომ ერთი მხარის მიერ ultra-vires ხელშეკრულების შესრულებისას ამ მხარეს შეუძლია მეორე მხარისაგან მოითხოვოს საპასუხო შესრულება ისე, რომ ამ უკანასკნელს არა აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა ultra-vires მოტივით. ამასთან, ფედერალური სასამართლოს პრაქტიკას აღნიშნულ საკითხზე შტატების სასამართლოები უსამართლოდ მიიჩნევენ იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების მხარეს, რომელმაც სარგებელი ნახა ხელშეკრულების შესრულებით მეორე მხარის მიერ კიდევ უფლებას აძლევს მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ამით ორმაგი ზიანი მიაყენოს კეთილსინდისიერ შემსრულებელს.<sup>62</sup>

თუკი ultra-vires ხელშეკრულება მხარეების მიერ შესრულებულია, ყველა შტატის სასამართლოების ერთიანი შეხედულების თანახმად, ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი უფლებები ჩაითვლება მართლზომიერად და არც ერთ მხარეს არ შეუძლია უკან მოითხოვოს ის, რაც მან ხელშეკრულებით მიიღო.

როგორც დაინახეთ, მიზნის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში ინგლისის ლორდთა პალატა კორპორაციის პარტნიორებს უფლებას არ აძლევს მისცენ ნებართვა ღირექტორებს ასეთი ხელშეკრულების დასაღებად. ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს ამერიკის ფედერალური სასამართლოც. სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგანან შტატების სასამართლოები. ისინი კორპორაციებს უფლებას აძლევს მოიწონონ (ე.ი. ნებართვა გასცენ) მიზნების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგებები.

ინგლისურ-ამერიკულ სამართალში განმტკიცებული იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობის მოკლე მიმოხილვაც ცხადყოფს, თუ რა გაუმართლებელი სირთულეები შეიძლება გამოიწვიოს ამ თეორიის არსებობამ. ამას ისიც ამძიმებს, რომ ხშირად საკმაოდ რთულია იმის დად-

<sup>61</sup> Fletcher, §. 3577.

<sup>62</sup> Joseph Schliiz Brewing Co.v. Missouri Poultry & Game Co. (1921) 229 SW 813 (815).

გენა. გარიგება შეესაბამება იურიდიული პირის მიზანს, თუ არა. იმდენად საპეციფიკური შეიძლება იყოს საზოგადოების მიზნები. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სწორი გზა აირჩია, როცა უარი თქვა სპეციალური უფლებაუნარიანობის მოძღვრებაზე და იურიდიული პირებისთვის ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი განამტკიცა.

### *ბ. spécialité légale ფრანგულ სამართალში*

იმას, რასაც ინგლისურ-ამერიკულ სამართალში *ultra-vires* მოძღვრება ჰქვია, ფრანგულ სამართალში ეწოდება *spécialité légale* ან *spécialité statutaire*. ეს ნიშნავს, რომ ფრანგულ სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული იურიდიული პირების უფლებაუნარიანობაც (*capacité de jouissance*) სპეციალურია: ჯერ ერთი, იურიდიულ პირს არ შეუძლია შეიძინოს ისეთი უფლებები ან იკისროს ვალდებულებები, რომლებიც არ გამოძინარეობს მოცემული ტიპის იურიდიული პირებისთვის კანონით განსაზღვრული მიზნებიდან (*spécialité légale*); მეორეც, მას არ შეუძლია შეიძინოს ისეთი უფლებები და იკისროს ვალდებულებები, რომლებიც არ ემსახურებიან წესდებით განსაზღვრულ მიზნებს (*spécialité statutaire*).<sup>63</sup> რაში შეიძლება გარეგნულად გამოიხატოს ამ პრინციპის პრაქტიკული შედეგები? მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა სინდიკატს, რომლის მიზანიც კანონის თანახმად, მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვაა, არ შეუძლია ეწეოდეს სავაჭრო საქმიანობას; სავაჭრო საზოგადოებას არა აქვს უფლება ექსპლუატაცია გაუწიოს არაკომერციულ, საჭეღმოქმედო დაწესებულებას. თუმცა 1990 წლის 4 ივლისის კანონით საზოგადოებებს უფლება მიეცათ თავისი ქონების ერთი ნაწილიდან შექმნან ფონდი – *fondation d'entreprise*.<sup>64</sup>

თუ იურიდიული პირი დებს ისეთ გარიგებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მისთვის კანონით განსაზღვრულ მიზნებს, ასეთი გარიგებები მიიჩნევა ბათილად. უფრო მეტიც, თუ მიზნის საწინააღმდეგო საქმიანობას იურიდიული პირი ეწევა დიდი ხნის მანძილზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს მისი უფლებაუნარიანობის გაუქმება. არც სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებაა გამორიცხული ამგვარი დარღვევების შემთხვევაში.<sup>65</sup> ეს წესი გამოიყენება იმ იურიდიული პირების მიმართ, რომელთა საქმიანობის მიზნებიც კანონითაა განსაზღვრული.

<sup>63</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S.374.

<sup>64</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S. 374.

<sup>65</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S. 375.

პრობლემები არსებობს საწესდებო უფლებაუნარიანობასთან დაკავშირებითაც. მის თანახმად, იურიდიულ პირს არ შეუძლია ისეთი უფლებების შექმნა ან ვალდებულებების აღება, რომლებიც წესდების მიზნებს სცილდებიან. ცხადია, რომ ამ წესის მიზანი სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. თუმცა ევროპის კავშირის რეზოლუციით, რომელიც მიზნად ისახავდა სააქციო საზოგადოებების სამართლის უნიფიცირებას, სავაჭრო საზოგადოებების მიმართ ეს პრინციპი ოდნავ შენეულა. მაგრამ სამოქალაქო კოდექსის საზოგადოებების<sup>66</sup> მიმართ 1978 წლის კანონმა სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპი უცვლელი დატოვა. ამიტომ ფრანგი იურისტებიც ისევე, როგორც ინგლისურ-ამერიკული სამართლის იურისტები, იურიდიული პირების წესდებათა შედგენისას იბულებულნი არიან საქმიანობის მიზანი, რაც შეიძლება ფართოდ ჩამოაყალიბონ, რომ მომავალში საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდნენ. ეს საფრთხე კი საკმაოდ სერიოზულია: მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია მიზნის საწინააღმდეგოდ მოქმედი კავშირი გააუქმოს.<sup>67</sup>

ფრანგული სამართლის იურიდიული პირის ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობა შეადგენს მის patrimoine-ს. ეს ნიშნავს, რომ იურიდიული პირის წევრებს ამ ქონებაზე უფლება აქვთ მხოლოდ როგორც წევრებს და არა როგორც მის მესაკუთრეებს. ამ უფლებათა შექმნა მათ შეუძლიათ ისევე, როგორც მესამე პირებს.

### **გ. სპეციალური უფლებაუნარიანობა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ**

თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის მიმართ საკითხი სხვადასხვანაირად წყდება, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხი პრაქტიკულად დავას არ იწვევს და იგი ყოველთვის სპეციალურია. ეს ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც. საჯარო სამართლის იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპს აღიარებენ ის ქვეყნებიც, რომლებიც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ზოგად უფლებაუნარიანობას ანიჭებენ (ავსტრია, გერმანია, შვეიცარია).

<sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ესაა ამზანავობა.

<sup>67</sup> Hubrecht, Georges E. Das französische Zivilrecht. 1974. S.26.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის ხასიათს მათ მიერ განხორციელებული ამოცანების ბუნება განსაზღვრავს, ხოლო რაც შეეხება უფლებაუნარიანობის მოცულობას, იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოცემულ სპეციალურ აქტზე, რომელიც ამტკიცებს ამ სუბიექტების საქმიანობის მიზნებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების არც შექმნა და არც მათი საქმიანობა კერძო სამართლის, მათ შორის სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების სფეროს არ შეადგენს. ეს საჯარო სამართლის საქმეა. მაგრამ კერძო სამართალი აღიარებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად. რაც შეეხება მათი უფლებაუნარიანობის მოცულობას, მას სპეციალური კანონი, სახელმწიფოს ადმინისტრაციული აქტი ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები განსაზღვრავენ. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის სუბიექტია და მისი მიზანი სამეცნიერო საქმიანობა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაა. შეიძლება თუ არა მან განხორციელოს კომერციული საქმიანობა? უმეტესი ქვეყნების სამართალი ამბობს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც იგი შეიქმნა. ამიტომ კომერციული საქმიანობის სფეროში დადებული გარიგებები ბათილად ჩაითვლება.

## §5. იურიდიული პირის ქმედუნარიანობა

დასავლეთის ქვეყნების სამართლის მიერ ერთხმად არის აღიარებული, რომ იურიდიულ პირს, განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, თვითონ არ შეუძლია მოქმედებების განხორციელება.<sup>66</sup> ამისთვის აუცილებელია ფიზიკური პირების არსებობა, რომლებიც იურიდიული პირის სახელით განხორციელებენ შესაბამის მოქმედებებს. ისტორიულად ამის აუცილებლობამ წარმოშვა ფრანგულ სამართალში ე.წ. *წარმომადგენლის თეორია*. რომელსაც საფუძვლად მინდობილობის ცნობილი მოძღვრება დაედო — *mandataires*. იმის გამო, რომ იურიდიული პირების წარმოდგენა საგარეო ურთიერთობებში უფრო რთულად ხორციელდება, ვიდრე მხოლოდ კონ-

<sup>66</sup> Ferid/Sonnenberger. I/1, S. 377; Koziol/Welser. Bd. I, S. 65; Staudinger/Weick. Einl. zu §§ 21ff. Rn. 50; Ivan C. Iban. Einführung in das spanische Recht. S. 171 usw.

კრეტული წარმომადგებლობის მეშვეობით, დროთა განმავლობაში წარმო-  
იშვა ე.წ. *ორგანული თეორია*. რომელიც ამბობს, რომ იურიდიული პირე-  
ბის ქმედუნარიანობა ხორციელდება სწორედ მისი ორგანოების მეშვეო-  
ბით. ამიტომ ამ ორგანოთა სისტემა, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი  
უნდა განისაზღვროს ან კანონით ანდა წესდებებით. რა განსხვავებაა ამ  
ორ თეორიას შორის და რამ გამოიწვია წარმომადგენლის თეორიის უარ-  
ყოფა თვით სამშობლოში – საფრანგეთში და მისი შეცვლა ორგანული  
თეორიით.

*წარმომადგენლის თეორიას საფუძვლად უდევს მინდობილობის  
ხელშეკრულება – მანდატი. იურიდიულ პირსა და იმ კონკრეტულ ფიზი-  
კურ პირს შორის. რომელმაც უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირი  
და იმოქმედოს მისი სახელით.* მისი უფლებამოსილების ფარგლებსა და  
წარმომადგენლობის შინაარსს განსაზღვრავს სამანდატო ხელშეკრულება.  
კონკრეტული ურთიერთობებიდან გამომდინარე ეს შეიძლება იყოს ან  
ძალიან ფართო ან ძალიან შეზღუდული. ასეთი კონსტრუქცია საკმაოდ  
არასტაბილურ და არამყარ საფუძველს ქმნის სამართლებრივი ურთიერ-  
ობების დროს: იურიდიული პირის სახელშეკრულებო კონტრაქტს  
ყოველთვის მოუწევს იმის გადამოწმება, აქვს თუ არა წარმომადგენელს  
უფლება დადოს ესა თუ ის გარიგება იურიდიული პირის სახელით.  
*ორგანული თეორია ამ მხრივ გაცილებით უფრო სტაბილური და სანდოა.*  
*იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილება  
დამოკიდებულია არა ხელშეკრულებაზე – ვალდებულებით სამართლებ-  
რივ აქტზე. არამედ განისაზღვრება კანონით და კონკრეტულ იურიდი-  
ულ პირთან დაკავშირებით მესამე პირთათვის ცნობილი ხდება რეგისტრა-  
ციისა და პრესაში გამოქვეყნების მეშვეობით. ამ თეორიის თანახმად,  
ყველა იურიდიული პირის მმართველობის ორგანოთა სისტემა, მათი შექ-  
მნის წესი და უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს კანონით და აისა-  
ხოს იურიდიული პირის წესდებაში. ამასთან, წესდებით განსაზღვრული  
ფუნქციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის ნორმებს. მაგალითად,  
სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანო არის სამეთვალყურეო  
საბჭო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოს მეტად დიდი უფლებამოსი-  
ლებები აქვს, საბჭოს წევრს უფლება არა აქვს წარმოადგინოს საზოგა-  
დოება და მისი სახელით დადოს გარიგებები. თუ სს-ის წესდება მას ასეთ  
უფლებას ანიჭებს, წესდების ეს ნორმა ბათილი იქნება.*

იურიდიული პირის ქმედუნარიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ  
გარიგებებით, იგი მოიცავს ასევე დელიქტუნარიანობასაც.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობა მისი წარმომადგენლების მეშვეობით, არამედ იურიდიული პირის შიგნით ნების ჩამოყალიბების პროცედურა, კერძოდ ის, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილებები. წარმომადგენლის თეორია ვერც ამ კითხვაზე სცემს დამაჯერებელ პასუხს. ამიტომ ორგანული თეორიის უპირატესობა აქაც აშკარაა. იგი განსაზღვრავს, თუ რომელმა ორგანობმა რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. მაგალითად, შპს-ს მიერ უძრავი ქონების გაყიდვისას აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება. თუ ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ დირექტორებმა მიიღეს, მაშინ ეს გადაწყვეტილება იქნება ბათილი. ე.ი. კანონი აქაც განსაზღვრავს ორგანოთა სტრუქტურას და მათ კომპეტენციას, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურას (ხმათა უბრალო უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით თუ ერთხმად).

ორგანული თეორიის ამ უპირატესობით აიხსნება ის ფაქტი, რომ საფრანგეთმა 1966 წლიდან, როცა განახორციელა სეპარატიული საზოგადოებათა სამართლებრივი რეგულირების რეფორმა, უარყო წარმომადგენლის თეორია და უპირატესობა ორგანულ თეორიას მიანიჭა.

მაშასადამე, იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ან რომელი ორგანო ახორციელებს იურიდიული პირის სახელით საქმიანობას, ვინ წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ის, თუ ვინ იღებს სამართლებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თვით იურიდიული პირის შიგნით:

ქართულმა სამოქალაქო სამართალმა სრულიად სამართლიანად მიანიჭა უპირატესობა ორგანულ თეორიას. როგორც სამოქალაქო კოდექსი, ასევე მეწარმეთა შესახებ კანონი, ზუსტად განსაზღვრავს იურიდიული პირების წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე იმ ორგანოთა სისტემასა და კომპეტენციას, რომლებიც იურიდიული პირისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ.

იმის გამო, რომ იურიდიული პირების ქმედუნარიანობა პრაქტიკულად ფიზიკური პირების მეშვეობით ემბება ცხოვრებისეულ ურთიერთობებში, სრულიად ბუნებრივად წარმოიშობა ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის საკითხი. ორგანული თეორიის უპირატესობა იმაშიცაა, რომ ამ პირთა პასუხისმგებლობას სამანდატო ხელშეკრულებაზე კი არ ხდის დამოკიდებულად, არამედ მასაც კანონით აწესრიგებს. ქართული კერძო სამართალი ამ მხრივაც შეესაბამება თანამედროვე სამართლის სტანდარტებს და იური-

დიული პირის ხელმძღვანელებს აკისრებს პასუხისმგებლობას, თუკი მათმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ (მაგალითად, ვალაუვალობის განუცხადებლობამ) ზიანი მოუტანა იურიდიულ პირს. წარმომადგენელთა პასუხისმგებლობით აღწევს სამართალი იმ მიზანს, რასაც იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე ქვეყნები ესწრაფვიან.

## §6. იურიდიული პირის წარმოშობა

აღამიანებისაგან განსხვავებით იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად აღმოცენდება. ეს ხდება მაშინ, როცა იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, ოფიციალურად წარმოიშობა. სხვადასხვა ქვეყნის სამართალი იურიდიული პირის წარმოშობის საკითხს სხვადასხვა გარემოებებს უკავშირებს.

უპირველესი წინაპირობა იურიდიული პირის და, მაშასადამე, მისი უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობისა ისაა, ცნობს თუ არა მოცემული სამართალი ამ ორგანიზებულ წარმონაქმნს იურიდიულ პირად, ე.ი. კანონმდებლობა იცნობს თუ არა ასეთ სუბიექტს. ამის შემდეგ სამართალი აწესრიგებს იურიდიული პირის დაფუძნებასთან დაკავშირებულ პროცედურას: დამფუძნებელი დოკუმენტების შედგენა, მათი ხელმოწერა, სანოტარო წესით დამოწმება და ა.შ.

იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, წარმოშობას ყოველი ქვეყნის სამართალი კონკრეტულ გარემოებებს უკავშირებს. მაგალითად, ფრანგული სამართლის მიხედვით, სავაჭრო საზოგადოებების წარმოშობისთვის აუცილებელია მათი რეგისტრაცია, ხოლო კავშირების წარმოშობისთვის – წესდებების წარდგენა მმართველობის ორგანოში და ამ წესდებათა გამოქვეყნება პრესაში. რაც შეეხება ფონდებს, მათი წარმოშობისთვის საკმარისია საერთო სარგებლიანობის შესახებ დეკლარაციის გაკეთება.<sup>69</sup> ბელგიური სამართლის მიხედვით, სავაჭრო საზოგადოებების დამფუძნებელი დოკუმენტების ამონაწერები ხელმოწერიდან 15 დღის განმავლობაში უნდა წარედგინოს სავაჭრო რეესტრის კანცელარიას, რომელმაც ასევე 15 დღის ფარგლებში უნდა გამოაკვეყნოს ბელგიის უწყებებში.

<sup>69</sup> Ferid/Sonnenberger, I/1, S. 379.

ამის შექმნე იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება.<sup>70</sup> კოლანდიის სამართლის მიხედვით ყველა საზოგადოების რეგისტრაცია სავალდებულოა, სააქციო საზოგადოებათა დასაფუძნებლად კი აუცილებელია იუსტიციის მინისტრის ნებართვა.<sup>71</sup> გერმანული სამართლის მიხედვით, იურიდიული პირის წარმოშობისთვის აუცილებელია მისი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც რეგისტრაციას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს: იურიდიული პირი წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად. ეს ეხება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს (კავშირებსა და ფონდებს), არამედ მეწარმეთა შესახებ კანონით განმტკიცებულ კომერციულ იურიდიულ პირებსაც. მაშასადამე, კერძო სამართლის იურიდიული პირები, ქართული სამართლის მიხედვით, წარმოიშობიან მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად. ამ წესიდან არსებობს ერთადერთი გამონაკლისი. იგი ეხება სახაზინო საწარმოებს, რომელთა წარმოშობისათვის სავალდებულო არაა რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

## §7. იურიდიული პირის სახეები

იურიდიული პირების დაყოფას სახეებად არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მას მრავალი, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული, სამართლებრივი შედეგი უკავშირდება; ეს შედეგი არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივია, არამედ, არცთუ იშვიათად, საჯარო სამართლებრივი, საგადასახადო სამართლებრივი და ა.შ. კლასიფიკაციას ასევე მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ადამიანებს ან იურიდიულ პირებს მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, კერძოდ, გადაწყვიტონ, თუ ორგანიზაციის რომელი ფორმა მათთვის ყველაზე ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი, მოხერხებული და გამართლებული, უსაფრთხო და გარანტირებული.

იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალური დაყოფა სამართლის სისტემას უკავშირდება და ასახავს ამ პირთა შექმნისა და ორგანიზაციის

<sup>70</sup> Gesellschaftsrecht in Belgien, 1993, S.36-37.

<sup>71</sup> Gesellschaftsrecht in der Niederlanden, 1995, S. 20-22.



ძირითადი პრინციპების თავისებურებას. ამ კრიტერიუმის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება *კერძო სამართლის იურიდიული პირები* და *საჯარო სამართლის იურიდიული პირები*. კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა მაშინ, როცა საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე ხდება.

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ სამოქალაქო სამართალი იყენებს *numerus clausus* პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართალში დაიშვებიან მხოლოდ ის იურიდიული პირები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს. ასეთი შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ კერძო სამართალი კერძო პირთა საქმიანობას აწესრიგებს. მათი ფანტაზია არ შეიძლება არ იყოს გონივრული ფარგლებით ზღვარდადებული. თუ კერძო პირებს იმის უფლებას მიეცემდით, თვითონ განესაზღვრათ იურიდიული პირის ფორმები, ეს დიდ ქაოსსა და სამართლებრივ არასტაბილურობას გამოიწვევდა. ამიტომ, კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმათა განსაზღვრისას კანონი საკმაოდ მკაცრია. იმაედროულად, სამოქალაქო სამართალი კერძო პირებს აძლევს სხვადასხვა ფორმებს შორის არჩევის თავისუფლებას. იურიდიული პირის სახეების ასეთ შეზღუდვას საჯარო სამართალი არ იცნობს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფოს მრავალი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფუნქციების შესრულება უხდება. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს იურიდიული პირის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს მხარეთა კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. პირთა ეს ნება გარეგნულად გამოიხატება ამ იურიდიული პირის დამფუძნებელ დოკუმენტებში და, პირველ რიგში, წესდებაში. საჯარო სამართლის იურიდიული პირები იქმნება საგანმკარგულებო წესით, რაც გარეგნულად გამოიხატება საჯარო (სახელმწიფო) აქტში.

საქმიანობის მიზნის მიხედვითაც შეიძლება იურიდიული პირების კლასიფიკაცია. ამ ნიშნით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ იურიდიული პირები, რომლებიც არ მისდევნენ სამეწარმეო საქმიანობას (*არაკომერციული. იდეალური მიზნის მქონე იურიდიული პირები*). და იურიდიული პირები, რომელთა მიზანს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა (*კომერციული იურიდიული პირები*). კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ასევე – საჯარო სამარ-

თლის. თუქცა, როგორც წესი, სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით იყენებს კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის გათვალისწინებულ ფორმებს. კომერციული საქმიანობა თავისი ბუნებით არის კერძო ხასიათის საქმიანობა. ამიტომ, სახელმწიფო აქ ისევე მონაწილეობს (უნდა მონაწილეობდეს), როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ამ ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი აკისრებს. აქედან გამომდინარე, კომერციული იურიდიული პირები, როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებობენ. თვით სახაზინო საწარმოც, რომელიც სამეწარმეო ურთიერთობებში სახელმწიფოს მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა, კერძო სამართლის იურიდიულ პირად უნდა მივიჩნიოთ. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები უმთავრესად არაკომერციულ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. ეს ეხება არა მხოლოდ სახელმწიფოს აქტის საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციებს, მაგალითად, ეროვნული ბანკი ან ეროვნული ბიბლიოთეკა, არამედ ნების თვისუფალი გამოვლენის საფუძველზე წარმოშობილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც – პარტიები, რელიგიური გაერთიანებები.

კომერციული, სამეწარმეო საქმიანობის განსაზღვრისას უნდა მივმართოთ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონს. კომერციული იურიდიული პირების მდგომარეობა მთლიანად ამ კანონითაა მოწესრიგებული.<sup>72</sup> რაც შეეხება არაკომერციულ იურიდიულ პირებს, მათი სამართლებრივი მდგომარეობა სრულად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსით. ის, რომ არაკომერციული იურიდიული პირების საქმიანობა არაა სამეწარმეო საქმიანობა, არ გამოიციხავს იმის შესაძლებლობას, რომ მათ განხორციელონ სამეწარმეო საქმიანობა. ამის უფლებას სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი იძლევა. ოღონდ ეს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს არაკომერციული იურიდიული პირის ძირითად მიზნებს და მის წევრებს არა აქვთ უფლება მიღებული მოგება ერთმანეთში გაინაწილონ. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი, რომელიც, როგორც წესი, კავშირის ფორმით არსებობს, ბეჭდავს და ყიდის ბროშურებს ამ საფეხბურთო კლუბის შესახებ ან, რაც მთავარია, ყიდის საფეხბურთო ბილეთებს. გარეგნულად ეს ჰგავს სამეწარმეო საქმიანობას და არის კიდევაც, მაგრამ ამის გამო საფეხბურთო კლუბი არ გადაიქცევა კომერციულ იურიდიულ პირად.

<sup>72</sup> კანტორია ლ. ნინიძე თ. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები თბ. „ნორმა“. 1996 წ.

იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ კორპორაციულად ორგანიზებული. ამის მაგალითია კაპიტალური საზოგადოებები. ისინი სწორედ ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილი იურიდიული პირებია. წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირის მაგალითია კავშირები, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

## წმ. კერძო სამართლის იურიდიული პირები

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთი უმთავრესი პრინციპი აერთიანებთ. ესაა ნების თავისუფალი გამოვლენა, რომლის საფუძველზეც იქმნება აღნიშნული იურიდიული პირი. ამასთან ერთად, ნების გამოვლენა არ არის შეუზღუდავი. თუ ჩვენ ყველა ადამიანს მიეცემდით იმის უფლებას, რომ საკუთარი ფანტაზიის მიხედვით მოეფიქრებინა იურიდიული პირის სახეები, ეს დიდ ქაოსს გამოიწვევდა და რეალურ ცხოვრებაში არასტაბილურობას შექმნიდა. ამიტომ კანონმდებელმა მიმართა კერძო სამართლის იურიდიული პირების დახურულ, ამომწურავ ჩამონათვალს. ამ ჩამონათვალის ფარგლებში ნებისმიერი პირი, მიუხედავად მოქალაქეობისა, უფლებამოსილია დააფუძნოს იურიდიული პირი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად იმის მიხედვით, თუ საქმიანობის რიგელ სფეროს განეკუთვნებიან ისინი: *კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები*. არაკომერციულ იურიდიულ პირებს განეკუთვნებიან კავშირები და ფონდები. კავშირები წევრობის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირებია, ხოლო ფონდები — ქონების გაერთიანების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კავშირს ჰყავს წევრები, ხოლო ფონდს — არა. არაკომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით. კომერციული იურიდიული პირების სტატუსი განსაზღვრულია კანონში *ბეწარმეთა შესახებ*. მათ განეკუთვნება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სახაზინო საწარმო. კომერციული (*სამეწარმეო*) იურიდიული პირებიც შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: *აშხანაგობის ტიპის საზოგადოებები*, რომელთა დასაფუძნებლად კანონი არ მოითხოვს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, და *კაპიტალური საზოგადოებები*, რომელთა დაფუძნებისათვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი. სპე-

ციფიკერ ფორმას წარმოადგენს სახაზინო საწარმო, თუქცა ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს იგი არ განეკუთვნება. თავისი ბუნებით ის უფრო კაპიტალური ტიპის საწარმოებისაკენ იხრება.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ე.ი. გაერთიანების საფუძველზე შექმნილი. ამის მაგალითია კავშირები, სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი. ამიტომ მათ ლიტერატურაში ხშირად კორპორაციებსაც უწოდებენ. იურიდიული პირი შეიძლება ასევე იყოს წევრობაზე დაფუძნებული (მაგალითად, კავშირი) ან საერთოდ არ ჰყავდეს წევრები (მაგალითად, ფონდი). წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირები თავის მხრივ ორ გვარად შეიძლება დაიყოს: *წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული და მისგან დამოუკიდებელი*. თუ მაგალითად, სპს-ს წესდებაში წერია, რომ ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა იწვევს საზოგადოების დაშლას, მაშინ ეს იქნება წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული იურიდიული პირი. თუ წესდებით ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ეს იურიდიული პირი იარსებებს საზოგადოებიდან ერთ-ერთი წევრის გასვლის შემდეგაც. ამა თუ იმ იურიდიული პირის წევრთა მინიმალურ რაოდენობას კანონი ზოგჯერ პირდაპირ განსაზღვრავს (სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით კავშირს უნდა ჰყავდეს, სულ ცოტა, ხუთი წევრი მაინც).

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, ყველას მიმართ შეუზღუდავად გამოიყენება ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი, კერძოდ, მათ უფლება აქვთ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული (25-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## §9. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

*საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი თვით სახელმწიფოა.* სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ის ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი სხვა – კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მეტად თავისებურია: ერთი მხრივ, იგი არის კანონმდებელიც, უზენაესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი და, მეორე

მხრივ კი ურთიერთობაა რიგითი მონაწილე. „სახელმწიფო“ მკტად ზოგადი და აბსტრაქტული ცნებაა და ცხადია დაიბადება კითხვა: ვინ არის ეს სახელმწიფო? ვინ გამოდის მისი სახელით ამ ურთიერთობებში?

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალგაზრდა სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოშიც გამოიკვეთა ტენდენცია საბინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მისწრაფების იურიდიულ პირად ცნობისკენ. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების არასრულყოფილად ჩამოყალიბების პირობებში ცალკეული უწყებების ზისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ ასეთი „უწყებრივი ფეოდალიზმი“ ანგრევს ერთიან სახელმწიფოს, ძირს უთხრის მის ეკონომიკურ, სოციალურ, საგარეო თუ სხვა ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას. ეს რომ თავიდან იქნეს აცილებული, დასავლეთის ქვეყნებმა შეიმუშავეს უნივერსალური კონსტრუქცია, რომლის თანახმად, სახელმწიფო თვითონვეა იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის მისი ორგანოების მეშვეობით. ეს ორგანოები კი არიან საბინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და ა.შ. სწორედ ისინი ახორციელებენ სახელმწიფოს საქმიანობას კონკრეტულ სფეროებში. მაგალითად, როცა პრივატიზებულ საწარმოში აქციათა განსახლვრული ოდენობა სახელმწიფო ქონების მართვის საბინისტროს გამგებლობაშია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს საბინისტროა აქციათა მესაკუთრე — აქციათა მესაკუთრე არის სახელმწიფო, რომლის ფუნქციებს სახელმწიფო ქონების მართვის სფეროში ახორციელებს აღნიშნული საბინისტრო. როცა განათლების საბინისტრო ახალ სკოლას ხსნის, ეს სკოლა საბინისტროს კი არ ეკუთვნის, არამედ სახელმწიფოს: განათლების საბინისტრო

<sup>11</sup> საბჭოთა სამოქალაქო სამართალი სახელმწიფოს ამ ორ ფუნქციას აერთიანებდა და სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტად აღიარებდა. თუმცა იყო მცდელობები იმის დასაბუთებისა, რომ სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ხელისუფლებითი ხასიათის ფუნქციების გარეშე მონაწილეობს (Братуся С.Н. Сущность гражданского права. М. 1950. С. 241). საბჭოთა კავშირის პირობებში ეს შეხედულება არცთუ ისე დაუსაბუთებელი იყო. საბჭოთა სახელმწიფო მრავალი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტით (ოპერატიული მართვა, მიწოდებები, კონტრაქტაცია და ა.შ.) მართლაც ეყოდა თავისი ხასიათით კრძამსამართლებრივ ურთიერთობებში. ამიტომ უნდა დავთანხმდეთ იმ შეხედულებას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში ხელისუფლებითი ელემენტების გარეშე შეუძლებელი იყო (Р.В. Шенгелия. Гражданская правосубъектность советского государства в кредитных правоотношениях. Тбилиси. 1984. С. 18.). საბაზო ეკონომიკის პირობებში ყოფიერება იცვლება. მართალია, სახელმწიფოს ხელისუფლებითი უფლებამოსილება არ ერთმევა, მაგრამ ეს აღარ არის სამოქალაქო სამართლის სფერო, არამედ კონსტიტუციური სამართალია. ამიტომაც მოუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა 24-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომ სახელმწიფო კრძამსამართლებრივ ურთიერთობებში არაფრით განსხვავდება კრძამსამართლის იურიდიული პირებისაგან.

მხოლოდ განათლების პოლიტიკას ახორციელებს ამ სფეროში და წარმოდგენს სახელმწიფოს.

მაშასადამე, საჯარო სამართლის უპირველესი სუბიექტი არის სახელმწიფო. იგი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც, როგორც წესი, არ არიან იურიდიული პირები.

ის ფაქტი, რომ სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები არ არიან იურიდიული პირები და მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელი ორგანოებია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა იურიდიული პირებით წარმოდგენილი. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვა მრავალი იურიდიული პირი იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება მოუწევთ მათ. მათზე დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. *საჯარო სამართლებრივი კორპორაციები*. მათ განეკუთვნება თვითმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები). სახელმწიფოს მსგავსად აქაც თვით მუნიციპალიტეტია იურიდიული პირი და არა მისი ორგანოები სამმართველოების, განყოფილებების, სამსახურების და ა.შ. სახით. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად, თუ ისინი არჩევნების საფუძველზე არიან შექმნილნი და არა ზემდგომი ორგანოების მიერ დანიშნულნი. თუ ისინი ზემდგომი ორგანოების მიერ არიან დანიშნულნი, მაშინ მათ შეიძლება იგივე სტატუსი ჰქონდეთ, როგორც სამინისტროს.

საჯარო სამართლის კორპორაციებს განეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო სახსრებით სახელმწიფო ფუნქციებს ახორციელებენ უშუალოდ. მაგალითად, საქართველოში ასეთ ორგანოდ შეიძლება ჩაითვალოს საქვაზი, საქნავთობი, საქენერგო და ა.შ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან ასევე სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც ასევე სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ეროვნული ბანკი, როგორც იურიდიული პირი, განმტკიცებულია კანონით ეროვნული ბანკის შესახებ; საქართველოს რკინიგზა, როგორც იურიდიული პირი, არსებობს საქართველოს რკინიგზის შესახებ კანონის საფუძველზე და ა.შ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების კიდევ ერთ ჯგუფს ქმნიან

ე.წ. საჯარო სამართლებრივი დაწესებულებები. ამ ჯგუფში შეშავალი იურიდიული პირების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: სახელმწიფო ტელევიზია და რადიო; სახელმწიფო ბიბლიოთეკები (ეროვნული ბიბლიოთეკის ჩათვლით), უნივერსიტეტები და სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ცენტრები, სახელმწიფო საავადმყოფოები, საბავშვო ბალები და ა.შ. ყველა ეს იურიდიული პირი სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტების საფუძველზე არსებობენ.

დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ე.წ. საჯარო სამართლებრივი ფონდების ცნებას. ეს არის განსაზღვრული საჯარო მიზნისათვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ორგანოს მიერ. ქართული სამართალიც იცნობს ამგვარ ფონდს, მაგალითად, საქართველოს საგზაო ფონდი.

საჯარო სამართლის ყველა ამ იურიდიულ პირს აზნაიათებს ერთი საერთო ნიშანი, რაც მათ განასხვავებს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, ასევე საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირებისაგან: ყველა ისინი იქმნება საგანმკარგულებო წესით ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი მას საფუძველად არ უდევს.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არ წარმოიშობიან, წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები. იურიდიული პირის სტატუსს ისინი იძენენ პოლიტიკური პარტიების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური პარტიები საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან, განაპირობებს მათი მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა შექმნაში და არა ის, თუ რა უდევს მათ შექმნას საფუძველად – ნების თავისუფალი გამოვლენა თუ ადმინისტრაციული აქტი. პოლიტიკური პარტიების სტატუსი დასავლეთის ქვეყნებში ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი. გერმანული სამართლის მიხედვით პოლიტიკური პარტიები საერთოდ არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (არც კერძო სამართლის და არც საჯარო სამართლის)<sup>74</sup>, ავსტრიის სამართალი კი მათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად განამტკიცებს.<sup>75</sup>

<sup>74</sup> Greifelds, Rechtswörterbuch. 12. Aufl. S. 875.

<sup>75</sup> Dittich/Tades, ARGB (1994) §.26, S.31.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. მის ამ სტატუსს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც არა მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ დამსახურებას აღიარებს ქართველი ერის წინაშე, არამედ მას საჯარო სამართლის სუბიექტადაც მიიჩნევს. ამას შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არც შეიძლება იყოს. აქ არ გამოიყენება numerus clausus პრინციპი. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ამ სუბიექტებს სახელმწიფო ქმნის და ამისთვის მას რაიმე სპეციალური ჩარჩოების დაწესება არ სჭირდება. სწორედ აქედან გამომდინარე თქვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი საჯარო სამართლის იურიდიული პირების დახურულ ჩამოთვლასა და მათ ლეტალურ სამართლებრივ მოწესრიგებაზე. ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება კერძო სამართლის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამან განსაზღვრა 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის არსებობა, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების „შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით“; იქვე განამტკიცა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით, რა მოცულობით, რა ფუნქციებით შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები“.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების დახურული სისტემატიზაციის შეუძლებლობა განაპირობებს იმას, რომ დასავლეთის ქვეყნების სამართალში ამ სუბიექტთა როგორც სახეები, ასევე ფორმებიც სრულიად სხვადასხვაა. სულ სხვა ვითარებაა კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ: როგორც ვნახავთ, მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ქვეყნებში ხშირად ემთხვევა ერთმანეთს.

არა მხოლოდ სახეებია სხვადასხვა, არამედ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. მაგალითად, პოლანდიის ახალი სამოქალაქო კოდექსი მეორე წიგნში განსაზღვრავს, თუ ვინ ჩაითვლება საჯარო სამართლის სუბიექტად და მათ შორის პირველ რიგში ასახელებს სახელმწიფოს, მაშინ, როცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სახელმწიფოს ცალკე ნორმას არ უთმობს. მაგალითად, ავსტრიისა და პოლანდიის სამართალი საწყლო კოპერატივებს საჯარო სამარ-



საქლის სუბიექტებად მიიჩნეეს.<sup>70</sup> სხვა ქვეყნები ასეთ რამეს არ იცნობენ. გერმანული სამართლის მიხედვით პროფკავშირები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს მაშინ, როცა ავსტრიის სამართალი პროფკავშირებს იურიდიულ პირად მიიჩნევს.

## §10. იდეალური ანუ არაკომერციული იურიდიული პირები

### I. ისტორიული ექსკურსი

#### ა. კავშირები

თანამედროვე კანონმდებლობა კავშირების, როგორც არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ გასული საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. ის ფაქტი, რომ კავშირების სამართლებრივი მოწესრიგება მას შემდეგ განხორციელდა, რაც კანონმდებლობა სააქციო საზოგადოებების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და კოოპერატივების შესახებ ჩამოყალიბდა, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკურ, სეკტორულ, კომერციული ინტერესები გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პოლიტიკური მოტივებით განპირობებული მოქალაქეთა გაერთიანებების უფლებები.

ძირითადი მიზეზი კავშირების სამართლებრივი მოწესრიგების ასეთი დაგვიანებისა უფრო პოლიტიკური ხასიათისა და უმთავრესად იმ ეპოქის პოლიტიკური შეხედულებებით იყო განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში განმანათლებლობამ უდიდესი როლი ითამაშა, რისი პრაქტიკული გამოხატულებაც მაშინდელი კოდიფიკაციები იყო, ეს სახელმწიფოები ეჭვის თვალით უყურებდნენ მოქალაქეთა თავისუფალი გაერთიანებების ინსტიტუტის განვითარებას. კავშირები სწორედ ამგვარი გაერთიანების ფორმას წარმოადგენს. ამიტომ სრულიად ბუნებრივად ჩანს, რომ 1850 წლის პრუსიის კონსტიტუცია მოქალაქეთა გაერთიანებების (კავშირების) თავისუფლებაზე არაფერს ამბობს. ყველაზე უფრო საინტერესო ამ საკითხში მაინც ფრანგული მაგალითია. ფრანგული რევოლუცია, რომელიც თავისუფლების იდეალებით იყო გამორჩეული, კატეგორიულად უარყოფდა

<sup>70</sup> Dittich/Tades ABGB 34 (1994) §. 26, S. 36; NBW 2-1

გაერთიანების უფლებას. მან ფეოდალური ეპოქის ყველა გაერთიანება გააუქმა. 1791 წლის კანონმა პირდაპირ აკრძალა კავშირების შექმნა, განსაკუთრებით კი პროფესიული გაერთიანებების ჩამოყალიბება, საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 291-ე) დასჯადად აცხადებდა ყოველგვარ გაერთიანებას, რომელსაც 20-ზე მეტი წევრი ჰყავდა, თუკი ეს მთავრობისგან არ იყო ნებადართული. ეს წესი საფრანგეთს 1901 წლამდე არ გაუუქმებია, როცა მიღებულ იქნა კანონი კავშირების შესახებ.

ყველაზე მტკივნეული მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იყო პროფესიული გაერთიანებების შექმნის აკრძალვა. მზარდი ეკონომიკის პირობებში და მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის გამაღებელი ზრდის პირობებში ამის აუცილებლობა განსაკუთრებით გამოიკვეთა. ამიტომაც იყო, რომ გასულ საუკუნეში არსებული ყველა ლიბერალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის წარმომადგენელი მოძრაობები თავიანთ ძირითად მიზნად ამ გაერთიანებების დაშვებას ისახავდნენ.

კავშირების სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტისას აშკარად გამოიკვეთა პრობლემათა ორი ჯგუფი: პირველი, იყო თუ არა ნებადართული იდეალური კავშირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური ნებართვის გარეშე? ეს ნაკლებად იყო კერძო სამართლის პრობლემა. იგი აშკარად განეკუთვნებოდა საჯარო სამართალს – კონსტიტუციურ და ადმინისტრაციულ სამართალს, ნაწილობრივ სისხლის სამართალსაც; მეორე, როგორ შეიძლებოდა იმ იდეალური კავშირებისთვის, რომლებიც საჯარო სამართლის მიერ ნებადართული იყო, იურიდიული პირის უფლებები მიენიჭებინათ. ეს იყო ძირითადი პრობლემა კერძო სამართლისთვის.<sup>77</sup>

მოქალაქეთა გაერთიანებების თავისუფლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში თანდათანობით დამკვიდრდა ახალი კონსტიტუციების მიღების კვალდაკვალ. ღიად რჩებოდა საკითხი ამ კავშირების სამოქალაქო სამართლებრივი უფლებაუნარიანობის შესახებ.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ მრავალი წევრისაგან შემდგარი გაერთიანებები იურიდიული პირის უფლებების გარეშე პრაქტიკულად ვერ შეძლებდნენ მონაწილეობა მიეღოთ სამართლებრივ ურთიერთობებში. ეს იმის აუცილებლობას ბადებდა, რომ მათთვის სუბიექტის სტატუსი მიენიჭებინათ. სამართლებრივი მოწესრიგება ამ სფეროში სრულიად განსხვავებული იყო. განსაკუთრებით იგრძნობოდა ეს ფრანგულ სამართალში. მაგა-

<sup>77</sup> Coing. Bd.II, S.138.

ლითად, თუ გაერთიანებებს ოცზე მეტი წევრი კყავთ, სჭირდებოდათ პრეფექტების ნებართვა, მაგრამ იურიდიული პირის უფლებებს ეს გაერთიანება მხოლოდ იმის შემდეგ იძენდა, როცა მთავრობა მას საერთო სასარგებლო ორგანიზაციად გამოაცხადებდა. დროთა განმავლობაში ამ ნებართვებმა ფორმალური ხასიათი მიიღეს და საკანონმდებლო მოწესრიგება უფრო სრულყოფილი გახდა.<sup>78</sup>

საფრანგეთის 1901 წლის 1 ივლისის კანონმა სრულიად სხვა საფუძვლები შემოიღო იდეალური კავშირებისთვის. ამ კანონის თანახმად, უკვე თავისუფლად შეიძლებოდა კავშირების დაფუძნება, ისინი უფლებაუნარიანობას მოიპოვებდნენ მარტივი დეკლარაციის მეშვეობით და წესდების რეგისტრაციით პრეფექტურაში. ეს წესი დღემდე არსებობს საფრანგეთში.

იტალიაში გაერთიანებების თავისუფლება შემოღებულ იქნა 1848 წლის კონსტიტუციით, მაგრამ კავშირები სამართლის სუბიექტად მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ხდებოდნენ. ბელგიაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის 1831 წლის კონსტიტუცია გაერთიანებების თავისუფლებას აღიარებდა, კავშირებს უფლებაუნარიანობა მხოლოდ სახელმწიფო კონცესიის საფუძველზე მიენიჭებოდათ. მხოლოდ 1921 წლის 17 ივნისის კანონით იქნა ბელგიაში შემოღებული კავშირების თავისუფლად შექმნის ინსტიტუტი: კავშირების უფლებაუნარიანობა წარმოიშობა კავშირის მიერ თავისი წესდების პრესაში გამოქვეყნებით. გაერთიანების თავისუფლება პოლანდიაში 1848 წლის კონსტიტუციით განმტკიცდა. მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის 1855 წელს მიღებულ იქნა კანონი კავშირების შესახებ. ამ კანონის თანახმად, კავშირი სამართლის სუბიექტი ხდებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ამ აქტის გაცემაზე უარი შეიძლებოდა მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობისას. ესპანეთის კონსტიტუციამ გაერთიანებების თავისუფლება 1876 წელს შემოიღო. 1887 წლის კანონით კავშირის დასაფუძნებლად საკმარისი იყო განცხადება და წესდების ჩაბარება პროვინციის გუბერნატორთან. მას უარის უფლება ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კავშირი არღვევდა სისხლის სამართლის კანონს.

ამრიგად, საფრანგეთმა და ფრანგული სამართლის წრის ქვეყნებმა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მოქალაქეთა გაერთიანებების თავისუფლებას კერძო სამართლებრივი საფუძველები დაუდეს.

<sup>78</sup> Vormbaum, Thomas, Die Rechtsfähigkeit der Vereine im 19. Jahrhundert, Berlin 1976, p. 28 c; Hedemann, Fortschritte I, §.3 c.

კავშირების სამართლებრივი მოწესრიგების პროცესი ასევე შეეხო გერმანული სამართლის წრესაც. მაგალითად, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი (§.26) აწესრიგებდა კავშირების კერძო სამართლებრივ საკითხებს. კერძოდ, იგი იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებდა „ნებადართულ საზოგადოებებს“, ხოლო საკითხი, თუ რომელი იყო ნებადართული კავშირები, საუკუნის მანძილზე სრულიად განსხვავებულად წყდებოდა. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი აკრძალულად მიიჩნევდა ისეთ საზოგადოებებს, რომლებიც „პოლიტიკური კანონებით იყო აკრძალული“ ან „ამჟამად ეწინააღმდეგებოდნენ საჯარო წესრიგს“. 1867 წლის 15 ნოემბრის კანონით მოხდა კავშირების შექმნის ლიბერალიზება. მათი დაფუძნება პრაქტიკულად თავისუფალი გახდა. მათი შექმნა შეიძლებოდა სახელმწიფო ორგანოში წესდების ჩაბარების გზით. ამ ორგანოს უფლება ჰქონდა 4 კვირის ვადაში უარი ეთქვა ოფიციალურ ცნობაზე. კანონი განამტკიცებდა ამ უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობასაც. ანალოგიური ნორმებს ითვალისწინებდა პრუსიული სამართალიც. საბოლოოდ კავშირების სამართლებრივი მოწესრიგება გერმანიაში მოხდა სამოქალაქო კოდექსის მიღებით 1896 წელს. კოდექსმა გადმოიღო საქსონიის 1868 წლის კანონის ნორმა, რომლის თანახმადაც კავშირი წარმოიშობოდა რეგისტრაციის შედეგად. ეს ნორმა დღესაც ძალაშია.

თანამედროვე გაგებით კავშირების ისტორიაზე ქართულ სამართალში საუბარი შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი კანონმდებლობის საფუძველზე. უწინარეს ყოვლისა, ესაა კანონი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ.

ერთალია, საბჭოთა კავშირშიც არსებობდა კავშირების მსგავსი ორგანიზაციები (მწერალთა კავშირი, არქიტექტორთა კავშირი, მხატვართა კავშირი და ა.შ.), მაგრამ მათი მიჩნევა თანამედროვე კავშირების წინამორბედებად, ალბათ, გაჭირდება. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ისინი საჯარო სამართლის ორგანიზაციები უფრო იყო, ვიდრე კერძო სამართლის. მათი მართვის ორგანოების ჩამოყალიბება პრაქტიკულად კომპარტიის ორგანოების მიერ ხდებოდა. დამოუკიდებელი ორგანიზაციისა და კერძო ავტონომიის პრინციპები მათთვის უცხო იყო.

### *ბ. ფონდები*

ის, რასაც თანამედროვე სამართალში ჩვენ ფონდებს ვეძახით. Ius Commune უწოდებდა *piac causae*-ს. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა

საქველმოქმედო შემოწირულობანი ეკლესიის ან საეკლესიო ორგანიზაციების სასარგებლოდ,<sup>79</sup> ე.ი. პრაქტიკულად ლაპარაკი იყო ისეთ ფონდებზე, რომლებსაც თანამედროვე სამართალი არადამოუკიდებელ, ფილტუიარულ ფონდებს უწოდებს. მართალია, იმ ეპოქაშიც არსებობდა დამოუკიდებელი ფონდების მსგავსი ისეთი დაწესებულებანი, როგორც პოსპიტლებია, მაგრამ ამას სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგება არ მოჰყოლია ისევე, როგორც არც სპეციალური თეორიის წარმოშობა. ისინი სახელმწიფოსაგან მინიჭებულ სპეციალურ პრივილეგიებს ემყარებოდნენ.

იმის გამო, რომ ფონდების შემთხვევაში პრაქტიკულად ლაპარაკი იყო საეკლესიო შემოწირულობებზე, მათი სამართლებრივი ბუნების შესწავლა არსებითად მკვდარი ხელის (main morte) ფარგლებში ხდებოდა. მათი არსებობა მკაცრად იყო დამოკიდებული მთავრობის ნებართვისაგან. ამიტომ პროტესტანტული ეკლესიის ქვეყნები საფონდო დაწესებულებებს სახელმწიფოებრივი მმართველობის ნაწილად მიიჩნევდნენ და მკაცრი სახელმწიფოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფებდნენ. სწორედ ამ პრინციპებს ემყარებოდა პირველი კოდიფიკაციები.

ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი ფონდების არსის განსაზღვრისას უთითებდა პოლიტიკურ კანონებზე. სინამდვილეში ის დეკრეტები, რომლებიც გამოიყენებოდა ფონდების შესაბამისი შემოწირულობებისათვის, ფაქტობრივად ფონდის ფორმასაც განსაზღვრავდნენ. ამ კოდექსისაგან განსხვავებით, პრუსიის სამართალი შეიცავს განსაზღვრებებს დამოუკიდებელი დაწესებულებების შესახებ, როგორცაა ღარიბთა სახლები, პოსპიტლები და ა.შ. და მათ მორალური პირის სტატუსს ანიჭებს. ოღონდ ეს დაწესებულებები სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებიან; მათ შექმნას სჭირდებოდა ნებართვა, ხოლო რაც შეეხება მათ სასარგებლოდ შემოწირულობებს, ისინი შეიძლებოდა ნებართვის გარეშეც განხორციელებულიყო.<sup>80</sup>

ფრანგულმა სამოქალაქო კოდექსმა საავადმყოფოებისა და ღარიბებისთვის განხორციელებული შემოწირულობებისთვის არსებული ნებართვის სისტემა უცვლელი დატოვა.<sup>81</sup>

კანონმდებლობაში განმტკიცებულ ამ შეხედულებას თითქმის უსიტყვოდ შეუერთდა სამართლის მეცნიერებაც. განსაკუთრებით ეხება ეს საფრანგეთსა და ბელგიას. ფრანგული დოქტრინა ფონდებს იხილავს ჩუქე-

<sup>79</sup> Coing, Bd. II, S.349.

<sup>80</sup> Coing, Bd. II, S.350.

<sup>81</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 410 ე ძეხლ.

ბასა და ლეგატთან კავშირში. მიზეზი ამისა ისაა. რომ ფონდის დროს ლაპარაკია შემოწირულობაზე. ჩუქებაც და ლეგატიც ფრანგულ კოდექსში დაწერილებითაა მოწესრიგებული. *ფრანგული მოძღვრების თანახმად. ფონდი – ეს არის საქვედმოქმედო შემოწირულობის განსაკუთრებული სახე.* მას სჭირდება სახელმწიფოებრივი ნებართვა. შემოწირულობის განხორციელების დროს მისი მიძღვები ცოცხალი უნდა იყოს რეალურად მაშინაც, როცა შემოწირულობა ანდერძის მეშვეობით ხდება. ფრანგულ მოძღვრებას შეუერთდა იტალიური დოქტრინაც.<sup>42</sup>

სხვა გზით წავიდა პანდექტური მეცნიერება. *paie causae*-საგან განსხვავებით, მან ჩამოაყალიბა მოძღვრება დამოუკიდებელი ფონდის შესახებ და იგი იურიდიული პირის ერთ-ერთ ფორმად აღიარა. მაგრამ იმას, რომ ფონდები კლასიკური იურიდიული პირებისაგან – კორპორაციებისაგან – განსხვავდება, პირველად სავინიმ მიაქცია ყურადღება, კერძოდ, მისი აზრით, კორპორაციებისაგან განსხვავებით ფონდებს არა აქვთ თვალსაჩინო სუბსტრატი, „არამედ უფრო იდეალური ექზისტენცია, რომელიც ემყარება ზოგად, მისი (ე.ი. ფონდის) მეშვეობით მისაღწევ მიზანს“.<sup>43</sup> სავინის ამ თეორიას „პერსონიფიცირებული მიზნის“ თეორია უწოდეს.<sup>44</sup> უფრო მოგვიანებით დერნბურგმა ფონდს „სასარგებლო მიზნებისთვის განკუთვნილი ქონება“ უწოდა.<sup>45</sup>

რაც შეეხება ფონდების მიზნებს, პანდექტისტიკაც ძველ *paie causae*-ს ტრადიციას ემყარება და პრაქტიკულად იზიარებს მას. ამავე დროს, ფონდის მიზანი შეიძლება საფუძვლად დაედოს მის კლასიფიკაციას: ა. საჯარო ფონდი, ე.ი. ფონდი, რომლის მიზანი ემთხვევა სახელმწიფოს ან საჯარო კორპორაციის მიზნებს; ბ. კერძო ფონდი, ე.ი. რომელსაც მხოლოდ კერძო მიზნები აქვს; გ. შერეული ფონდი.

პანდექტისტიკის მიერ შემოღებული მოძღვრება ფონდის შესახებ საკმაოდ გავრცელდა ევროპაში. იგი გაიზიარეს შვეიცარიამ, ავსტრიამ, იტალიამ და ესპანეთმა. ყველაზე პრაქტიკული გამოხატულება ამ გავლენისა ის იყო, რომ ბევრმა ქვეყანამ ფონდი დამოუკიდებელ იურიდიულ პირად განამტკიცა საბოქალაქო კოდექსებში.

<sup>42</sup> Coing. Bd. II. S.350-351.

<sup>43</sup> Savigny. System. II. p.243.

<sup>44</sup> Unger. Josef. System des österreichischen allgemeinen Privatrechts. 5. Aufl. Leipzig, 1892, II. §.44. p.

<sup>45</sup> Dernburg. Pandekten, Bd.I, §.62. p.144.

## II. კავშირები და ფონდები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა მიზანს არ შეადგენს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, შეიძლება არსებობდნენ კავშირისა (ასოციაციის) და ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი). როგორც კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას, კანონმდებელი ამჯერადაც მიმართავს იურიდიულ პირთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ამომწურავი რეგლამენტაციის პრინციპს: არასამეწარმეო სფეროში დასაშვებია მხოლოდ კავშირებისა და ფონდების დაფუძნება.

### ა. კავშირისა და ფონდის ცნებები

კავშირის ლეგალურ დეფინიციას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, *კავშირი არის იურიდიული პირი. რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებებისაგან.*

კავშირი, როგორც არაკომერციული იურიდიული პირის ერთ-ერთი სახე, თანამედროვე მსოფლიოში დიდად გავრცელებულია. საფეხბურთო და სხვა სპორტული კლუბები, დიდი სამეცნიერო თუ კულტურული დაწესებულებები და სხვა მსგავსი ორგანიზაციები არსებობენ კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

კავშირი კრებითი სახელწოდებაა იმ არაკომერციული გაერთიანებებისათვის, რომლებიც ჩვენს რეალურ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობენ: კლუბები, ცენტრები, ინსტიტუტები, აკადემიები, გაერთიანებები, ასოციაციები და ა.შ. ყველა თავსდება კავშირის ფორმაში. თუმცა ეს არ გამოირიცხავს, რომ „ცენტრი“ ან „ინსტიტუტი“ კომერციული იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაც არსებობდეს. მათ შორის განსხვავება ზუსტად აღსაქმელია რომ იყოს კანონი ამერტიულად მოითხოვს სახელწოდებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დართვას. მაგალითად, „საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ რეგისტრირებული კავშირი, გოლფის კლუბი რეგისტრირებული კავშირი და ა.შ.

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როცა არაკომერციული იური-

დიული პირის სახელწოდებაში ჩართავენ ტერმინს „ასოციაცია“. ასოციაცია არ წარმოადგენს რაიმე სპეციალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. იგი კავშირის სინონიმია და დასავლეთის ქვეყნებში ზუსტად იმ გაგებით გამოიყენება, როგორც ჩვენთან კავშირი.

მართალია, კავშირი წევრობაზეა დაფუძნებული და ამიტომაც იგი კორპორაციულად ორგანიზებულ იურიდიულ პირებს განეკუთვნება, მაგრამ მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შეცვლისაგან. ეს კანონის უაღრესად მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც კავშირის არსებობის სტაბილურობას უზრუნველყოფს. მაგალითად, საფეხბურთო კლუბიდან რომელიმე ფეხბურთელის წასვლამ ან მწერალთა კავშირიდან რომელიმე მწერლის გასვლამ არ უნდა გამოიწვიოს კავშირის დაშლა.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს კავშირის ორ სახეს: კავშირსა და არარეგისტრირებულ კავშირს (45-ე მუხლი). პირველი წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო მეორე – არა. პირველის რეგისტრაცია სავალდებულოა, ხოლო მეორისათვის კანონი ასეთ რამეს არ ითვალისწინებს.

ფონდის ლეგალურ დეფინიციასაც სამოქალაქო კოდექსი იძლევა. 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით *ფონდი არის იურიდიული პირი როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს. რომელსაც წევრები არ ჰყავს.*

განსხვავებით კავშირისაგან, რომელიც წევრთა გაერთიანების საფუძველზე იქმნება, ფონდს არა ჰყავს წევრები. იგი ქონების გაერთიანების შედეგად იქმნება კონკრეტული საერთო-სასარგებლო მიზნების მისაღწევად. განსხვავება კავშირსა და ფონდს შორის პრაქტიკულად გამოიხატება მართვის ორგანოების სტრუქტურასა და მათი შექმნის წესში, ასევე იმაში, რომ ფონდი არ იცნობს წევრობის ინსტიტუტს.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში „ფონდი“ ასოცირდება იმ მრავალრიცხოვან სპეციალურ საბანკო ანგარიშებთან, რომლებზეც ხდება თანხების გადარიცხვა კონკრეტული საქველმოქმედო მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ბაგრატიის ტაძრის აღდგენის ფონდი, დავით აღმაშენებლის ძეგლის მშენებლობის ფონდი, წყალდიდობით დაზარალებულთა დახმარების ფონდი და ა.შ. ამ ფონდებს თანამედროვე სამართალში „მკვდარი ფონდები“ ეწოდება, ვინაიდან ისინი იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ. გადაცემული ქონების საფუძველზე ამ დროს იურიდიული პირი არ იქმნება, არამედ ხდება თანხის გადაცემა უკვე არსებული ორგანიზაციი-



სათვის (მაგალითად, სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობა და ა.შ.), რათა მან წინასწარ განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს ეს ქონება. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფონდი არის იურიდიული პირი. უფრო ზუსტად ეს არის სამართლის სუბიექტად ქცეული ქონება. მას შეუძლია საკუთარი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე და ა.შ. ბუნებრივია, რომ „მკედარ ფონდს“ ასეთი რამ არ შეუძლია. ამიტომ პრაქტიკულ კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლა ამ „მკედარი ფონდების“ გაუქმებას ან რეორგანიზაციას, უარყოფითი პასუხი უნდა გაცეთ. ეს ფონდები კვლავ დარჩება იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი დღემდე არსებობდნენ.

თუ ფონდის განსხვავება კერძო სამართლის ყველა სხვა დანარჩენი იურიდიული პირისაგან ადვილია და განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს, კავშირის განსხვავებაზე სხვა კორპორაციებისაგან უფრო დეტალურად უნდა შევჩერდეთ. უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია კავშირის განსხვავებაზე კომერციული იურიდიული პირებისაგან, როგორცაა, მაგალითად, შპს, სს და ა.შ. ზოგ განსხვავებაზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს:

ა. კავშირის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებს შორის დაუშვებელია. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი მნიშვნელოვან კომერციულ გარიგებებს დებს და დიდ შემოსავალსაც იღებს. მაგრამ კლუბის წევრებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ რაიმე წილი კლუბის მოგებიდან. კომერციული იურიდიული პირები კი სწორედ იმიტომ იქმნება, რომ მათმა წევრებმა (პარტნიორებმა) მიიღონ მოგება. ასე, რომ კომერციული იურიდიული პირების მოგების განაწილება მათ წევრებს შორის სრულიად ბუნებრივია;

ბ. კომერციული იურიდიული პირების ქონება დაყოფილია წილებად (აქციებად), რომელთაც დამოუკიდებელი ქონებრივი ღირებულება აქვთ. წილთა მესაკუთრეებს შეუძლიათ მათი თავისუფალი გასხვისება. კავშირის ქონება წილებად არ არის დაყოფილი და არც მათი გასხვისებაა შესაძლებელი. კავშირის წევრი თავის წევრობას სხვა პირს ვერ მიჰყიდის;

გ. კომერციული იურიდიული პირებიდან წევრთა (პარტნიორთა) გავლა ყოველთვის დაკავშირებულია ქონებრივ შედეგებთან (წილის კომპლექსით, მოგების ნაწილის მიღება და ა.შ.). კავშირიდან წევრის გასვლას ასეთი ქონებრივი შედეგები არ მოსდევს. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწევრო შესატანების მიმართ;

დ. უძრავლეს კომერციულ იურიდიულ პირებში გათვალისწინებულია მინიმალური საწესდებო კაპიტალის შეტანის მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია იურიდიული პირის დაფუძნება ეს ეხება შპს-ს, სს-ს, კოოპერატივს. მსგავსი რამ კავშირებისათვის უცხოა.

კავშირისა და ფონდის დახასიათებისას პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, შეუძლიათ თუ არა ამ არაკომერციულ იურიდიულ პირებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება კავშირებსა და ფონდებს სამეწარმეო საქმიანობის უფლებამოსილებას ანიჭებს. თუკი ეს საქმიანობა ემსახურება კავშირისა და ფონდის მიზნებს. მაგალითად, ქართული მეცნიერების განვითარების ფონდმა შეიძლება დააფუძნოს კომერციული ორგანიზაცია და მისი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით დააფინანსოს ფონდის მიზნები. მაგრამ რისი უფლებაც არაკომერციულ იურიდიულ პირებს არა აქვთ, ესაა მოგების განაწილების დაუშვებლობა კავშირის წევრებსა და ფონდის დამფუძნებლებს შორის.

### *ბ კავშირისა და ფონდის დაფუძნება*

კავშირისა და ფონდის დაფუძნების წესები სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ დეტალურადაა მოცემული.

კავშირი, ისევე როგორც ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ორგანიზაცია, იქმნება პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. ამ დროს კავშირის დაფუძნების მსურველი პირები განსაზღვრავენ საერთო მიზანს, მისი მიღწევის საშუალებებს, ირჩევენ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგენენ აუცილებელ დოკუმენტებს და ა.შ.

უპირველესი პირობა კავშირის დასაფუძნებლად არის იმ თანამოაზრეთა შეკრება, რომელთაც სურთ საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანდნენ და შექმნან კავშირი. ეს პირები კავშირის პირველი წევრები იქნებიან. სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ასეთი ხუთი წევრის არსებობა მაინც.

სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სპეციალური დამფუძნებელი ხელშეკრულების შედგენის აუცილებლობას. თუმცა დამფუძნებლებს თვითონ შეუძლიათ ასეთი ხელშეკრულება შეადგინონ. კოდექსი სავალდებულო დოკუმენტად მიიჩნევს წესდებას, რომლის რეკვიზიტებსაც 32-ე მუხლი დაწერილობით განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, დამფუძნებლები

შეადგენენ დამფუძნებელ ხელშეკრულებას, თუ შემოიფარგლებიან მხოლოდ წესდებით, *კავშირის დაფუძნება არის მრავალმხრივი გარიგება* რამეთუ დასახული მიზნის მისაღწევად (კავშირის დასაარსებლად) აუცილებელია რამდენიმე პირის ნების გამოვლენა. ეს ნების გამოვლენები თანამთხვევადი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანი არ იქნება მიღწეული, ე.ი. გარიგება არ დაიდება და კავშირი არ დაფუძნდება. დაფუძნების სპეციალურ წესებთან ერთად, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის 31-34-ე მუხლებშია მოცემული, გამოიყენება ზოგადი ნორმები გარიგებათა ნამდვილობის შესახებ.

კავშირებისაგან განსხვავებით, ფონდის დაფუძნებისას არ ხდება თანამოაზრეთა გაერთიანება. ამ დროს უფრო მნიშვნელოვანია ფონდის მიზნის განსაზღვრა, ე.ი. ის მიზანი, რომლის მისაღწევადაც შემომწირველები მზად არიან გამოიყენონ თავიანთი ქონება. ასევე მათ უნდა ჩამოაყალიბონ ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც შეძლებენ შეწირული ქონების გამოყენებას ფონდების მიზნების შესაბამისად.

ფონდის მიზანი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს: სამეცნიერო, სახელოვნებო, კულტურული, აღმზრდელობითი და ა.შ. მაგრამ აუცილებელია, რომ ეს მიზანი იყოს საერთო-საზოგადოდ სასარგებლო.

სამოქალაქო კოდექსი ფონდების დაფუძნებისას ითვალისწინებს „ფონდის შექმნის დოკუმენტს“. ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს წესდება. წესდება ის ერთადერთი და ძირითადი დოკუმენტია, რომელიც აუცილებელია ფონდის დასაფუძნებლად. წესდების საფუძველზე კისრულობენ ვალდებულებას დამფუძნებლები (დამფუძნებელი) შეიტანონ ფონდში ქონება იმ ოდენობით, რომელიც აუცილებელია ფონდის მიზნის მისაღწევად (47-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). მართალია, ფონდის წესდება სანოტარო წესით მოწმდება და ნაკისრი ვალდებულება იურიდიული ძალის მქონეა, მაგრამ ფონდის რეგისტრაციამდე ყოველთვის შეიძლება უარის თქმა ქონების გადაცემაზე. ფონდის რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში უნდა იქნეს გადაცემული ქონება ფონდისათვის სრულად. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია კარგავს ძალას (47-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

რა ითვლება ფონდისათვის ქონების გადაცემად? ფონდის დაფუძნების ბალანსში უნდა აისახოს ყველა ის ქონებრივი სიკეთე, რომელიც ჩაიღო ფონდში. თუ ფონდის დასაფუძნებლად გამოყენებულია უძრავი ქონება, მაშინ იგი საჯარო რეგისტრში უნდა იყოს რეგისტრირებული ფონდის სახელზე. მაშასადამე, ქონების გადაცემა უნდა მოხდეს იმ ფორმით, როგორც სასტურებს ამ ქონებაზე საკუთრების გადაცემას ფონდისათვის.

## გ. წესდების სამართლებრივი ბუნება

წესდება ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი კავშირისა და ფონდის დასაფუძვლად აუცილებლად მიიჩნევს. იგი კავშირისა და ფონდის ორგანიზაციასა და სტრუქტურას აწესრიგებს. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ წესდება შიდაორგანიზაციული აქტია, რომლის მინიმალურ რეკვიზიტებსაც კოდექსი განსაზღვრავს. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ კრედიტორებს ნათელი წარმოადგენა ქონდეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, საქმიანობის საგანზე, ხელმძღვანელ ორგანოებზე, გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურაზე, წევრობაზე და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი მოსალოდნელი იქნებოდა ქაოსი სამართლებრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლში დეტალურად არის განსაზღვრული წესდების რეკვიზიტები. თუ წესდება ამ მონაცემებს არ შეიცავს, მაშინ იგი ბათილად მიიჩნევა და კავშირი ან ფონდი რეგისტრაციაში არ უნდა გატარდეს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ *წესდების სავალდებულო და ფაქულტატური რეკვიზიტები*. პირველი აუცილებელია ყველა წესდებისათვის, მეორე კი დამოკიდებულია დამფუძნებელთა ნებაზე: სურთ თუ არა მათ ამ დებულებათა შეტანა.

კავშირისა და ფონდის დაფუძნებისას წესდების სავალდებულო რეკვიზიტებს განეკუთვნება: ა. საქმიანობის მიზნები; ბ. სახელწოდება; გ. ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი); დ. ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესი; ე. კავშირისა და ფონდის დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესები; ვ. კავშირის წევრთა უფლებამოსილება. ფონდის წესდებისათვის დამატებით სავალდებულოა: ა. შესაწირავის მინიმალური ოდენობა და სახე; ბ. მითითებები თანხის გამოყენების შესახებ.

წესდების ფაქულტატური რეკვიზიტებია: ა. მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციები; ბ. კავშირის წევრთა კრების უფლებამოსილება.

წესდებაზე აუცილებელია ყველა დამფუძნებლის ხელმოწერა. წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის რეგისტრაციას გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს: კავშირი და ფონდი, როგორც იურიდიული პირები, წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.

კავშირი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ სოფელში, დაბასა თუ ქალაქში და არ მოითხოვს დიდ ქონებრივ დაბანდებებს. აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობის არეალიც საკმაოდ ფართოა. დამფუძნებლებს რომ გაუადვილდეთ კავშირის შექმნა და რეგისტრაცია, სამოქალაქო კოდექსმა დეცენტრალიზაციის გზა აირჩია: იგი რეგისტრაციაში ტარდება სასამართლოში კავშირის ადგილსამყოფელის მიხედვით. რაც შეეხება ფონდს, იგი უფრო რთული ფორმაა. მისი დაფუძნებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ დამფუძნებლის სურვილი. ვინაიდან ფონდი ქონების გაერთიანების საფუძველზე იქმნება, აუცილებელია იმის შემოწმება, მიესადაგება თუ არა ეს ქონება ფონდის მიზნებს. ამის შემოწმება კი საპეციალურ ცოდნასა და მეთოდოკასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, კონტროლი ფონდებზე სახელმწიფოს მხრიდან უფრო მკაცრია, ვიდრე კავშირებზე. ამიტომ ფონდის რეგისტრაციისას სამოქალაქო კოდექსი ცენტრალიზების გზას დაადგა: ფონდის რეგისტრაცია ხდება იუსტიციის სამინისტროში.

რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება საქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს (31-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). როგორც ჩანს, წესდების, როგორც დამფუძნებელთა ნების გამოვლენის, ნამდვილობისათვის კანონი ისეთივე მოთხოვნებს ითვალისწინებს, რასაც გარიგების ნამდვილობისათვის. შეესაბამება თუ არა წესდება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მოწმდება ჯერ ნოტარიუსის მიერ, ხოლო შემდეგ – სასამართლოს ან იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრაციისას.

რეგისტრაციისათვის სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს) უნდა წარედგინოს განცხადება რეგისტრაციის შესახებ და წესდება. ორივე ამ დოკუმენტს ხელს უნდა აწერდნენ დამფუძნებლები და გამგეობის წევრები.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელახა-

ლი რეგისტრაციის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლის მიხედვით მათი ხელახალი რეგისტრაცია უნდა მოხდეს 1999 წლის 1 იანვრამდე. ხელახალი რეგისტრაცია სავალდებულოა მაშინაც, თუ დამფუძნებლები ან წევრები მიიღებენ გადაწყვეტილებას წესდებაში ან სხვა დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

განსხვავებით ახალდაფუძნებული კავშირის ან ფონდის დამფუძნებელი დოკუმენტებისაგან, ხელახალი რეგისტრაციის დროს კავშირის ან ფონდის დამფუძნებლების ხელმოწერა წესდებაზე ან განცხადებაზე სავალდებულო არ არის. ეს აიხსნება იმით, რომ ხანგრძლივი საქმიანობის შედეგად, როგორც წესი, კავშირის წევრთა რაოდენობა მრავალრიცხოვანი ხდება. შეუძლებელია, რომ ამ დროს ყველა წევრმა მოაწეროს ხელი წესდებას და განცხადებას ხელახალი რეგისტრაციის შესახებ. ამიტომ არაკომერციული იურიდიული პირების ხელახალი რეგისტრაციისათვის სამოქალაქო კოდექსი უფრო გამარტივებულ პროცედურას ითვალისწინებს, კერძოდ, ამისათვის აუცილებელია:

ა. არაკომერციული იურიდიული პირების იმ ორგანოთა გადაწყვეტილება, რომლებიც მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის ან ამ იურიდიული პირების წესდების შესაბამისად უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის ან მათი რეორგანიზაციის შესახებ;

ბ. წესდების ახალი რედაქცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს (1511-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ მიიღება განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში. თუ ამ ვადაში არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული (დადებითი ან უარყოფითი) რეგისტრაცია განხორციელებულად ჩაითვლება (რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია).

რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია არ ნიშნავს ავტომატურ რეგისტრაციას. იგი უფლებას იძლევა მოითხოვონ კავშირის ან ფონდის დამფუძნებლებმა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ.

რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (31-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

რეგისტრაციისათვის წარდგენილი საბუთები დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით. სანოტარო წესით დამოწმება ასევე საჭიროა წესდებასა თუ გამგეობის წევრთა შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებებისათვის. ეს ცვლილებები ასევე უნდა გატარდეს რეგისტრაციაში

ინფორმაცია კავშირისა და ფონდის რეგისტრაციის შესახებ ქვეყნდება პრესაში. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. გარდა ამისა, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის ჩანაწერებს და მოითხოვოს წერილობითი ამონაწერები.

კავშირები და ფონდები დიდი საზოგადოებრივი ძალის ორგანიზაციაა. ღია საზოგადოების პირობებში ისინი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამიტომ მათზე კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის ბუნებრივი თანამდევია. კონტროლის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს რეგისტრაციის გაუქმება. სამოქალაქო კოდექსი (რეგისტრაციის) გაუქმების რამდენიმე საფუძველს იცნობს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს კავშირის ან ფონდის მიერ საქმიანობის ხასიათის შეცვლა. კერძოდ, რეგისტრაცია უქმდება, თუ ეს ორგანიზაციები არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადავიდნენ. ამ საფუძველით რეგისტრაციის გაუქმებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კავშირსა და ფონდს პრინციპულად აქვთ კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება. ასეთი საქმიანობით მიღებული შემოსავალი მათ მიზნებს უნდა ხმარდებოდეს. ბუნებრივად დაიბადება კითხვა: როგორ უნდა განისაზღვროს, არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადავიდნენ თუ არა კავშირი და ფონდი? ამ შემთხვევაში ორი ძირითადი კრიტერიუმი გასაზღვრელია: ა. გამოიყენება თუ არა სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი კავშირისა და ფონდის მიზნებისათვის და ბ. ზომ არ ინაწილებენ ამ საქმიანობით მიღებულ შემოსავალს მოგების სახით კავშირის წევრები და ფონდის დაბეზულებლები. თუ ეს ორი პირობა დაირღვა, მაშინ რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს. რეგისტრაციის გაუქმების სხვა ზოგადი საფუძველები გამოძღინარეობს 31-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: ა. თუ კავშირის ან ფონდის მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს; ბ. თუ ფონდის ქონება აღარ მიესადაგება ფონდის მიზნებს.

### *ე. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა*

როგორც იურიდიული პირების ქმედუნარიანობის დახასიათებისას აღვნიშნეთ, თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ორგანულ თეორიას ანიჭებს უპირატესობას. ამიტომ კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ

კავშირი და ფონდი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამგვარი გადაწყვეტის ძირითადი მიზანი არის კრედიტორებისა და მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. თუ ჩვენ კავშირისა და ფონდის მესვეურების იმის უფლებას მივცემდით თვითონ განესაზღვრათ ორგანოთა სახეები, ეს დიდ ქაოსსა და არეულობას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში ძნელი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ ვინ არის რეალურად უფლებამოსილი გასწიოს ხელმძღვანელობა კავშირისა და ფონდის შიგნით ან წარმოადგინოს ისინი გარეშე პირებთან ურთიერთობაში.

*ორგანო. რომელიც საერთოა კავშირისა და ფონდისათვის და აღჭურვილია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. არის გამგეობა.* გამგეობა შედგება გამგეობის წევრებისაგან. მათი არჩევის წესი განსხვავდება კავშირისა და ფონდში. ამიტომ მასზე საუბარი ქვემოთ იქნება. გამგეობის წევრები უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ კავშირსა და ფონდს. იმავედროულად ეს მათ მოვალეობასაც შეადგენს. ამ ხელმძღვანელობის ფარგლებს ორგანიზაციის შიგნით განსაზღვრავს წესდება (36-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გამგეობა შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე წევრისაგან. თუ გამგეობა რამდენიმე წევრისაგან შედგება, მაშინ დადგება მათ შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი. წესდებას შეუძლია გამგეობის წევრებს მიანიჭოს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ანდა დააწესოს ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა. როცა წესდება ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივ ხელმძღვანელობას ითვალისწინებს, მაშინ დადგება საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრაქტიკულად — როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილებები მიღებული, რა წესით უნდა წარმოადგინონ გამგეობის წევრებმა კავშირი ან ფონდი? ყველა ეს საკითხი პრაქტიკული მნიშვნელობისაა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: გამგეობა შედგება ათი წევრისაგან. კავშირმა უნდა იქირავოს შენობა ოფისისათვის, ე.ი. უნდა დადოს ქირავნობის ხელშეკრულება წესდებით გამგეობის წევრები ერთობლივი ხელმძღვანელობისათვის არიან უფლებამოსილნი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქირავნობის ხელშეკრულებას კავშირის სახელით ყველა ათივე წევრმა უნდა მოაწეროს ხელი? ანდა ფართის გამქირავებელი კალდებულობა. რომ გამგეობის ყველა წევრთან აწარმოოს მოლაპარაკება? ეს დიდ სირთულეებს შექმნიდა. ამიტომ როცა ხელმძღვანელობის ერთობლივ უფლებამოსილებაზე საუბარი, იგულისხმება გადაწყვეტილებების მიღების ფორმა თვით გამგეობის შიგნით. გარე ურთიერთობებში კი გამგეობის



ერთ-ერთი წვერის მიერ გამოვლენილი ნება ნაძღვილად უნდა მივიჩნიოთ. შიდახელმძღვანელობითი საქმიანობის გარდა, გამგეობის წევრები უფლებამოსილნი არიან სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმoadგენონ კავშირი და ფონდი მესამე პირებთან ურთიერთობაში. მათი წარმoadგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

გამგეობის წევრების გარდა, *კავშირისა და ფონდის ხელმძღვანელობისა და წარმoadგენლობის უფლება აქვს ასევე „სპეციალურ წარმoadგენელს“* (36-ე მუხლის პირველი ნაწილი). სპეციალური წარმoadგენელი არ არის გამგეობის წევრი, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მას უფლება აქვს უხელმძღვანელოს კავშირის ან ფონდის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს და გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამ სფეროებს შეიძლება განეკუთვნოს: ფონდის ან კავშირის გაზეთის (ჟურნალის) გამოცემა, პრესასთან ურთიერთობა, სპორტული ან სხვა განყოფილების ხელმძღვანელობა და ა.შ. რადგანაც ზემოდასახელებულ სფეროებში სპეციალურ წარმoadგენელს გარიგებების დადება უხდება, იგულისხმება, რომ იგი ამ გარიგებათა დასადებად სათანადო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.

მართალია, გამგეობის წევრების უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა, როგორც ხელმძღვანელობის, ისე წარმoadგენლობის სფეროში, მაგრამ პასუხისმგებლობაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ მათი ბრალეული მოქმედების გამო კავშირს ან ფონდს ზიანი მოადგათ, ისინი თავიანთი პირადი ქონებით აგებენ პასუხს. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაუმკებელია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

### *გ კავშირის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი*

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს კავშირის სავალდებულო ორგანოებსა და ფაკულტატურ ორგანოებს. პირველს განეკუთვნება *საერთო კრება და გამგეობა*. ხოლო მეორეს – კომისიები (42-ე მუხლი) ან სხვა საკონსულტაციო ორგანოები (43-ე მუხლი).

*საერთო კრება* იმის გამო, რომ კავშირი წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია, ეს წევრები განსაზღვრავენ კავშირის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს. ამიტომაც კავშირის წევრთა საერთო კრება წარმoadგენს კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოს. კავშირის წევრები

კავშირისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კრების შემდგომით იღებენ. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კრების მოწვევებს პროცედურას და მასზე გადაწყვეტილებების მიღების წესს.

კავშირის წევრთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით. როგორც წესი, კავშირი მრავალი წევრისაგან შედგება. ყველა წევრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა პრაქტიკულად რთულია. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კრება მოწვეულ იქნეს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით. თუ კონკრეტულად რომელ ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს განცხადება კრების მოწვევის შესახებ, ამას კავშირის წესდება განსაზღვრავს. განცხადება კრების მოწვევის შესახებ უნდა გაკეთდეს კრების ჩატარების დღემდე ორი კვირით ადრე მაინც (41-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საერთო კრების მოწვევის პერიოდულობა კავშირის წესდებაზეა დამოკიდებული. მაგრამ მინიმალურ ნორმებს კანონი აქაც განსაზღვრავს – კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იქნეს მოწვეული. კრების მოწვევის სხვა პერიოდულობა დამოკიდებულია კავშირის ინტერესებზე. საერთო კრების მოწვევა შეუძლია ასევე წევრთა ერთ მეთოდს (41-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მიუხედავად იმისა, თუ ვინ იწვევს კრებას – გამგეობა თუ კავშირის წევრები – კრების მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს კრების დღის წესრიგი. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და მას მნიშვნელოვანი სამართლებრივ შედეგი უკავშირდება. კერძოდ, ისეთ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დღის წესრიგში წინასწარ არ იყო შეტანილი, ბათილია (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ ნორმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კავშირის წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ განსახილველ საკითხს და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით არ შეიღახოს როგორც კავშირის წევრთა, ისე მთლიანად კავშირის ინტერესები.

მართალია, საერთო კრება კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა, მაგრამ მისი კომპეტენცია არ არის შეუზღუდავი. საერთო კრების კომპეტენციას განსაზღვრავს კავშირის წესდება, თუმცა კანონი მინიმალურ მოთხოვნებს აქაც აწესებს: გამგეობის კომპეტენციაში შემავალი საკითხები არ შეიძლება გადაწყვიტოს საერთო კრებამ (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ რა შედის გამგეობის კომპეტენციაში, ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს კანონი (მაგალითად, კავშირის წარმოადგენა მესამე პირებთან

ურთიერთობაში), ხოლო მეორე შემთხვევაში – თვისიონ წესდება. კანონით განსაზღვრული კომპეტენციის შეცვლა წესდებით დაუშვებელია, ე.ი. წესდება ვერ დააკისრებს საერთო კრებას, რომ ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს კავშირი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეს გამგეობის პრეროგატივაა.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი და პროცედურა. 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. იმავედროულად, კანონი განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელთა გადასაწყვეტად ხმათა უბრალო უმრავლესობა საკმარისი არ არის. წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია ხმათა ორი მესამედი, ე.ი. 75%-ზე მეტი, ხოლო კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება ყველა წევრის ხმათა ოთხი მეხუთედი, ე.ი. 80%-ზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას იგულისხმება კავშირის წევრების მონაწილეობა კრების მუშაობაში. მაგრამ კანონი იმის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, რომ კავშირის წევრებმა კრებაზე დაუსწრებლად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში, ამისათვის კი საჭიროა წერილობითი შეტყობინება.

შემოადინიშნულ პროცედურულ საკითხებს, როგორც დავინახეთ, კანონი საკმაოდ დაწვრილებით არეგულირებს. ეს არაა შემთხვევითი. ყველა გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას, რომლის შედეგებიც კავშირის წევრებს ეხება უშუალოდ. კანონმა უნდა დაიცვას მათი ინტერესები. მით უფრო, რომ საერთო კრების კომპეტენცია კავშირის შიდა საკითხების დარეგულირებაა: კავშირისა და კავშირის წევრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება, კავშირის აღმასრულებელი ორგანოების არჩევა და მათზე კონტროლის განხორციელება და ა.შ.

**გამგეობა.** გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ოთხი წლის ვადით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვადით არჩევასაც. გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც კავშირის წევრები, ისე გარეშე პირებიც.

იმ ზოგადი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გარდა, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, წესდება დაწვრილებით უნდა აწესრიგებდეს გამგეობის კომპეტენციას, უნდა ჩამოთვლიდეს იმ შეზღუდვებს, რომლებიც სავალდებულო იქნება გამგეობისათვის. მაგალითად, თუ საკითხი ეხება კავშირის უძრავი ქონების დავირაგებას ან მის გასხვისებას, აუცილებელია კავშირის წევრთა საერთო

კრების წინასწარი თანხმობა წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ჩაიშლება ბათილად.

კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელია გამგეობის არჩევა. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირის დამფუძნებლები კავშირის დაფუძნებისას ირჩევენ გამგეობას. წესდებით უნდა განისაზღვროს ასევე გამგეობის წევრთა რაოდენობა. თუ გამგეობის წევრთა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით დადგენილ მინიმალურ ოდენობას, მაშინ გამგეობის დანარჩენ წევრებს სასამართლო ნიშნავს გარდამავალი დროისათვის, ვიდრე არ იქნება საერთო კრება მოწვეული.

გამგეობის წევრობა დამყარებულია ნდობაზე, რომელიც კავშირის წევრებს გამგეობის წევრების მიმართ აქვთ. ამიტომ შრომის ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება კავშირსა და გამგეობის წევრებს შორის არ ფორმდება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება გამგეობის არჩევის შესახებ შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს (მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი). ეს პრაქტიკულად გამგეობის წევრების გამოწვევას ნიშნავს. გამგეობის წევრების გამოწვევა შეიძლება დამოკიდებული იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე. მნიშვნელოვანი საფუძვლის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების დროს უნდა გადაწყდეს.

*კავშირის სხვა ორგანოები.* კავშირის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის გარდა კავშირს შეიძლება ჰქონდეს სხვა ორგანოებიც. მათ განეკუთვნებიან *კომისიები და საკონსულტაციო საბჭოები*. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს ამ ორგანოების კომპეტენციასა და შემადგენლობას. 42-ე მუხლის მიხედვით კომისიები იქმნება კრებებს შორის პერიოდში კრების ფუნქციების განხორციელების მიზნით. ეს არ არის შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კავშირის მრავალრიცხოვან წევრთა შეკრება ხშირად შეუძლებელია. ბევრი საკითხი კი საშურად მოითხოვს საერთო კრების მიერ გადაწყვეტას. ამიტომ აუცილებელია ისეთი ორგანოს არსებობა, რომელიც გადაწყვეტს ამ საკითხებს და სისტემატურად გააკონტროლებს გამგეობის საქმიანობას. ასეთ შესაძლო ორგანოდ სამოქალაქო კოდექსი ასახელებს კომისიებს. ვინაიდან კომისიას საერთო კრების ფუნქციები ეკისრება, მისი წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები.

კომისიებისაგან განსხვავებული ფუნქციები ეკისრებათ საკონსულტაციო საბჭოებს, რომლებიც ასევე კავშირის წევრთა საერთო კრების მიერ იქმნება. მათი საქმიანობა ცალკეულ საკითხებზე რჩევების მიცემით შემო-

იყარგლება და სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლება მათ არა აქვთ. ამიტომაც უშვებს სამოქალაქო კოდექსი იმის შესაძლებლობას, რომ საკონსულტაციო საბჭოების წევრები იყვნენ კავშირის არაწევრებიც (43-ე მუხლის მე-2 წინადადება).

### ზ. კავშირის წევრობა

კავშირის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. კავშირის წევრობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იურიდიული პირი კერძო სამართლისაა თუ საჯარო სამართლის, კომერციულია თუ არაკომერციული.

კავშირის წევრობა შეიძლება წარმოიშვას კავშირის დაფუძნების ან არსებულ კავშირში წევრად შესვლის შედეგად. კავშირის დაფუძნებისას თუ კავშირში წევრად შესვლისას ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების გამოვლენასთან, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ამიტომ ასეთი ნების გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას.

კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ. ამისათვის აუცილებელია წევრობის მსურველის წერილობითი განცხადება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს განწვერიანების სხვა პირობებსაც. პრაქტიკულად დაისმება საკითხი, თუ რა პროცედურაა აუცილებელი განწვერიანებისათვის. კანონი დანერვილებით ამის შესახებ არაფერს ამბობს. ეს პროცედურა ცალკეული კავშირის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კავშირში წევრობის მსურველი პიროვნების შესწავლა, მისი განცხადების განხილვა გამგეობის სხდომაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევებში განწვერიანებისათვის საეპარისია ე.წ. კავშირისათვის მიერთების განცხადება, რომლითაც შემსვლელი აღიარებს კავშირის წესდებას და კისრულობს ვალდებულებას, რომ დაიცავს წესდებით გათვალისწინებულ წესებს. არის შემთხვევები, როცა კავშირის წესდება წევრად მიღებას ითვალისწინებს ავტომატურად – ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების შედეგად, მაგალითად, საწევროს შეტანა და ა.შ.

კავშირის წევრობა პირადი ხასიათის უფლებათა კომერციულ საზოგადოებებში წევრობისაგან განსხვავებით, იგი არ არის ქონებრივ უფლებებთან უშუალო კავშირში (მაგალითად, იგი არ იძლევა მოგების მიღების უფლებას). აქედან გამომდინარე, წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც მემკვიდრეობით გადადის (44-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაგალი-

თ.დ. წარმოუდგენელია, რომ მწერალთა კავშირის წევრმა მწერალმა გაყიდოს თავისი წევრობა ან გადაცვალოს იგი სხვაგან წევრობაზე. იმავედროულად, კანონის ეს ნორმა არ არის იმპერატიული. კანონი სხვაგვარი მოწესრიგების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. მაგალითად, საფეხბურთო კლუბებში ფეხბურთელების ხშირი ცვლა, მათი ყიდვა-გაყიდვა არცთუ იშვიათად უკავშირდება მოცემულ კლუბში წევრობის გაცვლას სხვა კლუბის წევრობაზე.

მართალია, კავშირი პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციაა და იგი თვითონ წყვეტს საკითხს, თუ ვინ მიიღოს წევრად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კავშირის მხრიდან ასეთი არჩევანის შესაძლებლობა შეზღუდულია. ეს ის შემთხვევებია, როცა კავშირი წევრობის მსურველისათვის ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას საარსებო სოციალური და სხვა ამოცანების განხორციელებისას (44-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ასეთ დროს კავშირი ვალდებულია მიიღოს წევრობის მსურველი კავშირის წევრად. საბჭოთა მწერლობის ისტორია იცნობს ისეთ ფაქტს, როცა 1943 წელს სსრკ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ცნობილი მწერალი მიხეილ ზოშჩენკო. მწერალთა კავშირის წევრობა კი პურის ტალონის მიღების უფლებას იძლეოდა, რაც იმ დროს გამოკვების ერთადერთი წყარო იყო. მწერალთა კავშირიდან გარიცხვით ზოშჩენკოს არსებობის ეს წყარო მოესპო. ანალოგიურ საარსებო ფუნქციას დღევანდელი საქართველოს პირობებში მრავალი კავშირი შეიძლება ასრულებდეს (ინვალიდთა კავშირი, ომის მონაწილეთა კავშირი და ა.შ.). მათი წევრები ზოშჩენკოს მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდნენ, კანონი დამკაც მექანიზმს ითვალისწინებს: დაუშვებელია მათთვის უარის თქმა წევრად მიღებაზე, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება კავშირის ძირითად პრინციპებს.

კავშირის წევრობის განხილვისას პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი წევრობის შეწყვეტის შესახებ. სამოქალაქო კოდექსი წევრობის დაკარგვის სამ საფუძველს იცნობს: *წევრის გარდაცვალება*, *წევრობიდან გასვლა*, *წევრის გარიცხვა*. ზემოთ უკვე ითქვა, რომ კავშირის წევრის გარდაცვალება არ იწვევს წევრობის გადასვლას მემკვიდრეობით. ამიტომ უფრო საყურადღებოა წევრობის დაკარგვის სხვა საფუძველების განხილვა. როგორც კავშირში გაწევრიანება ნებაყოფლობითი, ასევე ნებაყოფლობითია კავშირიდან გასვლაც. ყოველი წევრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კავშირიდან გასვლის შესახებ. ამასთან, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კავშირიდან გასვლის განსაზღვრულ ვადას.

ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს ამ შეზღუდვის მიზანია არარაობად არ იქცეს კავშირიდან გასვლის უფლება და წევრს არ შეექმნას დაუსაბუთებელი წინააღობები ამ უფლების განხორციელების პროცესში. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ გასვლის ვადის დაწესება სავალდებულო არ არის. თუ რა უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, სამოქალაქო კოდექსი ამას არ განსაზღვრავს. ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. წევრობის დაკარგვის ყველაზე მძიმე შემთხვევაა კავშირიდან გარიცხვა. ამ დროს წევრობის დაკარგვა კავშირის წევრის ნების საწინააღმდეგოდ ხდება და რეპრესიული, დასჯითი ღონისძიების ხასიათს ატარებს. სამოქალაქო კოდექსი კავშირიდან წევრის გარიცხვის უფლებას მხოლოდ წევრთა საერთო კრებას აძლევს. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიცხულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად (44-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

კავშირის წევრობა დაკავშირებულია განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებთან, რომელთა ერთობლიობა შეადგენს კავშირის წევრობის შინაარსს. ამ უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს კანონი არ ითვალისწინებს. ეს კავშირის წესდების საქმეა. იმავდროულად, წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა წესდების სავალდებულო რეკვიზიტია. კავშირის რეგისტრაციისას წესდება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კავშირის წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს.

კავშირის წევრის მოვალეობათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია საწევრო შესატანის შეტანის მოვალეობა. როგორც წესი, წესდება თანაბრად განსაზღვრავს წევრთა შესატანის ოდენობას. თუმცა არ არის გამორიცხული შესატანის დიფერენცირება. პრაქტიკულად ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკურ პირებთან ერთად კავშირის წევრებად გვევლინებიან იურიდიული პირებიც. მათი შესატანის ოდენობა ოდნავ მეტია, ვიდრე ფიზიკური პირების. მიუხედავად შესატანის ოდენობის განსხვავებულობისა, წევრებს მაინც თანაბარი უფლებები აქვთ. მაგრამ წესდება აქაც შეიძლება ითვალისწინებდეს პრივილეგირებულ უფლებებს.

კავშირის წევრთა უფლებებს ლიტერატურაში ორ ჯგუფად ყოფენ: უფლებები კავშირის ორგანიზაციის სფეროში და ე.წ. სარგებლის მიღების უფლებები. პირველს განეკუთვნება ხმის უფლება, კავშირის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, გამგეობისა და სხვა ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კონტროლის უფლება და ა.შ. მეორე ჯგუფის უფლებებს შეადგენენ კავშირის წევრობისათვის გათვალისწინებუ-

ლი ზოგი უპირატესობით სარგებლობის უფლებები მაგალითად, საფეხბურთო კლუბის წევრებს უფლება აქვთ არაწევრებთან შედარებით უფრო იაფად შეიძინონ საფეხბურთო მატჩებზე ზილეთები. ამა თუ იმ სპორტული კლუბის წევრებს შეუძლიათ სხვებთან შედარებით უპირატესად ისარგებლონ ამ კლუბის სპორტული მოედნებით ან სხვა სპორტული მოწყობილობებით

თანამედროვე კავშირების საქმიანობის იმანენტურ ნაწილს შეადგენს წევრების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება. ამ ღონისძიებათა ძირითად მიზანს შეადგენს კავშირის წევრების მიერ წესდებით აღიარებული წესების დაცვის უზრუნველყოფა. ვინც თანამედროვე სპორტული კავშირების მოღვაწეობას ადევნებს თვალყურს, აშკარად დარწმუნდება, თუ რა ხშირად და რა ეფექტურად იყენებენ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციები, როგორცაა ფიფა, უეფა, ფიდე, ნაციონალური საფეხბურთო ფედერაციები, ცალკეული სპორტული კლუბები და ა.შ. ამ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა სახეები სრულიად განსხვავებულია. სპორტულ სამყაროში მათ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: სპორტსმენთა დისკვალიფიკაცია, თამაშის უფლების ჩამორთმევა და ა.შ. კავშირების საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ამ ღონისძიებათა ფორმები და სახეები სრულიად განსხვავებულია. თანამედროვე სამართალი აღიარებს კავშირის შიგნით მოქმედი დისციპლინური ღონისძიებების იურიდიულ ძალას. იმავდროულად კავშირის წევრებს უფლებას აძლევს მიმართონ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად. ევროპის საფეხბურთო ფედერაციის – უეფას უახლესი ისტორიიდან ე.წ. ბოსმანის შემთხვევა ამის თვალსაჩინო მაგალითია. სასამართლომ მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნია უეფას ის წესი, რომელიც ფეხბურთელს უკრძალავდა საფეხბურთო კლუბების თავისუფალი შეცვლის უფლებას.

### *თ. არარეგისტრირებული კავშირი*

კერძოსამართლებრივი არა ყველა გაერთიანება მთავრდება იურიდიული პირის შექმნით. ხშირია შემთხვევები, როცა გაერთიანების მსურველები არ არიან დაინტერესებულნი შექმნან იურიდიული პირი. არის შემთხვევები, როცა შესაქმნელ იურიდიულ პირს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – რეგისტრაცია – აკლია და ამის გამო იგი ვერ მიიღებს იურიდიული პირის სტატუსს. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა



გაერთიანების ფორმა, რომელიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, არის არარეგისტრირებული კავშირი. მშობელთა კომიტეტები სკოლებში, ქუჩის კომიტეტები, ქალთა საბჭოები და ა.შ. ის ორგანიზაციებია, რომელთათვისაც არ არის სავალდებულო იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.

რეგისტრირებული კავშირისაგან განსხვავებით, რომლის სტრუქტურისა და მართვის ორგანოებს განსაზღვრავს კანონი, არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება ამ კავშირის წევრთა ურთიერთშეთანხმებით (45-ე მუხლის პირველი ნაწილი). ურთიერთშეთანხმების სამართლებრივი დოკუმენტი შეიძლება იყოს წესდება ან ხელშეკრულება.

რეგისტრირებული კავშირის მსგავსად არარეგისტრირებულ კავშირსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი საფირმო სახელწოდება, რომლითაც ის საქმიან ურთიერთობებში გამოდის. ამ სახელწოდებას უნდა ჰქონდეს დამატება „არარეგისტრირებული კავშირი“. ეს აუცილებელია, რათა შეცდომაში არ შევიდნენ ის პირები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ კავშირთან.

არარეგისტრირებული კავშირის მართვის ორგანოების სტრუქტურას კანონი არ განსაზღვრავს. ეს კავშირის წევრთა შეთანხმებაზე დამოკიდებული. მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ არარეგისტრირებული კავშირი წარმოდგენილი იყოს კავშირის წევრებით ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებით (45-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

არარეგისტრირებული კავშირის ქონების ძირითად წყაროს შეადგენს კავშირის წევრთა საწევრო შესატანები. როგორც შესატანები, ისე ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის საერთო ქონებას. კრედიტორების მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირის მიმართ შეიძლება დაკმაყოფილდეს ამ ქონებიდან. პასუხისმგებლობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არარეგისტრირებული კავშირის პასუხისმგებლობასთან ერთად სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კავშირის წევრების სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც. კერძოდ, კავშირის კრედიტორების წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, პერსონალურად აგებენ პასუხს კავშირის ის წევრები, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

პოსტსოციალისტურ სამართლებრივ ცნობიერებაში პრობლემური შეიქნა საკითხი იმ ორგანიზაციებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი მოაწესრიგა. სამოქალაქო კოდექსის 1517-ე მუხ-

ლის ა ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულებათა თავისუფალი დადება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ არარეგისტრირებულ კავშირს შეიძლება ბანკში ჰქონდეს ისეთივე ანგარიშები, როგორც აქვთ იურიდიულ პირებს.

თავისი სამართლებრივი ბუნებით არარეგისტრირებული კავშირი ჰკავს ამხანაგობას, რომლის სამართლებრივ საფუძველს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს. ამიტომ პრაქტიკულად იბადება კითხვა: თუ რა განსხვავებაა ამ ორ ფორმას შორის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ არც ერთი ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, განსხვავება მათ შორის მაინც არსებითია, კერძოდ, ეს განსხვავებებია:

ა. არარეგისტრირებული კავშირი იქმნება არასამეწარმეო, ე.წ. იდეალური მიზნებისათვის; ამხანაგობის შექმნისას კი უფრო საერთო სამეურნეო მიზნების მიღწევა დომინირებს (930-ე მუხლი);

ბ. არარეგისტრირებული კავშირის საქმიანობა არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე, მაშინ როცა ამხანაგობის საქმიანობა მიზნად ისახავს ასეთი შემოსავლების მიღებას და კანონიც ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების წესს (935-ე მუხლი);

გ. ამხანაგობის ყველა მონაწილე სოლიდარულად აგებს პასუხს ამხანაგობის კრედიტორების წინაშე (937-ე მუხლი), მაშინ, როცა არარეგისტრირებული კავშირის დროს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

### ***o. ფონდის ორგანიზაციის თავისებურებანი***

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურებები ფონდის მართვისა და ორგანიზაციის საკითხებში განპირობებულია კავშირსა და ფონდს შორის არსებული ძირითადი განსხვავებებით. ეს განსხვავებები ყველაზე უფრო გამოკვეთილია ფონდის მიზნებისა და ფონდის მართვის ორგანოების დახასიათებისას.

ფონდის მიზანი ფონდის კონსტიტუციური ელემენტია. ფონდის დაფუძნებისას მას უმთავრესი ყურადღება ექცევა. ფონდის მიზანს მისი დამფუძნებლები განსაზღვრავენ. ეს მიზანი უდევს საფუძველად ფონდის

მთელ საქმიანობას და მის დაცვას იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს. ფონდის მიზნის შეცვლაც მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს ნებართვითაა დასაშვები. მსგავსი რამ კავშირებისათვის უცხოა. კავშირის საქმიანობის მიზნის შეცვლა ყოველთვის შეიძლება, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ კავშირის წევრები.

ფონდის მიზნების მისაღწევად გათვალისწინებული ქონებისაგან უნდა განვასხვაოთ საქველმოქმედო მიზნებით ბანკის ანგარიშზე ფინანსური სახსრების აკუმულირება. უმთავრესი განსხვავება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ფონდის მიზანი არ უნდა იყოს ერთჯერადი მისაღწევი, ე.ი. იგი უნდა ითვალისწინებდეს ფონდის წესდებით განსაზღვრული პირების ან საქმიანობის სფეროს გრძელვადიან ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. *ფონდი. როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ არის გათვლილი მოკლევადიანი საქველმოქმედო მიზნების ხელშეწყობისათვის.* ფონდის ქონებაც ამ მიზნისათვის მისაღებელი უნდა იყოს. კავშირის ასეთი რამ არ მოეთხოვება. კავშირის დაფუძნებისას შეიძლება არავითარი ქონება არ ჰქონდეს.

კავშირისაგან განსხვავებით, ფონდს არა ჰყავს წევრები. ამიტომ მისი მართვის ორგანოებიც განსხვავდება კავშირის მართვის ორგანოებისაგან. მას არა აქვს წევრთა საერთო კრება. იბადება კითხვა: თუ ფონდს საერთო კრება არა აქვს, მაშინ ვინ უნდა აირჩიოს გამგეობა? საყოველთაოდ გავრცელებული წესის მიხედვით ფონდის გამგეობას ირჩევენ ფონდის დამფუძნებლები. ბუნებრივია, რომ ფონდის არსებობა არ შემოიფარგლება დამფუძნებლების სიცოცხლის ხანგრძლივობით. ამიტომ ასევე გასარკვევია, თუ ვინ უნდა გადაწყვიტოს გამგეობის არჩევა-გადარჩევის საკითხი დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგ. ამ კითხვაზე სამოქალაქო კოდექსი რამდენიმე შესაძლო ვარიანტს ითვალისწინებს:

1. გამგეობის და სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის, გამოწვევისა და კონტროლის მიზნით ფონდის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმის) შექმნას, რომლის წევრებსაც მოიწვევენ ფონდის დამფუძნებლები. დამფუძნებლების გარდაცვალების შემთხვევაში კურატორიუმის წევრთა შეცვლა ხდება კოოპტაციის წესით — ახალი წევრების მიღების გზით. წესდება შეიძლება კურატორიუმის წევრთა შეცვლის სხვა წესსაც ითვალისწინებდეს (48-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ფონდში არსებობს ასეთი სამეთვალყურეო ორგანო, მისი ფუნქციები დეტალურად განისაზღვრება ფონდის წესდებით. მთავარი ამ ფუნქციათაგან არის გამგეობის არჩევა ან მისი წევრების შეცვლა და კონტროლის განხორციელება გამგეობის საქმიანობაზე. კურატორიუმი

უფლებამოსილია შეაჩეროს გამგეობის გადაწყვეტილებები, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან მოითხოვოს მათი გაუქმება, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს ან წესდებას.

2. გამგეობის დანიშვნისა და გადარჩევის უფლებამოსილება შეიძლება მიეცეთ დესტინატურებს, ე.ი. იმ პირებს, რომელთა ხელშესაწყობად და მხარდასაჭერად იქმნება ფონდი. დესტინატურებს აქვთ ფონდის ქონებიდან წილის მოთხოვნის უფლება. მაგალითად, შეიქმნა ფონდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდასაჭერად. უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში ჩაითვლება დესტინატურად, ვინაიდან იგი ფონდის სახსრების ძირითადი მიმღებია. გამგეობის დანიშვნისა და ახალი წევრებით მისი შევსების უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის რექტორატს. დესტინატურების უფლებამოსილება ფონდის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ გამგეობის დანიშვნა ან არჩევა. მათ შეუძლიათ მოითხოვონ ფონდის გაუქმება ან ფონდის მიზნის შეცვლა. თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება გამგეობის ყველა წევრის თანხმობა და იუსტიციის სამინისტროს ნებართვა. ვინაიდან დესტინატურებისათვის შექმნილი ფონდის მიზანი დესტინატურების ხელშეწყობაა, ასეთი ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

3. ფონდის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს იმის შესაძლებლობასაც, რომ გამგეობის წევრებმა თვითონ გადაწყვიტონ გამგეობის შემადგენლობის გადახალისების საკითხი კოოპტაციის გზით. ამ დროს პრობლემური შეიძლება იყოს საკითხი, თუ ვინ უნდა განახორციელოს კონტროლი გამგეობის მოღვაწეობაზე, იმაზე, თუ რამდენად კორექტულად და მართლზომიერად ახორციელებს იგი თავის ფუნქციებს? თუ ფონდში კურატორიუმი არსებობს, მაშინ ეს ფუნქცია კურატორიუშსა აქვს. ყველა სხვა შემთხვევაში გამგეობის საქმიანობაზე კონტროლს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს.

4. თუ წესდება ლეტალურად არ აწესრიგებს გამგეობის დანიშვნისა და ახალი წევრებით მისი შევსების საკითხს, მაშინ ამის უფლებამოსილება აქვს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ის სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ფონდის მმართველობაზე. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ (48-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ კონტროლის ძირითადი მიზანი ისაა, რომ ფონდის ქონება წესდებით განსაზღვრული მიზნებისათვის იქნეს ზუსტად გამოყენებული. ამას განაპირობებს ფონდის ქონების მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი ხასიათი.

ფონდის მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობის საკითხი აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა ფონდის დაფუძნება ანდერძის საფუძველზე ხდება და ფონდის დაფუძნებისას მამკვიდრებელი გარდაცვლილია. თუ ანდერძი არ შეიცავს ფონდის მმართველობის ორგანოთა ზუსტ რეგლამენტაციას, მაშინ იმ პირებმა, ვისაც ანდერძით დაკისრებული აქვთ ფონდის დაფუძნება, უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა ფონდის ორგანოების სტრუქტურა მიესადაგებოდეს დასახულ მიზნებს. სხვა შემთხვევებში ასეთი ორგანოების სტრუქტურასა და კომპეტენციას განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო.

### *o. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია*

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია გულისხმობს კავშირისა და ფონდის, როგორც იურიდიული პირების ამოშლას რეესტრიდან და არსებობის შეწყვეტას. ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი. იგი პროცესია და გრძელდება მანამ, სანამ ამ იურიდიული პირების კრედიტორები არ დაკმაყოფილდებიან და არ დასრულდება მიმდინარე საქმეები.

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის მრავალი საფუძველი არსებობს. ზოგ მათგანზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს. კერძოდ, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება ლიკვიდაციის შესახებ. კავშირის შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია კავშირის წევრთა საერთო კრებას. კანონში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ ხმათა რა რაოდენობაა საჭირო ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამას წესდება განსაზღვრავს. მაგრამ 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა რაოდენობა არ უნდა იყოს ორ მესამედზე ნაკლები. ფონდის შემთხვევაშიც ლიკვიდაციაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს წესდება. მაგრამ სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაშიც მიუთითებს ამგვარ პირებზე. ერთ შემთხვევაში ესაა დესტინატურები, ხოლო მეორე შემთხვევაში – იუსტიციის სამინისტრო (46-ე მუხლი).

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის პროცედურას ხელმძღვანელობს გამგეობა. მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას შეიძლება

სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ასეთ დანიშვნას კავშირის ლიკვიდაციისას ახდენს სასამართლო, ხოლო ფონდის ლიკვიდაციისას – იუსტიციის სამინისტრო. ლიკვიდატორების უფლებამოსილება იგივეა, რაც გამგეობის წევრების. ასევე იდენტურია მათი პასუხისმგებლობაც კავშირის ან ფონდის წინაშე.

სალიკვიდაციო პროცესის ბოლო ეტაპი კავშირის ან ფონდის დარჩენილი ქონების განაწილებაა. თუ ვის უნდა გადაეცეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება, წესდების გადასაწყვეტია. თუ წესდება ასეთ უფლებამოსილ პირებს არ განსაზღვრავს, მაშინ ქონება ავტომატურად არ ნაწილდება კავშირის წევრებს ან ფონდის დამფუძნებლებს შორის. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებს შორის. ამ უკანასკნელთა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. კავშირის ან ფონდის შემთხვევაში სასამართლო ან იუსტიციის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას, რომ დარჩენილი ქონება გადაეცეს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე კავშირს ან ფონდს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული კავშირი ან ფონდი. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ფონდების ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება შეიძლება გადაეცეთ ფონდის დესტინატორებს.

ინფორმაცია კავშირის ან ფონდის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონების განაწილება კი შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

## §11. კომერციული იურიდიული პირები

### *I. ისტორიული ექსკურსი*

კერძო სამართლის განვითარებაში წარმოუდგენლად დიდი როლი ითამაშა კერძოსამართლებრივი ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების წარმოშობამ. ესეც XIX საუკუნის უდიდესი დამსახურებაა: მან საფუძველი ჩაუყარა და განავითარა კომერციული იურიდიული პირების ყველა ის ფორმა, რომელიც დღევანდელ სამართალში არსებობს. როგორც დავინახეთ, *Ius Commune* კერძო სამართლებრივ იურიდიულ პირებს პრაქტიკუ-

ლად არც იცნობდა და მასში განმტკიცებული ორგანიზაციები არსებითად საჯარო სამართლებრივ იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ, კერძოდ, პროვინციები, თემები და ა.შ. XIX საუკუნის კანონმდებლობამ ეს ვითარება საფუძვლიანად შეცვალა. წარმოიშვა და ნორმატიულად განმტკიცდა ისეთი ახალი ფორმები, როგორცაა სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კოოპერატივები და არაკომერციულ სფეროში — კავშირები (ასოციაციები). როგორც სამართლიანად ამბობენ, „საუკუნის ბოლოს კერძო სამართალი უკვე აღარ იყო მხოლოდ კერძო პირებისა და ოჯახის სამართალი, არამედ მასში შევიდა საორგანიზაციო სამართლის დიდი სფერო“.<sup>46</sup>

### ა. რამ განაპირობა ახალი ფორმების წარმოშობის აუცილებლობა?

სამრეწველო რევოლუციის შედეგად წარმოშობილი საწარმოები, რომლებიც იმ პერიოდისათვის თანამედროვე ტექნიკას იყენებდნენ და მასობრივ პროდუქციას აწარმოებდნენ, თავისი ამოცანების განსახორციელებლად მუდმივად საჭიროებდნენ კაპიტალს — ფულს. ამ კაპიტალის შეძენა საწარმოებს სხვადასხვა გზით შეეძლოთ: ა. საკუთარი კაპიტალით; ბ. კერძო ბანკების ან კერძო პირთა მიერ მიცემული კრედიტებით; გ. დიდი საბანკო კრედიტებით, რომლებიც, როგორც წესი, იპოთეკითაა უზრუნველყოფილი; დ. კაპიტალის ბაზრის მეშვეობით.

კაპიტალის ბაზარში მონაწილეობის დროს შესაძლებელია ორი ფორმის გამოყენება. ერთია, სესხი, გამოხატული ობლიგაციებში, და მეორე, — წევრობის უფლებების (აქციების) გაყიდვა. აქციები საწარმოს კაპიტალის შექმნის ერთ-ერთი რაციონალური ფორმაა და მას ის უპირატესობაც აქვს, რომ აქციონერს არ შეუძლია მოითხოვოს საწარმოსაგან თავისი კაპიტალის პროცენტები, თუკი საწარმოს წლის ბოლოს მოგება არ ექნება. ბანკის კრედიტით კაპიტალის შევსებისას ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია პროცენტის მოთხოვნა მიუხედავად იმისა, საწარმო მოგებას ნახავს თუ არა.

დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პირველ ეტაპზე, როგორც დიდი ბრიტანეთის გამოცდილება ადასტურებს, საწარმოების მოთხოვნილება კაპიტალზე საკუთარი კაპიტალით ან მცირე კერძო კრე-

<sup>46</sup> Coing, Bd.II, S.95.

ლიტებით კმაყოფილდებოდა. კაპიტალის შექმნის სხვა ფორმები უფრო გვიან ჩნდება და დაკავშირებულია გასული საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში რკინიგზების მშენებლობის დაწყებასთან.<sup>47</sup> იმ ეპოქისთვის ამ გიგანტურმა მშენებლობებმა აშკარად აჩვენა, რომ კაპიტალის შექმნის არსებული ფორმები უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა დაფინანსების მოთხოვნილებებს.

დაფინანსების აღნიშნული ფორმები განსაზღვრული წინაპირობების არსებობასთან არიან დაკავშირებულნი. კერძოდ, როცა ლაპარაკია გრძელვადიან და დიდ საბანკო კრედიტებზე, მაშინ მათ უზრუნველსაყოფად აუცილებელია იპითეკის არსებობა. ეს კი იმის აუცილებლობას იწვევდა, რომ ურთიერთშესაბამისობაში მოყვანილიყო უძრავი ქონების სამართალი და ინდუსტრიალიზაციის ამოცანები.

რაც შეეხება კაპიტალის ბაზრის მეშვეობით დაფინანსების მოპოვებას, აქ პირველი რიგის ამოცანა იყო ბრუნვაუნარიანი დოკუმენტების, ე.ი. ფასიანი ქაღალდების შექმნა. რას ნიშნავდა ეს პრაქტიკულად? იმას, რომ საზოგადოების წევრების ის უფლებები, რომლებიც მათ წევრობიდან ჰქონდათ, ქაღალდზე უნდა გადატანილიყო ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დიდი რაოდენობით მათი გაშვება ბაზარზე (ბირჟაზე) რეალიზაციისათვის, ე.ი. ამ ფასიანი ქაღალდის შემძენი თავისი ფულის სანაცვლოდ იღებს უფლებებს. ფასიანი ქაღალდების ბრუნვაუნარიანობა აუცილებელია იმისათვის, რათა საწარმომ მიიღოს გრძელვადიანი კაპიტალი, ხოლო ქაღალდის შემძენს ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა ეს ფასიანი ქაღალდები კვლავ გაყიდოს.

იმისთვის, რომ საწარმოს კაპიტალი წევრობის უფლებების გაყიდვის საფუძველზე შეიქმნას, აუცილებელია ამ საწარმოს ჰქონდეს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ამასთან, აუცილებელია პირს შეეძლოს წევრობის უფლებების შექმნა ისე, რომ მას არ დაეკისროს პასუხისმგებლობა საწარმოს ვალებისათვის. თუ კაპიტალის ჩამდებს, ე.ი. ფასიანი ქაღალდის მყიდველს პასუხისმგებლობას დავაკისრებდით, მაშინ არც არავინ ჩადებდა თავის ფულს ამ საწარმოებში. „მოსალოდნელი პასუხისმგებლობა დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო წილობრივი მონაწილეობის ოდენობასა და შესაძლო მოგებაზე“.<sup>48</sup> საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რომელიც ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა,

---

<sup>47</sup> Coing, Bd. II, S.96.

<sup>48</sup> Coing, Bd. II, S. 96.



ე.ი. გამორიცხავდა წევრების პასუხისმგებლობას და შესაძლებლობას იძლეოდა წევრობის უფლებები ქალაქლების მეშვეობით გასხვისებულყო, სააქციო საზოგადოება წარმოადგენდა.

### *ბ. იცნობდა თუ არა Ius Commune ამ ფორმას?*

ძველი სავაჭრო ტრადიციებიდან გამომდინარე, საერთო სამართალი მხოლოდ სავაჭრო ამხანაგობებს იცნობდა, როგორცაა ღია სავაჭრო საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება. უეჭველია, რომ ახალი ეპოქით გამოწვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ეს ფორმები ვერ გამოდგებოდა, კერძოდ, ლაპარაკია ისეთ საზოგადოებებზე, რომლის ყველა პარტნიორი სოლიდარულად და მთელი თავისი ქონებით შეუზღუდავად აგებდა პასუხს საზოგადოების ვალებისათვის. ასევე ყველა პარტნიორი მონაწილეობდა საზოგადოების მართვაში. შედარებით მორგებული ფორმა იყო კომანდიტური საზოგადოება, რომლის პარტნიორთა ერთი ჯგუფის პასუხისმგებლობა შეტანილი კაპიტალით იყო შემოფარგლული. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად ჩანს, რომ კონტინენტურ ევროპაში კაპიტალის კონცენტრაციის ფორმად იყენებდნენ კომანდიტურ საზოგადოებას. ამ მიზნით ძალიან ზრდიდნენ კომანდიტების რაოდენობას. მაგრამ არც კს იყო ოპტიმალური ფორმა: იგი არ ითვალისწინებდა წევრობის უფლებების გამოხატვას ფასიან ქალაქებში და ამით არ იძლეოდა კაპიტალის ბაზარში მონაწილეობის შესაძლებლობას. მართალია, ამის შეცვლის მიზნით შემოღებულ იქნა ე.წ. სააქციო კომანდიტური საზოგადოების ფორმა, მაგრამ დრომ ეს სავაჭრო ამხანაგობები ეპოქის მოთხოვნებისთვის შეუსაბამოდ ჩათვალა.

კონტინენტური ევროპის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ინგლისიც. ინგლისური სამართალი იცნობდა მხოლოდ partnership-ს. ეს ფორმა შეესაბამება კონტინენტური ევროპის სამართლის ღია სავაჭრო საზოგადოებებს. კომანდიტური საზოგადოება კომანდიტების პასუხისმგებლობის შეზღუდვით ინგლისური სამართლისთვის უცხო იყო. სათანადო რეკომენდაციების საფუძველზე გასული საუკუნის 20-იან წლებში ინგლისმაც შემოიღო კომანდიტური საზოგადოება, რომელიც ამ ფორმით დღემდე არსებობს. ინგლისიც შეეცადა კაპიტალის მოზიდვა პარტნიორების რაოდენობის გაზრდით უზრუნველყო. მაგრამ აქ სხვა სირთულეები წარმოიშვა: რადგანაც ინგლისური სამართლის მიხედვით partnership არ წარმოადგენდა კორპორაციას (ე.ი. იურიდიულ პირს), ის დავის შემთხვევაში ვერც

მოსარჩელედ და მოპასუხედ ვერ გამოვიდოდა. ეს კი იმას იწვევდა, რომ სასამართლოში გამოსაძახებელი ხდებოდა ყველა პარტნიორი უკლებლივ. სრულიად აშკარაა, რომ აღნიშნული ფორმებიც გამოუსადეგარი აღმოჩნდა მსხვილი კაპიტალის კონცენტრაციისათვის.

საკორპორაციო სამართლის საკითხებში ოდნავ ჩახედულ პირს სრულიად ბუნებრივად დაებადება კითხვა: მაშ რა იყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებული ჰოლანდიური და ინგლისური აღმოსავლეთ ინდური კომპანიები? არ წარმოადგენდნენ ისინი კაპიტალურ საზოგადოებებს? ცხადია, ასეთი საზოგადოებები არსებობდა. მათ აქციებიც ჰქონდათ, რომლებიც ბირჟებზე იყიდებოდა, კერძოდ კი, ლონდონისა და ამსტერდამის ბირჟებზე. ამიტომ სამართლიანად მიიჩნევენ მათ თანამედროვე სააქციო საზოგადოებების წინამორბედებად.<sup>39</sup> მაგრამ ეს საზოგადოებები არსებობდნენ მთავრობის ინდივიდუალური აქტის, ე.წ. პრივილეგიის საფუძველზე, დიდ ბრიტანეთში კი — პარლამენტის აქტის საფუძველზე. ამიტომ ისინი პრაქტიკულად სახელმწიფოს ფუნქციებს უფრო ასრულებდნენ, ვიდრე კერძო ეკონომიკის. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ადამ სმიტის მიერ ჩამოყალიბებულ და მაშინდელ ევროპაში ფართოდ გავრცელებული ეროვნული პოლიტიკონომიის იდეალებს.<sup>40</sup>

მაშასადამე, არც სამართლის მეცნიერებაში არსებობდა მოძღვრება ამ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ და არც კანონმდებლობა განამტკიცებდა მათ სტატუსს.

### *გ. საფრანგეთის სავაჭრო კოდექსმა ჩაუყარა საფუძველი ახალ განვითარებას*

არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციაში ითამაშა საფრანგეთმა გადამწყვეტი როლი; კაპიტალური საზოგადოებების პირველი სამართლებრივი მოწესრიგების პრიორიტეტიც ფრანგებს ეკუთვნით. საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსმა განამტკიცა პირველად წესები კაპიტალური საზოგადოებების შესახებ და, პირველ რიგში, სააქციო საზოგადოებათა თაობაზე. ამით Code de commerce-მ საფუძველი ჩაუყარა სააქციო სამართლის განვითარებას. რას ითვალისწინებდა სავაჭრო კოდექსი სააქციო საზოგადოებების შესახებ?

ა. სააქციო საზოგადოებების დაფუძნება ემყარებოდა კონცესიების პრინ-

<sup>39</sup> Schmidt, Karsten, Gesellschaftsrecht. 1986. S.580-581.

<sup>40</sup> Coing, Bd. II, S. 98.

ციპს, ე.ი. სს შეიძლებოდა დაფუძნებულიყო მხოლოდ მთავრობის ავტორიზაციის საფუძველზე. საერთო აზრი არსებობდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ავტორიზაცია (კონცესია) არ ნიშნავდა ძველი სამართლით განმტკიცებული პრივილეგიის მინიჭებას. სააქციო საზოგადოებას არავითარი პრივილეგიები არ მიენიჭებოდა. სახელმწიფოს მიერ შემოწმება მიზნად ისახავდა ადამიანების დაცვას არასერიოზული და უსაფუძველო დაფუძნებისაგან;

ბ. სს-ის აქციონერების მიმართ გამოიყენებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობა;

გ. განმტკიცებული იყო შესაძლებლობა წევრობის უფლებები ფასიან ქალაქებში გამოხატულიყო; ეს ფასიანი ქალაქები შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც წარმომდგენის, ასევე სახელობითი. მოწესრიგებული იყო მესამე პირთათვის აქციათა გადაცემის პირობები;

დ. ორგანიზაციის თვალსაზრისით კანონი ითვალისწინებდა, რომ სს იმართებოდა ადმინისტრატორების (administrateurs) მეშვეობით. მათ არ ეკისრებოდათ პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოებისათვის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე. Ius Commune-ს მსგავსად ამ ადმინისტრატორების უფლებამოსილება განისაზღვრებოდა სამანდატო სამართლით, ე.ი. მანდატით, მინდობილობით. ეს ნიშნავდა, რომ მანდატის საფუძველზე პასუხისმგებლობის შეზღუდვა იურიდიული ძალის მქონე იყო მესამე პირთათვის. დაწერილებით ნორმებს სს-ის შიდა ორგანიზაციის შესახებ კოდექსი არ შეიცავდა და მიჩნეული იყო, რომ ეს საკითხები დეტალურად წესდებებს უნდა მოეწესრიგებინა;

ე. სავაჭრო კოდექსის თანახმად სს-ის დასაფუძნებლად აუცილებელი იყო acte public, ე.ი. ოფიციალურად დამოწმებული აქტი;

ვ. მესამე პირთა დაცვის მიზნით კოდექსი ითვალისწინებდა, რომ სს-ას არ შეეძლო საფირმო სახელწოდებად კონკრეტული პირის სახელის გამოყენება, არამედ იგი მხოლოდ საქმიანობის საგნიდან უნდა შეერჩია.<sup>91</sup>

**დ. სააქციო საზოგადოებების გაერცელება ევროპაში და მათი სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემები**

დიდი რაოდენობით სააქციო საზოგადოებები ჩნდება საფრანგეთსა და ბელგიაში 1830 წლიდან, გერმანიაში – 1840 წლიდან, ევროპის კონტი-

<sup>91</sup> Coing, Bd. II, S. 99-100.

ნენტის სხვა ქვეყნებში — გასული საუკუნის მე-2 ნახევრიდან. იმის გამო, რომ ამ ფორმის სამართლებრივი რეგულირება საკმაოდ ხარვეზიანი იყო, ხარვეზების შევსება პრაქტიკულად ხდებოდა სს-ებების დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და წესდებების მეშვეობით. ეს კი გამოცდილების დაგროვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი სააქციო სამართლის განვითარებაში იყო სპეციალური სახელმწიფო უწყებები, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ კონცესიების გაცემის ფუნქციები. აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ კონცესიების ვალდებულება, რომელიც ფრანგულ სამართალში იყო განმტკიცებული, კონტინენტური ევროპის ყველა სახელმწიფოში დამკვიდრდა.<sup>92</sup> სწორედ ამ უწყებების გამოცდილებამ შეასრულა უდიდესი როლი სააქციო სამართლის შემდგომ განვითარებაში.

დაბოლოს, კანონმდებელიც ნელ-ნელა აქტიურდებოდა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ცდილობდა ახალ-ახალი ნორმები შეექმნა. ასე ჩამოყალიბდა 1838 წლიდან დაწყებული 1899 წლამდე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კანონმდებლობა, რომელიც სააქციო საზოგადოებების სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებდა.

ახალი კანონმდებლობა შეეცადა პასუხი გაეცა იმ საჭირობოროტო კითხვებისათვის, რომლებიც დრომ მოიტანა, და სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

— საჭირო იყო თუ არა იმ წესის დატოვება, რომელიც სააქციო საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელ სახელმწიფო ნებართვას მოითხოვდა? თუ საკმარისი იყო კანონმდებლობას განესაზღვრა ის მინიმალური პირობები, რომელთა დაცვა დამფუძნებლების მხრიდან მათ შესაძლებლობას მისცემდა ნებართვის გარეშეც შეექმნათ სააქციო საზოგადოება? ეს საკითხი უმთავრესი იყო სს-ებების სამართლებრივი მდგომარეობის ახლებური მოწესრიგებისას;

— სააქციო საზოგადოებათა შიდა ორგანიზაციული სტრუქტურების, ე.ი. მართვის ორგანოების ზუსტი რეგლამენტაცია: საზოგადოების წევრების (აქციონერების) და მათი წარმომადგენლების მდგომარეობა საერთო კრებაში, ასევე საზოგადოების ხელმძღვანელების სამართლებრივი მდგომარეობა საკანონმდებლო საფუძველზე უნდა მოწესრიგებულიყო. აღსანიშნავია, რომ სს-ებების მართვის ორგანოთა სამრგოლიანი სისტემა,

<sup>92</sup> Coing, Bd. II, S. 100.

რომელიც დღემდე არსებობს კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, XIX საუკუნიდან მომდინარეობს;

– უფრო კონკრეტული წესები სს-ების დაფუძნების პროცედურის მიმართ, განსაკუთრებით არაფულადი შესატანით დაფუძნებისას;

– ნომინალური კაპიტალის უზრუნველყოფა. ამ მიზნით აქციონერებისთვის შესატანის უკან დაბრუნების აკრძალვა.

აღნიშნულმა საკითხებმა განსაზღვრეს არა მხოლოდ XIX საუკუნის სააქციო საზოგადოებათა სამართლის განვითარება, არამედ თანამედროვე სამართალიც უმეტეს წილად სწორედ ამ ეპოქის მიღწევებს ემყარება. ცვლილებები მეტად მცირეა. პრინციპული საფუძვლები სააქციო საზოგადოებებს XIX საუკუნეში ჩაეყარა.

## *ე. კონცესიის ვალდებულების გაუქმება*

### *1. რამ გამოიწვია კონცესიის პრინციპის შემოღება?*

როგორც ყველა დიდი სოციალური მოვლენა, არც სააქციო საზოგადოებები დაბადებულა ერთ დღეს. საწარმოთა ამ ფორმის წარმოშობას წინ დიდი დისკუსიები უძღოდა, რომლებიც საკმაოდ საფუძვლიანად სწონდნენ ამ საზოგადოებათა ავ-კარგს. ეს დისკუსიები 1807 წელს საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის მიღებასაც ახლდა თან.

სააქციო საზოგადოების მომხრეები ამ ფორმის აუცილებლობას ასაბუთებდნენ ეკონომიკური ასპექტით. მათი აზრით, სააქციო საზოგადოებები გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რათა დიდ საწარმოებს საქმიანობისათვის აუცილებელი კაპიტალი შეეძინათ, „პატარა კაპიტალები დიდ კაპიტალად რომ გაერთიანებულიყო“.<sup>93</sup> ამავე დროს არსებობდა ეჭვი, სასარგებლო იქნებოდა თუ არა ეკონომიკის ყველა სფეროში ასეთი დიდი საწარმოები – grandes entreprises. XVIII საუკუნის შეხედულებათა გავლენით ფიქრობდნენ ასეთი საწარმოების შექმნაზე ტრანსპორტის სფეროსა და საზღვაო ვაჭრობაში. ამასთანავე შიშობდნენ, რომ ამ მსხვილი კაპიტალის მქონე საწარმოები ინდივიდუალურ მეწარმეებს კონკურენტუნაროდ აქცევდნენ და ფაქტობრივად მოსპობდნენ. ფრანგების ეს ლოგიკა და შიში უცხო არც გერმანელებისთვის ყოფილა. ანალოგიურმა დისკუსი-

<sup>93</sup> Recht und Entwicklung der Großunternehmen im 19. und frühen 20. Jahrhundert. Hrsg. Norbert Horn/Jürgen Kocka, Göttingen, 1979.

ამ გერმანიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.<sup>44</sup>

საფრანგეთში გამართულ დისკუსიას შედეგად მოჰყვა წესი, რომლის თანახმად ყოველი სააქციო საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს ნებართვა – autorisation. სახელმწიფო ორგანოებს უნდა შეეჯერებინათ დასაფუძნებელი საზოგადოების ავ-კარგი. ასეთი შემოწმების აუცილებლობას სხვა გარემოებაც განაპირობებდა, კერძოდ ის, რომ სს საქმიანობდა არა საკუთარი კაპიტალით, არამედ ხალხისთვის აქციების მიყიდვის გზით მიღებული კაპიტალით. ამიტომ ნებართვების წესი ამ ხალხის ინტერესების დაცვასაც ისახავდა მიზნად. ანალოგიური არგუმენტები იქნა მოხმობილი პრუსიის სავაჭრო კოდექსის პროექტის განხილვისას 1857 წელს, თუმცა რამდენიმე მოსაზრებაც იყო დამატებული. ერთ-ერთის თანახმად, ნებართვის გარეშე იურიდიული პირის დაფუძნება ეწინააღმდეგებოდა მოქმედი სამართლის ნორმებს.<sup>45</sup>

## 2. რამ განაპირობა კონცესიების პრინციპის გაუქმება

საკანონმდებლო წესი, რომ სააქციო საზოგადოება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს ნებართვით დაფუძნდეს, უდავო არასდროს არ ყოფილა – არც მაშინ, როცა მას კანონის ძალას აძლევდნენ და არც მაშინ, როცა მას კანონის ძალა უკვე ჰქონდა. ორმა გარემოებამ განაპირობა ამ წესის მოწინააღმდეგეთა შეხედულების გამარჯვება. პირველი იყო ლიბერალური ეროვნული ეკონომიის გავრცელება და მისი გავლენის არნახული ზრდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში; მეორე, ინდუსტრიალიზაციამ განვითარების ისეთ ღონეს მიაღწია, რომ სს-ის გამოყენება, როგორც საწარმოს ფორმისა, მეტად აუცილებელი გახდა.<sup>46</sup>

მართო ეს გარემოებები არ იქნებოდა საკმარისი, რომ თვით არსებულ წესს არ დაედასტურებინა თავისი ნაკლი. ცხოვრებამ აჩვენა, რომ სახელმწიფოებრივი შემოწმება არ იყო უეჭველი გარანტია იმისა, რომ ესა თუ ის სააქციო საზოგადოება აუცილებლად ჯანსაღი იქნებოდა. პირიქით, სახელმწიფო შემოწმება აღუნებდა აქციონერების ყურადღებას, რომ თვითონ გამოეჩინათ მეტი წინდახედულება ამ საზოგადოებათა მიმართ.

ყოველივე ამან გამოიწვია სააქციო საზოგადოებების სფეროში სა-

<sup>44</sup> Coing, Bd. II, S.102-103.

<sup>45</sup> Coing, Bd. II, S. 103.

<sup>46</sup> Coing, Bd. II, S. 105.

ხელმწიფოებრივი კონცესიების სისტემის გაუქმება და მის ნაცვლად საკანონმდებლო მკაცრი პირობების შემოღება, რომელთა დაცვა აუცილებელი წინაპირობა იყო სს დაფუძნებისთვის.

როგორც ხმაშეწყობილად დაიმკვიდრა ფრანგულმა სახელმწიფო კონცესიების სიტემამ ადგილი ევროპის სხვა ქვეყნების სამართალში, ასევე ხმაშეწყობილად დატოვა იგი ამ ქვეყნების კანონმდებლობამ. თუ კონცესიების სისტემის შემოღებაში ტონის მიმცემი კონტინენტური სამართალი იყო, მის გაუქმებაში პირველობა ინგლისურ სამართალს ეკუთვნის. ამის აუცილებლობა იმან გამოიწვია, რომ ინგლისური სამართალი სავაჭრო საზოგადოებებისთვის მხოლოდ ერთ ფორმას – partnership-ს ითვალისწინებდა, რომლისთვისაც უცხო იყო პასუხისმგებლობის შეზღუდვა და, როგორც დავინახეთ, პრაქტიკულად სამართლის არც დამოუკიდებელ სუბიექტს წარმოადგენდა. პირველი ინგლისური კანონი, რომელმაც სახელმწიფოებრივი ნებართვების სისტემა გააუქმა, იყო 1844 წლის 5 სექტემბრის Act for the Registration, Incorporation and Regulation of Joint Stock Companies. ეს კანონი შეეხო იმ სავაჭრო ამხანაგობებს (partnership), რომელთა 25 პარტნიორზე მეტი ჰყავდათ და კაპიტალიც აქციებად (shares) იყო დაყოფილი, ხოლო ამ აქციების გადაცემა შესაძლებელი ჰქონდა დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე შეიძლებოდა. ასეთ ამხანაგობებს უფლება მიენიჭათ პარლამენტის აქტის ან სამეფო კარის თანხმობის გარეშე მოეპოვებინათ ის უფლებები, რომლებიც კორპორაციებს ჰქონდათ. ამისთვის მათ მხოლოდ განსაზღვრული პირობები უნდა დაეკმაყოფილებინათ: უნდა წარედგინათ რეგისტრაციის უწყებაში (Office for the Registration of Joint Stock Companies) დამფუძნებელი დოკუმენტები შემდეგი მონაცემებით: საფირმო სახელწოდება, საქმიანობის საგანი, დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელების სახელი, ასევე მათი სახელები, ვინც წილი მიიღო. ამის შემდეგ ხდებოდა საწარმოს რეგისტრაცია და იგი იღებდა Certificate of complete Registration. მხოლოდ ამის მერე ეძლეოდა მას საქმიანობის უფლება და სუბიექტის სტატუსით სასამართლოში გამოსვლის შესაძლებლობა, ე.ი. სახელმწიფოს სპეციალური ნებართვა საჭირო აღარ იყო.

ინგლისის მაგალითს მიბაძეს კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებმაც და თითქმის ერთი მეორის მიყოლებით გააუქმეს სახელმწიფო კონცესიების ინსტიტუტი: საფრანგეთმა – 1867 წელს, გერმანიამ – 1870 წელს, შვეიცარიამ – 1881 წელს, იტალიამ – 1882 წელს და ა.შ.

სახელმწიფო კონცესიების გაუქმების შედეგად შემოღებული ნორმა-

ტიული სისტემა დღემდე მოქმედებს თანამედროვე სამართლის ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც. იგი, მართალია, შეწარმევს ანიჭებს არჩევანის თავისუფლებას სს-ების დაფუძნებისას, მაგრამ, ამავე დროს, ნორმატიულად განსაზღვრავს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობების უსაფრთხოებისა და აქციონერთა ინტერესების დასაცავად. ერთ-ერთი უმთავრესი მათგან არის საჯაროობის პრინციპი, რომელსაც დაემორჩილა ყველა სააქციო საზოგადოება.

### *გ. სააქციო საზოგადოების შიდა ორგანიზაციის სრულყოფა*

როგორც ვნახეთ, ფრანგული სავაჭრო კოდექსი პრაქტიკულად არც შეიცავდა ნორმებს სააქციო საზოგადოების, როგორც კორპორაციის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ იგი სს-ების შიდაორგანიზაციულ საკითხებს არ აწესრიგებდა და მხოლოდ ადმინისტრატორების სამართლებრივი მდგომარეობისა და აქციათა ფორმების განსაზღვრით შემოიფარგლებოდა. არც აქციონერთა საერთო კრების შესახებ შეიცავდა იგი რაიმე ნორმებს. ეს სრულიად ბუნებრივია, როცა არსებობს კონცესიების სისტემა და სახელმწიფოს უფლება აქვს თვითონვე შეამოწმოს ყოველივე ეს დეტალურად. გარდა ამისა, შიდაორგანიზაციულ ნორმებს შეიცავდნენ სააქციო საზოგადოებების წესდებები. ეს საკითხები მათ კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

ფრანგული სავაჭრო კოდექსისაგან განსხვავებით, ინგლისის 1856 და 1862 წლების კანონები საკმაოდ დეტალურ და ვრცელ წესებს შეიცავდნენ სააქციო საზოგადოებების შესახებ და თან ურთავდნენ სანიმუშო წესდებებსაც. როგორც ჩანს, ეს კანონები კონტინენტურ ევროპაში ცნობილი იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიღებულ სააქციო კანონებში ინგლისელი კანონმდებლების გამოცდილება გაზიარებულია. მაგალითად, 1861 წლის ზოგადი გერმანული სავაჭრო კოდექსი (1870 და 1874 წლის ნოველებით) და შვეიცარიის 1881 წლის ვალდებულებითი სამართალი საკმაოდ დაწვრილებით ნორმებს განამტკიცებენ სააქციო საზოგადოებების შესახებ. იგივე ითქმის იტალიის სავაჭრო კოდექსზეც, რომელიც 1882 წელს იქნა მიღებული.

თუ ამ კოდექსებით დამკვიდრებულ სიახლეებს გადავავლებთ თვალს, აშკარაა მათი დიდი გავლენა თანამედროვე სააქციო საზოგადოებების სამართლებრივ მდგომარეობაზე: იმდროინდელი თითქმის ყველა ნოველა თანამედროვე სამართალში შენარჩუნებულია. ამიტომ, თამამად შეიძლება



ითქვას, რომ დღევანდელი ქართული საკორპორაციო სამართალი კარგად მოერგო დასავლეთის სამართლებრივი ტრადიციების სისტემას.

რა სიახლეებს შეიცავდნენ ეს კანონები?

1. სააქციო საზოგადოების კაპიტალის ოდენობა საზოგადოების წესდებაში უნდა ყოფილიყო განმტკიცებული. წესდება განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განაწილდეს იგი აქციებად. მცირე ღირებულების აქციების გაცემის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით წესდებაში უნდა აღინიშნოს თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება. აქციის ნომინალური ღირებულების განსაზღვრის უფლებას საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის შესაბამისი კანონები წესდებებს ანიჭებენ. აქციები შეიძლება იყოს წარმომდგენის ან სახელობითი;

2. თითოეულ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს მოგებიდან თავისი კუთვნილი წილი და, როგორც წევრმა, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, რაც აქციონერთა კრების მეშვეობით უნდა მოხდეს. აქციონერის ყველაზე მთავარი უფლება მაინც ხმის უფლებაა;

3. სააქციო საზოგადოების დასაფუძნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წესდებას. ცხადია, კონცესიების სისტემის გაუქმებასთან ერთად შეიზღუდა წესდების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობაც. საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის მიღების დროიდან სავალდებულო ხდება, რომ წესდება დამტკიცდეს ნოტარიუსის მიერ ან, სულ ცოტა, შედგენილი იყოს წერილობითი ფორმით, როგორც ამას იტალიისა და ესპანეთის სავაჭრო კოდექსები ითვალისწინებენ. ინგლისური სამართლის გავლენით კონტინენტურ ევროპაშიც დამკვიდრდა წესი, რომელიც სააქციო საზოგადოებების დასაფუძნებლად მოითხოვდა აქციონერთა განსაზღვრულ რაოდენობას. როგორც ვნახეთ, ინგლისში ეს შეადგენდა 25 პარტნიორს. საფრანგეთის 1867 წლის კანონი მოითხოვდა მინიმუმ შვიდ, ხოლო გერმანული სამართალი — ხუთს. შვეიცარიის ვალდებულებებით სამართალი ასეთ ნორმას არ ითვალისწინებდა.<sup>97</sup>

4. ქვეყნების უმეტესობა სააქციო საზოგადოების არსებობას განსაზღვრული ვადით შემოფარგლავდნენ. ამას ითვალისწინებდა ფრანგული, იტალიური და ესპანური სამართალი. გერმანული სამართალი, პირიქით, განამტკიცებდა სააქციო საზოგადოებების უვადოდ არსებობის პრინციპს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო მართვის ორგანოებს. სულ უფრო გამოიკვეთა აქციონერთა საერთო კრების, როგორც ყველაზე მნიშვნელო-

<sup>97</sup> Coing, Bd. II, S. 113.

ვანი ორგანოს ფუნქციები. ცხადია, ორგანიზაციული სირთულეების გამო მას არ შეუძლია საზოგადოების ყოველდღიურ მართვაში მიიღოს მონაწილეობა. ამიტომ კანონმდებლობა განამტკიცებდა იმპერატიულ ნორმას, რომ აქციონერთა კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოწვეულიყო და მისი დღის წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შეადგენდა წლიური შედეგების განხილვა.

ახალმა კანონმდებლობამ სულ უფრო გამოკვეთა სს-ების მართვის ორგანოების ფუნქციები და სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც აქციონერთა წარმომადგენლების საკონტროლო ორგანოს სტატუსი.

უაღრესად საყურადღებოა თვით სააქციო საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი. იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს. ზოგი ქვეყნის კანონი ამას პირდაპირ განამტკიცებდა.<sup>98</sup> ზოგი კი, მართალია, პირდაპირ არ განამტკიცებდა, მაგრამ სამართლებრივი სტატუსისა და შედეგების მიხედვით იურიდიული პირი იყო.<sup>99</sup> ამით სააქციო საზოგადოება პროცესუნარიანიც გახდა. მას აქვს საკუთარი ქონება და კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. სააქციო საზოგადოება მიიჩნევა კომერსანტად. ამასთან ერთად, მისი საქმიანობა ექვემდებარება საჯაროობას — ესაა სავაჭრო რეესტრი და რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება პრესაში.

სავაჭრო რეესტრის საჯაროობისა და რეგისტრაციის მონაცემების პრესაში გამოქვეყნების ვალდებულება XIX საუკუნის კანონმდებლობამ საკმაოდ მკაცრად განამტკიცა. მაგალითად, ფრანგული სამართლის მიხედვით, რეგისტრაციის მონაცემების გამოუქვეყნებლობა იწვევდა საზოგადოების ბათილობას. კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ აღიარა, რომ სააქციო საზოგადოება წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.<sup>100</sup> ზოგი ქვეყნის სამართალი მხოლოდ ამას არ სჯერდება და სავალდებულოდ მიიჩნევს ბალანსებისა და სამეურნეო ანგარიშების გამოქვეყნებას პრესაში.<sup>101</sup>

<sup>98</sup> 1843 წლის პრუსიული კანონის §.8, 1882 წლის იტალიური სავაჭრო კოდექსის მუხლი 77-ე; შვეიცარიის ვალდებულებებითი სამართლის მუხლი 623-ე; პორტუგალიის 1888 წლის სავაჭრო კოდექსის მუხლი 108-ე.

<sup>99</sup> ინგლისის Act for the Registration, Incorporation and Regulation of Joint Stock Companies, 5.9.1844 (7&8 Vict. c. 90), nr.25.

<sup>100</sup> Coing, Bd.II, S. 119.

<sup>101</sup> მაგალითად, ბელგიის 1873 წლის კანონის 41-ე და 62-ე მუხლები.

სააქციო საზოგადოების აქციონერები საზოგადოების ვალდებულებებისთვის პირადად არ აგებენ პასუხს. კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ სააქციო საზოგადოება თავისი ქონებით. ამ პრინციპის შემოღებამ XIX საუკუნის კანონმდებლობა მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დააყენა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო კრედიტორების ინტერესების დაცვა და ამ მიზნით საზოგადოების ქონების შენარჩუნების უზრუნველყოფა. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ის საკანონმდებლო ნოველები, რომლებიც XIX საუკუნის ევროპის ქვეყნების სამართალში შევიდა და უზრუნველყოფდა:

- სს-ების დაფუძნებისას ნომინალური საწესდებო კაპიტალის რეალურად შეტანას აქციონერების მიერ;
- აქციონერებისათვის კაპიტალის უკან დაბრუნების აკრძალვას;
- სპეციალური ღონისძიებების არსებობას, თუკი საგანგებო გარემოებათა გამო სს-ების კაპიტალის არსებობას საფრთხე დაემუქრებოდა.

### **1. საწესდებო კაპიტალის შეტანის უზრუნველყოფა**

ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმის უზრუნველყოფაზე, რომ საქმიანობის დაწყების წინ საზოგადოებას რეალურად ჰქონდეს საწესდებო კაპიტალი. იგი უნდა იყოს წესდებაში აღნიშნული და ნაწილობრივ მაინც შეტანილი მომავალი აქციონერების მიერ. სპეციალურ პრობლემებთან არის დაკავშირებული საკითხი, როცა სს-ის საწესდებო კაპიტალი იქნება არაფულადი შესატანის საფუძველზე. ამ დროს არსებობს საფრთხე, რომ მომავალი აქციონერები ამ საგნებს ზედმეტად შეაფასებენ, ვიდრე მათ რეალურად აქვთ ღირებულება და აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას ხელში შერჩება ფიქტიური ქონება.<sup>102</sup>

ეს ის პრობლემებია, რომლებიც კონცესიების სისტემის არსებობის პირობებში გამოიკვეთა და ახალ საკანონმდებლო ცვლილებებს მაშინ საფუძველად სწორედ სანებართვო უწყებათა გამოცდილება დაედო საფუძველად. მაგალითად, პოლანდიის 1838 წლის კანონი კრძალავდა ნებართვის გაცემას, თუკი კაპიტალის 1/5 მაინც არ იქნებოდა შეტანილი, ხოლო დანარჩენი შეტანისთვის აწესებდა ვადებს; გარდა ამისა, დაუშვებელი იყო

<sup>102</sup> Coing, Bd.II, S.121.

წარმომდგენის აქციების გაცემა, ვიდრე საწესდებო კაპიტალი სრულად არ იქნებოდა შევსებული. აღნიშნული წესები კანონმდებლობამ პრაქტიკულად უცვლელად დატოვა კონცესიების სისტემის გაუქმების შემდეგაც. ტონის მიმცემი აქაც ფრანგული სამართალი იყო, რომელმაც ინგლისური სამართლის გავლენით ეს შეზღუდვები განამტკიცა მოქმედ კანონმდებლობაში. თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობამ აღიარა, რომ საწესდებო კაპიტალის შევსება უნდა მოხდეს წესდებაზე აქციონერების ხელმოწერითა და შესატანის განსაზღვრული ოდენობის შეტანით. ამ ოდენობას სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულად განსაზღვრავდა. ამავე დროს, დასაშვებად იქნა მიჩნეული მოსახლეობის მოწვევა საზოგადოების დასაფუძნებლად აქციების მიღებაზე ხელის მოწერის გზით. ეს ხელმოწერა წარმოადგენდა ვალდებულებას, რომ მომავალი აქციონერი შეიტანდა საზოგადოებაში მის კუთვნილ ფულად შესატანს.

## 2. კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფა

ამ სფეროში განხორციელებული ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, ეხებოდა იმის აკრძალვას, რომ აქციონერს არ ჰქონდა უფლება ერთხელ შეტანილი კაპიტალი უკან მოეთხოვა. მათთვის ამ უფლების მინიჭება აშკარა საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოების ქონების არსებობას და, ცხადია, იგი ვერ განახორციელებდა დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. ეს აკრძალვები კანონებში სხვადასხვა ფორმით გამოიხატა — ან პირდაპირი აკრძალვით, რომ აქციონერს არა აქვს უფლება უკან მოითხოვოს ის, რაც მან უკვე შეიტანა ანდა არაპირდაპირ — იმის აღნიშვნით, რომ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ დივიდენდი.

კაპიტალის უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურებოდა აგრეთვე ის ნორმები, რომელთა თანახმადაც საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციონერებს დარჩენილი ქონება უბრუნდებოდათ მხოლოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

XIX საუკუნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდების შექმნაც მიზნად ისახავდა სს-ეების კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფას.

ახალი კანონები სააქციო საზოგადოების დირექტორებს ავალებდა, რომ მათ დაუყოვნებლივ მოეწვიათ აქციონერთა კრება, თუკი საქმიანობის შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ საზოგადოების კაპიტალს საფრთხე ემუქ-

რება. შვეიცარიის სამართალი კი მოითხოვდა, რომ ხელმძღვანელებს აღედრათ გაკოტრების საქმე.<sup>103</sup>

როგორც ჩანს, თანამედროვე სააქციო საზოგადოებათა მომწესრიგებელი ნორმების წინამორბედები XIX საუკუნეში წარმოიშვა და დღემდე მყარ სამართლებრივ საფუძვლებს უქმნის კერძო კაპიტალის კონცენტრაციის ამ მეტად პოპულარულ ფორმას.

### *თ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმოშობა*

მართალია, თავისი სამართლებრივი მდგომარეობითა და ბუნებით სააქციო საზოგადოებაც შეზღუდული პასუხისმგებლობის იურიდიულ პირს წარმოადგენს, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს გერმანელმა კანონმდებლებმა შექმნეს საზოგადოების ახალი ტიპი, რომელიც იმდენად მიმზიდველად აღმოჩნდა სხვა ქვეყნებისათვის, რომ გერმანიაში აღიარებიდან სულ რაჟღერზე წელიწადში თითქმის მთელს ევროპას მოედო. ეს იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი მიზანი, სააქციო საზოგადოებისაგან განსხვავებით, უნდა ყოფილიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის გავრცელება პატარა საწარმოებზეც, რომელთაც არ სურდათ დაფინანსების მიღება კაპიტალის ბაზრის მეშვეობით, ე.ი. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მეშვეობით.<sup>104</sup>

საზოგადოებათა ამ ფორმის შემოღების ინიციატივა გერმანიის პარლამენტს ეკუთვნის, რომელმაც ჯერ კიდევ 1884 წელს, როცა სააქციო საზოგადოებათა მომწესრიგებელ სამართალში ცვლილებებს იხილავდა, წამოაყენა ეს იდეა. 1892 წელს კანონი მიღებულ იქნა.

მას ისევე, როგორც სააქციო საზოგადოება, იურიდიული პირი იყო, ოღონდ მის დაფუძნებას გაცილებით უფრო მარტივი პროცედურა სჭირდებოდა, ვიდრე სს-ს. ორგანოებიც უფრო მარტივი იყო, ვიდრე — სს-ში. მაგალითად, მას არ სჭირდებოდა სამეთვალყურეო საბჭო, თუმცა პარტნიორებს შეეძლოთ მიეღოთ გადაწყვეტილება მისი შექმნის შესახებ.

გერმანიაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის მიღება მაშინვე მოედო მთელს ევროპას — არსებითად, პატარა საწარმოებისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ამ ფორმას უკავშირდებოდა გერმანული საწარმოებისათვის საკონკურენტო უპირატესობები საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ სხვა ქვეყნებმაც არ დააყოვნეს და

<sup>103</sup> Coing, Bd. II, S. 126.

<sup>104</sup> Coing, Bd. II, S. 127.

თითქმის უცვლელად გადაიღეს გერმანული კანონი: პორტუგალიამ — 1901 წელს, აესტრიამ — 1906 წელს, ბულგარეთმა — 1924 წელს, საფრანგეთმა — 1925 წელს, შვეიცარიამ — 1937 წელს, იტალიამ — 1942 წელს. გერმანული წარმოშობის ეს საზოგადოება სულ მალე ევროპულ საზოგადოებად იქცა, როგორც სწორად ამბობს კოინგი.<sup>105</sup>

ინგლისელმა კანონმდებლებმა 1908 წლის Consolidation Act-ით მოაწესრიგეს Private Company-ის სამართლებრივი მდგომარეობა და ამით შპს-ის მსგავსი საზოგადოების ფორმა შექმნეს. ინგლისური საზოგადოება პრაქტიკულად სააქციო საზოგადოების საფუძველზე შეიქმნა განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით. ამიტომ მას სამართლიანად უწოდებენ „შეზღუდული პასუხისმგებლობის სააქციო საზოგადოებას“ (Company limited by shares): ამ ფორმის საზოგადოებაში პარტნიორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50-ს და დაუშვებელი უნდა ყოფილიყო კაპიტალის შეესება გარეშე პირთა — პუბლიკის მონაწილეობით.

რუსულ სამართალში 1912 წელს უკვე იყო მოსაზრება საწარმოთა ამ ფორმის შემოღების შესახებ.<sup>106</sup>

### *o. შეზღუდული პასუხისმგებლობის შემოღება —*

#### *„ორთქლის მანქანა და ელექტრობა“ სამოქალაქო სამართლისათვის*

თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებასა და სამოქალაქო სამართლის თანამედროვე ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში რევოლუციური მნიშვნელობის მოვლენა იყო იურიდიული პირების განცალკევებული ქონების აღიარება და მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვა ამ ქონებით. პასუხისმგებლობის ამგვარ შეზღუდვას არც რომის, არც შუა საუკუნეების სამართალი არ იცნობდა. პასუხისმგებლობა ყოველთვის პირადი და შეუზღუდავი იყო.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის უმარტივეს ფორმებს სავაჭრო ამხანაგობების შიგნით, კომანდიტური საზოგადოებების სახით, კონტინენტური ევროპის სამართალი, კერძოდ, პრუსიული სამართალი, განსხვავებით ინგლისურისაგან, აღრეც იცნობდა. მაგრამ შეზღუდული პასუხისმგებლობის დამკვიდრებამ თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კაპიტალისტური საზოგადოებების და, პირველ რიგში კი, სააქციო საზოგა-

<sup>105</sup> Coing. Bd. II, S. 129.

<sup>106</sup> Розенберг В. В. Товарищество с ограниченной ответственностью (о необходимости введения этой формы в России). С-Пб., 1912. С. 16.

ლოებების მიმართ. ღისკუსია გაიმართა იმასთან დაკავშირებით, მიეცა, თუ არა უფლება სააქციო საზოგადოებებისთვის სახელმწიფო კონცესიების გარეშე დაფუძნებულიყვნენ. მთავარი არგუმენტი კონცესიების გაუქმების წინააღმდეგ სწორედ ის იყო, რომ სს-ების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდული იყო.

ვიდრე კონტინენტური ევროპის ოურისტები მსჯელობდნენ, ინგლისმა 1855 წლის 14 აგვისტოს კანონით სააქციო საზოგადოებებს მიანიჭა შეზღუდული პასუხისმგებლობის უფლება. ამისთვის საჭირო იყო პარტნიორთა გადაწყვეტილება მიღებულ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, ხელმოწერილი კაპიტალის განსაზღვრული კოტის გადახდა და გადაწყვეტილების რეგისტრაცია. ასეთი საზოგადოების საფირმო სახელწოდებაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო სიტყვა *limited*, რათა საზოგადოების სახელშეკრულებო კონტრაქტებს სცოდნოდათ იმის შესახებ, რომ საზოგადოების პასუხისმგებლობა შეზღუდულია.<sup>107</sup> მაშასადამე, ინგლისი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც კაპიტალური საზოგადოებებისთვის შეზღუდული პასუხისმგებლობა შემოიღო ისე, რომ დაფუძნებისას სახელმწიფოს კონცესია წინასწარ არ იყო საჭირო.

ინგლისურმა კანონმა დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის კანონმდებლობაზე. ინგლისსა და საფრანგეთს შორის 1862 წელს დადებული სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისურ საზოგადოებებს უფლებას აძლევდა თავიანთი საქმიანობა განეხორციელებინათ საფრანგეთში. იმის გამო, რომ ინგლისური საწარმოების პასუხისმგებლობა შეზღუდული იყო და ამისთვის მათ არ სჭირდებოდათ სახელმწიფოს საგანგებო ნებართვა, ფრანგულ საზოგადოებებთან შედარებით მათ კონკურენციის უკეთესი პირობები ექმნებოდათ. ამიტომ საფრანგეთი იძულებული შეიქნა 1863 წელს მიეღო კანონი და სააქციო საზოგადოებებისთვის მიეცა პასუხისმგებლობის შეზღუდვის უფლება წინასწარი სახელმწიფო ნებართვის გარეშე, თუკი მათი საწესდებო კაპიტალი 20 მილიონ ფრანკზე ნაკლები არ იყო. ფრანგებს არც იმის მორიდებით, რომ ამ ახალი კანონით შექმნილი საზოგადოების სახელწოდება პრაქტიკულად ინგლისურიდან იყო თარგმნილი: *société à responsabilité limitée*, ინგლისურად – *limited company*.

გერმანულმა სამართალმა საზოგადოებათა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი კიდევ უფრო გააღრმავა და იგი პატარა საწარმოებზეც გაავრცელა. ამ მიზნით გამოგონილ იქნა კაპიტალური საზოგადოების

<sup>107</sup> Coing. Bd. II, S. 108.

ახალი ფორმა, რომელიც, როგორც ვნახეთ, ასევე წარმატებით გავრცელდა თანამედროვე მსოფლიოში.

კაპიტალისტური საწარმოებისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის შემოღებამ „როგორც ორთქლის მანქანამ და ელექტრობამ“ შეუწყო ხელი „კაპიტალიზმის დინამიკას“ – ასე იქნა შეფასებული ამერიკელი მოსამართლის მიერ პასუხისმგებლობის ამ ფორმის როლი.<sup>108</sup> ქონებრივი პასუხისმგებლობის რისკის შემცირებამ არნახულად გაააქტიურა პირთა სამეწარმეო საქმიანობა – პირადი ქონებით პასუხისმგებლობის შიშისაგან განთავისუფლებამ მართლაც მაგიური როლი ითამაშა ეკონომიკური წინსვლის საქმეში.

## *II. კომერციული იურიდიული პირები თანამედროვე ქართულ სამართალში*

კომერციული იურიდიული პირების სტატუსი საქართველოში მთლიანად არის მოწესრიგებული კანონში მეწარმეთა შესახებ.<sup>109</sup> კომერციული იურიდიული პირების შესახებ საქართველოში ერთიანი კანონის შემუშავება შემთხვევითი არ ყოფილა. კომერციული იურიდიული პირების ისტორიამ დაგვანახა, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ ვითარებაში იბადებოდა. შესაბამისად ამისა, დიფერენცირებული იყო მათი სამართლებრივი მოწესრიგებაც. ცალკე საკანონმდებლო აქტი ევროპის ქვეყნებში ყოველ იურიდიულ პირზე სამართლის ახალი სუბიექტის დაბადების მაუწყებელი იყო. ეს ტრადიცია ბოლო დრომდე იქნა შენარჩუნებული დასავლეთ ევროპაში – კლასიკური კოდიფიკაციის ქვეყნებში. კერძო სამართლის უახლესმა კოდიფიკაციამ პოლანდიაში უარი თქვა ცალკე კანონების შემუშავებაზე კომერციული იურიდიული პირების შესახებ და მთლიანად მოაწესრიგა ისინი ახალ სამოქალაქო კოდექსში.

როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი სისტემა მუშავდებოდა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ კომერციული იურიდიული პირებიც სრულად შესულიყო კერძო სამართლის ამ ფუძემდებლურ აქტში. მაგრამ იმის გამო, რომ სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებისათვის, ინვესტიციების გაძლიერებისათვის საშური იყო სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, გადაწყდა, რომ შემუშავებულიყო ცალკე კანონი,

<sup>108</sup> Knieper. Gesetz und Geschichte, S. 61.

<sup>109</sup> დაწერილებით მათი სტატუსი განხილულა: ლ. ჰანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები.



რომელიც მოაწესრიგებდა მეწარმე სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის იდეა სწორედ სამოქალაქო კოდექსის შემუშავებულ კომისიაში წარმოიშვა. გერმანელ კოლეგებთან დისკუსიების შედეგად კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომერციული იურიდიული პირების შესახებ შემუშავებულიყო ერთიანი კანონი. ამით უარყოფილ იქნა სავაჭრო კოდექსის შემუშავების აუცილებლობა. თვით სახელწოდება „სავაჭრო კოდექსი“ იმ ეპოქის რეალობებს ასახავდა, როცა ვაჭრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირითად როლს თამაშობდნენ. აქედან გამომდინარე, მათი როლისა და ადგილის შესახებ ცალკე კანონების მიღებაც ბუნებრივი იყო. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, წარმოების როლის არნახულმა ზრდამ, დიდი კაპიტალის კონცენტრაციამ დღის წესრიგში იმის აუცილებლობა დააყენა, რომ სამართალს ამ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთათვის შეექმნა მყარი სამართლებრივი ბაზა. ცხადია, ამას ვაჭრობის როლის დაკნინება არ გამოუწვევია, მაგრამ სხვა მეწარმეთა მნიშვნელობის გაზრდას უდავოდ გაუსვა ხაზი. ამიტომაც შეიქმნა ცალკე კანონები შპს-ებისა და სს-ების შესახებ.

საკორპორაციო სამართლის განვითარების თანამედროვე დონე იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ეს გამოცდილება ერთიანი კანონის სახით გადმოცემულიყო. ქართულმა სამართალმა სწორედ ეს გზა აირჩია.

კომერციულ იურიდიულ პირად ჩაითვლება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც მისდევს სამეწარმეო საქმიანობას. სამეწარმეო საქმიანობის დეფინიცია კი მოცემულია ამ კანონის 1.1-ე მუხლში: სამეწარმეო საქმიანობა არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ზორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას კანონი მეწარმეთა შესახებ მიმართავს მათი ამომწურავი ჩამოთვლის, ე.წ. *numerus clausus* პრინციპს, კერძოდ, *სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები. რომლებიც განმტკიცებულია კანონში*. თავისუფალი ფანტაზიით საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნა არ დაიშვება. კანონმა განამტკიცა ყველა ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელთაც დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანია იცნობენ და რომლებიც თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობენ.

მეწარმეთა შესახებ კანონით მოწესრიგებული იურიდიული პირები პირობითად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველს განეკუთვნება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს). მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს. ისტორიულად ეს ფორმები ვაჭართა გაერთიანების საშუალებას წარმოადგენდა. იმის გამო, რომ ამ საზოგადოებებში დამფუძნებელთა პირადი პასუხისმგებლობა თამაშობდა მთავარ როლს, არ იყო საჭირო საწესდებო კაპიტალის არსებობა.

კომერციული იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. კაპიტალური (ანუ კაპიტალისტური) საზოგადოებები. მათი შემოღება დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებასთან, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე. ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები, ე.ი. საზოგადოების წევრები, არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე. მაგრამ კრედიტორების დასაცავად აუცილებელია მინიმალური ქონების – კაპიტალის არსებობა. ამიტომაც ეწოდება მათ კაპიტალური საზოგადოებები. ამ ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი.

მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული კომერციული იურიდიული პირების მოკლე მიმოხილვაც ნათელს გახდის მათ თავისებურებებს.

ა. *სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.* ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული საეაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი. უძრავლეს ქვეყნებში მას საეაჭრო საზოგადოებას უწოდებენ. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ტიპის საზოგადოებების თავისებურება პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაში მდგომარეობს, ქართულმა კანონმა მას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება უწოდა.

კანონის 20.1-ე მუხლის შესაბამისად, სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთგვარად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სპს-ის დაფუძნებას სჭირდება, სულ ცოტა, ორი ფიზიკური პირის არსებობა. მათ საზოგადოების შექმნისას არ მოეთხოვებათ საწესდებო

კაპიტალის შეტანა, რაც უდავოდ აიოლებს მის შექმნას. ვინაიდან ყველა პარტნიორს შეუძლია ერთობლივად გაუძღვეს საზოგადოების საქმეებს. სპს-ს მართვის სპეციალური ორგანოები, როგორცაა ღირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო და ა.შ. არ მოეთხოვება. მართალია, სპს იურიდიული პირია, მაგრამ პარტნიორების პასუხისმგებლობა აქ წინა პლანზეა წამოწეული. ისინი საზოგადოების ვალებზე პირადად და შეუზღუდავად აგებენ პასუხს.

ბ. *კომანდიტური საზოგადოება* პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმაა. იგი სპს-ს მოდიფიცირებულ ნაირსახეობას წარმოადგენს.

კანონის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთგერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები — კომპლემენტარები).

მართალია, კომანდიტურ საზოგადოებაშიც პარტნიორები პირადად აგებენ პასუხს საზოგადოების ვალებზე, მაგრამ, განსხვავებით სპს-ისაგან, კს-ში ორი კატეგორიის პარტნიორებთან გვაქვს საქმე: მათგან ერთის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია (კომპლემენტარები), ხოლო მეორე პასუხს აგებს საგარანტიო თანხის — საკომანდიტო შესატანის ფარგლებში (კომანდიტი). კომპლემენტარი არაფრით განსხვავდება სპს-ს პარტნიორისაგან. რაც შეეხება კომანდიტს, იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მისი პასუხისმგებლობა არ არის სრული, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ შეტანილი თანხით ან ქონებით. ვინაიდან ეს შესატანი პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს, კანონი მკაცრად აკონტროლებს მისი შეტანისა და შენარჩუნების პროცედურას, კერძოდ, დაუშვებელია მისი თვითნებური გატანა საზოგადოებიდან ან შემცირება, მისი ოდენობა რეგისტრირებული უნდა იყოს რეესტრში, თუ შესატანი არაფულადია, მისი ღირებულება უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტმა და ა.შ.

კს-ის დაფუძნების დროსაც აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პარტნიორის არსებობა. მათგან ერთი კომპლემენტარი უნდა იყოს, ხოლო მეორე — კომანდიტი. ამიტომ ერთ-ერთი მათგანის გასვლა საზოგადოებიდან იწვევს საზოგადოების დაშლას.

გ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 44-ე მუხლში. საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს კაპიტალისტურ სამყაროში გავრცელებული ყველაზე მნიშვნელოვანი სამეწარმეო საზოგადოებაა. მსხვილი სავაჭრო და სამრეწველო კომპანიები არსებობენ შპს-ების სახით. მისი ზოგი ძირითადი ნიშნის დახასიათება ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ კომერციული იურიდიული პირის სამართლებრივ ბუნებაზე:

ა. შპს არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც იქმნება პარტნიორების მიერ კაპიტალის გაერთიანების შედეგად. ეს კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით შექმნილი;

ბ. შპს დამოუკიდებლად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით კრედიტორების წინაშე;

გ. შპს-ს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია. იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. შეიძლება საზოგადოების ვალები აღემატებოდეს მის ქონებას, მაგრამ პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ ამ ქონებით;

დ. შპს-ს პარტნიორები პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალებზე;

ე. შპს-ს არსებობა არ არის დამოკიდებული წევრობაზე, ე.ი. პარტნიორების გამოსვლა საზოგადოებიდან ავტომატურად არ იწვევს საზოგადოების დაშლას. ეს განპირობებულია იმით, რომ შპს კაპიტალური საზოგადოებაა;

ვ. შპს-ს აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები — პარტნიორთა კრება, დირექტორატი და საჭიროებისას — სამეთვალყურეო საბჭო;

ზ. შპს შეიძლება დააარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმაც, მათ შორის სახელმწიფომაც;

თ. შპს შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც — იქნება ეს ფიზიკური, იურიდიული პირი თუ სახელმწიფო.

დ. სააქციო საზოგადოებას მეწარმეთა კანონი ერთ-ერთ ძირითად სამეწარმეო საზოგადოებად მიიჩნევს და 51.1-ე მუხლში განამტკიცებს მის ლეგალურ დეფინიციას, სახელდობრ, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი.

სააქციო საზოგადოება თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული და მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა. იგი მსხვილი კაპიტალის კონცენ-

ტრაციის ფორმა და შესაძლებლობას იძლევა მრავალმა პირმა მიიღოს მონაწილეობა ამ კაპიტალის ფორმირებაში. როგორც წესი, აქციონერთა რაოდენობა ათეულ და ასეულ ათასობითაა მსხვილ კომპანიებში. მათი ვინაობის დადგენა მეტად რთულია. ეს თავისებურება ხშირად სააქციო საზოგადოებათა სახელწოდებაშიც აისახება. მაგალითად, ფრანგულ სამართალში მას ანონიმური საზოგადოება ეწოდება (Societe anonyme),<sup>110</sup> ამერიკულ სამართალში – საჯარო (პუბლიკის) საზოგადოება (Public Corporation),<sup>111</sup> ესპანური და სხვა ფრანგული სამართლის გავლენით ჩამოყალიბებული სამართლის ქვეყნები იმეორებენ ფრანგულ სახელწოდებას – ანონიმური საზოგადოება,<sup>112</sup> სიტყვასიტყვითი თარგმანით ჰოლანდიურ სააქციო საზოგადოებას ეწოდება უსახელო საზოგადოება (Naamloze Vennootschap).<sup>113</sup>

სააქციო საზოგადოების ძირითადი ნიშნების დახასიათება შესაძლებლობას მოგვცემს გავაცნობიეროთ ამ საზოგადოების სამართლებრივი ბუნება:

ა. სს არის კაპიტალური საზოგადოება და როგორც ყველა კაპიტალური საზოგადოება, მისი არსებობა დამოუკიდებელია საზოგადოების წევრთა შეცვლისაგან;

ბ. სს კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. აქციონერებს არაეითარი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალების გამო არ ეკისრებათ;

გ. სს-ის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციებად, რომლებიც შეიძლება არსებობდეს სააქციო ბარათის სახითაც. *აქცია არის ფასიანი ქაღალდი. რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სს-ში და. აქედან გამომდინარე. უფლებებისა და მოვალეობების არსებობას:*

დ. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ ლარს ან მის მრავალჯერადს.

შპს-სა და სს-ის ნიშნების დახასიათება შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ ისინი ერთმანეთს და დავინახოთ მათ შორის არსებული სამართლებრივი განსხვავებები.

ა. შპს უფრო მარტივი ფორმაა, ვიდრე – სს. იმის გამო, რომ სს-ის

<sup>110</sup> Bernadette Chaussade-Klein. Gesellschaftsrecht in Frankreich. 1993. S. 29.

<sup>111</sup> Hartwin Bungert. Gesellschaftsrecht in den USA. 1994. S. 61.

<sup>112</sup> Javier Cremades. Gesellschaftsrecht in Spanien. 1996. S. 58.

<sup>113</sup> Koen J. Haarhuis. Gesellschaftsrecht in den Niederlanden 1995. S. 16.

კაპიტალი გამოხატულია აქციებში – ფასიან ქალღღებში. მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის ბევრი ფორმა და საშუალება გამოიყენება. პირველ რიგში, ეს ეხება საფინანსო კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი კონტროლი არ ხორციელდება შპს-ების მიმართ;

ბ. შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს ორი ათას ლარს, ხოლო სს-ის საწესდებო კაპიტალი – თხუთმეტი ათას ლარს;

გ. შპს-ის მმართველობის ორგანოთა სისტემა უფრო მარტივია, ვიდრე – სს-ის. ამ უკანასკნელის საეკონომიკურ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო მაშინ, როცა შპს-ისათვის იგი ფაქულტატურია;

დ. სს-ის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ კრებას ესწრებოდეს და კრების ოქმს ადგენდეს ნოტარიუსი. შპს-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებს ასეთი რამ არ სჭირდებათ;

ე. შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები უფრო დისპოზიციურია და მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს საზოგადოებას, ვიდრე – სს-ის მომწესრიგებელი ნორმები;

ვ. სს-ების საწესდებო კაპიტალი გამოხატულია აქციებში, რომლებიც სავაჭროდ გაიტანება ბირჟაზე ისე, რომ აქციების მფლობელები ხშირად იცვლებიან და ყოველი ახალი აქციონერის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელი არ არის. შპს-ის წილის ყოველი გასხვისება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და ყოველი ახალი პარტნიორის (წილის შეძენის) რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში სავალდებულოა.

ჟ. *კოოპერატივის* კანონი მეწარმეთა შესახებ ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად მიიჩნევა. ეს მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მიზანშეწონილობით აიხსნება. სინამდვილეში კოოპერატივი არ არის კლასიკური ტიპის კომერციული ორგანიზაცია. იგი უფრო კოოპერატივის წევრთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იქმნება. ისტორიულად კოოპერატივები XIX საუკუნეში წარმოიშვნენ. ეს ფორმა დაბადა კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში. კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვითდახმარება, ე.ი. ეს იყო წევრთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827, 1844 წლებში), გერმანიაში – რაიფაიზენის კოოპერატივი (1871) და ა.შ.

კოოპერატივების ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 60.1-ე მუხლში: *„კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული“*

ბული ან წევროს მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადი-  
დების მიზნით შექმნილი საზოგადოება. რომლის ამოცანაა წევროს ინ-  
ტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად  
მოგების მიღებაზე".

იმ დიდი განსხვავებების მიუხედავად, რაც კოოპერატივისა და სხვა  
სამეწარმეო იურიდიულ პირებს შორის არსებობს, კოოპერატივი მაინც  
კაპიტალურ საზოგადოებებს უნდა განვაკუთვნოთ. მათ დასაფუძნებლად  
აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა, თუმცა ეს  
კაპიტალი პრაქტიკულად სიმბოლურია: კოოპერატივის დაფუძნებისათვის  
აუცილებელია, სულ ცოტა, ორი დამფუძნებლის (იქნება ეს ფიზიკური  
თუ იურიდიული პირი) არსებობა მაინც. მათი წილი არ უნდა იყოს  
ორმოცდაათ ლარზე ნაკლები, ე.ი. კოოპერატივის შესაქმნელად საკმარისი  
ყოფილა მინიმუმ ასლარიანი კაპიტალი.

**გ სახაზინო საწარმო.** გარდა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2.1  
მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სა-  
წარმოებისა, შეიძლება ასევე არსებობდეს სახაზინო (სახელმწიფო) სა-  
წარმოები. როგორც წესი, ისინი იქმნება სახელმწიფოს მიერ ისეთი  
ამოცანების შესრულების მიზნით, რომლებიც აუცილებელია ქვეყნისა და  
საზოგადოების ნორმალური არსებობისა და განვითარებისათვის. ამ სფე-  
როებს მიეკუთვნება რკინიგზა, ფოსტა-ტელეგრაფი და ა.შ. ასეთ შემთხვე-  
ვაში სახაზინო (სახელმწიფო) საწარმოს შექმნის შესახებ გადაწყვე-  
ტილებას იღებს შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობ-  
რივი ორგანო. ეს ორგანო განსაზღვრავს საწარმოს საქმიანობის პრო-  
ფილს, მართვის ორგანობებს, ნიშნავს დირექტორს, განსაზღვრავს მის  
უფლება-მოვალეობებს და ა.შ. ასეთი საწარმო წარმოადგენს იურიდიულ  
პირს და ურთიერთობებში გამოდის საკუთარი საფირმო სახელწოდე-  
ბით. საფირმო სახელწოდებას განსაზღვრავს ამ საწარმოს შექმნილი  
ორგანო. სახაზინო საწარმო სამეწარმეო რეესტრში შეიტანება ამ სახელ-  
წოდებით.

სახაზინო საწარმო საწარმოთა სპეციფიკური ფორმაა. ამიტომაც არ  
შედის იგი ტიპური საწარმოების ჩამონათვალში (მე-2.1 მუხლი). თუმცა  
მისი გარდაქმნა მე-2.1 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამეწარმეო  
საზოგადოებად დასაშვებია. ამისათვის საჭიროა იმ ორგანოს გადაწყვეტილება,  
რომლის მიერაც შეიქმნა ეს საწარმო. მეორე აუცილებელი პირობა ამგვარ  
რეორგანიზაციისათვის ისაა, რომ სახაზინო საწარმო რეგისტრირებუ-  
ლი იყოს სამეწარმეო რეესტრში (მე-2.3 მუხლის ბოლო წინადადება).

კანონი განამტკიცებს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით:

ა) სპს, კს და კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა მინიმუმ ორი პირის არსებობა;

ბ) შპს, სს და კოოპერატივის დასაარსებლად აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა;

გ) სპს და კს-ში კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი;

დ) სახაზინო საწარმოს შექმნა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს ან მის უფლებამოსილ ორგანოებს.

კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ შეზღუდვას: საწარმო, გარდა კოოპერატივებისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია ან ხუთასზე მეტი თანამშრომელი, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. ეს ნორმა ნაკარნახევია ეკონომიკური პოლიტიკის მოტივებით. ივარაუდება, რომ ორმოცდაათი პარტნიორის არსებობა მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დიდი კაპიტალის მქონე საწარმოსთან, რომელიც აუცილებლად სააქციო საზოგადოების ფორმით უნდა არსებობდეს.

ანალოგიურ შეზღუდვებს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც იცნობს. მაგალითად, ჰოლანდიის კანონმდებლობით, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის დასაფუძნებლად აუცილებელია იუსტიციის მინისტრის ნებართვა. ასეთ ნებართვას სხვა ევროპული სახელმწიფოები არ იცნობენ.<sup>114</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული შტატების სამართალი ითვალისწინებს რაოდენობრივ შეზღუდვებს ე.წ. დახურული საზოგადოებების (Close Corporation) შესაქმნელად, კერძოდ, დელავერში – 30 პარტნიორი, კალიფორნიაში – 35, არიზონაში – 10. ე.ი. თუ დამფუძნებლების რაოდენობა აღემატება ზემოაღნიშნულს, მაშინ კომპანია უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოებად (public Corporation).<sup>115</sup>

<sup>114</sup> Koen J. Haarhuis. *Gesellschaftsrecht in den Niederlanden* 1995. S. 5.

<sup>115</sup> Hartwin Bungert. *Gesellschaftsrecht in den USA*. 1994. S. 62-63.



§1. წარმოშობა და განვითარება

ენებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ პირველად XVIII საუკუნეში წარმოიშვა. მართალია, რომის სამართალი იცნობდა გარიგების თითქმის ყველა ტიპს, რომლებიც XIX საუკუნის სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციებში აისახა, მაგრამ გარიგების ერთიანი ცნება მისთვის სრულიად უცხო იყო. ასევე უცხო იყო იგი ადრეული ეპოქის *Ius Commune*-სათვის.

გარიგების ცნების ისტორია უმჭიდროესად არის დაკავშირებული სამოქალაქო სამართლის ე.წ. პანდექტური სისტემის წარმოშობასთან. პანდექტური სამართლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი დამსახურება იყო იუსტიციანის დიგესტების ახლებური სისტემატიზაცია. ამ ახალმა სისტემამ კერძო სამართალს შეუქმნა ზოგადი ნაწილი (რომელიც მოიცავდა სამოქალაქო სამართლის ძირითად მოძღვრებებს) და ცალკეული ინსტიტუტები, როგორცაა სანიეთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.<sup>1</sup> სამოქალაქო სამართლის ახალი სისტემის განსაზღვრისას პანდექტური სამართლის ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევა ზოგადი ნაწილის შექმნა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენს მოძღვრება გარიგებებზე.<sup>2</sup>

გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორის გეორგ არნოლდ ჰაიხეს სახელს ჩვენ უკვე შევხვდით იურიდიული პირების წარმოშობის ისტორიის განხილვისას. „გარიგების“ ცნების წარმოშობასაც მას უმაღლის თანამედროვე სამოქალაქო სამართალი. 1807 წელს გამოცემული შრომის პირველ წიგნში, რომელსაც „ზოგადი მოძღვრებები“ ეწოდება, მან სამოქალაქო სამართლის სისტემის დახასიათებისას მოიხსენია „მოქმედებანი“. იგი ორ პარაგრაფად იყოფა: „ნების გამოვლენა“ და „განსაკუთრებით გარიგებანი“.<sup>3</sup> ეს სისტემა აიტაცა XIX საუკუნის პანდექტურმა სამარ-

<sup>1</sup> სამოქალაქო სამართლის ის სისტემა, რომელიც პანდექტურმა სამართალმა შეიმუშა, საფუძვლად დაედო გერმანიის სამოქალაქო კოდექსს. მხოლოდ სანიეთო სამართლისა და ვალდებულებითი სამართლის ადგილები იყო ურთიერთგადანაცვლებული საბჭოთა კემპრში მოქმედ სამოქალაქო კოდექსებსაც საფუძვლად სამოქალაქო სამართლის პანდექტური სისტემა ედო.

<sup>2</sup> Flume Werner, AT, Bd II, Rechtsgeschäft, S 28. (შემდგომში Flume, Rechtsgeschäft)

<sup>3</sup> Flume, Rechtsgeschäft, S.28-29

თალმა, განსაკუთრებით — საეინიძ. ეტყობა საეინის გავლენით იყენებს მეიერი რუსულ სამოქალაქო სამართალში ამ კლასიფიკაციას.<sup>4</sup>

გარიგება გერმანული წარმოშობის სიტყვაა და მისი ისტორიის მიმოხილვა ამ სიტყვის ეტიმოლოგიური წარმომავლობისათვის თვალის გადავლების გარეშე, ალბათ, გაუმართლებელია. ორიგინალის ენაზე მას ეწოდება „სამართლებრივი საქმე“ — *Rechtsgeschäft*. იგი არის ორი სიტყვის კომპოზიტი, რომელიც პირველად გამოყენებული იყო 1794 წელს გამოცემულ წიგნში „მთელი დღევანდელი ცივილური სამართლის სისტემა“ — *rechtliche Geschäfte*. კერძოდ, ამ წიგნის ავტორი წერდა: „აღამიანური მოქმედებებიდან არსებობს ერთი ჯგუფი, რომელსაც სამართლებრივ მოქმედებს ან სამართლებრივ საქმეებს (*actus juridici, negatia iudica*) უწოდებენ. მასში იგულისხმება ნებადართული ადამიანური მოქმედებები, რომელთა საგანსაც ორმხრივი უფლებები და ვალდებულებები შეადგენს“.<sup>5</sup> თუმცა, როგორც ჩანს, ცნებები *actus juridici, negatia iudica* უფრო ადრე, 1748 წელს გამოცემულ წიგნში *Systema elementare universae iurisprudentiae positivae* არის ნახმარი და 1772 წელს ლათინურიდან გერმანულად როგორც „სამართლებრივი საქმე“ ნათარგმნი.<sup>6</sup>

მართალია, ტერმინი „გარიგება“ (*Rechtsgeschäft*) XVIII საუკუნეში წარმოიშვა, მაგრამ ერთიანი, აბსტრაქტული და ზოგადი ცნების დამკვიდრება სამართალში პაიზეს სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა კლასიკური ფორმით, ე.ი. იმ ფორმით, როგორც დღემდე არსებობს, მისი დანერგვა საეინის დამსახურებაა. გარიგების განსაზღვრისას საეინიმ ყურადღება გაამახვილა ნების მნიშვნელობაზე. მან განიხილა პირველად ცნებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ სინონიმებად. გარიგების განმარტებისას ის გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ნების გამოვლენას ანიჭებდა. არაა შემთხვევითი, რომ თავის წიგნში იგი ძირითადად იყენებს ტერმინს „ნების გამოვლენა“. ამიტომაც უკავშირდება მის სახელს ეწ. ნების თეორიის წარმოშობა.<sup>7</sup>

მოდღერება გარიგების შესახებ საკანონმდებლო განმტკიცებას პირველად პრუსიულ სამართალში პოულობს. 1794 წლის პრუსიული სამართლის წიგნი იყენებს ტერმინს არა „გარიგებას“, არამედ „ნების გამოვლენას“. მისი §5-ის თანახმად, „ყველა ნივთი და მოქმედება, რომლებზეც

<sup>1</sup> Д. И. Мейер. Русское гражданское право. С. Петербург. 1902, С. 118.

<sup>4</sup> ეუთობ ფლუმეს მიხედვით: Flume, *Rechtsgeschäft*, S.29.

<sup>6</sup> Flume, *Rechtsgeschäft*, S.29.

<sup>7</sup> Flume, *Rechtsgeschäft*, S.30.

შესაძლებელია უფლების მოპოვება ან სხვებზე გადაცემა, შეიძლება იყოს ნების გამოვლენის საგანი.<sup>8</sup> მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში გარიგების ცნება ცნობილი იყო, სამოქალაქო სამართლის პირველი კოდიფიკაციები — საფრანგეთისა და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსები მას არ იცნობენ. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მათი სისტემა განსხვავდება პანდექტური სამართლის სისტემისაგან და ეყრდნობა იუსტინიანეს ინსტიტუციების სისტემას, კერძოდ, ამ კოდექსებისათვის უცხოა ზოგადი ნაწილიც.

გარიგების პირველი ლეგალური დეფინიცია გვხვდება საქსონიის 1863 წლის სამოქალაქო კოდექსში.<sup>9</sup> მართალია, 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გარიგების ლეგალურ დეფინიციას არ იძლევა, მაგრამ ზოგადი ნაწილის ერთი თავი მთლიანად მას აქვს დათმობილი და პრაქტიკულად გარიგებათა საკანონმდებლო განმტკიცება თანამედროვე სამოქალაქო კოდექსებში სწორედ გერმანული სამოქალაქო კოდექსიდან იღებს სათავეს. მართალია, რომანული სამართლის ქვეყნები თავიანთ კოდექსებში ცალკე არ გამოყოფენ გარიგებების თავს — ბევრი ნორმა ჩართულია ვალდებულებითი სამართლის ნაწილში, ხოლო ინგლისურ-ამერიკულ სამართალში Law of contract-ში, მაგრამ ამ ქვეყნების სამართლის მეცნიერებაც აღიარებს აღნიშნული ინსტიტუტის დიდ მნიშვნელობას.<sup>10</sup>

არც ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი იცნობდა თავიდან გარიგების ცნებას, მაგრამ 1916 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მას დაემატა ახალი თავი სახელწოდებით „ხელშეკრულებებისა და ზოგადი გარიგებების შესახებ“. თუმცა გერმანული გარიგებისაგან განსხვავებით აქ ლაპარაკია არა გარიგების აბსტრაქტულ ცნებაზე, არამედ მხოლოდ როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველზე.<sup>11</sup>

არც შვეიცარიის სამოქალაქო სამართალი იცნობს გარიგების ერთიან ცნებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მისი კოდიფიკაცია სხვადასხვა დროსა და ცალ-ცალკე ნაწილებად მოხდა. მიუხედავად ამისა, მრავალ ადგილას ისიც იყენებს „გარიგების“ ცნებას,<sup>12</sup> მაგრამ არა იმ გაგებით, რო-

<sup>8</sup> Flume, Rechtsgeschäft, S.30.

<sup>9</sup> Flume, Rechtsgeschäft, S.30.

<sup>10</sup> Kindler, Einführung in das italienische Recht. 1993. S. 94; Hübl, v. Ulrich, Constatinesco, Vlad, Einführung in das französische Recht. 1994. S. 141-152.

<sup>11</sup> Titzze, Heinrich, Rechtsgeschäft. in: Rechtsvergleichendes Handwörterbuch für das Zivil- und Handelsrecht des In- und Auslandes. Berlin, 1936. S.791.

<sup>12</sup> შვეიცარიის ცივილური კოდექსის მე-6, მე-10, 55-ე, 68-ე, 177-ე, 48-ე, 282-ე, 650-ე, 680-ე მუხლებში და ვალდებულებითი სამართლის 33-ე, 34-ე, 654-ე, 698-ე მუხლებში.

გორც ეს განმტკიცებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ან იმ კოდექსებში. რომლებიც ზოგად ნაწილსა და, მათ შორის, გარიგებასაც იცნობენ: ქმედუნარიანობის ცნება მოცემულია შვეიცარიის ცივილურ კოდექსში. ზოლო ნების გამოვლენასთან დაკავშირებული საკითხები – ვალდებულებით სამართალში. მაგრამ სამოქალაქო სამართლის თეორიაში შვეიცარიაც ერთხმად აღიარებს მოძღვრებას გარიგებების შესახებ.<sup>13</sup> შვეიცარიის სამოქალაქო სამართლის ტრადიციას აგრძელებს თურქეთის სამოქალაქო სამართალიც, რომელიც შვეიცარიის სამოქალაქო სამართლის საფუძველზე წარმოიშვა.<sup>14</sup>

გერმანულ გამოცდილებას მალე სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს. იაპონიისა და ჩინეთის სამოქალაქო კოდექსებმა გაითვალისწინეს ზოგადი ნაწილები და, მათ შორის, მოძღვრება გარიგებების შესახებ, თუმცა ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წესები მოათავსეს ვალდებულებით სამართალში.<sup>15</sup> გარდა ამისა, იაპონიის იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება, რომ გარიგების ცნება იაპონიის სამოქალაქო სამართალში გერმანული სამოქალაქო სამართლის გავლენით დამკვიდრდა.<sup>16</sup>

მნიშვნელოვანი იყო „ზოგადი ნაწილისა“ და „გარიგებების“ ადგილი და როლი საბჭოთა რუსეთის 1922 წლის სამოქალაქო კოდექსში, რომლის გავლენით საქართველომაც მიიღო სამოქალაქო კოდექსი. ამ კოდექსის პროექტი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე მომზადდა რუსეთში, თუმცა მაშინ მას მიღება არ ეწერა. საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსები შეიცავდნენ ზოგად ნაწილს და ცალკე თავს გარიგებების შესახებ. არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსები, არამედ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაც, თუ განზე გადავდებთ იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის განსხვავებებს, პრაქტიკულად იმავე დოგმებს ემყარებოდა, რასაც დასავლეთ ევროპის, კერძოდ კი, გერმანული სამოქალაქო სამართლის მეცნიერება.<sup>17</sup> ამ ტრადიციის სიძლიერით აიხსნება ის

<sup>13</sup> ვალდებულებით სამართლის სფეროში გამოცემული ფუნდამენტური მონოგრაფიის ერთ-ერთი ავტორისათვისა და მისი შინაარსის მოშველიებაც აშკარად ადასტურებს ამ ფაქტს: „§.12. ხელშეკრულება როგორც გარიგება I. გარიგების ცნება; II. გარიგების სახეები; III. ნება და ნების გამოვლენა. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები“ Das Schweizerische Obligationenrecht. von Theo Gohl. 8. Aufl. 1991, Zürich, S.VIII.

<sup>14</sup> Titze. Rechtsgeschäft. S. 794.

<sup>15</sup> Das japanische BGB in deutscher Sprache 1985. მუხლები 90-137-ე ეხება გარიგებებს. ზოლო 521-548-ე – ხელშეკრულებებს.

<sup>16</sup> Makoto Arai. Die Übernahme des Rechtsgeschäftsbegriffs ins japanische Zivilgesetzbuch - unter besonderer Berücksichtigung der Entstehung der Vorschriften. 1979, S. 5.

<sup>17</sup> О. С. Иоффе. Советское гражданское право. Т. 1 1958. С. 196-242. И. Б. Пивницкий. Сделки. Исковая давность. 1954

გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა თავიანთ სამოქალაქო კოდექსებში ყოველგვარი ეჭვის გარეშე დატოვეს ზოგადი ნაწილიცა და მოძღვრებაც გარიგებების შესახებ. იგივე გააკეთა დსთ-ს ქვეყნების მოძღვრება სამოქალაქო კოდექსმა.

ყველაზე დიდი გავლენა, როგორც ეტყობა, გერმანულ მოძღვრებას გარიგებების შესახებ მაინც პოლონეთის ვალდებულებით სამართალზე მოუხდენია. 1933 წლის 27 ოქტომბერს მიღებული ვალდებულებითი სამართლის კანონი უპირატესად და უმთავრესად განამტკიცებდა გერმანული სამართლის დებულებებს ნების გამოვლენის, ნების გამოვლენის ნაკლისა და გარიგებებთან დაკავშირებული სხვა ინსტიტუტების შესახებ.<sup>18</sup>

დასაუღეთის ქვეყნებში სამოქალაქო სამართლის უახლესი კოდიფიკაციიდან აღსანიშნავია პოლანდიის სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც მეხამე წიგნში ცალკე თავი მიუძღვნა გარიგებებს.<sup>19</sup>

ცხადია, ჩემი მიზანი არ არის გარიგებათა გავრცელების ამომწურავი კვლევა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მოძღვრებამ გარიგებების შესახებ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე. სასიხარულოა, რომ ეს ფუძემდებლური ინსტიტუტი არც ქართული სამოქალაქო სამართლისთვისაა უცხო. მართალი იყო პროფესორი ს. ჯორბენაძე, როცა ამბობდა, რომ სამოქალაქო კოდექსში „გარიგების ცალკე კარზე უარი არ უნდა ვთქვათ“.<sup>20</sup>

## §2. გარიგების ცნება

როგორც არაერთგზის აღვნიშნე, სამოქალაქო სამართალი იმ შეხედულებას ემყარება, რომ ადამიანებმა ურთიერთობა ერთმანეთს შორის თვითონ უნდა მოაწესრიგონ. ამ პრინციპს კერძო ავტონომია ეწოდება. მისი განხორციელების ყველაზე პრაქტიკულ და გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს გარიგება.

<sup>18</sup> Titze, Rechtsgeschäft, S 795

<sup>19</sup> Arthur S Hartkamp, Einführung in das Neue Niederländische Schuldrecht, in: Renaissance der Idee der Kodifikation, 1991, S. 86.

<sup>20</sup> ჯორბენაძე ს., საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. გვ. 149.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა“.<sup>21</sup> ამ დეფინიციის თანახმად, გარდა იმისა, რომ ნება უნდა არსებობდეს, აუცილებელია ეს ნება გარეგნულად იყოს გამოვლენილი. მაგრამ ნების არა ყოველგვარი გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას. მაგალითად, მისალმება, მადლობის თქმა, დალოცვა ასევე ნების გამოვლენებია. გარიგებად რომ იქნეს მიჩნეული, ნების გამოვლენა სამართლებრივი ხასიათის უნდა იყოს. ამიტომაც აზუსტებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და ამბობს, რომ გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ე.ი. ნების გამოვლენას შედეგად უნდა მოჰყვეს ისეთი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა ან არსებულის შეცვლა ანდა შეწყვეტა, რომელთა უკან დგას სახელმწიფო თავისი იძულებითი აპარატის მეშვეობით.

ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია. სამოქალაქო სამართალი ამ ნების გამოვლენას უკავშირებს სამართლებრივ ურთიერთობათა უდიდეს უმრავლესობას. ადამიანთა პირადი ცხოვრებით დაწყებული (დაქორწინება, ანდერძი და სხვა.), ურთულესი ეკონომიკური ურთიერთობებით დამთავრებული (სააქციო საზოგადოებების შექმნა, მშენებლობა, გადაზიდვები და ა.შ.), ყველგან ფიგურირებს ნების გამოვლენა. სწორედ მისი მეშვეობით გამოხატავენ გარეგნულად ადამიანები იმას, რისი მიღწევაც მათ სურთ და, როცა ეს მიზანი ზნობრივი ან ადათობრივი რუტინის ფარგლებს სცილდება, იყენებენ იმ სამართლებრივ საშუალებებს, რომლებსაც სამართალი მათ სთავაზობს.

რადგანაც სამართალი ნების გამოვლენას ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თავის მხრივ, ისიც მოითხოვს განსაზღვრული პირობების დაცვას. ერთი მხრივ, დაცულ უნდა იქნეს მატერიალური, ხოლო მეორე მხრივ, ფორმალური წინაპირობები. პირველში იგულისხმება პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო მეორეში —

<sup>21</sup> ორიდოულ ლიტერატურაში მიღებულია ასევე გარიგების დეფინიცია „მოქმედება“ Lorenz AT. I § 18., S. 314. როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა სამოქალაქო სამართალი გარიგებას განმარტავს როგორც მოქმედებას. თუმცა, ამავე დროს, ყველგან არის აღიარებული, რომ მოქმედება ნების გამოვლენის სინონიმია. რუსულ სამოქალაქო სამართალში ეს ცნება გერმანული Rechtsgeschäft-ის გაკვლით დაკვიდრდა და მეორე მას юридические действия უწოდებდა და განმარტავდა, როგორც ნების გამოვლენას: Действием называется проявление воли. Д.И. Мейер, Русское гражданское право. С. Петербург. 1902. С. 118. ხოლო რაც შეეხება საკუთრივ „სდეკასს“, მას უფრო იმ ორიდოული მოქმედებების აღსანიშნავად იყენებდა, რომლებიც მიმართული იყო არსებული ორიდოული ურთიერთობების შეცვლისაკენ (იქვე, ვვ.141-142).

ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა (თუ როდის ჩაითვლება ეს ნების გამოვლენა მხოკავად მხარეებისათვის და როდის წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს). *ნების გამოვლენის ამგვარ თვისებას. რომ იგი ვარგისია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის. შეცვლის ან შეწყვეტისათვის. კანონი ნების გამოვლენის ნამდვილობას უწოდებს.* მაშასადამე, ნების გამოვლენის ნამდვილობა ნიშნავს მის ვარგისიანობას სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის.

გარიგების ცნება კერძო სამართლის უზოგადესი ცნებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა დარგებშიც, მაგალითად, საკორპორაციო სამართალში, საბანკო სამართალში. ამიტომ, გარიგებებთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული, გამოიყენება ყველა სახის კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელთაც ნების გამოვლენა უდევთ საფუძვლად. ეს ეხება საოჯახო (ქორწინებაც გარიგებაა), მემკვიდრეობის (ანდერძი) თუ სხვა ურთიერთობებს.

მართალია, გარიგების ძირითადი ბირთვი ნების გამოვლენაა, მაგრამ თავისთავად მხოლოდ ნების გამოვლენა არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. ნების გამოვლენის ნამდვილობა (ე.ი. მისი სამართლებრივი ვარგისიანობა) პრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. როგორც წესი, ეს გარემოებები სამოქალაქო კოდექსით ან სხვა კანონებითაა განსაზღვრული და მათ გარიგებათა სამართლებრივ პირობებს უწოდებენ — *conditiones juris*.<sup>22</sup> ისინი განსხვავდება პირობითი გარიგებების საფუძვლად არსებული პირობებისაგან და, როგორც წესი, მხოლოდ *ნების ძირითად გამოვლინებას* ხლავს თან.<sup>23</sup> ნების ძირითად გამოვლინებად კი მიიჩნევა ისეთი, რომელიც განსაზღვრავს გარიგების მიზანს, ე.ი. იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც ნების გამოვლენის სურს. მაგრამ გარემოებათაგან გამომდინარე, ამ შედეგის მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ დაინტერესებული პირების მიერ ნების გამოვლენა და აუცილებელი ხდება ნების დამატებითი გამოვლენის ან გარემოებების არსებობა. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ გარიგების დადებისას მხოლოდ მის მიერ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი და კანონი მოითხოვს კანონისმიერი წარმომადგენლისაგანაც ნების გამოვლენას (მოწონება ან თანხმობა — სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლი). წინააღმდეგ

<sup>22</sup> v. Tuhr, Bd. 2/1, S. 148.

<sup>23</sup> დაწერილებით პარაგრაფში „პირობითი გარიგებანი“

შემთხვევაში არასრულწლოვანის მიერ გამოვლენილი ნება (ძირითადი ნების გამოვლენა) შეიძლება უვარგისი გამოდგეს სამართლებრივი მიზნის მისაღწევად, ე.ი. არ იყოს ნამდვილი. არის შემთხვევები, როცა ნების გამოვლენასა და ამ გამოვლენით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შორის დროის დიდი მონაკვეთი იკავებს ადგილს და შედეგიც მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დგება. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ანდერძი. ანდერძში გაცხადებული ნება რეალურად დადგება მხოლოდ მაშინ, როცა მამკვიდრებელი, ე.ი. ანდერძის დამტოვებელი გარდაიცვლება. მართალია, კერძო სამართალი გარიგების დადებისას მხარეებს არჩევს ფართო შესაძლებლობას აძლევს, ე.ი. ნების გამოვლენის თავისუფლებას უზრუნველყოფს, მაგრამ სამართლებრივი შედეგის დადგომას ხშირად სახელმწიფოს მხრიდანაც ნების გამოვლენას უკავშირებს. ორი პირის შეთანხმება საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თაობაზე მხოლოდ მაშინ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, თუკი ნოტარიუსის მიერაც იქნება ნება გამოვლენილი, ე.ი. დაამოწმებს ამ პირთა ნებას.

ზემოთ აღნიშნული მაგალითები ცხადყოფენ, თუ რამდენად არის ძირითადი ნება თავისი ნამდვილობისთვის სხვათა ნებაზე ან სხვა გარემოებებზე დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც გარიგებებს აწესრიგებენ, განსაზღვრავენ იმ პირობებს, გარემოებებსა თუ ფარგლებს, რომელთა შიგნითაც ნების გამოვლენას სამართლებრივი შედეგები მოჰყვება, ე.ი. ნების გამოვლენა იქნება ნამდვილი.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ნების გამოვლენა. ეს ნების გამოვლენა შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. რადგან ყოველი ნების გამოვლენის უკან კონკრეტული პირი დგას, საკითხი შეიძლება სხვანაირადაც დაესვათ — რამდენი პირის ნების გამოვლენაა საკმარისი, რომ დასახული სამართლებრივი მიზანი იქნეს მიღწეული? სამართალი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა უკვე იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგალითად, ანდერძის დროს მამკვიდრებლის მიერ ნების გამოვლენა უკვე იწვევს სამართლებრივ შედეგებს ისე, რომ სამკვიდროს მიმღების თანხმობა არაა სავალდებულო. თავის მხრივ, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაც ნების ცალმხრივი გამოვლენაა. უფრო ხშირია შემთხვევები, როცა სამართლებრივი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ორი ან რამდენიმე ნების გამოვლენა, ე.ი. ორი ან რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ხელშეკრულება ან გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრებაზე. ამ



შემთხვევაში გარიგებად მიიჩნევა არა ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ ცალ-ცალკე გამოვლენილი ნება, მაგალითად, ნასყიდობის დროს მყიდველის ან გამყიდველის ნება, არამედ ორივე მხარის მიერ ნების გამოხატვიდან წარმომდგარი საერთო ნება, რადგანაც სწორედ ერთმანეთთან შეთანხმებული ნებით, ე.ი. ხელშეკრულებით მიიღწევა დასახული სამართლებრივი შედეგი.<sup>24</sup>

მაშასადამე, გარიგება ნების გამოვლენაა, მაგრამ ერთ შემთხვევაში ის არის მხოლოდ ერთი პირის მიერ გამოხატული ნება, ხოლო უმეტეს შემთხვევებში – ორი ან რამდენიმე ნების გამოხატვის საფუძველზე წარმომდგარი ნება, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ნასყიდობის დროს პოტენციური მყიდველის ან პოტენციური გამყიდველის მიერ ცალ-ცალკე გამოქვეყნებული ნება არ ჩაითვლება გარიგებად, რაც არ უნდა გამოკვეთით და თვალსაჩინოდ იყოს ეს ნება გამოხატული.

გარიგება არსებითად კერძოსამართლებრივი ურთიერთობების საფუძველია. ამიტომ აუცილებელია მისი ნამდვილობის, წარმოშობისა და შეცვლის პირობების უფრო კონკრეტული დახასიათება. ამაში დიდ დახმარებას გაავიწევს გარიგებათა დაყოფა სახეებად. ამ დაყოფას სხვადასხვა კრიტერიუმები უძღვეს საფუძვლად. ერთ შემთხვევაში კლასიფიკაციისთვის გადამწყვეტია გარიგებაში მონაწილეთა რაოდენობა, მეორე შემთხვევაში – გარიგების საგანი, ე.ი. ის ურთიერთობა, რომელიც ნების გამოვლენის შედეგად წარმოიშობა და ა.შ.

### §3. გარიგების სახეები

#### *I. ცალმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები*

##### *ა. ცალმხრივი გარიგებები*

კერძო სამართალი ბევრ შემთხვევას იცნობს, როცა სამართლებრივი შედეგის დადგომა ერთი პირის ნების გამოვლენაზე და მოკიდებული და ეს ნების გამოვლენა საკმარისია. რათა მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგი. ისეთ გარიგებებს რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი

<sup>24</sup> Larenz, AT, S. 315.

პირის მიერ ნების გამოვლენა. სამოქალაქო სამართალში ეწოდება ცალმხრივი გარიგებები. იმის გამო, რომ ამ ტიპის გარიგებების დროს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, კანონი ხშირად ამომწურავად განსაზღვრავს ამგვარ გარიგებებს და მათი განხორციელების სამართლებრივ ჩარჩოებს. მიუხედავად იმისა, რომ ცალმხრივი გარიგებები უფრო ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე ორმხრივი ან მრავალმხრივი, მაინც შესაძლებელია ასეთი გარიგებების სამი ჯგუფის გამოყოფა:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც მხოლოდ მოქმედ, ე.ი. ნების გამოვლენ პირს ეხებათ. მათ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით (ე.ი. როცა პირი მოძრავ ნივთს ფლობდა ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად როგორც საკუთარს და 165-ე მუხლის თანახმად მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას) ანდა 190-ე მუხლის თანახმად უპატრონო მოძრავი ნივთის მითვისება საკუთრებად, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მიტოვება 184-ე მუხლის საფუძველზე. სამკვიდროს მიღებაც და ერთი პირის მიერ შპს-ის ან ფონდის დაფუძნებაც ცალმხრივი გარიგების მაგალითებია.

ცალმხრივი გარიგებების მეორე ჯგუფს შეადგენს გარიგებები, რომლებიც, მართალია, იურიდიულ ძალას იძენენ მხოლოდ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად, მაგრამ უფლებრივ, ქონებრივ ან სხვაგვარ უპირატესობას ანიჭებენ მესამე პირებს. ასეთი გარიგებების კლასიკური მაგალითია ანდერძი და მინდობილობის გაცემა. ორივე შემთხვევაში მესამე პირი — შემკვიდრე ან რწმუნებული იღებენ უფლებრივ უპირატესობას, რომ მიიღონ სამკვიდრო ან განხორციელონ ესა თუ ის მოქმედება. მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების მოწონება ასევე განეკუთვნება ამ ჯგუფს.

არსებობს ცალმხრივი გარიგებების ცალკე ჯგუფი, რომლის დროსაც გარიგება, მართალია, მესამე პირებს ეხება, მაგრამ შესაძლებელია მან სამართლებრივი ზიანი მოუტანოს მათ. ამიტომ ასეთი გარიგებების განხორციელების უფლება პირს სპეციალურად კანონით ან წინასწარ დადებული ხელშეკრულებებით მიენიჭება. ამგვარი ცალმხრივი გარიგებების მაგალითია ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა, შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ოფცია და ა.შ. იმის გამო, რომ ნების ასეთი ცალმხრივი გამოვლენა ყოველთვის საზიანოდ ეხება მესამე პირთა ინტერესებს, კანონი დაწვრილებით განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, თუ როდის

შეუძლიათ პირებს ასეთი მოქმედება. მართალია, ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა ხშირად ორმხრივი გარიგების – ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ თვით ფაქტი ცალმხრივი შეწყვეტისა ცალმხრივი გარიგების მაგალითია.

მაშასადამე, ცალმხრივი გარიგებების ერთი კატეგორია ეხება ნების გამოძღვნი პირს, ხოლო მეორე კატეგორია – მესამე პირებს, მიუხედავად იმისა, სარგებლის მომტანია ეს მათთვის თუ არა. ცალმხრივი გარიგებების ამგვარ დაყოფას (ე.ი. თავისთვის და მესამე პირათთვის) სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს, კერძოდ, ნების გამოძღვნის ნამდვილობას. ცალმხრივი გარიგებები, ე.ი. ცალმხრივი ნების გამოძღვნა, რომლებიც მესამე პირებს ეხება, ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ნების გამოძღვნა განხორციელებულია ამ პირების წინაშე ისე, რომ ნება მათ მიუვიდათ (51-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს შეიძლება მოხდეს ამ უკანასკნელთა ნების საწინააღმდეგოდაც. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „გარიგების ცალმხრივობა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ ეფექტი, ზემოქმედება მოპასუხის ნების მონაწილეობის გარეშე შეიძლება იქნეს მიღწეული“.<sup>25</sup> ამასვე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი. მაგალითად, მინდობილობის გაცემა კი არის ცალმხრივი გარიგება, მაგრამ რწმუნებულმა უნდა იცოდეს ამის შესახებ, ე.ი. მან უნდა შეიტყოს (მიიღოს ცნობა), რომ მას განსაზღვრული მოქმედების უფლებამოსილება ენიჭება. იმ წუთიდან, როცა მას ეს ნება მიუვა, ნების გამოძღვნა ჩაითვლება ნამდვილად, ე.ი. მას შეიძლება სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს – რწმუნებულს შეუძლია მოქმედება. მართალია, ადრესატამდე ნების გამოძღვნის მისვლის ფაქტი მას ნამდვილობას ანიჭებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადრესატი ვალდებულია მიიღოს იგი, ე.ი. უეჭველად ნამდვილობა მიანიჭოს მას. მეორე მხარეს შეუძლია ნების გამოძღვნა იურიდიული ძალის არმქონედ გახადოს, თუკი წინასწარ ან მაშინათვე განაცხადებს უარს (51-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ყველა ცალმხრივი გარიგება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით იწვევს არსებული ურთიერთობების შეცვლას და ეხება მესამე პირთა ინტერესებს, მოითხოვს ამ უკანასკნელთა მიერ მიღებას. ეს ეხება როგორც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას, ასევე სხვადასხვა ოფციებს, როგორცაა უპირატესი შესყიდვის უფლება, გამოსყიდვის უფლება და

<sup>25</sup> v. Tuhr, Bd.2/1, S. 205.

სხვა წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება არ ჩაითვლება ნამდვილად და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს მაგალითად, ბინის გამქირავე ბელს არ შეუძლია შეწყვიტოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, თუკი იგი დადგენილ ვადაში ამის შესახებ არ გააფრთხილებს დამქირავებელს კანონი ცალმხრივი ნების გამოვლენის ადრესატს თითქმის ყველა შემთხვევაში აძლევს თავდაცვის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება არ მიიჩნევა ნამდვილად. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ დადებული ნებისმიერი ცალმხრივი გარიგება ბათილია, თუკი მას არ ექნება კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობა (მუხლი 66-ე); 557-ე და 558-ე მუხლების თანახმად საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს ხელშეკრულების მოშლა ცალმხრივად მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია. თუკი კანონი ასეთ გარანტიებს არ შეუქმნიდა იმ პირებს, რომელთაც ცალმხრივი გარიგებით ზიანი ემუქრებათ, მაშინ ამას შეეძლო მთლიანად ეჭვქვეშ დაყენებინა სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობა: ცალკეულ პირებს შესაძლებლობა ექნებოდათ თვითნებურად შეეცვალათ არსებული ურთიერთობები. ყველა ამ შემთხვევაზე ვრცელდება 51-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას.

მაშასადამე, ცალმხრივ გარიგებებში ყველა ნების გამოვლენა, რომელიც ეხება მესამე პირებს, ნამდვილობისათვის მოითხოვს ამ პირებისაგან ნების გამოვლენის მიღებას. 51-ე მუხლი პრაქტიკულად მნიშვნელოვანია მხოლოდ ცალმხრივი გარიგებებისათვის. ორმხრივი გარიგებების დროს ეს პრობლემა არ წარმოიშობა, ვინაიდან აქ ორი ან მეტი პირის მიერ საერთო ნების ჩამოყალიბება ისედაც ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ უნდა დავეთანხმოთ შეხედულებას, რომ გარიგებათა დაყოფა სახეებად იმის მიხედვით, ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარისათვის სავალდებულოა თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ცალმხრივი გარიგებების მიმართ.<sup>26</sup>

იმ გარიგებათა დახასიათებისას, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღება, იბადება კითხვა, თუ რა განსხვავებაა ოფერტსა და ცალმხრივ გარიგებას შორის? უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ნების გამომვლენი პირის სურვილის მიხედვით: სურს მას ხელშეკრულების დადება

<sup>26</sup> Flume, *Rechtsgeschäft*, S. 139.

და ვარაუდობს მეორე პირის თანხმობას, თუ ნების გამოვლენით ის თავის მიზანს მიღწეულად მიიჩნევს.<sup>27</sup>

### *ბ. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები*

თუმცა ცალმხრივი გარიგებები სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, უფრო გავრცელებული მაინც ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებებია. ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ხელშეკრულებების განსაკუთრებული მნიშვნელობით სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში: ხელშეკრულება ორმხრივი გარიგების კლასიკური ფორმაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში დღია იმ გადაწყვეტილებების როლი, რომლებიც სხვადასხვა ტიპის იურიდიული პირების საქმიანობის ფარგლებში მიიღება. ასეთი გადაწყვეტილებები მრავალმხრივი გარიგებების მაგალითია. ძველი გერმანული დოქტრინა ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებების ნიმუშად მხოლოდ ხელშეკრულებებს მიიჩნევდა. ასე იყო ეს ვინდშიიდის პანდექტების სახელმძღვანელოში.<sup>28</sup> თანამედროვე სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილებებიც მრავალმხრივი გარიგებების ნიმუშია.<sup>29</sup>

ხელშეკრულების, როგორც გარიგების, დახასიათებისას აუცილებელია ურთიერთგაცვლა შინაარსობრივად თანამთხვევადი ნების გამოვლინებებისა ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ.<sup>30</sup> როგორც უკვე ვთქვი, თითოეული მათგანის მიერ ცალცალკე ნების გამოვლენა (ოფერტი და აქცეპტი) ცალცალკე გარიგებას არ წარმოადგენს და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი პირის ნება ფიგურირებს, არც ცალმხრივ გარიგებად მიიჩნევა. ეს აიხსნება იმით, რომ ნების გამოვლენ მხარეებს ცალკე დამოუკიდებლად კი არ სურთ (არც შეუძლიათ) სამართლებრივი შედეგის მიღწევა, როგორც ეს ცალმხრივი გარიგების დროსაა, არამედ ხელშეკრულების მეორე მხარესთან ერთად იმის წყალობით, რომ მათი ნების გამოვლინებები ერთმანეთს ემთხვევა. ორივე ნების გამოვლენა შინაარსობრივად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამას კონსენსუსი ეწოდება.<sup>31</sup> მის გარეშე ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება.

<sup>27</sup> v. Tuhr. Bd. 2/1, S 207

<sup>28</sup> v. Tuhr. Bd. 2/1, S. 220.

<sup>29</sup> Brox, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gestezbuchs 15. Aufl. Rn 100

<sup>30</sup> v. Tuhr. Bd. 2/1, S. 224.

<sup>31</sup> Kötz Hein. Europäisches Vertragsrecht Band 1 1996. S. 23-26

თავის მხრივ, ხელშეკრულებები იყოფა *ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად*. ოღონდ ცალმხრივობის თუ მრავალმხრივობის განსაზღვრისათვის აქ ნების გამოვლენათა რაოდენობა კი არ არის გადამწყვეტი (ხელშეკრულების დროს ნების გამოვლენა ყოველთვის ერთზე მეტია), არამედ ხელშეკრულების მხარეებს შორის უფლებებისა და მოვალეობების განლაგება. *თუ ხელშეკრულების მხარეებს მხოლოდ უფლებები აქვთ ან მხოლოდ მოვალეობები. საქმე გვაქვს ცალმხრივ ხელშეკრულებებთან*. მაგალითად, ჩუქების დროს მჩუქებელს უფლება აქვს აჩუქოს, ხოლო დასაჩუქებულს უფლება აქვს მიიღოს საჩუქარი, მაგრამ არ არის ვალდებული. სესხის დროს გამსესხებელს უფლება აქვს ასესხოს, მაგრამ მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში დაბრუნოს სესხი. აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: თუ ჩუქება ან სესხი კონსენსუალური ხელშეკრულებაა, მაშინ მჩუქებელს ან მსესხებელს შეიძლება მოვალეობაც დაეკისროს. *ორმხრივი ხელშეკრულების კლასიკური მაგალითია ნასყიდობა – ამ დროს ხელშეკრულების ორივე მხარეს აკისრია როგორც მოვალეობები. ასევე აქვთ უფლებები*. კერძოდ, მყიდველი მოვალეა გადაიხადოს ფასი, ხოლო გამყიდველი მოვალეა გადასცეს საქონელი; მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს საქონელი, გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ფასის გადახდა.

ცალმხრივად და მრავალმხრივად ხელშეკრულებების დაყოფის გარდა, მათი კლასიფიკაცია შეიძლება ასევე ვალდებულებით სამართლებრივ, სანივთო, საავტორო, საოჯახო, მემკვიდრეობის ხელშეკრულებებად. თითოეული ეს ხელშეკრულება თავსდება გარიგებათა ზოგადი ცნების ფარგლებში. იმავდროულად, ასახავს იმ თავისებურებებს, რომლებიც ყოველ მათგანს ახასიათებს.

*მრავალმხრივი გარიგებების მეტად გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილებები*. რომლებიც პირთა უმრავლესობის მიერ მიიღება. არსებითი, რაც მას ხელშეკრულებისაგან განასხვავებს, ესაა კონსენსუსის არარსებობა. მაშინ, როცა ხელშეკრულებათა დადება მხარეთა მიერ ნების გამოვლენათა კონსენსუსის საფუძველზე ხდება, გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, ე.ი. „უმრავლესობის ძლიერი ინტერესი იმარჯვებს უმცირესობის სუსტ ინტერესზე“.<sup>32</sup> ამგვარი ე.წ. „ძლიერი-სუსტის“ თანაფარდობით ადვილი შესაძლებელია უმცირესობის ინტერესების დათრგუნვაც. ეს რომ არ მოხდეს, კანონი განსაზღვრავს ფარგლებსა და პირობებს,

<sup>32</sup> v. Tuhr, Bd. 2/1. S. 232.

რომელთა შიგნითაც და რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილებათა მიღება უმრავლესობის მიერ. თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეებს ორ მხარედ წარმოვიდგენთ – უმცირესობად და უმრავლესობად, ნათელი გახდება, რომ უმრავლესობის მიერ ნების გამოვლენას ისეთივე შედეგები შეიძლება ჰქონდეს უმცირესობისათვის, როგორც ცალმხრივი გარიგების დროს ერთი პირის მიერ ნების გამოვლენას მესამე პირთათვის. ამიტომაც აწესრიგებს კანონი ასე დეტალურად გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, მაგალითად, სააქციო საზოგადოებებში ან კავშირებსა და სხვა კორპორაციებში.

გადაწყვეტილებები, როგორც მრავალმხრივი გარიგება, გამოიყენება არა მხოლოდ იურიდიულ პირად ორგანიზებულ გაერთიანებებში (კავშირები, სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი), არამედ იმგვარ გაერთიანებებშიც, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მაგალითად, ბინის შესაკუთრეთა ამხანაგობაში ან საერთო საქმიანობის დროს ამხანაგობაში.

უმრავლესობის ცნებას ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეთა რაოდენობა, ხოლო სხვა შემთხვევებში – კაპიტალის ოდენობა, როგორც ეს კაპიტალური ტიპის საზოგადოებებშია.

მართალია, ამ ტიპის გარიგებებში გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით ხდება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად – კონსენსუსით. ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ეს გამონაკლისია და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გამოიყენება. მაგალითად, სპს ან კს-ის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება პარტნიორების მიერ მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად.

## *II. ვალდებულებითი. სანიეთო (ქონებრივი). სააგტორო.*

### *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივი გარიგებები*

გარიგებათა ეს კლასიფიკაცია შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის სისტემას და ასახავს იმ სფეროებს, რომლებშიც გარიგებები გამოიყენება.

ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებები ისეთი გარიგებებია, რომლებიც მიმართულია ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ხოლო რაც შეეხება სანიეთო- (ქონებრივ) სამართლებრივ გარიგებებს, მათი მიზანი სანიეთოსამართლებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა, სხვისთვის გადაცემა ან შეწყვეტა.<sup>33</sup> გარიგებათა სახეების

<sup>33</sup> Larenz, AT, S.320-321.

ლარენცისეული ეს დეფინიცია სრულიად მიესადაგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებულ გარიგებებს. [ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებების მაგალითები: ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, მომსახურება, სესხი და სხვა.] სანიეთოს მაგალითია საკუთრების ან სხვა სანიეთო უფლებების გადაცემა მესამე პირზე] როგორც ვალდებულებითი, ასევე სანიეთო სამართლებრივი გარიგებები შეიძლება იყოს ორმხრივიც და ცალმხრივიც. ცალმხრივი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების მაგალითია ჯილდოს საჯარო დაპირება, ხოლო სანიეთოსი – საკუთრებაზე უარის თქმა. ვალდებულებით სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ ხელშეკრულებათა შინაარსის განსაზღვრა მაშინ, როცა სანიეთოსამართლებრივ გარიგებებში ეს შინაარსი კანონითაა ზუსტად განსაზღვრული და მხარეებს მათი შეცვლა არ შეუძლიათ.

საავტორო სამართლის გარიგებებს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი გარიგებები, რომლებიც მიმართულია საავტორო უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. თავისი ბუნებით ისინი უახლოვდება როგორც ვალდებულებითსამართლებრივ, ასევე სანიეთოსამართლებრივ გარიგებებს.

ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია საოჯახოსამართლებრივი გარიგებების როლი. მათ, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნება დაქორწინება, საქორწინო კონტრაქტი (თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავს ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებას), ასევე მამობის აღიარებაც. სანიეთო (ქონებრივი) სამართლის მსგავსად საოჯახო სამართალშიც გარიგებათა ტიპები კანონითაა განსაზღვრული და მხარეებს არ შეუძლიათ მათი შეცვლა. მაგალითად, დაქორწინების ნამდვილობისათვის აუცილებელია ქორწინების რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში და მხარეებს არ შეუძლიათ ეს წესი თვითნებურად შეცვალონ.

მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე გავრცელებულ გარიგებას წარმოადგენს ანდერძი. მას ხშირად ცალმხრივი გარიგების კლასიკურ მაგალითადაც იხმობენ. თუმცა მხოლოდ ანდერძით არ შემოიფარგლება იმ გარიგებათა ნუსხა, რომლებიც მემკვიდრეობის სამართალში გამოიყენება – სამკვიდროს მიღებაც ან მის მიღებაზე უარიც გარიგების მაგალითია.

### *III. მავალდებულებელი. განკარგვითი და შეძენითი გარიგებები*

მავალდებულებელი გარიგებების კატეგორიას განეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს სხვათა წინაშე



ვალდებულებას, შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედებისაგან. პირი, რომელმაც იკისრა ვალდებულების შესრულება, — მოვალე, ვალდებულია შეასრულოს დაპირებული. ხოლო ამ ვალდებულების ადრესატს, — კრედიტორს, წარმოეშობა შეპირებულის შესრულების მოთხოვნის უფლება. მავალდებულებელი გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი (მაგალითად, ჯილდოს საჯარო დაპირება), ასევე ორმხრივი (ხელშეკრულებათა უმეტესობა). არ არის გამორიცხული, რომ ვალდებულება ორმხრივ გარიგებებშიც შეიძლება წარმოიშვას ნების ცალმხრივი გამოვლენით, მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულებაში — ჩუქების დაპირებით. როგორც სწორად აღნიშნავენ ლიტერატურაში, ამ ტიპის გარიგებები ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში კრედიტორისთვის ყოველთვის „შეძენით გარიგებას“ წარმოადგენს.<sup>34</sup> იმით, რომ პირი რაიმე მოქმედების შესრულებას კისრულობს, კრედიტორს წარმოეშობა ამ მოქმედებით გამოწვეული შედეგის მიღების, შეძენის უფლება.

განკარგვითი გარიგებების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში მეტად დიდია. მათი მიზანი არის უკვე არსებულ უფლებაზე ზემოქმედება — მისი შეცვლა, გადაცემა სხვისთვის, უფლებრივი დატვირთვა ან გაუქმება.<sup>35</sup> მართალია, „განკარგვის“ ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, მაგრამ მოქმედი ნორმების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ განკარგვათა შემდეგი სახეები: გასხვისება, უფლებრივი დატვირთვა, გაცვლა და უარის თქმა უფლებაზე.

როცა განკარგვაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება ყოველთვის უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის (როგორც, მაგალითად, გრძელვადიანი ურთიერთობის განწყვეტისას) განკარგვა.<sup>36</sup> იმ შემთხვევაშიც, როცა ნივთის განკარგვას ეხება საქმე, რეალურად ხდება ამ ნივთზე უფლების განკარგვა — საკუთრების, სარგებლობის, მფლობელობის ან სხვა უფლებათა განკარგვა.<sup>37</sup>

როგორც წესი, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის განკარგვა გულისხმობს მათ გადაცემას სხვებისთვის, ე.ი. შემძენისთვის. ამ უკანასკნელისთვის ეს შეძენითი გარიგებაა. მაგრამ ყოველთვის არაა სავალდებულო, რომ განკარგვა შემძენის სასარგებლოდ ხორციელდებოდეს:

<sup>34</sup> Larenz, AT, S. 322.

<sup>35</sup> v. Tuhr, Bd.2/1, S. 238

<sup>36</sup> Larenz, AT, S.323

<sup>37</sup> v. Tuhr, Bd.2/1, S. 242

მაგალითად. როცა მესაკუთრე თავის საკუთრებაზე აძობს უარს ისე, რომ არ ასახელებს, თუ ვის სასარგებლოდ აკეთებს ამას.

განკარგებდალ მიიჩნევა მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავენ უფლების შეცვლას და ასეთ შეცვლას უშუალოდ იწვევენ. განკარგვად არ მიიჩნევა უფლების ისეთი ცვლილებები, რომლებიც გარიგებიდან კი არ გამომდინარეობს უშუალოდ, არამედ კანონის საფუძველზე წარმოიშობა. ამის მაგალითად ლიტერატურაში ასახელებენ ქორწინებას, რომლის შედეგადაც მეუღლეებს უფლებები წარმოეშობათ ურთიერთქონებაზე. რომელიც შეძენილია ქორწინების განმავლობაში.<sup>34</sup>

უფლების განკარგვის უფლებამოსილება შეადგენს ამ უფლების შემადგენელ ნაწილს. ეს შეხედულება განმტკიცებულია სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში.<sup>35</sup> ასევე გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 152-ე მუხლებიდან. განკარგვის ცნების განხილვისას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმას, ჰქონდა თუ არა განმკარგავ პირს ამ უფლების განკარგვის უფლებამოსილება. როგორც წესი, განკარგვის უფლება აქვს ამ უფლების მფლობელს – მესაკუთრეს ან მოსარგებლეს. თუმცა არის შემთხვევები, როცა უფლების მფლობელს კანონი ართმევს განკარგვის უფლებამოსილებას. ასეთი შეზღუდვების მაგალითად გამოდგება ნიუთის დაყადალება ან გაკოტრების საქმეთა წარმოების დროს ქონების განკარგვის უფლების გადაცემა გაკოტრების საქმეთა მმართველისათვის.

უფლების განკარგვა შეიძლება მოხდეს როგორც ამ უფლების მფლობელის მიერ უშუალოდ. ასევე სხვა პირისთვის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებით. ეს მინიჭება ხორციელდება ცალმხრივი გარიგების – მინდობილობის გაცემის გზით.

განკარგვის გარიგებათა საგანი, მართალია, უფლებები და ვალდებულებითი ურთიერთობებია, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომელთა გადაცემა სხვა პირებზე დაიშება. განკარგვა, ბუნებრივია, გულისხმობს მოცემული უფლების შეცვლას, გაუქმებას, მაგრამ იხადება კითხვა, შეუძლია თუ არა განკარგვის უფლების მქონეს განკარგვითი გარიგებით საერთოდ აკრძალოს ამ უფლების განკარგვა. მაგალითად, შეუძლია თუ არა მესაკუთრეს აკრძალოს ამ საკუთრების განკარგვა ზოგადად. ასეთ აკრძალვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ შეიცავს, მაგრამ 147-ე

<sup>34</sup> v Tuhr. Bd. 2/1. S. 239

<sup>35</sup> Larenz. AT. S. 323

მუხლის შინაარსიდან გამოძინარეობს. რომ ამგვარი აკრძალვა მხოლოდ კანონის საფუძველზეა შესაძლებელი და არა გარიგების საფუძველზე.

რაც შეეხება შეძენით გარიგებებს, ისინი გვხვდება როგორც მავალდებული, ასევე განკარგვითი გარიგებების დროს და მათი მემკვიდრით პრაქტიკულად ხდება უფლების შეძენა. ეს შეძენა შეიძლება მოხდეს როგორც ცალმხრივი (მაგალითად, სამკვიდროს მიღება), ასევე ორმხრივი გარიგებებით (ნასყიდობა, ჩუქება და ა.შ.).

#### IV. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები

გარიგებათა დაყოფა აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად ტრადიციულად გერმანული სამოქალაქო სამართლისთვისაა დამახასიათებელი.<sup>40</sup> ეს გამოძინარეობს გერმანულ სამართალში განმტკიცებული აბსტრაქციის პრინციპიდან, რომლის თანახმად საკუთრება შემძენზე გადადის მხოლოდ ნივთის გადაცემით და ეს გადაცემა ნამდვილია მიუხედავად იმისა, მის საფუძველად არსებული ვალდებულებითსამართლებრივი აქტი (causa) ნამდვილია თუ არა.<sup>41</sup> აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ რომანული სამართლის ქვეყნები გარიგებათა დაყოფას აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად არ იცნობენ.<sup>42</sup> გერმანული სამართლის წრის ზოგი ქვეყანა, მართალია, არ აღიარებს აბსტრაქციის პრინციპს (მაგალითად, ავსტრია), მაგრამ იცნობს გარიგებათა დაყოფას აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად.<sup>43</sup> საბჭოთა სამოქალაქო სამართლისთვისაც არ ყოფილა უცხო აღნიშნული კლასიფიკაცია.<sup>44</sup> თუმცა აშკარაა, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში იგი უფრო გერმანული პანდექტივისტიკის გავლენით დამკვიდრდა, ვიდრე საკანონმდებლო აუცილებლობიდან გამომდინარე. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ აბსტრაქტული გარიგების მაგალითად საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ყველა სახელმძღვანელოში მიუთითებენ თამასუქს (ვექსელს), რომელიც საბჭოთა კავშირში პრაქტი-

<sup>40</sup> Schwab, Dieter. Einführung in das Zivilrecht 11. Aufl. S 208-209. Hübner, Heinz. Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches 1985 S 272-273 usw

<sup>41</sup> დაწერილებით იხილე: ჭანტურია ლ. უძრავი ნივთების საკუთრება 1994. გვ 152-158

<sup>42</sup> Fend/Sonnenberger. 1/1. S 410

<sup>43</sup> Gschnitzer, Franz. Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts 1966. Springer Verlag, Wien New York. S.142-143. Koziol/Welser. Grundriss 10. Aufl. Bd I. S 101-102.

<sup>44</sup> Советское гражданское право Ч 1 под ред В А Рясенцева. М 1986 С 200. Советское гражданское право Ч. I. Ленинград. 1982 С 157 и др

კულად არც გამოიყენებოდა ამიტომ ცივილისტური მაგალითად იხმობდნენ საბჭოთა საეკონომიკური ორგანიზაციების მიერ საგარეო ვაჭრობისას გაკეპულ თამასუქს. თუმცა აბსტრაქტული გარიგების მაგალითად შეიძლება სხვა შემთხვევების დასახელებაც. ეს გარემოება საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში არ დარჩენილა უყურადღებოდ. მაგალითად, ნოვიცკი თავის ცნობილ მონოგრაფიაში გარიგებების შესახებ აღნიშნავდა, რომ საბჭოთა პირობებში გარიგებების ასეთ დაყოფას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და ატარებს წმინდა სქოლასტიკურ ხასიათსო. ამას იგი გარიგებათა ამ კლასიფიკაციის ბურჟუაზიული წარმომავლობით ხსნიდა.<sup>45</sup> ნოვიცკის არგუმენტის ნაკლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა სხვა მეცნიერებისთვის. იოფემ მართებულად გააკრიტიკა ავტორი ამ შეხედულებისთვის.<sup>46</sup>

მართალია, აბსტრაქტული გარიგებების ცნება გერმანული სამართლის აბსტრაქციის პრინციპს უკავშირდება, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. როგორც ლარენცი წერს, არა მხოლოდ სანივთო გარიგებები, არამედ სხვა განკარგულებიც, როგორცაა, მაგალითად, მოთხოვნის დათმობა, როგორც წესი, აბსტრაქტულია.<sup>47</sup> ამიტომ გარიგებათა კლასიფიკაცია აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად ქართული სამართლისთვისაც მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი დახასიათება.

გარიგება მიიჩნევა კაუზალურად, თუკი მისგან გამომდინარეობს გარიგების მიზანი (causa), სამართლებრივი საფუძველი.<sup>48</sup> ე.ი. *კაუზალურია გარიგება რომელსაც აქვს კონკრეტული ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი – causa. მიზანი.* მაგალითი: ა აძლევს ბ-ს წიგნს. რა შეიძლება იყოს ამ წიგნის მიცემის სამართლებრივი საფუძველი? სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ჩუქება, თხოვება, მიყიდვა და ა.შ. *გარიგების ამ უშუალო. ტიპურ საფუძველს (მიზანს). რომელიც გადაცემის სამართლებრივ ხასიათს განსაზღვრავს. ეწოდება სამართლებრივი საფუძველი. causa, ასევე titulus<sup>49</sup>.* უშუალო საფუძველისაგან (მიზნისაგან) უნდა განვასხვაოთ ისეთი საფუძველები და მიზნები, რომელთაც გარიგების ბუნების განსაზღვრისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვთ. მაგალითი: წიგნის მიღებისას ბ-ს მიზანი შეიძლება იყოს ამ წიგნის

<sup>45</sup> П. Б. Нольцкии Сделки. Псковая данность С. 32-33

<sup>46</sup> О. С. Иоффе Советское гражданское право Т. I С. 206-207

<sup>47</sup> Larenz AT S. 328

<sup>48</sup> Koziol/Welser I/I. S. 101

<sup>49</sup> Gschnitzer Allgemeiner Teil. S. 142-143

წაკითხვა ან მისი ჩუქება სხვისთვის. ხოლო ა-ს ამოდრავებდეს მეგობრისთვის სიამოვნების მინიჭება ან სხვა. მაშასადამე, კაუზალური გარიგებების განხილვისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამართლებრივი საფუძველი. რომელიც გარიგების შინაარსს განსაზღვრავს. არასამართლებრივი საფუძვლისაგან. რომელიც გავლენას არ ახდენს გარიგებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არასამართლებრივი საფუძველი, მაგალითად, მოტივი, გარიგების საგანს წარმოადგენდა (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 76-ე). ამ ტიპის გარიგებათა ცალკე გამოყოფის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაშია, რომ მათი ნამდვილობა დამოკიდებულია სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზე: თუ კაუზალური გარიგების საფუძველი ბათილია, მაშინ მთლიანად გარიგება იქნება ბათილი. მაგალითი: საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არის კაუზალური გარიგება. მისი კაუზა, ე.ი. სამართლებრივი საფუძველი არის სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში. თუკი ეს არ არის დაცული, მაშინ გარიგება მიიჩნევა ბათილად, ე.ი. შემძენი ვერ გახდება მესაკუთრე. მაშასადამე, კანონი ითხოვს, რომ კაუზალური გარიგების დროს ამ გარიგების სამართლებრივი საფუძველი გამოკვეთილი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება იქნება ბათილი ამის თვალსაჩინო მაგალითია მოჩვენებითი გარიგება, რომელიც 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია. კვლავ მაგალითი, ა ყიდის მანქანას ბ-ზე, მაგრამ ოფიციალურად აფორმებს ჩუქებად. ასეთი ჩუქება ბათილია, ვინაიდან იგი არ შეესაბამება მხარეთა კაუზას, ე.ი. სამართლებრივ მიზანს. სამოქალაქო კოდექსი რომ კაუზას დიდ სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს, ამ მუხლის მე-2 ნაწილიდანაც ჩანს კერძოდ, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა (ე.ი. ჩუქებით მხარეებს სურთ დამალონ ავტომანქანის ნასყიდობა), მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (გარიგება ჩაითვლება ნამდვილად, თუკი მის მიმართ გამოყენებული იქნება ნასყიდობის წესები).

*აბსტრაქტული გარიგების დროს. კაუზალურისაგან განსხვავებით სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს და გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობისაგან. აბსტრაქტული გარიგებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდების დროს. მაგალითი: სამოქალაქო კოდექსის 925-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საორდერო ფასიანი ქაღალდის მფლობელს შეუძლია ხელმოწერილი დო-*

კუმენტის (ეს შეიძლება იყოს ჩეკი, თამასუქი და ა.შ.) ჩაბარების სანაცვლოდ მოითხოვოს გადახდა. ე.ი. ხელმოწერილი ჩეკი მის მფლობელს უფლებას აძლევს საკრედიტო დაწესებულებიდან მიიღოს ფულადი თანხა მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უდევს მას – ჩუქება, ნასყიდობა, მომსახურებისთვის ანაზღაურება თუ სხვა რამ. მთავარი აქ ისაა, რომ ამ ფასიანი ქაღალდის გამცემი თავისი ხელმოწერით ადასტურებს ფულის გადახდის თანხმობას ისე, რომ არ არის გამოკვეთილი ამგვარი გადაცემის მიზანი. აბსტრაქტული გარიგების მეორე მაგალითია მოთხოვნის დათმობა კრედიტორის მიერ. ეს დათმობა ნამდვილია მიუხედავად იმ სამართლებრივი საფუძველისა, რომლის გამოც ის განხორციელდა.<sup>50</sup> აბსტრაქტულ გარიგებად მიიჩნევა ასევე მინდობილობის გაცემა.<sup>51</sup> მართალია, მინდობილობა გაცემა რომელიმე ძირითად ურთიერთობასთან დაკავშირებით (მაგალითად, ნასყიდობა, მომსახურება, ნარღობა და ა.შ.), მაგრამ თვით მინდობილობის ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ ურთიერთობის ხასიათისაგან.

როგორც წესი, აბსტრაქტულად და კაუზალურად გარიგებების დაყოფის საკითხი წარმოიშობა იმ გარიგებების დახასიათებისას, რომელთა მეშვეობითაც პირი სამართლებრივ ან ქონებრივ სარგებელს იღებს.

### *V. სასყიდლიანი (სანაცვალგებო) და უსასყიდლო (უნაცვალგებო) გარიგებანი*

იმ გარიგებათა განხილვისას, რომელთა საფუძველზე პირი რაიმე სარგებელს იღებს, იბადება კითხვა: უნაცვალგებოდ (უსასყიდლოდ) ხდება ეს თუ ნაცვალგებით (სასყიდლით). სასყიდლიანად ჩაითვლება ისეთი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება – ეკვივალენტი. მაგალითი: ნასყიდობის დროს გამყიდველის ვალდებულებას, – გადასცეს მყიდველს ნაყიდი ნივთი, – შეესაბამება მყიდველის საპასუხო ვალდებულება – გადაიხადოს ამ საქონლის ფასი. უსასყიდლო გარიგებების დროს გარიგების მხარე, მართალია, კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულებას, მაგრამ მას არ ახლავს თან საპასუხო შესრულება. როგორც ეს ჩუქების თხოვნის ან საქონლის უსასყიდლოდ შენახვის ხელშეკრულებებშია.

<sup>50</sup> Larenz. AT S 328

<sup>51</sup> Hubner Allgemeines Teil S 282.

იმის გამო. რომ გარიგების სასყიდლიანობა ოქუ უსასყიდლობა პრაქტიკულად გარიგების საფუძველზე უთითებს, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაყოფა მნიშვნელოვანია მხოლოდ კაუზალური გარიგებებისთვის. ხოლო რაც შეეხება აბსტრაქტულ გარიგებებს. ამ კლასიფიკაციის მიმართ მათი დამოკიდებულება ნეიტრალურია. რაიმეთუ ისინი სამართლებრივ საფუძველზე შეთანხმებისაგან დამოუკიდებელია.<sup>52</sup>

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია სასყიდლიანი გარიგებები. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს სწორედ ნაცვალგებობა ანუ ეკვივალენტურობა, ხოლო უსასყიდლო გარიგებები ამ ზოგადიდან გამონაკლისს წარმოადგენენ.

## VI. გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია

გარიგებათა ზემოთ განხილული დაყოფა სახეებად არ არის ამომწურავი. შეიძლება გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაციაც. იმის მიხედვით, თუ რა სახის ურთიერთობებს აწესრიგებს გარიგება, ერთმანეთისაგან განასხვავებენ *ქონებრივ და პირად არაქონებრივ გარიგებებს*. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ცალმხრივი, ასევე ორი ან მრავალმხრივი. მაგალითად, *ცალმხრივი პირადი არაქონებრივი გარიგების* მაგალითია მამობის აღიარება, ხოლო *ორმხრივის* — მშობლების მიერ შვილისთვის სახელის დარქმევა ურთიერთშეთანხმებით. გარიგებათა უმეტესობა, როგორც წესი, ქონებრივი ხასიათისაა და ეს სრულიად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის ბუნებას.

### §4. ნების გამოვლენა

გარიგების დახასიათებისას ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გარიგება და ნების გამოვლენა სინონიმებად ითვლებოდა. ამ შეხედულების განმტკიცებაში განსაკუთრებით დიდია საეინის დამსახურება. მაგრამ მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში უკვე გაისმა პირველი კრიტიკა ნების გამოვლენისა და გარიგების იდენტურობის წინააღმდეგ.<sup>53</sup> მართალია, ნე-

<sup>52</sup> Larenz. AT. S. 330.

<sup>53</sup> Titzel. Rechtsgeschäft, S 790

ბის გამოვლენა გარიგების უმთავრესი კლემენტია. მაგრამ მხოლოდ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი დასახული სამართლებრივი მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ზოგი ქვეყნის სამართლით, უძრავი ქონების შესაძენად აუცილებელია მისი რეგისტრაცია სადგომამულო წიგნში.<sup>54</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისთვის ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ნების გამოვლენისა და გარიგების იდენტიფიკაციის თეორია. ეს ამჟამად ჩანს „მოტივებიდან“. კერძოდ, მასში აღნიშნული იყო: „გამოთქმები „ნების გამოვლენა“ და „გარიგება“ თანაბარმნიშვნელოვნად გამოიყენება“<sup>55</sup> მართალია, იგივეობის ეს თეორია დღეს უარყოფილია, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ნების გამოვლენა გარიგების ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი ელემენტია.<sup>56</sup> ამიტომ სრულიად შეესაბამება გარიგების თანამედროვე გაგებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი. რომელიც გარიგების კონსტიტუციურ ელემენტად სწორედ ნების გამოვლენას მიიჩნევს.

ერთი შეხედვით შეიძლება წარმოიშვას შთაბეჭდილება, რომ ნების გამოვლენა ფსიქოლოგიის კატეგორიაა. ასეთი აზრი ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნება წარმოადგენს ფსიქოლოგიის კატეგორიას. მაგრამ სამოქალაქო სამართალში *ნების გამოვლენა* წმინდა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი საშუალება იმ ქმედობის გამოსახატავად, რომლის მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. თუმცა ეს არ გამორიცხავს ნების გამოვლენის ანალიზისას ფსიქოლოგიისადმი მიმართვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს, როცა ნების გამოვლენის ნაკლზე ან სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად გამოვლენილ ნებაზე იქნება საუბარი. მიუხედავად ამისა, დღევანდელ სამოქალაქო სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ნების გამოვლენა არის სამართლებრივი ცნება, სამართლის ინსტიტუტი.<sup>57</sup>

ნების გამოვლენა, როგორც „ქმედობა“ ან ნებელობითი აქტი, უწინარეს ყოვლისა. გულისხმობს *ნებით განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას*.<sup>58</sup> ეს დეფინიცია მრავალ გარემოებაზე მიგვანიშნებს, რომელთაც ქვევით შევხებით.

<sup>54</sup> Titze, Rechtsgeschäft S. 790-791

<sup>55</sup> Motive zu dem Entwurfe eines Bürgerlichen Gesetzbuches für das Deutsche Reich Berlin/Leipzig, 1888, Bd I, S. 126

<sup>56</sup> Staudinger/Dilcher, Vorbem zu §§ 116-144, Rn. 1

<sup>57</sup> Staudinger/Dilcher, Vorbem zu §§ 116-144, Rn. 3-4, Fiume, Rechtsgeschäft, § 4, S. 5 usw

<sup>58</sup> Lorenz, AT S. 333



ქმელობად და არც ნების გამოვლენად არ ჩაითვლება გამოთქმა, რომელსაც ადამიანი ძილში, ნარკოზის ქვეშ, ან ცნობიერების გამომრიცხველი სხვა გარემოებების გავლენით აკეთებს.

ნება, რომელიც სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად, შეიძლება სრულიად სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს: როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, სიტყვიერად ან დუმილით, წერილობით ან ზეპირად და ა.შ. ტექნიკის არნახული განვითარების პირობებში ნების გარეგნული გამოვლენის შესაძლებლობაც უამრავია: ერთ შემთხვევაში ეს გამოვლენა შეიძლება ადამიანის სხეულის მეშვეობით განხორციელდეს (მაგალითად, შპს-ის კარტინორთა კრებაზე ხელის აწევით). სხვა შემთხვევაში კი – შედგენილ დოკუმენტზე – ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ანდა საბანკო ბარათის მეშვეობით ფულის ავტომატიდან ფულის მოხსნით. მაგრამ რაც ყველა ამ მოქმედებას საერთო აქვს, ისაა, რომ *ქმედობა უნდა იყოს ნებელობითი აქტი. ის უნდა გამომდინარეობდეს ადამიანის ცნობიერებიდან და არ უნდა წარმოადგენდეს მექანიკურ, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ აქტს.*

ნების გარეგნული გამოხატვა თავისთავად არავითარ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. მისაღმებაც, მეგობრისთვის წერილის გაგზავნაც, ტელეფონზე საუბარიც ნების გარეგნული გამოხატვაა, მაგრამ ის არ მიიჩნევა ნების გამოვლენად სამოქალაქო სამართლის გაგებით. ეს ნება მიზნად უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს, მაგალითად, საკუთრების შეძენას, ხელშეკრულების დადებას, ნივთის გაჩუქებას და ა.შ. მაშასადამე, ნების გამოვლენა არის არა უბრალოდ შეტყობინება, არამედ სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის გარეგნული გამოვლინება, რომელიც ნებელობითი აქტია.

მაგრამ არც ესაა საკმარისი იმისთვის, რომ განზრახვის გარეგნული გამოხატვა, თუნდაც სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის, ნების გამოვლენად მივიჩნიოთ სამართლებრივი გაგებით. სტუდენტის მიერ თავის დღიურში იმის ჩაწერა, რომ მას სურს შეიძინოს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, თუმცა ნების გარეგნული გამოხატვაა, მაგრამ არ ჩაითვლება ნების გამოვლენად: მას აკლია სამართლებრივი ვარგისიანობა, ე.ი. თვისება, რომელიც ნების გამოხატველს სამართლებრივად შებოჭავს სულ სხვა შემთხვევაა, როცა იგივე სტუდენტი მაღაზიაში გამყიდველს ეტყვის, რომ მას სურს იყიდოს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. ხოლო გამყიდველი დასტურის ნიშნად გაუწოდებს მას წიგნს. აქ უკვე ნების გამოვლენა სამართლებრივად ბოჭავს მის გამოხატველს და სამარ-

თლებრივად ვარგისია – შეუძლია გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები. ამ ასპექტით ნების გამოვლენა ისეთივე „განმსაზღვრავი აქტია“, როგორც კანონი ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>59</sup>

როცა სტუდენტმა თავის დღიურში ჩაწერა, რომ მას წიგნის ყიდვა სურს, მართალია, მან განსაზღვრული სამართლებრივი მიზანიც – ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და საკუთრების შეძენა – გამოხატა, მაგრამ ეს გამოხატვა არ წარმოადგენდა *უშუალო საფუძველს დასახული სამართლებრივი შედეგის წარმოშობისთვის*. მხოლოდ ძალაშია – გამოყიდვლის წინაშე გამოვლენილი განზრახვა არის უშუალო საფუძველი შედეგის წარმოშობისთვის.

მაშასადამე, ნებამ რომ ნების გამოვლენის ხასიათი მიიღოს, მისი გარეგნულად გამომხატველი აქტი უნდა იყოს ნებელობითი, სამართლებრივად ვარგისი (ნამდვილი), მიზნად უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს და წარმოადგენდეს ამ შედეგის მიღწევის უშუალო საფუძველს.

გარიგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ნების გამოვლენას უკავშირდება. უფრო ზუსტად, *კანონი აწესრიგებს ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობის საკითხს*. რამდენიმე მაგალითის მოხმობაც საკმარისია ამის ნათელსაყოფად: ა. თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა; ბ. თუ ნება გამოვლენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (არასრულწლოვანი ან ქმედუნარიანი), სამართლებრივი შედეგის მიღწევა ეჭვქვეშ დადგება; გ. თუ ნება გამოვლენილია გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით (მოტყუება, მუქარა და ა.შ.), შედეგი შეიძლება გაუქმდეს.

იმისთვის, რომ ნების გამოვლენამ დასახულ სამართლებრივ შედეგს მიადწიოს, იგი უნდა გაკეთდეს გარკვევით, არაორაზროვნად. მაგრამ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა გარეგნულ გამოხატვებში ადამიანები სხვადასხვა შინაარსს აქსოვენ. ამიტომ აუცილებელი ხდება ნების გამოვლენის სწორი აზრის დადგენა. ამ მიზნის მისაღწევად კანონი განამტკიცებს *ნების გამოვლენის ანუ გარიგების განმარტების ინსტიტუტს*. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალი იცნობს არა მხოლოდ კანონის განმარტებას, არამედ ნების გამოვლენის განმარტებასაც.

---

<sup>59</sup> Larenz. AT. S. 334

## §5. გარიგების განმარტება

### I. ცნება და მნიშვნელობა

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა (ვარგისიანობა) დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (მათ შორის ცალმხრივ გარიგებებში) ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამომვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც წარმოთქმულ სიტყვაში იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვანაირად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა *გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი*. რომელიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს *ნების გამოვლენის განმარტება*. რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი განამტკიცებს.

გარიგების ანუ ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა ან გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ამგვარ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისთვის.

ნების გამოვლენა არა მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობებში გვხვდება, არამედ ადამიანური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ამიტომ ბუნებრივად წარმოიშობა ყოველთვის საკითხი, თუ რა აზრია ამ გამოვლენაში ჩადებული. ჰუმანიტარული მეცნიერების დარგების უდიდესი უმრავლესობა სწორედ ამითაა დაკავებული, ე.ი. იმის დადგენით, თუ რა იგულისხმა გამოთქმის ავტორმა გარეგნულ გამოხატვებში. მაგალითად, ლიტერატურის კრიტიკოსები თითქმის ერთხმად აღიარებდნენ დიდი ხნის მანძილზე, რომ ვაჟა-ფშაველას „არწივი“ იგულისხმებოდა სისხლისგან დაცლილი, დაუძლურებული საქართველო. სინამდვილეში კი შეიძლება პოეტმა ეს ლექსი უბრალოდ დაჭრილ არწივს მიუძღვნა და მასში საქართველო

სულაც არ უკულისხმია. პირიქით, აკაკი წერეთლის ცნობილი სტროფი – „მალა ღმერთი, ძირს მეფე, ოი ამას ენაცვალე“ – განმარტების სხვადასხვა შესაძლებლობას იძლევა: „ძირს მეფე“ შეიძლება განმარტო- ისე, თითქოს დედამიწაზე ერთადერთი მბრძანებელი. „დედამიწის ღმერ- თი“ იყოს მეფე, ანდა როგორც მოწოდება მეფის დამხობისაკენ. ასევე შეიძლება განსხვავებულად განიმარტოს „ოი ამას ენაცვალე“ ერთ შემ- თხვევაში სავარაუდოა, რომ ეს იყოს შექება იმ წესისა. რომლითაც ცაში ღმერთია მბრძანებელი, ხოლო მიწაზე – მეფე, ხოლო მეორე შემთხვევაში – შეიძლება იყოს იაპონელი გენერლის შექება, რომელმაც რუსის ჯარი დაამარცხა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

*ნაზრევის ინტერპრეტაცია კუმანტარული მეცნიერების უმთავრე- სი ამოცანაა* მაგრამ ეს ამოცანა სრულიად უწყინარია (ზოგი გამონაკლი- სის გარდა, როცა ესა თუ ის ინტერპრეტაცია პოლიტიკური ბრძოლის საბაბი ხდება) და ტვინის მშვიდობიან ვარჯიშს წარმოადგენს. გარიგების ინტერპრეტაციისას კი საქმე გვაქვს ორ მოდავე მხარესთან, რომლებმაც ერთმანეთის აზრი სწორად ვერ გაიგეს. ცნობილი ქართული ფილმიდან „მიმინო“ ერთი ეპიზოდი ამის კარგი მაგალითია, კერძოდ, ფილმის გმირს ვალიკო მიზანდარს სურს დარეკოს თელავში და ევროპის ერთ-ერთი ქალაქის სატელეფონო სადგურში აძლევს შეკვეთას. სადგურის თანამ- შრომელ ქალს ჰკონია, რომ კლიენტს უნდა თელ-ავიეში, ე.ი. ისრაელში დარეკვა და მართლაც აერთებს თელ-ავიეს. ფილმის მხატვრულ ეპიზოდს რომ გადაუხვებით და სამოქალაქო სამართლის ასპარეზს მივუბრუნდეთ, დადგება საკითხი, უნდა აანაზღაუროს თუ არა შემკვეთმა – ვალიკო მიზანდარმა – სატელეფონო საუბარი; მას სურდა თელავში დარეკვა და არა თელ-ავიეში. სწორედ ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა ნების გამოვ- ლენის განმარტების პრობლემა – რა სურდა ნების გამომვლენს და როგორ გაიგო იგი ნების მიმღებმა?

ჩვენს მაგალითში ტელეფონისტმა ნების გამოვლენა სხვაგვარად გაი- გო, ვიდრე ეს შემკვეთს სურდა. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ „ნება გონივრული განსჯის შედე- გად უნდა დადგინდეს“. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ რაღაც კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს. თანამედროვე სამოქალაქო სამართლის მეცნიერებასა და დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში თით- ქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ *ნების გამოვლენის განმარტება უნ- და განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების, შესაძლებ-*

დობათა გათვალისწინებით“ მაგრამ ეს არ იძლევა პასუხს კითხვაზე: თუ როგორ უნდა განისაზღვროს ნების მიძღების ძიერ გაგების შესაძლებლობათა კრიტერიუმები. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.<sup>11</sup> შეეძლო თუ არა ნების მიძღებს გამოვლენილი ნება ისევე გაეგო, როგორც ეს ნების გამოძვლენმა იგულისხმა? რა ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომ მიძღებს ნების გამოვლენა ისე უნდა გაეგო, როგორც ეს ნების გამოძვლენმა იგულისხმა? შეიძლებოდა თუ არა გარემოებათაგან გამოძინარე ნების გამოძვლენს ეჭვი შეჰპარვოდა, რომ მის ნათქვამს სხვანაირად გაიგებდნენ? ან რამდენად რეალური იყო ნების მიძღების დაეჭვება, რომ მან შემკვეთის აზრი სწორად გაიგო? ესაა კითხვათა ის მცირე კატალოგი, რომლებზეც უნდა გაიცეს პასუხი ნების გამოვლენის განმარტების დროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, იცნობს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულების განმარტების საკითხებს აწესრიგებს. კერძოდ, ესაა 337-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულებათა ცალკეული გამონათქვამების განმარტებისას ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის პრინციპს და, რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, უპირატესობას ანიჭებს აქცეპტანტის საცხოვრებელ ადგილს, ე.ი. იმ მნიშვნელობას, რომელსაც აქცეპტანტი მიანიჭებდა ნების გამოვლენას. \*საკითხი, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს, მდგომარეობს შემდეგში: უნდა გამოვიყენოთ თუ არა ეს ნორმა გარიგებების, უფრო კონკრეტულად კი – ცალმხრივი გარიგებების განმარტების დროს? იმ ცალმხრივი გარიგებებში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, ეს წესი უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ ის არ არის საკმარისი გარიგების განმარტებისთვის.

იმ კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ როგორ უნდა განმარტოს ნება, როცა ის სხვადასხვანაირად იქნა გაგებული, არსებობს რამდენიმე თეორია, რომელთაგანაც ერთი უპირატესობას ანიჭებს აზრს, რომელიც ნების მიძღებს შეეძლო წარმოშობოდა და უნდა წარმოშობოდა კიდეც. თუ გარემოებებიდან გამოძინარე, ირკვევა, რომ ნების მიძღებს მხოლოდ ასე შეეძლო გაეგო ნების გამოვლენა და არა სხვაგვარად, მაშინ ნების გამოძ-

<sup>11</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 310-312. Bruch, Hans., AT des BGB, Rn. 133. Larenz, AT, S. 339-340. BGHZ 36, 30, 33 usw.

<sup>12</sup> Hübner, AT, Rn. 429

კლენი უნდა დაემორჩილოს ნების მიძღების მიერ გაგებულ მნიშვნელობას. ამ შეხედულების ავტორები დამატებით მოითხოვენ, რომ იმ სიტუაციაში, რომელშიც ნების მიძღები იმყოფებოდა, ნების გამომვლენსაც ისეთი მნიშვნელობით უნდა გაეგო გამოვლენილი ნება, როგორც ეს ნების მიძღებმა გაიგო, ე.ი. თუ როგორ შეერაცხებოდა მას ეს ნება.<sup>62</sup>

მეორე შეხედულების თანახმად, რომელიც ასევე ლარენცის სახელს უკავშირდება, შერაცხადობა არა მხოლოდ ნების მიძღებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ორივესთვის.<sup>63</sup> ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება უფრო მისაღებია.

გარიგების განმარტების დროს განმარტების საგანს წარმოადგენს არა გარიგების მხარეების მიერ აღქმული ან გამოხატული მნიშვნელობა, არამედ თვითონ ნების გამოვლენა, ისიც იმ შემთხვევაში, როცა ეს ნების გამოვლენა მხარეების მიერ განსხვავებულად იქნა აღქმული. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ცნებას მხარეები სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ეს საყოველთაოდ არის მიღებული. თუ მათ ამ დროს უთანხმოება არ წარმოეშობათ, არც განმარტების აუცილებლობა დადგება დღის წესრიგში და სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს იმ მნიშვნელობას, რაც მხარეებმა მოცემულ ცნებას მიანიჭეს.

ნების გამოვლენის განმარტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ყველა გარემოება საქმესთან დაკავშირებით, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც უშუალო კავშირშია მოცემული ნების გამოვლენასთან. ესენია: დრო, ადგილი, პირობები და ა.შ. მიუხედავად იმისა, მაგალითს: ვალიკო მიზანდარს შეკვეთა თბილისის სატელეფონო სადგურში რომ მიეცა, გაუგებრობა არ წარმოიშობოდა. ამიტომ ნების განმარტების დროს ეს გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში. შეეძლო კი ევროპელ ქალს სცოდნოდა, რომ საბჭოთა კავშირის ერთ პატარა რესპუბლიკაში არსებობს პატარა ქალაქი – თელავი. თავის მხრივ მასაც უნდა დაეზუსტებინა შეკვეთის შინაარსი.

ნების გამოვლენის განმარტებისას ნამდვილი ნების დადგენის აუცილებლობა თვალშისაცემია მაშინ, როცა ფორმალურად გარიგებებზე საუბარი და ეს ფორმა სათანადოდ არ არის დაცული. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ანდერძი, კერძოდ, როცა იგი ბუნდოვნად არის შედგენილი და ტექსტიდან ზუსტად არ ჩანს მამკვიდრებლის ნება ანდა

<sup>62</sup> Flume. Rechtsgeschäft. §16. 3c. ადრე ლარენციც იზარებდა ამ შეხედულებას: Larenz. Methode der Auslegung des Rechtsgeschäfts. S.72

<sup>63</sup> Larenz. AT. S.341

ანდერძის ტექსტიდან კი ჩანს მსკვიდრებლის ნება. მაგრამ დოკუმენტი სანოტარო წესით არ არის დაძოწმებული დასაველეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს გამოველენილ ნებას მაშინაც, როცა გარიგების ფორმა არ არის დაცული. ამას ასაბუთებს იმით, რომ ფორმის მიზანი არის ურთიერთობის მონაწილეთა დაცვა აჩქარებისაგან, ხოლო თუ ნება გამოველენილია ასეთი აჩქარების გარეშე, რატომ უნდა ეთქვას მას უარი ნამდვილობაზე.<sup>64</sup> ეს საკითხი უფრო დაწვრილებით ხელშეკრულებათა განმარტებისას უნდა იქნეს განხილული

## *II. სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მნიშვნელობა განმარტებისას*

გარიგებათა განმარტებისას თანამედროვე სამართალში არცთუ იშვიათად მიმართავენ სავაჭრო ტრადიციებსა და ჩვეულებებს. ამასვე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლი, რომელიც აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც, როგორც წესი, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობებში გამოიყენება, არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს.<sup>65</sup> ეს განასხვავებს მათ სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ჩვეულებებისაგან, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამართლის წყაროდ. იმედროულად, საქმიანი წრეების წარმომადგენლებისთვის ამ სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების დაცვა მოვალეობას შეადგენს და მნიშვნელოვან როლსაც თამაშობს გარიგებათა განმარტებისას. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები წარმოიშობა ამა თუ იმ სამეწარმეო საქმიანობის წარმომადგენელთა მიერ ურთიერთშეთანხმებული და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. როგორც წესი, ისინი წარმოიშობა არა ზოგადად, არამედ კონკრეტული დარგის ფარგლებში, მაგალითად, ვაჭრობის სფეროში, შშენებლობაში და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ წრეების წარმომადგენელთა მიმართ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს სავალდებულო ძალა აქვთ მაშინაც, როცა ამა თუ იმ პირმა ამის შესახებ შეიძლება არც იცოდა. ცხადია, კანონის

<sup>64</sup> Larenz, AT, S. 343-344.

<sup>65</sup> Greifelds, Rechtswörterbuch. 13. Aufl. S. 583

იმპერატიული ნორმის არსებობისას მათ იურიდიული ძალა არა აქვთ. ე.ი. სავაჭრო ჩვეულებებითა და ტრადიციებით არ შეიძლება კანონით დადგენილი წესების შეცვლა, დისპოზიციური ნორმების შემთხვევაში კი – სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს უპირატესობა ენიჭებათ.<sup>66</sup>

თუკი ნების გამომვლენიცა და ნების მიძღვებიც საქმიანი წრეების ერთსა და იმავე ჯგუფს განეკუთვნებიან, მაშინ ნების მიძღვებს შეუძლია იმაზე მიუთითოს, რომ მან მის მიმართ გამოთქმული სიტყვები ისევე გაიგო, როგორც ეს მიღებულია მოცემულ წრეში. ასეთი გაგება სავალდებულო იქნება ნების გამომვლენისათვის, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან კონკრეტულად ამ წესის არსებობის შესახებ. მთავარია, რომ ნების გამომვლენი საქმიანი წრეების მოცემულ კატეგორიას განეკუთვნებოდეს. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ნების შეცდომით გამოვლენის გამო მან გარიგება საცილო გახადოს.

იმ შემთხვევებში, როცა გარიგების მონაწილეები არ განეკუთვნებიან საქმიანი წრეების ერთსა და იმავე კატეგორიას, განმარტებისას გამოყენებულ უნდა იქნეს *ნების მიძღვების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობები*. თუმცა ნების მიძღვება, რომელმაც იცის, რომ ნების გამომვლენი არ განეკუთვნება ამ წრეს, უნდა გამოიჩინოს უფრო მეტი ყურადღება და ეცადოს გამოარკვიოს, თუ რა იგულისხმა ნების გამომვლენმა.<sup>67</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები მეტად მნიშვნელოვანია გარიგებათა განმარტებისას, ისინი ერთ-ერთი საშუალებაა ნების დადგენისას, თანაც მხოლოდ კონკრეტულ წრეში. ამიტომ გარიგებათა განმარტებისას სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები სხვა საშუალებებთან და გარემოებებთან კავშირში უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა ხშირად უპირატესობა სწორედ მათ ენიჭებათ.

### *III. ნების გამოვლენები. რომლებიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი*

ნების გამოვლენათა ერთი ნაწილი მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და ამასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას იმის გარკვევის აუცილებლობა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს გაცხადებული ნება და როგორ იქნა იგი გაგებული. თუ მხედველობაში მივი-

<sup>66</sup> Greifelds. Rechtswörterbuch. S 584

<sup>67</sup> Larenz. AT. S. 345-346



ლებთ იმას, რომ ასეთი გარიგებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არცთუ ისე ცოტაა. ამკარა გახდება ამგვარი განმარტებების აუცილებლობა: ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ფასიანი ქაღალდების გამოშვება საეკონომიკურ ბირჟაზე, საეკონომიკური რეესტრის მასალების გამოქვეყნება და ა.შ.

პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის განმარტების დროს ნების გამოვლენი, ცხადია, ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ შესაძლო პირის აღქმის უნარს, გაგების შესაძლებლობას, რომლებიც შეიძლება იყვნენ ნების გამოვლენის ადრესატები. ამიტომ, აღიარებული შეხედულების თანახმად, ამგვარი ნების გამოვლენის განმარტების დროს გადამწყვეტია ამ ურთიერთობის საშუალო მონაწილის შემეცნების (აღქმის) შესაძლებლობანი ან, თუ ნების გამოვლენა სპეციალისტთა განსაზღვრული წრისადმი არის მიმართული, ასევე მათი საშუალო შესაძლებლობები.<sup>44</sup>

პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, მაგრამ სპეციალისტების მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის მაგალითია ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გაკეთებული განცხადებები. ამ დროს გამოყენებული სპეციალური ტერმინების გაგება, ცხადია, ყველას არ შეუძლია. ამიტომ ამგვარი ნების გამოვლენების განმარტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ურთიერთობაში მონაწილე პირთა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

#### *IV. ანდერძის განმარტების თავისებურებანი*

ანდერძი ცალმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია, რომლის ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მეორე მხარის მიერ მის მიღებაზე. ეს ნიშნავს, რომ გარიგება – ნების გამოვლენა – ნამდვილია მაშინვე, როცა მამკვიდრებელი კანონით დადგენილი ფორმის დაცვით გამოხატავს თავის ნებას. ამიტომ ანდერძის განმარტების დროს უფრო სხვა წესები გამოიყენება, ვიდრე იმ გარიგებათა განმარტებისას, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღებაზე. მაგრამ რაც საერთოა ყველა გარიგებისთვის, არც ანდერძის დროს რჩება უყურადღებოდ: ნება გამოხატული უნდა იყოს კანონით დადგენილი ფორმით. ფორმის დაუცველად გამოხატული ნება არ ჩაითვლება ანდერძად და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ანდერძის შემთხვევაშიც ლაპარაკია იმ ნების გამოვლენის განმარტებაზე, რომელიც განხორციელებულია კანონით დადგენილი ფორმის დაცვით. ამ დროს გადამწყვეტია

<sup>44</sup> Larenz, AT, S 346

თვით მამკვიდრებლის ნება და არა ამ ნების გამოვლენის ჩიძლებთა შემეცნების (გაგების, აღქმის) შესაძლებლობები. ცხადია, ანდერძის დროსაც იგი ეხება მესამე პირებს, ე.ი. მათ, ვინც მემკვიდრეობა უნდა მიიღოს, მაგრამ ანდერძის ნამდვილობა არ არის იმაზე დამოკიდებული, მემკვიდრე მიიღებს თუ არა მას. გარდა ამისა, ანდერძის შედგენა არ იწვევს ანდერძის დამტოვებლის ე.წ. გარიგებით ბოჭვას. ანდერძით გათვალისწინებული შედეგები მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ღებება.<sup>49</sup> მაშასადამე, ანდერძის განმარტების დროს უნდა დადგინდეს მამკვიდრებლის ნება, ის, თუ რისი თქმა სურდა მას თავის ანდერძში. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა გარემოება, ფაქტი თუ ნივთმტკიცებულება, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით კავშირში იმყოფებიან მონდერძის მიერ ნების გამოვლენასთან: პირადი წერილები, შესაძლო მემკვიდრეებთან პირადი დამოკიდებულება და ა.შ.

ანდერძის განმარტების თავისებურება მდგომარეობს ასევე იმაში, რომ იგი უნდა განხორციელდეს ანდერძის ტექსტთან მჭიდრო კავშირში. ეს ნიშნავს, რომ განმარტების საგნად არ შეიძლება იქცეს ისეთი ფაქტები ან საგნები, რომელთაც უშუალო კავშირი ანდერძთან არა აქვთ, ე.ი. მასში არ არიან მოხსენიებული. ანდერძის განმარტება შეიძლება იმასთან დაკავშირებით გახდეს აუცილებელი, რომ მონდერძემ მემკვიდრის სახელი შეცდომით ჩაწერა. ამის აღბათობა საქართველოშიც არსებობს, როცა აღამიანები რამდენიმე სახელს ატარებენ — შინაურს (კინობით-ალერსობითს) და ოფიციალურს.

ანდერძის ბუნდოვნობის შემთხვევაში ანდერძის განმარტების ზოგ საშუალებასა და გზას თვით კანონი უთითებს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1348-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში ერთის წილია განსაზღვრული. სხვების კი — არა, მაშინ ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას.

სამოქალაქო კოდექსის 1348-ე მუხლის ნორმა იმის მაგალითია, რომ კანონმდებელი გარიგებათა განმარტების დროს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიერ შემუშავებულ მეთოდებს არ ემყარება. ხშირ შემთხვევებში, როცა ნების გამოვლენა შეიძლება ბუნდოვანი იყოს, კანონი თვითონ სთავაზობს გამოსავალს, ე.ი. გზას, თუ როგორ უნდა განიმარტოს საეჭვო და ბუნდოვანი ნების გამოვლენა.

<sup>49</sup> Larenz, AT. S. 347-348.

## V. კანონის ნორმათა როლი ბუნდოვანი ნების გამოვლენის განმარტებისას

სამოქალაქო კოდექსისთვის არაა უცხო და მოულოდნელი, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც ნების გამოვლენის მეშვეობით ხორციელდება, შეიძლება წარმოიშვას ბუნდოვანი ადგილები, ე.ი. როცა მხარეებს ზუსტად არა აქვთ განსაზღვრული ერთმანეთს შორის ურთიერთობა. ამიტომ კანონის ტექსტში ჩვენ ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორცაა „ექვსის შემთხვევაში“, „საექვრობისას“. ეს ის შემთხვევებია, როცა განმარტება აუცილებელია, მაგრამ არა იურიდიულ-დოგმატური მეთოდოლოგიის (ე.ი. გარიგებათა განმარტების მეთოდების საფუძველზე), არამედ კანონის მიერ ზუსტად შემოთავაზებული გადაწყვეტის ფარგლებში. მას იურიდიულ ლიტერატურაში ეწოდება „განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესები“.<sup>70</sup> მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მხარეებს შორის წარმოიშვა გაუგებრობა (მოვალეს ეგონა, რომ უნდა გადაეხადა თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო კრედიტორს – თავისი), ე.ი. საექვოა გადახდის ადგილი, ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით. განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესების გამოყენების ყველაზე გავრცელებული შემთხვევები დაკავშირებულია ვადების გამოთვლასთან. როცა გარიგების მხარეები ზუსტად არ განსაზღვრავენ გარიგებათა შესრულების ვადებს და ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა განმარტების აუცილებლობა, სამოქალაქო კოდექსი 121-ე-127-ე მუხლებში განამტკიცებს ამგვარი განმარტების წესებს. თუ მხარეებმა ხელშეკრულება დადეს სამი თვით, მაგრამ ხელშეკრულებაში არ აღუნიშნავთ ამ ვადის გასვლის აღმნიშვნელი კონკრეტული დღე, მაშინ საექვრობისას გამოიყენება 123-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ე.ი. ვადა დამთავრდება მესამე თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

ერთი შეხედვით, განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესები აკავსებს კოდექსის დისპოზიციურ ნორმებს: ორივე შემთხვევაში ხდება ღიად დარჩენილი ურთიერთობების მოწესრიგება კანონის მიერ. მაგრამ მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია. დისპოზიციური ნორმები გამოიყენება მაშინ, როცა მხარეებს უკვე დადებულ ხელშეკრულებაში ღიად დარ-

<sup>70</sup> Larenz. AT. S. 350.

ჩ.ა.ა. ესა თუ ის საკითხი ან კანონის ნორმას მიენდენენ და ამიტომ სპეციალურად დატოვეს ღიად. ღიად დარჩენილ ურთიერთობას აწესრიგებს კანონის ნორმა. მხარეების მიერ გამოვლენილ ნებათა შორის არ არის კონფლიქტი. უფრო ზუსტად, სამართლებრივი შედეგის დადგომა არ არის დამოკიდებული მხარეთა მიერ ნების გამოვლენაზე. გარიგების განმარტების დროს კი სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, აქ სამართლებრივი შედეგის დადგომა უკავშირდება მხარეთა მიერ ნების გამოვლენას და შედეგი იმიტომ ვერ დგება, რომ ამ ნებათა გამოვლინებებს შორის არის შეუთანხმებლობა, გაუგებრობა და ის უნდა დაზუსტდეს. ე.ი. ერთ შემთხვევაში მხარეებს არ გამოუვლენიათ ნება (ურთიერთობა დარჩა ღიად), ხოლო მეორე მაგალითის დროს კი – გამოავლინეს ნება, მაგრამ მათ შორის არის უთანხმოება, უზუსტობა, რომელიც განმარტებას მოითხოვს.

ამ განსხვავების მიუხედავად, განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესები ხშირად დისპოზიციური ნორმების ფორმით არის კანონში განმტკიცებული. ამიტომ მათ შორის ცალსახა მიჯნის გავლება არათუ შეუძლებელია, არამედ არც არის აუცილებელი.

## §6. დუმილი და სხვა კონკლიუდენტური მოქმედებები. როგორც ნების გამოვლენა

სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატებიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. ამ ნორმების მიხედვით, ნების გამოვლენა, რომელიც გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა, შეიძლება სხვადასხვა გზითა და საშუალებით გამოიხატოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როცა მხარეები სიტყვიერად (ზეპირად ან წერილობით) გამოხატავენ თავიანთ ნებას. მაგრამ 53-ე მუხლი იმაზეც მიუთითებს, რომ შესაძლებელია არსებობდეს ნების გამოხატვის სხვა საშუალებებიც. ამგვარი გამოხატვის გავრცელებული ფორმებია დუმილი და კონკლიუდენტური მოქმედებები.

დუმილი ნების გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა და ამიტომ სამართალი მას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, რომელსაც ასევე სამოქალაქო კოდექსიც იზიარებს, დუმილი, როგორც

წესი. ნიშნავს უარს გარიგების დადებაზე.<sup>71</sup> ეს(ე) შეიძლება ნების გამოყენებად ჩაითვალოს (უმოქმედობა), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს სამართლებრივ ურთიერთობაზე. მაგალითად, 330-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თანყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. დუმილი ამ შემთხვევაში ოფერტის უარყოფას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები, რომლის დროსაც დუმილი ჩაითვლება ნების გამოვლენად პოზიტიური გაგებით. ზოგჯერ ამას კანონი პირდაპირ ითვალისწინებს. ზოგჯერ კი საეკსპრო ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, დუმილი წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მეწარმე, რომელიც ასრულებს საქმეებს სხვებისთვის, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. მაგალითად, ლენინის ქარხანა თბილისის ერთ-ერთ რესტორანს ყოველ შაბათს აწვდის 1000 ბოთლ ლენინოს. რესტორნის დირექტორმა შეატყობინა ქარხანას, რომ ერთ-ერთ შაბათს დაგეგმილია ქორწილი და მას სჭირდება 2000 ბოთლი ლენინო. თუ ქარხანა ამ წინადადებაზე პასუხს არ გასცემს, 335-ე მუხლის თანახმად, მისი დუმილი ჩაითვლება თანხმობად და 2000 ბოთლი ლენინის მიუწოდებლობისათვის მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. მართალია, დუმილი ამ შემთხვევაში არ იწვევს ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ აქცეპტანტს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ეს ნორმა მიზნად ისახავს კომერციული ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფას და თავის დროზე დასაველეის ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად წარმოიშვა.<sup>72</sup> კომერსანტები, რომლებიც ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობებში იმყოფებიან, ვალდებულნი არიან დაიცვან დამკვიდრებული ტრადიცია.

დუმილი გარიგების დადებაზე თანხმობად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა გარიგების მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, რომ მათ მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში დუმილი ჩაითვლებოდა თანხმობად. მაგალითად, ფიზიკურმა პირებმა შექმნეს შპს ხუთი წლის ვადით. წესდებაში აღნიშნეს, რომ თუ ამ ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე პარტნი-

<sup>71</sup> Pawlowski, H.M Allgemeiner Teil des BGB 2 Aufl. 1983, S.158.

<sup>72</sup> Staudinger/Dilcher, Vorhemi zu §§ 116-144, Rn. 49

ორები არ განაცხადებენ საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, საზოგადოება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმნილად. ეს ის შემთხვევაა, როცა გარიგების მონაწილეთა დუმილი მიჩნეულია ნების გამოვლენად და იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმა, რომლის თანახმად, კომერსანტებს შორის წერილობით გაკეთებულ წინადადებაზე პასუხის გაუცემლობა (ე.ი. დუმილი) ითვლება ამ წინადადების მიღებად.<sup>73</sup> ამით სასამართლო პრაქტიკამ დაამკვიდრა კომერსანტების მოვალეობა, რომ მათ უნდა უპასუხონ კოლეგების მიერ მათთვის გამოგზავნილ წერილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დუმილი ჩაითვლება თანხმობად.

ნების გამოვლენის მეორე გავრცელებული საშუალებაა ე.წ. კონკლიუდენტური მოქმედებები. ამ დროს ნების გამოვლენა გამოძინარეობს პირის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებიდან. კონკლიუდენტური მოქმედება არის ნების გარეგნული გამოხატვა, რომელიც მიმართულია ნების რეალურ განხორციელებაზე ისე, რომ არ ისახავს მიზნად ამ ნების გარეგნულ დემონსტრირებას,<sup>74</sup> ე.ი. ამ შემთხვევაში მოქმედება ნების გამოვლენის საშუალება კი არ არის, არამედ მინიშნება ნებაზე. მაგალითად, როცა პირი ტროლეიბუსში ჯდება, არ ეუბნება მძღოლს, რომ ის მასთან გადაყვანის ხელშეკრულებას დებს, მაგრამ გარეგნული მოქმედება (კონკლიუდენტური) მიუთითებს მის ასეთ ნებაზე. ამიტომაც ითვლება გარიგება დადებულიად. ასევე თვითმომსახურების მაღაზიაში საქონლის აღება და მოლარესთან მისვლა ფულის გადასახდელად უკვე არის ისეთი მოქმედება, რომელიც მინიშნებს პირის ნებაზე დადოს გარიგება. კონკლიუდენტურად ამა თუ იმ მოქმედების მისაჩნევად საკმარისია ისეთი მოქმედება, რომელიც ნების გამოვლენის ადრესატს მინიშნებს, რომ პირს სურს გარიგების დადება.<sup>75</sup>

ნების გამოვლენა დუმილით ან კონკლიუდენტური მოქმედებებით უნდა განვასხვავოთ იმ შემთხვევებისაგან, როცა არ არსებობს ნების გამოვლენა (არც დუმილით არც კონკლიუდენტური მოქმედებით). მაგრამ სამართალი ითვალისწინებს ისეთ შედეგებს, თითქოს პირს გამოუმკლავებინოს თავისი ნება. მაგალითად, პირი ჯდება ტროლეიბუსში, მაგრამ კატეგორიულად ამბობს უარს, რომ გადაიხადოს მგზავრობის ღირებულება, ე.ი. მისი ნების გამოვლენა და ფაქტობრივი მოქმედება არ ემთხვევა ერთმანეთს. ამგვარ

<sup>73</sup> Flume Rechtsgeschäft, §.36. 2

<sup>74</sup> Hübner, Heinz, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches S.287

<sup>75</sup> Schwab, Einführung in das Zivilrecht, S 217

ურთიერთობებს დასავლეთის სამართალში ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობები ეწოდება.<sup>66</sup> ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ მოძღვრების თანახმად, პირის ვალდებულება, რომ გადაიხადოს მგზავრობის ღირებულება, ემყარება არა ნების გამოვლენის პრინციპს, არამედ ე.წ. „სოციალურად ტიპურ მოქმედებას“, რომელიც ანალოგიური შემთხვევებისთვის სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს და ვარაუდობს, რომ ხელშეკრულება თითქოს დაიდო. იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული ეს მოძღვრება გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერ იქნა გაზიარებული, კერძოდ, ერთ შემთხვევაასთან დაკავშირებით: ერთმა მოქალაქემ ფასიან და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ავტოსადგომზე დააყენა თავისი მანქანა და კატეგორიულად თქვა უარი საზღაურის გადახდასა და მომსახურე პერსონალის მიერ მანქანისთვის ყურადღების მიქცევაზე. ამ დავამ გერმანიის ფედერალურ სასამართლომდე მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად არ იყო მეთვალყურეობის ხელშეკრულება დადებული ავტოსადგომის მფლობელთან, ფედერალურმა სასამართლომ ეს დააკვალიფიცირა „ფაქტობრივ სახელშეკრულებო ურთიერთობად“ და ავტომანქანის მფლობელს დააკისრა საზღაურის გადახდა.<sup>67</sup>

ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ მოძღვრება უდავო როდია. მარტივი სოციალური კონტაქტი იწვევს ვალდებულების წარმოშობას, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ ვალდებულებით სამართლებრივი გარიგებით წარმოიშობა. რთული ცხოვრებისეული ურთიერთობები ხშირად გვაიძულებენ, რომ გამოვეშვდილობოთ კლასიკურ წარმოდგენას ხელშეკრულებაზე, თითქოს იგი ინდივიდუალური აქტი იყოს, და ყოველთვის სახელშეკრულებო მოლაპარაკებების შედეგად იღებოდეს. უფრო მეტად ხდება სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების საჯაროდ შემოთავაზება, რომელთაც ადამიანები ღიდი დაფიქრების გარეშე იყენებენ.<sup>68</sup> ე.ი. სამართლებრივ შედეგს იწვევს არა ნების ნორმატიული გამოვლენა, არამედ ფაქტობრივი მოქმედებები. როგორც ჩანს, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ სამართლებრივი ურთიერთობები გაიოლდეს, გათავისუფლდნენ ისინი ფორმალიზმისაგან და უფრო მეტად დაუახლოვდნენ რეალურ ცხოვრებას. მაგრამ სადავო ამ შემთხვევებში სწორედ ისაა, არის თუ არა ეს ურთიერთობა სახელშეკრულებო, თუ ვალდებულების

<sup>66</sup> Schwab. Einführung, S. 221

<sup>67</sup> BGHZ 23, 175

<sup>68</sup> Schwab. Einführung, S. 222.

შესრულების მოთხოვნა შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე  
ბიდან გამომდინარე, ანდა დელიქტური ვალდებულებების საფუძველზე

## §7. გარიგების ფორმა

### I. გარიგების ფორმის ცნება

როგორც ვნახეთ, სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა შეიძლება სრულიად სხვადასხვა საშუალებით – ზეპირად ან წერილობით, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, დუმილით ან კონკლიუდენტური მოქმედებებით. ყოველივე ეს ნების გამოვლენის ფორმებს წარმოადგენს და, ბუნებრივია, რომ მათ გარიგებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „გარიგება საერთოდ არსებობს ფორმის მეშვეობით. ფორმის დაცვის გარეშე არც გარიგებითი აქტი არ არსებობს“.<sup>74</sup> გარიგების ფორმა გარიგების, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ამიტომ არასწორია შეხედულება, რომელიც გარიგების ფორმაში მხოლოდ წერილობით ფორმას გულისხმობს და ზეპირად განხორციელებული ნების გამოვლენას ფორმად არ მიიჩნევს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნმ-ე მუხლის პირველი წინადადების მოთხოვნა, რომ „გარიგების ნაშვლილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა“, არ გულისხმობს გარიგების დადებას აუცილებლად წერილობით. უფრო ზუსტად, კანონის ამ ნორმის თანახმად, რომელიც მეორე წინადადებით კონკრეტდება, გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ დამოუკიდებლად გარიგების ფორმა. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ასეთ ფორმას და მისი დაცვა სავალდებულოა. ენაიდან კანონით დადგენილი ფორმის შემთხვევები ამომწურავადაა განსაზღვრული, ყველა სხვა გარიგების მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს. იგი სრულიად შეესაბამება დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულ ანალოგიურ პრინციპებს. მაგალითად, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §883-ის თანახმად, გარიგების მონაწილეების მიერ ნების გამოვლენის არჩევა თა-

<sup>74</sup> Flume, Rechtsgeschäft, S.244



ვისუფალია და მოქმედებს ფორმის თავისუფლების პრინციპი.<sup>40</sup> შევიცარი-  
ის სამართალიც განამტკიცებს გარიგებათა ფორმის თავისუფლების პრინ-  
ციპს და კანონით გათვალისწინებული ფორმის ცნება დაახლოებით ისეა  
მოწესრიგებული, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.<sup>41</sup> გარი-  
გების ფორმის თავისუფლებას განამტკიცებს ასევე გერმანული სამართა-  
ლი და გამოჩაყლისებს ამ პრინციპიდან უშვებს მხოლოდ კანონით გათვა-  
ლისწინებული შემთხვევებისთვის.<sup>42</sup>

მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გარიგე-  
ბის მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ გარიგების ფორმა  
(ზეპირი, წერილობითი და ა.შ.). ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა  
გარიგების ფორმას კანონი პირდაპირ განსაზღვრავს.

გარიგების ფორმის დახასიათებისას მნიშვნელოვანია მისი განხილვა  
ერთ შემთხვევაში, როგორც გარიგების ერთ-ერთი ატრიბუტის, ხოლო  
მეორე შემთხვევაში, როგორც აბსოლუტური ფორმის.<sup>43</sup> ამ კლასიფიკაცი-  
აზე ხშირად არის დამოკიდებული გარიგებად ჩაფიქრებული, განზრახული  
ნების გამოვლენის ბედი. როცა გარიგების ფორმა მხოლოდ გარიგების  
ატრიბუტად მოიაზრება, მისმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გა-  
რიგების ბათილობა. მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება,  
თუ არ არის სანოტარო წესით გაფორმებული (ე.ი. არაა ფორმა დაცუ-  
ლი), ჩათვლება ბათილად, თუმცა მისი მონაწილეების მიერ განხორციე-  
ლებულ ქმედობას ჩვენ შეგვიძლია მაინც ნასყიდობა ვუწოდოთ. როცა  
ფორმა აბსოლუტური ფორმის ფუნქციას ასრულებს, მაშინ მისი სამარ-  
თლებრივი მნიშვნელობა უფრო განსხვავებულია. მაგალითად, თუ ფასიან  
ქალაქში არ არის მოცემული ჩეკის რეკვიზიტები და არ არის აღნიშნუ-  
ლი, რომ ეს დოკუმენტი ჩეკია, მაშინ საქმე გვაქვს არა ბათილ ჩეკთან  
(როგორც ეს ნასყიდობის დროს იყო). არამედ ეს დოკუმენტი საერთოდ  
არ იქნება ჩეკი. აბსოლუტური ფორმის მაგალითია ასევე დაქორწინება.  
თუ დაქორწინება არ არის განხორციელებული კანონით დადგენილი ფორმით,  
მაშინ ჩვენ საქმე გვექნება არა ბათილ ქორწინებასთან, არამედ საერთოდ  
არ იქნება დასაქორწინებელ პირთა მოქმედება ქორწინება.

გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი ყველაზე აშკარაა ვალდე-  
ბულებით სამართალში. მცირედი გამოჩაყლისების გარდა, მასში გათვალის-

<sup>40</sup> Klang-Gschnitzer, Kommentar zum Allgemeinen Bürgerlichen Gesetzbuch, §.883 Anm II

<sup>41</sup> Guhl/Merz/Koller, Das schweizerische Obligationenrecht, 8. Aufl. S. 112-113

<sup>42</sup> Schwab, Einführung in das Zivilrecht, S.223

<sup>43</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 244-245.

წინებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს კანონით განსაზღვრულ ფორმას. უფრო მნიშვნელოვანი და თვალშისაცემია თავისუფალი ფორმის პრინციპი იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის მონაწილეები დამოუკიდებლად აყალიბებენ ამ ხელშეკრულებას. რაც შეეხება სანივთო (ქონებრივ) სამართალს, აქ კანონი უფრო მკაცრია: სანივთო (ქონებრივი) სამართლით გათვალისწინებული უფლებებისა და ურთიერთობების წარმოშობისთვის ან შეწყვეტისთვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა. ეს ფორმა შეიძლება იყოს როგორც მარტივი წერილობითი, ასევე სანოტარო. მაგალითად, უძრავი ქონების დატვირთვისათვის იპოთეკით აუცილებელია არა მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმება სანოტარო წესით, არამედ მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

კანონით დადგენილი ფორმის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში, ასევე ზოგად ნაწილში, კერძოდ იქ, სადაც იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობაა მოწესრიგებული.

გარიგების იმ ფორმის მიმართ, რომლის არჩევა გარიგების მონაწილეებს თვითონ შეუძლიათ, კანონი რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები თვითონ ირჩევენ დამოუკიდებლად ამ ფორმას. თუმცა მინიმალური მოთხოვნა ამ დროსაც უნდა იყოს ნების გარეგნული გამოხატვა ნების მიძღებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით. მაგალითად, თუ ნება გამოხატულია გაუგებრად, ადრესატისთვის გაუგებარ ენაზე ანდა წერილობით, მაგრამ გაურკვეველი ხელწერით, ასეთი ნების გამოვლენა იქნება ბათილი.

## *II. ენა. როგორც გარიგების გამოხატვის ფორმა*

ენას. როგორც ნების გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას, თანამედროვე სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი ქვეყნის შიგნით, რომელსაც მთელი მოსახლეობისთვის ერთი საერთო ენა აქვს, ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ როცა საქმიან ურთიერთობებში რამდენიმე ენა მონაწილეობს. მაშინ ადამიანური კომუნიკაციის ამ საშუალებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტრანსნაციონალური და მულტინაციონალური კომერციული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდად, მსოფლიო ვაჭრობის გლობალიზებამ ენის მნიშვნელობა და გავლენა კიდევ უფრო გაზარდა.

ზოგადი პრინციპის თანახმად, ნების გამოვლენა. რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია მისი მიღება ადრესატის მიერ, უნდა ითვალისწინებდეს ადრესატის მხრიდან ამ ენის გაგების შესაძლებლობას.<sup>44</sup> ნების გამოვლენის განხილვის დროს მნიშვნელოვანია საკითხი, შეეძლო თუ არა ნების მიმღებს სცოდნოდა ენა, რომელზეც განხორციელდა ნების გამოვლენა. ამის დადგენა კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. ნების გამოვლენსა და ნების მიმღებს შორის ურთიერთობიდან შეიძლება თუ არა იმის გარკვევა, რომ ნების მიმღებმა ეს ენა იცოდა. მაგრამ თუ გარემოებები ადასტურებენ, რომ მიმღებს არ შეიძლებოდა ეს ენა სცოდნოდა, მაშინ ასეთი ნების გამოვლენა ბათილი იქნება და ნების მიმღების მიმართ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და ასეთი ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ადრესატამდე მისულად.<sup>45</sup> ეს წესი ვრცელდება ყველა ნების გამოვლენაზე, რომლებიც მესამე პირებს ეხება, მიუხედავად იმისა, სარგებლის მომტანია ეს მათთვის თუ არა.

## §8. გარიგების ფორმის სახეები

### 1. კანონით განსაზღვრული წერილობითი ფორმა

#### ა. ხელმოწერა. როგორც წერილობითი ფორმა

სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *მარტივი წერილობითი ფორმისას* გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ხელმოწერა გულისხმობს გარიგებისთვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე ხელის მოწერას. ხელმოწერა უნდა განხორციელდეს საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმოწერის სახელი და გვარი გარკვევით. დოკუმენტზე ხელმოწერა დაიშვება ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგ მათგანს სამოქალაქო კოდექსი 70-ე მუხლში ჩამოთვლის, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინრობა, ფიზიკური ნაკლი ან ავადმყოფობა. წარმომადგენლის მიერ ხელმოწერისას კანონი მოითხოვს, რომ აუცილებლად აღინიშნოს მიზეზი, თუ რატომ ვერ შეძლო

<sup>44</sup> Flume. Rechtsgeschäft, S. 249

<sup>45</sup> Flume. Rechtsgeschäft, S. 250

პირადად ხელის მოწერა პირმა. გარდა ამისა, წარმომადგენლის უფლება მოსილებს ოფიციალურად უნდა იყოს დამოწმებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, თუ ვისი სახელით აწერს წარმომადგენელი ხელს. ხელმოწერა უნდა იყოს წარმომადგენლის, ე.ი. ის უნდა აწერდეს თავის სახელს. თუ წარმომადგენელი თავისი ხელმოწერის ნაცვლად, იმ პირის ხელმოწერის იმიტაციას გააკეთებს, ვინც მან წარმოადგინა, ეს ჩაითვლება დოკუმენტის გაყალბებად და ხელმოწერა იქნება ბათილი

მაშასადამე, ხელმოწერა გულისხმობს დოკუმენტის არსებობას. ამასთან, სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საშუალებებით არის ეს დოკუმენტი შედგენილი: ის შეიძლება იყოს ხელით ნაწერი, დაბეჭდილი როგორც სტამბურად, ასევე საბეჭდო მანქანაზე ან კომპიუტერზე. მთავარია, რომ ხელმოწერა იყოს შესრულებული საკუთარი ხელით. თანამედროვე სამართალში ყურადღებას აქცევენ ასევე იმას, რომ ხელმოწერა უნდა მოსდევდეს ტექსტს და არა პირიქით, ე.ი. ხელმოწერა უნდა იმყოფებოდეს ტექსტის ბოლოს.

იმ გარიგებების დროს, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე ადრესატის მიერ, ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს ორიგინალზე, ე.ი. იმ დოკუმენტზე, რომელიც ადრესატამდე მიდის. ამიტომ დეპეშით ტექსტის გაგზავნა არ ჩაითვლება წერილობითი ფორმის დაცვად მაშინაც კი, როცა დეპეშის ტექსტი თვით ნების გამოვლენის მიერაა შედგენილი. ამის მიზეზი ისაა, რომ ის ტექსტი, რომელსაც ადრესატი იღებს, არაა ორიგინალი და წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას, რომლითაც ადრესატს მისდის გამოვლენილი ნება.<sup>46</sup>

თუ დოკუმენტი რამდენიმე გვერდისაგან შედგება ან ახლავს დანართები, ის უნდა აიკინძოს, დაინომროს, მიიღოს ერთიანი დოკუმენტის ფორმა. ხელმოწერა უნდა შესრულდეს ამ მთლიან დოკუმენტზე.

თუ კანონი ხელშეკრულებისათვის წერილობით ფორმას ითვალისწინებს, მაშინ მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ერთსა და იმავე დოკუმენტს. მაგრამ თუკი შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის შემცველი რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია, რომ ყოველმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის (71-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა შეიძლება ხელმოწერა შესრულდეს მექანიკური საშუალებებით (მაგალი-

<sup>46</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 251-252.

თად. წინასწარ დამზადებული ფაქსიმილე). ოღონდ ამისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნეეს, რომ ხელმოწერის ასეთი გამოყენება სავაჭრო ჩვეულების სახით უნდა იყოს დამკვიდრებული და გარიგების მონაწილეთა მიერ აღიარებული. ამის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დიდი რაოდენობით გამოიცემა და მათზე სათითაოდ ინდივიდუალურად ხელის მოწერა პრაქტიკულად შეუძლებელია.

### ბ. ბლანკეტური ხელმოწერა

დოკუმენტზე ხელმოწერის განხორციელებისას არაა სავალდებულო, რომ დოკუმენტის შედგენა და მასზე ხელმოწერა დროით ემთხვეოდეს ერთმანეთს. ხელმოწერა შეიძლება ე.წ. ბლანკეტური ხელმოწერის ფორმით განხორციელდეს. ეს უკანასკნელი თანამედროვე პირობებში დიდ როლს თამაშობს. მის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საწარმოებისა და ორგანიზაციების საფირმო ბლანკები, რომლებზეც აღნიშნულია კანონით განსაზღვრული ყველა რეკვიზიტი (მაგალითად, შეწარმეთა კანონის მე-19.2 მუხლით განმტკიცებული მოთხოვნები) ან სხვაგვარი ბლანკები, რომლებითაც საწარმოები ან კერძო პირები საქმიან ურთიერთობებში მონაწილეობენ.

ბლანკეტური დოკუმენტის გადაცემას სხვა პირისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც მინდობილობის დოკუმენტს. როგორც მინდობილობა ანიჭებს წარმომადგენელს უფლებას მარწმუნებლის სახელით განახორციელოს მოქმედება, ასევე ბლანკეტური, ე.ი. შეუვსებელი დოკუმენტი მის მფლობელს უფლებას ანიჭებს შეავსოს იგი და ამით დოკუმენტის გამცემის სახელით განახორციელოს ნების გამოვლენა. მაშინაც, როცა ბლანკეტური დოკუმენტი არასწორადაა შევსებული, ივარაუდება, რომ ნების გამოვლენა განხორციელებულია დოკუმენტის გამცემის მიერ. თუ ბლანკეტური დოკუმენტი ბოროტად იქნა გამოყენებული მისი მფლობელის მიერ, ეს დაკვალიფიცირდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად.<sup>71</sup>

იმ შემთხვევებში, როცა ბლანკეტური დოკუმენტი მისი მფლობელის მიერ მართლსაწინააღმდეგოდაა მოპოვებული, შევსებული და ადრესატისთვის გადაცემული, თანამედროვე სამართალში მას განიხილავენ როგორც

<sup>71</sup> Flume. Rechtsgeschäft, S. 253.

წარმომადგენლობის უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით საქმიანობის განხორციელებას.<sup>84</sup>

## II. გარიგებით განსაზღვრული წერილობითი ფორმა

გარიგების ფორმის თავისუფლება ყველაზე პრაქტიკულ გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ გარიგების მხარეებს თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ, თუ რა ფორმით სურთ მათ გარიგების დადება. როგორც წესი, ფორმის განსაზღვრა მხარეების მიერ მათი თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ხდება. ცალმხრივად გარიგების ფორმის განსაზღვრა პრაქტიკულად მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: როცა ნების გამოვლენა სახელშეკრულებო ოფერტის ხასიათს ატარებს და ოფერენტი აქცეპტანტს განუსაზღვრავს, თუ რა ფორმით მოითხოვს ის აქცეპტანტისაგან პასუხს.

თუ კანონით განსაზღვრული ფორმის დროს ნების გამოვლენა დეპეშით არ მიიჩნევა წერილობითი ფორმის დაცვად, გარიგებით ფორმის განსაზღვრისას კანონი ასეთ შესაძლებლობას არ კრძალავს. იგივე ეხება ტელეფაქსით დოკუმენტების ურთიერთგაცვლას. ცხადია, რომ ამ დროს მხარეები თვითონ წყვეტენ, მიანიჭონ თუ არა ტელეგრაფით ან ფაქსით გამოგზავნილ დოკუმენტებს იურიდიული ძალა.

იმ შემთხვევაში, როცა გარიგების მხარეები თანხმდებიან ერთიან დოკუმენტის შედგენასა და მასზე ხელმოწერის აუცილებლობაზე, მაშინ ხელმოწერის მიმართ გამოიყენება ის წესები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის მიმართაა გათვალისწინებული.

## III. გარიგების რთული სანოტარო ფორმა

მარტივი წერილობითი ფორმის გარდა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რთულ წერილობით ფორმასაც, რომლის დროსაც გარიგების ნამდვილობისთვის არაა საკმარისი მხოლოდ გარიგების მხარეთა მიერ ხელმოწერა. დამატებით საჭიროა ნოტარიუსის მიერ მისი დამოწმება (69-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თანამედროვე სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სანოტარო დამოწმებასა და სანოტარო დადასტურებას. სანოტარო დამოწმების დროს

<sup>84</sup> Flume, *Rechtsgeschäft*, S. 251

ნოტარიუსის მოქმედება ეხება მთელ ლოკუმენტს, მის მთელ შინაარსს. ამ დროს ნოტარიუსი ამოწმებს ტექსტის შესაბამისობას მოქმედ სამართალთან და ადასტურებს მას. ამგვარი სანოტარო დამოწმებები გამოიყენება შედარებით რთული და მნიშვნელოვანი გარიგებების დროს, როგორცაა, მაგალითად, უძრავი ქონების შეძენა, სამეწარმეო საზოგადოებათა წესდების დამოწმება და სხვა. ამ დროს ლოკუმენტის ტექსტი ნოტარიუსმა გარიგების მხარეებს უნდა წაუკითხოს და გააცნოს. ამის შემდეგ გარიგების მხარეები აწერენ ხელს ამ ლოკუმენტს, რასაც ნოტარიუსი ადასტურებს.

სანოტარო დამოწმებისაგან განსხვავდება სანოტარო დადასტურება. ამ დროს ნოტარიუსი პასუხს არ ავებს ლოკუმენტის შინაარსზე და არც არის ვალდებული, რომ იგი წაუკითხოს მხარეებს. მისი მოვალეობაა გარიგების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება. ამისთვის კი აუცილებელია, რომ ხელმოწერილი პირი იმყოფებოდეს ნოტარიუსთან და ხელმოწერა მის თვალწინ განახორციელოს. იმ შემთხვევაში, როცა ხელის მოწერა წარმომადგენლის მიერ ხდება, ნოტარიუსმა უნდა აღნიშნოს ამის შესახებ და დაადასტუროს წარმომადგენლის ხელმოწერა. მაშასადამე, სანოტარო დადასტურება ეხება მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას.

#### *IV. სხვა ფორმები*

სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები ითვალისწინებენ ისეთ შემთხვევებს, როცა გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია დამატებით სხვა ფორმის დაცვა. კერძოდ კი, ნების გამოვლენა სპეციალური სახელმწიფო ორგანოს წინაშე. ამის მაგალითია დაქორწინება. სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად დაქორწინებად ჩაითვლება ქალისა და მამაკაცის მხოლოდ ისეთი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში. ამისთვის კი აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა ერთდროული ყოფნა ამ ორგანოში და მოწმეთა (მეჯვარეების) თანდასწრება. მოწმეთა თანდასწრების აუცილებლობა მხოლოდ სიმბოლურია და ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს. მაგრამ სამოქალაქო სამართალი მათ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. კერძოდ, მათ გარეშე ქორწინება ჩაითვლება არშემდგარად. უფრო დიდია მოწმეთა მნიშვნელობა, როცა მონადერძე თვითონ ვერ ადგენს ანდერძს და საანდერძო განკარგულებას აკეთებს ნოტარიუსთან (მუხლი 1361-ე).

## §9. გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგები

სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. კოდექსის ეს ნორმა იმპერატიულია და გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. თუმცა ზოგ შემთხვევაში კანონი გამონაკლისებს ითვალისწინებს და ფორმის დაუცველად დადებული გარიგება შეიძლება არ იყოს ბათილად ცნობილი. ეს ის შემთხვევებია, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. მაგალითად, 563-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ ხელშეკრულების მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს, მაგრამ ხელშეკრულება ფაქტობრივად შეწყვიტეს, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ფორმის ხარვეზი.

მაგრამ არ შეიძლება ამ გამონაკლისის განზოგადება ყველა ურთიერთობის მიმართ და იმის თქმა, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგების შესრულება ყოველთვის იწვევს ფორმის ნაკლის გამოსწორებას. თუ ამას დაუშვებდით, მაშინ კანონით გათვალისწინებული ფორმა დაკარგავდა თავის დანიშნულებას, რამეთუ მხარეებს ყოველთვის მიეცემოდათ იმის შესაძლებლობა, რომ გვერდი აეველოთ მისთვის. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, თუ ამის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას.

ხშირია შემთხვევები, როცა ფორმის ნაკლი ეხება არა მთლიანად გარიგებას, არამედ მის ცალკეულ ნაწილებს. როგორც წესი, ეს ნაწილები გარიგების დამატებებს წარმოადგენენ. რომლებიც მხარეებს გარიგების დადების შემდეგ შეაქვთ მასში.

ყველა სხვა შემთხვევაში 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა იმპერატიულია და მისი დაუცველობა ყოველთვის გამოიწვევს გარიგების ბათილობას. ეს ნორმა გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთობების მიმართ, არამედ მთლიანად კერძო სამართლისთვის.

მართალია, 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა გარიგების



ძონაწილეების შეთანხმებით გათვალისწინებულ ფორმასაც ეხება, მაგრამ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას პრობლემები. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დარღვევას შეიძლება ყოველთვის არ მოჰყვეს გარიგების ბათილობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით შეარჩიეს მხარეებმა ეს ფორმა: გარიგების ნამდვილობის წინაპირობად, თუ გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად ან მათ მტკიცებულებად. ეს უკანასკნელი ცხოვრებაში ხშირად გვხვდება. ამ დროს გარიგების მონაწილეები შეთანხმებას წერილობით აფორმებენ, რომ გადაცემული ფულის ან გაწეული მომსახურების დასტურად ჰქონდეთ რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი. ამიტომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარიგების ფორმის დაუცველობამ არ უნდა გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. ბუნებრივად დაიბადება კითხვა, თუ როგორ უნდა გაიგოთ, რა მიზნით შეთანხმდნენ გარიგების მონაწილეები ამ ფორმაზე? ფორმის შესახებ შეთანხმების მიზანი უნდა დადგინდეს ამ შეთანხმების განმარტებით. მაგალითად, როცა მომსახურების ხელშეკრულებაში, რომელიც მხარეებმა წერილობით გააფორმეს, ჩაიწერა, რომ ამ ხელშეკრულების ყოველი შეცვლა ნამდვილობისთვის მოითხოვს ასევე წერილობით შეთანხმებას, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ფორმის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილების ბათილობა.

პრაქტიკაში არაა იშვიათობა, როცა გარიგების შესრულებისას მხარეები უარს ამბობენ თავიდან შეთანხმებულ ფორმაზე. კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, ამის უფლება მათ აქვთ. ოღონდ შეთანხმებული ფორმის გაუქმება ისევე უნდა მოხდეს, როგორც მისი შემოღება, თუკი, რა თქმა უნდა, მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

## §10. დაუშვებელი გარიგებები

გარიგების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ნების გამოვლენის არსებობაზე ან ნების გამოვლენის ფორმაზე. რა თქმა უნდა, მათი მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისთვის ძალიან დიდია, მაგრამ მხოლოდ ამ პირობების დახასიათება არ არის საკმარისი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ზნეობის ნორმებს ან არღვევს კანონის დადგენილ წესს ამკარაა, რომ კანონი მოთხოვნებს უყენებს არა მხოლოდ ნების გარეგნული გამოხატვის ფორმებს, არამედ მის შინაარსსაც.

## I. კანონსაწინააღმდეგო გარიგებები

გარიგება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბათილად არა მხოლოდ იმის გამო, რომ ნება, რომელიც საფუძვლად უდევს მას, არასწორადაა გამოვლენილი, ე.ი. არაა კანონით დადგენილი ფორმით გამოხატული. ბათილობის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ გარიგების მონაწილეთა მიერ გამოვლენილი ნება ეწინააღმდეგება კანონს, უფრო ზუსტად, კანონით დადგენილ ამკრძალავ ნორმებს.

კლასიკური ეპოქის რომის სამართალი ამკრძალავ კანონთა შემდეგ კატეგორიებს განასხვავებდა: *leges perfectae*, ე.ი. კანონები, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო გარიგებების ბათილობას განსაზღვრავდნენ; *leges minus quam perfectae*, რომლებიც, მართალია, გარიგების ბათილობას არ იწვევდნენ, მაგრამ ასეთი გარიგების დადებას სჯიდნენ სისხლის სამართლის წესით; *leges imperfectae*, რომლებიც კი აწესებდნენ აკრძალვას, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ სანქციებს ამ აკრძალვის დარღვევისათვის.<sup>49</sup> გერ კიდევ რომის სამართალში ცნობილ ამკრძალავ კანონთა ამ კლასიფიკაციას არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. მართალია, 54-ე მუხლი კანონით დადგენილი წესის დამრღვევ გარიგებებს ბათილად მიიჩნევს, მაგრამ არ აზუსტებს, თუ რომელ კანონებზეა საუბარი ან რა ფორმით შეიძლება ეს დარღვევა გამოიხატოს. ცხადია, სამოქალაქო კოდექსს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს გარიგების ბათილობის საკითხი, მაგრამ იმ კანონთა დახასიათებისას, რომლებიც 54-ე მუხლთან კავშირში მნიშვნელოვანი არიან, ჩვენ დავინახავთ, რომ გარიგების ბათილობა არ არის ერთადერთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონსაწინააღმდეგო გარიგებებს მოსდევს.

სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს. თუ რომელ კანონზეა საუბარი. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში იგულისხმება ნებისმიერი კანონი (მათ შორის, საჯარო-სამართლებრივიც), რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების შინაარსის განსაზღვრისას და მისი მართლზომიერების საზომად შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაშასადამე, ამკრძალავი კანონი შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი, ასევე საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საგადასახადო, სისხლის-სამართლებრივი და ა.შ., ე.ი. ყველა კანონი, რომელიც კავშირშია გარიგების შინაარსთან და ამის გამო შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.

<sup>49</sup> Kaser, Römische Privatrecht, Bd. I, § 60 II, 1.

კანონები, რომელთა დარღვევა გარიგების ბათილობას იწვევს, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყენენ კერძოსამართლებრივი ხასიათის. როგორც წესი, ისინი პირდაპირ მიუთითებენ, რომ მოცემული წესის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია. მაგალითად, მეწარმეთა კანონის თანახმად, სპს-ის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, პირდაპირ, შეუზღუდავად და უშუალოდ. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. ამიტომ, თუ სპს-ის პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ ისინი პასუხს არ აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალებისათვის, ასეთი შეთანხმება იქნება ბათილი და შესაძლებელია პირთა (ე.ი. საზოგადოების კრედიტორების) მიმართ სამართლებრივი ძალა არ ექნება. ამკრძალავი ნორმები არც სამოქალაქო კოდექსისთვის. უცხო.

როცა კერძო სამართლის კანონები პირდაპირ მიუთითებენ კანონსაწინააღმდეგო გარიგებების ბათილობაზე რაიმე პრობლემები არ წარმოიშობა, მაგრამ როცა კანონის ნორმის შიგნით პირდაპირ არ გამოძღინარეობს ასეთი აკრძალვა, მაშინ გარიგების შეფასება ხშირად რთულდება. მაგალითად, ვალდებულებითი სამართალით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ეხება ბრუნვაუნარიან ობიექტებს. მაგრამ თუ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიღო ბრუნვაუნარიან ობიექტის გამო, როგორცაა სახელი, რის საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ ჩვენ ასეთი გარიგება კანონსაწინააღმდეგოდ? სამოქალაქო კოდექსი ამას პირდაპირ არ თვალისწინებს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ უნდა მივმართოთ კანონის განმარტებას და ამის საფუძველზე გადავწყვიტოთ, ეწინააღმდეგება თუ არა ეს გარიგება კანონის ნორმებს.

როგორც წესი, ამკრძალავი კანონების უდიდესი ნაწილი სამოქალაქო სამართლის ფარგლებს გარეთ იმყოფება და, უწინარეს ყოვლისა, საჯარო სამართალში. ეს იმით აიხსნება, რომ კერძო სამართალი უფრო თავისუფლების მიზნიჭებელი სამართალია და შეზღუდვებიც გამოჩაკლისს შეადგენენ. საჯარო სამართალი კი პირიქით, უფრო შეზღუდვების სამართალია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამკრძალავი ნორმები მასში უფრო მეტია. ვიდრე კერძო სამართალში. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული ადგილი ზისხლის სამართალს უკავია. გარიგებები, რომლებიც სისხლის სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს ეწინააღმდეგებიან, არა მხოლოდ დასჯადად უნდა ჩავთვალოთ, არამედ 54-ე მუხლის თანახმად ბათილადაც. მაგალითად, თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა გარეგნულად გარიგებაა და ყოველგვარი გართულების გარეშე თავსდება კერძო ავტონო-

მიის ფარგლებში. მაგრამ რაც მას იურიდიულ ძალას უკარგავს, არის სისხლის სამართალი, რომელიც ქრთამის მიცემას დასჯადად თელის აქედან გამომდინარე, ასეთი გარიგება უნდა ჩავთვალოთ კანონით დადგენილი ნორმის დამრღვევად და, შესაბამისად, ბათილად.

ადმინისტრაციული სამართალი ითვისისწინებს ზოგი სახის პროდუქციის ექსპორტზე ლიცენზიის აუცილებლობას. თუ ხელშეკრულება ამ ლიცენზიის გარეშეა დადებული, ფორმალურად ის იქნება გარიგება, მაგრამ ბათილი, ვინაიდან ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლით დადგენილ წესებს. ანალოგიური ნორმები შეიძლება განმტკიცებული იყოს საგადასახადო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ. კანონებში. ამიტომ იურისტი, რომელიც გარიგების შინაარსს ადგენს, ვალდებულია არ შეპოიფარგლოს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებით და ყურადღება გაამახვილოს სხვა დარგების სამართლის ნორმებზეც, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გარიგებათა შინაარსის დაზუსტებისას.

როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების სამართლის გამოცდილება?

ავსტრიის სამოქალაქო სამართალი ბათილად მიიჩნევს ამკრძალავი წესების საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი, ქართული სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, ერთ მუხლში აწესრიგებს ზნეობისა და კანონის საწინააღმდეგო ნორმების ბათილობის საკითხს.<sup>90</sup> თუ კანონში ჰირდაპირ არ არის მითითებული ასეთი გარიგების ბათილობაზე, მაშინ გარიგების ბათილობის საკითხი უნდა გადაწყდეს კანონის განმარტების საფუძველზე.<sup>91</sup>

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართალი აკრძალავს, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებებსა და შეუძლებელ გარიგებებს ასევე ერთად იხილავს. ოღონდ აკრძალვების წინააღმდეგობის საკითხს მთლიანად მართლწესრიგიდან გამომდინარე იხილავს. კანონის განმარტების საფუძველზე გარიგებათა მართლწინააღმდეგობის დადგენა შვეიცარიის სამართლისთვისაც ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს.<sup>92</sup>

ფრანგული სამართალი კანონსაწინააღმდეგობასთან ერთად ბათილად მიიჩნევს ასევე საჯარო წესრიგის *ordre public*-ის ხელმყოფ გარიგებებს. ქართული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმა სწორედ ფრანგული კოდექსის გავლენით შეიქმნა.

<sup>90</sup> ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის § 879-ის პირველი აბზაკი

<sup>91</sup> Gschitzer, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, § 33 II.

<sup>92</sup> Guhl/Merz/Koller. Das schweizerische Obligationenrecht. 8. Aufl. S. 39-46

## II. ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებები

pacta contra bonos mores (კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო ხელშეკრულება) – ასე უწოდებდნენ ძველი რომაელები ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს და მათ ბათილად მიიჩნევდნენ. ატიზნეობრიობის კრიტერიუმებად მიიჩნეოდა pietas და religio. თანამედროვე კოდიფიკაციებიდან ანტიზნეობრივი გარიგებების ცნება პირველად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა განამტკიცა. კერძოდ, მე-ნ და 1133-ე მუხლებში მან bonnes moeurs (კეთილის ზნეობის) გვერდით ასევე განამტკიცა საჯარო წესრიგი (ordre public).<sup>93</sup>

ანტიზნეობრიობის ცნება არც ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსებისთვის ყოფილა უცხო. ოლონდ ისინი ამორალურობის კრიტერიუმად მიიჩნევდნენ შესრულებისა და საპასუხო შესრულების არაეკვივალენტურობას. ამავ დროს, ბუნებითი სამართლის კოდიფიკაციები ცდილობდნენ, რომ ამორალურობის ზოგადი ცნება ცალკეულ ნორმებსა და კონკრეტულ შემადგენლობებში განემტკიცებინათ.<sup>94</sup>

თუ გარიგებათა აღიარება კანონსაწინააღმდეგოდ შედარებით მარტივია, ვინაიდან შეფასების საზომად ჩვენ ხელთა გვაქვს ნორმატიული მასალა, ზნეობის საწინააღმდეგოდ მათი მიჩნევა არცთუ ისე იოლია. ამგვარ სირთულეს მრავალი გარემოება განსაზღვრავს. პირველ რიგში ეს უკავშირდება ზნეობის გაგებას, კერძოდ იმას, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ მასში. ალბათ, ზნეობის უზოგადესი ცნება ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, ვინაიდან იგი მეტად აბსტრაქტულია და კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მისმტაბად მისი გამოყენება რეალურად შეუძლებელია. ამიტომ ვფიქრობ, სრულიად სამართლიანად თქვა თავის დროზე ფონ ტურმა ზნეობის ასეთ გაგებაზე უარი და მხარი დაუჭირა არა ზოგად და აბსტრაქტულ მორალს, არამედ კონკრეტულ საზოგადოებაში „გაბატონებულ მორალს“.<sup>95</sup> ცხადია, რომ ადამიანთა ყოველი საზოგადოება ზნეობის განსაზღვრულ, მისთვის შინაგან და დამახასიათებელ ნორმებს ემყარება. ყოველ საზოგადოებას, განვითარების დონისა და ხასიათის მიუხედავად, საკუთარი ზნეობრივი ღირებულებები აქვს, რომელთა დაცვას ის თავის წევრებს კატეგორიულად მოსთხოვს. თავისი სპეციფიკის გამო, ამ ზნე-

<sup>93</sup> Simittis, K. Gute Sitten und ordre public. 1960, S. 80.

<sup>94</sup> Schmidt, H. Die Lehre von der Sittenwidrigkeit der Rechtsgeschäfte in historischer Sicht 1973, S. 67.

<sup>95</sup> Tuhr, v. Bd. 2/2, S. 22-23.

ბის ნორმათა კოდიფიკაცია სამართლის ნორმების სახით ხშირად შეუძლებელია. მათ უკან არ დგას სახელმწიფო თავისი იძულებითი ძალაუფლებით. მაგრამ როგორ დამორბეული იქნებოდა კანონი, მოსამართლე, სამართლის მეცნიერება კონკრეტულ ერს, საზოგადოებას, თუ ზნეობის ნორმებს არავითარ სამართლებრივ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა. მართალია, სამოქალაქო სამართლის ბევრ ნორმას საფუძვლად ზნეობრივი იმპერატივი უდევს, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კონკრეტულ საზოგადოებაში „გაბატონებული მორალი“ რეალური სამართლებრივი ძალის მქონედ მივიჩნიოთ. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი იურისტს შესაძლებლობას აძლევს სამართლის გამოყენებისას გაითვალისწინოს არა მხოლოდ სამართლის ნორმები, არამედ ქართველი ხალხის ზნეობრივი ღირებულებებიც, და ამით სამართალი კიდევ უფრო დაუახლოვოს ხალხს. ამით ზნეობას სამართლის მეორადი წყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.<sup>96</sup>

იმის გამო, რომ მორალის (ზნეობის) ნორმები კოდიფიცირებული არაა, ხშირად რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება. ცხადია, ეს მოსამართლეს დამატებით სირთულეებს უქმნის. მაგრამ მოსამართლე მოცემული საზოგადოების რიგითი წევრიცაა და სხვებზე ნაკლებად არ იცნობს ამ საზოგადოების მორალურ ფასეულობებსა და მოთხოვნებს. იმავედროულად, მოსამართლეს კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას არა მხოლოდ სახალხო მორალის ნორმების მოხმობა უხდება, არამედ ამა თუ იმ სოციალური წრისთვის მნიშვნელოვანი ზნეობრივი წესების გათვალისწინებაც. მაგალითად, მოსწავლის მიერ მასწავლებლისთვის საჩუქრის მირთმევა მოსამართლემ შეიძლება ანტიზნეობრივად ჩათვალოს არა იმიტომ, რომ საჩუქრის მირთმევაა საზოგადოდ ამორალური, არამედ იმიტომ, რომ პედაგოგის ეთიკა თვლის ამას დაუშვებლად. ანალოგიური შეფასებები შეიძლება არსებობდეს საექიმო ან სამართლებრივი ეთიკის ნორმების გამოყენებისას.

ანტიზნეობრიობის საფუძვლით გარიგების ბათილად აღიარებისთვის მთავარი ის კი არაა, რომ მოსამართლეს პირადად მიაჩნია ეს გარიგებები ანტიზნეობრივად ან გარიგების ერთ-ერთი მხარე თვლის დადებულ გარიგებას ამორალურად. მოსამართლისეული შეფასების საზომი უნდა იყოს, თუ როგორ ჩათვლიდა ხალხი ან კონკრეტული სოციალური ჯგუფი ამგვარ გარიგებას. ეწინააღმდეგება თუ არა ესა თუ ის გარიგება ზნეობის

<sup>96</sup> Tuhr, v. Bd. 2/2. S.21.

ნორმებს, კონკრეტული ფაქტის საკითხია და ყოველი კონკრეტული გარიგების განხილვისას უნდა გადაწყდეს. ამასთან, შეფასების მნიშვნელობა ამ დროს გაცილებით დიდია, ვიდრე კანონსაწინააღმდეგო გარიგებათა სამართლებრივი კვალიფიკაციისას.

საზოგადოებაში შიშობიარე ცვლილებებთან ერთად იცვლება ამ საზოგადოების მორალური ფასეულობებიც. მაგალითად, ის, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ამორალურად ითვლებოდა, დროთა განმავლობაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად შეიძლება იქნეს მიჩნეული. სასამართლო პრაქტიკა სრულიად ბუნებრივად რეაგირებს ამაზე. ეს კი შესაძლებლობას იძლევა კანონმდებლობის შეუცვლელად მართლმსაჯულება შეცვლილ სოციალურ და ზნეობრივ ღირებულებებს მიესადაგოს.

ქართული სამოქალაქო სამართლის ეს ნორმა ახალია და ძნელია იმის თქმა, თუ როგორ გამოიყენებს მას სასამართლო პრაქტიკა მომავალში. მაგრამ, ალბათ, არ იქნება ურიგო, თუ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას გადავავლებთ თვალს. როგორც ვნახეთ, სამოქალაქო კოდექსის მქონე დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა განამტკიცებს ნორმებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ამორალურობის მოტივით გარიგება ბათილად იქნეს აღიარებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამართლის მეცნიერება ზნეობის ცნებაში გულისხმობს ეთიკური საფუძვლებიდან სამართლის სფეროში გადატანილ ქცევის წესებს,<sup>37</sup> უდავოდ საინტერესოა, თუ რას გულისხმობს დასავლეთის სამართალი ამორალურ მოქმედებებში.

ფრანგულ სამოქალაქო სამართალში ამორალური გარიგებების განხილვისას წინა პლანზე დგას სქესობრივ მორალთან დაკავშირებული გარიგებები. უწინარეს ყოვლისა, აქ აღსანიშნავია ჩუქებები და ანდერძი განხორციელებული ქორწინებისგარეშე სქესობრივი პარტნიორების მიმართ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ ბათილად მიიჩნია სესხი მიცემული გათხოვილი ქალისთვის, რომელმაც ამ სესხით მოახერხა თავის საყვარელთან ერთად გაქცევა.<sup>38</sup> ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ასევე ბორდელების შექმნასა და მათ ექსპლუატაციას ანდა ხელშეკრულებებს, რომლებიც პროსტიტუციის განვითარებას უწყობენ ხელს.<sup>39</sup>

ანალოგიურ პრაქტიკას ავითარებდნენ გერმანული სასამართლოც

<sup>37</sup> Staudinger/Dilcher, § 138, Rn.5.

<sup>38</sup> Cass Req v 17.4.1923, DP 1923.1.172.

<sup>39</sup> Fend/Sonnenberger, I/1, S.537.

ოცდაათიან წლებში. უახლესი ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად აქცენტი შეიცვალა და წინა პლანზე წამოიწია იმ გარიგებებმა, რომლებიც ამორალურად მიიჩნევიან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო. კერძოდ, ესაა ხელშეკრულებები, რომლებსაც ბაზარზე გაბატონებული მხარე ხელშეკრულების მეორე მხარეს ახვევს თავს. ისინი გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიერ ამორალურადაა აღიარებული.<sup>100</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ბაზარზე მონოპოლური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მოსალოდნელი ფაქტები გაითვალისწინა და მას ცალკე ნორმა მიუძღვნა. ამიტომ ასეთი გარემოებების გამოყენებით გარიგების დადებისას ბათილობის საკითხი ქართულ სამოქალაქო სამართალში შეიძლება გადაწყდეს არა ანტიზნეობრიობის საფუძველზე, არამედ 55-ე მუხლის შესაბამისად.

მეტად მნიშვნელოვანია გერმანიაში სამოქალაქო კოდექსის ანალოგიური ნორმის როლი საოჯახო და საკორწინო ურთიერთობების სფეროში.<sup>101</sup>

უეჭველად უნდა დავეთანხმოთ იმ შეხედულებას, რომ „კეთილი ზნეობის“ შეფასების კრიტერიუმები და მასშტაბები შეიძლება მხოლოდ მოცემული ქვეყნის შიგნით იქნეს შემუშავებული.<sup>102</sup> იმ იმედით, რომ ქართული მართლმსაჯულება ნიკიერ ნიადაგს მოამზადებს ამ ნორმის გამოყენებისთვის, შევწყვეტ ამორალური გარიგებების სფეროში საზღვარგარეთის გამოცდილების განხილვას.

### ***III. ordre public-ის ანუ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები***

როგორც უკვე ვთქვით, ამ ცნების შემოღება დაკავშირებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსთან. გერმანულ სამართალში გარიგების ბათილობის ცალკე საფუძველად მისი დამკვიდრების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია და დღემდე მას ანტიზნეობრივი გარიგებების კატეგორიას განაკუთვნებენ.<sup>103</sup> ქართულ სამართალში ეს ნორმა ფრანგული სამოქალაქო სამართლის გაელენით შემოვიდა. ამიტომ სასურველი იქნება ფრანგული გამოცდილების განხილვა. კერძოდ, იმის გამოკვლევა, თუ რა ეპით ფრანგებს ამ ცნებაში.

<sup>100</sup> Staudinger/Dilcher, §.138, Rn 20-29

<sup>101</sup> Staudinger/Dilcher, § 138, Rn 58-71

<sup>102</sup> MünchKommKntar, § 138, Rn 14

<sup>103</sup> Staudinger/Dilcher, §.138, Rn 9; Larenz AT, S.436-437.



ფრანგულ სამართალში ერომანეთისაგან განასხვავებენ პოლიტიკურ საჯარო წესრიგს (ordre public politique) და ეკონომიკურ საჯარო წესრიგს (ordre public economique).<sup>104</sup> პირველს განეკუთვნება ყველა ის ნორმა, რომლებიც არ შეეხებიან ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავენ სახელმწიფოს ოჯახისა და ინდივიდის ძირეულ ინტერესებს.

სახელმწიფოს ძირეული ინტერესების დამცავი ნორმების მიზანია სახელმწიფოს ორგანოთა, მისი მმართველობის აპარატის, საგადასახადო სისტემის, სასამართლო ხელისუფლებისა და ა.შ. გამართული ფუნქციონების უზრუნველყოფა. ამ ასპექტით საჯარო წესრიგის ხელყოფის მაგალითებია: ამოძრეველთა ხმების ყიდვა, სახელმწიფო მოსამსახურესთან შეთანხმება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი პრივილეგიის მიღების მიზნით, უძრავი ქონების ნასყიდობის დროს ფასის ხელოვნური დაკლება ბაჟის გადახდის შემცირების მიზნით, შეთანხმებები, რომლითაც პირი თავის თავზე იღებს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს და სხვა.

ოჯახის ინტერესების დამცავი ნორმების მიზანია ოჯახის არსებობის ფუნდამენტური საფუძვლების არსებობის უზრუნველყოფა და ისეთი მოქმედებების აღკვეთა, რომლებიც ძირს უთხრის ოჯახის, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური წარმონაქმნის არსებობას. ამ საფუძვლით ბათილია ხელშეკრულებები, რომლებითაც მეუღლეები თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობას; საჩუქრის გაკეთება მეუღლისთვის იმ იმედით, რომ მისგან მიიღებს განქორწინების თანხმობას; ხელშეკრულებები, რომლითაც ერთი კისრულობს, რომ არ დაქორწინდება სხვაზე და ა.შ.<sup>105</sup>

ინდივიდის ინტერესების დაცვის ნორმებს განეკუთვნება ნორმები, რომლებიც ადამიანის პიროვნებას, მის ღირსებასა და თავისუფლებას, დამოუკიდებლობას იცავენ. საჯარო წესრიგის ამ ნორმებს ასევე მორალური დაცვის ნორმებს უწოდებენ. მისი მაგალითებია შრომის ხელშეკრულების დადების აკრძალვა მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით; ხელშეკრულებები კინომსახიობთან სხეულის ტატუირებული ნაწილის გასხვისების თაობაზე; ხელშეკრულებები, რომლებიც მიზნად ისახავენ გენეტიკურ მანიპულაციას და ამით შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე; ხელშეკრულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დაუზღავრებელი ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობას, შეილად აყვანის შუამავლობის, ბავშვებით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებები და

<sup>104</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S.535

<sup>105</sup> Ferid/Sonnenberger. I/1. S.535

სხვა. ცხადია, რომ აქ ხშირად არაა იოლი ამ გარიგებათა გამოჯენა ანტიზნერბრივი გარიგებებისაგან, მაგრამ ფრანგული სასამართლო პრაქტიკა მათ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებებად მიიჩნევს.<sup>106</sup>

ეკონომიკური საჯარო წესრიგის ნორმების როლისა და მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია სახელმწიფოს ახალ ფუნქციებთან, რომლებიც მას აქვს სოციალურ სახელმწიფოდ აღიარებასთან დაკავშირებით. ამით სახელმწიფოს ენიჭება დამატებითი უფლებები საბაზრო ეკონომიკის მართვის სფეროში, განსაკუთრებით, მონოპოლიებისა და კონკურენციის ურთიერთობათა, სოციალურად ნაკლებად დაცული ფენების ინტერესების უზრუნველყოფის სფეროში. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა ბათილად მიიჩნევს ისეთ გარიგებებს, რომლებიც ამ ეკონომიკური საჯარო წესრიგის განმსაზღვრელ ნორმებს ხელყოფენ.<sup>107</sup>

როგორც ჩანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სამართლიანად განამტკიცა გარიგების ნამდვილობის მასშტაბად საჯარო წესრიგის ნორმები. ფრანგული გამოცდილებიდან მაგალითები, ვფიქრობ, რომ აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოშიცაა მოსალოდნელი ანალოგიური გარიგებების არსებობა. თუ საჯარო წესრიგის დებულებას კოდექსში არ განვამტკიცებდით, მაშინ ნამდვილად უნდა მიგვეჩნია ისეთი გარიგებები, რომლებიც თავისი ბუნებითა და შინაარსით ეწინააღმდეგებიან ჯანსაღი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წყობილების პრინციპებს.

## §11. მოძღვრება ნების ნაკლის შესახებ

<sup>106</sup> ყოველგვარი გარიგება არსებობს ნების გამოვლენის მეშვეობით. შინაგანი ნების (მიზნის, სურვილის) გარეგნული გამოხატვით გარიგების მონაწილეები აფიქსირებენ იმ მიზანს, რომლის მიღწევაც მათ სურთ და რისთვისაც ისინი კანონით შემოთავაზებულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებენ. ცხოვრებაში ხშირად გვხვდება, როცა გარეგნულად გამოხატული ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის შინაგან ნებას და განხორციელდა მხოლოდ სხვადასხვა გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სინამდვილეში ის არ სურდა პირს, რაც მან გარეგნულად გამოხატა, ე.ი. ნება გამოვლენილია არა თავისუფალი თვით-

<sup>106</sup> Ferid/Sonnenberger. I/I. S.535.

<sup>107</sup> Ferid/Sonnenberger. I/I. S.536

გამორკვევის საფუძველზე, არამედ სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ისეთ ვითარებას. როცა გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება კი ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო. სამოქალაქო სამართალში ეწოდება ნების ნაკლი. ნების ნაკლის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ერთ შემთხვევაში მხარეებს სურთ გარეგნულად გამოხატული ნებით სხვა, ნამდვილი ნებისა და მათ მიერ დასახული მიზნის დამალვა; სხვა შემთხვევაში ნების გამოვლენა არასერიოზულია და პირი არც ისახავდა რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას; მესამე შემთხვევაში ნების გამოვლენის მიზეზი შეიძლება იყოს ან ფსიქიკური მოშლა ანდა შეცდომა, მოტყუება, ბუკარა და ა.შ. ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევას აქვს ერთი საერთო – ყოველი ნების გამოვლენა არის ნაკლის მქონე. ე.ი. გარეგნულად გამოხატული ნება არ ემთხვევა შინაგან ნებას. ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებებს სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ასეთი გარიგებების ერთი ჯგუფი დადებისთანავე ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, მეორე ჯგუფს შეადგენს ე.წ. საცილო გარიგებანი, რომელთა ბათილობა დამოკიდებულია იმაზე, შეცილებული იქნება თუ არა ეს გარიგება.

### ***I. მოჩვენებითი და თვალთმაქცური ანუ კანონის გვერდის ახვევით დადებული გარიგებანი***

ნების ნაკლის საფუძველზე დადებული გარიგებების გავრცელებულ შემთხვევებს წარმოადგენს: *მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები*. რომელთაც სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი ითვალისწინებს.

*მოჩვენებითად ჩაითვლება გარიგება. თუკი ნების გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა.* ე.ი. გარეგნულად კი გამოხატავენ ნებას, იქცევიან ისე, თითქოს ნამდვილად სურდეთ ამ გარეგნულად გამოხატულის მიღწევა, სინამდვილეში კი არც ფიქრობენ ამ შედეგის დადგომაზე. ამ კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში. ეს მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ასევე სახელმწიფო ორგანო. მაგალითად, ორ საწარმოს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებით მხარეებს სურდათ გაეზარდათ ხარჯები, რათა ამით შეემცირობინათ დასაბევრი მოგების ოდენობა. მომსახუ-

რების ხელშეკრულება რეალურად მათ არ შეუსრულებიათ და არც აქონათ მიზნად მისი შესრულება. 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი გარიგება ჩაითვლება მოსაჩვენებლად დადებულად და მიიჩნევა ბათილად. თუმცა მოჩვენებითი გარიგებების განხილვის დროს არ არის სავალდებულო, რომ გარიგების მონაწილეებს მიზნად აქონდეთ მე-56-ე პირის მოტყუება.

ცხოვრებაში უფრო გავრცელებულია ე.წ. *თვალთმაქცური გარიგებები*. ისინი მოჩვენებითი გარიგებების ნაირსახეობას წარმოადგენენ და განსხვავდებიან მათგან მხოლოდ იმით, რომ გარიგების მონაწილეებს მოსაჩვენებლად დადებული გარიგებებით სურთ სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად ისახავენ. მაგალითად, მხარეები დებენ ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულებას მაშინ, როცა სინამდვილეში მათ შორის იყო ნასყიდობის ხელშეკრულება. ასეთი შემთხვევების მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები, ე.ი. ავტომანქანის ნასყიდობის წესები.

არაა სავალდებულო, რომ მოსაჩვენებელი ნორმები მთლიანად გარიგებას ეხებოდეს. თუ ისინი გარიგების მხოლოდ ერთ ნაწილს ეხება, მაშინ ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს ბათილად ანდა მის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს დაფარული ნაწილის მიმართ მოქმედი ნორმები. მაგალითად, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის დროს მხარეებმა სანოტარო წესით დაამოწმეს უფრო ნაკლები ფასი, ვიდრე მყიდველმა რეალურად გადაიხადა. ამის შედეგად მხარეებმა გადაიხადეს უფრო ნაკლები სახელმწიფო ბაჟი. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვალთმაქცურ გარიგებასთან, ოღონდ არა მთლიანად, არამედ მის ერთ რომელიმე ნაწილთან.

გარიგებათა მოჩვენებითობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ გარიგებათა მიმართ, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე გარიგების მეორე მხარის მიერ. ეს იმითაა განპირობებული, რომ რომელიმე გარიგების დამალვა შესაძლებელია მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით.

## **II. არასერიოზულად განხორციელებული ნების გამოვლენა**

სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული ნორმები ცხოვრებისეულ რეალობებს ასახავენ. ისინი ითვალისწინებენ იმასაც, რომ ადამიანი შეიძ-

ლება ზოგჯერ არასერიოზულიც იყოს და მის მიერ გარეგნულად გამოხატული ნება უფრო ხუმრობის ხასიათს ატარებდეს, ვიდრე მოფიქრებული და დინჯი მოქმედებისა. სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილი ბათილად მიიჩნევს ნების გამოვლენას, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. ასეთ ნების გამოვლენას სამოქალაქო სამართალი ბათილად იმიტომ მიიჩნევს, რომ მას არ ახლავს თან გარეგნულად გამოხატულის რეალური მიღწევის სურვილი ან შესაძლებლობა და გაკეთებულია მხოლოდ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით (ხუმრობა, სხვისი ყურადღების მიქცევის სურვილი და ა.შ.). თუ ნების გამოვლენის ადრესატი მიხვდა, რომ ნების გამოვლენა გაკეთებულია არასერიოზულად, მაშინ გარიგება არ არსებობს, ვინაიდან არ არის თანამთხვევადი ნებები. ამიტომ აზუსტებს 57-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომ ნების გამოვლენისას შესაძლებელი უნდა იყოს იმის გამოცნობა, რომ ეს ნების გამოვლენა გაკეთებულია არასერიოზულად. მაგრამ თუ ნების მიმღები ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას და არ იცოდა ან არც შეიძლებოდა სკოდნოდა ნების გამოვლენის არასერიოზულობის შესახებ და ამის გამო მიადგა ზიანი, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს ნების გამოვლენისაგან ამ ზიანის ანაზღაურება.

### *III. შეცდომით დადებული გარიგებები*

შეცდომა ადამიანის ცხოვრების ნორმალური თანამდევია. მას საფუძვლად უდევს ის არასწორი წარმოდგენები, რომლებიც რეალური მოვლენების გამო შეიძლება შეგვექმნას. შეცდომა სხვა არაფერია, თუ არა არასწორი წარმოდგენა ამა თუ იმ ფაქტზე, მოვლენაზე. ასეთი არასწორი წარმოდგენის გავლენით ადამიანები ხშირად ისეთ ურთიერთობებს ამყარებენ ან ისეთ ნიეთებს შეიძენენ. რომლებიც მათ სინამდვილეში არ სურდათ. როგორც წესი, ასეთი შეცდომის საფუძველზე ზიანი ადგება იმას, ვინც შეცდა. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ შეცდომის მსხვერპლი სხვაც შეიქნას. სამოქალაქო სამართლისთვის ამ დროს მნიშვნელოვანია საკითხი, შეიძლება თუ არა შეცდომით დადებული გარიგების მიჩნევა ბათილად? რა შედეგები უნდა მოჰყვეს, თუ აღმოჩნდა, რომ პირის გარიგება შეცდომით აქვს დადებული?

სამოქალაქო სამართალს რომის სამართლის ეპოქიდან აღულებს ეს საკითხი. ყველაზე მარტივი იქნებოდა, რომ შემცდარი მხარისთვის დაგ-

კებრუნებინა ის, რაც მან ამ შეცდომით დაკარგა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარიგების მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებს, უსამართლო იქნებოდა მისთვის იმის წართმევა, რაც მან კეთილსინდისიერად შეიძინა. მაშასადამე, შეცდომით დადებული გარიგების დროს ერთმანეთის პირისპირ იმყოფება ორი ინტერესი — შემცდარი ადამიანის, რომელმაც ამ შეცდომის გამო ზიანი ნახა და გამდიდრებული ადამიანის, რომელმაც მეორე მხარის შეცდომის გამო, მაგრამ კეთილსინდისიერად ნახა სარგებელი. ერთი პატარა მაგალითი თვალსაჩინოს გახდის ამ ვითარებას: ა ყიდის „ვეფხისტყაოსნის“ ანტიკვარულ გამოცემას 1000 ლარად. მაღაზიაში თანამშრომლის მექანიკური შეცდომის გამო წიგნს აწერია ფასი 100 ლარად. გამყიდველმა არ იცის ამ შეცდომის შესახებ და ბ-ს მიჰყიდა წიგნი 100 ლარად. ვინ უნდა იკისროს ამ შეცდომის რისკი?

შეცდომით დადებული გარიგებების სამართლებრივი მოწესრიგების საფუძვლები ჯერ კიდევ რომის სამართალში გვხვდება. ცხადია, რომელიც ოურისტები შეცდომას გარიგების ზოგად პრობლემად არ განიხილავდნენ, ვინაიდან მათთვის უცნობი იყო გარიგების ზოგადი ცნება. ისინი შეცდომას ცალკეულ ხელშეკრულებებთან და მემკვიდრეობის ურთიერთობებთან დაკავშირებით იხილავდნენ და მას განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებდნენ. სახელშეკრულებო სამართალში შეცდომის მნიშვნელობა დიდი იყო ე.წ. კონსენსუალურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, კერძოდ, შეცდომა მიიჩნეოდა ასეთი ხელშეკრულებების დადების ხელშემშლელ გარემოებად.<sup>108</sup> ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში მნიშვნელოვან შეცდომად მიიჩნეოდა ე.წ. error in corpore, ე.ი. შეცდომა ხელშეკრულების ობიექტში, რაც ნასყიდობის ბათილობას იწვევდა.<sup>109</sup> მაგრამ როცა ხელშეკრულების საგანი არასწორად იყო დასახელებული, მას არ მოსდევდა ნასყიდობის ბათილობა.<sup>110</sup> გვიანი კლასიკური ეპოქის რომის სამართალში შემოღებულ იქნა შეცდომის შემდეგი სახე: error in materia (substantia)<sup>111</sup>, რაც გულისხმობდა შეცდომას ხელშეკრულების საგნის შემადგენელ ნივთიერებებში. მაგალითად, ბრინჯაოს მიჩნევა ოქროდ.<sup>112</sup>

შუა საუკუნეების იურისპრუდენციამ რომის სამართლის შეხედულებები პრაქტიკულად უცვლელი დატოვა. განსაკუთრებით ეს შეეხებოდა

<sup>108</sup> Kaser. Das römische Privatrecht. Bd. I. 2. Aufl. 1971, S.237.

<sup>109</sup> ლეგისტები 18, 1, 9 ად.

<sup>110</sup> ლეგისტები 18, 1, 9, 1.

<sup>111</sup> ლეგისტები 18, 1, 9, 2.

<sup>112</sup> Flume. Rechtsgeschäft, §. 22. I b

შეცდომის ფაქტებს ხელშეკრულების საგნის გამო. ანალოგიურ შეხედულებებს იზიარებდა *Ius Commune*-ც, ოღონდ შეცდომის სახეებს ის უფრო აკონკრეტებდა: *error in negotio*, ე.ი. შეცდომა გარიგების სახეობაში, *error in objecto* (შეცდომა ობიექტში), *error in persona* (შეცდომა პიროვნებაში).<sup>113</sup>

ასალი შეხედულებები შეცდომის მოძღვრებაში დაკავშირებულია ბუნებით სამართალთან. გარიგების ცნების დამკვიდრებასთან ერთად შეცდომა 1. საკითხმა ნების გამოვლენის პრობლემატიკის სფეროში გადაინაცვლა. შეცდომა უკვე განიხილებოდა უთანხმოებად ნებასა და მის გამოვლენას შორის. ამით შეცდომა ნების ნაკლის შესახებ მოძღვრების შემადგენელ ნაწილად იქცა. მის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც შეცდომით იყო განხორციელებული, სამართლებრივად ბათილად უნდა ჩათვლილიყო. მაგრამ არც ის რჩებოდათ უყურადღებოდ, რომ გათვალისწინებულიყო ნების მიძღვრების ინტერესებიც. ასე წარმოიშვა შეხედულება, რომელიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებდა შემცდომის დამშვებ პირს, თუკი შეცდომა მისი ბრალით იყო გამოწვეული. ეს აზრი განვითარებულ იქნა გროციუსისა და პუფენდორფის მიერ.<sup>114</sup>

შეცდომის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია საინის სახელთან. მის თანახმად, შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატვის უკან არ დგას ნამდვილი ნება, ე.ი. ნება და მისი გამოვლენა არ ემთხვევა ერთმანეთს.<sup>115</sup>

სწორედ ეს მოძღვრება უდევს საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლს, რომლის თანახმად შეცდომამ, ე.ი. ნების ნაკლმა შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. მაგრამ სრულიად ბუნებრივად წაშლიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი შეცდომა შეიძლება გახდეს ბათილობის საფუძველი. თუკი ჩვენ ყოველგვარ შეცდომას ვაქცევდით გარიგების ბათილობის საფუძვლად, ამით დიდი საფრთხე შეექმნებოდა სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობას, კერძოდ, გარიგების ნებისმიერ მხარეს, რომელსაც გარიგებამ არ მოუტანა მოსალოდნელი სარგებელი, შეეძლებოდა ეთქვა, რომ ის შეცდა, და მოეთხოვა გარიგების ბათილობა. ამიტომ კანონი გარიგების საცილოდ გახდომის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ *აჩსებით შეცდომას*.

<sup>113</sup> Diesselhorst, Maltes, Die Lehre des Hugo Grotius vom Versprechen. 1959. S. 82.

<sup>114</sup> Diesselhorst, Die Lehre des Hugo Grotius vom Versprechen. S. 91.

<sup>115</sup> Flume, Rechtsgeschäft, §. 21. 2.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ შეცდომით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული საკითხები, განსხვავებით დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან, დაწვრილებითაა მოწესრიგებული. პირველ რიგში ეს ეხება იმ შეცდომათა ლეგიტიმაციას, რომლებიც არსებით შეცდომად მიიჩნევა. კანონი პრაქტიკულად იძლევა არსებით შეცდომათა ამომწურავ ჩამონათვალს, რაც აიოლებს ამ მოძღვრების რეალურ გამოყენებას ეს ნორმები ითვალისწინებენ ასევე დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის დიდ გამოცდილებას.

ა. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა პირს უნდოდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რაზედაც მან გამოთქვა თავისი თანხმობა. ასეთი შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი გარემოება: ნების გამოვლენა ნაჩქარევად, უზუსტობა გარიგების დოკუმენტში და სხვა. მაგალითად, სტუდენტი ა სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოს აძლევს ბ-ს და უებნება: „აქედან იმეცადინე“. ბ-ს ჰგონია, რომ ა-მ მას ეს სახელმძღვანელო აჩუქა. ამიტომ თავი შეიკავა მალაზიაში მისი ყიდვისაგან. ა-მ კი სინამდვილეში ათხოვა ბ-ს სახელმძღვანელო. სემესტრის ბოლოს ა-მ ბ-ს მოსთხოვა წიგნის უკან დაბრუნება, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ მან ბ-ს იგი ათხოვა. ბ-მ უარი უთხრა დაბრუნებაზე, რადგან ის წიგნს საკუთრად მიიჩნევდა. იყო თუ არა შეცდომა ნების გამოვლენაში, უნდა დადგინდეს ნების გამოვლენის განმარტების საფუძველზე. თუკი დადგინდა, რომ გარეგნულად გამოხატული ნება არ შეესაბამება იმას, რაც ნების გამომვლენს ნამდვილად სურდა, მაშინ მას ექნება შეცილების საფუძველი. ჩვენს მაგალითში თუ ა-მ თანხმობა გამოთქვა თხოვების ხელშეკრულებაზე და არა ჩუქებაზე, მაშინ 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მას აქვს გარიგების შეცილების უფლება

ჩვენ მიერ აღნიშნული შემთხვევისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. *falsa demonstratio*, როცა მხარეები შეთანხმდნენ ერთ ხელშეკრულებაზე და სინამდვილეში დადეს სხვა, რაც ამ ხელშეკრულების სახელწოდებიდან ირკვევა. მაგალითად, მხარეებს სურდათ დაედოთ ქირავნობის ხელშეკრულება. გააფორმეს კიდევ იგი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში მათ გაუფორმებიათ იჯარის ხელშეკრულება

შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი (ე.ი. ცდებოდეს მხოლოდ ერთი მხარე) ან ორმხრივი (ე.ი. ცდებოდეს ორივე მხარე).



გარიგების ტიპში შეცდომა არ გულისხმობს მაინცდამაინც შეცდომით სხვა სახის გარიგების დადებას (ჩუქება თხოვების ნაცვლად, ან ქირაუნობა იჯარის ნაცვლად). შეიძლება შეცდომა ერთი გარიგების შიგნითაც. მაგალითად, ა-ს უნდოდა ბ-თვის ერუქებინა 50 ლარი. შეცდომით კონვერტში კი ჩადო 100 ლარი, ე.ი. ა-მ ნაცვლად 50 ლარიანი ჩუქებისა, დადო 100 ლარიანი ჩუქება, ე.ი. არა ის გარიგება, რაზეც მან გამოთქვა თანხმობა.

*ბ. შეცდომა გარიგების შინაარსში.* გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომისაგან განსხვავებით გარიგების შინაარსში შეცდომისას გარიგების მონაწილეს სურს გარიგების დადება და ამიტომ მისი ნება ემთხვევა გამოვლენილ ნებას, მაგრამ სურდა ამ გარიგებაში სხვა აზრი, სხვა შინაარსი ჩაექსოვა, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. შეცდომის არსებობა ამ შემთხვევაშიც ნების გამოვლენის განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს. თუ განმარტების შედეგად არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მიღწეულ იქნეს ნების გამოვლენის მიზანი, მაშინ მოიხსნება გარიგების შეცილების აუცილებლობა.

ამ ტიპის შეცდომები ყველაზე გავრცელებულია მაშინ, როცა გარიგების მონაწილეს უცხო ენის გამოყენება უხდება ან იყენებს ისეთ აღნიშვნებს, რომელთა აზრი მისთვის მთლად ნათელი არ არის, ანდა ხელშეკრულების საგნის დასახელება არასწორად ხდება. გარიგების შინაარსში შეცდომები შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ გარიგების მხარე არასწორად იყენებს სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტს. მაგალითად, ა-ს სურს ვალის თავდებად დაუდგეს ბ-ს გ-ს წინაშე, სინამდვილეში კი გ-თან შეთანხმებით კისრულობს ბ-ს ვალის გადახდას. შინაარსში შეცდომა იქნება მაშინაც, როცა პირი სამართალში აღიარებულ ცნებას სულ სხვა შინაარსს აქსოვს. მაგალითად, ანდერძის ტექსტში „კანონით მემკვიდრის“ ჩაწერა, ოღონდ მასში გულისხმობს არა კანონით განსაზღვრულ მემკვიდრეებს, არამედ საკუთარ დასა და ძმას.

*გ. შეცდომა გარიგების საფუძვლებში.* გარიგების საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას. ამ შემთხვევაში შეცდომის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ გარიგების მხარეები კეთილსინდისიერად ენდობოდნენ ამ გარემოების არსებობას. გარიგების დადების შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ თურმე ეს გარემოებები არ არსებობდა ან არსებობდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მხარეებს წარმოედგინათ. არასწორი წარმოდგენა შეიძლება წარმოიშვას, როგორც გარიგების და-

დების მომენტისთვის სავარაუდოდ არსებული გარემოების, როგორც გარიგების საფუძვლის, ან იმ გარემოებების გამო, რომლებიც მომავალში შეიძლება დადგეს. აღიარებული შეხედულების თანახმად, ამ განსხვავებებს რაიმე პრაქტიკული სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს. ორივე შემთხვევაში შეიძლება გარიგების მიჩნევა ბათილად.<sup>116</sup>

დ. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში არსებით შეცდომად და, მაშასადამე, გარიგების შეცილების საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში. ასეთი შეცდომა გარეგნულად შესაძლოა სრულიად სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს – კონტრაქტის ასაკი, მისი უნარი, პროფესიონალიზმი და ა.შ. იმისთვის, რომ შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში გარიგების გაბათილების საფუძველი გახდეს, სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს. შეცდომა პიროვნების არა ყოველ თვისებაში იწვევს გარიგების ბათილობას, არამედ მხოლოდ ისეთი „პირადი თვისებები ან თვით პიროვნება“, რომელიც გარიგების დადების საფუძველი გახდა. მაგალითად, პაციენტს სურს პლასტიკური ოპერაცია გაიკეთოს ცნობილ ქირურგთან. ოპერაციის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მას ოპერაცია გაუკეთა არა ამ ქირურგმა, არამედ მისმა ასისტენტმა. შეუძლია თუ არა პაციენტს მოითხოვოს გადახდილი ფასის უკან დაბრუნება?

შეცდომა პიროვნებაში უნდა განვასხვაოთ შემოქმედებითი ან სპორტული წარუმატებლობისაგან. მაგალითად, როცა საფეხბურთო კლუბი ყიდულობს თავდამსხმელს და მისგან ბევრი გოლის გატანას მოელის. სინამდვილეში კი ამ ფეხბურთელმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. იქნება თუ არა ეს შეცდომა პიროვნების თვისებებში?

ეს და მათი მსგავსი მაგალითები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთ შეცდომებს ხშირად ძალიან დიდი მატერიალური ზიანი მოჰყვება, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შეცდომის ამ სახეს. ამ საკითხის განხილვისას ხშირად დადგება შეცდომისა და შემოქმედებითი წარუმატებლობის გამიჯვნის პრობლემა. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს განმარტების საფუძველზე. ოღონდ შეცდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გარიგების შეცილების საფუძველი, როცა გარიგება ამ პიროვნების ან მისი პირადი თვისებების გამო დაიდო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ურთიერთობების მო-

<sup>116</sup> Soergel-Hefermehl, §.119, Rn. 65.

ნაწილეთა პირადი თვისებები დიდ როლს თამაშობენ. სანდოობა, გულის-  
ხმიერება, კეთილსინდისიერება, საიდუმლოს შენახვის უნარი – ეს ის  
თვისებებია, რომლებიც საფუძველს ქმნიან კომერციული, განსაკუთრებით  
კი, საკრედიტო ურთიერთობების სტაბილურობისთვის. ბანკი საკრედიტო  
ხელშეკრულებას დებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ გასესხებული ფული-  
დან მოგებას მოელის, არამედ იმიტომაც, რომ მსესხებელს ენდობა და მას  
კრედიტუნარიან პიროვნებად მიიჩნევს, ე.ი. საიმედოობა ამ შემთხვევაში  
ის თვისებაა, რომელიც საფუძველია საკრედიტო ხელშეკრულების დადებ-  
ისთვის. აქედან გამომდინარე, აღიარებული შეხედულების თანახმად, იმ  
საკითხის გადაწყვეტისას, ჩაითვალოს თუ არა პირის ესა თუ ის თვისება  
არსებით თვისებად, მიმართავენ „მოცემული გარიგების ტიპურ ეკონომი-  
კურ მიზანს“.<sup>117</sup>

*გ. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში.* გარიგების შეცილების სა-  
ფუძველი შეიძლება იყოს შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში. ასეთად  
კი მიიჩნევა ის თვისება, რომელიც საფუძველი გახდა საგნის ღირებულე-  
ბის განსაზღვრისათვის. მაგალითად, ხელოვნების მუზეუმი ყიდულობს  
ფიროსმანის ნახატს და ამ მიზნით იხდის ღირძალ ფულს. სინამდვილეში  
აღმოჩნდა, რომ ეს ნახატი ფიროსმანის მიერ კი არაა შესრულებული,  
არამედ წარმოადგენს ასლს. 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,  
მუზეუმს უფლება აქვს მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა.

იყო თუ არა დაშვებული შეცდომა საგნის თვისებებში, შედარებით  
ადვილი დასადგენია: იგი პირდაპირ აისახება საგნის ღირებულებაში.

საგნის ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ნივთი, არამედ უფლებე-  
ბი, მოთხოვნები და ყველა ის სიკეთე, რომელიც შეიძლება იყოს სამოქა-  
ლაქო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი.

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ნივთის  
თვისებად არ მიიჩნევა მისი ჩვეულებრივი ან საბაზრო ფასი.<sup>118</sup>

*გ. შეცდომა უფლებაში.* უფლებაში შეცდომა გულისხმობს პირის არას-  
წორ წარმოდგენას მის მიერ დადებული გარიგების უფლებრივ შედეგებ-  
ზე. კერძოდ, გარიგების დადებისას პირი ცდებოდა და არ ეგონა, თუ მის  
მიერ გარეგნულად გამოხატული ნება ან ამა თუ იმ გამოთქმისთვის  
მინიჭებული მნიშვნელობა ასეთ შედეგებს გამოიწვევდა. მაგალითად, რო-  
ცა სახლის გამყიდველი ყიდის თავის სახლს და ხელშეკრულებაში წერს,

<sup>117</sup> Larenz, AT, S.383.

<sup>118</sup> BGHZ 16, 54, 57; Flume, Rechtsgeschäft, §.24, 2d.

რომ იგი ყიდის. „სახლს მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“, მაგრამ მან არ იცის, რომ ამ გამოთქმით ყიდის მთელ მიწის ნაკვეთსაც, რომელიც ამ სახლის მიწის ნაკვეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ასეთი შეცდომა უნდა ჩაითვალოს გარიგების შეცილების საფუძველად, ვინაიდან სახლის მესაკუთრემ არ იცოდა, რომ „უძრავ-მოძრავ ქონებაში“ იგულისხმებოდა მთლიანად მიწის ნაკვეთიც. ეს რომ სცოდნოდა, ის ამ ხელშეკრულებას არ დადებდა.

უფლებასში შეცდომად არ ჩაითვლება, თუკი სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოცემულ გარიგებას მოსდევს, კანონითაა განსაზღვრული და კანონის საწინააღმდეგო ნორმას აფიქსირებს გარიგების მხარე. მაგალითად ა ყიდის თავის ავტომანქანას ბ-ზე და ხელშეკრულებაში წერს, რომ ის პასუხს არ აგებს ავტომანქანის ნაკლზე, რომლის შესახებ მან იცოდა მანქანის გაყიდვის დროს. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთი შეცდომა შეიძლება იყოს გარიგების შეცილების საფუძველი.

ზ. *შეცდომა მოტივეში*. კონკრეტულ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში, კერძოდ კი, გარიგებების დადებისას მოტივი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარიგების მოტივებს განეკუთვნება ისეთი წარმოდგენები, რომლებსაც გარიგების ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეების შესახებ ან გარიგების საგნის თვისებების თაობაზე.<sup>119</sup> მაგალითად, ა აძლევს ბ-ს სესხს იმიტომ, რომ მას სანდო და კეთილსაიმედო პარტნიორად მიიჩნევს. პირი ყიდულობს „ვეფხისტყაოსნის“ ანტიკვარულ გამოცემას იმიტომ, რომ ის მას ძვირფას ნივთად მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მოტივები ჩვენი მოქმედებების შინაგანი მამოძრავებელი ძალაა, ისინი არ განეკუთვნებიან გარიგების შინაარსს.<sup>120</sup> ამიტომ მხოლოდ შეცდომა მოტივში არ იძლევა შეცილების საფუძველს.<sup>121</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, შეცდომა გარიგების მოტივში არსებით შეცდომად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, შემოწირულობის განხორციელების მოტივი იყო, რომ შემოწირული თანხა უნდა მოხმარებოდა ლტოლვილებს. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს თანხა გამოყენებულ იქნა სრულიად სხვა ჰუმანიტარული მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში მოტივი შეიძლება ჩავთვალოთ შეთანხმების საგნად და შეწირულობის განხორციელებელს მივცეთ უფლება საცილო გახადოს გარიგება.

<sup>119</sup> Tuhr. v. Bd. 2/1. S.37.

<sup>120</sup> Tuhr. v. Bd. 2/1. S.37.

<sup>121</sup> Larenz. AT, S. 378.

როგორც წესი, გარიგების მოტივის საკითხი დაკავშირებულია ან გარიგების კონტრაქტის პიროვნებასთან ან გარიგების საგნის ძირითად თვისებებთან. ამიტომ ხშირად რთულია იმის გამოიყენა, თუ როდის გვაქვს შეცდომა გარიგების მოტივში და როდის შეცდომა პიროვნების ან საგნის ძირითად თვისებებში.

*თ. შეცდომის გამო გარიგების შეცილების წინაპირობები.* შეცდომით დადებული გარიგებები საცილო გარიგებათა კატეგორიას განეკუთვნება. როგორც ყველა საცილო გარიგებას, მასაც ერთი თავისებურება ახასიათებს: საცილო გარიგება ითვლება ნამდვილად მანამდე, ვიდრე დაინტერესებული პირი არ მოითხოვს მის გაბათილებას. შეცდომით დადებული გარიგებების შეცილებას ახასიათებს თავისებურებები, რომლებიც ამ გარიგების სპეციფიკიდან გამომდინარეობს:

1. გარიგების საფუძვლად არსებული შეცდომა უშუალო მიზეზი უნდა იყოს გარიგების დადებისათვის. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ პირი არ დადებდა მოცემულ გარიგებას, რომ მას არასწორი წარმოდგენა არ ჰქონოდა გარიგებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამო. მაგალითად, ჩუზუემს რომ სცოდნოდა, რომ იგი ფიროსმანის ნახატს კი არ ყიდულობდა, არამედ ამ ნახატის ასლს, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა. ამავე დროს, ეს შეცდომა ობიექტურ საფუძვლებსა და წინაპირობებს უნდა ემყარებოდეს. თუ ეს საფუძვლები და წინაპირობები აშკარა ექვს ბადებდნენ გარიგების საგნის ან სხვა ძირითადი თვისების გამო, შეიძლება ნების გამოვლენა შეცდომად არ ჩაითვალოს. მაგალითად, თუ პირი ფიროსმანის ნახატს ყიდის 500 ლარად მაშინ, როცა მისი ნამდვილი ფასი რამდენიმე ათას ლარს შეადგენს, ამას მყიდველში უნდა გამოეწვიო ეჭვი. სინამდვილეში იყო შეცდომა თუ პირის დაუდევრობამ გამოიწვია გარიგების დადება, კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. თუ შეცდომა გამოიწვია პირის დაუდევრობამ, მაგრამ გარიგება მაინც იქნა ბათილად ცნობილი, მაშინ ბრალეულ პირს დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს მიადგა გარიგების ბათილობის შედეგად.

2. შეიძლება გარიგების დადების საფუძველი იყოს შეცდომა, მაგრამ თუ გარიგების მეორე მხარე თანახმაა ისე შეასრულოს გარიგება, როგორც ეს შეცდომის დამშვებ მხარეს სურს, მაშინ არ დაიშვება გარიგები. შეცილება და მისი გამოცხადება ბათილად (მუხლი 77-ე). როცა „ვეფხისტყაოსნის“ გამყიდველმა წიგნი ნაცვლად 1000 ლარისა გაყიდა 100

ლარად, მას შეუძლია საცილო გახადოს გარიგება, მაგრამ თუ მყიდველი თანახმაა გადაიხადოს „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემაში 1000 ლარი, მაშინ 77-ე მუხლის თანახმად გამყიდველს არა აქვს უფლება მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

3. კანონი გარიგების შეცილების უფლებას იძლევა მხოლოდ არსებითი შეცდომების არსებობისას. ხოლო რაც შეეხება „წერილმან შეცდომებს გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში“, იგი მხოლოდ ამ შეცდომის გამოსწორების უფლებას იძლევა და არა გარიგების გაბათილების მოთხოვნის უფლებას. მაგალითად, თუ „ვეფხისტყაოსნის“ გამყიდველი ნაცვლად 1000-ისა შეცდომით გაყიდა 1100 ლარად, მყიდველს უფლება ექნება მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი 100 ლარის უკან დაბრუნება, მაგრამ არა გარიგების ბათილობა. თუმცა საკითხი, თუ რა უნდა ჩაითვალოს „წერილმან შეცდომად“ ფაქტის საკითხია და უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის განხილვისას.

შეცდომით დადებული გარიგების შეცილება გარიგებაა. იგი წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, ოღონდ მას ნამდვილობისთვის მეორე მხარის მიერ ამ ნების გამოვლენის მიღება სჭირდება. რაიმე სპეციალურ ფორმას ამ ნების გამოვლენისთვის კანონი არ ითვალისწინებს. მაგრამ აუცილებელია, რომ შეცილების უფლების მქონემ გარკვევით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს. მაგალითად, მალაზიის გამყიდველმა უნდა აცნობოს მყიდველს, რომ მან „ვეფხისტყაოსანი“ შეცდომით მიჰყიდა 100 ლარად.

შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება აქვს იმ პირს, რომლის ნების ნაკლის გამო დაიღო გარიგება. წარმომადგენლის ნების ნაკლი (მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გამყიდველი მალაზიის თანამშრომელი) შეცილების უფლებას აძლევს წარმოდგენილ პირს (მალაზიას). ხოლო ამ შეცილების მოპასუხედ ჩაითვლება ყველა პირი, რომელიც მონაწილეობს ამ გარიგებაში და შეცდომის წყალობით მიიღო გარიგებისაგან სამართლებრივი სარგებელი.

#### *IV. მოტყუებით დადებული გარიგებანი*

ნების გამოვლენის თავისუფლება შეიძლება ხელყოფილ იქნეს არა მხოლოდ გარიგების მონაწილის შეცდომით, არამედ გარიგების კონტრაქტის შეგნებული განზრახვი მოქმედებით — მოტყუებით. მოტყუებად

ითვლება შეცდომის განზრახი (შეგნებული) გამოწვევა.<sup>122</sup> ქართლთა, ორივე შემთხვევაში ჩვენს წინაა ნების ნაკლი, რომელიც გარიგების შეცილების საფუძველს იძლევა. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შეცდომის შემთხვევაში ნების ნაკლის წყარო თვითონ ნების გამოძვლების პიროვნებაშია, მის მიერ არასწორად განხორციელებულ ქმედებაში ან გარემოებათა არასწორ შეფასებაშია. მოტყუებას კი საფუძველად უდევს გარიგების პარტნიორის შეგნებული მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ნების გამოძვლების შეყვანას შეცდომაში. ამიტომ, განსხვავებით შეცდომით დადებული გარიგებისაგან, რომლის დროსაც შეცილების უფლება მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული, მოტყუების დროს დაზარალებულ მხარეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. კანონი ამისთვის ერთადერთ წინაპირობად მოითხოვს, რომ მოტყუება ედოს საფუძველად გარიგების დადებას, კერძოდ, 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. მაგალითად, როცა ნახატიც გამყიდველმა იცის, რომ ეს ნახატი არ არის ორიგინალი, მაგრამ ამტკიცებს, თითქოს იგი ფიროსმანის შესრულებული იყოს. გამყიდველის მიერ მოხმობილი მტკიცებულებები მყიდველს დამაჯერებლად მიაჩნია და ყიდულობს ყალბ სურათს. ამ დროს უდავოა, რომ სწორედ გამყიდველის მიზანმიმართული მოქმედება გახდა საფუძველი გარიგების დადებისათვის.

მოტყუება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში, არამედ იმ მონაცემების დამალვაში, რომლებიც გარიგების მხარეს უნდა შეეტყობინებინა მეორე მხარისთვის. მაგალითად, ნივთის გამყიდველი ვალებულია მყიდველს აცნობოს ნივთის მისთვის ცნობილი ნაკლის შესახებ. ამ ნაკლის დამალვა (ე.ი. კანონით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა) შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად და ამ საფუძველით გარიგება ბათილად იქნეს ჩათვლილი.

უნდა დავეთანხმოთ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ მოტყუება შესაძლებელია იყოს მხოლოდ განზრახვი ქმედობა. ამიტომ გამოთქმული კრიტიკა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაუფრთხილებლობით მოტყუების შესაძლებლობასაც უშვებენ, სამართლიანად მიმაჩნია.<sup>123</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოტყუებით დადებული გარიგებების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „განზრახვი

<sup>122</sup> Medicus, Dieter. Allgemeiner Teil des BGB. 1982. Rn. 788.

<sup>123</sup> ზოიძე ბ., გარიგებანი საქართველოს მოქალაქე სამოქალაქო კოდექსში. სამართლის რეფორმა საქართველოში. 1994, გვ. 289.

მოტყუება“ (§. 123 1). თუმცა ამით კანონმდებელს სურს გამოხატოს იმის შესაძლებლობა, რომ მოტყუება შეიძლება განხორციელდეს გაუფრთხილებლობითაც.<sup>124</sup>

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს ეხება თუ სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გარიგების მონაწილის ნებაზე.

გარიგების ბათილობის მოთხოვნისათვის არაა სავალდებულო, რომ გარიგების მხარეს მიზნად ჰქონოდა მეორე მხარისთვის ზიანის მიყენება ან თვითონ რაიმე სარგებლის ნახვა (თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ყოველთვის არსებობს). 82-ე მუხლი უსწორო ცნობების შეტყობინების მოტივს სამართლებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ცხოვრებაში არის შემთხვევები, როცა არასწორი ცნობები უშუალოდ გარიგების მონაწილიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მესამე პირისაგან, მაგრამ მონაწილემ იცის ამის შესახებ. მაგალითად, ბინის მაკლერმა იცის, რომ სახლს, რომლის გაყიდვასაც ის შუამავლობს, ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მაგრამ მყიდველს ამის შესახებ არაფერს ეუბნება. არც გამყიდველი იჩენს დიდ ინიციატივას. სამაგიეროდ ავარიული სახლის გაყიდვით ის დიდ სარგებელს ნახულობს. სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლი ასეთ დროს უფლებას აძლევს დაზარალებულს მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საცილო გარიგებებთან, ე.ი. ისეთ გარიგებებთან, რომლებიც ნამდვილია მანამდე, ვიდრე მისი მონაწილეები არ მოითხოვენ ამ გარიგების გაბათილებას.

როგორც წესი, მოტყუება შეცდომის საფუძველია. ამიტომ შეცდომით გარიგების დამდები პირი შეიძლება იმავდროულად მოტყუებულიც იყოს. ეს უკანასკნელი ამ დროს ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდება: რა საფუძველით მოითხოვოს გარიგების ბათილობა — შეცდომის თუ მოტყუების? ეს უკანასკნელი საფუძველი შეცილების უფლების მქონე პირისთვის უფრო ხელსაყრელი და მისაღებია: ა. შეცილების უფლების ვადა შეადგენს ერთ წელს მაშინ, როცა შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილების ვადა შეადგენს ერთ თვეს (79-ე მუხლის პირველი ნაწილი); ბ.

<sup>124</sup> Staudinger/Dilcher, § 123, Rn 22.



შეცდომით დადებული გარიგების შეცილების დროს შეცილების უფლების მქონეს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, თუ შეცდომა მას დაუდევრობის გამო მოუვიდა (79-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შეცილება ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს, ე.ი. შეცილების უფლების მქონე უფრო დაცული და გარანტირებულია.

უფლებათა კონკურენცია შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ შეცდომასა და მოტყუებას შორის, არამედ მოტყუებასა და შეცილების ვალდებულებით სამართლებრივ საფუძველს შორის. კერძოდ, ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა შეიძლება მოთხოვილ იქნეს, როგორც მოტყუებით დადებული გარიგებებისათვის გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული წესების მიხედვით.

როცა მოტყუებით დადებულ გარიგებას გარიგების მონაწილეთათვის ზიანი მოჰყვა, ამ ზიანის ანაზღაურება მას შეუძლია მოითხოვოს როგორც მოტყუების ნორმების საფუძველზე, ასევე ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისას) დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე.

## *V. იძულებით დადებული გარიგებანი*

ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებების ყველაზე მძიმე და ყველაზე მკაცრ ფორმას წარმოადგენს იძულებით დადებული გარიგებანი. განსხვავებით მოტყუებისაგან, იძულებას შედეგად შეცდომა კი არ მოჰყვება, არამედ ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება: პირმა იცის რეალური ვითარება. აქედან გამომდინარე, ის წინააღმდეგია გარიგების დადების, მაგრამ მას გარეგანი ზემოქმედების შედეგად აიძულებენ, რომ დაეთანხმოს შემოთავაზებულ წინადადებას. ნება ნაკლულად ჩაითვლება იმიტომ, რომ იგი არ შეესაბამება მის გარეგნულ გამოხატულებას და განსხვავებით შეცდომის ან მოტყუებისაგან, პირმა იცის ამის შესახებ.

იძულება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. ერთ შემთხვევაში შეიძლება იგი არსებობდეს ფიზიკური ზემოქმედების ფორმით, მაგალითად, როცა პირს ძალადობით მოაწერინეს ხელი ხელშეკრულებაზე. სხვა შემთხვევაში ის შეიძლება იყოს როგორც ფარული, ასევე აშკარა მუქარის სახით. მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც პირადად კონკრეტულ პირზე, ასევე მის ქონებაზე. არსებობს შემთხვევები, როცა

მუქარა მიძართულია ოჯახის წევრების ან სხვა ნათესავების მიმართ.

მართალია, 85-ე მუხლის თანახმად იძულებით ან იძულების მუქარით დადებული გარიგებების შეცილების უფლება აქვს ხელყოფილ პირს, მაგრამ თვით იძულების საშუალებები და მიზნები შეიძლება იმდენად განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან, რომ არ არის გამორიცხული ეჭვის დაბადება – რამდენად სწორი იქნებოდა ბათილობის მოთხოვნა. მაგალითად, კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან ვერაფრით ვერ დაიბრუნა თავისი ვალი, ემუქრება, რომ, თუ ღროზე არ დააბრუნებს ფულს, უჩივლებს მას სასამართლოში; იგივე კრედიტორი ემუქრება მოვალეს, რომ თუ არ დააბრუნებს იგი ვალს, მოსტაცებს შვილს. როგორ უნდა გადაწყდეს ეს შემთხვევები?

გაფრთხილება, რომ კრედიტორი მოვალეს უჩივლებს სასამართლოში, ფორმალურად მოვალისთვის ასევე მუქარაა. მაგრამ ის, რასაც კრედიტორი მოვალისაგან მოითხოვს, კანონიერია (სურს საკუთარი ფულის დაბრუნება). ამგვარი დისონანსის შესაძლებლობა სამოქალაქო კოდექსს არ გამორჩენია. ამიტომაც განამტკიცებს 88-ე მუხლში, რომ „იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით“. კანონის ეს მოთხოვნა კუმულატიურია, ე.ი. მიზანიც და მისი მიღწევის საშუალებაც მართლზომიერი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებები ჩაითვლება იძულებად და გამოიწვევს 85-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს. მაშასადამე, უნდა დაზუსტდეს, თუ რა ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო საშუალებად და მართლსაწინააღმდეგო მიზნად.

„მართლსაწინააღმდეგობა არსებობს მაშინ, როცა მუქარა ხორციელდება აკრძალული საშუალებებით, როცა მუქარის საშუალება მართლსაწინააღმდეგოა“.<sup>125</sup> სასამართლოში მიმართვა თავდაცვის მართლზომიერი საშუალებაა. ამიტომ პირველ შემთხვევაში კრედიტორის მოქმედება არ ჩაითვლება მუქარად. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ კრედიტორის მიერ არჩეული საშუალება – მოვალის ბავშვის გატაცება – აშკარად მართლსაწინააღმდეგოა და უეჭველია, რომ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მუქარად.

თუ საშუალებების მართლზომიერების საკითხის განხილვა შედარებით იოლია, გაცილებით უფრო რთულია მიზნის მართლზომიერების დად-

<sup>125</sup> Medicus, AT des BGB. Rn. 816.

გენა. ზოგი სახის მიზნის განხილვისას მისი მართლწინააღმდეგობა ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, როცა პირს ემუქრებიან, რომ თუ ის მონაწილეობას არ მიიღებს დანაშაულის ჩადენაში, დაასმენენ პოლიციაში. ამ შემთხვევაში მუქარის მიზანი არის პირის ჩათრევა დანაშაულის ჩადენაში. იმ შემთხვევაში, როცა მოწმე განსასჯელისაგან მოითხოვს ფულს, თორემ სასამართლოს მისცემს სწორ ჩვენებას, მიზანი შეიძლება შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, მუქარად. თუ რამდენად მართლზომიერია მიზანი, კონკრეტული ფაქტის საკითხია და მოსამართლემ საქმის განხილვისას უნდა შეაფასოს იგი.

არა-მხოლოდ მიზნისა და საშუალების მართლზომიერებას მოითხოვს კანონი, არამედ მათ ურთიერთშესაბამისობასაც. როცა კრედიტორი მოვალეს ემუქრება, რომ ვალის დასაბრუნებლად მიმართავს სასამართლოს; მიზანიცა და საშუალებაც ერთმანეთს შეესაბამება. მაგრამ როცა კრედიტორი ემუქრება პროკურატურაში მიმართვით და სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, შეიძლება მიზნისა და საშუალების ურთიერთშესაბამისობის პრობლემა დადგეს.

მუქარის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილებისას აუცილებელია, რომ მუქარასა და გარიგებას შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, კანონის თანახმად, არ არის სავალდებულო, რომ იძულება გარიგების მონაწილისაგან მოდიოდეს. იგი შეიძლება მომდინარეობდეს მესამე პირისაგან.

## §12. ბათილი გარიგების სახეები

გარიგება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. მაგრამ გარიგების მონაწილეების მიერ არჩეული საშუალებები ან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები ხშირად არ არის სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ადეკვატური და ეკვივალენტური. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი ნების გამოვლენა (გარიგება) იწვევს დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი – არა. ამ განსხვავებათა აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს *ნამდვილი გარიგებისა და ბათილი გარიგების ცნებებს. ნამდვილად ითვლება ისეთი გარიგება. რომელიც იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. გარიგება მიიჩნევა ბათილად. თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული*

მიზანი იმის გამო: რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედობას სამართლებრივად უეარგისად მიიჩნევს. მაგალითად, თუ სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის სანოტარო წესით გაფორმებული, ხოლო შემძენი — საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ასეთი ნასყიდობა მიიჩნევა ბათილად.

იმის გამო, რომ გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები ან გამოსწორების (ე.ი. ვარგისიანობის მოპოვების) შესაძლებლობები სხვადასხვაა, კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ბათილობის სხვადასხვა ფორმებს. ისეთ გარიგებებს, რომლებიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, კანონი უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებას უწოდებს (61-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარიგება მთლიანობაში შეიძლება იყოს ნამდვილი, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი იყოს სამართლებრივად უეარგისი. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო სამართალი ნაწილობრივად ბათილი გარიგებების კატეგორიას განაკუთვნებს (მუხლი 62-ე). სამოქალაქო კოდექსი ასევე იცნობს გარიგებებს, რომლებიც დადების მომენტშივე ბათილია (მაგალითად, 63-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუკი უფლებამოსილი პირი მოიწონებს მათ. მსგავს გარიგებებს შეიძლება მერყეოდ ბათილი გარიგებები ვუწოდოთ. ასეთი გარიგებების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებების ზოგი შემთხვევა.

ბათილი გარიგებების მეორე ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომლებიც დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცილების (ე.ი. მისი გაუქმების მოთხოვნის) შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას, ე.ი. იქცევა ბათილად. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო კოდექსი საცილო გარიგებებს უწოდებს. სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე გარიგებათა ერთ კატეგორიას, რომელიც მთლიანობაში კი არის ნამდვილი, მაგრამ კონკრეტული პირის ან პირების მიმართ მათ იურიდიული ძალა არა აქვთ. ასეთ გარიგებებს შეიძლება ვუწოდოთ ფარდობითად ბათილი გარიგებები. მაგალითად, სპს-ის პარტნიორების ურთიერთშეთანხმება, რომ ისინი გამორიცხავენ ერთ-ერთი თანაპარტნიორის პასუხისმგებლობას, შეიძლება მათთვის იურიდიული ძალის მქონე იყოს, მაგრამ მესამე პირების, ე.ი. საზოგადოების კრედიტორების მიმართ მას იურიდიული ძალა არა აქვს.

ბათილი გარიგების სახეების ეს ჩამონათვალი, მართალია, მთლიანობაში ასახავს იურიდიული ძალის არმქონე გარიგებათა სამართლებრივ

ბუნებას, მაგრამ არ იძლევა პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც ბათილი გარიგების განხილვისას წამოიჭრება. ამის შესაძლებლობას მოგვცემს ბათილი გარიგების კონკრეტული სახეების საფუძვლიანი განხილვა.

## I. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი

არარა გარიგებები ბათილი გარიგების ყველაზე მკაცრი და კატეგორიული ფორმაა. ამ გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დადგება არც გარიგების უშუალო მონაწილეების მიმართ და არც მესამე პირთათვის. ასეთი გარიგება დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას. ამჟამად დროს, ასეთი გარიგების აღიარებისთვის ბათილად არ არის საჭირო არც შეცილება, არც ამ გარიგების ბათილობის მოთხოვნა ანდა სასამართლოს მიერ მისი მიჩნევა ბათილად. ამით განსხვავდება იგი მერყევად ბათილი გარიგებისაგან, რომელიც, მართალია, დადებისთანავე ბათილია, მაგრამ დამატებითი მოქმედებით (მაგალითად, კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობა) შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად.

როცა გარიგების ბათილობაზე ვსაუბრობთ და, კერძოდ, ვეხებით არარა გარიგებებს, ის არ უნდა იქნეს გაგებული იქ. „ნულად“, „განუხორციელებელ მოქმედებად“.<sup>126</sup> მართალია, გარიგება არარაა, მაგრამ რეალურად იგი განხორციელებული აქტია. ამიტომ, ცხადია, რომ ის, როგორც ქმედობა, სამართლებრივ შედეგებს იწვევს, მაგრამ არა იმ შედეგებს, რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ. უდავოდ სწორია ლარენცი, როცა ამბობს, რომ „განხორციელებული აქტი, როგორც ასეთი, შეუძლებელია სამართალმა უყურადღებოდ დატოვოს“.<sup>127</sup> არარა გარიგების სამართლებრივი შედეგი იქნება. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების დაკისრება ანდა გარიგებით მიღებულის უკან დაბრუნება და ა.შ. ბუნებრივია, რომ ეს არაა ის შედეგი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებს ჩაფიქრებული ჰქონდათ.

მართალია, არარა გარიგება დადებისთანავე ბათილია და მისი გასწორება მხარეებს არ შეუძლიათ, მაგრამ კანონი მაინც ითვალისწინებს

<sup>126</sup> Flume, Rechtsgeschäft, S.547-548; Larenz, AT, S. 455.

<sup>127</sup> Larenz, AT, S. 455.

შესაძლებლობას, რომ გარიგების მხარეებმა სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიონ დასახულ მიზნებს. სამოქალაქო კოდექსი გარიგების მონაწილეთა ამ შესაძლებლობას „დადასტურებას“ უწოდებს (მუხლი 61-ე). ოღონდ ეს დადასტურება არარა გარიგებას კი არ ასწორებს, ე.ი. მას კი არ აქცევს ნამდვილად, არამედ ნიშნავს ახალი გარიგების დადებას. მაგალითად, თუ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებმა სანოტარო წესით არ დაამოწმეს და რეგისტრაციაში არ გაატარეს საჯარო რეესტრში, ასეთი ხელშეკრულება დადებისთანავე ბათილია. მაგრამ თუ მხარეები თანახმანი არიან დადონ ეს ხელშეკრულება და ადასტურებენ მას, ეს ნიშნავს, რომ მათ ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დაამოწმონ და გაატარონ რეგისტრაციაში. ამ დადასტურების შედეგად გარიგება ნამდვილი იქნება არა ძველი გარიგების დადების დროიდან, არამედ მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებისა და რეგისტრაციის მომენტიდან, ე.ი. ფაქტობრივად დაიღო ახალი გარიგება, ე.ი. კანონი არარა გარიგების „გამოსწორების“ შესაძლებლობას იძლევა გარიგების კვლავ დადების უფლების მინიჭებით. მაგრამ ესეც დამოკიდებულია გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლის სამართლებრივ ხასიათზე. თუ გარიგება არარად ბათილად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ მისი შინაარსია კანონსაწინააღმდეგო, ბუნებრივია, კანონსაწინააღმდეგო შინაარსით გარიგების დადასტურების მცდელობას კვლავ მოჰყვება გარიგების ბათილობა. ამიტომაც აზუსტებს სამოქალაქო კოდექსი, რომ დადასტურება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა გარიგება (რომლის დადასტურებაც მხარეებს სურთ) არ ეწინააღმდეგება ზნეობისა და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს (61-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

არარა გარიგების დადასტურება მხარეების მიერ, მართალია, არ იწვევს გარიგების გადაქცევას ნამდვილად, ე.ი. მისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას ამ გარიგების პირველად დადების მომენტიდან, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ გარიგებით მოსალოდნელი სარგებელი ერთმანეთს პირველი გარიგების დადების დროიდან მიანიჭონ. თუკი ისინი ამას გამოკვეთით არ გამოამჟღავნებენ და ამის გამო წარმოიშობა ეჭვი (მაგრამ მხარეები ადასტურებენ გარიგებას), მაშინ კანონი აკისრებს მათ ვალდებულებას, რომ გადასცენ ერთმანეთს ყველაფერი, რასაც ისინი გარიგებისაგან მიიღებდნენ, რომ გარიგება პირველად დადებისთანავე ნამდვილი ყოფილიყო (61-ე მუხლის მე-4 ნაწილი). კონკრეტული მაგალითის მოხმობა თვალსაჩინოდ აქცევს ამ ნორმის სამართლიანობას: ა-მ 10 იანვარს მიჰყიდა ბ-ს საკუთარი ბინა, რომელიც გაქირავებული იყო გ-ზე. ა-სა და ბ-ს შორის

დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება მათ სანოტარო წესით არ გაუფორმებიათ და არც საჯარო რეესტრში გაუტარებიათ რეგისტრაციაში. ეს მათ მხოლოდ ათი თვის შემდეგ გააკეთეს, როცა შეიტყვეს, რომ სანოტარო წესით დადასტურებამდე და მის რეგისტრაციამდე ბ არ ითვლებოდა ბინის მესაკუთრედ. ამ დროის განმავლობაში ბინის დამქირავებელი გ ბინის ქირას უხდიდა ბ-ს, ვინაიდან იგი მას ახალ მესაკუთრედ თვლიდა. ა-მ მოითხოვა დამქირავებლის მიერ ბ-ს სასარგებლოდ გადახდილი ქირის გადაცემა მისთვის, როგორც რეგისტრირებული მესაკუთრისათვის. თუ სამოქალაქო კოდექსში არ იქნებოდა 61-ე მუხლის მე-4 ნაწილი, მაშინ ა-ს მოთხოვნა იქნებოდა კანონიერი და ის მიიღებდა ბინის ახალი შემქმნის კუთვნილ თანხას. ეს ერთი პატარა მაგალითი ადასტურებს იმას, თუ რამდენად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ნორმებს ცხოვრებაში.

## *II. ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი*

ცხოვრებაში არცთუ იშვიათად ხდება, როცა მხარეები ძირითადად სწორად აფორმებენ გარიგებას, მაგრამ მისი რომელიმე ნაწილი არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ დროს ბუნებრივად დაიბადება კითხვა: გარიგება მთლიანად იქნება ბათილი თუ საკმარისია მხოლოდ მისი ერთი ნაწილის აღიარება იურიდიული ძალის არმქონედ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მრავალი პრობლემა წამოიყვანს თავს: რა უნდა ჩაითვალოს გარიგების ნაწილად? როგორი ხასიათის შეიძლება იყოს ნაკლი, რომელიც გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე და ა.შ.? სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუკი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.

იმისთვის, რომ შეგვეძლოს გარიგების ნაწილის ბათილობაზე საუბარი, აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთიანი გარიგება, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ამ ნაწილების გამოცალკევება და მათი განხილვა, ასევე იმის დადგენა, თუ რომელი ნაწილია ბათილი და შეუძლია თუ არა ამ ნაწილის ბათილობას გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა. მაგალითად, როცა მომავალი პარტნიორები შპს-ის წესდებას ადგენენ და მას ხელს აწერენ, ისინი ამით ღებენ გარიგებას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. თუ ამ

წესდებაში ისინი ჩაწერენ, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 500 ლარს (ე.ი. კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლებს), ფორმალურად ეს იქნება გარიგების ერთი ნაწილი, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად გარიგების ბათილობას იწვევს: შპს-ს არ შეიძლება ჰქონდეს საწესდებო კაპიტალი იმაზე ნაკლები, რასაც კანონი ითვალისწინებს. თუ წესდებაში ჩაიწერება, რომ შპს-ს პარტნიორს არა აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება, ესეც ფორმალურად იქნება გარიგების ერთი ნაწილი, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად გარიგების ბათილობას კი არ გამოიწვევს, არამედ მხოლოდ ამ ნაწილის — კანონით დაუშვებელია პარტნიორისათვის წილის გასხვისების უფლების აკრძალვა.

არის შემთხვევები, როცა გარიგების მონაწილეები მთლიანად გარიგების ბათილობას მოითხოვენ, თუკი ამ გარიგების რომელიმე ნაწილი იქნება ბათილად მიჩნეული. ჩვენს მაგალითში პარტნიორები შპს-ის დაფუძნებას აპირებდნენ მხოლოდ მაშინ, თუ პარტნიორებს არ მიეცემოდათ წილის გასხვისების უფლება. ამიტომ, თუკი ეს შეთანხმება ბათილად იქნება მიჩნეული, ისინი თანახმანი არიან უარი თქვან მთლიანად გარიგებაზე (საზოგადოების დაფუძნებაზე). მაშასადამე, ნაწილობრივად ბათილი გარიგებების განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება გარიგების მონაწილეთა სურვილსაც.

საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ერთიანი გარიგება, რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგება და იწვევს თუ არა ამ ნაწილების ბათილობა მთლიანად გარიგების ბათილობას, სურთ თუ არა გარიგების მონაწილეებს მთლიანად გარიგების ბათილობა, თუ თანახმანი არიან მხოლოდ ერთი ნაწილის ბათილობაზე, უნდა დადგინდეს განმარტების საფუძველზე. ამიტომ ნაწილობრივად ბათილი გარიგებების განხილვისას განმარტებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს, ითვალისწინებენ თუ არა გარიგების მონაწილეები იმის შესაძლებლობას, რომ გარიგების ერთი ნაწილის ბათილობამ არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა. ამის კარგი მაგალითია სამეწარმეო საზოგადოებათა წესდებებში განმტკიცებული დებულება, რომ წესდების ამა თუ იმ ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. თუ გარიგებაში ასეთი წესი არ არის გათვალისწინებული, მაშინ ეს გარიგების ხარვეზს წარმოადგენს და იგი ასევე განმარტების საფუძველზე უნდა შეივსოს. მნიშვნელოვანი ამ დროს ისაა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ პარტნიორები არსებული გარემოებებიდან გამომდინარე: ა. შეცვლიდნენ გარიგების ბათილ ნა-



წილს და მთლიანად გარიგებას დატოვებდნენ ძალაში (გააუქმებდნენ იმ წესს, რომელიც წილის გასხვისებას კრძალავს), თუ ბ. უარს იტყობდნენ მთლიანად გარიგებაზე.

ნაწილობრივად ბათილი გარიგების განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე საკითხი, თუ რამდენად არსებითია გარიგებისთვის ის ნაწილი, რომელიც ბათილად იქნა მიჩნეული. გონიერულია თუ არა მის გამო მთლიანად გარიგების აღიარება ბათილად? თუ გარიგება მხარეების მიერ უკვე განხორციელებულია და აღმოჩნდა, რომ მისი ერთი ნაწილი თურმე ბათილი ყოფილა, რამდენად მართებული იქნებოდა მთლიანად გარიგებისთვის გვეთქვა უარი? ეს საკითხთა ის მცირე ჯგუფია, რომლებიც განმარტების დროს უნდა გადაწყდეს.

ნაწილობრივად ბათილი გარიგების შეფასებისას არა მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნებაა მნიშვნელოვანი. როცა კანონი ამბობს გარიგების დადების შესაძლებლობაზე მისი ბათილი ნაწილის გარეშე, იგულისხმება, რომ ეს ნაწილი არ უნდა იყოს ისეთი, რომ მთელი გარიგების ბათილობა გამოიწვიოს. ესეც კონკრეტული ფაქტის საკითხია, თუ როგორი ხასიათისაა ამ ნაწილის ბათილობა.

### III. მერყევად ბათილი გარიგებანი

გარიგებათა ერთი ჯგუფი შეიძლება დადებისთანავე იყოს ბათილი, ვინაიდან ასეთ გარიგებებს ნამდვილობისთვის აკლიათ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი წინაპირობა. არარა გარიგებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგების დადებისას დაშვებული შეცდომა ან ნაკლი გამოასწორონ და ამით გარიგებას ვარგისიანობა მიანიჭონ. ასეთ შესაძლებლობას მათ კანონი ანიჭებს. ამის გამო შეგვიძლია ჩვენ ამ ტიპის გარიგებებს *მერყევად ბათილი გარიგებები* ვუწოდოთ. მერყევად ბათილ გარიგებებს მიეკუთვნება არასრულწლოვანის მიერ დადებული თითქმის ყველა გარიგება (63-ე მუხლის პირველი ნაწილი; 64-ე მუხლის პირველი ნაწილი; მუხლი 66-ე; მუხლი 67-ე), ასევე გარიგებები, რომლებიც ნამდვილობისათვის საჭიროებენ მესამე პირის ან რომელიმე სახელმწიფო უწყების თანხმობას (მუხლი 99-ე მე-3 ნაწილი; მუხლი 102-ე) და შესაძლებელია ამ თანხმობათა მიღება.

ამ სახის გარიგებათა „მერყეობა“ იმაში გამოიხატება, რომ ისინი მერყეობენ ნამდვილობასა და ბათილობას შორის: თუ შესრულდება კანო-

ნით გათვალისწინებული მოთხოვნა (მაგალითად, გასცემენ თანხმობას), გარიგება იქნება ნამდვილი; თუ მხარეები ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, მაშინ გარიგება იქნება ბათილი და ის დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. ე.ი. გარიგება მერყეობს ნამდვილობასა და ბათილობას შორის.

მართალია, მერყევად ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ შეიძლება წარმოეშვათ უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, როცა ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის საქართველოდან ისეთი საქონლის გატანაზე, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო ორგანოს თანხმობას ექსპორტზე, მართალია, ამ თანხმობის მიღებამდე ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ იგი შეიძლება მხარეებს აკისრებდეს, რომ მოიპოვონ ასეთი თანხმობა.

მერყევად ბათილი გარიგებების დახასიათებისას დაიბადება კითხვა, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ასეთი გარიგება ნამდვილად: როცა იგი დაიდო, თუ როცა შესრულდა კანონით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნა? კანონი სხვადასხვა ადგილას განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს. ამიტომ ერთიანი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. მაგალითად, 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) აქვს უკუქცევითი ძალა გარიგების დადების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თანხმობის (მოწონების) მიღების მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა მხარეებმა გარიგება დადეს. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება კანონით იყოს დადგენილი ან მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებდეს სხვა წესს. მაგალითად, იმავე ნასყიდობის შემთხვევაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვლება მხოლოდ სახელმწიფოსაგან ლიცენზიის მიღების შემდეგ.

#### *IV. საცილო გარიგებანი*

ზემოთ განხილული გარიგებებისაგან განსხვავებით საცილო გარიგებები დადების მომენტში ნამდვილია. ოღონდ მისი ბედი დამოკიდებულია იმაზე, გასაჩივრებს (შეეცილება) თუ არა გარიგების მხარე (ან უფლებამოსილი პირი) ამ გარიგებას. თუ ეს მოხდა, მაშინ გარიგება დადების მომენტიდანვე ჩაითვლება ბათილად. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ის შედეგი, რაც გარიგების მონაწილეებმა გარიგების დადებით მიიღეს, შეცი-

ლების შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას. საცილო გარიგება შეცილების გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან. ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი ამ გარიგებებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ზოგად ნაწილში მათ ცალკე გამოყოფს. საცილო გარიგებათა ეს სახეები იმაგდროულად განეკუთვნება ნების ნაკლის გამო დადებულ გარიგებებს. ამიტომ მათი სპეციფიკური ასპექტები დეტალურად განხილულია ნების ნაკლის მოძღვრებისადმი მიძღვნილ თავში.

შეცილება ანუ უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული მოქმედება, რომელიც იწვევს გარიგების ბათილობას, ცალმხრივი გარიგების ნიშნშიცაა. მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებებით და იგი შეიძლება საფუძველი გახდეს სხვა გარიგებათა აღიარებისათვის ბათილად.

გარიგების შეცილება, როგორც წესი, ხორციელდება შეცილების შესახებ განცხადების გაკეთებით. ამის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. გარიგების ბათილად ცნობისათვის აუცილებელი არაა სასამართლოში ან სხვა ორგანოში მიმართვა. შეცილება საკმარისია გარიგების მონაწილე მეორე მხარის მიმართ. ასეთი მოქმედება (ე.ი. განცხადების გაკეთება) უკვე ცვლის სამართლებრივ ურთიერთობას. ამიტომაც არის შეცილება ცალმხრივი გარიგების მაგალითი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცალმხრივი გარიგების ორ სახეს: ცალმხრივი გარიგება, რომლის დროსაც ნების გამოვლინებას არ სჭირდება მეორე მხარის მიერ მისი მიღება, და ნების გამოვლენა, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია მისი მიღება მეორე მხარის მიერ. შეცილება წარმოადგენს ნების გამოვლენას, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია შეცილების მიღება შეცილების ადრესატის მიერ. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეცილების ადრესატად გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მხარეს მიიჩნევს, მაგრამ არაა სავალდებულო, რომ შეცილების ადრესატი იყოს მხოლოდ გარიგების მეორე მხარე. ასევე შესაძლებელია, რომ შეცილების ადრესატი იყოს ყოველი მესამე პირი, რომელმაც სარგებელი ნახა ამ გარიგებიდან. ამიტომ ყოველი კონკრეტული გარიგების განხილვისას უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ვინ არის შეცილების ადრესატი.

მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის შეცილების უფლების მქონე. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შეცილების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. თუ ვინ შეიძლება იყოს „ნებისმიერი დაინტერესებული პირი“, კონკრეტული გარიგების განმარტებისას უნდა დადგინდეს: იგი შეიძლება იყოს როგორც გარიგების მონაწილე, ასევე მესამე პირი. ფაქტობრივი წინაპირობა დაინტერესებულ პირად ყოფნისთვის ისაა, რომ გარიგებამ (რომელიც საცილო გახდა) ზიანი მოუტანა ამ პირს ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა იგი. მაგალითად, როცა მალაზიის თანამშრომელმა „ვეფხისტყაოსანი“ შეცდომით გაყიდა 100 ლარად, მალაზიამ (ე.ი. გამყიდველმა) ამ თანამშრომელს მოსთხოვა ზიანის ანაზღაურება. მართალია, თანამშრომელი ამ შემთხვევაში არ არის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე, მაგრამ ვინაიდან შეცდომა მისგან მოდიოდა, ზიანიც მას მიადგა, 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ის უნდა ჩავთვალოთ „დაინტერესებულ პირად“ და მივანიჭოთ გარიგების შეცილების უფლება.

გამონაკლისების გარდა, კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას გარიგების შეცილებისთვის არ ითვალისწინებს. მთავარია შეცილებიდან აშკარად ჩანდეს, რომ დაინტერესებულ პირს არ სურს გარიგების ნამდვილობა, მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება. სადავო შეიძლება იყოს ის, ვალდებულია თუ არა დაინტერესებული პირი მიუთითოს შეცილების საფუძველი, ე.ი. ის, თუ რატომ ამბობს უარს გარიგებაზე და რატომ მოითხოვს მის გაუქმებას. მართალია, 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ასეთი მოვალეობა არ გამომდინარეობს, მაგრამ საცილო გარიგებათა ცალკეული სახეების მოწესრიგებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დაინტერესებული პირისთვის ასეთი ვალდებულების დაკისრება. თუმცა სრულიად ბუნებრივია, რომ როცა პირი გარიგების გაუქმებას ითხოვს, იქვე უთითებს საფუძველს, თუ რატომ აპირებს იგი ამ ნაბიჯის გადადგმას.

მერყევად ბათილი გარიგებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია სათანადო პირის მიერ ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება იქნება ბათილი), შეცილება იწვევს ნამდვილი გარიგების გაბათილებას. მაგრამ დაინტერესებულ პირს შეუძლია არ გამოიყენოს შეცილების უფლება და ამით გარიგება ძალაში დატოვოს. მაშასადამე, შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის

არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. ამ ჩარჩოების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხასიათის ქმედობა უდევს საფუძვლად საცილო გარიგების დადებას. მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ერთი თვის განმავლობაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან (ე.ი. იმ მომენტიდან, როცა მან გაიგო, რომ გარიგება შეცდომით დადო (79-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება მოტყუებითა და იძულებით დადებულ გარიგებებს, აქ საცილო გარიგების დადების საფუძველი უფრო სერიოზული და საფრთხის შემცველია. ამიტომ კანონი შეცილების უფლების განხორციელებისთვის ითვალისწინებს ერთ წელს (84-ე და 89-ე მუხლები).

სამოქალაქო კოდექსი არ შეზღუდავს შეცილების უფლების შეზღუდვის მხოლოდ დროითი ფარგლებით. ეს გასაგებია: დანტერესებულ პირს შეუძლია არასერიოზული მოქმედებით ასევე საფრთხე შეუქმნას არსებულ ურთიერთობებს. მაგალითად, თუ პირი მოიწონებს საცილო გარიგებას, ხოლო შემდეგ კი მოითხოვს მის ბათილობას. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს წესს, რომ „თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას“.

პრობლემები შეიძლება წარმოიშვას იმასთან დაკავშირებით, რომ შეცილების უფლება აქვთ რამდენიმე პირს და მათ შორის წარმოიშობა უთანხმოება შეცილების თაობაზე. კერძოდ კი, ერთი უჭერს მხარს შეცილებას, ე.ი. მოითხოვს გარიგების გაუქმებას, სხვები კი — არა. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში დავა უნდა გადაწყდეს შეცილების მომთხოვნი პირის სასარგებლოდ. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს როგორც 59-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად, შეცილების ფაქტის არსებობა უკვე იწვევს გარიგების ბათილობას, ასევე სამართლიანობის ინტერესებიდან: თუ საეჭვო საფუძველით დადებულ გარიგებაში პირი თავს ხელყოფილად მიიჩნევს, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ გაირკვეს ამ გარიგების მართლზომიერების საკითხი. თუ ამ დავის დროს იგი არ აღმოჩნდა მართალი, კანონი მას შესაძლებლობას აძლევს ხელმოწერდ დადოს გარიგება.

როცა შეცილების გამო გარიგების ბათილობაზე ვსაუბრობთ, ყოველთვის დაიბადება კითხვა, თუ რა შედეგები მოჰყვება შეცილებას და,

შესაბამისად, გარიგების მიჩნევას ბათილად. მართალია, 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარიგება დადების მომენტიდან ითვლება ბათილად, თუკი იგი საცილო გახდა, მაგრამ თუ პრაქტიკულად რაში გამოიხატება ეს, აუცილებლად მოითხოვს დაზუსტებას. გარიგების ბათილად აღიარება ნიშნავს იმ სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. ე.ი. უნდა აღდგეს ის პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც გარიგების დადებამდე არსებობდა. ამ მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი. თუ საცილო გარიგების მხარეებმა ერთმანეთს რაიმე გადასცეს ამ გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, ვალდებულნი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ყველაფერი იმ საფუძველით, რომ „ვალდებულება არ არსებობს“: გარიგების ბათილობა ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებაც.

შეცილება შეიძლება არა მხოლოდ მთლიანად გარიგების, არამედ მისი რომელიმე ნაწილისაც ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა.

*გარიგების ბათილობით გამოწვეული შედეგების მიმართ მთლიანად გამოიყენება წესები უსაფუძველო გამდიდრების შესახებ.*

## V. ბათილი გარიგების კონვერსია

სამოქალაქო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, თუ ბათილი გარიგება შეესაბამება სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის გაგებისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. სამოქალაქო სამართლის მიერ გარიგების მონაწილეებისთვის მინიჭებულ ამ შესაძლებლობას *ბათილი გარიგების კონვერსია* ეწოდება.<sup>128</sup> კონვერსიის მიზანია დაიცვას მხარეები იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც შეიძლება გარიგების მთლიანად ბათილობას მოჰყვეს. მაგრამ იმისთვის, რომ კონვერსია განხორციელდეს, უნდა არსებობდეს განსაზღვრული წინაპირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგების მონაწილეები მოითხოვდნენ ყველა ბათილი გარიგების კონვერსიას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ამავე დროს, კონვერსია უნდა განვასხვაოთ არარა გარიგების დადასტურების შედეგად

<sup>128</sup> Brox, AT, Rn. 317; Larenz AT. S. 467, usw.

დადებული ახალი გარიგებისაგან, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს. ამიტომაც აუცილებელია გარიგების მნიშვნელობის შეცვლის ამ შესაძლებლობის უფრო კონკრეტული დახასიათება.

კონვენსიის მიზანი ბათილი გარიგების შენარჩუნებაა. უფრო ზუსტად კი, მისი იმ ნაწილის შენარჩუნება, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმებს და ასევე გარიგების მონაწილეების ინტერესებს. ამიტომ, როგორც ამბობენ, ჯერ უნდა დაზუსტდეს, არსებობს თუ არა ბათილი გარიგება სინამდვილეში, შეიცავს თუ არა იგი სხვა ნამდვილ გარიგებას და სურთ თუ არა მხარეებს ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, როცა მათ გაიგეს, რომ გარიგება ბათილია.<sup>129</sup>

მასადამე, კონვენსიისათვის უნდა არსებობდეს ბათილი გარიგება. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა არის გარიგების ბათილობის მიზეზი. იმავე დროს, არის თუ არა ამ გარიგებაში სხვა მართლზომიერი გარიგების ნიშნები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, უზუფრუქტი დაიშვება მხოლოდ უძრავ ნივთებზე. მხარეებმა დადეს გარიგება მოძრავი ნივთების უზუფრუქტის შესახებ. მაგრამ უზუფრუქტისა და იჯარის ხელშეკრულების შინაარსი პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს. მოძრავი ნივთების უზუფრუქტი ბათილია, ვინაიდან კანონი მას კრძალავს. მოძრავ ნივთებზე შეიძლება იჯარის ხელშეკრულება, რომლის ელემენტებსაც ბათილად აღიარებული გარიგება შეიცავს. სამართლებრივი შედეგიც პრაქტიკულად ანალოგიურია და მხარეებიც არ არიან წინააღმდეგნი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ბათილი გარიგების კონვენსიაზე საუბარი და იგი შეესაბამება მე-60 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პირობებს.

### §13: თანხმობა გარიგებებში

სამოქალაქო სამართალში არსებულ გარიგებათა ერთი ჯგუფის ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გარიგების მონაწილეთა მიერ ნების გამოვლენა. იმისთვის, რომ ამ გარიგებებს იურიდიული ძალა მიეცეთ, აუცილებელია მესამე პირების თანხმობაც. ამ ტიპის გარიგებები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. წმინდა კლასიკური გარიგებების გვერდით

<sup>129</sup> Brox, AT, Rn. 317.

(როგორცაა არასრულწლოვანის ან სხვა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული გარიგებები) თანამედროვე სამართალში გაიზარდა იმ გარიგებათა რაოდენობა, რომელთა ნამდვილობისთვის აუცილებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს თანხმობა.

გარიგებებში თანხმობასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 99-ე-102-ე მუხლებში. თუმცა ცალკეული გარიგებების განხილვისას ასევე მრავლად გვხვდება ნორმები, რომლებიც თანხმობაზე დამოკიდებული გარიგებების სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებენ.

სამართლიანად არის ლიტერატურაში აღნიშნული, რომ თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.<sup>130</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგებით, მით უფრო ხელშეკრულებით, არ შეიძლება იმის დადგენა, რომ გარიგების ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული იყოს „ვილაცის“ თანხმობაზე. ასეთი რამ დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, მესაკუთრე ყიდის თავის ავტომანქანას სრულწლოვან პირზე და ეუბნება, რომ მიჰყიდის მხოლოდ იმ პირობით, თუ მყიდველის (სრულწლოვანი პირის) მშობლები თანასმა იქნებიან. ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს. ამიტომ მანქანის გამყიდველის მოთხოვნას რაიმე იურიდიული ძალა არ ექნება. თუმცა ამ წესიდან შეიძლება არსებობდეს გამოწვევები, როცა საქმე ეხება უფლების გასხვისებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია საკორპორაციო სამართალში, როცა, მაგალითად, შპს-ის პარტნიორები წესდებით თანხმდებიან, რომ წილის გასხვისება დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით. ერთი შეხედვით, შეიძლება დაგვრჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს აკრძალვა მხოლოდ გარიგებით (ე.ი. საზოგადოების წესდებით) არის გათვალისწინებული. ამიტომ შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ მისი ნამდვილობა. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წილის გასხვისების შეზღუდვის შესახებ ამ შეთანხმებასაც საფუძვლად კანონის ნორმა უდევს: მეწარმეთა შესახებ კანონის 46.4-ე მუხლის თანახმად, „საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გადაცემის სხვა პირობებიც, კერძოდ, გასხვისებისთვის აუცილებელი გახდეს საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება“.

მიუხედავად იმისა, რომ თანხმობა გარიგების ნამდვილობაზე გავლე-

<sup>130</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 886.



ნას ახდენს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეს არ გამოირიცხავს მხარეთა შესაძლებლობას ამა თუ იმ პირის თანხმობა გარიგების ნამდვილობის, უფრო ზუსტად, გარიგების დადების წინაპირობად აღიარონ. ისევე ჩვენს მაგალითს მიუბრუნდეთ: უკრძალავს თუ არა კანონი ავტომანქანის გამყიდველს სრულწლოვანი მყიდველისაგან შშობლების თანხმობის მოთხოვნას. რა თქმა უნდა, არა. თუ ნასყიდობის მხარეები შეთანხმდნენ, რომ შშობლების თანხმობა აუცილებელია, მაშინ ჩვენ გვექნება არა თანხმობა გარიგებებში 99-ე-102-ე მუხლების გაგებით, არამედ პირობითი გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 90-ე-98-ე მუხლები).

მაშასადამე, თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, უნდა განვასხვაოთ იმ თანხმობისაგან, რომლის არსებობასაც გარიგების მონაწილეები გარიგების სამართლებრივ შედეგებს უკავშირებენ (პირობითი გარიგებებისაგან). ამ უკანასკნელ შემთხვევაში თანხმობა გარიგების ნამდვილობის პირობა კი არ არის, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ნაწილი. ისევე მაგალითი: მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სს-ის ან შპს-ის დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვა პრინციპში დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია (მაგალითად, უძრავი ქონების გაყიდვისას აუცილებელია პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა). მაგრამ თუ წესდებათ გაითვალისწინა ასეთი შეზღუდვა და დირექტორების მიერ ამა თუ იმ გარიგების დადება დამოკიდებული გახდა პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაზე, ეს იქნება არა გარიგებებში თანხმობის ინსტიტუტი, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ელემენტი, რომელმაც შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების ნამდვილობაზე.

სამოქალაქო კოდექსი „თანხმობას“ ზოგადი ინსტიტუტის სახით იყენებს და მის ორ ფორმას განასხვავებს ერთმანეთისაგან: წინასწარ გაცემულ თანხმობას (ნებართვას – მუხლი მე-100) და შემდგომ თანხმობას (მოწონებას – მუხლი 101-ე). ამით კანონი პრინციპულად ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ თანხმობა შეიძლება განხორციელდეს როგორც გარიგების დადებამდე, ასევე მისი დადების შემდეგ. მართალია, კანონი სხვადასხვა ტერმინებს იყენებს, მაგრამ სამართლებრივი შედეგი, რომელიც თანხმობას უკავშირდება, ორივე შემთხვევაში თითქმის იდენტურია – გარიგების ნამდვილობა ან მისი ბათილობა.

მართალია, თანხმობა გარიგების ნამდვილობის პირობაა, მაგრამ იგი იმავდროულად თვით წარმოადგენს გარიგებას, რომელიც მომსახურების

ფუნქციას ასრულებს ძირითადი გარიგების მიმართ. ე.ი. თანხმობა ერთდროულად დამოუკიდებელი გარიგებაცაა და დამხმარე საშუალებაც.<sup>131</sup>

თანხმობას, როგორც დამოუკიდებელ გარიგებას, საფუძვლად უდევს ნების გამოვლენა, რომელიც 99-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს ძირითადი გარიგების როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის მიმართ. ეს ნების გამოვლენა უნდა შეესაბამებოდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს გარიგებათა ნამდვილობისთვის. ეს ნიშნავს, რომ თანხმობა შეიძლება იყოს საცილოც, უცილოდ ბათილიც (არარა) და ა.შ. თანხმობის ბათილობისა და ნამდვილობის საკითხი შეიძლება ისევე დაისვას, როგორც ნებისმიერი გარიგების.

თანხმობა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, ოღონდ მისი ნამდვილობისთვის აუცილებელია ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ, ე.ი. თანხმობა განეკუთვნება 51-ე მუხლით გათვალისწინებულ ცალმხრივ გარიგებათა კატეგორიას.

„თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა“ – 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის ეს ნორმა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თანხმობა დამოუკიდებელი გარიგებაა და არა იმ გარიგების ნაწილი, რომლის ნამდვილობის წინაპირობასაც ის წარმოადგენს. ამიტომ თანხმობა შეიძლება ნებისმიერი ფორმით განხორციელდეს: ზეპირად, წერილობით, კონკლიუდენტური მოქმედებით და ა.შ. როცა თანხმობა ზორციელდება კონკლიუდენტური მოქმედებით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თანხმობა ისეთი გარიგებაა, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია მეორე მხარის მიერ მისი მიღება. ამიტომ იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ მეორე მხარეს შეეძლოს ნების გამოვლენის ზუსტად აღქმა. მართალია, თანხმობის ფორმა არ არის დამოკიდებული თანხმობასავალდებულო გარიგების ფორმაზე, მაგრამ კანონი შეიძლება განსაზღვრავდეს თანხმობისათვის სავალდებულო ფორმას. მაგალითად, სსის დირექტორების მიერ უძრავი ქონების გაყიდვას სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. ცხადია, რომ ამ თანხმობას მხოლოდ მაშინ ექნება იურიდიული ძალა, თუკი იგი განხორციელებულია წერილობითი ფორმით.

როცა თანხმობაზე, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობაზე, ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვაიწიფდეს, რომ ლაპარაკია ისეთ გარიგებებზე, რომელთა მიმართ შესაძლებელია თანხმობის გამოყენება. თორემ არსე-

<sup>131</sup> v. Tuhr, Bd. 2/2, S. 214; Fluine, Rechtsgeschäft, S.890.

ბობს ისეთი გარიგებებიც, რომლებშიც არც შეიძლება თანხმობის გამოყენება.

ერთი შეხედვით თანხმობა ჰგავს მინდობილობას. მსგავსება იმაშია, რომ მინდობილობა ამა თუ იმ გარიგების დადებაზე, ხშირად იმპედროულად თანხმობაც არის.

თანხმობაზე დამოკიდებული გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი, ასევე მრავალმხრივი. თანხმობაზე დამოკიდებული ცალმხრივი გარიგების თვალსაჩინო მაგალითია შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით. ხელშეკრულების მოშლა ცალმხრივი გარიგებაა. მოქმედი შრომის კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისათვის (ე.ი. შრომის ხელშეკრულების მოშლისთვის) აუცილებელია პროფკავშირების თანხმობა.

თანამედროვე რთული სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, როცა სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხში ძალიან გაზრდილია, საგრძობლად მატულობს იმ გარიგებათა რიცხვიც, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანხმობაზე. ეს ეხება არა მხოლოდ ლიცენზიებს საქართველოდან საქონლის გატანაზე, არამედ მრავალ სხვა-საც. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისებისთვის საჭიროა სათანადო სახელმწიფო ორგანოს თანხმობა. თავისი ბუნებით სახელმწიფო ორგანოების ეს თანხმობა წარმოადგენს არა კერძოსამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. ამიტომ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა მათ მიმართ გამოვიყენოთ 99-ე-102-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები, რომლებიც თავისი ბუნებით კერძოსამართლებრივი თანხმობის საკითხებს აწესრიგებენ. უფრო კონკრეტულად, შეიძლება თუ არა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი (თანხმობა) მივიჩნიოთ გარიგების (ე.ი. კერძოსამართლებრივი აქტის) ნამდვილობის პირობად?

სამოქალაქო კოდექსი 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადებაში განსაზღვრავს, რომ, თუ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. თუ კანონი ამა თუ იმ გარიგებისთვის სახელმწიფოებრივი თანხმობის აუცილებლობას ითვალისწინებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, ამ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია აღნიშნულ თანხმობაზე. მართალია, ამგვარი თანხმობის გაცემის წესი სპეციალური კანონით განისაზ-

ღვრება და სცილდება კერძო სამართლის ფარგლებს, მაგრამ იგი გავლენას ახდენს კერძო სამართლებრივი აქტის (გარიგების) სამართლებრივ ბელზე. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ 99-ე-102-ე მუხლებით გათვალისწინებული თანხმობის ინსტიტუტი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემულ თანხმობებზეც, თუკი ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგების ნამდვილობის საკითხთან.

## *I. ნებართვა*

როგორც აღვნიშნეთ, გარიგების დადებამდე წინასწარ გაცემულ თანხმობას სამოქალაქო კოდექსი უწოდებს ნებართვას (მუხლი მე-100). სამართლებრივი ბუნებით ნებართვა ძალიან ჰგავს მინდობილობას. უფრო მეტიც, ნებართვა ხშირად მინდობილობის ფორმით არსებობს. მინდობილობის გამცემი პირი წარმომადგენელს აძლევს ნებართვას, რომ განხორციელდეს ესა თუ ის მოქმედება.

თუ ნებართვა გაცემულია განსაზღვრული ვადით, მაშინ იგი ძალას კარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ. თუ ნებართვას საფუძვლად უდევს ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ ამ ურთიერთობის შეწყვეტა ავტომატურად იწვევს ნებართვის გაუქმებას. მაგალითად, შპს-ის დირექტორის ნებართვებს საფუძვლად უდევს მისი ყოფნა დირექტორის თანამდებობაზე. თუ იგი განთავისუფლებული იქნება ამ თანამდებობიდან, ავტომატურად უქმდება ის ნებართვები, რომლებიც მას, როგორც დირექტორს, ჰქონდა.

მე-100 მუხლი ნებართვის გამცემს უფლებას აძლევს, რომ ეს ნებართვა გაუქმებულ იქნეს, ოღონდ იმ გარიგების დადებამდე, რომლისთვისაც გაიცა ეს ნებართვა. მაგალითად, თუ სამეთვალყურეო საბჭომ სს-ის დირექტორს მისცა ნებართვა მიწის ნაკვეთის გაყიდვის თაობაზე, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააუქმოს ეს ნებართვა, ვიდრე დირექტორს გარიგება არ გაუფორმებია. მაგრამ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა, მართალია, მხარეებს გარიგება არ დაუდვიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ნებართვა უკვე არსებობდა, გარიგების მეორე მხარემ განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ხარჯებთან იყო დაკავშირებული და გაკეთდა იმის გამო, რომ ნებართვა არსებობდა. შემდეგ ნებართვა გაუქმებულ იქნა ისე, რომ გარიგება არ დადებულა. ცხადია, ამ დროს დადგება ზიანის ანაზღაურების საკითხი. უნდა დაეკისროს თუ არა ამ შემთხვევაში გარიგების მხარეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

კონკრეტული ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განმარტების საფუძველზე.

როგორც ნებართვის გაცემაა ცალმხრივი გარიგება, ასევე ცალმხრივი გარიგებაა მისი გაუქმებაც. ამისთვის სავალდებულოა ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ. მე-100 მუხლი ავალდებულებს ნებართვის გამაუქმებელ პირს, რომ ნებართვის გაუქმების შესახებ მან აცნობოს გარიგების ორივე მხარეს, ე.ი. არა მხოლოდ იმას, ვისაც ნებართვა მიეცა, არამედ იმასაც, ვისთანაც უნდა დადებულიყო გარიგება. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, სს-ის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია ნებართვის გაუქმების შესახებ აცნობოს როგორც დირექტორს, ასევე მიწის ნაკვეთის მომავალ მყიდველს.

## II. მოწონება

გარიგების დადების შემდეგ განხორციელებულ თანხმობას კანონი მოწონებას უწოდებს (მუხლი 101-ე) და მას უკუქცევით ძალას ანიჭებს, ე.ი. გარიგება ნამდვილი ხდება არა მოწონების გაცემის მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა გარიგება დაიდო. ამიტომ ამ კატეგორიის გარიგებებს მერყევად ბათილი გარიგებებიც შეიძლება ვუწოდოთ.

უკუქცევითი ძალა მოწონების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. ის ნაკლი, რომელიც გარიგებას ჰქონდა, მოწონების შედეგად სწორდება და სამართალი მას თავიდანვე არარსებულად მიიჩნევს. ამიტომ კანონი სამართლებრივ ნამდვილობას ანიჭებს იმ შედეგებს, რომლებიც ფაქტობრივად ბათილი გარიგების არსებობის დროს დადგა. მაგალითად, 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია, ვიდრე მისი წარმომადგენელი არ მოიწონებს ამ ხელშეკრულებას. 16 წლის ბიჭმა ისარგებლა იმით, რომ მამა ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა და მამამისის მანქანა მოაჭირავა ბ-ს. ბ სამი თვის განმავლობაში იხდიდა ქირას. ასეთი გარიგება ბათილია, ვინაიდან არასრულწლოვანს მისი დადებისთვის სჭირდებოდა წარმომადგენლის თანხმობა. თუ მივლინიდან დაბრუნების შემდეგ მამა მოიწონებს შეიღის მიერ დადებულ გარიგებას, მაშინ ბათილი გარიგების განმავლობაში განხორციელებულიც ჩაითვლება ნამდვილად.

ზოგადი ნორმის თანახმად მოწონებას აქვს უკუქცევითი ძალა, მაგრამ 101-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მოწონებას არ მიეცეს უკუქცევითი ძალა. ეს ხდება მაშინ, როცა

კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დადებული გარიგების შემდეგ განხორციელებულ მოწონებას არა აქვს იურიდიული ძალა.

მოწონება შეიძლება განხორციელდეს მანამ, ვიდრე არსებობს ის გარიგება, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო ეს მოწონება. ცხადია, რომ გარიგების დამთავრების შემდეგ მოწონებას არავითარი აზრი არა აქვს.

### *III. განკარგვები. რომლებიც საჭიროებენ თანხმობას*

სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა განკარგვები ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიერ და იმისთვის, რომ ეს განკარგვა იურიდიული ძალის მქონედ იქცეს, საჭიროა უფლებამოსილი პირის ნებართვა.

არაუფლებამოსილი პირის ცნებას კანონი ამ შემთხვევაში ფართო გაგებით იყენებს. მასში იგულისხმება არა მხოლოდ ის პირი, რომელსაც მოცემულ ნივთზე ან უფლებაზე საერთოდ არა აქვს უფლება, არამედ ისეთიც, რომელსაც, მართალია, აქვს მოცემულ საგანზე უფლება, მაგრამ მისი განკარგვა მოითხოვს მესამე პირის თანხმობას. მაგალითად, თუ მესაკუთრემ სახლი დააგირავა ბანკში (ე.ი. იპოთეკით დატვირთა იგი), მართალია, იგი რჩება ამ სახლის მესაკუთრედ, მაგრამ მისი გასხვისება შეუძლია მხოლოდ ბანკის თანხმობით. თუ გასხვისება მოხდა ბანკის თანხმობის გარეშე, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესაკუთრე იყო არაუფლებამოსილი პირი და არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვები უნდა ჩაითვალოს ბათილად.

თუ ბინის მესაკუთრის ხანგრძლივადიანი მივლინებით ისარგებლებს მეზობელი და ამ ბინას გააქირავებს, ესეც იქნება არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა.

თანხმობის ინსტიტუტი არაუფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული განკარგვებისას ძალიან ემსგავსება წარმომადგენლობის ინსტიტუტს. ორივე შემთხვევაში ხდება სხვისი სიკეთის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელსაც უფლებამოსილი პირი ასეთი განკარგვის უფლებას ანიჭებს. ამასთან, წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო ფართოა, ვიდრე განკარგვები.

102-ე მუხლის პირველი ნაწილი ისეთ შემთხვევებს განამტკიცებს, როცა არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვის საფუძველი არის უფლებამოსილი პირის მიერ წინასწარ გაცემული თანხმობა — ნებართვა.

მეორე ნაწილი განამტკიცებს განკარგვათა ისეთ შემთხვევებს, რომლებიც, მართალია. ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერაა განხორციელებული, ამიტომაც ბათილია, მაგრამ შესაძლოა მისი გადაქცევა ნამდვილ განკარგვად, თუკი უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს. მაგალითად, თუ მეზობლის მიერ გაქირავებული ბინის მესაკუთრე მოიწონებს მეზობლის მიერ ბინის გაქირავებას. მაგრამ კანონი ასეთი განკარგვების სამართლებრივი მოწესრიგებისას მხოლოდ მოწონებით არ შემოიფარგლება.

## §14. პირობითი გარიგებანი

### *I. ცნება და ზოგადი დახასიათება*

როგორც წესი, გარიგების მონაწილეები გარიგების დადებისთანავე იწყებენ მის შესრულებას. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ისინი გარიგებით გათვალისწინებული შედეგების დადგომას უკავშირებენ განსაზღვრული გარემოებების არსებობას. ვინაიდან გარიგების შედეგების დადგომა ამ გარემოებების არსებობაზეა დამოკიდებული, სამოქალაქო სამართალი ასეთ გარიგებებს პირობით გარიგებებს უწოდებს.

სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომაზე, ანდა გარიგების შეწყვეტა — ამ მოვლენის დადგომისთანავე. პირობითი გარიგებების განხილვისათვის და მათთან დაკავშირებული საკითხების უფრო ღრმად გაანალიზებისთვის პატარა მაგალითის მოხმობა კარგ სამსახურს გაგიწევს: საფეხბურთო კლუბის გამგეობა პირდება ფეხბურთელებს, რომ თუ ისინი უეფას თასს აიღებენ, ყოველი ფეხბურთელი საშუალოდ მიიღებს ახალ ავტომანქანას, ე.ი. ჩუქების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების დადგომა დამოკიდებულია განსაზღვრული პირობის არსებობასთან (საფეხბურთო კლუბმა უნდა მოიგოს უეფას თასი).

გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა შეიძლება რამდენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. ეს პირობები შეიძლება იყოს როგორც *კუმულატიური*. ასევე *ალტერნატიული*. კუმულატიური პირობის დროს აუცილებელია ყველა იმ პირობის არსებობა, რომელიც გარიგების ნამდვილობის პირობად არის დასახილბული. როცა საფეხბურთო კლუბი ყო-

ქველ ფეხბურთელს ავტომანქანას ჰპირდება, თუკი გუნდი *ქვეყნის ჩემპიონი* გახდება და უეფას თასსაც მოიგებს, ასეთი პირობა არის კუმულატიური, ვინაიდან გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელია ორივე პირობის დადგომა: გუნდი ჩემპიონიც უნდა გახდეს და უეფას თასიც უნდა აიღოს. როგორც წესი, კუმულატიური პირობების არსებობა „და“ კავშირით გამოიხატება. *ალტერნატიული პირობის შემთხვევაში* გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია ერთ-ერთი რომელიმე პირობის დადგომა. როცა საფეხბურთო კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს ავტომანქანის ჩუქებას ჰპირდება, თუკი ისინი ან ჩემპიონები გახდებიან ან უეფას თასს მოიპოვებენ, პირობა იქნება ალტერნატიული: ერთ-ერთის დადგომა (ან ჩემპიონობა ან თასის მოპოვება) საკმარისია გარიგებით განსაზღვრული შედეგის (საჩუქრის) მიღებისათვის.

გარიგება პირობითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ნამდვილობა დამოკიდებულია „სამომავლო და უცნობ მოვლენაზე“, ე.ი. ისეთ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში. თუ გარიგების პირობად ისეთი მოვლენაა დასახელებული, რომელიც უეჭველად დადგება, ასეთი მოვლენა შეიძლება არ ჩაითვალოს პირობითი გარიგების საფუძვლად. მაგალითად, სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს კისრულობს, რომ თუ დადგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი (მაგალითად, დაიწება სახლი), მაშინ ის ანაზღაურებს ამ ზიანს. ხანძრის გაჩენა ისეთი პირობაა, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ შესაძლოა არც დადგეს (ე.ი. უცნობი მოვლენა).

როგორც სამართლიანად არის ლიტერატურაში აღნიშნული, პირობის სამართლებრივი ინსტიტუტი კერძო ავტონომიის ღირსშესანიშნავი საშუალებაა.<sup>132</sup> იგი გარიგების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადადონ იმით, რომ იგი დაუკავშირონ რაღაც მოვლენას, რომლის დადგომაში მეორე მხარეც იქნება დაინტერესებული. პირობა შესაძლებლობას იძლევა ზემოქმედება მოახდინოს (ხშირად სტიმულიც კი მისცეს) მეორე მხარეზე რაიმე კონკრეტული ვალდებულების დაკისრების გარეშე და ამით გაააქტიუროს გარიგების მეორე მონაწილეც. მაგალითად, როცა საფეხბურთო კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს ღიდ საჩუქარს ჰპირდება, ამით ის კი არ ავალდებულებს (იურიდიული გაგებით) ფეხბურთელებს, რომ აუცილებლად ჩემპიონები გახ-

<sup>132</sup> v.Tuhr, Bd. 2/2. S. 271.



დნენ ან აუცილებლად უეფას თასი მოიპოვონ. მაგრამ მოტივაციას, სტიმულირებას უწევს მათ, ე.ი. უღვივებს მოპირდაპირე მხარეს ინტერესებს.

გარიგებაში პირობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა „თუ“ კავშირის გამოყენება: „თუ ჩემპიონი გახდები...“, „თუ უმაღლესში ჩაირიცხები...“ და ა.შ. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ პირობა „თუ“ კავშირის გარეშეც იქნეს ჩამოყალიბებული. ოღონდ გარიგების შინაარსის გაცნობისას პირობის არსებობა თვალსაჩინო უნდა იყოს.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს *გადადების ანუ სუსპენსიურ* და *გაუქმების ანუ რეზოლუტიურ პირობებს*. გარიგება *გადადების პირობითაა* დადებული, თუკი გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე (96-ე მუხლი). ამ დროს გარიგებით გათვალისწინებული შედეგი დადება მხოლოდ პირობის შესრულებით, ე.ი. გარიგების შესრულება გადაიდება პირობის დადგომამდე. ამიტომ ვუწოდებთ მას გადადების პირობას. მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სადაზღვევო ორგანიზაციას დაეკისრება, თუკი დაზღვეული ნივთი დაზიანდება (მაგალითად, ხანძარი გაუჩნდება).

გადადების პირობით დადებულ გარიგებად ჩაითვლება ასევე გარიგება, რომლის ნამდვილობა მხარეებმა ისეთ მოვლენას დაუკავშირეს, რომელიც უკვე დადგა, მაგრამ მხარეებმა არ იციან ამის შესახებ (96-ე მუხლი). გერმანულ სამართლის მეცნიერებაში ასეთ პირობას არ მიიჩნევენ პირობად და მის საფუძველზე დადებულ გარიგებას არ თვლიან პირობით გარიგებად.<sup>133</sup> ვფიქრობ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გადაწყვეტა სწორია, ვინაიდან მხარეები ყოველ პირობას მათი ობიექტური ცოდნის ფარგლებში განსაზღვრავენ და შედეგებსაც მას უკავშირებენ.

გარიგება *გაუქმების პირობით* დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას (97-ე მუხლი). ასეთი პირობით დადებული გარიგების შემთხვევაში გარიგებით გათვალისწინებული შედეგი მაშინვე დგება, მაგრამ პირობის დადგომისთანავე იგი უქმდება. ა-მ ასესხა ბ-ს ფული იმ პირობით, რომ ბ ხელფასის აღებისთანავე დაუბრუნებს ა-ს ფულს. აიღებს თუ არა ბ ხელფასს (ე.ი. პირობა დადგება), მან უნდა დაუბრუნოს სესხი (ე.ი. უქმდება სესხის ხელშეკრულება).

<sup>133</sup> v. Tuhr, Bd. 2/2, S. 281.

ის, რაც ერთი მხარისთვის გაუქმების პირობას წარმოადგენს, მეორე მხარისთვის შეიძლება იყოს გადადების პირობა. მაგალითად, ხელფასის აღება ბ-სთვის არის გაუქმების პირობა (სესხის ხელშეკრულება უქმდება), ხოლო ა-სთვის — გადადების პირობა (ხელფასის აღებისთანავე მას წარმოეშობა ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება).

ხშირად არ არის იოლი იმის დადგენა, გარიგება გადადების პირობით დაიღო თუ გაუქმების. ასეთ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს გარიგების განმარტების საფუძველზე.

გარიგების შედეგის დადგომის განმსაზღვრელი პირობა შეიძლება მხარეების მიერ ფორმულირებული იყოს როგორც *პოზიტიურად* (ე.ი. დადებითი შინაარსი), ასევე *ნეგატიურად* (ე.ი. უარყოფითი შინაარსი). პირობის შინაარსი პოზიტიურია, თუკი გარიგების შედეგი დამოკიდებულია პირობის დადგომაზე (მაგალითად, საფეხბურთო კლუბის გახდომა ჩემპიონად, სახლის ხანძარი და ა.შ.). პირობის შინაარსი იქნება ნეგატიური, თუკი გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ პირობა არ დადგეს (მაგალითად, თუ საფეხბურთო კლუბმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თამაში არ წააგო, ფეხბურთელები მიიღებენ პრემიას).

შინაარსის მიხედვით გარიგების პირობა შეიძლება იყოს *კაზუალური* და *პოტესტატური*.<sup>134</sup> *კაზუალურია პირობა*, როცა მისი არსებობა დამოკიდებულია შემთხვევით მოვლენაზე, მაგალითად, ზიანის დადგომაზე ან ავარიის დროს მძიმედ დაშავებულის გადარჩენაზე. *კაზუალური პირობა* შეიძლება მოქმედებაშიც გამოიხატოს, კერძოდ, მესამე პირის ნების გამოვლენაში. მაგალითად, გარიგება შეიძლება დაიღოს იმ პირობით, რომ გარიგების მონაწილეები მესამე პირისაგან მიიღებენ თანხმობას.<sup>135</sup> *კაზუალურისაგან განსხვავებით პოტესტატურია პირობის დადგომა*. თუკი იგი გამოიხატება ერთ-ერთი მხარის მოქმედებაში. ასეთი პირობის მიზანი ხშირად არის გარიგების მეორე მონაწილეზე ზემოქმედება. მაგალითად, როცა საფეხბურთო კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს საჩუქარს კპირდება, თუკი ისინი ჩემპიონები გახდებიან, პირობა პოტესტატურია, ვინაიდან მეორე მხარის მოქმედებაზეა ნაწილობრივ დამოკიდებული. არ არის სავალდებულო, რომ პოტესტატური პირობის შემსრულებელმა იცოდეს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის შესახებ და, უფრო ზუსტად,

<sup>134</sup> v.Tuhr. Bd. 2/2, S. 275.

<sup>135</sup> v.Tuhr. Bd. 2/2, S. 276.

იმის შესახებ, რომ რომელიმე პირობის შესრულება იწვევს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას. მაგალითად, როცა ამერიკელმა ასტრონავტებმა მთვარე დალაშქრეს, არც იცოდნენ, რომ ისინი უდიდესი ჯილდოს მფლობელები გახდნენ იმით, რომ ერთ-ერთმა მილიონერმა პირობა დათქვა: ვინც პირველად მთვარეზე გაფრინდებოდა, ის მიიღებდა დიდ ჯილდოს. მიუხედავად იმისა, რომ პირობის შემსრულებელმა მხარემ არც იცოდა ამ გარიგების არსებობის შესახებ, ასეთი პირობა პოტენსიატურად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მისი დადგომა ერთ-ერთი მხარის მოქმედებაზეა დამოკიდებული.

პოტენსიატური პირობის შემთხვევები უფრო ხშირია ისეთ ხელშეკრულებებში, რომლებშიც მხარეთა ნება უფრო გამოკვეთილია. მაგალითად, სინჯის საფუძველზე დადებული ნასყიდობა ნამდვილია იმ პირობით, რომ ნასყიდობის საგანი გარიგების მეორე მხარეს მოეწონება და ის გამოხატავს ამას.

სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობისაგან განსხვავდება, როცა გარიგების შედეგი დამოკიდებულია წარსულში ან აწმყო დროში არსებულ მოვლენაზე. ასეთი მოვლენა იქნება არა გარიგების პირობა, არამედ მისი დადების წინაპირობა. პირობასა და წინაპირობას შორის განსხვავება არა მხოლოდ ტერმინოლოგიურია, არამედ მასთან დაკავშირებულია განსხვავებული სამართლებრივი შედეგებიც. მაგალითად, ნახმარი ავტომანქანის ყიდვა იმ პირობით, რომ მანქანას უნდა ჰქონდეს ახალი საბურავები ან ბინის ქირავნობის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ ბინა გარემონტებული იქნება, არის არა გარიგების პირობა, არამედ გარიგების დადების წინაპირობა. პირობით გარიგებად კვალიფიკაციისთვის მათ სწორედ ის აკლიათ, რომ ისინი არ წარმოადგენენ „ობიექტურად უცნობ მოვლენას“, არამედ არიან მხარეთა ნებაზე დამოკიდებულნი. ამიტომ, 92-ე მუხლის თანახმად, პირობა, რომლის დადგომა ან დაუდგომლობა დამოკიდებულია გარიგების მხარეებზე, არ ითვლება პირობითი გარიგების საფუძველად.

ბუნებრივად დაიბადება კითხვა: რა განსხვავებაა პოტენსიატურ პირობას (ე.ი. რომლის დადგომა გარიგების მონაწილის აქტიურობაზეა დამოკიდებული) და წინაპირობას შორის (რომლის დადგომაც ხშირად ასევე გარიგების მონაწილის აქტიურობაზეა დამოკიდებული) შორის? თუ გაითვალისწინებთ იმის შესაძლებლობას, რომ პირობაცა და წინაპირობაც ორივე შეიძლება იყოს სამომავლო, ამ განსხვავების პოვნა უფრო გათუღდება. უმთავრესი ნიშანი და საფუძველი, რომელიც ამ ორ ცნებას

(პირობას და წინაპირობას) სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებს უკავშირებს, მდგომარეობს იმაში, თუ ობიექტურად რამდენად უცნობი ან ცნობილია ამ მოვლენის დადგომა. როცა გარიგების ნამდვილობის წინაპირობა საფეხბურთო კლუბის მიერ ჩემპიონად გახდომაა, მართალია, ამ მოვლენის დადგომა ფეხბურთელების აქტიურობაზეცაა დამოკიდებული, მაგრამ არავის არ შეუძლია იმის თქმა, რომ გუნდი უეჭველად გახდება ჩემპიონი. რაც შეეხება ნახმარი ავტომაქანის საბურავების გამოცვლას, გამყიდველს ამის გაკეთება შეუძლია, პირობის დადგომის ალბათობა პრაქტიკულად უდავოა, თუ გამყიდველს ეს სურს.

გარიგება პირობითია თუ დადებულია იგი განსაზღვრულ წინაპირობებთან კავშირში, უნდა დადგინდეს განმარტების საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს, თუ მის საფუთვლად არსებული პირობაა ბათილი. პირობის ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს მისი კანონსაწინააღმდეგობა, ამორალურობა ანდა მისი შესრულების შეუძლებლობა. ამ უკანასკნელს ნამდვილობისთვის სწორედ „ობიექტურობა“ აკლია. თავიდანვე ცხადია, რომ პირობა არ დადგება. ამიტომ გარიგება დადებისთანავე ნამდვილია ან ბათილი. მაგალითად, თუ საფეხბურთო კლუბი ფეხბურთელებისაგან უეფას თასის მოგებას მოითხოვს პირობად, სინამდვილეში ეს გუნდი არ მონაწილეობს ამ გათამაშებაში, ცხადია, რომ პირობის შესრულება შეუძლებელია, ამიტომ ასეთი პირობით დადებული გარიგება იქნება ბათილი.

სამოქალაქო კოდექსი მრავალ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა გარიგებათა ნამდვილობა სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ მას მოიწონებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. აშკარაა, რომ გარიგებათა ნამდვილობა დამოკიდებულია ამ პირობების არსებობაზე. გარეგნულად ეს პირობებიც სამომავლო და უცნობ მოვლენაზეა დამოკიდებული. ამიტომ დაიბადება კითხვა: არის თუ არა ასეთი გარიგება პირობითი და ვრცელდება თუ არა მათზე 90-ე-98-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები? პირობითი გარიგებების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების საფუძველად არსებული პირობის სახესა და შინაარსს გარიგების მონაწილეები თვითონ განსაზღვრავენ. კერძო ავტონომიის პრინციპი ვრცელდება პირობის არჩევაზეც. ხოლო კანონით განსაზღვრული პირობების შემთხვევაში მათ ეს უფლება არა აქვთ. ამიტომ ამ პირობებს *სამართლებრივი პირობები* (condicione juris) ეწოდება და

მათ მიმართ არ გამოიყენება 90-ე-98-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები. სადავო შეიძლება იყოს საკითხი მაშინ, როცა მხარეების მიერ განსაზღვრული და კანონით გათვალისწინებული პირობები ემთხვევა ერთმანეთს. რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? თუ სამართლებრივი შედეგი ორივე შემთხვევაში იდენტურია, მაშინ პრობლემა არ წამოიჭრება. მაგრამ თუ შედეგი განსხვავებულია, მაშინ ჯერ უნდა დადგინდეს, კანონის ნორმა იმპერატიულია თუ დისპოზიციური. თუ ნორმა დისპოზიციურია, მაშინ შეიძლება მხარეთა მიერ განსაზღვრულ პირობას მიენიჭოს უპირატესობა და გამოყენებულ იქნეს ნორმები პირობითი გარიგებების შესახებ. თუ ნორმა იმპერატიულია, მაშინ, ბუნებრივია, ის წინ უსწრებს გარიგების მონაწილეთა ნებას. ყველა ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს განმარტების შედეგად.

პირობით შეიძლება დაიდოს თითქმის ყველა გარიგება. პირობითი გარიგების მიმართ გამოიყენება ყველა ის წესი, რაც ჩვეულებრივი გარიგებების მიმართ. იგი იმავე ფორმით უნდა განხორციელდეს, როგორც ჩვეულებრივი გარიგება. კანონი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ მხარეებმა უკვე არსებულ გარიგებაში დამატებით განსაზღვრონ პირობა, ოღონდ ამის გაკეთება რეალურად უნდა იყოს შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ გარიგებით გათვალისწინებული შესრულება ჯერ არ უნდა იყოს განხორციელებული და პირობის დათქმა უნდა შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იმავდროულად, არსებობს გარიგებები, რომლებიც არ შეიძლება დაიდოს პირობით. ერთ შემთხვევაში ასეთი აკრძალვა შეიძლება პირდაპირ გამომდინარეობდეს კანონიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში — გარიგების ბუნებიდან. პირობითი გარიგებების გამოყენების შეუძლებლობა აშკარაა საოჯახო სამართალში. მაგალითად, დაქორწინება არ შეიძლება იყოს პირობით. თუ დაქორწინებას რაიმე პირობა უდევს საფუძვლად (მაგალითად, რომ მომავალში ქმარი ცოლს უყიდის მანქანას), ასეთი ქორწინება შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, ხოლო შვილება ან ბავშვისთვის სახელის დარქმევა დაუშვებელია განხორციელდეს პირობით. არა მხოლოდ საოჯახო სამართალშია აკრძალული პირობითი გარიგებები. მაგალითად, საკორპორაციო სამართალში აკრძალულია პროკურის გაცემა რაიმე პირობით ან იურიდიული პირის რეგისტრაცია ამა თუ იმ პირობით.

გარიგების ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს მის საფუძვლად ბათილი პირობის არსებობამ ან ნამდვილ გარიგებაში დამატებით ბათილი პირობის შეტანამ. მაგალითად, შრომის ხელშეკრულების დადება (სამუშაოზე მი-

ღება) იმ პირობით, რომ მუშა არ მოითხოვს შევსებულებას. ასეთი პირობა ეწინააღმდეგება კანონს და ამიტომ იგი ბათილია. ბათილი პირობის არსებობა კი იწვევს გარიგების ბათილობას (91-ე მუხლი).

## II. ვადები პირობით გარიგებებში

როგორც ვადადების პირობით, ასევე გაუქმების პირობით დადებული გარიგებები შეიძლება დაკავშირებული იყოს განსაზღვრულ ვადასთან. უფრო ზუსტად, პირობით გარიგებებში პირობის დადგომა ან არ დადგომა შეიძლება განსაზღვრული დროით შემოიფარგლოს. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში პირობის დადგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს დრო.

თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ითვლება ძალადაკარგულად, თუ ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა (93-ე მუხლის პირველი ნაწილი). საფეხბურთო კლუბი ფეხბურთელებს შეჰპირდა ავტომატური ჩუქებას, თუკი ისინი მიმდინარე საფეხბურთო სეზონში გახდებოდნენ ჩემპიონები. თუ კლუბი ჩემპიონი გახდა მომავალ საფეხბურთო სეზონში, ეს არ ჩაითვლება პირობის შესრულებად და ფეხბურთელები საფეხბურთო კლუბის გამგეობისაგან ვერ მოითხოვენ საჩუქარს. მათ შეეძლოთ გამგეობისაგან მოეთხოვათ საჩუქარი, თუკი გამგეობის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაში არ იქნებოდა აღნიშვნა „მიმდინარე საფეხბურთო სეზონი“. ეს იქნებოდა ვადის გარეშე განსაზღვრული პირობა და 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ასეთი პირობის შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროს.

დადგენილი ვადის გასვლის გამო ძალადაკარგულად აღიარებულ პირობას უთანაბრდება პირობა, თუკი აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია. მაგალითად, თუ საფეხბურთო კლუბმა იმდენი ქულა დაკარგა, რომ ყველა თამაშის მოგების შემთხვევაშიც კი ვერ გახდება ჩემპიონი, მაშინ გამგეობის მიერ შემოთავაზებული წინადადება იურიდიული ძალის არმქონე იქნება.

ზემოთ განხილული შემთხვევები ვადიანი პოზიტიური პირობების მაგალითებია. შეიძლება ასევე არსებობდეს ვადიანი, მაგრამ ნეგატიური პირობები. ეს ხდება მაშინ, როცა გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ გარიგებით პირობადებული მოვლენა არ დადგეს განსაზღვრულ ვადაში. მაგალითად, თუკი საფეხბურ-

თო კლუბი სეზონის ბოლომდე არ წააგებს არც ერთ თამაშს, კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს ჰპირდება პრემიას. თუ სეზონის ბოლომდე გუნდმა ერთი თამაში მაინც წააგო, პირობა ძალადაკარგულად ითვლება.

მართალია, სამოქალაქო სამართალი პირობითი გარიგების მონაწილეებს დიდ თავისუფლებას ანიჭებს (მათ თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ პირობის სახე და მისი შინაარსი), მაგრამ იმავდროულად უზრუნველყოფს მხარეთა მიერ არჩეული პირობების შესრულებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს. 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას. მაგალითი: საფეხბურთო კლუბის გამგეობამ შექმნა საპრემიო ფონდი დათქმული პირობის შესასრულებლად: თუ ფეხბურთელები ჩემპიონობას მოიპოვებდნენ, დაეჯილდოვებინა ისინი. პირობის დადგომამდე გამგეობამ ეს ფული სხვა მიზნებისთვის გახარჯა ისე, რომ დადებული გარიგების შესასრულებლად მას თანხა არ დარჩა. 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ფეხბურთელებს, თუკი ისინი ჩემპიონები გახდნენ, შეუძლიათ მოითხოვონ გამგეობისაგან დაპირებული პრემია.

მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება სამოქალაქო სამართალი და სხვა ღონისძიებებსაც ითვალისწინებს, რომელთა მიზანია პირობითი გარიგების მონაწილეთა ინტერესების დაცვა. კერძოდ, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა არ არის ხელსაყრელი, პირობა დაძვარად ჩაითვლება (98-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც ხელსაყრელია პირობის დადგომა, პირობა არ ჩაითვლება დაძვარად (მე-2 ნაწილი).

## §15. წარმომადგენლობა გარიგებებში

### *1. ცნება და დახასიათება*

დღეს უჩვეულო არაფერია იმაში, რომ ადამიანები ხშირად სხვისი სახელით გამოდიან ურთიერთობებში, იძენენ უფლებებს, კისრულობენ ვალდებულებებს და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს. ერთ შემთხვევაში ურთიერთობის მონაწილე არის თოთო

ბავშვი, რომელსაც ბუნებრივია, რომ თავისი მოქმედებით ჯერ კიდევ არ შეუძლია არაფრის გაკეთება. ამიტომ მისი სახელით ურთიერთობა უნდა დაამყაროს ბავშვის მშობელმა. სხვა შემთხვევაში სულით ავადმყოფობა ან ჭკუასუსტობა ხდება არაქმედუნარიანობის საფუძველი და ამ ურთიერთობებშიც ვხვდებით პირებს, რომლებიც არაქმედუნარიანთა სახელით დებენ გარიგებებს. როდესაც ჩვენ დიდ უნივერსალში შევიღვართ, რომელსაც რამდენიმე ათეული განყოფილება აქვს, ცხადია, მაღაზიის მესაკუთრე ყველა განყოფილებაში თვითონ ვერ დადგება. ამიტომ მყიდველების მომსახურების ფუნქცია დაკისრებული აქვთ გამყიდველებს, რომლებიც მაღაზიის სახელით დებენ გარიგებებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ანალოგიური ურთიერთობა უამრავია და ხშირად არც ვაცნობიერებთ, რომ მათში ჩვენ კონტინენტური ევროპის სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ინსტიტუტს – წარმომადგენლობას ვიყენებთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, განამტკიცებს იმის შესაძლებლობას, რომ გარიგება წარმომადგენლის მეშვეობითაც დაიდოს (103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). თანამედროვე სამართლისათვის მეტად მნიშვნელოვან ამ ინსტიტუტს დიდი ხნის ისტორია არა აქვს.

რომის სამართალი წარმომადგენლობის ინსტიტუტს არ იცნობდა. წარმომადგენლობა, როგორც გარიგების საფუძველზე სხვა პირისთვის წარმოდგენის უფლებამოსილების მინიჭება, მისთვის უცხო იყო.<sup>136</sup> იმ ურთიერთობებს, რომელთაც თანამედროვე სამართალი წარმომადგენლობის (როგორც კერძო ავტონომიის გამოხატველი ინსტიტუტის) მეშვეობით აწესრიგებს, რომის სამართალი პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე არეგულირებდა. მაგალითად, მამა შვილის სახელით იმითომ დებდა გარიგებებს, რომ შვილი ოჯახის წევრი იყო. ეს სტატუსი (ოჯახის წევრად ყოფნა) მამას, როგორც ოჯახის უფროსს (მეორე სტატუსის მქონეს) უფლებას ანიჭებდა შვილის სახელით დაედო გარიგებები.<sup>137</sup> თანამედროვე სამართლის ენაზე რომ ვთქვათ, *რომის სამართალი განამტკიცებდა მხოლოდ კანონით წარმომადგენლობის ინსტიტუტს. მაგრამ არა გარიგებითი წარმომადგენლობის ინსტიტუტს.*<sup>138</sup> რეალურად არც იყო ამის აუცილებლობა: გარიგებებს თანამედროვე გაგებით რომის სამართალი არ იცნობდა. ასევე უცხო იყო მისთვის კერძოსამართლებრივი იუ-

<sup>136</sup> Kaser. Das römische Privatrecht. Bd.I. §§ 62 und 141; Bd.II, § 204

<sup>137</sup> Krüger. Erwerbszurechnung kraft Status. 1979. S.21ff.

<sup>138</sup> Staudinger/Schilken (1996). Vorbem zu §§ 164 ff Rn. 3.



რიდიული პირების ცნება, რომელთათვისაც გარიგებითი წარმომადგენლობის ინსტიტუტი ბუნებრივი მოვლენაა.

მაშასადამე, ზოგადი წარმომადგენლობის ინსტიტუტს რომის სამართალი არ განამტკიცებდა. კონტინენტური ევროპის სამართალმა იგი მხოლოდ XVII საუკუნეში აღიარა. თუმცა საკანონმდებლო მოწესრიგება მან მხოლოდ XIX საუკუნის პირველ კოდიფიკაციებში იპოვა. მინდობილობა, როგორც წარმომადგენლობის გარეგნული გამოხატვის ფორმა, დეტალურად იყო მოწესრიგებული პრუსიულ სამართლის წიგნში (I, 13 §5), საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 1984-ე) და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსში (§§ 1002 და ა.შ.), თუმცა იგი განხილული იყო დავალების ხელშეკრულებასთან კავშირში.<sup>139</sup>

საკანონმდებლო აღიარების მიუხედავად, XIX საუკუნის პანდექტურ სამართალს უხმოდ არ მიუღია ეს ინსტიტუტი. წარმომადგენლობამ პანდექტური სამართლის მეცნიერებაში ცხარე კამათი გამოიწვია. მაგალითად, პუხტა წარმომადგენლობის ინსტიტუტის აღიარების წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, შეუძლებელია, რომ წარმოდგენილ პირს დაეკისროს გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულება წარმომადგენლის ნების გამო.<sup>140</sup> საეინის შეხედულების თანახმად, წარმომადგენლობის საფუძველზე დადებულ გარიგებაში მხარეს წარმოადგენს მხოლოდ წარმოდგენილი პირი (ე.ი. ის ითვლება გარიგებით მოქმედ პირად). რაც შეეხება წარმომადგენელს, იგი მხოლოდ წარმოდგენილი პირის ნების მატარებელია.<sup>141</sup> საეინის ამ თეორიას ეწოდება *Geschäftsherrntheorie*.<sup>142</sup> წარმომადგენლის თეორიის მიხედვით, რომლის ფუძემდებლად ითვლება ვინდშაიდი, გარიგებაში წარმომადგენელი წარმოადგენს, რეპრეზენტაციას უკეთებს წარმოდგენილ პირს. მართალია, გარიგებაში მოქმედი პირი არის წარმომადგენელი, მაგრამ გარიგების შედეგები გამოიყენება წარმოდგენილი პირის მიმართ.<sup>143</sup> რაც შეეხება საკითხს, რომ წარმომადგენლის მეშვეობით დადებულ გარიგებებში ფაქტობრივად ნების გამოვლენა ხდება წარმომადგენლის მიერ და არა წარმოდგენილი პირის მიერ, იშველიებდნენ ე.წ. ფიქციის თეორიას (ე.ი. ნება თითქოს წარმოდგენილ პირს გამოეხატოს).<sup>144</sup>

<sup>139</sup> Flume. *Rechtsgeschäft*. S. 751.

<sup>140</sup> Puchta. *Georg Friedrich. Pandekten*. 9 Aufl. 1863. §§ 52, 273.

<sup>141</sup> Savigny. *System*. Bd. III. §. 113.

<sup>142</sup> Flume. *Rechtsgeschäft*. S. 752.

<sup>143</sup> Windscheid. *Bernhard, Lehrbuch des Pandektenrechts*, §. 73 N 16 b.

<sup>144</sup> Flume. *Rechtsgeschäft*, S. 752.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შექმნისას პრაქტიკულად გაზიარებულ იქნა ვინშიიდის თეორია. სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს გაბატონებულია შეხედულება, რომ გარიგების შემადგენლობა ხორციელდება წარმომადგენლის პიროვნებაში, ხოლო შედეგები კი – წარმომადგენელი პირის მიმართ. ის, რომ წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგების შედეგები წარმოდგენილ პირს ეხება, ემყარება მოქმედი პირების ნებას და კანონს, რომელიც აღიარებს ამ პირთა ნებას.<sup>145</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სწორედ ამ შეხედულებას ეყრდნობა, თუმცა მინდობილობის შესახებ ცალკე წესებს, როგორც ეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსშია, იგი არ შეიცავს.

ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ნორმებს აბსტრაქტული მინდობილობის შესახებ. ეს აიხსნება ამ კოდექსის წარმოშობის ეპოქით: მაშინდელი სამართლის მეცნიერება ჯერ კიდევ არ იცნობდა წარმომადგენლობის ზოგად ინსტიტუტს. ამიტომაც არის, რომ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მინდობილობის ხელშეკრულებისა და ხელმძღვანელობის სხვა სახეების თავში იხილავს (§§ 1002-1035). თუმცა, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, სასამართლო პრაქტიკამ და სამართლის მეცნიერებამ თითქმის უსიტყვოდ აღიარეს XIX საუკუნეში წარმოშობილი წარმომადგენლობის თეორია. ამის თანახმად, ავსტრიული სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს უშუალო წარმომადგენლობასა და შუალედურ წარმომადგენლობას.<sup>146</sup> მინდობილობის გაცემა ავსტრიული სამართლის მიხედვით ფორმათავისუფალია. ასევე შესაძლებელია მისი გაუქმება. ამავე თავში არის მოწესრიგებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების საკითხები (§§ 1035-1042).

შეიცარიის ვალდებულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს წარმომადგენლობას შიდა და გარე ურთიერთობებში. მინდობილობის გაცემას იგი გარიგების სპეციალურ სახედ განიხილავს.<sup>147</sup>

აბსტრაქტული წარმომადგენლობის ინსტიტუტი უცხოა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისთვისაც. წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები უპირატესად მოწესრიგებულია დავალების ხელშეკრულებაში. თუმცა სამართლის მეცნიერება უეჭველად აღიარებს აბსტრაქტული

<sup>145</sup> v Tuhr, Bd. 2/2, S.337.

<sup>146</sup> Rummel/Strasser. Kommentar zum Allgemeinen bürgerlichen Gesetzbuch. 2. Aufl 1990-1992. §.1002 Rn. 8. Rn 42, Rn. 53.

<sup>147</sup> Guh/Merz/Koller. Das schweizerische Obligationenrecht. §§ 18ff.

წარმომადგენლობის პრინციპს.<sup>148</sup> სამაგიეროდ ფრანგული სამართალი იცნობს მინდობილობის ინსტიტუტს (procuration) და მისი მეშვეობით განასხვავებს წარმომადგენელს ინფორმაციის მიწოდებელი პირისაგან (მუწყებელი მაცნე – messenger). იმის გამო, რომ წარმომადგენლობის საკითხები დავალების ხელშეკრულებაშია მოწესრიგებული, მასზე ვრცელდება იგივე ფორმა, რაც ახასიათებს დავალების ხელშეკრულებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისური სამართლისთვის უცხოა წარმომადგენლობის ინსტიტუტი იმ გაგებით, როგორც კონტინენტური ევროპის სამართალშია განმტკიცებული. მისთვის ასევე უცხოა არაქმედუნარიან პირთა კანონით წარმომადგენლობის ინსტიტუტი.<sup>149</sup> ამ ხარვეზს ინგლისურ სამართალში ავსებენ ტრასტის ინსტიტუტის გამოყენებით. რაც შეეხება გარიგებებში წარმომადგენლობის მოწესრიგებას, ამ ფუნქციას ასრულებს agency-ის ინსტიტუტი. რეალურად ეს არის საწარმოთა საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება და იგი არ იცნობს აბსტრაქციის იმ ღონეს, რომელიც წარმომადგენლობას ახასიათებს შიდა და გარე ურთიერთობებში. agency შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ განხორციელებული მოქმედების მოწონებით ან ღუმილით.<sup>150</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული წარმომადგენლობის ინსტიტუტი კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციებს ემყარება. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან ღიღია. ამიტომ ვიდრე უშუალოდ გადავიდოდე სამოქალაქო კოდექსის ნორმათა დახასიათებაზე, აუცილებლად მიმანია წარმომადგენლობის პრაქტიკული მნიშვნელობის განხილვა.

## II. წარმომადგენლობის პრაქტიკული მნიშვნელობა

თანამედროვე საცაოთაში არსებული მრავალი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ წარმომადგენლობის ინსტიტუტის მეშვეობით. უწინარეს ყოვლისა, აქ ლაპარაკია წარმომადგენლობაზე გარიგების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებში.

იურიდიული პირები, როგორც ვნახეთ, წარმოადგენენ ადამიანების ან ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილ ორგანიზებულ წარმონაქმნებს.

<sup>148</sup> Ferid/Sonenberger. Bd. I/1. § 3 A 1.

<sup>149</sup> Müller-Freienfels. Die Vertretung beim Rechtsgeschäft. 1955. S. 166ff.

<sup>150</sup> Anson's. Law of contract. 24. Aufl. 1975. S. 571ff.

სამართლებრივ ურთიერთობებში. მართალია, ისინი საკუთარი სახელით მონაწილეობენ, მაგრამ ეს მათ შეუძლიათ მხოლოდ ადამიანების მეშვეობით, უფრო ზუსტად, იმ ადამიანების მეშვეობით, რომელთაც იურიდიული პირების წარმოდგენის უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული. ასეთი წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კერძო სამართლისთვის, არამედ საჯარო სამართლისთვისაც. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელია. ამისთვის მას რაიმე საგანგებო მინდობილობა არ სჭირდება — საქართველოს კონსტიტუცია მას ამ უფლებამოსილებას ანიჭებს.

*იურიდიული პირის სახელით ურთიერთობებში მონაწილე ფიზიკურ პირებს ორგანოები ეწოდება.* ისინი წარმომადგენლობის ნაირსახეობაა, მაგრამ გარიგებითი წარმომადგენლობისაგან ოდნავ მაინც განსხვავდებიან, კერძოდ, იურიდიულ პირებს მათ გარეშე არ შეუძლიათ არსებობა და საქმიანობა მაშინ, როცა წარმოდგენილი პირი ვალდებული არ არის ურთიერთობა წარმომადგენლის მეშვეობით დაამყაროს, ე.ი. მას აქვს არჩევანის შესაძლებლობა, რასაც ორგანოებთან დაკავშირებით იურიდიული პირი მოკლებულია. იგი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს არა მხოლოდ რაიმე კონკრეტულ მოქმედებას, როგორც ეს წარმომადგენლობის დროსაა, არამედ ყოველგვარ საქმიანობას. ამ სპეციფიკით აიხსნება ის გარემოება, რომ იურიდიული პირების წარმომადგენლობის საკითხს კანონმდებლობა სპეციალურად აწესრიგებს, მაგალითად, კანონში მეწარმეთა შესახებ ან სამოქალაქო კოდექსში იურიდიულ პირებთან დაკავშირებულ ნორმებში. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათი წარმომადგენლობის საკითხიც ასევე ცალკე კანონმდებლობით რეგულირდება.

არა მხოლოდ იურიდიული პირებისთვისაა აუცილებელი წარმომადგენლობის ინსტიტუტი, არამედ ადამიანთა სხვა გაერთიანებებისთვის, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ და ამიტომაც საჭიროებენ უფლებამოსილ პირებს. მაგალითად, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ან მარტივი ამხანაგობის დროსაც ეხვდებით ჩვენ ორგანოთა ცნებას, მაგრამ ისინი განსხვავდებიან იურიდიული პირის ორგანოებისაგან და არც წარმომადგენლობის იდენტურნი არ არიან. ამიტომ სწორად არის ლიტერატურაში აღნიშნული, რომ მათი სტატუსი შუალედურ მდგომარეობაში იმყოფება წარმომადგენლობასა და იურიდიული პირის ორგანოებს შორის.<sup>151</sup>

<sup>151</sup> Guhl/Merz/Koller. Das schweizerische Obligationenrecht. 8. Aufl. § 18, S. 145.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს ე.წ. საკუთრების მინდობის ინსტიტუტს. იგი, მართალია, არ არის წარმომადგენლობა კლასიკური ფორმით, მაგრამ ვინაიდან მინდობილი შესაქუთრე, საბოლოო ჯამში, მაინც საკუთრების მიმდობის (ე.ი. სხვა პირის) ინტერესებისთვის მოქმედებს, სახეზე გვაქვს არაპირდაპირი წარმომადგენლობა, რომელიც გარეგების საფუძველზე წარმოიშობა.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს *კანონით წარმომადგენლობას*. მისი მეშვეობით ხდება სამართლებრივ ურთიერთობებში იმ ადამიანების ჩაბმა, რომლებიც ასაკის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თვითონ განაზოციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. მართალია, მის არსებობასაც კანონის იმპერატიული ნორმა უდევს საფუძვლად, მაგრამ ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად წარმოშობილ წარმომადგენლობასთან მას მრავალი საერთო აკავშირებს. კანონიერ წარმომადგენლებს წარმოადგენენ მშობლები, მეურვეები და მზრუნველები. განსხვავებით მინდობილობის საფუძველზე წარმოშობილი წარმომადგენლობისაგან, მათი უფლებამოსილების ფარგლები და მოცულობა განისაზღვრება კანონით.

ერთმანეთისაგან განსხვავდება *პირდაპირი და არაპირდაპირი წარმომადგენლობა*. პირდაპირი წარმომადგენლობის დროს, მართალია, ურთიერთობაში გარეგნულად მონაწილეობს წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობების შედეგები უშუალოდ მიმართულია წარმოდგენილი პირის მიმართ. იგი გულისხმობს წარმომადგენლის არა მხოლოდ მოქმედებას წარმოდგენილი პირისთვის, არამედ მისი სახელითაც (მაგალითად, პროკურისტი). არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელით: სამართლებრივი ურთიერთობის შედეგი ჯერ მის მიმართ დგება, ხოლო შემდეგ – წარმოდგენილი პირის მიმართაც (ამის მაგალითია კომისიის ხელშეკრულება).

არაპირდაპირი წარმომადგენლობა უფრო ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს და ის არ ითვლება წარმომადგენლობად სამოქალაქო კოდექსის 103-ე-114-ე მუხლების გაგებით. მაშასადამე, წარმომადგენლობად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა, ე.ი. როცა წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელით და წარმოდგენილი პირისთვის.

წარმომადგენლობის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს კონკრეტული პირის (ან პირთა) უფლება სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოდგინოს სხვა პირი (ან პირები) – *წარმომადგენლობითი უფლებამოსილება*.

სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე.

წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რომელიც კანონის საფუძველზე წარმოიშობა, მე უკვე შევეხე. იმის გამო, რომ წარმომადგენლობის ეს სახე (კანონით წარმომადგენლობა) უფრო მნიშვნელოვანია მათ საფუძველად არსებული ინსტიტუტების ანალიზისას (როგორცაა ქმედუნარიანობა, საოჯახო სამართალი და ა.შ.), მათ აქ არ შევეხები და ყურადღებას გავამახვილებ წარმომადგენლობის კლასიკურ სახეზე – გარიგებით წარმომადგენლობაზე.

*წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება – მინდობილობის გაცემა.* მინდობილობა არის გარეგნული ფორმა, რომელშიც გამოიხატება კონკრეტული პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება. ვინაიდან კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას მინდობილობისთვის არ ითვალისწინებს, იგი შეიძლება გაიცეს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.<sup>152</sup> თუმცა პრაქტიკაში რეალურად უფრო გამოსაყენებელია წერილობითი ფორმა. ზოგჯერ ასეთ გამონაკლისს კანონიც ითვალისწინებს. მინდობილობის შინაარსი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ურთიერთობა უღვეს ამ უფლებამოსილებას საფუძველად: დავალება, შრომის ხელშეკრულება, სამეწარმეო საზოგადოების წესდება, სამანდატო ხელშეკრულება თუ სხვა. მაშასადამე, *მინდობილობა შეიძლება განემარტოთ, როგორც გარიგების საფუძველზე მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.* სწორედ ამით განსხვავდება იგი კანონით წარმომადგენლობისაგან.

### **III. წარმომადგენლობის განსხვავება სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან**

ურთიერთობებში ხშირად მონაწილეობენ პირები, რომლებიც გარეგნულად წარმომადგენლის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ პროფესიულ სახელწოდებაშიც ფიგურირებს ტერმინი „წარმომადგენელი“ (მაგალითად, სავაჭრო წარმომადგენელი). მიუხედავად ამისა, ისინი არ განეკუთვნებიან წარმომადგენლებს. ამიტომ აუცილებელია ამ პირთა გამოიჯენა წარმომად-

<sup>152</sup> ამიტომ უარი უნდა ეთქვას საბჭოთა სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულ წესზე, რომელიც მინდობილობას მხოლოდ წერილობით დოკუმენტად მიიხსენივს: Советские гражданское право.. под ред. О.А. Красавчикова, Т. 1, М., 1985, с 269.

გენლებისაგან. ამის გაკეთება აუცილებელია იმიტომაც, რომ ზუსტად განისაზღვროს მათი სამართლებრივი სტატუსი და შეცდომით არ იქნეს მათ მიმართ გამოყენებული ნორმები წარმომადგენლობის შესახებ.

გარიგებითი წარმომადგენლობისაგან უნდა განეასხვაოთ მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ისეთი სუბიექტები, როგორიცაა: სავაჭრო წარმომადგენელი, დამოუკიდებელი მოვაჭრე, კომისიონერი (მუხლი მე-11) და სავაჭრო მაკლერი (მუხლი მე-12). მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა შუამავლობითი საქმიანობაა და, მიუხედავად წარმომადგენლობასთან მსგავსებისა, ეს პირები არ ჩაითვლებიან წარმომადგენლებად.

წარმომადგენლებს არ განეკუთვნებიან ასევე მრჩეველები, თარჯიმნები და სამდივნოს თანამშრომლები, რომელთა საქმიანობის მიზანს შეადგენს გამონათული ნების გადაცემა ადრესატისთვის.

#### *IV. ინტერესთა თანაფარდობა წარმომადგენლობისას*

წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ინტერესთა სიმრავლეა. მასში, სულ ცოტა, სამი პირი მაინც მონაწილეობს: წარმომადგენელი, წარმოდგენილი პირი და მესამე პირი, რომელთანაც უნდა დადოს წარმომადგენელმა გარიგება. აქედან გამომდინარე, ამ გარიგებებში ბუნებრივად წარმოიშობა ინტერესთა თანაფარდობის საკითხი. მისი გარკვევა აუცილებელია იმისთვის, რომ გარიგების მხარეებმა დასახულ შედეგებს მიაღწიონ ისე, რომ მათ შორის არ წარმოიშვას კონფლიქტი. ეს კი მოითხოვს ამ ურთიერთობაში რამდენიმე ასპექტის დაზუსტებას.

მესამე პირმა, რომელთანაც უშუალო ურთიერთობაში შედის წარმომადგენელი, უნდა იცოდეს, თუ ვინ არის გარიგების მხარე, ე.ი. ვისთან დებს იგი გარიგებას. თუ მესამე პირისთვის უცნობია, რომ წარმომადგენელი სხვისთვის დებს გარიგებას, მაშინ მან უნდა ივარაუდოს, რომ მისი გარიგების პარტნიორი წარმომადგენელია. მესამე პირის ინტერესები მოითხოვს იმას, რომ მან ზუსტად იცოდეს, თუ ვისთან დებს გარიგებას. ამიტომ საბოქალაქო კოდექსი მრავალ ადგილას ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომლებიც წარმომადგენლობის უფლების ბუნდოვნობისას იცავენ გარიგების მონაწილეთა ინტერესებს.

არა მხოლოდ მესამე პირის, არამედ წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვაც ასევე მნიშვნელოვანია. თუკი წარმომადგენელი გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებებს, ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს წარმოდ-

გენილი პირისთვის. ცხოვრებაში არაა იშვიათობა, როცა ადამიანები სხვისი სახელით დებენ გარიგებებს და ამით ზიანს აყენებენ ამ პირებს. ამიტომაც მოითხოვს კანონი კატეგორიულად, რომ მხოლოდ უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებები წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისთვის (104-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თუ კვაზიწარმომადგენელი-წარმოდგენილი პირის სახელით დებს გარიგებებს, მაშინ დაცვას მოითხოვს არა მხოლოდ წარმოდგენილი პირის, არამედ მესამე პირის ინტერესებიც. როცა წარმომადგენელი ამბობს, რომ ის სხვისი სახელით დებს გარიგებებს, მაშინ მესამე პირს აქვს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მისი გარიგების მხარე არა წარმომადგენელია, არამედ წარმოდგენილი პირი. აქაც განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსი ნორმებს, რომელთა მიზანია მონაწილეთა ინტერესების დაცვა.

### *V. წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობები*

წარმომადგენლობა შეიძლება ყველა სახის ურთიერთობისა და ყველა გარიგების მიმართ იყოს გამოყენებული. მაგრამ ამ ზოგადი წესიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები. 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლობა არ გამოიყენება მაშინ, როცა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით. ამიტომ წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას უნდა გაირკვეს საკითხი, თუ როგორი ხასიათისაა ეს გარიგება, შეიძლება თუ არა ზასში წარმომადგენლის მონაწილეობა. მაგალითად, დაქორწინება ისეთი გარიგებაა, რომელიც დასაქორწინებელმა პირებმა უშუალოდ უნდა დადონ. ამიტომ ამ შემთხვევაში წარმომადგენლის მონაწილეობა დაუშვებელია.

იმის გამო, რომ წარმომადგენელი თვითონ დებს გარიგებას, მისი პიროვნება უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების მონაწილეთათვის დადგენილ მოთხოვნებს. ამისთვის აუცილებელია, რომ წარმომადგენელი იყოს ქმედუნარიანი. მაგრამ კანონი არ მოითხოვს, რომ წარმომადგენელი აუცილებლად სრული ქმედუნარიანი იყოს. 105-ე მუხლის თანახმად წარმომადგენელი შეიძლება იყოს შეზღუდული ქმედუნარიანი პირიც. ეს აიხსნება იმით, რომ, მართალია, წარმომადგენელი თვითონ დებს გარიგებებს, მაგრამ ამ გარიგების შედეგები დგება არა მისთვის პირადად, არამედ



წარმოდგენილი პირისთვის.<sup>153</sup> ამიტომ შეზღუდული ქმედუნარიანობა არ უნდა ჩაითვალოს წარმომადგენლობის ხელშეშლელ გარემოებად. მაგრამ სავალდებულოა, რომ შეზღუდული ქმედუნარიანი პირი გარიგებას დებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა ამ წესიდანაც არის გამონაკლისი. წარმომადგენლობის უფლებამოსილების არარსებობა არ შეიძლება იყოს გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველი, თუკი გარიგება ისეთ პირობებში დაიდო, რომ მესამე პირს კეთილსინდისიერად ეგონა წარმომადგენლობის უფლების არსებობა (104-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, როცა მალაზიის დახლში დგას ახალგაზრდა გოგო და ყიდის საქონელს ისე, რომ მალაზიის მესაკუთრემ არ იცის ამის შესახებ. მართალია, ამ დროს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს არა აქვს უფლებამოსილება, მაგრამ გარიგება ისეთ პირობებში დაიდო, როცა დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მას ეს უფლებამოსილება ჰქონდა. ამ შემთხვევაში კანონი იცავს კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესებს და მის კეთილსინდისიერებას წარმომადგენლობის ნამდვილობის ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევს.

პრაქტიკულად შეუძლებელია წარმომადგენელი იყოს შეზღუდულად ქმედუნარიანი. როცა ლაპარაკია კანონით წარმომადგენლობაზე. მაგალითად, შეზღუდული ქმედუნარიანი პირი არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან ძზრუნველად ამიტომ 105-ე მუხლის ნორმა არსებითად გარიგებით წარმომადგენლობას ეხება.

თუ სამოქალაქო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე იყოს წარმომადგენელი, ქმედუნარო პირთათვის ასეთი რამ გამორიცხულია. ისინი არც კანონით და არც გარიგებით წარმომადგენლები არ შეიძლება იყვნენ. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მათ ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა სამართლით ჩამორთმეული აქვთ.

წარმომადგენლობის ნამდვილობის შემდეგ ჩნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (რწმუნებულება) მის გარეშე წარმომადგენლობა არ შეიძლება საერთოდ არსებობდეს წარმომადგენლისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება ხდება ან მარწმუნებლის მიერ, ანდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში 107-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. უფლებამოსილების მოცემა ხდება რწმუნებულის, ე.ი წარმომადგენლის ან იმ მესამე პირის შიძარო

<sup>153</sup> Brox. AT. Rn 474

ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. მაშასადამე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება (მინდობილობის გაცემა) წარმოადგენს გარიგებას და მის მიმართ გამოიყენება წესები საერთოდ გარიგებათა შესახებ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაცემის შესახებ ნების გამოვლენას არ სჭირდება იმ ფორმის დაცვა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა დადგენილია სპეციალური ფორმა (107-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, როცა საუბარია წარმომადგენლის მეშვეობით უძრავი ქონების ნასყიდობაზე, წარმომადგენელს აუცილებლად სჭირდება სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობა.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობის) განხილვისას პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი ამ უფლებამოსილების ფარგლების შესახებ ერთ შემთხვევაში ამ ფარგლებს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს (მაგალითად, მეურვეთა უფლებამოსილება სამეურვეო პირთა მიმართ), მეორე შემთხვევაში – წესდება (მაგალითად, როცა ლაპარაკია კავშირის გამგეობის წევრების უფლებამოსილებაზე), ხოლო სხვა დროს იგი დამოკიდებულია რწმუნებულის მიერ მინიჭებული უფლებების ხასიათზე. მინდობილობა შეიძლება ერთი კონკრეტული მოქმედების განხორციელების უფლებას იძლეოდეს ან წარმომადგენელს ანიჭებდეს ქონებრივი ხასიათის ყველა მოქმედების განხორციელების უფლებებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. გენერალურ მინდობილობასთან ანუ გენერალურ წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებას სამოქალაქო კოდექსი დიდ მნიშვნელობას აძლევს. ამიტომაც განსაზღვრავს იგი ამ უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს კონკრეტულად. 109-ე მუხლის მიხედვით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება, თუ გავიდა ის ვადა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება, უარი თქვა უფლებამოსილმა პირმა, ან რწმუნებულმა გააუქმა თავისი უფლებამოსილება ანდა შესრულდა უფლებამოსილებით გათვალისწინებული ვალდებულება. უფლებამოსილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს რწმუნებულის გარდაცვალება ან მისი ქმედუნარობის დადგომა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უფლებამოსილების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა უნდა ეცნობოს მესამე პირს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ უფლებამოსილების შეცვლა მესამე პირისათვის არ ჩაითვლება განხორციელებულად.

წარმომადგენლობის ნაძვეილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ისიცაა, რომ წარმომადგენელი ურთიერთობებში გამოდის სხვი) , სახელით და უფლება-მოვალეობები ამ ურთიერთობებიდან წარმოიქმნება სხვას (რწმუნებულს). 104-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ განაშტკიცებს ამას. გარდა ამისა, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით, საკუთარ თავთან თავისი სახელით. ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს. თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გაოვალისწინებული.

**Act for the Registration, Incorporation and Regulation of Joint Stock Companies** (ინგ.) - [ექთ ფორ რეჯისტრეიშნ. ინკორპორეიშნ ენდ რეგულეიშნ ოფ ჯოინტ სთოქ ქომპანის] სააქციო საზოგადოებების დაფუძნების, რეგისტრაციისა და რეგულირების აქტი

**active capacity** (ინგ.) - [ექთივ ქეფესითი] ქმედუნარიანობა.

**actus juridici** (ლათ.) - [აქტუს იურიდიცი] იურიდიული მოქმედებანი.

**administrateurs** (ფრანგ.) - [ადმინისტრატორ] ადმინისტრატორები სააქციო საზოგადოებაში ფრანგული სამართლის მიხედვით

**administratores** (ლათ.) - [ადმინისტრატორეს] მმართველები

**agency** (ინგ.) - [ეიჯენსი] წარმომადგენელი ინგლისური სამართლის მიხედვით

**Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch** (გერმ.) - [ალგემაინეს ბუერგერლიხეს გეზეტცბუხ] ზოგადი სამოქალაქო კანონთა წიგნი

**artificial person** (ინგ.) - [ართიფიშლ ფერსონ] იურიდიული პირის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ამერიკულ სამართალში.

**Ashbury case** (ინგ.) - [ეშბური ქეის] ეშბურის პრეცედენტი. ასე ერქვა იმ საქმეს, რომელმაც საფუძველი დაუდო ინგლისურ სამართალში **ultra-vires** მოძღვრებას.

**autorisation** (ფრანგ.) - [ოტორიზასიონ] სახელმწიფოს ნებართვა სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას ფრანგული სამართლის მიხედვით.

**Bank of England** (ინგ.) - [ბენქ ოფ ინგლენდ] ინგლისის ბანკი.

**Bill of Rights** (ინგ.) - [ბილ ოფ რაითს] ადამიანის უფლებათა ბილი (დეკლარაცია).

**bonnes moeurs** (ფრანგ.) - [ბონ მორს] კეთილი ზნეობა.

**Borgerlijk Wetboek** (ჰოლ.) - [ბორგერლიკ ვეტბოოკ] ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი.

**Bürgerliches Gesetzbuch** (გერმ.) - [ბუერგერლიხეს გეზეტცბუხ] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

**capacite de jouissance** (ფრანგ.) - [კაპასიტე დე ჟუისანს] უფლებუნარიანობა.

---

უცხოენოვან გამოთქმათა ქართული ტრანსკრიპციები ფიქსირებულია ვებ-გვერდზე [www.georgianlaw.org](http://www.georgianlaw.org) და გამოხატავს ავტორის პოზიციას. ამისთვის მადლობა უნდა გადავხადოთ იმ ადვოკატებს, რომლებმაც დაგვიხმეს ეს მასალები. მადლობა უნდა გადავხადოთ იმ ადვოკატებს, რომლებმაც დაგვიხმეს ეს მასალები. მადლობა უნდა გადავხადოთ იმ ადვოკატებს, რომლებმაც დაგვიხმეს ეს მასალები.

- capacity** (ინგ.) - [ქვეყნითი] უფლებაუნარიანობის მსგავსი ინსტიტუტი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში
- capacity for acts** (ინგ.) - [ქვეყნითი ფორ ექტის] ქმედუნარიანობა
- capacity for right** (ინგ.) - [ქვეყნითი ფორ რაით] უფლებამოსილების აღმნიშვნელი ცნება ინგლისურ-ამერიკულ სამართალში
- Case Law** (ინგ.) - [ქეის ლოო] პრეცედენტული სამართალი
- castellum velvicus** (ლათ.) - [კასტელუმ ველევიკუს] მცირე სიმაგრის სახის დასახლებული ადგილი, სოფელი, ხუტორი რომის სამართალში
- causa** (ლათ.) - [კაუზა] სამართლებრივი საფუძველი, მიზეზი.
- Certificate of complete Registration** (ინგ.) - [სირთიფიკატი ოფ კომპლიო რეგისტრეიშნ] საწარმოს რეგისტრაციის სერტიფიკატი.
- charter** (ინგ.) - [ჩართერ] წესდება
- chef de famille** (ფრანგ.) - [შეფ დე ფამი] ოჯახის უფროსი
- Chief justic** (ინგ.) - [ჩიფ ჯასტის] აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
- civil law** (ინგ.) - [სივილ ლოო] სამოქალაქო სამართალი
- civitas** (ლათ.) - [სივიტას] მოქალაქეობა.
- Close Corporation** (ინგ.) - [კლოუზ კორპორეიშნ] დახურული კორპორაცია - შეესაბამება ჩვენს სამართალში არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას
- Code Civil** (ფრანგ.) - [კოდ სივილ] საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი
- Code de commerce** (ფრანგ.) - [კოდ დე კომერს] საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი.
- Codex Justinianus** (ლათ.) - [კოდექს იუსტინიანუს] იუსტინიანეს კოდექსი
- Codex Theodosianus** (ლათ.) - [კოდექს თეოდოსიანუს] იმპერატორ თეოდოსიუსის კოდექსი
- Codice Civile** (იტალ.) - [კოდიჩე ჩივილე] იტალიის სამოქალაქო კოდექსი.
- Codigo Civil** (ესპ.) - [კოდიგო სივილ] ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი
- Codul Civil** (რუმ.) - [გოდულ სივილ] რუმინეთის სამოქალაქო კოდექსი
- collegia** (ლათ.) - [კოლეგია] წოდებრივი ან პროფესიული გაერთიანებები (კორპორაციები), სარეწაო საამქროები, სავაჭრო კორპორაციები, საკულტო გაერთიანებები, დამკრძალავი კორპორაციები და ა.შ. რომის სამართალში. მათი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა უკვე თვით მათი შექმნის ფაქტიდან.
- Common Law** (ინგ.) - [კომონ ლოო] საერთო სამართალი - სახელწოდება, რომლითაც აღინიშნება ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახი.
- communis opinio doctorum** (ლათ.) - [კომუნის ოპინიო დოქტორუმ] მეცნიერთა, სწავლულთა საერთო შეხედულება.

**Company limited by shares** (ინგ.) - [ქომეახი ლიმიტედ ბაი შერს] სააქციო საზოგადოების ერთ-ერთი სახელწოდება ინგლისურ-ამერიკულ სამართალში  
**condiciones juris** (ლათ.) - [კონდიციონეს იურის] სამართლებრივი პირობები; ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, პირობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგი ფაქტობრივ მოვლენაზე დამოკიდებული თუ სამართლებრივ ნორმაზე.

**Condictio ob iniustam causam** (ლათ.) - [კონდიციო ობ ინიუსტამ კაუზამ] სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც მიიღო შესრულება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის მიუხედავად

**Consolidation Act** (ინგ.) - [ქონსოლიდეშნ ექთ] გაერთიანების აქტი საკორპორაციო სამართალში - ორი ან მეტი კორპორაციის გაერთიანება ახალი კორპორაციის წარმოქმნით.

**corporation** (ინგ.) - [ქორპორეშნ] კორპორაცია.

**Corpus Iuris Civilis** (ლათ.) - [კორპუს იურის ცივილის] სახელწოდება, რომელიც იუსტინიანეს კრებულს ეწოდა XVI საუკუნიდან.

**Court of Appeal** (ინგ.) - [ქორთ ოფ ეფიალ] სააპელაციო სამართალი.

**Crown Court** (ინგ.) - [ქროუნ ქორთ] სამეფო სასამართლო.

**curatores** (ლათ.) - [კურატორეს] კურატორები, რომლებიც წარმოადგენდნენ უნივერსიტასს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

**Decretum Gratiani** (ლათ.) - [დეკრეტუმ გრაციანი] კანონიკური სამართლის კრებული, რომელიც შეიქმნა 1140 წელს ბოლონიაში.

**defamation** (ინგ.) - [დიფამეშნ] დეფამაცია.

**domicile** (ინგ.) - [დომისაილ] საცხოვრებელი ადგილი

**domicile by operation of law** (ინგ.) - [დომისაილ ბაი ოფერეიშნ ოფ ლოო] მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კანონის ძალით.

**domicile d'origine** (ფრანგ.) - [დომისილ დ' ოლიჟინ] საცხოვრებელი ადგილი წარმოშობის მიხედვით ფრანგულ სამართალში.

**domicile of choice** (ინგ.) - [დომისაილ ოფ ჩოის] სრულწლოვანი პირის მიერ დაფუძნებული არჩევითი საცხოვრებელი ადგილი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში.

**domicile of origin** (ინგ.) - [დომისაილ ოფ ორიჯინ] რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის საცხოვრებელი ადგილი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში, რომელიც ემთხვევა მშობლების საცხოვრებელ ადგილს.

**domicilio generale** (იტალ.) - [დომიჩილიო ჯენერალე] ძირითადი საცხოვრებელი ადგილი.

**domicilio speciale** (იტალ.) – [დომიჩილიო სპეჩიალე] სპეციალური საცხოვრებელი ადგილი იტალიის სამართალში.

**dommage moral** (ფრან.) – [დომაჟ მორალ] მორალური ზიანი (ზარალი).

**error in corpore** (ლათ.) – [ერორ ინ კორპორე] შეცდომა ხელშეკრულების ობიექტში.

**error in materia (substantia)** (ლათ.) – [ერორ ინ მატერია (სუბსტანცია)] რომის სამართალში გულისხმობდა შეცდომას ხელშეკრულების საგნის შემაღგენელ ნივთიერებებში, მაგალითად, ბრინჯაოს მიწნევა ოქროდ.

**error in negotio** (ლათ.) – [ერორ ინ ნეგოციო] შეცდომა გარიგების სახეობაში.

**error in objecto** (ლათ.) – [ერორ ინ ობიექტო] შეცდომა ობიექტში.

**error in persona** (ლათ.) – [ერორ ინ პერსონა] შეცდომა პიროვნებაში.

**falsa demonstratio** (ლათ.) – [ფალსა დემონსტრაციო] არასწორი წარმოდგენა. შეხედულება რაიმეზე. შეცდომა გარიგებაში, რომლის დროსაც გარიგების მხარეებს სურთ ერთიანი მიზნის მიღწევა, დებენ გარიგებას, მაგრამ შეცდომით მას სხვა სახელს არქმევენ.

**Federal Bill of Rights** (ინგ.) – [ფედერალ ბილ ოფ რაიტს] ადამიანის უფლებათა ფედერალური ბილი აშშ-ში

**fictitious person** (ინგ.) – [ფიქტიშეს ფერსონ] ფიქციური (გამოგონილი) პირი – იურიდიული პირის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში.

**fondation d'entreprise** (ფრანგ.) – [ფონდასიონ დ'ანტრეპრიზ] საწარმოს დაფუძნება.

**gemeines Recht** (გერმ.) – [გემაინეს რეხტ] კონტინენტური ევროპის საერთო სამართლის სახელწოდება გერმანულ ენაზე.

**grandes entreprises** (ფრანგ.) – [გრანდ ანტრეპრიზ] დიდი საწარმოები.

**habitation** (ფრანგ.) – [აბიტასიონ] პირის ფაქტობრივი სამყოფელის აღმნიშვნელი ცნება ფრანგულ სამართალში.

**habitual residence** (ინგ.) – [ჰებიტუალ რეზიდენს] პირის რეგულარული საცხოვრებელი ადგილი.

**Homo persona moralis est quatenus spectatur tamquam subjectum certarum obligationum etque iurium centrorium** (ლათ.) – [ჰომო პერსონა მორალის ესტ კვატანუს სპექტატურ ტამკვამ სუბიექტუმ ცენტრუმ

ობლიგაცია. ნუმ ეტკვე იურიუმ ცერტორიუმ] ადამიანი მორალური (ზნეობრივი) პიროვნება არის, ვიდრე იგი ფასდება როგორც სუბიექტი, რომელიც ცდილობს შეასრულოს ვალდებულება კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის გრძნობით.

**House of Lords** (ინგ.) - [ჰაუზ ოფ ლორდს] ლორდთა პალატა.

**impuberes** (ლათ.) - [იმპუბერეს] არასრულწლოვანები რომის სამართალში  
**infantes** (ლათ.) - [ინფანტეს] ბავშვები შვიდი წლის ასაკამდე რომის სამართალში.

**intention to make the place his/her home** (ინგ.) - [ინტენშ თუ მუიქ დე ჰიზ/ჰერ ჰოუმ] ადგილის სახლად გადაქცევის განზრახვა.

**Ius civile** (ლათ.) - [იუს ცივილე] სამოქალაქო სამართალი

**Ius civile Romanorum** (ლათ.) - [იუს ცივილე რომანორუმ] რომაელთა სამოქალაქო სამართალი.

**Ius cogens** (ლათ.) - [იუს კოგენს] იმპერატიული სამართალი

**Ius Commune** (ლათ.) - [იუს კომუნე] საერთო სამართალი კონტინენტურ ევროპაში.

**Ius dispositum** (ლათ.) - [იუს დისპოზიციუმ] დისპოზიციური სამართალი

**Ius patrium** (ლათ.) - [იუს პატრიუმ] ეროვნული სამართალი

**Ius privatum** (ლათ.) - [იუს პრივატუმ] კერძო სამართალი.

**Ius utrumque** (ლათ.) - [იუს უტრუმკვე] „ორივე სამართალი“ - არის ცნება, რომელიც აღნიშნავს XII საუკუნეში სასულიერო სამართლისა და რომის სამართლის ერთიანობას

**joint stock companies** (ინგ.) - [ჯოინტ სტოკ ქომფანის] ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმის კორპორაცია ამერიკულ სამართალში, რომელსაც პოსტსაბჭოთა სამართალში ხშირად აიგივებენ სააქციო საზოგადოების ცნებასთან, რაც არ არის კორექტული.

**juristic person** (ინგ.) - [ჯურისტოიქ ფერსონ] იურიდიული პირის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში.

**juristische Person** (გერმ.) - [იურისტიშე პერსონ] იურიდიული პირი

**legal capacity** (ინგ.) - [ლიგალ ქეფესიოი] უფლებათუნარიანობისა და ქმედუნარიანობის აღმნიშვნელი ცნება საერთო სამართალში

**legal person** (ინგ.) - [ლიგალ ფერსონ] იურიდიული პირის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

**leges imperfectae** (ლათ.) - [ლეგეს იმპერფექტე] კანონები, რომლებიც რომის სამართალში აკრძალვებს აწესებდნენ



- leges minus quam perfectae** (ლათ.) - [ლეგეს მინუს კვამ პერფექტე] კანონები. რომლებიც რომის სამართალში გარიგების დადებას სჯიდნენ სისხლის სამართლის წესით
- leges perfectae** (ლათ.) - [ლეგეს პერფექტე] კანონები. რომლებიც რომის სამართალში კანონსაწინააღმდეგო გარიგებების ბაოილობას განსაზღვრავდნენ
- Letters patent** (ინგ.) - [ლეთერს ფათენტ] ოფიციალური საჯარო გამოცხადება განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ
- libel** (ინგ.) - [ლაიბელ] ცილისწამება
- limited capacity** (ინგ.) - [ლიმიტედ ქაფასითი] შეზღუდული ქმედუნარიანობა
- limited company** (ინგ.) - [ლიმიტედ კომფანი] შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია
- manus morte** (ლათ.) - [მანუს მორტე] მკვდარი ხელი. ეი ფონდი. რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს
- mandataires** (ფრანგ.) - [მანდატერ] რწმუნებული პირი
- messenger** (ფრანგ.) - [მესაჟერ] მუწყებელი.
- minores** (ლათ.) - [მინორეს] მოზრდილი პირები 25 წლის ასაკამდე რომის სამართალში
- Naamloze Vennootschap** (ჰოლ.) [ნაამლოზე ვენნიოჩაპ] სააქციო საზოგადოება ჰოლანდიურ სამართალში.
- nom patronymique** (ფრანგ.) - [ნომ პატრონიმიკ] მამის სახელი
- numerus clausus** (ლათ.) - [ნუმერუს კლაუზუს] - დახურულ რიცხვთა კანონი ნიშნავს რაიმეს ამომწურავ ჩამონათვალს
- Office for the Registration of Joint Stock Companies** (ინგ.) - [ოფის ფორდე რეჯისტრეიშნ ოფ ჯოინტ სტოქ ქომპანიეს] სააქციო საზოგადოებების რეჯისტრაციის სამსახური.
- ordre public** (ფრანგ.) - [ორდრ პუბლიკ] საჯარო წესრიგი. სახელმწიფოებრივი წესრიგი.
- ordre public economique** (ფრანგ.) - [ორდრ პუბლიკ ეკონომიკ] საჯარო ეკონომიკური წესრიგი.
- ordre public politique** (ფრანგ.) - [ორდრ პუბლიკ პოლიტიკ] საჯარო პოლიტიკური წესრიგი

- pacta contra bonos mores** (ლათ.) - [პაკტა კონტრა ბონოს მორეს] კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო ხელშეკრულება.
- pacta sunt servanda** (ლათ.) - [პაკტა სუნტ სერვანდა] ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.
- partnership** (ინგ.) - [ფართინერშიპ] ამხანაგობა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში.
- passive capacity** (ინგ.) - [ფესივ ქეფესითი] შეზღუდული ქმედუნარიანობის მსგავსი ინსტიტუტი საერთო სამართალში.
- patrimoine** (ფრანგ.) - [პატრიმუენ] იურიდიული პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა ფრანგულ სამართალში.
- persona ficta** (ლათ.) - [პერსონა ფიქტა] ფიქციური პირი.
- persona moralis** (ლათ.) - [პერსონა მორალის] მორალური პირი.
- personne humaine** (ფრანგ.) - [პერსონ იუმენ] პიროვნება.
- pieae causae** (ლათ.) - [პიე კაუზე] საქველმოქმედო მიზნები; დაწესებულებები; დამოუკიდებელი საქველმოქმედო ფონდები; ქონება, რომელიც შემოწირული იყო მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებისათვის (ავადმყოფთა, მოხუცებულთა, ბავშვთა, ლატაკთა და ა.შ. სარჩენად) რომის სამართალში.
- pietas** (ლათ.) - [პიეტას] ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კეთილსინდისიერად, სამართლიანად, კეთილმოსურნედ.
- power** (ინგ.) - [ფაუერ] უფლებამოსილება, ძალაუფლება.
- power to contract** (ინგ.) - [ფაუერ თუ ქონტრაქტ] ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება
- principal etablissement** (ფრანგ.) - [პრენსიპალ ეტაბლისმან] ფიზიკური პირის მთავარი ადგილსამყოფელი (საცხოვრებელი ადგილი) ფრანგული სამართლის მიხედვით.
- principle** (ინგ.) - [ფრინსიფლ] პრინციპი, დოქტრინა.
- Private Company** (ინგ.) - [ფრაივით ქომფანი] შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ერთ-ერთი აღმნიშვნელი ამერიკულ სამართალში.
- procuration** (ფრანგ.) - [პროკურასიონ] მინდობილობის ინსტიტუტი ფრანგულ სამართალში.
- procuratores** (ლათ.) - [პროკურატორეს] პირები, რომლებიც ცალმხრივი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე უძღვებოდნენ მიმდინარე სამეურნეო საქმეებს რომის სამართალში.
- provincia** (ლათ.) - [პროვინცია] ტერიტორია, რომელზედაც ვრცელდებოდა მაგისტრატის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.
- Public Corporation** (ინგ.) - [ფაბლიკ ქორპორეიშნ] ღია ტიპი სააქციო

საზოგადოება ამერიკულ სამართალში. ეი საზოგადოება, რომლის აქციები შეიძლება შექნილ იქნეს თავისუფლად

**Publicum ius est quod ad statum rei Romanae spectat, privatum quod ad singulorum utili tatem** (ლათ.) - [პუბლიკუმ იუს ესტ კოდ ად სტატუმ რეი რომანე სპექტატ. პრივატუმ კოდ ად სინგულორუმ უტილიტატემ] საჯარო სამართალი განეკუთვნება რომის სახელმწიფოს საქმეებს, კერძო სამართალი განეკუთვნება კერძო პირთა სარგებლობას

**Quaestor sacri palatii** (ლათ.) - [კვესტორ საკრი პალაციი] იუსტიციის მინისტრი ძველ რომში.

**reale Verbandspersönlichkeit** (გერმ.) - [რეალე ფერბანდსპერზონლიხკეიტ] რეალური კავშირის თეორია - ერთ-ერთი თეორია იურიდიული პირების შესახებ.

**Rechtsgeschäft** (გერმ.) - [რეხტსგეშეფტ] გარიგება

**rector** (ლათ.) - [რექტორ] მმართველი, ხელმძღვანელი.

**religio** (ლათ.) - [რელიგიო] კეთილსინდისიერება ვალდებულებათა შესრულების დროს რომის სამართალში.

**Renaissance of the 12th century** (ინგ.) - [რენესანს ოფ დე თველთ სენჩური] მე-12 საუკუნის რენესანსი.

**repraesentata** (ლათ.) - [რეპრეზენტატა] რეპრეზენტაცია, წარმოდგენა.

**residence** (ფრანგ.) - [რეზიდანს] ფიზიკური ყოფნის ადგილის აღმნიშვნელი ცნება ფრანგულ სამართალში.

**right of privacy** (ინგ.) - ხელშეუხებლობის უფლება.

**rule** (ინგ.) - [რულ] წესი.

**shares** (ინგ.) - [შეარს] წილები.

**slander** (ინგ.) - [სლენდერ] ზეპირი შეურაცხყოფა, ზეპირი ცილისწამება.

**societe a responsabilite limitee** (ფრანგ.) - [სოსიეტე ა რესპონსაბილიტე ლიმიტე] შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფრანგული სამართლის მიხედვით.

**Societe anonyme** (ფრანგ.) - [სოსიეტე ანონიმ] ანონიმური საზოგადოება - ნიშნავს სააქციო საზოგადოებას ფრანგულ სამართალში.

**specialite legale** (ფრანგ.) - [სპესიალიტე ლეგალ] იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობა (სამართლებრივი სპეციალიზაცია) ფრანგულ სამართალში.

**specialite statutaire** (ფრანგ.) - [სპესიალიტე სტატუტერ] იურიდიული პირის საწესდებო უფლებაუნარიანობა ფრანგულ სამართალში.

**stare decisis** (ინგ.) - [სთარე დეისიზის] სასამართლო პრეცედენტი  
**Statute Law** (ინგ.) - [სთეთიუთ ლოო] საკანონმდებლო აქტები, კანონის  
სამართალი

**Supreme Court** (ინგ.) - [სიუფრემ ქორთ] უზენაესი სასამართლო  
**syndici** (ლათ.) - [სინდიცი] საზოგადოების ან კერძო გაერთიანების წარმომადგენელი

**Systema elementare universae iurisprudentiae positivae** (ლათ.) - [სისტემა ელემენტარე უნივერსე იურისპრუდენციე პოსიტივე] პოზიტიური იურისპრუდენციის უნივერსალური ელემენტების სისტემა

**the law will imply or create a contractual or quasi contractual obligation to pay** (ინგ.) - [დე ლოო ვილ იმფლაი ორ ქრიეით ე ქონტრაქტუალ ორ ქუაზი ქონტრაქტუალ ობლიგეიშნ თუ ფეი] კანონი იგულისხმებს ან შექმნის გადახდის სახელშეკრულებო ან კვაზი სახელშეკრულებო ვალდებულებას

**titulus** (ლათ.) - [ტიტულუს] უფლებრივი საფუძველი ამა თუ იმ საძირ-თლებრივი მოქმედების განსახორციელებლად

**Two Treaties on Civil Government** (ინგ.) - [თუ. თრიითიზ ონ სივილ გოვერნმენტ] ორი ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობის შესახებ

**ultra vires** (ინგ.) - [ულტრა ვირეს] ნიშნავს წესდების გადამეტებით გარეგების დადებას ინგლისურ და ამერიკულ სამართალში

**universitas** (ლათ.) - [უნივერსიტას] იურიდიული პირის წინამორბედი ფორმა კონტინენტური ევროპის საერთო სამართალში

**universitas de jure communi** (ლათ.) - [უნივერსიტას დე იურე კომუნი] უნივერსიტას საერთო სამართლის მიხედვით.

**Usus modernus pandectarum** (ლათ.) - [უსუს მოდერნუს პანდეკტარუმ] - „პანდექტების თანამედროვე გამოყენება“ - სახელწოდება, რომელიც კონტინენტური ევროპის საერთო სამართალს ეწოდა XVI-XVII საუკუნეებში.

**We are under a constitution, but the constitution is what the judges say it is** (ინგ.) - [ვი არ ანდერ ე ქონსთითუშნ, ბათ დე ქონსთითუშნ ის ვოთ დე ჯაჯის სეი ით იზ] ჩვენ ვემორჩილებით კონსტიტუციას, მაგრამ კონსტიტუციას მოსამართლენი განმარტავენ.

**Westgalizisches Bürgerliches Gesetzbuch** (გერ) - [ვესტგალიციშეს ბუერგერლიხეს გეზეტცბუხ] დასავლეთ გალიციის სამოქალაქო კანონთა წიგნი.

## წიგნში გაამოყენებულ უცხოენოვანი შემოკლებანი

AGBG	Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კანონთა წიგნი
AcP	Archiv für die civilistische Praxis – ცივილისტური პრაქტიკის არქივი
AöR	Archiv für öffentliches Recht – საჯარო სამართლის არქივი
BGB	Bürgerliches Gesetzbuch – გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი
BGH	Bundesgerichtshof – ფედერაციული უზენაესი სასამართლო
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen – ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე
BVerfG	Bundesverfassungsgericht – ფედერაციული კონსტიტუციური სასამართლო
BVerfGE	Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts – ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებანი
BVerwG	Bundesverwaltungsgericht – ფედერაციული ადმინისტრაციული სასამართლო
Cass Civ	Cour de Cassation, Chambre Civile – საფრანგეთის საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო პალატა
DVB	Deutsche Verwaltungsblätter – გერმანიის ადმინისტრაციული ბიულეტენი
DöV	Deutsche öffentliche Verwaltung – გერმანიის საჯარო მმართველობა
EWGV	Vertrag zur Gründung der Europäischen Wirtschaftsgemeinschaft – ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ
FamRZ	Familienrechtszeitschrift – საოჯახო სამართლის ჟურნალი

GG	Grundgesetz – გერმანიის ძირითადი კანონი
JA	Juristische Arbeitsblätter – იურიდიული სამუშაო ბიულეტენი
Jura	Juristische Ausbildung – იურიდიული განათლება
JuS	Juristische Schulung – იურიდიული სწავლება
JZ	Juristenzeitung – იურისტთა გაზეთი
NJW	Neue Juristische Wochenschrift – ახალი იურიდიული ყოველკვირეული
RGZ	Reichsgerichtsentscheidungen in Zivilsachen – საიმპერიო სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე
ZGR	Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrecht – საწარმოთა და საკორპორაციო სამართლის ჟურნალი
WiRO	Wirtschaft und Recht in Osteuropa – ეკონომიკა და სამართალი აღმოსავლეთ ევროპაში

კორექტორი ინგა ნაეროზაშვილი

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28  
საბეჭდი ქალაქი № 1 60X90. 1/16  
ბეჭდვა ოფსეტური  
შეკვეთა №62 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,  
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5